დათო ბარბაქაძე

# შედეგები

## ტომი I

მრავალტომეულის ცალკეულ წიგნთა
პირველი - ელექტრონული - გამოცემა
სახელწოდებით შედეგები
განხორციელდა 2012 წელს.

გამომცემლობა *მერწყული*
თბილისი 2014

ISBN: 978-9941-0-7001-3 (ყველა ტომის)
ISBN: 978-9941-0-7002-0 (პირველი ტომის)

დათო ბარბაქაძე

# პოეზია 1984-2013

# მივუსამძიმროთ შემოდგომას
1984 - 1990

## სპირინგი

ითვლიან სუნთქვის ნაბიჯები გულისა და თვალის ნაბიჯებს;
ასდევნებიან მათ ნაკვალევს უდაბნოში,
სადაც მკვდარ ქვიშას ქარიშხალი ვერ ააცეკვებს,
სადაც სივრცეში გატყორცნილი ბუმერანგები
მილიარდჯერ უბრუნდებათ მონადირეებს;
უნდილი კვირტი წყალს მოელის, მძიმე ზათქით რომ გადაიხსნას,
შემოამტვრიოს მზეს ხვიჟირი, არადყოფნის გულისფეთქვას მიაყურადოს.
როგორ გავჭიმო სიბერისგან ხერხემალში მოდრეკილი კითხვა ეული?!
მე ნაველ, ხეებს გავუწვები ნაკლულად ქმნილი!
შემივრდომებენ შეცოდებებს,
მძლავრ სუნთქვაში დიდსულოვნად შეიფარებენ,
ქარი და წვიმა არ სჭირდებათ მათ მუსიკის აღმოსათქმელად:
თვითვე უკრავენ თავიანთ თავს და სივრცეებში
ფერადოვან ექოებად განიღვრებიან;
თუნდ მხოლოდ სმენა როდი ნებავთ მგლოვიართა მოთქმის და ზარის...
ისინი რხევას მასწავლიან, -
როგორ უნდა ამოითქვას ტანჯვისა და სიბრძნის მუსიკა.
ასე, ნელ-ნელა, გავიზრდები, იმსიმაღლე კოშკი მექნება,
ჩემი სიკვდილის ფურცლობამდე დიდი ხნით ადრე
ვნახავ, ვით ძალუძს შუანელში გადამტყდარ მუხას,
წყლიან სხეულზე უცნაური სიბეჯითით ამოზარდოს შავი ვარდები,
და დიახაც რომ მირჩევნია შიშს სიყვარული,
დიახაც რომ ლამაზია ბებერი ცხენი,
შემოდგომის გამხმარ ველზე როდესაც კვდება;
მას, ბოლო ღამით ნათელხილვით განმარტოებულს,
მთვარე ჰგონია ის სარკმელი, რომლითაც შეძლებს
სიცივის სადგომს დაეხსნას და მარადიულ სინათლეში დაიდოს ბინა...
ხოლო მე ნავალ!
დიადია ძალისხმევა პერიოდულ სისრულეში შემავალ ხეთა, -
მათ ძალა შესწევთ გასწვდნენ ყველა ხორცსავსე ფოთოლს;
მათ ძალა შესწევთ მონდომებით დაიფერთხონ
ადრეული ქარებისგან მოგვრილი მტვერი.
და მე ვისწრაფვი, ლაღადისი მაინც მოვასწრო,
ხმა მაინც შემრჩეს საკუთარი, და ამოვიტყვი:
"ღმერთო, ფრინველის ცნობისწადილს ვინ ჩამისახლებს,
ფრთებს ვინ შემასხამს, რომ შევიძლო აფრენა და ძირს დანარცხება!"
ხოლო კაცთათვის ღმერთის წყურვილს გაამჟღავნებენ
შავი ხეები, გაჟღენთილნი განთიადის ფერადი სისხლით;
მათი სიშიშვლე სიამაყით შეჯუფვია გაყუჩებულ უსასრულობას,
და იბრუნებენ წყვდიადებში მოქანავე ძახილისკენ გატყორცნილ ტოტებს,
სივრცის სხეულში ნეტარებით იყონებიან...
და მხოლოდ სიკვდილს თუღა ძალუძს გაარღვიოს უკვდლებო აქვარიუმი

და ნიაღვარების ყრუ სიმღერა გაიტანოს სამყაროს გარეთ,
ამძღვნებულ ტანს მარადიული მღვიძარებობის სამოსელი შემოახიოს.
მაგრამ არსობის ყოვლისმძლეველ-ყოვლითძლეულ თესლს
ებოძა ნიჭი მარტოოდენ უსასრულოდ გარდაცვალების,
და გვიყვირის საკვებს მბრძანებელი, ჩვენი სიცოცხლით –
ჩვენსავე სულში ჩახვეული იდუმალის გამოშიგნვის მძაფრი ნყურვილით,
მტკიცედ იცავს თავის სიცოცხლეს,
და მეც გავრბივარ, გაშლილი და გალაღებული,
ვგრძნობ, ვით ქვითინებს დედამიწა ჩემს ფერხთა ქვეშე,
თვალის გუგებში მზის ნათელი მომიმნყვდევია!

უკვე უნყოდა ბედისწერამ, რას ჩავიდენდი,
ნინასნარ იყო განსაზღვრული ჩემი ქმედება,
და სწორედ ასე: მწუხრის ველზე გამომსხლტარი,
მე გავრბოდი ღრუბლებიდან აზნექილ მზისკენ,
შიშველ გულ-მკერდზე მადნებოდა ატეხილი ფერადოვნება,
და ფეხისგულებს მზეშთანთქმული დედამიწის ოხშივარი გამიმაგრებდა,
და უცნაურად ჩაფრენილი სუფთა ტილოს, ფუნჯს და პალიტრას,
შემზარავად ეხმოვანებდი: "დამიხატეთ უსასრულობა!"
ო, ეს არ იყო მეხთატეხა ყოვლის ნამლეკი,
არ შობდა ლოცვას ანდა ქვითინს უილაჯოს,
არც გოდების არ იყო ეს ხმა.
იგი სხვა იყო, ბევრად უცხო და ბევრად დიდი,
მე ვითხოვდი: "დამიხატეთ უსასრულობა!"
და ვის შეეძლო ჩემთვის ეთქვა, თუნდ ოდენ კრძალვით,
რომ ვერასოდეს ავისხლეტდი მზერას მზის გულში,
ხეთა შეაღსელას აკვნის ბავშვის დაძახილში ვერასოდეს შევისუნთქავდი;
ვერც ქარაშოტით გზააბნეულ სულთა სრბოლა შემაძრნუნებდა,
ერთურთს ბეჩავად მიმოხლილნი რუდუნებით რომ ეძებენ თავ-თავის საფლავს;
ჩემს გლოვის ხმაზე მოციმციმე ვარსკვლავები არასოდეს განიშლებოდნენ;
რომ მე შემეძლო მეთვალთვალა მარტოოდენ მაღალ ვერხვთათვის,
ვით განიბანდნენ ნმინდა ტოტებს სასაფლაოს უკუნ ღამეში.
ნავიდა ის დრო, ნავიდა და ჩაეფარა ცივ გალაქტიკებს...
ჰე, როდის იყო გარინდება უკანასკნელი,
მთელი სამყარო ოდეს განკითხვის მოლოდინში ჩემს მხრებზე ინვა,
ოდეს მესმოდა ყველა ტაძრის მოგუგუნე ზართა ზეიმი
და ხშირი სუნთქვა ჩვილთა ხეთა, თრთოლვაშემჯდარნი
ნეტარი შიშით რომ ხვდებოდნენ გაზაფხულის ჯიშიან ძახილს;
არ გამოსცემდა ოდნავ ჩქამსაც ჩემი სხეული,
თოთო გულის თითოეულ ამოძახილს იტაცებდა უსასრულობა,
და თუ რამ ძალა შემრჩენოდა,
ნეტარებით ქანცმიხდილი ვაყურადებდი:
ჩემს ძარღვებში – კაცის ძარღვებში –
ინრიტებოდა დედამიწის მცხრალი დაისი
და შიგ დანთქმული დამშეული ნადირივით მიმოვიდოდა;

თხემით ტერფამდე მოხაზული სიკვდილ-სიცოცხლე
ერთ სამყოფელში ლივლივებდა, ერთ ნათელში განიბნეოდა,
და კიდევ რაღაც შორეული, რაღაც მესამე,
მათ შემდეგ ინვა, ორლესულად ელიმებოდა;
და მე არ მეყო ძალისძალა ძონძებისგან შეკრულ ყულფში თავის გაყოფის,
ო, ვერ გავბედე ჩანაფიქრის აღსრულება და შემოვბრუნდი,
საკუთარი არსებობა შეშლილივით მიმოვისინჯე,
და მკაცრ ბრძანებას გულუბრყვილოდ მინებებული
ჩემივ ბრჭყალებით გამოკვალთულ კითხვის ნიშანში
ჩავესახლე პირველად და უკანასკნელად,
და დავიბადე ხელმეორედ, თმაგანძრცვილმა ყიამეთში გამოვიღვიძე,
და ამის მერე აქამომდე ერთგულად ვფეთქავ;
არ დარჩენილა განთიადი ჩემი შობიდან,
ნკვარამის სულში გავლებული
უსპეტაკეს რძის ნაღებად არ შემრგებოდეს,
და სამყაროში არსებული ყველა მამლის მძლავრი ყივილი
ჩემს შეძახილზე ერთ სიმღერად არ ქცეულიყოს;
დიდია ძალა სიმარტოვის და ყიამეთის, -
მხოლოდ მათ ძალუძთ მარად იშვან და მარად შობონ,
და ველურია მარტოობა და ჟინი ჩემი,
და მშვიდი სუნთქვით გადავცქერი ფერად სიცოცხლეს, -
მყოფთა ფიქრების ჩასასხმელად ამოგებულ უძირო ფიჭას,
და ოდნავ ღელავს სული ჩემი,
ოდეს მინის ჭუჭყით სავსე, აბურდულ თმებში
მოუღარუნე სიბერის ეჟვანს
ღიმილით ახშობს იმავ მინის დამშეული მკერდის შრიალი.

მერე ზამთარი მომილოცავს: "აღარ გყავს დედა!"
და თვალთა ფსკერი კიდევ უფრო დარბილდება,
მზერა უფრო დაინმინდება,
და გაღვივდება მხოლოდ ვნება: ობოლ სამყოფელს
ჩამოვაფარო ყრუ ფარდები, გავიდე გზაზე,
მძლავრად აღვმართო ხელები და, როგორც სარკმელს გამოღებულს,
მარტოობას შევაგებო დიდი იმედი, შემაზრზენი სიჩუმე შევქმნა...
რამ ვერ მიაგნო ჩემს ძარღვებში საკუთარ ბუდეს:
სიყვარულმა, ზიზღმა, სიცივემ,
სისხლის შიმშილმა, სიღარიბემ,
გვირილების თაიგულმა თავის ქალაში...
და ახლა ნავალ,
ნავალ ჩუმად,
სუსტი,
ეული...
დიახაც მახსოვს, ბედისწერა როგორ გადასკდა,
ვით ჩამითესა თოთო სულში სუნთქვამ ჩემმა დედა მშობელი,
თბილი საშო როგორ განნვალა...

და იმის მერე რუდუნებით ვალევივებდი, ვუნანავებდი,
და განიფესვა, ალმოცენდა მზე, - ნარინჯის მსხემი ყვავილი,
და ძარღვიანი მისი ღერო, უმწვანესი და უწმინდესი,
ბანს აძლევდა და ნაზი რხევით იყნოსავდა ჩემს გულისფეთქვას;
და ასე, ერთად, თანხმიერად, შემოვრაგვეთ ჩვენივ სამყოფი,
ხოლო ბუნებამ მოლოდინი მოგვიბოძა რაოდენ მკრთალი,
რა მოცახცახედ შეყუჟული კითხვის ნიშნის ქვეშ...
"აღარ გყავს დედა!"
და ჩემი საშო მოზეიმედ განყვავილდება,
ჩემს საბრძანისში ჩამოყრილი შავი ლოდები
მაღალ ბორცვზე შეგროვდებიან,
და მე ავაგებ, დათმინებით ავაშენებ
დედის ღიმილს და დედის თვალებს...
მაგრამ ხეები? ფრთამაღალი ჩვენი ჩიტები?
ყველა ფოთოლი ჩიტი იყო ჩვენს ხეივანში
და შემოდგომის მკლავებისკენ ასწრაფებულნი
მიწის სითბოს მხოლოდ მაშინ უყუჩდებოდნენ,
მათ ფრთებს დრო რომ ალაზევებდა;
ისინი ძალას უგალობდნენ, არჩევანის უფლების ძალას, -
რომ მათ შეეძლოთ მიწის ზურგზე მხოლოდ ერთხელ დაცემულიყვნენ...
"აღარ გყავს დედა!"
და მოიძიებ დროს გაქცეულს, ნაცარტუტად ქმნილს,
და ცერა თითით ცას მიაფშვენი საკუთარ სხეულს...
ვინ ამოგიხსნის, რა სიმძიმით ჩაიწონება
გაოგნებიდან სიყვარულში ველურის მზერა?
მზე... მთვარე... მდედრი... ვარსკვლავები... ხე... ყვავილი...
ვარსკვლავები... ხე... მიწა... მდედრი...
საკვები... მთვარე... იარაღი... გამოქვაბული...
ხე... მიწა... მდედრი... ყვავილები... ქარის შრიალი...
ვარსკვლავები... იარაღი... სიზმარი... სისხლი...
მზე... მიწა... მდედრი... იარაღი... ხეები... სისხლი...
და უკვე აქ ხარ, უკვე ყველა საუკუნემ ჩამოგიშორა;
ყველა ტრიუმფით გაძევებდა, ყოველივე გრიყავდა და შენ უკვე აქ ხარ!
უკვე დამძიმდა მარტოობა, როგორც ჩვილი ახალშობილი;
შენ უკვე აქ ხარ, ღმერთო ჩემო, როგორი მშვიდი!

ო, ახლაც, ახლაც, რომ შეგეძლოს,
შენ წეროებს გაატანდი თბილ ქვეყნებში
გალეული ბავშვობის ხსოვნას,
დიდი ხნის მერე მობრუნებულთ
მომაკვდავის გულ-მკერდზე რომ გარდმოეფინათ;
შენი ღიმილის სიმარტოვეს შებჯენილ ხეებს,
რძეს, - შემოდგომის ფესვებიდან გადმოდენილს, -
ყოველივეს თბილ ქვეყნებში გაამგზავრებდი...
მაგრამ დამძიმდი, განაპირდი. დუმილი. მწუხრი.

მთა მთას არ შეხვდა, არ შეძრულან პირამიდები,
ყველგან ჭაობი ირწეოდა ბლანტი და უშნო,
ყველგან ყინვა და ყველგან თოვლი...
ხოლო როცა კვირტი დაჩნდა, გამოგეღვიძა
და ახლა დვრიტა საკუთარი გევედრება როგორი ძალით,
მოაშუშო სიყვარული ჩანიხლული, გადაჯეგილი.
როგორ შეიძლებ? გაიხსენე მრისხანე ჟამი,
როცა შენს ირგვლივ ყოველივე უხმაუროდ ინგრეოდა და ქვითინებდა;
როცა ქარიშხლის ავობისას პირაშკმულნი იმსხვრეოდნენ სუსტი მინები;
როცა შენს თვალებს, ვით ქვაფენილს, მოხუცები უწუწუნოდ ენარცხებოდნენ;
როცა ფიქრობდი, რომ ყოველი შენით ხდებოდა,
შენში სუფევდა უზარმაზარ ყვირილის ძალა
და შემოგთხოვდა დედამიწა, ამოგეშვა,
კაცთა ხვედრი შეგბრალებოდა;
დედამიწა მუხლმოყრით იდგა!
და შენ იყვირე... და ყვიროდი ისეთი სუნთქვით,
ყვირილის ძალა მიცვალებულს საფლავიდან ერეკებოდა,
გუმბათს არღვევდა; ინგრეოდნენ უმტკიცესი ნაგებობები;
თავშესაფარს დაეძებდა კაცი და უტყვი...
ხოლო სამყარო გაოცებით ულიმოდა შენს თავგანწირვას, -
მოძრაობას ცივსა და უხმოს...
შემოიკრიბე, რაც შეიძლო! ყველას გვერგო ეს მცირე ნიჭი;
შემოიკრიბე, მოასწარი, თორემ იქ... იქ... უუუ...
რას გავიხსენებთ გარდაცვლილნი? ვინ უწყის ნათლად,
გონება ჩვენი რას გაიტანს სიზმრიდან ცხადში?
იქ ყოველივეს დავიწყების წყვდიადი დანთქავს,
დედამიწიდან განძარცვულნი გავემგზავრებით
და ცარიელი არსებობა შეგვრჩება მხოლოდ,
ხელმეორედ ამოსავსები...
და შიში მიპყრობს, რომ ვიხსენებ წინარე ყოფას,
რომლის სუნთქვამაც ყოველივე ამოშალა ჩემი ხსოვნიდან
გარდა რწმენისა, რომ ვცხოვრობდი ოდესღაც სადღაც
და როს ბოლომდე ამოვავსე კანონის ჩარჩო,
დედამიწამ დამისაკუთრა...
შემოიკრიბე, აღადგინე, და შენ შეიძლებ,
ო, შენ შეიძლებ, ძალზე ფრთხილად შემოწმინდო ბალაზინი
მშობელი დედის უთხელეს და უნაზეს ფურცლებს,
სხეული მისი წმინდა სანთლად ჩამოქნა და
ლოცვა-კრულვად აღუვლინო ღვთის ნათელ სუნთქვას;
იხილო წამი, ჭეშმარიტი არსებობა როცა იყნოსე!

## თამარისადმი

... და ვიცი, მოხვალ მეორედ და უკანასკნელად!..
შენ არ მოგიყვანს ბედისწერის ძირძველი ძალა;
შენ არ მოგიყვანს ჩემი ლოცვა, - უმწეობის ხორკლიანი საგალობელი;
არც რამ განზრახვა, ამოზრდილი სიამაყის შავ-თეთრ ფერებად;
არც შურისგება, - ჩაქოლილი ქარების სევდა,
ან ჰორიზონტზე ანთებული სიკვდილის მაცნის,
ცას შერთული დროშის შრიალი;
არც სიმარტოვე არ მოგიყვანს
და არც შურის დაფშვნილი სარკე;
შენ არ მოგიყვანს სიძულვილი
ან მარტივი თანალმობის მძაფრი წყურვილი...
ო, არ მოგიყვანს ეს არცერთი,
შენ თავად მოხვალ!
შენ მოხვალ მაშინ,
როცა ხეები, უგუმბათო ეკლესიებს მიმსგავსებულნი,
სივრცის წინაშე ისწავლიან უსიტყვოდ დგომას;
როცა მათ ფესვებს მიწის სითბო დაეწაფება,
ხოლო მეწამულ ჰაერეთში შემორკალავს ყრუ, დახშულ ქვითინს;
როცა უცხო ხმად გაწელილი ყოველი კოჟრი
ბაცი ღიმილით ყურს მიუგდებს სიოს გულისთქმას...
უკვე ლივლივებს ჩემში ჟამი დამზრალ ტოტების, -
როცა დაისი შავად მოთხვრის
დასავლეთის ყრუ ჭიშკართან ნამხობილ მიწას;
როცა ხეები მდინარეში შეცურდებიან
და მზის სიმწიფეს ხარბი სუნთქვით დაწაფებულებს
აღარ ჩაესმით უპატრონო ძაღლების ყეფა;
უკვე საათებს, თვლემამოგვერილთ,
საცოდავად ეწრიტებათ დაცინვის ძალა;
უკვე კაცებიც ფორმაშესხმულ,
ქარის მიერ გამოძერწილ ძარღვიან პურს ემსგავსებიან;
უკვე ყვირილიც სულს ღაფავს და უხმოდ კვდება
ღმერთისაკენ მოწყალების მისაღებად გაწვდილ ხელებში;
ფრთხილად ადნებათ გამხმარ თითებს მოთბო ჩრდილები
და უცნაურად მსხემი სიტყვა – "მეოხ მეყავ, დიდო უფალო!" –
შვეულქმნილი და მარტოსულად გამოთლილი,
მშრალი ცისკენ მიემართება;
უკვე მინდორში გვირილებიც სამუდამოდ უხეშდებიან
და მგლოვიარე ჭირისუფლებად ისხამენ ჩიტებს...
და ამ ჩიტების ჭიკჭიკიც რომ ლოცვის ნიჭად გალეივდება,
შენ მოხვალ მაშინ...
უკვე ლივლივებს ჩემში ჟამი დამზრალ ტოტების,
უკვე ლივლივებს შენი მოსვლის მრისხანე ჟამი...
მაგრამ ეს ჟამი ო, ჯერ კიდევ ისე შორსაა...
გახიდულია მბრძანებლობა უთვალავ წამის...

# მხოლოდ შენი ხმა

დიახ, მე ვიცი, გაზაფხულის ვარდისფერ ცაში
როგორ კვდებიან ბებერი და მშრალი ჩიტები,
პირველ ქარიშხალს, - მზრუნველ მშობელს, -
მკერდზე როგორ ეხუტებიან,
როგორ ცდილობენ შეიმშრალონ
თვალის გუგებს შერჩენილი
ბლანტი ლორწო შურისგებისა;
სიცივის ნემსით ეჩხვლიტებათ რბილი ნისკარტი,
სისხლი პანია გულისაკენ ლოცვასავით მიიზნიქება...
ისინი სივრცეს აკლდებოდნენ... ო, მათი ბედი!..
და მე, ბავშვურად გულუბრყვილო და გულმართალი,
ჩუმად ვუმზერდი ბალახის და გვირილების ამო სუნთან
ზიარებულ შენს წმინდა სახეს,
შენს მდიდარ სუნთქვას, რომელსაც სურდა
ბელურებად გამოეჭრა ყველა ღრუბელი...
და შენი სუნთქვის სიმშვიდეში მოყვავილე გვირილები
მოკრძალებით გადაიხარნენ
და გზა უტიეს სამეუფოდ ამომართულ ხმას,
ამომზევებულს დუმილის და ფერადების უფსკრულებიდან...
მერე სხვა ხმებიც არიალდნენ, - უჩუმესი და ბნელი ხმები;
ვის შეუძლია მათი ხილვა? ღმერთმანი, არვის!
ჩვენ მხოლოდ მათი უჩვეულო ცახცახი გვესმის
ნეროთა ფრთებით შემონერილ, დაღლილ სივრცეში...
მხოლოდ შენი ხმა, როგორც დედა, მოუხმობს ამ ხმებს
და როგორც მორჩილ, გამოუცდელ მონაფეებს,
ასწავლის ლოცვას...

# ხეები

... მათ მახსოვრობას ერთი ქარი ატოკებდა, რომლის შესახებ
ნიადაგ ბჭობდნენ ჩვენთვის უცნობ, უცხო ენაზე;
მხოლოდ ჩურჩული ჩაგვესმოდა, მხოლოდ ჩურჩული,
და ამ ჩურჩულსაც ძალა ჰქონდა როგორი, ღმერთო!..
იგი მოვიდა ერთი ღამით, სულ ერთი ღამით,
და შეგვიყვარა, სიყვარულის ნიჭი გვიბოძა;
განთიადზე კი ყველამ ერთად გამოვხსენით ჩვენ-ჩვენი კარი,
მისით სავსენი, მადლიერნი დავცქეროდით, როგორ კვდებოდა...
და გმირი ინვა ჟამსშეჩვეულ ყველა ამ ხეში,
და ეს ხეები ბერდებოდნენ გმირების ნაცვლად...
მათ ისე მშვიდად ეზნიქებათ სიცოცხლის ღერძი,
ისეთი სიღრმით შეიმეცნეს, რისი ცოდნაც ევალებოდათ...
და დგანან ახლა, გმირთა სუნთქვით გამთბარ სხეულებს
სივრცეები ეუფლებიან;
და როცა სიტყვებს, - ტკივილებად ამბოხებულ ადამიანებს, -
აღარ ძალუძთ სიზმრების ახსნა,
ისევ ქარები კისრულობენ ურთულეს საქმეს, -
ხელს აშველებენ ცისკენგზაზე ჩამოღლილ სიტყვებს
და ფრთხილად გაჰყავთ გამთენიის სამშვიდობოზე...

# სონატა მათთვის, ვინც შორსაა

რომ ვიყო ღმერთი, ბედისწერას შემოვრაგვავდი, -
შენ ვერასოდეს შეაღწევდი მის საუფლოში!
გულამდე ატანს მზის ყვირილი, იარებიდან
დროის პეშვებში დალექილი ცოდვები ჩნდება,
და გაზაფხულის წყალდიდობა უხმოდ მაახლებს
დიდთოვლობაში ჩაჩუმქრულ და შიშველ ბალდახინს, -
ჩემთა იმედთა ზიარებაც ვერ მოვახერხე,
სად არ ვეძებე გული ჩემი, სად არ ვეძებე,
და სულდალეულს იქ მივაგენ, სადაც სულ არ მეგულებოდა, -
ჩემივე მკერდქვეშ...
და ახლა ვნატრობ, სულ მცირე ხნით მამყოფა ასე,
მინის გულზე ყურმიდებული;
ო, სულ მცირე ხნით მამზერინა, ქარის შრიალზე
ნეკერჩხლის ტოტი როგორ მალავს სიჩუმისგან ნამახულ სახეს...
და შენც აქ იყო!..

თვალთა სამარედ, - უბეებად ლაგდება სივრცე;
ბინდის ტაძარში ბელურების ბედნიერ ჟივჟივს
ხრინწიან ლოცვად ჩამოემხო ცოდვილთა გლოვა;
თბილი კურცხალი გორახებში კივილით ჩანვა
და ქარმა ფრთხილად მიატოვა მერხევი ტოტი...
შორს, ტრამალებში, ანჯამებმა გაიჭრიალა...
ერთ დროს ეს სახლი, ბედისწერის ღამე-სათავე,
ურჩეულესმა მეომრებმა დაინაწილეს...
და ახლა სადღაც თავ-თავიანთ დედულეთში, ძველისძველი ჯარისკაცები
კბილებით ღრღნიან საკუთარ ხორცს,
ხელისგულებზე ქვის კოჟრებსაც კბილებით ღრღნიან,
რომ შორსდარჩენილ, ტრიუმფალურ ბრძოლების მერე
თაკარა მზეზე გაიტანონ სისხლი, რომელიც
ოდესმე სადმე მათ კისერზე გადმოწურულა;
ბერის სამოსით ირთვებიან ძველისძველი ჯარისკაცები,
სიკვდილის კართან მიდევნილი უმწეო მზერა
უკანდარჩენილ სახლისაკენ გაიყურება...
აღსრულდა ქარიც, - ერთადერთი სიზმარი სახლის;
ის, უხილავი, სადღაც დიდხანს იკარგებოდა
და უკუქცეულს ამაყად და მძიმედ მოჰქონდა
თივისა და ბალახის სუნი...
და გვიან, როცა სახლის კართან უსულოდ ეგდო,
მოდიოდა იარაღში ჩამჯდარი ხალხი
და, მერამდენედ, მონდომებით ახრჩობდა ცხედარს,
მერე ზეიმით გამოჰქონდა შუა მოედანზე,
და ასე ურჩს და უკანონოს საჯაროდ წვავდა...

და ამის მერე ღამურებიც კრავენ იჯაოს;
იოლად ცნობენ ვარსკვლავები ცოდვილთა თვალებს;
აქ ყველა ვარსკვლავს საკუთარი მახე უგია,
აქ ყველა ვარსკვლავს საკუთარი სამარე ათბობს,
და უკვე ეხვდები, თავშესაფარს ან თუნდაც მოყვასს
რატომ არასდროს ეძიებენ ქარით დევნილნი;
სხვა სისხლითაა აგებული ტკივილის ხმები, -
თხემით ტერფამდე, მთელი ჩვენი წარსულ-მომავლით,
გვისრუტავენ ეს უხმო ხმები...

უნდა მენახე, უსიკვდილოდ უნდა მენახე!
როდი მიმძიმდა ჩემი ხვედრი, ის მხოლოდ მღლიდა:
ო, რომ შეგეძლოს, უცოდველი ჩემი სიზმრები
შენს დიდ შიმშილში დაიტირო და დაითმინო!
მე მხოლოდ ვჭვრეტდი და ვლოცავდი მოკვდავის წესით
და მისხალ-მისხალ ვაგროვებდი საკუთარ სხეულს;
პირამიდების მდუღარე სულს გადანურული
მე ვნახე სახე მილიონი და მილიარდი;
ვნახე ფესვები ბრონეულის, დამშრალი და გამოშაშრული,
ვნახე დაისი, - ნაგებული ბრძოლის სამხილი
და სისხლიანი საფლავების ჩუმი ამბოხი...
და კვიპაროსთა რნევის ძალა... და ვარსკვლავები...
ხეთა ტოტებზე ჩრდილებიანად დაკიდებულ მამაკაცებს არნევდა ქარი,
და მნიფდებოდნენ სავსე ნაყოფით დახუნძლული ცოდვის ხეები
და შემოდგომის ბერწ დღეებში თავს ინახავდნენ, -
ხორცით, ძვლითა და მსუყე ჩრდილით იკვებებოდნენ...
ვნახე ჩანჩქერიც, დავარდნილი ცივად და მდორედ...
სხვაც უამრავი...
დამამახსოვრდა ძალზე ბევრი,
ძალზე ცოტა დავიმახსოვრე!
და ახლა მღვიძავს, შენმა სუნთქვამ გამომაღვიძა,
ახლა მოვდივარ, ძვირფას ცრემლებს ძველ გზებზე ვაბნევ,
სლუკუნ-სლუკუნით საკუთარი სახლისაკენ მოვეშურები...
ო, უკვე მღვიძავს... შენი სუნთქვა... იმღერე რამე!..
მე მოგისმენ და ზურგს შეგაქცევ ორიოდ წუთით,
ცრემლი ჩემი რომ არ იხილო...
როდი მრცხვენია, საამისოდ სუსტი ვარ უკვე...
მე ვმალავ ცრემლებს... მომიტევე... ო, მათი ბედი...
შენ ხომ არ იცი, სად და როდის აზავთდნენ ზღვები,
როდის დაიძრნენ უსაშველოდ მონყურებულნი,
ვიდოდნენ როგორ!
და სისხლის ფასად ვაყურადებ ათასობით შორეულ ექოს...
ისინი ფრთხილად ცოცხლდებოდნენ, ვიდოდნენ როგორ!
გზად გამოსულებს გზა არ ჰქონდათ, მხოლოდ ტკივილი
და დაგდებული სამყოფიდან მარადი ბიძგი მათ წარმართავდა;

ვით მოვალენი, თავიანთ თავს ურიგებდნენ დამხვედრ უფსკრულებს,
ცის სიღრმეებში ორთქლდებოდნენ, ტრამალებზე განიბნეოდნენ;
ნთქავდნენ ჯებირებს, ტბებს ამღვრევდნენ, ავსებდნენ ჭაობს,
და კლდე-ღრეებზე ვარდებოდნენ, ვიდოდნენ როგორ!
მათ დაღლილებმა მოაღწიეს, და ეყოთ ძალა,
მთელი სიჩუმით, მთელი სიმწრით ამოესუნთქათ,
შეეკრათ ცრემლად სუნთქვა იგი, და მლაშე ცრემლებს
თვალთა ნათელში წმინდა ლოცვად გამოეყონათ...
და აი, მღვიძავს... აი, უკვე ჩემეულ ცხადში
თოთო ბავშვებად მოარული ძველი ხეები
ნაზად არწევენ უფერობას მიწევნილ დაისს;
სამოსს იხდის და ვნებით სავსე ღამდება სივრცე;
პრეისტორიულ ხანათაგან დაძრული სუნთქვა
ჩემი დუმილის ასავსებად მოემართება;
ყურთამდე ღიად დარჩენილან ფეხმძიმე ხმები,
ჩემთა თვალთაგან დადენილ თხრამლს კრძალვით ლოკავენ;
უკვე შობილ და ჯერ არშობილ საუკუნეთა
უფაქიზესი ლოცვებისგან შეკრულ თაიგულს
ცეცხლის ენები ყრუდ ლოშნიან საკურთხეველზე,
მღვრიედ ნათდება კვნესისა და გოდების ფონს აკრული ხავსი...
და უკვე მღვიძავს, შენმა სუნთქვამ გამომაღვიძა...
მე ვმალავ ცრემლებს... მომიტევე... ო, მათი ბედი...

# რექვიემი

*ადამიანები*
*ყოველ საღამოს კარგავენ მზეს*
*და როცა გრძელდება მათი ჩრდილები...*

*გადიან მინდორში*
*და ჩამავალ მზეს*
*ძეგლებივით უდგამენ ზვინებს...*

ლია სტურუა

სადაც არ იყავ, შენ ყოველთვის იქ გსურდა ყოფნა...
აკაურები ცის სიღრმეში ხვდებიან სიკვდილს,
ცას უბრუნებენ ყველა ფიქრს და იდუმალ მიზანს,
და მერე კიდევ დიდხანს ისმის მათი ყივილი,
ისინი მერე კიდევ დიდხანს არ მძიმდებიან...
ჩვენ სხვა ბედი გვაქვს, -
შემცივნულ და დამზრალ მხრებისთვის
ყოვლადნყვდიადი, უხიაგი ღამეც ღამეა
და ფარნებით და ვარსკვლავებით განათებულიც;
დედის ლოცვისკენ ეშურება ყველა გზა ჩვენი,
მისით ნათლულმა იმედებმა
მერამდენე აღსასრული მოილოგინეს...
ერთ მშვენიერ დღეს ილვიძებენ ჩვენი სიზმრები,
თვალებს იფშვნეტენ, იღიმიან, სწავლობენ დგომას,
იქ კი, მათ უკან, ძალიან შორს, ჯერ ისევ თბილა...
ნორჩი ცაცხვების ხეივანში სულების სიცილს
ფარასავით შემორეკს ღამე,
ძველისძველი სკივრებივით იხსნებიან საფლავის ქვები.
მათ ჩრდილებს, როგორც თაფლის სანთლებს, შეინოვს ღამე
და მთვარის ფიქრებს მხოლოდ წამით თვალს აარიდებს.
შენ მაინც სხვა ხარ, შენს ოცნებებს სულ სხვა ფერი აქვთ;
შენივ ფინჯნიდან მოსვი სისხლი, რომელშიც უწინ
გაზაფხულის ყვავილები იბადებოდნენ
და ნვიმის მერე სოკოებად სუნთქავდა მიწა.
ამ ფაიფურზე არასოდეს იელვებენ მჭახე ბზარები;
სხვა ხმით წუწუნებს თებერვალი,
ტკივილებიც სხვა ხმით აკვნესდნენ...
რომ დაგვიბრუნოს უკვე უძლურთ, დიდი ხნის მერე,
ერთბაშად მოგვცეს, რასაც ერთ დროს გარშემო ვლვრიდით
ერთმანეთით გულმიცემულნი,
მოყივნულ ფერებს გოჯა-გოჯა იტაცებს ქარი.

დიახ, რა იყო გასაკვირი, ერთად ვიდექით;
უკეთ რომ გვეგრძნო ერთმანეთი გვერდიგვერდ მდგომებს,
მუჭში ვწურავდით ერთმანეთის ხმებსა და ცრემლებს.
მერე გვციოდა,
მზე ყოველთვის იქ იყო, სადაც
ჩვენ არ ვიყავით.
არადა უკვე შინდისფერი სახურავები
მტრედებს მწყემსავდნენ,
ჩვენს თვალებში სხდებოდნენ ფრთები
და საუკუნოდ გვაბრმავებდნენ და გვაობლებდნენ.
დიახ, შეგვეძლო, მიწის მკერდსაც მოვშორებოდით,
მაგრამ ერთურთის შველის ძალა არ გვქონდა უკვე;
ხელის ცეცებით და ტუჩების ფრთხილი ცმაცუნით
გავუმჟღავნებდით ნათელხილვას საკუთარ სულებს, -
რომ ცაა მხოლოდ, ვისაც არ სურს სადმე წავიდეს,
რომ ცას არც ერთი არ ვჭირდებით,
ის ყველგანაა...
იქ კი, მათ უკან, ძალიან შორს, ჯერ ისევ თბილა...
ისინი მერე ჩვენს სუნთქვაში გაუჩინარდნენ
და აი, ახლა ნავსადგური სავსეა ხალხით,
ნაპირმა ტანზე ბედისწერა მოისხა თითქოს;
სევდა-წარსული, - უჟანგავი ბასრი ფოლადი, -
ქვიშის სარკეზე უხმოდ კანრავს მრავალწერტილებს...
შავი მუშაა ყველა კაცი...
ტვირთავენ გემებს...
ხოლო დროდადრო ნაპირს ზანტად შორდება დროშა,
ერთი, მეორე, მეათასე...
მათ ხელს უქნევს ურიცხვი ხალხი,
თვალის გუგებზე ზღვის სილურჯე ყრუ ტალღებს ღვარჭნის,
მილიონი და მილიარდი მკვდარი სიმღერა
დასახრჩობად შორდება ნაპირს,
მათი ხსოვნა კი ჩვენს ძარღვებზე კოურებად სხდება
და მსუბუქ მხრებზე გაზაფხულის წვიმებად დაგვდის...

მე არ მიყვარს შენი წარსული!
იქ ალუბლები უყვავილოდ იბადებიან;
იქ შავ ლანგარზე ერთად ყრია ვაშლი და ფული;
მზე როცა კვდება თაროებზე, თიხის ჭურჭლებში,
ჰორიზონტზე რომ ყრუ ფერები მომძლავრდებიან,
ქოთნებს კანკანი რომ გაუდით მიჯრით მიწყობილთ,
იქ, ტყის სიღრმიდან, შემზარავი კივილი ისმის, -
კაბის კალთებით ხმებს აგროვებს შეშლილი ქალი
იქ, ბნელ ხევებში,
სადაც ნადირმაც კარგად იცის, ვინ არის იგი,
და ფრინველებიც მოკრძალებით ეგებებიან;

სადაც მძვინვარედ აბორგებულ მის ხმოვანებას
ვერ უძლებენ ქვენარმაველები;
ქოხის ზღურბლზე კი ბავშვი ელის საყვარელ დედას,
რომელიც მოვა, დაბრუნდება... მალე... სულ მალე...
მოვა, ამოთქვამს სიმღერებში მოგუდულ სიტყვებს,
და წისქვილის ქვა ისე მძიმედ ჰკიდია მკერდზე,
რომ არაფერი, არაფერი არ ახსოვს უკვე;
ის მხოლოდ ხედავს ბავშვს, ქოხის ზღურბლს და ქოხის სარკმელს,
და თბილ ღაწვებზე ვარდისფერი ცრემლები დასდის...
ამ ქვაში ხსოვნა ცახცახებდა,
ამ ალუბლის ყვავილებიც მასშივე იწვნენ;
ხმელი ბიგით და ბოხჩით მხარზე,
შორეული მგზავრობიდან დაბრუნებული,
აქ ინახავდა საგალობლებს მრისხანე ღამე.
რომელ იდუმალ ქვეყნებიდან მოჰქონდა სული?
ვის უმჟღავნებდა გულისტკივილს, სად რას ტოვებდა?
ვის მუხლზე ედო, ან – ვის მკლავზე, დაღლილი თავი?
ის მოდიოდა ყველასათვის დაფარული, ბნელი ხმებიდან,
მომავლის გავლით აწმყოსა და წარსულისაკენ
ის მოდიოდა და თვალებში სამყარო ედგა;
ზღვები ღელავდნენ,
და ოდესღაც ჩაძირული მძიმე გემები
ტალღებში კვეთდნენ ყველა ტკივილს, ყველა განსაცდელს,
და კიდევ – ღიმილს, - განშორების მშვენიერ სახეს;
ნაპირს არ ნთქავდნენ დამხრჩვალი ზღვები,
ოდნავადაც არ მჩატდებოდნენ,
მათი ჰაერი გვამებს შორის ნაწილდებოდა...
სველ ქვიშაზე კი ლამაზ კენჭებს აგროვებდა ლამაზი წყვილი;
მათ შეცოდებებს თავის თავზე იღებდა ვიღაც,
ცხარე ცრემლით იწანიებდა...
ვინც ჩვენ არ გვიცნობს, ხომ უფრორე საიმედო გვგონია ხშირად,
ჩვენს მაგივრადაც ის იტირებს, მხოლოდ სჯეროდეს,
მისგან სულ ახლოს, ყურისძირში, ბალახობენ ჩვენი სულები.
რა იყო გუშინ,
რომ სცოდნოდათ, რა იყო გუშინ...
ზღვამ ყოველივე გამოიხმო მათი ხსოვნიდან,
და ბრმა ხმაური სათნოდ ხვეწდა წყვილის ოცნებებს,
მხოლოდ საზღაურს მოითხოვდა მათგან ბუნება, -
სიყვარულით ასულდგმულებდა...

ისინი დგანან და კენჭებზე ითვლიან ფერებს...
ძაღლის ყმუილით დაწყებული შემოღამების
კედლებზე სურო მიცოცავს ფრთხილად.
რა დარჩა შენგან?
შენივ სუნთქვით ბიძგმიცემული

შენს წინააღმდეგ მოირკალა მთელი სამყარო;
ვიღაც ყოველთვის მბრძანებლობდა შენს გულისფეთქვას,
ვიღაც ყოველთვის კარნახობდა რიტმსა და რეჟიმს.
მოსწავლე მერხთან დაჭყეტილი თვალებით იჯდა
და ერთადერთი, რაც უკვირდა თავის გარშემო, -
ეს იყო მხოლოდ: ყოველივე ითხოვდა რწმენას.
ვისაც მოუხმე, -
ხეს, ვარსკვლავებს, მომაკვდავ ცხენებს,
ავდარში – მერცხლებს, წვიმის მერე – ჭიამაიებს,
ყველამ იყნოსა შენი ყოფის მცირე ნაწილი;
რომ შეგეკრიბა სიყვარული,
საკუთარ თავს არიგებდი მთელი სიცოცხლე.
მარტო ხარ უკვე,
მონდომებით ემალები ყოველ მწუხრის ჟამს,
აღარ კითხულობ, რატომ ტირის მოყვასი შენი,
არ ეკითხები საკუთარ თავს, სად ხარ და ვინ ხარ,
ჭირით მოსრული ფრინველივით ეცემა ირგვლივ
უთვალავი უფორმო სხივი,
ყოველ მათგანში დედამიწის სიმღერა ცეკვავს,
ყოველ მათგანში დედამიწის ღიმილი ინვის...
აქ ისე ცივა, ღმერთო ჩემო, აქ ისე ცივა!
აქ არ არსებობს გადამტყდარი წელში ხეები,
აქ არ არსებობს ზამთრის სუსხი, ქარი და წვიმა,
აქ ყვავილები არასოდეს კვდებიან და იბადებიან,
არ წარიტაცებს აქ ქალის თმას გრილი ნიავი,
არც ფანჯრის მინა წკარუნებს და არც კოცონი გაიყინება,
აქ მხოლოდ ცივა!
როცა ემთავრდებით, ბედისწერის გარდუვალობა
აღარ გვაშფოთებს, დიახაც რომ არავის გვიკვირს...
ისინი ასე კიდევ დიდხანს იგალობებენ;
სახლის კუთხესთან კიდევ დიდხანს იწრიალებს ბებერი ძუკნა,
დაკარგულ ლეკვებს ჩუმი ოხვრით მოისაკლისებს...

და რადგან აქ ხარ,
შენზე უკეთ არვინ იცის, იქ რა ხდებოდა.
გნყურია როგორ დაბრუნება იქ, სადაც არ ხარ!
აღესრულე. გათავდი. გაქრი.
მიაყურადე სითბოს, რომელსაც
შენით გამთბარი ლოდი გიბრუნებს,
უძლეველია სწორედ ახლა სიჩუმის ძალა...
სუნთქვით მოუხმე ზამთრისპირის ტანძლიერ ხეებს,
მათი ფესვებით საზრდოობდა შენი სულის მზე;
ტოტებიც მათი, სიკვდილი რომ ბოლომდე გეგრძნო,
ფესვებად ისხდნენ ცის სიღრმეში
და იქიდან განვედიდნენ საკვებს.

ო, ჭეშმარიტად უბიწოა მიწის სიმღერა!
ო, რა სიმდიდრით შეგისუნთქავს დიდი სიცოცხლე!
მაგრამ რას იტყვი, ერთ სიტყვასაც თუ არ ბადებს ღამეული ცა?
თუ მარტოოდენ ბუს კივილი აკრთობს ვარსკვლავებს?
მერე ბუს კივილს მგლის ყმუილი შეენაცვლება,
ყმუილს – კნავილი, კნავილს – ყეფა... ასე, ნიადაგ...
და რომც იყვირო, არ აისხლეტს ჰაერი სიტყვას,
ისე შორსაა ახლა შენგან... ისე შორსაა...
მაგრამ რად ჰქვია შობის ღამე სწორედ ამ ღამეს?
ის უკვე გაჩნდა! სიტყვა გაჩნდა!
ვარდისფერი კაბით მოსილი
მხოლოდ შენია, შენ გეკუთვნის, და რომც განაგდო,
სხვათა სასმენად ან სამზერად არასოდეს დაიბადება;
მხოლოდ მან უწყის ის ადგილი, სადაც ვიწყებით
თითოეული სათითაოდ და ყველა ერთად;
მხოლოდ მან უწყის, როდის უნდა დალიოს სული, -
ის ჯერ განიცდის და მერე გრძნობს აღსასრულის წამს,
უხილავია დაბადებაც, სიკვდილიც მისი.
ღამეში შობილს ამიტომაც ვერ იტყვი შენ მას!
მაგრამ ის ფეთქავს! სიტყვა ფეთქავს! ის უკვე გაჩნდა!
შენში გამსკდარი შენსკენ მოდის,
კაბის შრიალით,
იასამნებით ორთავე ხელში,
მხოლოდ შენსკენ მოეშურება...

## ყრმა უშობელი

სულიმორწმუნე მსხვერპლშეწირვას ამთავრებს უკვე
და გულისცემას ველარ უძლებს დაღლილი ღამე...
შემინდე, ღმერთო! ისევ შიში აიზნიქა ჩემი მკერდიდან,
უშნეოდ ვუმზერ შემოდგომის ყველა ფოთოლში
მწვანე ბგერების ისტორიას ჩასახვის დღემდე...
ის თვით სიტყვაზე ძლიერია... და არც ირჯება,
ისე ეცემა მომაკვდავი ლოცვა-ზვარაკი
და ტოვებს ანდერძს მლოცველთათვის უცნობ ენაზე.
უკანასკნელად როცა ხუჭავს მოწურულ თვალებს,
არ მოინიშნავს მისი მზერა კვალს სამერმისოს,
თითს არ გაიშვერს, როგორც გრძელ გზას, რომელიმე მიმართულებით...
თუნდაც ვარსკვლავი შორეული... როცა აღსრულდა,
როგორ მოირგო მისი სხივი ტანზე სამყარომ!
ყოველ ჩვენგანში დაბოლოვდა მისი სიმღერა;
ისეთი ჟინით გვთავაზობდა თავის თავს მდედრი,
სად გვქონდა ძალა, ღმერთო ჩემო, რომ არ მიგველო.
მოთქვამდა სისხლი, უშურველად მიტოვებული,
დაზამთრებული ოცნებებით მორაგვულ სამყოფს;
როცა გამჟღავნდა ჩანაფიქრი მძუნავი მდედრის,
ფესვები უკვე ველარ გრძნობდნენ დარწეულ საშოს;
უმზერდნენ სათნოდ ნაღალატევ მიცვალებულებს, -
მათ ყვავილები ლოდებივით ესვენათ მკერდზე.
და შებღაოდნენ კვალს ბედნიერს და სამწუხაროს...
ასე ინყებდა ჩვენს მზერაში სიცოცხლეს სხივი;
ძალიან დიდხანს არ ვიცოდით, რა იყო ხსოვნა.
ყველამ ჩვენს სახლში მოიძია თავშესაფარი,
ჩვენს სიცოცხლეში ბინა უდევს ვინ უწყის რამდენ
არაჩვენეულ სიმარტოვეს, ცოდვას, სიმართლეს;
ვინ გაანათოს ყომრალიდან ამომავალი
ხმა იდუმალი, ჯერარშობილთ რომ მიანიშნებს
კაცთა სამყოფის არსებობას მრავალჟამიერს?
სამყარო, ალბათ, თავად იტევს ჩვენში ამდენ ფერს,
თორემ აგრერიგ უმწეოებს ვინ მოგვცა ძალა,
ჩავისათუთოთ გულისგულში ყველა სიცოცხლე...
ო, ალბათ, ისიც დიდხანს იდგა დახურულ კართან
და ჩვილის პირველ ამოძახილს ბრმად დადევნებულ,
დაუწერელი ბედისწერის ნიშანს ელოდა...
ჩემს სამისნოში, ჩემი სუნთქვის ურქველ სამარხში,
მისი ასავალ-დასავალი სად მოვიძიო?
მირიად ფოთოლს მისხალ-მისხალ იხსენებს გული;
ნაგრამის მკერდში ჩაწოლილი უბეებიდან

სიმღერებივით ამოდიან შავი ტოტები,
ხის მკაცრ სხეულში ზამთრისპირის უძლური სითხე
ემშვიდობება საკუთარ თავს, აობლებს სივრცეს,
და დედამიწა ამონასუნთქს უკან იბრუნებს;
ცის შიშველ მკლავზე ფოთლოვანის ნახმევი კვდება
და კენწეროდან კენწერომდე მოზომავს მანძილს...
და ყვავთა ლოცვით ბოლოვდება ყველა კენწერო....
და ჭეშმარიტად გრძელი გზაა მინისძირამდე...

მშიერი მკერდით ღამეს ყეფენ ქუჩის ძაღლები;
გვიან, ზამთრისპირს, როცა თავი ქუდში აქვს მერსისს,
მიზეზიანი ყრმის წუწუნით გვიბრუნდებიან
ოდესღაც ჩვენგან ზარ-ზეიმით გასული გზები.
მათ დიდხანს უკვირთ თავიანთი ბედის სათავე:
რასაც ამდენ ხანს როგორც მკვდარ ტვირთს, ისე ფანტავდნენ,
მიმოაბნევდნენ, როგორც ტკბილ და უცოდველ სიზმრებს,
აქ გროვდებოდა ყოველივე, თურმე მერმისი
თავის კალთაში აგროვებდა ყველადროისმწუხრს;
თურმე სიკვდილიც შეგეძლებია, და მერე როგორ!
ოდნავი ქარი, სულ ოდნავი... ფრთხილად აშალოს
სარკეზე მტვერი... ღმერთო ჩემო, ის მაინც ცოცხლობს...
ასეა თურმე... მიეტეოთ განვდილი ხელი...
უძლურთა ხვედრიც უფსკრულია, - ღიმილი უფრთო...
გასაკითხავი როდი ნებავს ყველა მათხოვარს,
არ დაანაყრებს ლუკმა-პური ბევრის მშიერ კუჭს;
სიცარიელით ამოვსებულ მრავალ ბოხჩაში
იმედი როდი ენაცვლება სასოწარკვეთას.
არც სიჭაბუკეს მოისთვლიან ხის გამხმარ კოჟრში,
დაკარგულ ბედზეც არ იციან მოთქმა და ურვა,
ზურგში ჩაცემულ მახვილსაც კი ვერ გრძნობენ ხშირად, -
სხეული თავად მოიშუშებს ყველა ჭრილობას,
როგორც ძახილით განწვალული ჰაერი ველად.
ისინი, ჩვენგან მოკვეთილი მამაკაცები,
ჩამოლვენთილი სანთლებივით დგანან გრძელ გზებზე,
და მოწყალებას როცა გვთხოვენ და პირჯვარს გვწერენ,
შენდობას როცა მოელიან ჩვენი გულიდან,
ო, სწორედ ამ დროს, მათი მზერა ბუტბუტით ეძებს
ისევ შორეულ მერმისის კვალს, მოღიმარს თითქოს
არა ძონძებად ჩამოქცეულ მათ სამოსელზე,
ან მწუხარებით დამძიმებულ-ჩამოღლილ ხელზე,
ან ბავშვზე, რომლის მოგუდულ ხმას სიმღერა ახშობს,
არამედ მრავალ უგზო-უკვლოდ წასულ ცოდვათა
დასაბრუნებლად უანგაროდ დამაშვრალ კაცზე,
რომელიც, ალბათ, მხოლოდ მაშინ, როცა ბინდდება,

უღვთოდ დაღლილი მოკრძალებით ინატრებს კედელს.

მაინც გაჟონა ნატირალმა მწვანე სამოსში,
ჩვენს სამყოფამდე მოაცილა წარსულმა ჩვილი;
შავად მოგარსულ პროცესიას თავდაღწეული
პირველ დაძახილს ჩამოემხო სიკვდილის ჩრდილი;
მისი გაჩენით, რა თქმა უნდა, იქ ვილაც მოკვდა.
უმანკო ჩივილს, მომავლიდან ამომზევებულს,
იქ, იმ სამყოფში, დაებედა წყურვილიც, ფიქრიც...
და ნატვრაც... ალბათ, მონატრებაც – ბრმა ნოსტალგია...
მერე ვიხსენებთ იმ სიმღერას მთელი სიცოცხლე,
იქ რომ დაირწა, ვით აკვანი-ძილისპირული.
ნათელხილვასაც ჰქონდა ზღვარი, როგორც იმ საშოს;
ეჯარვის სუნთქვას გალეული სიზმრის ხროტინი
და ძაღლის ყნოსვით ვეძებთ მერმისს, ჩვენგან გაპარულს.
თითქოს ხეებიც, წუთისოფლის ღრმადმომკვიდრენი,
წვართავენ ღამეს, მომწყემსავენ ველად გაფანტულს...
ქარს შეტოვებულ, შიშველ გზებზე გამოდევნილნი,
ფეხით მოდიან ვარსკვლავები ჩვილის სახლისკენ;
მათ მოაქვთ სუნთქვა, - სამძიმარი ერთ დროს არყოფნის,
და ნამუსრევი სამარეთა, - წარსულის ტვირთი...
მშობელი დედის, - კაცის სულში, - გროვდება ღამე;
ილვიძებს სისხლი, მერამდენედ მხრებით სწევს საშოს,
და აღარ ყვირის დაზაფრული: სიცოცხლე ეცნო;
ცნობისწადილმა მოკლა ფიქრი შურისგებაზე,
ყრმის დაღლილ თვალებს შეაორთქლა დრომ ყველა ცოდვა,
და ხმები, ასე უპატრონოდ თავანყვეტილი,
უძლურმა მკერდმა უხიფათოდ გადაიტარა;
გაზაფხული დამთავრდა მზეში!
ისევ სიმღერა! გლოვის ზარი უმისამართო!
ხეთა ტოტები უჟანგავი, ბასრი ხმლებივით
კვეთენ საკუთარ ბედისწერას, მზერამოთეულს;
ამონასუნთქთა ერთადერთი შესაკრებელი,
ხე, როგორც სახლი საიმედო, განაჩენს ითხოვს.

ჩვენ, შენგან ძლეულთ, ღმერთო ჩემო, ვინ მოგვცა ძალა?
როგორ გვესწავლა სიყვარული, თუ დღემდე, ღმერთო,
ზურგს შეხორცებულ ყველა ტვირთს და ტკივილს ჩვენეულს
მზე ასე ურცხვად, უსინდისოდ გვიმსუბუქებდა?
ისევ მერმისი გვმფარველობდეს, მან უკეთ იცის,
მიწამიყრილი სიყვარული თვალს როდის ახელს;
ჩვენს უსიცოცხლო ღამეებში კრძალვით შემოაქვთ
კაბის კალთების შარიშური მწუხარე ქარებს;
ისევ იშლება ხსოვნის ფსკერზე წარსულის სახე.

შემონახული საბოლოო ძალისხმევისთვის
ეს მაინც შეგვრჩეს ხელაპყრობილთ გამქრალი ხმისკენ:
ბედისკენგზაზე დრომორჭმული წითელი გული!
მის ყრუ ცარგვალზე მზე-სიმღერა ტანთ იხდის ღამეს
და ჩვილის მკერდში, როგორც ტაძრის კედლის ბზარებში,
ფრინველები დაიბუდებენ...
ბევრი ამთავრებს იქ სიცოცხლეს მოგუდულ ღამედ,
და მერე ბზარებს უსასრულო ნამზევი ავსებს...
და მერე ისევ შველას ითხოვს ყველა სამარე...

მე ისევ  ქარებს მივენდობი მთელი არსებით,
ლოცვადანყევლაერთიგულით მათ შემასწავლონ.
სხვა ვინ მოძებნის ამდენ ცოდვას საკუთარ ბედში,
რომ მერე, როგორც ქალის ტორსი, მზისგულზე დადგეს
და მხარი ოდნავ დაუმძიმოს ბალახის სუნმა;
ოდნავ დასუსტდეს, როცა ვნება აჩქროლებულ სისხლს
ფესვებისკენ ჩადევნის უხმოდ,
როცა სულ ნამით გააღვიძებს მიცვალებულებს,
რომელთა გერინი ალბათ დიდხანს ნათლავდა წარსულს...
და ამის მერე, როგორც თოვლი თეთრი და სანდო,
ანგელოზები მოდიან და ეძებენ ბავშვებს,
რომლებიც უკვე აღარ არიან...
დედამიწიდან ამონაბერ ჰაერს სუნთქავენ
ჯერარშობილნიც, სიცოცხლეს რომ ეშურებიან,
და ჩვენთან ერთად დაზრდილნი და გამრავლებულნი
ჩვენივე ხვედრის მოწილენი არიან მხოლოდ.
ხოლო ბავშვების სახილველად, ჩვენ რომ დაგვტოვეს,
გვჭირდება მხოლოდ მოვარდისფრო-სათუთი მზერა,
და ის დაიტევს სწორედ იმ წამს, როცა ჩვენ ვცოცხლობთ,
როცა მზესავით ამოდიან ცის სახილველად
ბნელში შობილი ბალახები, ჯერვერძლეულნი,
და ბრმად მოცინართ გამძლე ზურგით ამოაქვთ მიწა,
მწვანე ძარღვებში მერამდენედ აჩქროლებული;
და საიდუმლო, - ცოდვის ზღურბლზე მდგარი ქალწული, -
სამყაროს ღიმილს ავგაროზად უბრწყინავს მკერდზე.
მიდი, ესტუმრე... ბედისწერა თავისას იტყვის...
როცა სიმღერის მდუმარება ცას უერთდება,
იმავ სიღრმიდან და იმავე დროს დაბადებული
წითელი სისხლი მიწისაკენ კაცივით მიდის...
მიდი, ესტუმრე, დაარწყულე ობოლი მდედრი...
საკუთარ სიღრმეს საათივით გარს უვლის ბედი
და მოლოდინად ქცეული ცოდვის მოდრეკილი საგალობლები
ნაპირებზე უმწეოდ ეყრივართ...
ტალღების ბღავილს ყურს უგდებენ ჩვენი სახლები

და სარკმლებიდან ფერნასული იმედი ჟონავს.
ზღვამ უკეთ იცის თავისი საქმე,
ვით მებადურმა
ან მარგალიტის მაძიებელმა;
მისი გონება მძიმედ სუნთქავს, როგორც სამრეკლო, -
მიწისა და ცის შუაკაცი;
ყოველნამსხვავში მწარე საზრდოს ვით შეელევა,
ვით მიატოვებს თოთო სული უმანკო სამყოფს...
და საკუთარი მკერდის სიღრმეს ძუძუს სწოვს ბავშვი
და შემდეგ მიმწუხრს მცირე ღელვით მიართმევს ზღვაურს.
ხომ იქნებოდა უმჯობესი, არ მქონდეს რწმენა...
ზღვამ უკეთ იცის თავისი საქმე!
და გვისამძიმრებს ყრუ ქვითინით და ჩვენთან ერთად
უბედური კაცივით იგლოვს.
მისმა ტკივილმა დაიტია ყველა უფსკრული;
ჩვენ რომ ვაბნევდით და ვკარგავდით, ის დინჯად კრებდა
და ყოველ მათგანს ასწავლიდა ურთულეს ანბანს...
ასე მოვიდა შემოდგომაც... და აი, მიდის:
სულიმორწმუნე მსხვერპლშეწირვას ამთავრებს უკვე,
სარკმლებიც ისევ გახსნილია სივრცის ხმებისკენ...

## საშობაო საგალობლები

I

არ ბერდებიან ფრინველები ჩვენი ხმებივით
და მათი ხსოვნაც ჩვენს საშოზე ბევრად მტკიცეა;
შობისთანავე იფერფლება მათში იმედი
და საკუთარი მკერდის ძალას ყურმიგდებულნი
ფიქრებივით ძერწავენ სივრცეს;
მზეს დადევნებულთ უხიაგი ბედისწერისკენ
ყოველი ბგერა ცარგვალივით ელვრებათ ფრთებზე,
მაგრამ არ შერჩათ თანალმობის მცირედი ნიჭიც
და კუბოს თავზე მინისა და ქვების ბრაგაბრუგს
ჰგავს მათი ჩუმი ფორიაქი, - გაბმული მზერა.
ვარსკვლავთა ნარსულს თვალებიდან როცა გვწმენდს დედა
და ქარი გვინგრევს ენებათა და ჟინთა ჟრიამულს,
ისინი უხმოდ მიილტვიან ჩვენი სახლიდან, -
სამყაროს სისხლში უკანონოდ გალევიძებული
მათ მიაქვთ ზარი ხმაჩახლეჩილ საგალობელთა
და ხმამაღალი ღამეების უსახო სევდა.
და იქ იმდენი ბილიკია მიტოვებული,
იმდენი ლოცვა იკარგება, იმდენი ნყევლა...
რა მოიოხებს, ღმერთო ჩემო, ამდენ ყრუ ჩივილს?!
რა მოიოხებს ამდენ გზანვრილს, ამდენ მათხოვარს?!
დავმთავრდით უკვე, შეგვანმინდა ნარსულმა ხელი,
მინდვრის ყვავილშიც სამხილს ეძებს ცოდვილთა რნმენა...
და მერე უკვე ფრთხილად ნვეთავს სარკეზე ბედი,
უმანკო ჩვილის უნმინდესი სიმღერებივით
გვნყურია სუნთქვა, გაზაფხული, ვინმესგან ზრუნვა,
ნათლით ძლეულნი ისევ ნათელს უხმობენ ბრმები...
და მერე უკვე უჩინარნი თხემით ტერფამდე,
ძუძუნანოვენი უსასოოდ ლამაზ ცოდვათა,
ზამთრის მკლავებში გამოზრდილი ფრინველებივით
ჩვენი სახლიდან სანადიროდ გადიან ზღვები...

II

და ვერც ვიქნებით ბედნიერნი, არ შედგა ღამე!
არ შეიკედლა თავისივე სახლი-ნაგრამი!
იქ, ნყალგამყოფთან, დიდხანს ბჭობდნენ ჩვილის თვალები, -
დიდხანს მარხავდნენ მგლოვიარნი ყრუდხანმოთეულ,
ისევ მათშივე მიმოფანტულ უშობელ ნარსულს,
რომ მეათასედ ასულიყვნენ საფლავის ბორცვზე

და ისევ სუნთქვის გულისფეთქვა ეხილათ ირგვლივ,
ემზირათ ისევ საკუთარი ბედისწერისთვის
და არ სცოდნოდათ არასოდეს, რა იყო გუშინ.
ისინი ასე მაღლდებოდნენ, რადგან ჯერ კიდევ
მინისკიდის არ ჩანდა კვალი.
ახალშობილის ჭიპსისხლიან ამოძახილში
ისევ მშობელმა იზეიმა, - ცბიერმა ღამემ;
ისევ დაიძრნენ ზღვის მაშვრალი მძიმე გემები
მისი უბიდან კაცთა სისხლით მოსვრილი მზისკენ;
საკუთარ წარსულს ხსოვნის ჯვართან მოიოხებდა, -
დიდხანს დახუჭულ შეცოდებებს ახელდა ჩვილი...
ოღონდ, წმინდაო, გაგვიმხილე სისხლითჯიუტებს,
ასე ჩუმად და უანგაროდ რა გრჯიდა დღემდე?
რატომ ვგრძნობთ მხოლოდ წასულთაგან დატირებულნი,
რომ ერთ დროს ჩვენად ნაგულვები არც ერთი სახლი
და არც სამარის მძიმე ლოდი ჩვენი არ არის?
დაგვისახელე შემოდგომა ჯერარყოფილი,
ჯერარდაძრული ხე, ყვავილი ან ქალიშვილი;
მხოლოდ ხუმრობით გაგვიმხილე, ეგების გვემცნოს, -
წამით ვიხილოთ მოღიმარი სამშობლო-ქვრივი,
უკუქცეულმა სიმღერებმა სათავეს ვუხმოთ...
მაგრამ არ გვყოფნის ძალისხმევა,
დედამიწა მცირეა ერთობ.
ალბათ ყველა ზღვამ უკეთ იცის თავისი საქმე
და ჩვენი სუნთქვაც სხვა რა არის, თუ არა ნატერა, -
ერთი გაბმული ნოსტალგია წარსულის გამო,
რომელიც იყო და რომელმაც მერმისი იხსნა.
რატომ გვიკვირდეს ჩვენს თვალებზე ჩვენივე მხრები
ან გაზაფხული მომაკვდავი ხეებით ხელში?
ბერნი დღეები აღზევებას როცა იწყებდნენ,
მეძავეებსაც კი, ღმერთო ჩემო, სასთუმლად ედოთ
ჰიმნთა წიგნიდან ამოჭრილი საგალობლები, -
ძილისპირულით არწყულებდნენ მომაკვდავ სხეულს.

III

საყდრები ველად ხეებივით იცხრობენ ენებებს
და თავდახრილნი აგროვებენ ყველა სათხოვარს...
მაინც მოველით... დაგვიობლა სიკვდილმა ღამე...
ისევ ცრემლები ჩურჩულებენ ოდინდელ ღიმილს,
მათი ფესვებით დახლართულა მერმისის საშო;
ვერ გვიხსნა მიწამ, აღსასრული ვიცხოვრეთ ბედში,
დრო უკვე ხარბად შეექცევა ჩვენს გულისფეთქვას...
ხომ არ ვიცოდით, მკვდარი ზეცა რას იმღერებდა,

რას გვაუწყებდნენ უსათუოდ მობრუნებული,
პირველი ქარით ჩარეცხილი სამარეები...
მათხოვარიც კი მოთმინებით ელოდა საშველს
და უკვე ღელავს, - მამრის გეშმა სურნელი იგრძნო,
მოიხვალია უსასრულოდ ვერაგი მზერა.
რა სურდათ ეთქვათ მის ბაგეებს, მიტოვებულნი
ოდნავ ხმაურზეც ნიადაგ რომ იფურცლებოდნენ?
რას უპირებდნენ სივრცეები ვერცხლისფერ მტრედებს,
მონდომებით რომ აისხლეტდნენ ფრინველთა ძახილს?
თუჯის სხეულშიც ნაყოფს ცნობდა ცოცხალთა სისხლი,
ფხვიერი ძალა შიშით თრთოდა მორაგვულ სამყოფს,
და ხმებს, ქარებით გამჟღავნებულ ურთულეს ანბანს,
ყველა ჩვენგანი მტკივნეულად იმახსოვრებდა...
ის უკვე ღელავს, მინამ ფეხი ფრთხილად დაუდო,
ბზარში გველივით გასრიალდა შავ-თეთრი ენება.
მას აღარაფერს ანიშნებდა განვდილი ხელი, -
ნასაზრდოები საფლავივით მწარე სამხილი –
სამსხვერპლოს დუმილს შეწირული უცნობი დედა.
ის კვდება ამ ხმებს, საფეხურებს ღიმილით ითვლის
და იმედს დიდი სიყვარულით უმარგლავს ხედვას.
მათხოვარს ჯერაც გულში უდევს გვიმრის შრიალი.
დეკემბრის სუსხი საშობაოდ ამზადებს ცოდვილს, -
ერთადერთ ანდერძს, ალსარებას, მიუგნებ ბგერას;
მისთვის ნაცნობი და უცნობი ყველა წარსული,
როგორც ოდესლაც დარბეული ნადირთა ხროვა,
ფრთხილად გროვდება ნაკვალევთა გზაშესაყარზე,
და შორიახლოს, როგორც სუნთქვას მკლავით მოწეულს,
ენაფება წყაროს წყალს მზირი.

IV

მე მას დავარქმევ ცისარტყელას... ის ისე კვდება...
მაინც ვიზრდებით... იქნებ ვიცით, ერთ მშვენიერ დღეს
ჩვენივ ნაბიჯთა ხარბად მკრეფნი სად წავემხობით,
მკაცრი სხეულის ორკესტრიდან როდის გაგვდევნის
გულისფეთქვა, - ცოცხალი პური.
კვლავსასიკვდილო სარეცელზე თვლემამოგვრილნი
ვეძიებთ პირველ ამოძახილს თოთო მკერდიდან,
რომ საბოლოოდ ჩავიგუბოთ იმედი სისხლში;
წყალსმიცემული სიზმრებითლა გავესიტყვებით
ხეებქვეშ განგებ მივიწყებულ ოდინდელ ღიმილს...
თითქოს ნიადაგ მხრებს შლის მინაც და მძიმედ დგება,
ფესვებს სიღრმიდან უსასრულო მზერით აწვება,
ზესკნელისკენ მიდევნის წყვდიადს.

იქ უკვე ცაა; ფრინველებით დანაწევრებულს
დახუჭული აქვს ჩვენს საცნობად მზეს ყველა თვალი;
ის აყურადებს გოდების ხმებს სადღაც ჩვენს ქვემოთ
და ჩვენს ცრემლებში სუნთქვა ეკვრით ჩვენსავე ფესვებს,
და მერე, როცა საბოლოო მძაფრი ხრიალით,
წვიმებით სავსე სხეულებში ჩაბუდებული,
წინაპართ სურვილს მონდომებით ამტკიცებს ღამე,
ყვირილით მიჰყავთ ვარსკვლავები უხილავ შვილებს
და ჭრილობებში რჩება მხოლოდ ცივი მერმისი, -
გაზაფხული უწელინადო;
იქ რჩება მხოლოდ ტკბილი ძილი, ჩუმად მღელვარე,
როგორიცაა ნაჩქარევი, მთრთოლავი ხელით
სამახსოვრო წარწერა წიგნზე.
ჭირისუფლები ჩვენს ხსოვნასაც ჩუქნიან ერთურთს;
თვალის გუგებზე მწარე ქავილს როცა იგრძნობენ,
ისინი ყველა საფლავის ქვას მოიოხებენ;
ცაც კვლავ დაითმენს ხის ტოტებში – ფესვებში - სითხეს...
მერე თენდება... მერამდენედ... ვინ არ იღლება...
მარტვილთ ხელივით გაუწვდიათ ღმერთისკენ მზერა,
მაგრამ მათხოვრებს ვერასოდეს ემსგავსებიან...
ვინ არ იღლება უმნიფარი ლოცვებით მკერდში...
ჩვენც ისევ გვიკვირს უფსკრულები ჩვენივე ფეხქვეშ;
საფლავებს შორის საკუთარ თავს აგროვებს მინა:
მორკალულ ზურგზე მშვიდად უდევს ნაამაგარი
და როცა შუბლზე აბერდება ათასი სივრცე,
ჩვენს ყველა სურვილს უგუმბათო მზერაში იმწყვდევს.

V

ან როგორ უნდა დავაღწიოთ იმ დილეგს თავი?..
გისოსებიც კი თბილი იყო; მზის შეხებაზე
ქვის მძიმე კედლებს ჟრუანტელი უვლიდათ ტანში
და საკუთარ თავს ანყდებოდა დახშული სხივი...
იქნებ დიახაც ჩვენ ვანთებდით ნესტიან სამყოფს...
მაგრამ იქ მაინც დუმილი და ლოცვა სუფევდა,
და მერეც, ყოველ ფეხის ხმაზე, ნერწყვმორეული,
ყულფსდაღწეულ ყელს მაღლა სწევდა ამაყი ხსოვნა.
არავის ვეტყვით სამადლობელს; კარგად ვიცოდით,
მხოლოდ თავის თავს ულიმოდა ნაცადი მდედრი;
იდგა ნახრილი, გასაზუთხი ტექსტის გარეშე,
როგორც ნაზვრევში ზამთრისპირი, - სიკვდილი უხმო,
და ჩვენი ლოცვის გულისწადილს უგულოდ ჰყიდდა.
და გვსურდა როგორ, არაფერი ეფიქრათ ირგვლივ, -
არჩევანი ხომ თიხის ნიღაბს ბადებს ნიადაგ.

გვსურდა, სცოდნოდათ მუსიკოსებს, რომ მხოლოდ ვსუნთქავთ,
რომ ყოველივე მხოლოდ არის, და ჩვენც მხოლოდ ვართ!
სხვა არაფერი... მაგრამ ჯერ ხომ სულს ვულღობთ ღამეს
და სნეულებებს თავს აფარებს ცოდვილთა კვნესა,
და ცოცხალთ შორის შუაკაცი მინაა მხოლოდ.
როგორ გავიდეთ ამ სივრციდან? რძედალეული
დედის თვალებში აკვანივით ირნევა მინა...
და ვერც გამოვთქვამთ გაბედულად: "აქ უნდა დავრჩეთ!"
და მხოლოდ ვსუნთქავთ... ხოლო როცა ერთ მშვენიერ დღეს
ვშობთ დედამიწას და აქ ვტოვებთ, რომ უპატრონოს
სულების ხსოვნას, წინწასული სიტყვის სამსჯავროს,
თვით საშო სწავლობს ერთგულებას თავისი ტვირთით
და მოლოდინი ისევ იწყებს მწუხრის სიმღერას;
ხეებს შემოჭრილ ტოტებსა და კენწეროებში
თვალდახუჭული ისევ ხარობს ცისფერი გული,
და ბოლომდეც რომ ამოგვხაპონ ჩვენივ მკერდიდან
და იქ ჩაფინონ დავიწყების დამშრალი ხავსი,
იმდენი სითბო შეუნახავს უჩუმრად მიწას,
მის ხმოვანებას ვერ დამალავს ვერც ერთი ხვადი;
ცხოველის ტყავით შემოსილი ველური ჟინი
აღარ იყმუვლებს საცოდავად ყველა სარკმლიდან;
და მხოლოდ ურჩი ღიმილითაც რომ გაგვისტუმროს
ან, დიდი-დიდი, ძილი ნების გვისურვოს სისხლმა,
ჩვენ მაინც ვიტყვით საგალობელს, თუნდაც ხრინწიანს,
ჩვენ მაინც შევძლებთ, ღმერთო ჩემო, შენდამი ლოცვას!

# განწყობილებები

## განწყობილება №1

მიყვარხარ და სწორედ ამიტომ გაგყიდე სიმართლეზე ოცდაცხრა ვერცხლად;
მიყვარხარ და ჩაგჩურჩულებ სიკვდილს და საფლავებს,
შენი სულის მისადგომებთან ვაგროვებ განბილებებს
და მთელი სუნთქვით ამოთქმულ უთვალავ წყევლას;
მიყვარხარ და კიდევ ერთხელ აგიხსნი ზურგისშექცევას
და შეფურთხებულის სახიდან მოწმენდას;
მიყვარხარ და შეგინახავ, არ გამოგაჩენ,
როგორც მკერდზე ნაკბენს არ გამოაჩენს ნორმალური ქალი
ან როგორც კაცი არ იტყვის ვინმესთან
და მთელი სიცოცხლე ცდილობს დაივიწყოს,
როგორ იძია შური მისი საყვარლის ქმარმა;
მიყვარხარ და მეგობრებიდან ხალხამდე არავის ეცოდინება,
რომ არასოდეს ვწოლილვართ ერთად,
რამეთუ ყოველთვის, როცა კადრში მოვექცევით,
შეგხედავ, როგორც ნაჩუქარ ცხენს,
რომელსაც კბილი არ გაესინჯება;
მიყვარხარ და ყოველთვის ისე იქნება, როგორც გუშინ და დღეს:
მირჩევნია შენი მკვრივი ძუძუები მეკავოს ხელებში
და მათ როცა ვეალერსები, შენი იღლიების ცქერით დავტკბე,
ვიდრე ხელი მტაცოს შენმა მზერამ და გული გულში გამიყაროს,
როგორც ვერაგნი უყრიან დანას თავისზე ძლიერთ;
მიყვარხარ და ყოველი დანაყრების ჟამს ღიმილით ჩაგჩურჩულებ
ქვეწარმავლებს და ცხოველებს და მახინჯ ფრინველებს,
როგორც უხილავ სინდისს,
ბამბის ჩაქუჩივით ამართულს ჩვენს თავს ზევით
ჩვენს ქვემოთ მყოფთა მიერ;
მიყვარხარ და ჩემი ნეკნისგან ჯამს შევქმნი უძიროს,
რომელშიც შენს სისხლს ჩავასხამ და ჩაგახედებ,
რათა სანამლავი სამომავლო საქმეებისთვის თავისით შემზადდეს;
მიყვარხარ და შენ თუ მეტყვი, არათუ შენთან,
მარტომყოფიც კი არ გავილიმებ მთელი სიცოცხლე,
რადგან შენ გიყვარს ჩემი ღიმილი,
როგორც ქუჩაში უპატრონო ძაღლების ყეფა
ან ავტობუსში სუფთა და მოხდენილი ქურდობის მერე ატეხილი აყალ-მაყალი;
მიყვარხარ და მოგმართავ ყველა სახელით,
ქალის იქნება თუ მამაკაცის,
ოღონდ არასოდეს იმით, რომელიც დაგარქვეს მშობლებმა
შენს გაჩენამდე დიდი ხნით ადრე
და რომლითაც მოგმართავდა და მოგმართავს ყველა,
ვისაც თუნდ ოდნავ სწყურებიხარ ან ოდნავ სწყურიხარ,

და ახლა სწორედ ამ უსახელო სხეულს ვიცავ
დანით ხელში საკუთარი თავის წინაშე;
მიყვარხარ და მათხოვრის ვნებით ატანილი ღმერთს შევღაღადებ,
მიწყალობოს იმდენი ვერცხლი,
რომ შევძლო ქარსმიცემული ოცდაცხრა ვერცხლის გამოხსნა
და მისით შენი დაბრუნება,
და სიმართლით ვერცხლის გაყიდვაც.

**განწყობილება №2**

აი, სულ მალე მომბეზრდება ცისქვეშეთი,
გულის ჯიბეში ჩავიდებ შავი დღისთვის გადანახულ ფულს
და შენს სახლში დავეკარგები მოყვასთა ღიმილს;
მერე ერთ ტახტზე ჩამოვსხდებით
და მოთმინებით დაველოდებით უწყინარ ცნობას,
რომ მომძებნეს და უკან დამაბრუნეს კეთილისმსურველებმა,
და რომ ექიმები ლოცულობენ და მკითხაობენ
ჩემს მომავალ წარმატებებზე
და რომ ოხხხ, რარიგ მარტო ვარ თითქოს...
ხომ გამომიწვდი დამძიმებულ მკლავებს
და ხომ დავიკარგებით ზეცით გადახურულ ცისქვეშეთში,
ოღონდ დიახაც ძალიან შორს შენი სახლიდან,
გნებავს, სულაც ხალხში ან ჩამოშლილ საყდარში;
რა თქმა უნდა, ცალ ფეხზე უსათუოდ თოკი გვექნება გამობმული,
ისე, ყოველი შემთხვევისთვის, -
ვის არ აღმოუჩენია მას მერე ამერიკა,
რაც ერთხელ უკვე აღმოაჩინეს...

**განწყობილება №3**

გავიყიდეთ, გავიყიდეთ, ადამ!
რა უჩინრად წაიღეს ჩვენი სახლიდან ვიოლინო და როიალი!
ჩვენ კი მაინც თაედავიწყებით ვუკრავდით
და სიმღერებს ვუძღვნიდით ერთმანეთს,
სანამ ერთ-ერთმა არ იყვირა, სიმღერა სადღაა, სადღაა, სადღღღააო,
და ყველა საკუთარ ბოხჩას ჩააშტერდა.
ამ ამბიდან დიდმა დრომ განვლო,
დაგვავიწყდა კიდეც წყალგამყოფი და ჩვენი იქ დგომა,
და იქამდე რაც იყო, ისიც ფრთხილად და მოკრძალებით დაგვავიწყდა
და მხოლოდ ხვალზეგმაზეგ ჩახლეჩილი ხმები გვახსოვს
და – სირცხვილი, სირცხვილი ჩვენი! – იქიდან ვეზიდებით
ძვირფას მკვდრებსა და ძვირფას ცოცხლებს,
უმოსავლო შემოდგომებს და სიყვარულის ერთფეროვან კომბინაციებს

და გაცვეთილ სამკაულებს და ვააი, დროზე უნდა მოვასწროთ:
შევპირდეთ ყველას ყველაფერი და ხელი დავიბანოთ, თორემ
მთავარი ხომ მხოლოდ შენი ცოდვა იყო, ადამ!
მერე ყველა მამის საქმეს ერთგულებდა და არა ღმერთისას,
მერე ყველა მღეროდა და ვიოლინოს ხმაზეც ყველა ნეტარებდა
და როიალის თაყვანისმცემელნიც მრავლად იყვნენ
და ყველა მღეროდა და მღეროდა და მღეროდა, ადამ!
ცოდვა ცოდვად დარჩა, დეკორაციები კი დაიხვეწა და ისე გამდიდრდა,
უკვე აღარც გვჯერა, თუ შეიძლება აქ სადმე ცოდვა არსებობდეს
და ცეკვავდეს და მოილხენდეს და ასე უსინდისოდ გეჩაგრავდეს,
რამეთუ დავიწყების გვჯერა და სიყვარულის გვჯერა, -
განა ქვიშაც კი იქნება მაშინდელი?!
ყოფილა და მერე რამდენი და ვაი, ვაი,
ადამი იბრუნებს ვიოლინოებს და როიალებს
და მათზე შესრულებულ დავიწყებებს და ნილბებს და ეშმაკებს
და გადიდდა, გადიდდა თვალი ჩვენი და ყური ჩვენი და ცხვირი ჩვენი
და თითქმის მზად ვართ იქ დასაბრუნებლად, საიდანაც მოვსულვართ
და სადაც ოდესღაც ვხედავდით და ვისმენდით და ვსუნთქავდით ღვთის ხმას,
როგორც პირველნი პირველთა შორის
და უკანასკნელთა შორის პირველნი, ადამ!
ყველაფერი გაზიდეს, რაც ჩვენი არ იყო და რაც არავისი არ იყო
და მაინც ნაქურდალი იყო
და ნაქურდალს ქურდავენ და საშოშივე გვლოცავენ
და შორს ჰორიზონტი მოჩანს, ადამ!
და ახლა მაინც შეგვეძლოს ჩვენის გამორჩევა-გამოცალკევება,
რათა თავად მივცეთ მისაცემი
დროსაც და შენს ულმერთო პატიოსნებასაც,
გავიყიდეთ, ადამ!

**განწყობილება №4**

მოვა მეთქი, მოვა!
ამის მერე ღამეს ყოველთვის ის მოიტანს შენი სიზმრების საბრძანებელში
და რომანსებს და სხვა ამისთანა მიეთ-მოეთებსაც აღარ გიმღერებს
და მორჩა, წავიდ-წამოვიდნენ ფიქრებით ტუჩებდამტვერილი მავანნი და მავანნი,
გამოჩნდამეთქი შენი ცხადი, დაირცხვინამეთქი ბედმა,
ღმერთი აღარ უკადრისობს შენს საქმეებში ხელის ფათურს,
ოჰჰჰ, დაღლილხარ და როგორ გშვენის გაზეთში გახვეული იდუმალი ნივთები
და ქილები მაწვნისთვისრძისთვისთუსულაცარაფრისთვის
და ნოტების რვეულები და დარცხვენილი ღიმილი
და ყდებშემოცრეცილი "ტომ სოიერის და ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი"
და ათასჯერდაათიათასჯერ მართალი ხარ,
ჩვენ ხომ დიახაც "ეს რა დაგვმართნია, ღმერთოოოო!"
და ქვემოთ კაციშვილი აღარ დარჩენილა,

სამსხვერპლო ცეცხლზე დასადებად
ყველა თავისი სიმღერების და შემოდგომების ჰერბარიუმს მოარბენინებს
და ყველას ანკეტები და ანალიზის ქაღალდები აქვს გულში ჩახუტებული
და კიდევ დაობებულ პურში დამწყვდეული ცეკვები
და მადისაღმძვრელი სიმღერები და რაღა დაგვრჩენია,
ღანვები დავიხოკოთ და თმები ჩამოვიშალოთ და ვგოდებდეთ
და თავში ხელები დაიშინე, იმედო!
ყველას ჩალის ფასად უშოვია საკუთარი ბიოგრაფია და ცხვირზე აუფარებია
და როგორ არ გვყვარებია და როგორ არ გვიყვარს მოყვასი ჩვენი,
სანოლქვეშ ასე უჩუმრად რომ შემოგვეპარვია
და სადაცაა წილსაც მოგვთხოვს,
არადა – ჰმ! – გუშინწინდაგუშინდასულაცდღეს ჩვენი ყნოსვის თვალსაწიერზე
საერთოდაც არ ჩანდა  თითქოს და როგორ არ გვიყვარს,
თითქმის ისე, რომ შევლულუნებთ და ვეტრფით და შევნატრით
და ჰოიიი, გოდოლი აუშენებიათ, - შუბიდამახვილიდაბუნაგი ხვალის!
დაისვენონ, ხომ უთუოდ ღირს დასვენებად ასეთი შრომა
და ანი რაღა გვიჭირს, ვიღაცას გაახსენდა,
ფეხს ფეხზე გადაიდებს ხვალ-ზეგ სიკვდილი და მოსაწევს შევთავაზებთ,
ყოველ შემთხვევაში ასე იყო სიზმარშიო, აბა გვიხაროდეს,
აქ დავაგროვოთ ჩვენ-ჩვენი სიმდიდრე და წინაპართა ძვლები და ვალები,
გავქრათ მინა და დავმარხოთ სამხილი და ჰოიიი,
ყველაფერი რიგზეა ახლა,
და შენც სადმე შორიახლოს ჩამოჯექი,
მოილხინე ამ გაუთავებელი და ერთფეროვანი მელანქოლიით,
იშიმშილე და მოიგონე და გაიღიმე და იოცნებე
და იგალობე, იგალობე ჩვენთან ერთად ძილისპირული.

### განწყობილება №5

გაიხსენე, ყველაფერი გაიხსენე, რაც ოდესლაც და როდესმე დაგიკარგავს,
გაიარედაირბინედადაჯექი და ყველაფერი გაიხსენე,
რაც გუშინიყოდღესარისდახვალიქნება:
ღამეები ერთგულებენ ყველა შენს განზრახვას,
ხეები შეგნატრიან და თავიანთ თავს შეგაძლევენ,
ერთმანეთს ვეღარ ცნობენ ნათლულ-ნათლიები
და დროზე გაიხსენე, რა მოხდება საროსკიპოში,
ვინ ვის გამოშიგნავს და თბილ ღვიძლს როგორ დაადებს ლოყას შენხელა კაცი
და ცრემლი დაიღვარა!
გაიხსენე, როგორ აირია ერთმანეთში სიზმარ-ცხადი,
შენ კი მაინც გამოძვერი ამ გაუგონარი ხმაურიდან
და სიკვდილებმა დევენილის დალით შეგიფარეს
მილიონობით და მილიარდობით თავშესაფარში.
გაიხსენე, ბალახის ღეროს შემოხვეული
როგორ მიემართებოდი სიბნელიდან სინათლისკენ
და როგორ გაგაშიშვლა ცისკენგზაზე მიწამ

და რომ მაინც ის ხარ, - ერთგულიდაურწმუნოდაგაუმაძღარი
და რომ იქ რაღაც დარჩა, რასაც რა ხანია გლოვობ
და არავინაა მომსმენელი, არათუ გამგონი ან შემწყნარებელი.
გაიხსენე ყველა ხალი ოდესღაცთვალისგუგებზე
და ის ფოთოლიც გაიხსენე, ერთადერთი რომ არ ამოხეთქავს კვირტს
და დედამიწაზე შენს გარდა არავის ეცოდინება მისი არსებობა,
ოღონდ შენ მაინც გაიხსენე, როგორი იქნება, სიბნელეში თუ არ შებრუნდა,
მზე თუ არ შეიყვანა გამოუცდელმა თავის სახლში ერთადერთი კარით,
რომლითაც მხოლოდ შედიან და სამუდამოდ იქ რჩებიან
და რასაც მასპინძელს არავინ აპატიებს
და თვით დედამიწაც გაიხსენე, როგორი იყო იგი სიზმარში,
ხვალ რომ იხილავ და მერე აღარასოდეს გეცოდინება, რა ნახე სიზმრად
და რომ – ბეჩააა! – როგორ გაფითრებულა საცოდავი ამ მოსახვევთან,
რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს ხედავს და იქნებ შემდგომ მოსახვევსაც,
ჩვენ კი, ბრმანი და ურწმუნონი, ყვირილით ვიკლებთ ქვეყნიერებას
და ღმერთამდე მართლები ვჩანვართ ვინ უწყის საიდან
და გაიხსენე, ერთბაშად გაახილე ყველა სახე და უშველე მომხდარს;
შენ ხომ არასოდეს გშინებია და ხომ არ დაიხევ უკან,
როცა ერთ მშვენიერ დღეს ბავშვობა იხევდა უკან და გეკრძალვოდა,
როგორც უფსკრულები და ხეები ეკრძალვიან ქარებს,
როგორც ექიმი ეკრძალვის განწირული ავადმყოფის თვალებს
და კედლის ფონზე საკუთარი სამოსის სითეთრეს;
ხომ გქონდა ხელი სამათხოვროდ განვდილი მოყვასისკენ,
თუ შენს სამარესთან იმ ერთადერთს ჩაატარებენ,
სიცოცხლე რომ მოგისნრაფა და ახლა გული ფერადი სიზმრებით აქვს სავსე
და ნატვრისქვებითაც აქვს სავსე და ველარ უძლებს და უშველე!
აი, ეს მტრედები რა ხანია ბჭობენ სახლის სახურავზე
და დროზე გაიხსენე, რატომაც გრცხვენია მათი,
რატომაც ცდილობენ ასეთი ჟინით სახედველნი შენნი
ამ ერთი ბენო საფიქრალ-საზრუნავის დაურვებას
და შორეულ ველებზე მის გაჭენებას
და ასე უაზროდ გაწირვას და სადაა დამნაშავე?
ან უბრალოდ, გმირი? ან კიდევ უფრო უბრალოდ,
კაცი იგი თუ დედაკაცი იგი თუ ეშმაკი იგი?
გაიხსენე, ერთხელ და საბოლოოდ როდის გაწვიმდება,
ოჰ, როგორ მოდიდებულა ეს დღე!
კარი გაუღე და გააღწიოს, კალაპოტი გაუჭერი და დაილვაროს,
ოჰ, როგორი ამაყი და საიმედოა და გულქვა!
და აი, ასე, როცა ყველას დაავიწყდი,
როცა აღარ გჯერა, რომ ბედნიერნი არიან ფეხმძიმე ქალები
და რომ დანგრეული სახლებიც ბედნიერნი არიან
და რომ უგრძნობნი და უხიაგნიც ბედნიერნი არიან
და რომ ცეცხლი და კვამლი და დაქცევა სათუთია,
მაშინ დაწექი, ხელები თავქვეშ ამოიდე, ჭერს მიაშტერდი
და იმღერე და გაიხსენე, როდის მოკვდები.

განწყობილება №6

რაც იყო, იყო! იქნებ სულაც არა იყო რა!
ხვალ ხომ ისეთი გამატებით აქრობდა ქარი ყველა ვარსკვლავს,
შენთვის ვერავინ მოიცალა და არავინ გაისარჯა და ბედნიერო!
ირგვლივ ჯარია წიგნების და მათი დაღლილი შინაარსების
და გაურეცხავი თეთრეულის და მათზე დაგდებული წვიმის,
ირგვლივ შიმშილია, კრიჭას ვერ გაუხსნი დამშეულთ
და ხორაგი სავსეა და ნთქავენდანთქავენდაგაძღნენ
და მოზიდე სიხარული, იდექი დიდხანს, მონდომებით და დაბეჯითებით,
ღამეები შენივთდეს, ხავსმა იყვავილოს, მკვდრებმა იზეიმონ,
ყველა ცოდვილი და უცოდველი ერთად დაიწუროს და სუნი გეცეს
და ხომ არავის შეუძლია საკუთარი თავი მიატოვოს,
ჩვენ ხომ ისეთი სუსტები ვართ და ერთგულები და იდექი ასე!
იდექი, იდექი ასე, მზერა თავად მონახავს ნიშანს,
სათქმელიც თავად ჩამორიგდება გაწვდილ პეშვებში,
მხოლოდ სუნთქავდე და იღიმოდე!
ის უწვერული ბერიკაციც ხომ ამასვე გირჩევდა
და დიახაც მოგსრავდა ცხადი,
რომ არა ამდენი და ამდენი შენზე დამიზნებული შემთხვევითობა
და კედელზე გაკრული მსოფლიოს რუქა, საიდანაც წყალი იღვრებოდა
და ოთახი გაივსება და არ შეგეშინდეს,
მაინც იგრძნობ ნუშის ყვავილობას, მაინც გაერევი სივრცეს,
კატები მღერიან, მკერდი ისევ აიყრის ბალახს და ყვავილებს,
ფუტკრები და კრაზანები და ფრინველებიც მოფრინდებიან,
მომაკვდავი პეპლის აღსარებასაც მოისმენ, შენი მისამართით თქმულს,
დანაც გაიელვებს გაუვალ ტევრში
და სადღაც ბედნიერი კივილიც აღმოხდათ და აი, ასე,
მოთმინებით, მოთმინებით, კიდევ მილიარდჯერ მოთმინებით,
ღრმად ისუნთქე საკუთარი თავი,
ეს ჯერაც უთქმელი და მოუქნელი სიტყვა
და მაინც ნურასოდეს იმარჩიელებ, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი
და ნურც ის გიკვირს, იმედი შენი როგორ ბედავს ამოდენა სიხარულს,
მისი ხმა ხომ ირგვლივმყოფთა უთვალავიდაუთვალავგვარი ქმედებითაა
დაძარღვული,
იქ ხომ უზარმაზარი და უგრძესი ხიდები და გადაძახილები კლავენ სიძულვილს
და მიწიდან ისრუტავენ ფესვებად და ხავსად ქცეულ ადამიანებს
და ენდე მას სწორედ ისეთს, როგორიც არის,
ძლეულსდაუძლეველს, დაეინყებულსდაგამოჩხრეკილსდახელახლაშობილს,
შეხედე, რარიგ უბრალოა და მოზიდული,
ყველა დაღლილ ცეცხლს ამოიტანს შენი სულის ამღვრეული მახსოვრობიდან
და ანთებული სანთელი შეაშველა.
აშლილ მდინარეს ჯებირებად უდგანან სისხლის ნიაღვრები
და სივრცეს აქეზებენ, აგულიანებენ გასაჩენად დაძრულ ვარსკვლავებს
და წარმართის წესი მკაცრად აღასრულე, - პირჯვარი დაიწერე

და ჟამნი კანკალებენ და ეშმაკებიც ანგელოზებთან ერთად ცვიოდნენ
და უკვე დამთავრებულა ფოთოლცვენა
და რარიგ ჩვეულებრივი ყოფილხარ და კარგი!

**განწყობილება №7**

შენ კაცი გქვია და რა დაგღლის ღმერთისკენგზაზე?!
ხომ არასოდეს გიფიქრია, ეს გაუვალი ყიამეთი სად მიგიყვანს
ან როცა მიხვალ, ხომ ვერ გაიგებ ვერასოდეს, სად მიხვედი და კაცო, კაცო!
ოდესღაც ისე მძლავრად აიქნია ტანი შენმა მზერამ
და ერთბაშად იმდენი რამ მიიტაცა ცისქვეშეთში,
მერე მთელი შენი სიცოცხლე არიგებდი, გასცემდი და ასაჩუქრებდი
და მსხვერპლს სწირავდი და ქურდობდი და ავაზაკობდი და რა დაგღლის, კაცო!
ოდესღაც ისე დამძიმდა შენი ღამე,
ველარ გაბედე ღამისთევა და ნახვედი ძალიანძალიან შორს
და სამშვიდობოდან უხმობდი მოყვასს,
რომელიც – იცოდი – არასოდეს გამოჩნდებოდა, რამეთუ არ გამოჩნდა,
როცა ზეცაში წმინდანად შერაცხული მავანი და მავანი
შენს ჰიმნებს კითხულობდა
და არ გამოჩნდა, როცა ლხინი იყო და სუფრის ბოლო სულიერს მოითხოვდა
და არ გამოჩნდა მაშინაც კი, როცა ხორცი მოიკვეთე
და ძაღლს გადაუგდე იმის დასტურად,
რომ მყეფარი მლაღადებლის ხორცს არასოდეს შეჭამს,
რაგინდ დამშეულიც უნდა იყოს და კიდევ ერთხელ კაცო!
შენ ხომ ოდესღაც ყველა კარს ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდი
და სივრცეს ეძებდი, რომელიც მტკიცედ მომუჭულ მარცხენაში მოგემწყვდია
და შენ არაფერი იცოდი ამის შესახებ,
ვიდრე სივრცე იგი ოფლად დაღვრილი მიწას არ შეერია
და ღვარძლად და სარეველად და წყეველა-კრულვად არ აღმოცენდა
და ფეხისგულები არ დაგიხეთქა, როგორც გვალვა აზრობს მიწას
და როცა სიმშვიდე ჩამოდგება და დარბილდები შენსავე სამისნოში,
დიახაც აღმოგხდება ოდესღაც ჩაძირული ქალაქები
და გაბმული ყვირილები და მოთქმა-ზარი მოხუცთა და ბავშვთა,
რომლებიც ერთმანეთს უცვლიდნენ სიკვდილებს
და ვარსკვლავთა მიერ მითითებული მისამართით გარბოდნენ
და ცოდვილმა შეუნდო და უცოდველმა არ შეუნდო მორჩილთ
და იღბლიანები, რა ხანია, არყოფნას ზეიმობენ, კაცო!
და, რა ხანია, ეშმაკები არტახებს წყვეტენ და აკვნებიდან ჩუმად დგებიან
და მათ ადგილს ბავშვები იკავებენ და ვნებით ირწევიან
და გადიდდადაგადიდდადაგაიწელადაგაიზნიქა ღამის კარიბჭე
და შესასვლელთან ლომებს ეშინოდათ გამომსვლელთა
და რა ჯმუხი ყოფილხარ და როგორი დაკუნთული,
რა კოხტად და მოხდენილად მოგქონდა ზურგითდაშუბლითდამკერდით
ამდენი საგნის უსახელო სახელწოდებები და მკვდარი სახეები

და ყველა გზადაგზა ცოცხლდებოდადაილევიძებდადაგიმხედრდებოდა,
საკუთარ ცეცხლში ანრთობდა ფოლადს და დახრილ თავთან ერთად გინვდიდა
და გაზულუქებულა ტანი შენი, სველ ბამბად ქცეულა მკერდი შენი
და ჰოი, და ჰოი, კაცო, და კიდევ ერთხელ, კაცო!
და არ დაგიკარგავს არც ერთი იმათგანი,
მზერა შენი ყველაში ხელახლა ილევიძებდა
და საკუთარ თავს ნათლავდა მარტოსული,
რამეთუ სნამდა, ასეც ღმერთის საქმეს ერთგულებდა,
გულმკერდს იფარავდა მომხდურთაგან და იმათაც იფარავდა:
უსასრულო ტრამალებს და პაწია კალიებს
და ტყის ბინადრებს და შორეულ ნისლოვანებს
და მზეო, როცა განვიკურნები და აღარ ვიქნები მომაკვდავი,
მომაპყარ ყური შენი,
ხოლო ჯერ შორსა ხარ და მზეო და ავაჰმე და ჰოი!

განწყობილება №8

არაა საჭირო მკვდართა მოძიება, არაა და არაა საჭირო!
ისინი ხომ იმდენ მიგნებას გადაურჩნენ, იმდენ სიხარულს გადაურჩნენ,
იმდენ ბედნიერ ღიმილს გადაურჩნენ
და მილიარდჯერ დავინყებულთ ერთხელ კიდევ ნუ გავიხსენებთ,
უკან გამოვიხმოთ ოდესღაც აღვლენილი ლოცვები და მოვსპოთ!
ოჰ, როგორ შეცვლილან საბრალონი!
ხვალ-ზეგ გაჩენილი მოხუცები საკუთარ თვალებს ეღარ ცნობენ
და მოუსავლეთში გარბიან ჰგონიათ და თავზე სახლები აცვივათ ჰგონიათ
და თურმე სიკვდილს გაურბოდნენ მხოლოდ...
რაღა დარჩენიათ ამდენი ჭირისუფლით გარემოცულთ:
ნიადაგს მოარღვევენ და ხეებს გლეჯენ და საქონელს ითრევენ
და ცერებზე შემდგარნი ვამხნევებთ და საგვარეულო დროშებს ვაფრიალებთ
და აქ ვართ ყველანი და არ მოგერიოს ნოსტალგია
და შენად დაგვიგულე ისევ და მშვიდობით!
ერთი ხარ ასი და ერთი ხარ ათასი და ურიცხვი!
საკუთარ ხმებს უხმობენ სათავენი
და ხომ სულ არ გიკვირს, რატომ თანავუგრძნობთ,
როცა დაგვტოვეს და ფრთხილად გაგვეცალნენ
და შორს ანძები მიდიან ცისკენ
და ღმერთი გვმფარველობდეს იარებს დადევნებულთ და თავად იარებს
და უცოდველთაც ღმერთი მფარველობდეს, -
მათი ხვედრი არშემდგარი იარებია და მძიმეა ერთობ!
და როდის ჩაგვიხერგეს თაფლობისთვე
ან როდის განნვალეს სამხილი და სნეულება ჩვენი
და მკურნალობა განვაახლოთ მხოლოდ...

**განწყობილება №9**

დიახ, მე შენი პირველი და უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე ვარ
და უფლება მაქვს, არასოდეს დაგტოვო მარტო!
მე არ გირწევდი ღამეებს და პატივახდილ საიდუმლოებს?
მე არ ვუხმობდი ცისკიდეზეჩამავალყვავებს,
როცა სიცოცხლე კიდურებიდან წვეთ-წვეთად გდიოდა
და ველარ ამთავრებდი სიკვდილს?
დიახ და დიახ, დღეში ათასჯერ გამომყავხარ შენივ სისხლიდან
და განბანილს გაბრუნებდი იმ სიზმრების საბრძანებელში,
სადაც შენი ათვლის წერტილია ველურის ბრჭყალით მონიშნული
და უფსკრულიდან ლურჯ გუმბათში თავგანწირვით ვარდება წყალი;
შენი ჩქამიც კი გამოქვაბულებს ალბეჭდავდა ჩემს ყრუ სხეულზე,
საიდანაც ვარსკვლავნი და ვნებიანი კვნესანი მოედინებოდნენ
და ველარ ვიტევდი და მათვე ვუბრუნებდი, -
ქინდაუმცხრალ-უიღბლო მშობლებს,
დიახ, მე შენი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ვარ,
მე, ვისაც სიბერიდან თან სდევდა ზეთშიშემწვარიკარტოფილის სიყვარული
და ქვეწარმავლებისადმი და მღრღნელებისადმი უმიზეზოდაუმიზნო ზიზღი
და გაბახებულთა შეცოდების ნიჭი და მათ ბედზე ფიქრი და ნავიდადაგაქრა,
მე, ვინც ყოველთვის ღიმილით ფიქრობდა,
რომ ადამიანები ვერასოდეს ისწავლიან ერთმანეთის კისერზე რიგიანად ჯდომას
და რომ მისთვის ცხელი შანთები დიდი ვერაფერი შეღავათია,
რამეთუ თვალები ქვიშით აღარა აქვს სავსე
და არც წურბელები სწოვენ სხეულში მოჭარბებულ ზაფხულს,
დიახ და დიახ, მე ვარ ერთადერთი, ვისაც შენზე ყველა უფლება აყრილი აქვს,
ვინც უკვე შორსაა ძლეულთაგან
და არაფერი აქვს დასაკარგი საკუთარი, არათუ სხვისი,
ვისაც სახელმწიფოს არ ანდობს კაცი, არათუ ორ ბატს,
ვინც, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მცირეოდენ იმედსაც კი ღამეებს უთევს
და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ამტკიცებდა დედამიწის დაღლილ ეგოიზმს
და მთელი თავისი უხამსი ცხოვრება
ზეთშიშემწვარიკარტოფილის ჭამას და როსკიპთა სიბრალულს
და ვერტიკალური წრეების ხაზვას მოანდომა
და ნუთუ შეძლებია?! ვინაა დარბაზში?
ტაში თუ არ ემეტება, დაუსტვინოს მაინც
და ყველა აქ იყო, - სცენაზე, და ყველა ტაშს ითხოვდა.
როკავდადაროკავდადაროკავდა ყველა
და ისიც როკავდა და ისიც დაღლილა და
მგზავრობით ქანცგაწყვეტილი ხეებიც თვალდახუჭულნი დაილევრებიან
და ფეხქვეშ მიწა უხმებოდათ და შენც ჩაგესმოდა წყევის ხმები,
ცრემლმორეულმა დედა ინატრა და ზეთშიშემწვარიკარტოფილი შესთავაზეს
და შიში დიდია და დამთავრდა დღენათელი,
შორს, ცის მიჯნაზე მეხმა ისიკვდილა
და დღენათელი დამთავრდა, დამთავრდა დღენათელი

და ასეთი კარგი რატომ უნდა უარეყო ვინმეს?
ლიანდაგზე დგომა ისურვე და ყმუილის ნიჭი ისურვე და საწოლი ისურვე და ქალი
და დღენათელი დამთავრდა და დღენათელი დამთავრდა
და მე შენი პირველი და უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე ვარ,
მე შენი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ვარ, მენდე!

**განწყობილება №10**

ასეთი კარგია გაზაფხული?
ილოცე, არასოდეს მოვიდეს, მარად თოვლი და ყინვა იტაცებდეს შენს ხმას.
როგორ გყვარებია ეს უმწეო და უსუსური გოგო!
მაშ არასოდეს იკითხო, რაჰქვიადასადცხოვრობსდარასსაქმიანობს,
არასოდეს გაიხსენო მისი მზერა და სიარული და დაკარგე
და რა კეთილი და უთვისტომო ღიმილი და ფიქრი ჰქონდა, ღმერთო!
ნუთუ მართლა არ გემეტება გასაყიდად შენი მეომარი სული?
მაშ მწირი ბოხჩა გამოკარი, გამოდი გარეთ და ეშმაკისკენგზას დაადექი,
იქნებ დააკლდე და მოგაგნოს და გიხმოს
და ნაცნობი გარიგება შემოგთავაზოს
და მთავარია სახედველმა მისმა დუმილი და მოთმინება აირეკლოს შენი
და შენივ მეომარ სულთან ერთად უკანვე გესროლოს
და ნუთუ მართლა ასე ძლიერ გებრალება მარტოსულნი?
მაშ ერთ დღეს მათი მძიმე ხვედრიც გაიზიარე
და ვინც შენს გარშემო მოზლვავდება,
ყველას სიჩუმით და მოლოდინით აღავსებდე და სიცოცხლეს აიძულებდე
და ვინ დაიწყებს რკინის კვნეტას?
ნუთუ მართლა ასე გზარავენ მოშურნენიდაბოროტნიდაავსაქმოსანნი?
მაშ შენს მკერდს გული გაბედულად ამოაცალე,
გაამშრალე, დასვი ფრთხილად ტრიალ მინდორზე,
ასჯერათასჯერმილიონჯერმილიარდჯერ შემოუარე
და როცა დიდი გარჯის ფასად კარს ვერ უპოვი,
ამოისუნთქე ძალიან ღრმად და გული იგი თავის ადგილს დაუბრუნე
და გიყვარდეს სიყვარული შენი,
ხოლო როცა ერთ მშვენიერ დღეს დაღლილი ცხადი დამთავრდება
და თვალს გაახელ და ირგვლივ ყველაფერი უცხოა და მუქი,
ნუ იტყვი, რომ ძალიან დიდხანს გძინებია
და რომ ეს რა გრძელი გზა ყოფილა სიზმრამდე
და რომ ბედნიერი ხარ და მოკვდავი და ნუ განიზრახავ კეთილ საქმეს,
უბრალოდ თვალი მოიფშვნიტე, საწოლიდან გადმოდი, დილა გამოალე
და ხმამაღლა და გულამოსკვნით იტირე ცხადი.

## ჟამი მალვისა და მიტევების ანუ დამარცხებულთა აღსარება

ხეებმა ქარი მკერდზე მოგვაბჯინეს და კვლავ დედის მკლავთა ხიზნები ვართ,
და მათში ჩაკარგვა გვინერია, თავბედს ვინყევლით და ვნანობთ;
ბრმათა გლოვის ზარი ცას მისნვდა და ქალებს სისხლი ენვით მხოლოდ, -
ღამეს ეძებენ და ნყვდიადს პოულობენ,
სახლებს ტოვებენ და ვნებაამღვრეულნი ღმერთთან ღალატობენ კაცებს;
ციდან ლოცვანი და ნყევლანი ცვივიან,
ქალნულობადაკარგული კერპები ცვივიან,
და ცაო, რარიგ შორი ხარ და რარიგ ჩვენი ხარ და ვნანობთ;
ტყუილს მაინც ჰქონდეს მოკლე ფეხი, საქმე მაინც განვიმდეს ჩვენი,
არ ვართ მშიშრები და არ ვართ და არ ვართ და "სუსტნი ხართ მხოლოდ!" და
სუსტნი ვყოფილვართ და კარგად გვახსოვდეს და
გმადლობთ, დიდია ნიჭი შენი, ღმერთო!
ოჰ, მიყვარდა და რა ვიცოდი, რარიგ ცბიერი ყოფილა და
რარიგ ჯიუტი ყოფილა და ზურგით ღიმილი ძნელია და
თქვი, თქვი, ხომ ასეა, ღმერთო?
ოჰ, თვალი თვალს რომ მოშორდება და გული გადასხვაფერდება,
თვალი ისეთი ხარბია და ხორცი ისეთი უმნეოა,
ყველას ერთურთი გვნადია და უუუჰ, მერე როგორ გვნადია და
"უფალო, უფალო! მოგვიტევე, რამეთუ არ ვიცით, რასა ვიქმთ და
ნება შენია!" და თქვი, თქვი, ხომ ასეა, ღმერთო?
სისხლის საუფლო ვრცელია და ყველა უომრად დასახლდა და
ხაფი ბლავილით და მძაფრი სუნით ვუხმობთ ერთურთს
და ცაზე ბავშვები ხეებს ხატავენ და
ხეებს ზანზალაკი ჰკიდიათ ურიცხვი და
ქარი საკუთარ თავს ეძებს და ვნანობთ;
შეხედე, ისინიც ამ მიტოვებული საყდრისკენ მოეშურებიან,
შეხედე, ქმარი შენი და ცოლი ჩემი და მოვლენ!
აბა, გავიძურნოთ, სახლი მზად დახვდეთ და
თივაც მზადმყოფი და შემართული;
ღამე მათიცაა, შური იძიონ და კიდეც ილოცონ და
ბუზები ველარ ახერხებდნენ მათ ტანზე მოსვენებას
და საყდრიდან ვერგაღნეულმა ნმინდანებმაც დაიტირონ:
ღამე მათიცაა, შური იძიონ და მერე ჩვენ ვიძიოთ შური!
ხოლო ჯერ მალვის ჟამია და ყველა და ყველაფერი დაოთხილი გარბის
და ცამაც ზურგი გვაქცია და ღრუბლებიც ურცხვად გარბიან და
შეხედე, ბრმებიც გარბიან და
ძვირფასი მკვდრებიც გარბიან და
ჭირისუფლებიც გარბიან და
გაქცეულ ცაზე ღმერთი გამოსულა, ტკბილად გვიღიმის და გვათბობს.

## ხმები

სადღაც დაღამდა და ცხენების ჭიხვინს და ზღვის გაბმულ სიმღერებს
გულში იკრავენ და არ ივიწყებენ და დუმილს მიელტვიან,
გზებზე გადიან და ქვებზე სხდებიან და მზეებს ფიქრობენ და მერე სულს
ღაფავენ
სიკვდილს და სიზმრებს და მშობლებს მოუხმობენ ხმები;
და შენი ტარიგიც ისევ მხრებზე მიდევს, ისევ ვაპურებ და ისევ ილიმის და
ვიღაც ჩემს ზურგსუკან მშიერ საფლავებს თხრის, მკვდრებს ათავისუფლებს
და წყევლით ლოცავს და ჯერ კიდევ უჩინართ ჯიუტად მიდევნის ცისკენ;
სისხლი სუსტია და ღმრთისგან ლტოლვილი და მიწას შეხიზნული
უკვე დამძიმდა და უკვე მდინარებს და რომ არა საშო და რომ არა მერმისი,
ასე უცოდველს და ასე უპატრონოს ვინ დააიმედებს, სიტყვაო ჩემო?!
უხმო სინანული თვალს ჩაეღვრება და მიწას აიყრის და წვიმას შეერევა,
მზერა ადიდდება ფრთხილად და სათუთად და ნუთუ დამთავრდა ცხადი?!
სანთელს ჩამოვქნი და ღამის ყრუ მდევარი შიშით დავუყვები ღრმა სუნთქვის
ნაპირებს
და აღარ ჩაესმით ოდესმე გასაჩენ ჩემს ობოლ წინაპრებს ღვთის ხმა
და ჯერაც დასამხობს ნუ მიმცემ ნათელს და ღამე დამიბრუნე, სიტყვაო ჩემო,
და რომ მოვიქცევი, მსხვერპლი მიიღე და მარად გეტრფოდეს და მარად
გმსახურებდეს
დიდი იმედი და დიდი სიმშვიდე და დიდი შიმშილი და დიდი გაზაფხული:
დიდი მოლოდინი, სიტყვაო ჩემო!

## ინტერმეცო

*ირმას*

ჩასახვის დღიდან
ყველა ჩვენგანში დღენიადაგ ფეხზე დგას ვიღაც
და მიწაში ჩაბრუნებულ ნორჩ ბალახს ტკეპნის;
ჩასახვის დღიდან
ვიღაც ჟამი-ჟამ ინანიებს ჩვენს დაღლილ ცოდვებს
და შიშით და სიბრძნით სავსეს გვიბრუნებს უკან;
ჩასახვის დღიდან
ვიღაც ჯიუტად მიგვითითებს საკუთარი სამყოფისკენ
და ჩვენეულ სიფხიზლეს იცავს;
ჩვენს ბრმა მერმისში საიმედოდ გამკვრივებული
როცა უსაზღვროდ ბედნიერი გვეგულვის ღამე,
ვიღაც ღიმილით აყურადებს მეორედ მოსვლას
და მარცვალ-მარცვალ ჩაგვჩურჩულებს,
რომ ჩვენს სისხლში ერთ მშვენიერ დღეს
აღარ იქნება იმედი და მომავალი და მოთმინება,
აღარ იქნება "მიყვარხარ" და "მშვიდობით, ჩემო!.."
რომ ყველა კარი გაიღება ერთ მშვენიერ დღეს
და ამ უმდიდრეს საფლავთა თუ სამარხთა ნაცვლად
უკიდეგანო მდუმარება იმღერებს მხოლოდ,
ჩვენივე ლოცვა გვიერთგულებს მხოლოდ და მხოლოდ,
და გზას გვასწავლის არყოფნისკენ, რათა მოვიქცეთ,
ისევ კუთვნილი ძუძუ ვწოვოთ, - უძლები აწმყო...
ხოლო ჯერ ბნელა, ღამეები დევნიან რჩეულთ,
და ჭრილობებში სიტყვებს რგავენ გამოცდილი მებაღეები,
თავს ევლებიან საკუთარ ბედს ობოლნი და არასმექონნი...
ხოლო ჯერ ბნელა,
ბნელში ვიღაც საკუთარ ხმას აპურებს ისევ
და ყრუდ ჩურჩულებს, დღენათელი როდის აღსრულდა,
როდის აღსრულდნენ წმინდანნი და ნათელმხილველნი,
და დღენიადაგ შეგვახსენებს,
რა იქნება ხვალ ან სულაც მილიარდი საუკუნის წინ –
როცა სიკვდილი უანგაროდ დაითმენს და დაიტირებს ყველა მარტოკაცს,
როცა სიკვდილი საკუთარი მზერიდან ნავა
და ყველა მოკვდავს უანდერძებს ჭეშმარიტ სიკვდილს:
ურწმუნობას და უდროობას...
ხოლო ჯერ ბნელა, ჩვენს თვალთაგან ცრემლი სდის ღამეს
და როცა ისევ მონდომებით მოგვიხმობს ვიღაც,
კაცთ სიზმრებში ჯერვერძლეული,
როცა სამხილი უამრავი მკვდარი წარსულის

ველარ კრებს რისხვას ველარაფრის ვერდამკარგავთა,
როცა, ღმერთმანი, აღარ გვყოფნის სხეულში ღამე
და თავგანწირვით ვეხიზნებით ჩვენსავე სუნთქვას,
მაშინ რწმენაა ჩვენი ვნება და აღსარება,
რწმენა გვიბრუნებს სასიკვდილოდ განწირულ ჩრდილებს,
და ერთმანეთის ხილვის ჟინით გზააბნეულნი
სახლებს ვტოვებთ და ფეხისგულებს ვაწოვებთ მიწას.

# ღმერთი კეთილია

ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ ჩვენ გვიყვარს ზღვა და ბალახი,
დავისაჯეთ მარადიულით და წარმავლით და სისხლით ჩვენში;
ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ შურისგება შეგვიძლია,
დავისაჯეთ სიზმრებით და ღალატით და სიკვდილით ჩვენში;
ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ მზერა ჩვენი უსაზღვროა,
დავისაჯეთ ცვალებადი რუქებით და უსასრულო აღმოჩენებით;
ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ თავს ვერ ვიღეთ გუშინდელის დასამარება,
დავისაჯეთ მერმისით და ჯვრით და იმედით;
ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ გვზარავს და რწმენას გვიხშობს ამოუცნობი,
დავისაჯეთ სიმღერით და სინდისის კერპით;
ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ ჩვენ ვიცით მახინჯის და უძლების ფასი,
დავისაჯეთ ეშმაკით და ბოროტით ჩვენში;
ინება ღმერთმა და იმის გამო, რომ ჩვენ ვიცით დროისა და ტკივილის ფასი,
დავისაჯეთ სრული სუნთქვის ვერშემძლეობით
და ერთმანეთის ვერგაგება-გაგების ნიჭით;
ინება ღმერთმა და შეგვიყვარა იმის გამო,
რომ, ღმერთმანი, თუმც გულით გვსურდა,
მაინც ვერასდროს შევიყვარეთ და ვერასდროს ვიხილეთ იგი.

## ნოსტალგია

ჩამოისვენე დედაჩემო
ჩემი ხელისგული მხოლოდ შენი სიყვარულით აღივსება
ჩემი ხელისგული მხოლოდ შენი სიძულვილით აღივსება
ჩემი ხელისგული მხოლოდ შენი სიამაყით აღივსება
ჩამოისვენე დედაჩემო
ჩემი ხელისგული მხოლოდ შენი სიზმარ-ცხადით აღივსება
ჩემი ხელისგული მხოლოდ შენი მოთქმა-ზარით აღივსება
ჩემი ხელისგული მხოლოდ შენი აღსარებით აღივსება
ჩამოისვენე დედაჩემო
სამეფო შენი ჩემს ხელისგულზე მოიხილე
სამეფო შენი ჩემს ხელისგულზე აღამაღლე
სამეფო შენი ჩემს ხელისგულზე აღასრულე
ჩამოისვენე დედაჩემო
ჩემს ხელისგულზე სისხლი იცვალოს ყველა ნივთმა
ხილულმა და უხილავმა უსულომ და სულიერმა მცირემ და დიდმა
სისხლი იცვალოს ყველა ნივთმა რომელსაც შენ იგალობებ
რომელიც სწორედ აქ და ახლა შენს მზერაში დაიბადება
თქვი რომ უთუოდ ღირებულა მოხილვად და დავიწყებად დუმილი ჩემი
თქვი რომ უთუოდ ღირებულა მოხილვად და დავიწყებად სიმღერა ჩემი
ირწმუნე ღამე სამარე და მწარე სამხილი
ირწმუნე ღამე სამშობლოდან დევნილი მამრი
ფრთხილი ღიმილით მომიტევე ურწმუნობის და ნდობის ნიჭი
ფრთხილი ღიმილით მომიტევე მერმისიდან გაქცევის ნიჭი
და მერე ნადი დედაჩემო
დაღლილი და ბედნიერი დაუბრუნდი იმ სივრცეებს
საიდანაც ჩემს საშველად მოსულხარ წამით

## ღამის მგზავრული

*პაულ ცელანს, ვინც, დიდებამორჭმულმა,*
*სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა*

ღამეო ღამეო დედავ და სისხლო და ვაი და ავაჰ
ცივია სიტყვა და სახე და თვალი და მშვიდობა შენი
ცივია ხსოვნა და ძილი და ლოცვა და პირჯვარი შენი
გძებნე და გპოვე და შავი და ფრთხილი ხარ
მინამდე ტკბილი ხარ დედავ და ღამეო სისხლო
ჩუმია იგი და ტლანქი და ვერაგი
და ყრუდ მომზირალნი კვლავ შენში ვცვივით და
კვლავ ხორცი გვცვივა და გვცვივა და გვცვივა და
ოჰ როგორ გამცვდარხარ ოჰ როგორ გვილიმი
კეფით და ტერფით და სიმწიფით შენით და
საშოში დაღლილნი კივილით ვჩნდებით და
ვჩნდებით და ვჩნდებით და ვჩნდებით და გავრბივართ
ჩვენ ვიცით გაქცევა ცოდვილთა სიმღერა
და ნათლით ძლეულნი ვკვდებით და გავრბივართ
ჩვენ ვიცით ლოცვა და წყევლა და ანდერძი
და ღამის ხიზნები საშოთა ხსოვნაში ვეძიებთ შველას და
ღამეო ღამეო ძილია სიცოცხლის პირველი სიმღერა
და ისევ უმიზნოდ ვსუნთქავთ და ვსუნთქავთ და
სისხლია კვალი და ოჰ როგორ კვდები და ოჰ როგორ დაღლილხარ
სულს ვლაფავთ შენში და ხელს გვიწვდის საშო და
ბნელი და უცხოა ღამე გუშინდელი
და აღარ გვახსოვს და ხსოვნაში დანთქმულან
საშო და ჯვარი და მერმისი ჩვენი და
ღამეა ზეცა და ღამეა ბედი და
ბუდი დგას ლოცვის და წყევლის და სიმღერის
და არ გამოსცადო უფალი შენი და
წყვდიადი წასულა ჩვენგან და შენგან და ზეცას თუ წასულა
სისხლია ყოველი სისხლია ყოველი ღამეა სისხლი და
ღამეო ღამეო დედავ და სისხლო და ვაი და ავაჰ

## სერაფიტას აღსასრული

მორჩა, კიდევ ერთხელ დავმთავრდი და თურმე უჟამოა აღსასრული;
აი, მოვიძიე ჩემგან დევნილი დღენათლის ცაში თვალი შენი
და ჩემს სუნთქვას საუკუნო ცოდნა შევძინე:
ღამეარასოდესყოფილადაარცარისდაარცოდესმეიქნებამშვენიერი
და ის გსნავლობდა და შენს უმიზნო სხეულზე შეშლილივით მიმოდიოდა
და ჰოი, ცხადი დაირღვა და ღამე ჩატყდა და ჩაიშალა
და ერთურთს მტერი ვუსურვოთ და ღამე გლოვისაა თურმე და მშვიდობით!
აი, შევსულვართ, სადაც ჯერ არს და მკლავები მოვრკალეთ უშნოდ და სათუთად
და მაგიური მოსასხამიდან გალობასავით ისმოდა ხმები
დანიოკებულ ღამურათადამოხუცთადაყრმათადაროსკიპთა
და მაგიური მოსასხამიდან მომაკვდავი დედა იღვრებოდა
და მახსოვრობას, როგორც ძუძუს და როგორც მზერას,
ვხვრეპდითდავხვრეპდით და აივსო პეშვი და აივსო სისხლი და
ჰოი, ღმერთებს შორის ყველაზე ურჩო და ყველაზე ძლიერო,
მინას შეხიზნულო სისხლო!
ვარსკვლავს ხომ ყმუილში კაციც ვერ აჯობებს,
არათუ მნათობთა როკვით მზერასავსე მგელი
და შენი მკერდის უფსკრულებში ზამთარი ცვივა და
მნიფეა თოვლი და იქ ხომ ისეთი ქარებია,
დავძებნოთ სიზმრები და ვიშიშვლოთ სიზმრები და
ვისწრაფოთ, ვისწრაფოთ, ხმალამოწვდილებო,
შენგანვე შობილნი ზურგში გავტეხოთ და მოვსპოთ,
ლოცვა დავამხოთ და კერპი დავამხოთ და ვნება დავამხოთ და
ერთურთის ძვლებზე მროკავნო და ერთურთის სულზე მოზარენო,
ჩვენი პირიდან რა ხანია პირველყოფილი სიტყვის ნაცვლად
თიხა იფრქვევა და ცხადი იფრქვევა და რა არ იფრქვევა და
დევნიდადადევნიდადადევნიდა წყვდიადს
და ცოცხალთაც და გარდაცვლილთაც ყოველთვის მშვიდად იმარჯვებდა
და ბოლოს მაინც ვაცდუნეთ და დამარცხებულებს შევუერთეთ
და მან სისხლი ღვარა ავაი, რამდენი
და მან ცრემლი ღვარა ავაი, რამდენი
და მზე ილოცა და მთვარე ილოცა და
უკვე მერამდენედ გარდაიცვალა და
აი, მოგვეახლა ჟამი ნათელხილვის,
რომ ფსკერნი ტორტმანებენ უძირობის განცდისგან,
რომ მინის შიმშილი ცოდნამ დაანაყრა და ჩვენით ბრუნვას ეურჩება
და უკვე კაცნიც განგვანათლა მსგავსად
ფრინველთადანადირთადაქვეწარმავალთა
და მირიადებს შეყოლილი დღენიადაგ მონდომებით გროვდება მასში
და სხვა რა გზა მაქვს ჩემივ მზერას მინებებულს და ზურგით მორკინალს,
ყოველ ცისკრის ჟამს ჩემი სახლიდან, როგორც ზღაპრული გამოქვაბულიდან,
გამომაქვს გარდაცვლილი ღამეები და ყველას თვალწინ ვასაფლავებ

და ფლასს ვიძარცვავ და ვცეკვავ და ვცეკვავ და
ხალხი განიხვნა და დედა ვიხილე და მამა ვიხილე და
ყველა თვალხილულმა გამიკიდეგანა
და აი, მორიგი მსხვერპლის მოლოდინში
ფლასშემოძარცვული ვცეკვავ და ვცეკვავ და
ვცეკვავდავცეკვავდავცეკვავდავცეკვავ და
ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!

# გამოფხიზლებულთა ჰიმნი

*"...ნუ ჩუენთჳს, უფალო, ნუ ჩუენთჳს,*
*არამედ სახელსა შენსა ეც დიდებაჲ...*
*ნუ სადა თქუან წარმართთა: სადა არს*
*ღმერთი იგი მათი?.."*

ფსალმუნი, 113

ჰოი, სულო ჩემო, გაზაფხულს უპყრიხარ, უხმოდ მიენდე და მიჰყევ!
ბერავთ ჰყვარებიათ მფარველთა სისხლი და დაენაფებიან,
ქვიშით შეიშრობენ დახეთქილ ტუჩებს და მიჰყევ, სულო ჩემო,
დედებს მიეტეოთ შობა უშობელთა და მას ღამე ჰქვია
და შენ იცი იგი და მანაც გიცის და "დიახ" და მიჰყევ და
ყველა მოხარული მიიხურე და ნება მიეც შენსავ ღიმილს
ურიცხვი ლხინის შემუსვრის და ურიცხვი ბრძოლის შემუსვრის და
ლოცვად და ზეიმად ყელი შევმართოთ და ღმერთი ჩვენია და
ვებრძანოთ, გვეპატიოს ყველა სიკვდილი და ზურგი გვაქციოს და
ესმას უცოდველთა საგალობელი და კრძალვით დაგვლოცოს და
კაცთა სადიდებლად მინა იშიშვლოს და სისხლივით შავია ღვინო!
მორჩა, აღარ ფქვავენ ქარის წისქვილები, ჰოი, სულო ჩემო,
და შენს სახილველად მოდინარ მზვაობართ მოთქმით დაუხვდი და
ცხადი შეირგე და "წადი" აღამაღლე, "მოდი"-ც აღამაღლე,
ვაგლახ, ცოდვილო, და ვაშა!
გაცვდა სიკვდილი და გაცვდნენ წმიდანნი და
მოძმე მწყურია და სისხლი მწყურია და
მოკვდავი მიჩვენოს უფალმა ჩემმა და
ვინც ჩემს სიყვარულს ვერ დაითმენს,
მკერდი ბალახით ამოივსოს,
თორემ სიკვდილია უკუქცეულთა და
გლოვა-სინანულის ენებით შეპყრობილთა ხვედრი;
ჟამი მედროშეთა გავამარტივოთ და ერთურთი მძლავრად ვაფრიალოთ,
ვხოცოთ და ვმარხოთ და ვთხაროთ და "ვაშა!" და
დედიშობილა ბავშვებივით ვიმღეროთ ერთურთი,
შენ ხარ მოყვასი და მე მძულს სიყვარული ჩემი,
შენ ხარ მოყვასი და მე მძულს სიძულვილი ჩემი,
აი, მზადმყოფია, მზეო, გული ჩემი ჩემდა!
დედანი გალობენ, დედანი ჩვენნი, და მტლად რომც არ დაგვედონ,
დედაო, დედაო, რომელი ხარ ცათა შინა და ქვეყანასა ზედა,
მარად მშობიარე ურცხვად ჰკიოდე და
შენში ვართ ძენი და ასულნი შენნი და
განკვეთე ლტოლვის ნიჭი ჩვენი და იყავნ!
ვის ცრემლზე ვმსხდარვართ და ვის სიზმრებს ვკვნესოდით

და ყურს ვის ვუგდებდით და გემოს მისას ვინ აღმოიცოხნიდა
და ფრიად დავკვირდით კვლავკეთილქმნილნი და
ოდესმე მოსასვლელ ღირსეულ მეტოქის იმედად დარჩენილთ
თავს გვაღამდებიან ჩვენივე სიტყვები და უკვე მოსრულა ცხადი,
მკვდრებიღა გვლოცავენ მათკენ მისწრაფებულთ
და ბალახზე და ყვავილზე და ხის ფესვებზე ამხედრებულან
და ვინ შეაკავებს ბრმობილთა სრბოლას და
ურიცხვი ყოფილა ბედი გარდმოცვლილთა,
ურიცხვი ყოფილა ბედი გარდაცვლილთა,
ბინა მივუჩინოთ მათსავე სიზმრებში,
მუხლი დავუკოცნოთ, თვალი დავურბილოთ და ნამყო ავლოშნოთ მათი და
ღმერთისგან ნასწავლი არ დავივიწყოთ და
ვნაფოთ ერთურთი და მერეღა გავწვიმდეთ,
ხვედრი თავმდაბალთა დიადია!
ხვედრი თავმდაბალთა დიადია, მაგრამ ერთხელ მაინც განგვეცხადოს,
ვისი წყევლით გვიდგას სული,
ვინ ნათლავს აღსასრულს აი, ამ პატარა ადამიანისას,
რომელმაც პირველად იხილა უსაზღვროცავარსკვლავიანი
და ხელებგანვდილი ხმამაღლა ჩურჩულებს:
"რამდენიბურთიადამეცმაქვსასეთიდამემხოლოდერთიმაქვს" და
მეორე სუნთქვის მომლოდინეთ მორიგ აღსასრულს მოგვართმევენ
და ფარდებიდასარკმლებიდადარაბები
ვეღარ აკავებენ ჩვენს ძარღვებში ატეხილ ღამეს და
ის მაინც შემოვიდოდა და
ჩაყოლას ჩათრევა გვერჩივნა და
უკვე გვიანია თითზე კბენა
და ჩვენს მზერაში – გულისფეთქვათამირიადებთან დამარცხებულ მეომარში –
უწყინარი ფიფქივით ცვივა მირიადი თანამებრძოლი
და კვნესა მათი და ანდერძი მათი და
აღსარება და კბილის კბილზე დაჭერა მათი
და ხმანი კბილთა მსხვრევისა და სისხლის რუთა და ნაკადულთა,
და დაიცლებიან სახედველნი ჩვენნი
და ღამე მკერდის გავლით შემოვა ოთახში
და ჰე, ისტორია დაიბადა
გადაქცევისგან და იატაკზე დანარცხებისგან მერმისში დევნილი მამრის
და ასჯერ ათასი და მილიარდი ვიყო,
აღარ მშურხარ და აღარ განატრობ,
ვისთვისმოგიცლიავისთვისმოგიცლიავისთვისმოგიცლია, დღენათელო,
ჩვენ უკვე ვნეიმვართ და მე მაინც აქ ვარ და მიწა მერთგულებს და
"უგალობდით უფალსა, რამეთუ განძლიერდა ჩუენ ზედა წყალობაჲ მისი" და
აბა, მივიხუროთ ყველა უბედო და ყველა უკვდავი და ყველა მზვაობარი,
ვაშა და მილიარდჯერ ვაშა!

... მოდინარნო ერთმანეთის საგალობლებით და ღალატებით ზურგზე,
ერთმანეთის ცეკვებით და სიზმრებით და განცხრომებით ზურგზე,
ჩემსკენ მოდინარნო,
თქვენს კანში აღარ ეტევით და თავზემოთ ძალა არა გაქვთ და ოსანა იმღერეთ,
მოდგმა დიადია თქვენი და სულს შემოგრაგნილი ხორციც დიადია თქვენი,
ეძიებთ მინისგულს, რწმენას ეძიებთ და
თქვენსავე მზერაში კირთებს ეძიებთ და
სასაკლაოს ეძიებთ თქვენსავე სისხლში და არა სასაფლაოს,
ყველა რიგითი უკვდავი და რიგითი ბრმა ვალშია თქვენთან,
ჰობი თქვენი ერთ ადგილზე ყოფნაა და
ვნება თქვენი დაყოვნების გაძლება და ახლადგანცდაა,
თქვენივე მხრებია ცარგვალი თქვენი, და მათზე ანთებული ხსოვნა
აი, ამ სიტყვათა: "ნუთიერი დუმილით პატივი ვცეთ იესოს ამაღლებას!"
და თაობები ალოკავენ ნაკვალევს თქვენსას და ჯამში სალაფავი ულევია,
დროშებს შეღებავენ ქონით დატვირთული თქვენი სისხლით
და თქვენი კანით უამრავი თბილი ქურქი შეიკერება
და თქვენი კანით უამრავი ხელთათმანი შეიკერება
და განიხარებდეთ, ჩემსკენ მოდინარნო,
კაცნი ერთურთისთვის შობილან და
კაცნი თვით ღმრთისთვისაც შობილან და
ოსანა იმღერეთ, ნაგრამი თქვენი თქვენივე ბედია,
საშო თქვენი ხელუხლებია და კვლავდაბადებამდე ნაბილწული,
სამადლობელი, თქვენდამი თქმული, ყრუა და მზერაბერნი,
თქვენ სიყვარულნი და სიძულვილნი და გზანი გმეუფებენ
და ერთმანეთში ირევიან თქვენი ბედით ურჩადქმნილნი, და
ოსანა იმღერეთ, ჩემსკენ მოდინარნო, ოსანა იმღერეთ...

# მოდილიანი ანუ ბედნიერი მამრის აგონია

*ამადეო მოდილიანი*
*დაიბადა ლივორნოში 12 ივლისს, 1884 წელს.*
*გარდაიცვალა პარიზში 24 იანვარს, 1920 წელს.*
*დიდების კართან წამოეწია სიკვდილი.*

*ჟანა ებიუტერნი*
*დაიბადა პარიზში 6 აპრილს, 1898 წელს.*
*გარდაიცვალა პარიზში 25 იანვარს, 1920 წელს.*
*ამადეო მოდილიანის ერთგული თანამგზავრი,*
*ვინც სიკვდილი არჩია მასთან განშორების ტანჯვას.*

წარწერა საფლავის ქვაზე

1.

... ეს თოვლი ჩემი ასულია...
ვინ არ თარგმნიდა მის სიყვარულს გარდაცვლილთა ფხიზელ ენაზე...
მის უწყინარ და ჩვილ ღამეებს ძაღლები და მათხოვრები ასამარებდნენ...

2.

სუნი მცემს ვარსკვლავთა და პრეისტორიულ საქმეთა მათთა და
ჩემთვის ნაცნობია ცოცხლადყოფამდელი ერთდროსარსებობა მათი...
სუნი მცემს ჟამთა მიღმა ტაატით დაძირულ ამაყ ფეხსადგილთა...
ბაგენი სივრცეს მორკალავენ და ფრინველთა გულისცემაში
მოკრძალებით განიმქრევიან;
ბაგენი, შუბით აღჭურვილნი, გასაქცევად ამხედრებულან,
და როცა სისხლი ზურგს უჩვენებს ჟინდაუმცხრალ დედათა როკვას,
სილუეტი იკვეთება ჯანმრთელი მამრის;
ის თანახმაა, მღამიობთა მიმძლავრების ჟამს,
ყრმათა ღიმილში უშურველად გაცვალოს ცეცხლი დამთავრებულ ცთომილთა და
გულისფეთქვა ჯერარდაძრულ პირამიდათა,
ჯერარდაწყებულ, ბრმა რძეთა და
უბედობას დადევნებულ, ძვალმაგარ ქალთა;
ის თანახმაა, მღამიობთა მიმძლავრების ჟამს,
მთვარე იყოს ერთდროულად ერთიც და ასიც...

3.

... ცამ პირი განახვნა, როგორც როსკიპი შლის ფეხებს საროსკიპოდ,

და სამო ძლება და თბილია სამო და განწმენდილთ ნათელი აღარ სურთ და ჭიპს განიხსნიან და ათასი წლის მერე გასაჩენ მოყვასთა მზეს იფიცებიან და ერთობ ტკბილია შურისძიების და მლაშე სისხლის მიღმა სული;
მინა დაგვეკარგვია ჩვენსავ მზერასა და ჩვენსავე პეშვებში,
იძულებითია ფრთა და დღენათელი ჩვენი;
ფოთოლთა სიღრმიდან გულისგამაწვრილებელი სიმშვიდით ცვივიან დამშრალი ხეები;
ხორცის სუნი უდით ქარებში განაფულ წიგნებს და ბალახებს...
მე სხვა ხეს მოგითხრობთ:
სანაგვე ურნაში გაზრდილს და შენახულს,
და მე ის მიყვარს და
ფრიად სიკვდილის და
ფრიად სიზმრისაა იგი...
და ამაღლდებიან საყდარნი ჩვენნი და
ვნებით დატოვებენ ამღვრეულ თვალებს და
ცას შეერწყმიან და რა უდაბურია, ღმერთო, ნასახლარი მათი!..

4.

... ქვებით დაწეწკვილი კუდებიდან
მინა მოწვეთავს და არ დაილვრება და
თვალი ადამის ძის მინის ცარგვალია, ხორცი საკანია სისხლის,
ჩემო ბედნიერო აბორიგენო და ჩემო ბედნიერო ლოთო!..

5.

... შევყაროთ ერთად ყვავილები და ვარსკვლავები,
ბარაკები და ტაძრები და ყურისძირში მიმდებარე გალაქტიკები,
და მარცვლეული შემოდგომის, და თავად მინა;
მახსოვრობის გრძნეულ ბურუსში
მზესავით ჩადის
სისხლის ფასად მოხილული ყველა მარტოხე...

6.

... ეს თოვლი ჩემი ასულია... თქვენ გიყვართ იგი!..

7.

... მოგროვდით, კუნთმაგარი მკერდი მომილოცეთ!
როგორ დავაფასოთ ერთობლივი ღვაწლი ფრინველთა და კაცთა?!

მრუში მანდილს ეძებს, სუნთქვა შეწყვეტილა მისკენ მიმართული
მრავალთა სათნოთა მანდილოსანთა და შვილებში შეწყვეტილ დედათა და
სახედაჩეხილ მოხუცთა და მერმისს შეტოვებულ ხმათა;
ერთგულებამდე ორგულნო ჩემნო და ჩემით ბედნიერნო,
მიყვარს უსასრულო სისუსტე და ფრთხილი სიჭაბუკე თქვენი;
თქვენს მეტი მე რა დამრჩენია!
ლოცვანი ჩემნი სულთმობრძავთათვის დაგირიგებიათ,
განგიძარცვავთ სიშიშვლე ჩემი...
აი, გულისგული:
მატლი ყოველი და ხვლიკი ყოველი და კაცი ყოველი, და
სუნი მცემს დაუმარხავ ცოცხალთა და ვიწრო სამალავთა მათთა...

8.

... და ნარღვნამდელნი ჩახერგავენ
აღსასრულისკენ აჩქარებულ ყველა ჰიმნს და
მოვალენი მევალეებს შეიყვარებენ...
და მე დედამიწა განვიზრახე
და ჩემი სიკვდილი საფრთხეშია!..

# მივუსამძიმროთ შემოდგომას

ჰოი, წმიდანნო, ჩვენს თვალებში ყოვლისამხსნელი ღიმილით რომ მიმოიკარგეთ
და ჩვენ კი არა, სიზმრები და კერპნი ჩვენნი უხმობენ ერთურთს!
ხრწნამორევნილი შემოდგომის მწიფე ნაყოფის –
ჩვენი გულის – მზერადქცეულ, უჩუმეს სხეულს
ხმალივით სცემს სასაფლაოს ცივი ჰაერი,
და აღსრულებულან უფსკრულნი ჩვენნი და ჩვენივ ხელისგულზე
გამოვუდევნივართ,
კვამლივით მძიმეა ჩვენი ღიმილი და ერთობ უმანკოა ბრმათა სიხარული,
ჭაბუკთა შორის უჭაბუკესნო და ეულთა შორის უეულესნო და
ჰე, თვით სულთა შორის ხენო!
ეშურებიან ჩვენსკენ ხვედრნი ფრინველთა და ცხოველთა და შეშლილთა
მოდგმის:
დიად თავთაგან უშურველად გადმოდენილ შარავანდედს რიხით განკვეთენ
და ჩვენი სისხლის საჭურველი მათ ფეხებთან გაიღებს ჟღრიალს;
სიტყვათა მიღმა ქალწულის მკერდზე გამავალი ხეივანი მარადაა საგულვებელი,
თორემ რანი ვართ უმერმისოდ, ხორცს რომ გვიფარავს
და ერთურთისგან გამოგვარჩევს, ღვთის მონაგარს გვაძოვებს მიწას?!
რა ელით ბავშვებს, ჩვენ რომ ასე უანგაროდ მიმოვაბნიეთ?
ღმერთისკენგზაზეკიდევერთხელმოკლულმახმებმა
წმინდა სამრეკლოს ყრუ კედლები მათი ფრთებით ამოაშენეს;
ჩვენ ისევ ძლეულთ მიველტვოდეთ, რომელთა საშო
ერთ დროს ჯიუტად მოითხოვდა ჯერარდაძრულ ვარსკვლავთა ნაყოფს
და, ღამის ყომრალს შეხიზნული,
მახსოვრობის ბინდ-ბუნდიდან გამოსხლეტილ ყველა ცოდვას
სისხლის ფასად მოიძიებდა;
გადაუფარავს თვით დუმილი ამ დაძახილს, ხშირად ყოფილა;
ასე, ნიადაგ მტკივნეულნი, ორ ნაწილად განვიწვალებით:
ერთი, თავხედი, ცის სიღრმეებს დანაფებია,
მეორე მიწას ჩაკიდულა, წარსულთაგან ჯერვერძლეული;
ხოლო ძუძუმტე უმწეობით დაღლილი სულის –
მზერადავსილი ხეკეთილი – ისევ მდინარებს,
ისევ ისხამენ ნაყოფებად ჩვენს მორჩილ თვალებს
სივრცეებში გაფანტული მისი ტოტები,
და როცა დრონი, შემოდგომის სისხლის წიაღს გამონასკვულებს,
ყელსმოწოლილი მზეებივით გვწითლდებიან, და
ისე დასდევენ თავიანთ ღმერთს ჩვენს მკერდზე მკვდრები,
როგორც ჩვენ დავდევთ ამ თვალუწვდენელ სასაფლაოზე გარდასული ცოდვების
ექოს,
და გვმღერიან და გვცეკვავენ და კვლავ არავის ვამახსოვრდებით,
იგი, ფრთხილი და ღვთაებრივი, კრძალვით ირხევა
და მსუბუქ სუნთქვას ჩვენს საშოში მიმოატარებს.

## ზარი

1.

... ხოლო სიკვდილი ყველა კაცში ამოიტყვის აღსარებას და დამთავრდება,
როგორც წყალი  მზის ხელისგულზე დადგმულ ჯამში: ისევ მინა და სამდურავი...
მოირკალება ათასწლეულთა სიბლანტიდან ამოწვდილი ბოლო მარცხი:
ყვითელი და ყრუ შემოდგომა...

2.

მე ვხედავ ყორანს, რომლის ფრთები,
თავფარავნელის მოქნილი და ფიქრიანი სისხლის სიმღერა,
ცისკენმომწყდარ ყველა ფრთაში გამოირჩევა...

3.

მიუსამძიმრე დაბადება მიცვალებულებს,
განვართე ენება ფაფარაშლილ ცთომილთა და ნარტყვევნილ შუბლთა;
ღამე, რომელიც განასრულე, მოიძიე მძარცველთა და ავაზაკთა სინანულით
სავსე მზერაში;
ღამე, რომელიც განასრულე, მოიძიე თვალდავსილთა უკანონო ამოძახილში;
ამოისუნთქე ყველა ხვადი, ვინც ოდესღაც შენს სამართალს დაემორჩილა
და ბილიკები მოინიშნა შენი სახლისკენ,
და სიჩუმემდე შემზარავი მოთქმა-ზარით გამოიხმე
სიზმრის ნათელს შერჩენილი უძირო აწმყო.

4.

შენი საშო ნავთსაყუდელია
ედემს მოშრიალე ზეთისხილთა და პრეისტორიულ გალობათა
და ზურგში დაჭრილ მოყვასთა და მრავალთა და მრავალთა ღმერთთა;
ისინი ფრთხილად მიმოდიან უცხო მიწაზე და საკუთარ არსებობას განიმტკიცებენ
ამ მოსაწყენ პროვინციაში, რომელსაც ჰქვია გალაქტიკა
და რომელიც ხარკია და ჭაბუკია თავფარავნელი;
მოგენატრება ბაბილონი, ბრძოლად შემართულა
პირშისისხლდაგუბებული ღიმილი ფიქრთა
და სინათლის ლაბირინთებით მიიკვალავს გზას წყვდიადისკენ
და სიზმრად დევნილი ვეძიებ სიკვდილს და
"ჰოპ!" და ვისკუპე და მოვირკალე
და რატომ არ მიკვირს სხეული ჩემი და სამისნო მისი და მრევლი უასაკო,

მოუსუსურებულ ქალთა სინანული, რომელთა გვირგვინი სიქალწულეა და
ჟამი ხვალინდელი მოგენატრება და მოგენატრება ბაბილონი;
ვაი და ვაი, შენ ვერასოდეს გააცოცხლებ შენგან მოკლულ კაცს
და ნაადრევი გაზაფხულის ნაწვიმარი ხეები და ბალახები
შენს დაღლილ ხორცს შემოდგომის ნაკადებად დაელვრებიან;
ჰა დღეს და ჰა ხვალ მზის ხელისგულზე ყველა კენჭი მტკივნეულად ამომწიფდება;
მილიონი საუკუნის წინ წვალებით სკდება ყველა გული, რომელსაც დღეს ვკლავთ...

5.

დედა! დედა!

6.

... ხშირად გვსმენია ალისფერი ზოლი, ნისლით გარემოცული,
ჩვენი თვალების სიმშვიდეში დაუმთავრებელ, ნორჩ ღამეთა:
ირმის ნახტომი, - მიწადყოფნის მოლოდინი და არა მიწა...
შენ, - გულისგულთან უსასრულო გამოთხოვება მონატრებული სიმღერისკენ,
დედამიწად რომ უნდა ითქვას, -
ემშვიდობები შენს დედულეთს, შენივე გულს ტკეპნი ნიადაგ
და მოჟამული მდინარეები ასდევნებიან საკუთარ თავს დამტვერილი
ტრამალებისკენ;
ო, გულწრფელია ყველა მამრი, საკუთარი მზერის ექოს რომელიც აღწერს
და შიში თითქმის დედამდე და წინაპართა ძვლებამდე ატანს,
ხოლო არცოდნა არცოდვაა და საძოვრიდან დაბრუნებულ, დამშეულ ნახირს
მზე მოაქვს ზურგით ჩვენი მკერდისკენ;
განთიადის უცოდველ სიყრმეს
ყველა ფერი უბრუნდება,
ჩვენი გულის ხელისგულზე რომელიც ჩაქრა.

7.

სად არ ყოფილან ეს ქალები, მათი ყნოსვა რომელ სოროს არ მისწვდომია,
საშო მათი ვის თესლს აღარ დანაფებია,
და ხანგრძლივია უხილავისკენ სამშვიდობოდ გაწვდილი მზერა,
და თითქმის ხიდი;
აღივსებიან სინანულით ჩვენი სახლები,
მოირყევიან ბაგეები ჩვენთა სიზმართა,
და დავკრეფთ ურიცხვ შემოდგომას, ვიტყვით ლოცვას და
ჩვენივ ნაგრამთან შესახვედრად გავემზადებით...

## აღდგომის ღამე

*ვუძღვნი 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ ქართველს,*
*რომელსაც დაბადება არ ეღირსა, მან საქართველოს*
*თავისუფლებისთვის ბრძოლას შესწირა თავი.*

1.

ესაა ჩემი წინაპრის მზე და რომ არ ჩაქრეს,
მრავალჟამიერ ნათელს უნდა შევუკეთებდე!

2.

სიკვდილის ჟამი სათუთია და უფრო ფრთხილი,
ვიდრე სიცოცხლის სიყვარული... და როგორც პირჯვარს,
მე ისევ ღამეს გადავიწერ, და წარმართის ქაფიანი სისხლის ბილიკი
თვალს გამოარღვევს და მძევლებად წარიდევნის მილიარდ და მილიარდ სიზმარს...

3.

ვნებით ვგროვდები, და გონების მკრთალი ლამპარი
ჩემი დუმილის ცისკიდიდან ამომავალ სიმღერებს მიფრთხობს,
და იდუმალი ფორიაქი დედამიწას მიაპყრობს სიტყვას;
ერთობ მწირია სამალავი დარბეულ სპათა,
და, ალბათ, უკვე – თაიგულიც, და გვესმის იგი,
როგორც ღიღინი დედის საშოსკენ მიქცეული ამაყი ჩვილის
ან სულაც მერხი ან მაგიდა ან ბიბლიით თავშემკული, მორჩილი მრევლი;
როგორც აპრილი ჰორიზონტზე ან სულაც ფიქრი
სასიკვდილოდ განაფული გლადიატორის;
ერთობ გვამია ეს სიმღერა და სიხარული აღმავალ და დაღმავალ ხეთა;
ბედნიერია დედამიწა, დღენიადაგ აღსასრულით რომელიც ძღება.

4.

რომ დამსხლტომოდა,
მზერა ჩემი უსასრულოდ უსასრულო გზებზე ივლიდა;
ნახავდა მიწას, სადაც, უკვე მერამდენე საუკუნეა,
ყოველ ცისკრის ჟამს იდუმალი ზარ-ზეიმით ეგებება ადამიანი,
კარს გამოაღებს, კრძალვით გამოაქვს ბუნაგიდან მხრჩოლავი ღამე,
ხელებს აღაპყრობს, იტყვის ლოცვას

და საკუთარი სულისფეთქეისკენ მიმავალ ბილიკს შეუყვება ადამიანი;
სადაც, ღმერთმანი, მზე დიახაც კასრზე მცირეა
და სადაც გულზე მინის ნაცვლად ცას აყრიან ადამიანებს...
მაგრამ ვაი, რომ ვარსკვლავეთით დამთავრდა ზეცა...
მთელი სამყარო წყალს გვისხამდა მოშლილ წისქვილზე;
ქვისქვეშსუნთქვაზე ღამეები ტოვებდნენ ნიშანს, -
ღმერთისკენგზაზე რუდუნებით შენახულ ძახილს,
და ჩვენს თვალებში ამღვრეული ქალწულის ღამე
დედამინით ივსებდა პეშვებს...

5.

...იგი სულ ნამით გამოფხიზლდა,
როცა ლანვებზე თავისივე ცრემლები იგრძნო...

6.

... ისევ თვალებმა შეინახონ იმ ღამის ხსოვნა,
ისევ სიზმრებმა უპატრონონ ყველა უშობელს;
ისევ ჩიტებმა იჭიკჭიკონ მერე ხეებზე,
და მომსმენელში ნათელხილვის მიმქრალ იმედებს
კვლავ ნაეშველოს ზურგის ქარი წმინდა ხმებისკენ...
ის დაიბადა, მან სიკვდილი იყვირა, ღმერთო!
იდგეს მორწმუნე, სათნო სახეს უყუროს მთვარემ,
მორწმუნის ჩრდილი ლამპიონმა არ გაანვალოს...
და მწყემსე, ღმერთო, სუფთა იყოს მის ირგვლივ მინა;
ველურ მზერაში, ძუძუ-მკერდში, გაწვდილ მკლავებში,
შეიყვანე ცხოვრება ფრთხილად...

7.

სულებივით დგანან ხეები;
ოფლს ჩვენს სახეზე მტვრის ქარები ამშრალებენ,
მომავლიდან ზღვებს გამოაქვთ ჩვენი ღიმილი;
მოასვენებენ საქართველოს ჩვენი სისხლისკენ,
განიზრახავენ სიჭაბუკეს ბრმათა თვალები
და შემოგზავნილ მზეთა მიმართ აღაპყრობენ გუშინდელ და გუშინწინდელ დღეს,
და მოჯარულან ბილიკები ჩვენს გულებში შემოსასვლელად
და ისევ ყვავნი გვიგალობენ, ღამეები თავიანთ თავს უთევენ მინას...

8.

...და მკერდი ჩემი ძალისხმევის, როგორც სიტყვა მორაგვული სივრცეთა მიერ,
მტრად მოხიზნული შემოდგომის ფესვებიდან მდუმარებად ამომძიმდება
და ჩემი სისხლი მუხლს მოუყრის მოუხეშავ მკვდართა ნაკვალევს...

9.

ხსოვნის მორევში უხსოვრობის ნახმევები ჩაიძირება...

შენდამი

შენ გიფიქრია ჩემს შესახებ: შენი სიმღერა
მილიარდობით მზის ნელინადს დაითმენს და დამიბრუნდება,
როგორც სიკვდილის, სიყვარულის, სიბრძნის შიშით დაღლილი ქალი;
შენი სიმღერა უანკარეს სიღრმეებს ამღვრევს,
ჩემს გულისგულს რომ მოანყდეს და
შეას ბალახი, სახლი, ჩიტი, ქვეწარმავალი,
ზურგი აქციოს ღვთისკენგზაზე აჩქარებულ მოკვდავთა მიზანს,
იცოდეს ვნება უთვალავი მკვლელის და მსხვერპლის...
ვაი, შენ, ერთობ ღარიბო და მანდილოსანო,
ერთობ გალობად და თვით სიტყვად განწირულო,
და მსურხარ და მსურხარ როგორ და არავინ გამიკითხავდა;
აი, სიჩუმე, შენს ბაგეებთან შესახვედრად განვრთნილი და გალაღებული;
აი, ადგილის დედანი და შვილნი მათნი,
სისხლიანი თვალებით რომ მოგიხელთებენ;
აი, მართალნი, სიტყვის სათქმელად გახსნილ პირში
სიმღერებს რომ ჩასჩრიდნენ და
ღამის ნყვდიადს მათივ მკვდრებით ჩაუქოლავდნენ...
ო, ურიცხვია მათი ბედი... მიმოაგროვე
სიზმართა კვალად კაცთა ანმყო,
კიდევ ერთხელ უშველე რჩეულთ:
გაემეტოქე განთიადის ხმობასა თუ ყეფა-ყმუილში,
ისევ ძლეულთა გულებისკენ ასნავლე საშო,
სისხლი იყოს მათი მფარველი!

## განმარტება

*ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი მკლავებიდან თავდახსნილმა სიკვდილმა შური იძია და სამუდამოდ მიეფარა სიზმრის სათავეს; მას მერე ჩვენი ყოველი მოძრაობა კლავს მარადიულს ჩვენში; ცის სიბნელიდან ჩვენსკენ მოედინებიან ჩვენივე სახლები...*

ავტორი

1.

ჰოი, სიკვდილო!
ჰოი, ურიცხვო ნინაპარო, ბაგეზე რომ ჩამომეღვენთე!

2.

აი, მე ვფიქრობ, ვიღიმი და ვკვდები და მცივა,
და რომ ვფიქრობ და ვიღიმი და ვკვდები და მცივა,
ესაა მტრედი და ღამურა და ძერა ცაში
და მორიელი და კურდღელი და გველხოკერა;
ესაა დედა ავადმყოფი, შვილს რომ უკვდება
და გარეთ თოვს და უსაშველოდ ლურჯია მინა
და ყვავები სახლს გალობით გადაუფრენენ;
ესაა, ალბათ, სამძიმარი, ასი წლის წინ რომელიც ითქვა,
და ესაა თვალი ურჩხულის,
ბრმა მეფანდურის ლოცვის ხმაზე ცრემლად დაღვრილი
სიკეთეს რომ აღმოინყევლის;
ღამეებს სულ სხვა ფერი უდით,
ჩემს სამიზნეს სიზმრებისკენ გაიდევნის დედათა მზერა
და ესაა ფიქრი ჩემი და სიზმარი და გველხოკერა...

3.

ჩემი სამისნო: უკვდავთა და ურწმუნოთა თავშესაფარი;
ვნებად განტოტვილ ვარსკვლავებად ირწევიან შორეული გალაქტიკები
და, მდიდარი და იდუმალი, ჩემივ სისხლის ამონასუნთქს დავენაფები,
სიტყვას მოვიკრებ იმ მინისკენ, დღენათელს რომ დამისაზღვრავდა,
და აი, კრძალვით მიმოვალ და და ვფიქრობ და მიყვარს
და ესაა შორს, მცხუნვარე მადაგასკარზე, მოყვავილე ურიცხვი კენჭი,
მე რომ არასდროს მინახავს და ერთობ ვნატრობ და ერთობ მღვიძავს;
ესაა შველი, რომელიც მოკლეს 1100 წელს აღმოსავლეთ საქართველოში,

და ესაა "მიშველეთ!" და დაისი მარსზე;
ეს ის ჩამქრალი კოცონია,
უკანასკნელმა ველურმა რომ დატოვა და
"ნოსტალგიავ და ბედნიერო!";
ესაა წყალი, მზის ძარღვებში რომ დაგუბდა და დედამიწად ამოიღვარა;
ესაა ღვინო...

4.

ნადირთა სუნთქვის თბილ ნაკვალევს
თვალში ნერწყვით აჟედევნები:
აი, კედელთა მთელი რიგი; ხოლო ეს მე ვარ,
კედელთა მიღმა ფიქრშეხსნილი გაზაფხული
მეძველმანე კაცივით რომ დაიძურწება...
მოკიდებია უკვე ხავსი ჩამოღლილ ყვრიმალს...

5.

"... ხოლო შეცთომილს ჩემივ ხორცი მწყუროდა და
თვალს მოყვრისკენ მოკრძალებით გავაპარებდი..."

6.

მომეჯარეიან გულმოსული ხეები და დამსხვრეული ფრინველები,
ნისლმოშლილი ზმანებანი,
ხელისგულნი ჟინდაკარგულ სისხლთა და მზეთა,
მიცვალებულთა სიზმრები და გაოფლილი მეძავები,
სვენებ-სვენებით, ნაწილ-ნაწილ, მომეჯარვიან;
გაივაკებენ ჩემს ფიქრებად, უკურნებელ სენს
მწვანე მოლზე მიმოყრიან დავრდომილი გალაქტიკები
და, ჩვენივ ბედის ბრმა სტუმრები, ისევ ერთურთს მივაპყრობთ მზერას;
ისევ სინანულს ამოვიტყვით, - შორსწასულ მიზანს;
სარკმელს აღვავლენთ და მშვიდობის ანგელოზებს გავესიტყვებით,
და ესაა ფიქრი ჩვენი და ცისკარი და გველხოკერა...

7.

ისევ და ისევ
დედაა ჩვენი სინანული
და მსხვერპლშეწირვა
უთვალავი ლტოლვილი მამის;

სად სუფევს ღმერთი მათ სხეულში, სად მოიძიოს
მწერმა და ტილმა უსაფრთხო და უანგარო ძვალთშესალაგი?
უფსკრულთა ნიაღ მოფუსფუსეთ სად და როდის აღუნთებდნენ
ძლევისა და დიდების ჰიმნებს?

8.

ჰოი, სიკვდილო!
ჰოი, ურიცხვო წინაპარო, ბაგეზე რომ ჩამომეღვენთე!
და ვსხედვარ ჩემივ ნატერფალზე
და უფლის თანამზრახველი ვარ
და მიფრთხოდე და შემხაროდე!

## დაბადება

... მას არ უნახავს ბავშვის დასვრილ საფენებთან და კონსერვის ქილებთან ერთად
სანაგვეზე გადაყრილი სიმღერა და ზედმოსხმულიცისნიალვარი;
მას არ უნახავს კაცი სისხლად დავარდნილი და მეამბოხე,
მზისთვის გოდებით მორკინალი კვლავ ოჯახში რომ ათევს ღამეს
და მონდომებით ცხოვრობს შვილებს, მსუბუქ ვახშამს,
ცოლს, აივანს, ათასგვარ წამალს და წინდაწინ ახდენილ სიზმრებს;
მას არ უნახავს მარტოსულის ოთახში ვირთხა,
რომელიც მოთქვამს დამშეული რძის გემოს და ვერშობის ტკივილს,
ხოლო ოთახში კაცი კვდება და სარეცელს გალობს დუმილი
და კაციკვდებაკაციკვდებაკაციკვდება და რომ გაბედა
და არცერთიაარცმეორეარცმეათეარცმეასეარცმეათასე
და რომ უკვდება გაზაფხულის ტყის პეიზაჟს და სისლეის რეპროდუქციებს
და რომ გაბედა და უკვდება ჭერსკედლებსსარკმელს
და მაგიდას და მაგიდაზე მეზობლის წიგნებს,
მის სიკვდილს ვირთხა ამოიტყვის ყველაზე უწინ
და გაყინულ გვამს ყურს მიუგდებს და სცივა უკვე;
მას არ უნახავს მოვაგლახე დედა, რომელსაც არასოდეს ჰყოლია შვილი
და, ღმერთმანი, ის იყო დედა!
მას არ უნახავს და არასდროს გაჰკვირვებია
ნაღალატევი ქალის თვალი, სამყაროს რომ გულივით ფეთქავს
და რომ ერჩივნა ამ ერთადერთიერთადერთიერთადერთი კაცისგან ღალატს,
ძაღლს ეღალატა უერთგულესს ან სულაც – კატას...
მას არ უნახავს სხვა ათასი და მილიონი, და არ იცის,
როგორები არიან ისინი: ადამიანები, რომლებიც,
იმის ნაცვლად, რომ ერთიმეორეს გაუსწორდნენ, დედამიწას უსწორდებიან
და გმირობაა თვითმკვლელობა და რჩეულთა ხვედრია მხოლოდ;
როგორები არიან ისინი: ადამიანები, რომლებიც,
იმის ნაცვლად, რომ ჰაერი და წყალი ისუნთქონ,
სუნთქავენ ერთურთს და დაკლული მოყვასის ღრიალს
და სიგიჟემდე უყვართ კაცი, რომელიც სძულთ და ჰოი, სსსსსსიყვარულო!
როგორები არიან ისინი: ადამიანები, რომლებიც,
იმის ნაცვლად, რომ ანგელოზები იფიქრონ და იფიქრონ ღმერთი,
ფიქრობენ მტვერს და დაჟინებით ფიქრობენ მიწას,
და ამ მიწაზე ჭიპმოჭრილმა უკვე იცის პურის ფასი და სისხლის გემო;
როგორები არიან ისინი: ადამიანები, რომლებიც,
იმის ნაცვლად, რომ ჭეშმარიტი ცოდნა შობონ, აჩენენ შვილებს
და სანამ პირში სული უდგათ, მოძღვრავენ, რომ
ეძიონდაეძიონდაეძიონდასაცნაურჰყონ ჭეშმარიტება
და არაა საშველი, ღმერთო!
მას არ უნახავს ღამე, რომელიც ხშირად ისეთი უსაზღვრო და უძიროა,
რომ ჯიბეში ჩაიძვრენს კაცი;
მას არ უნახავს და არ იცის, რას ნიშნავს ვეფხვი,

რომელიც სვანმა მონადირემ მოკლა და მერე
აი, ასე დაიტირა:
"შენ არ მომეკალ და შენს მაგივრად შვილი მომეკლა;
შენ არ მომეკალ და შენს მაგივრად სახლი დამენვა;
შენ არ მომეკალ და შენს მაგივრად დედა მომეკლა;
შენ არ მომეკალ და შენს მაგივრად თავი მომეკლა".
მას არ უნახავს სხვა ათასი და მილიონი,
მაგრამ მან ნახა **დედის საშო**, და უკვე იცის:
ხეები დუმილს მოარღვევენ მისი სიტყვის გადასარჩენად;
იცის: სიკვდილი ურიცხვია, ხოლო ის – ერთი:
იცის: სიზმართა ნაშიერნი, მეძავები და საყვარლები,
მათხოვრები და ობლები და მეომრები, ვის უხმობენ მანათობელ მზედ;
მან შობა დედა და, ღმერთმანი,
უსიკვდილოდ დაიბადება!

# ოთხი ფრაგმენტი ფიქრებიდან

1.

... დამისაზღვრეთ, ჩემივე სუნთქვა დამისაზღვრეთ,
პური და წყალი და დედა და ნანა და
იყო დამისაზღვრეთ,
ჩემი მოძმეებით დასახლებული და ჩემზე მოფიქრალი
გალაქტიკები დამისაზღვრეთ,
და, მნამს, არასოდეს მოვკვდები და
არასოდეს გარდავიცვლები!..

2.

... ხანგრძლივია ნინაპარი და სისხლი ჩემი!
ქვათა და მტვერთა და ფრინველთა სიტყვა ყოველი
ჭირისუფალს საუკუნით ჩამოიტოვებს
და ჩემი ლოცვის თვალსაწიერს მოკრძალებით შეეკედლება;
ჯიშიანი ჩემი ხეები
მილიარდობის სიზმრისა და სინანულის გზაგასაყარზე
ნამხდარ ტოტებს ცეკვა-ცეკვით შემოიმსხვრევენ,
და თავ-თავის შემოდგომას შეუყვება სიტყვა ყოველი,
საქმე ყოველი ფრინველთა და მტვერთა და ქვათა...
როცა, ნგრევის ჟამს, უგზოუკვლოდდაბადებული,
ცისკრის ხმობამდე მორკინალი, ჟინს იცხრობს ჩვილი,
მყვირალობის მნუხრს ჩვენი ხმა თუ მინად გაიგებს,
სულთა ფერხულში ეგებ ბრმებიც გამოერიონ
და ნაპირებზე გამორიყონ მკვდარი ტალღები,
სიტყვათა და საქმეთა მიღმა
ერთგულების ბლაგვი ხმლები მიმოიძიონ;
ხოლო ხეები, ჯიშიანი ჩემი ხეები,
სხვათა ხსოვნაში არასოდეს გახიზნავენ დაკარგულ მიზანს;
ჩემს ყრუ ღიმილში გამოზრდილი ქარის ბელტები
გულისგულთა სამზეოზე არასოდეს დაეყრებიან;
ჩემს საგალობლებს დანაფებული ცხედრები და ღამეები
უსიკვდილოდ მიერთგულებენ
და ვნებიანი მათი სუნთქვა ვარსკვლავებისკენ
ისევ მინის ცხელ ოხშივარს დაემგზავრება...

3.

... ვფიცავ, შექსპირთაბეთჰოვენთატიციანთა მოდგმისაა

ეს კედელი, ეს თხუნელა, ეს ქორწილი, ეს ფეხსადგილი;
მორიგ საქმეზე მწარე ფიქრით შუბლშეკრული მეკობრეა
ეს მისტიკა, ეს ავანგარდი;
ოდისევსია ეს მოკრივე, ეს – ამირანი:
რითაა სავსე მათი კუჭი და მათი მკერდი?
აი, ამ კაცის მოჭრილი ფრჩხილი
ულამაზესი ნატურმორტის უმთავრესი ატრიბუტია;
უპატრონო ბავშვთა სახლის ამ აღსაზრდელს
დღეს, XX საუკუნეში,
მოთქმით ეძიებს
აგერ-აგერ ხუთასი წლის წინ
ქართველის მიერ ოსმალოზე გაყიდული ქართველი დედა;
აი, ამ სახლის მასპინძელი
გუშინდელი სტუმარია და "გაუმარჯოს!";
ოდესლაც მჭიდროდ დასახლებულ ამ მეცხრე ციდან
ახლა ოდენ ანგელოზთა ჩურჩული ისმის;
უსახელო ბრმაა ეს ღამე:
თუ გსურს გულიდან მოირეცხო შესაძლო სევდა,
აჩუქე ფული და დაგწყევლის და განგარისხებს;
ჩამქვლეულია ყველა სიტყვა,
ჩვენს ყვირილთან შეუღლება რომელსაც სურდა;
ტყვედ ნასხმულია ყველა ფიქრი,
მწირთათვის და ყარიბთათვის
ნოყიერი ხელისგული რომელსაც სურდა;
ხოლო სიმღერა სხეულია, ჩვენ რომ მოგვტეხა
და ისე მოგვკლა, ერთხელაც არ დაგვარწყულა
და გმადლობთ, ღმერთო!
ერთ მშვენიერ დღეს მონდომებით მოვკვდებით დედას,
ათასობით სიკვდილის წინ რომელიც ვშობეთ,
და დადუმებულ სისხლთა მიღმა თავს მივცემთ წყვდიადს...

4.

...ჟამიდან-ჟამად
თქვენ, ადამიანებად და გზებად დაღვრილო ღვთისმშობელო,
თქვენ, ცეკვებად და ჰიმნებად და სათამაშოებად დევნილო ღვთისმშობელო,
თქვენ, ზურგებად და ტერფებად და კეფებად და უკანალებად გამოჭრილო
ღვთისმშობელო,
სინათლეებით და სიკეთეებით და მშვენიერებებით დაღლილს,
მოკრძალებებით და გმირობებით და ქველმოქმედებებით დაღლილს,
ამაღლებულებით და ნამებულებით და ამდენი ჰუმანური ჟესტით დაღლილს,
მომენატრებითდამომენატრებითდამომენატრებითდამომენატრებით და
თავს ზემოთ ძალა არა მაქვს და სხვა რა გაეწყობა,
განატრობთ!..

# ბახი

## 1.

სიღრმე - სიღრმეთა მწყალობელი: თვალი ჩემი და სასთუმალი:
ხიდი უმეცარ მოძღვარსა და ამოუხსნელ სურვილთა შორის:
"ავაჰმე", - ლტოლვა ვნებათა და უშვილ-ძირო ცეკვა-სიმღერის!
სითხედ მონურვილ მნათობს გულში დავივაკებ და ვეედრი წყვდიადს,
უკუშობილთ მფარველობდეს სისხლთაღრევამდე.
ზარი მოზარეს დაურჩება,
სამრეკლოს დაისს გადახვეწილ მონაფეთა დუმილი იტყვის,
და მგლოვიართა გულისწადილს, ჟამიდან ჟამად,
ყმადყოფილთა საფიქრალი აუმხედრდება;
ძუძუთა შორის არხეინად ასხეპენ წყვდიადს
ბრმადშობილის ბასრი თვალები;
ნაღალატევი არასოდეს ინატრებს სიტყვას;
მხოლოდ, მრისხანედ შუბლშეკრული, მარად და მარად,
ნითლად ღვიოდეს დასავლეთი,
და ბედნიერთა ჯერეთუმტკიცი გულებისკენ წარემართოს
ზამთრისპირი, - ვერთქმული დედა.

## 2.

ღმერთი ვერ ხარობს ჩვენს მზერაში,
ვერც ყვავ-ყორანთა ამოძახილი შემოიკრებს სასიმღეროდ
ჩვენს მფრთხალ განთიადს!
ვინ იგალობოს მზისგულიდან მკვდრადშობილთა მოკრძალებით გადმონაფიქრი?
ოროლი ბეცთა ნამსხვრევებად ვისმა სუნთქვამ მიმოაბნიოს?
სად მომიხელთონ: თვალმა ჩემმა და ხმამ ჩემმა და ხორცმა ჩემმა?
უკურნებელი სათქმელი ვარ, უნაპირო სისხლი-ფრინველი,
ხოლო სამყარო, - მირიადი მზის ნიაღვარი, -
ტანზე მადნება; და, შიშველი და უჩინარი,
სხვას ვერას შევძლებ: ხეთა კვალად,
ჩემივ სიკვდილს მოვიჩრდილებ და სიზმრებად გავენაპირდები;
სივრცე, რომელსაც დაამდაბლებს მოგვთა ღიმილი,
ხელშეუვლებთა საუფლოში საშობაო მელოდიად მიინურება
და გუშინდელ დღეს სიყმაწვილედ მოისურვილებს;
ჩვილს, - უნმინდურთა განსანმენდელს და განსაკითხავს, -
ისევ კივილი წარუძღვება გამთენიის გულისგულისკენ;
ბერნთა სატკივარს შერევნილ და მიუვალ მთიებს
ბრმა იყმუვლებს და იშიმშილებს ისევ და ისევ...

3.

ცისკენგზებზე – ხე-შლაგბაუმთა ლეგიონი:
ნაბიჯ-ნაბიჯ განშლადი სივრცე:
ვარსკვლავთათვის სამყოფი და მროკავთათვის სიტყვაძუნნი:
ყველა ჯურის გარდმოცვლილთა თავშესაფარი;
კუთვნილი გვამის ძაძით მოსილ-დახშულ ბაგეზე
ხელს აიფარებს პირველი ქალის არსაიდან მოსული მზერა;
კვდება იდუმალი და კვდება ჩუმი და
შემოდგომა გაზაფხულის სუნთქვაა მხოლოდ და – საბერველი მოზარეთა,
და ფოთლებად დაძარღვულ მზეში მიმოიქცევა ჩემი სევდა,
როგორც ქალში რძე, - მარადიული სარკმელი მკერდის;
როგორც გზის ჩრდილი, ჩრდილი მთვარის,
ნისლოვანთა ცოცხალი ჩრდილი,
და ოაზისი, - ნამოქმედარ-ნახელავი ხასათა ჩვენთა,
და ხე, - სამოსელი ჩემი;
ხოლო ცოდვათა არცოდვებად შემოტევის ჟამს
ღამე ბილიკია უმნიფარ გულთა და დახვეწილ რხევათა
და ხორცს გადაყოლილ ფრიალო კლდეთა და
დაოსებულ მკლავთა ღიმილისკენ;
ღამე ბილიკია, მორცხვად დამართული, ნარმართთა ფიქრისკენ, -
მზეს რომ მიუძღვება საით და არსაით,
და შენ ჩურჩული ხარ ჩემი!

4.

ბაგე მზერაა, მეუფებადაკარგული და ვერშობილი,
იმ ხმისკენ, სისხლს რომ დაადევნა,
და მხედრები ვარსკვლავებმა შემოგვინახეს;
როცა ნათელი აიმღვრევა,
ჩემი მზერა მოიცავს წყვდიადს.

## მე შენ ბულბულის საამური გალობა მეღვრება სულში

### ტექსტი

1.ისამბობსვაიდაეაიმერეკიდეეერთხელვაიდავაიმეშენსგულშიდავიძირებისადაცთ-
ოვლისვარდისფერივარდნაციდანმინისკენმომწყდარკაცსჰგავსმიზანიერთი2.ჩვენ-
ყველასგვინახავსერთხელმაინცროგორკვდებასიტყვაანფერიანბგერამაგრამარავ-
ისგვიტირიარადგანიგიმართლაკვდებანუმომატყუებ3.ესსიზმარიაესცხადიახოლო-
სამზარეულოშიისევგემრიელადდამშვიდადბარდნისდაგაზაფხულისმოლოდინშიმ-
ერომპურზეგაგეგზავნებიაისიზმარცხადისუსახელოანათალიდასინათლისკენთავ-
განწირულიდაგაბმულირღვევა4.ბოლოსდაბოლოსგამოვუტყდითერთმანეთსრომს-
იყვარულიარსებობსდაიგიალმერთიდაათასობითნამძინარევიხილვაგროვდებაჩვენ-
შიდაჩვენგანსაითისაროშენივკუდისკენგაწვდილოხელო5.დაგვლეჭავენდაშეგვჭამ-
ენდაშეგვახრამუნებენდამერეროგორიჟინითდაგვეღეჭავენდაშეგვჭამენდაშეგვახ-
რამუნებენროგორცქვაშეიძლებაიქცესქვიშადანწიგნიგაზეთადანსულაცგაზეთილ-
იტერატურულსაქართველოდდაიცროგორივნებიანიღიმილითდაგვღეჭავენდაშე-
გვჭამენდდაშეგვახრამუნებენნუიტყვნუიტყვი6.ისარშეიძლებაგაქრესისყვავილია-
ყვავილსარასოდესუჩნდებასურვილიფლობისისყვავილიადაარასოდესუჩნდებასუ-
რვილიფლობისსაკუთარითავისაცკიარაისყვავილიაისარშეიძლებაგაქრესთავისუ-
ფლებაყვავილია7.განცხადებასაკანალიზაციომილებიავარიულმდგომარეობაშიახ-
ვალზეგშეიძლებაწარღვნითდაემუქრონქალაქსმდინარეებმასვლაშეანელესდამათ-
ტვინშინალმივითდევსფიქრიუკუქცევისადამიანთასიკეთისდასათნოებისვერდამთ-
მენჩრდილოეთსგულიუთბებადასამდურავებითდასაჩივრებითაასავსეკაცისკაბინ-
ეტიუფროდიდიწარღვნავიდრეადამიანიწავედით8.მერწმუნეჭინჭშიგამოკრულიეს-
ხურდაფულიიმმათხოვარმადაკარგარომელიცკარგახანიაალარმინახავსამიტომმე-
ამწმინდაფულითვერცჯვარსშევიძენდავერცსანთელსვერცრომელიმეკეთილიმღვ-
დლისფორსირებულფონდშიგადავრიცხავარასაჯაროდგანვაცხადებმათხოვრებო-
ყველაქვეყნისაშეერთდითდათქვითვისეკუთვნისასეთდაასეთჭინჭშიგამოკრულია-
მდენიდაამდენიფულიისინიიტყვიანსიმართლისსახელითსიმართლესიტყვიან9.ძერ-
ასესუფსკრულიცამოუვსიადალმერთსმიბარებიამოიშორესახიდანმტვერი10.გვარ-
ებიგვარებიგვარებიუსაშველოდგამჭვირვალედასაძოვარსშერჩენილიგვარებიგზა-
შიანგოგირდისაბანოშიანმარმარილოსქვებზეანყოველორნებისმიერასოსშორისუ-
ზუსტესიდაუსწრაფესიგვარებიცენტრიდანულიძალადაქროლვისკაეშანიროგორც-
უსასრულომწკრივითვალისგულზეარსებულწრეში11.შენგალობდანაისეშეეიდამკ-
ერდშიროგორცნაღალატევიქალისცრემლიმინაშიშენგალობროგორცდამიზნებულ-
იიარაღიროგორცჩიტირომელიცვერასოდესშეხვდებამიწასბგერაშიდამწყდეული-
სიჩუმედავალი12.თქვირომთოვსისეთქვიროგორცთოვსდაროგორიცთავადთოვლი-
ადათქვითოვლიდამოთოვსდაჰოიროგორითოვებსდასხვაგზაარექნებაოღონდთქვ-
ირომთოვსდააიმინათოვსდათოვსსამყაროდათოვენგულებიცისკენ13.მეშენბულბუ-
ლისსაამურიგალობამეღვრებასულშიდაძვირფასოდაასეთისეთომეშენთვალისდა-
უხამხამებლადწყალშიგადავვარდებიდაგავცივდებიდაშეიძლებამოვკვდემეშენმე-
რამდენედვტაცებელიხანჯალსდაგანვაგდედაისევვტაცედაისევგანვაგდემეშენმო-
ცარტისგულისგანმგმირავიმუსიკამბანგავედადავიოლინომომთქვამდადათუმომკლ-
ავისევშენმომკლავდათუდამარჩენისეთიდამტოვეეროგორიცვარუცხვირპიროცეც-

ხლოვანიდაარაფრისმთქმელიმეშენმტრედებიდაგვრიტებიდააფროდიტემილოსელ-
იდავარდებიდაყოჩივარდები 14.ვინარღალატობსყოველნამსვლალატობთდავკვდე-
ბითღალატობენგნებავთძვირფასისაფლავებიდახეებიდაბალახებიდასულოჩემოს-
ულოჩემონუიტყვიღალატსშენსარქველიხარსამყაროშიდასაკუთარფრთასშეხიზნ-
ულიფრინველიხარდაშენხარსისხლიმინისგულშიგადასასხმელი 15.დაბეჯითებითი-
მეორებსაიისინიპოეტებიდაადამიანებიაღებენქალაქსდაძლიერდებაძაღლისყეფა-
მამლისყივილიგამარჯვებულისპეშვზემორთხმულიმზისსახილველადგამორბიანდ-
აღლილიდადარცხვენილინაფეხურები

კომენტარი

1. ის ამბობს ვაი და ვაი მერე კიდევ ერთხელ ვაი და ვაი მე შენს გულში დავიძირები სადაც თოვლის ვარდისფერი ვარდნა ციდან მინისკენ მომნყდარ კაცს ჰგავს მიზანი ერთია 2. ჩვენ ყველას გვინახავს ერთხელ მაინც როგორ კვდება სიტყვა ან ფერი ან ბგერა მაგრამ არავის გვიტირია რადგან იგი მართლა კვდება ნუ მომატყუებ 3. ეს სიზმარია ეს ცხადია ხოლო სამზარეულოში ისევ გემრიელად და მშვიდად ბარდნის და გაზაფხულის მოლოდინში მე რომ პურზე გაგეგზავნები აი სიზმარ-ცხადის უსახელო ანათალი და სინათლისკენ თავგანწირული და გაბმული რღვევა 4. ბოლოს და ბოლოს გამოვუტყდით ერთმანეთს რომ სიყვარული არსებობს და იგია ღმერთი და ათასობით ნამძინარევი ხილვა გროვდება ჩვენში და ჩვენგან საით ისარო შენივ კუდისკენ განვდილო ხელო 5. დაგვლეჭავენდაშეგვჭამენდაშეგვახრამუნებენ და მერე როგორი ჟინით დაგველეჭავენდაშეგვჭამენდაშეგვახრამუნებენ როგორც ქვა შეიძლება იქცეს ქვიშად ან წიგნი გაზეთად ან სულაც გაზეთი ლიტერატურულ საქართველოდ და იცი როგორი ვნებიანი ღიმილით დაგვლეჭავენდაშეგვჭამენდაშეგვახრამუნებენ ნუ იტყვი ნუ იტყვი 6. ის არ შეიძლება გაქრეს ის ყვავილია ყვავილს არასოდეს უჩნდება სურვილი ფლობის ის ყვავილია და არასოდეს უჩნდება სურვილი ფლობის საკუთარი თავისაც კი არა ის ყვავილია ის არ შეიძლება გაქრეს თავისუფლება ყვავილია 7. განცხადება საკანალიზაციო მილები ავარიულ მდგომარეობაშია ხვალ-ზეგ შეიძლება წარღვნით დაემუქრონ ქალაქს მდინარეებმა სვლა შეანელეს და მათ ტვინში ნაღმივით დევს ფიქრი უკუქცევის ადამიანთა სიკეთის და სათნოების ვერდამთმენ ჩრდილოეთს გული უთბება და სამდურავებით და საჩივრებითაა სავსე კაცის კაბინეტი უფრო დიდი წარღვნა ვიდრე ადამიანი ნავედით 8. მერწმუნე ჭინჭში გამოკრული ეს ხურდა ფული იმ მათხოვარმა დაკარგა რომელიც კარგა ხანია აღარ მინახავს ამიტომ მე ამ წმინდა ფულით ვერც ჯვარს შევიძენ და ვერც სანთელს ვერც რომელიმე კეთილი მღვდლის ფორსირებულ ფონდში გადავრიცხავ არა საჯაროდ განვაცხადებ მათხოვრებო ყველა ქვეყნისა შეერთდით და თქვით ვის ეკუთვნის ასეთ და ასეთ ჭინჭში გამოკრული ამდენი და ამდენი ფული ისინი იტყვიან სიმართლის სახელით სიმართლეს იტყვიან 9. ძერას ეს უფსკრულიც ამოუვსია და ღმერთს მიბარებია მოიშორე სახიდან მტვერი 10. გვარები გვარები გვარები უსაშველოდ გამჭვირვალე და საძოვარს შერჩენილი გვარები გზაში ან გოგირდის აბანოში ან მარმარილოს ქვებზე ან ყოველ ორ ნებისმიერ ასოს შორის უზუსტესი და უსწრაფესი გვარები ცენტრიდანული ძალა და ქროლვის კაეშანი როგორც უსასრულო მწკრივი თვალისგულზე არსებულ წრეში 11. შენ გალობ დანა ისე შევიდა მკერდში როგორც ნაღალატევი ქალის ცრემლი მი-

ნაში შენ გალობ როგორც დამიზნებული იარაღი როგორც ჩიტი რომელიც ვერასოდეს შეხვდება მინას ბგერაში დამწყვდეული სიჩუმე და ვალი 12. თქვი რომ თოვს ისე თქვი როგორც თოვს და როგორიც თავად თოვლია და თქვი თოვლი და მოთოვს და ჰოი როგორ ითოვებს და სხვა გზა არ ექნება ოღონდ თქვი რომ თოვს და აი მინა თოვს და თოვს სამყარო და თოვენ გულები ცისკენ 13. მე შენ ბულბულის საამური გალობა მეღვრება სულში და ძვირფასო და ასეთ-ისეთო მე შენ თვალის დაუხამხამებლად წყალში გადავვარდები და გავცივდები და შეიძლება მოვკვდე მე შენ მერამდენედ ვტაცე ხელი ხანჯალს და განვაგდე და ისევ ვტაცე და ისევ განვაგდე მე შენ მოცარტის გულისგანმგმირავი მუსიკა მბანგავდა და ვიოლინო მომთქვამდა და თუ მომკლავ ისევ შენ მომკლავ და თუ დამარჩენ ისეთი დამტოვე როგორიც ვარ უცხვირ-პირო ცეცხლოვანი და არაფრისმთქმელი მე შენ მტრედები და გვრიტები და აფროდიტე მილოსელი და ვარდები და ყოჩივარდები 14. ვინ არ ღალატობს ყოველ წამს ვღალატობთ და ვკვდებით ღალატობენ გნებავთ ძვირფასი საფლავები და ხეები და ბალახები და სულო ჩემო სულო ჩემო ნუ იტყვი ღალატს შენ სარქველი ხარ სამყაროში და საკუთარ ფრთას შეხიზნული ფრინველი ხარ და შენ ხარ სისხლი მინის გულში გადასასხმელი 15. დაბეჯითებით იმეორებს აი ისინი პოეტები და ადამიანები აღებენ ქალაქს და ძლიერდება ძაღლის ყეფა მამლის ყივილი გამარჯვებულის პეშვზე მორთხმული მზის სახილველად გამორბიან დაღლილი და დარცხვენილი ნაფეხურები

## მეტატექსტი

1. ის ამბობს: "ვაი და ვაი!" მერე კიდევ ერთხელ – "ვაი და ვაი!" მე შენს გულში დავიძირები, სადაც თოვლის ვარდისფერი ვარდნა ციდან მინისკენ მომწყდარ კაცს ჰგავს; მიზანი ერთია!
2. ჩვენ ყველას გვინახავს, ერთხელ მაინც, როგორ კვდება სიტყვა ან ფერი ან ბგერა, მაგრამ არავის გვიტირია, რადგან იგი მართლა კვდება; ნუ მომატყუებ!
3. ეს სიზმარია, ეს ცხადია, ხოლო სამზარეულოში ისევ გემრიელად და მშვიდად ბარდნის და გაზაფხულის მოლოდინში მე რომ პურზე გაგეგზავნები, აი, სიზმარცხადის უსახელო ანათალი და სინათლისკენ თავგანწირული და გაბმული რღვევა;
4. ბოლოს და ბოლოს გამოვუტყდით ერთმანეთს, რომ სიყვარული არსებობს და იგია ღმერთი, და ათასობით ნამძინარევი ხილვა გროვდება ჩვენში და ჩვენგან; საით, ისარო, შენივ კუდისკენ განვდილო ხელო?
5. დაგვლეჭავენდაშეგვჭამენდაშეგვახრამუნებენ და მერე როგორი ჟინით დაგვლეჭავენდაშეგვჭამენდაშეგვახრამუნებენ! როგორც ქვა შეიძლება იქცეს ქვიშად, ან წიგნი – გაზეთად, ან, სულაც, გაზეთი – ლიტერატურულ საქართველოდ... და, იცი, როგორი ენებიანი ღიმილით დაგვლეჭავენდაშეგვჭამენდდაშეგვახრამუნებენ! ნუ იტყვი, ნუ იტყვი!
6. ის არ შეიძლება გაქრეს! ის ყვავილია, ყვავილს არასოდეს უჩნდება სურვილი ფლობის; ის ყვავილია, და არასოდეს უჩნდება სურვილი ფლობის, საკუთარი თავისაც კი – არა! ის ყვავილია, ის არ შეიძლება გაქრეს, თავისუფლება ყვავილია!
7. განცხადება: "საკანალიზაციო მილები ავარიულ მდგომარეობაშია, ხვალ-ზეგ შეიძლება ნარლვენით დაემუქრონ ქალაქს; მდინარეებმა სვლა შეანელეს და მათ ტვინში ნალმივით დევს ფიქრი უკუქცევის: ადამიანთა სიკეთის და სათნოების ვერდამთ-

მენ ჩრდილოეთს გული უთბება და სამდურავებით და საჩივრებითაა სავსე კაცის კაბინეტი!" უფრო დიდი წარლვნა, ვიდრე – ადამიანი? წავედით...
8. მერწმუნე, ჭინჭში გამოკრული ეს ხურდა ფული იმ მათხოვარმა დაკარგა, რომელიც კარგა ხანია აღარ მინახავს, ამიტომ მე ამ წმინდა ფულით ვერც ჯვარს შევიძენ და ვერც – სანთელს, ვერც რომელიმე კეთილი მღვდლის ფორსირებულ ფონდში გადავრიცხავ; არა, საჯაროდ განვაცხადებ: "მათხოვრებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით და თქვით, ვის ეკუთვნის ასეთ და ასეთ ჭინჭში გამოკრული ამდენი და ამდენი ფული!" ისინი იტყვიან, სიმართლის სახელით, სიმართლეს იტყვიან!
9. ძერას ეს უფსკრულიც ამოუვსია და ღმერთს მიბარებია, მოიშორე სახიდან მტვერი!
10. გვარები, გვარები, გვარები! უსაშველოდ გამჭვირვალე და საძოვარს შერჩენილი გვარები... გზაში ან გოგირდის აბანოში ან მარმარილოს ქვებზე ან ყოველ ორ ნებისმიერ ასოს შორის, უზუსტესი და უსწრაფესი გვარები... ცენტრიდანული ძალა და ქროლვის კაეშანი, როგორც უსასრულო მწკრივი თვალისგულზე არსებულ წრეში...
11. შენ გალობ: "დანა ისე შევიდა მკერდში, როგორც ნაღალატევი ქალის ცრემლი – მინაში"; შენ გალობ, როგორც დამიზნებული იარაღი; როგორც ჩიტი, რომელიც ვერასოდეს შეხვდება მინას; ბგერაში დამწყვდეული სიჩუმე და ვალი...
12. თქვი, რომ თოვს; ისე თქვი, როგორც თოვს და როგორიც თავად თოვლია და თქვი თოვლი და მოთოვს და ჰოი, როგორ ითოვებს და სხვა გზა არ ექნება, ოღონდ თქვი, რომ თოვს, და, აი, მინა თოვს და თოვს სამყარო და თოვენ გულები ცისკენ...
13. მე შენ ბულბულის საამური გალობა მეღვრება სულში და ძვირფასო და ასეთ-ისეთო! მე შენ თვალის დაუხამხამებლად წყალში გადავვარდები და გავცივდები და შეიძლება მოვკვდე! მე შენ მერამდენედ ვტაცე ხელი ხანჯალს და განვაგდე და ისევ ვტაცე და ისევ განვაგდე! მე შენ მოცარტის გულისგანმგმირავი მუსიკა მბანგავდა და ვიოლინო მომთქვამდა, და თუ მომკლავ, ისევ შენ მომკლავ და თუ დამარჩენ, ისეთი დამტოვე, როგორიც ვარ: უცხვირ-პირო, ცეცხლოვანი და არაფრისმთქმელი! მე შენ მტრედები და გვრიტები და აფროდიტე მილოსელი და ვარდები და ყოჩივარდები!
14. ვინ არ ღალატობს! ყოველ წამს ვღალატობთ და ვკვდებით; ღალატობენ გნებავთ ძვირფასი საფლავები და ხეები და ბალახები და, სულო ჩემო, სულო ჩემო, ნუ იტყვი ღალატს! შენ სარქველი ხარ სამყაროში, და საკუთარ ფრთას შეხიზნული ფრინველი ხარ და შენ ხარ სისხლი, მინის გულში გადასასხმელი!
15. დაბეჯითებით იმეორებს: "აი, ისინი: პოეტები და ადამიანები აღებენ ქალაქს, და ძლიერდება ძაღლის ყეფა, მამლის ყივილი; გამარჯვებულის პეშვზე მორთხმული მზის სახილველად გამორბიან დაღლილი და დარცხვენილი ნაფეხურები..."

## მონატრება

ვინ ხარ შენ, ხეო?

ლუკმა ხარ მხოლოდ,
ქარის ყელში გახიდული ლუკმა ხარ მხოლოდ,
და ყოველი ჩვენთაგანი ლუკმაა მხოლოდ!
ქარი ხომ ერთობ ძლიერია საიმისოდ, რომ სიკვდილი უმოწყალოდ არ ფლანგოს, და ის გვქარობს, გვქარობს საუკუნო სიყმაწვილედ და უსასრულო ისრად, რომელიც თავადაა ქარი, - საკუთარ სიბრმავეში დევნილი და უსხეულო: ათასჯერ სისხლი.

ვინ ხარ შენ, ხეო?

ლუკმა ხარ მხოლოდ, ქარის მიერ ვერდანთქმული, სასულეში ვერგადამცდარი,
სიკვდილ-სიცოცხლის მარადმედინი ზღურბლი, და – კენტად დარჩენილი
დაბადების დღე,
და ცად განძარღვულ ფესვთა რხევას და მრუშთა და ავაზაკთა შემორიგებას
ჩვენი ბავშვების – პირობითი ანგელოზების – ყრუდშობილი ყიჟინა ერთვის;
რა შორს წასულან მათი თვალები!

ვინ ხარ შენ, ხეო?

ლუკმა ხარ მხოლოდ, ქარისმიერი ბედისწერით ძლეული ლოცვა,
და – ერთადერთი ღირსეული მეტოქე და ასპარეზი ჩვენი სიმღერის,
უშვილ-ძიროდ დარჩენილ ქერივთა უკანასკნელი ამოსუნთქვა:
მემირიადე უკუქცევის სიმარტოვეში გადადგმული ხანგრძლივი ფიქრი.

ვინ ხარ შენ, ხეო?

ლუკმა ხარ მხოლოდ, ქარის ცოდვებში საიმედოდ დამრგვალებული;
ვდგებით გვერდი-გვერდ, საიდუმლოთა ნამუსრევში გამოვარჩევთ
დავიწყებულ ზეცებს და ფიცებს და ჩამუხლვებს ყვავილთა და შამბთა პირისპირ,
ხოლო ის კვდება, - ჩვენი ვალი, და ფხვიერი მიწის სივრცეში დასანთქმელად
ილტვიან მკვდრები, როგორც წვიმები; როგორც რკინის შიშველი ფესვი.

ვინ ხარ შენ, ხეო?

ლუკმა ხარ მხოლოდ, ქარის ნერწყვად ქცეული ცრემლით ვერჩარეცხილი;
განმარტებულ სიტყვათა მიღმა შთენილი ხმა ხარ,
ხმოვანთა და თანხმოვანთა გარეშე ხმა ხარ,
არასოდეს სათქმელი და ამოსაგები;
და როცა დედა აკივლდება, მოკლული და შემოდგომად მიმონთხეული,
შორით აკვნები დაირწევიან; ღმერთს არას შევთხოვ;
ციდან კრძალვით თუ გამოისმის თაფლისფერი ნაბიჯები

ღიმილიან-სიზმრიან თვალთა.

ვინ ხარ შენ, ხეო?

როცა შენ იმღერ,
ალმოსავლური ტკბილეულივით ქვედაზიდულ ტრფობას უმზადებს კაცთა სევდა
გუშინდელ დღეს: გასაჩენად დაძრულ ვარსკვლავებს, უთვისტომო შეყვარებულებს,
განსაფეთქებლად გამზადებულ სამყაროებს, ნიცშეებს და ადამ-და-ევებს,
სვეტიცხოვლებს და ტიბეტებს და ზღვის მოლუსკებს და აი, აწმყო!
მე შენ ავაი უსასრულოდ გუშინ და ხვალ და აი, აწმყო!

ვინ ხარ შენ, ხეო?

## ის ფრთაა მზისკენ

მოირკალება ქარიშხალი თვითშობის განცდად, -
პირველქმნილ ვნებას ფრთხილად უბიძგებს
ღამეებად აღმართული გულისფეთქვისკენ:
კეთროვანთა და კეთილშობილ ვარსკვლავთა ფიქრი!
თვით გასაჩენად ამონასუნთქ სამყაროთა ყეფა-გნიასი
კაცთა მზერაში უკანასკნელ ამოკვნესად აღესრულება
და კიდევ ერთი, სასიმღეროდ განწირული, ბილიკი წაშლის
საკუთარ თავს ღმერთის ხსოვნაში;
სამიზნეთა და მსხვერპლთა მიღმა ერთგულ ასულს ხაპავს წყვდიადი,
და ყოველ სიტყვადგარდაცვლილში მორიგ ლოცვას ასათუთებს
ათასობით სიკვდილის და სინანულის გზაშესაყარი, -
უსიზმრო და ურგები მკერდი.

## ესკიზი საყმაწვილო აუტოტრენინგისთვის

ახლა/თქვი/ბერნი/არა/ასე/ბერნია/ბერნი/გაიმეორე/კიდევ/ერთხელ/ბერნია /ბე-
რნი/აი/მოდიან/შვებისმომგვრელი/ცეკვები/და/ორგიები/ბერნია/ბერნი/აი/უსი-
სხლო/დაკვლები/და/ვარდნები/და/ღალატები/და/მარსის/და/ანდრომედას/გალ-
აქტიკის/მიმართულებით/გასროლილი/ხელჩაქნევები/უკვე/იწყება/ნეტარების/ნ-
ელთბილი/სივრცე/ბერნია/ბერნი/ხელისგულები/ო/ისეთი/მხურვალეა/და/ისეთ-
ი/ძარღვიანი/ბერნია/ბერნი/ასჯერ/ათასჯერ/მილიონჯერ/ბერნია/ბერნი/ვისთვ-
ის/შლის/მკლავებს/ადუღებული/ეს/მდინარე/ვისთვის/იხდის/უკანასკნელ/სა-
მოსს/და/აი/ვის/გაუწვა/ფეხვნებიანი/ო/მისი/მკერდი/როგორც/სიტყვა/მიწიდან/
ცისკენ/დამართული/ან/ვაკუუმი/ბერნია/ბერნი/ო/ჯიშიანი/მისი/ჭიპის/შე-
მოგარენი/წყლით/მოაპკული/ლურჯი/ხორცი/და/მტრადქცეული/ხალხით/სავსე/
ავანსცენა/ბერნია/ბერნი/ო/ჯიშიანი/მისი/ჭიპის/შემოგარენი/წყლით/მოაპკული/
ლურჯი/ხორცი/და/მტრადქცეული/ხალხით/სავსე/ავანსცენა/ბერნია/ბერნი/და/
ვინ/იმალვის/ნუთუ/წყვილი/ბერნია/ბერნი/ქრიზანთემების/სურნელებით/მოსარ-
კული/ღამისპირი/და/კურთხეული/იმედი/და/ბედისწერა/გუშინდელი/დღის/და/
შიდსი/გულში/როგორც/შვება/დამცხრალი/ლტოლვა/აღსრულებული/ანდერძი/და/
ყურადღება/ჰორიზონტზეა/კათარზისი/ბერნია/ბერნი/აი/დრო/იგი/ჩასაფრების/
დედაშვილობის/უსახო/მსხვერპლი/აი/კერძი/მარადისობას/ან/ვინ/მიართმევს/
ავადმყოფ/ცას/ტონობით/წამალს/ერთჯერადი/გამოყენების/ნემსის/ურიცხვ/
რაოდენობას/ტიბეტურ/და/ჩინურ/სასწაულს/ბერნია/ბერნი/კიდევ/ერთხელ/
ბერნია/ბერნი/ვის/არ/დაღლის/და/დააბერებს/ამდენი/ხველა/წვიმე-ბად/და/
სეტყვებად/და/თოვლებად/და/გადმონაფურთხის/მიზეზობრივდეჰუმანურ-
ქიმიური/შემადგენლობა/ვის/არ/ალაგზნებს/საროსკიპოდ/შიშველი/ღმერთი/და/
მე/არ/ეტყუი/შენ/არ/ტყუი/ის/არ/ტყუის/არავინ/ტყუის/და/მხოლოდ/წიიინ/და/
წიიინ/და/წიიინ/და/კიდევ/ერთხელ/ბერნია/ბერნი/ვისია/ნება/რაა/ნება/ბერნია/
ბერნი/უსაშველოა/ეს/სიმღერა/ბერნია/ბერნი/ლექსია/იგი/მოჟამული/ბერნია/
ბერნი/რა/მოხდა/მოხდა/არაფერი/ბერნია/ბერნი/რაა/ახალი/არაფერი/ბერნია/
ბერნი/რა/იყო/გუშინ/არაფერი/ბერნია/ბერნი/ხვალ/რა/იქნება/არაფერი/ბერნია/
ბერნი/ვინ/წაიშლება/ვინ/დარჩება/ბერნია/ბერნი/გაიმეორე/კიდევ/ერთხელ/
ბერნია/ბერნი/ათასჯერ/და/მილიონჯერ/ბერნია/ბერნი/უსაზღვრო/ჟინით/და/
მზით/სავსე/ლოცვა-შელოცვით/გაიმეორე/მილიარდჯერ/ბერნია/ბერნი/თუ/
გსურს/გადარჩე/გაიმეორე/უთვალავჯერ/ბერნია/ბერნი

## გრამატიკის გაკვეთილი

*ლევან დესპოტაშვილის ხსოვნას*

1.

| | |
|---|---|
| მე ვკლავ | მე ვმრუშობ |
| შენ კლავ | შენ მრუშობ |
| ის კლავს | ის მრუშობს |
| ჩვენ ვკლავთ | ჩვენ ვმრუშობთ |
| თქვენ კლავთ | თქვენ მრუშობთ |
| ისინი კლავენ | ისინი მრუშობენ |

2.

ტკივილთა შორის უმტკიცესი: სიტყვა: და მკერდი:
სიმნიფის ზღვარზე გამავალი აღტაცება:
ქარის ხმაზე დარწეული კლდეები: და მომჟავო ღვიძლი:
მომლოცველ ბრმათა უასაკო თვალს შერჩენილი მკრთალი სიგლუვე;
მოვა დედა, ნათელი და ერთსახოვანი,
და მოწყალების მინდვრები და გვიმრის ყანები შეიცვლიან მიმართულებას;
დაისი ხეა, უკანონოდ შობილი, და – სირცხვილის ხმალი:
გაურკვეველ ფიგურათა ძერწვის ვნებით ხმამოღერილი რიტუალი:
მითითებათა მუცლადღების კლაკნილი ზარი;
მშობლადქცევის დიდი ზრუნვით არასოდეს მიოცნებია,
მაგრამ ვინ შექმნა ჩემს ხატად და ნაოხრალ შრომად
აი, ეს მიწა, გალაქტიკა, ღალატი, შიში, -
არარსებული უფსკრულისკენ დევნილი მზერა?
ნებიერი და ამაყია ქვათათვის და ფრინველთათვის უხილავი კედელი ჩემი;
სინანულის ათად ათი საგალობელი; ან, სულაც:
ჩრდილი – ერთადერთი, ოაზისი – ერთადერთი, მეძავი – ერთი,
ნაგება – ერთი, ანმყო – ერთი, სარკმელი – ერთი;
ჟამიდან ჟამად ალახველებენ მტრედისფერი, უმიზნო ცისკენ
უნყინარი ჩემი სიზმრები,
და ერთობ გზაა იდუმალი, - დროდ ქმნილი სიბრტყე...

3.

| | |
|---|---|
| მე ვიპარავ | მე ვცრუობ |
| შენ იპარავ | შენ ცრუობ |
| ის იპარავს | ის ცრუობს |
| ჩვენ ვიპარავთ | ჩვენ ვცრუობთ |

| | |
|---|---|
| თქვენ იპარავთ | თქვენ ცრუობთ |
| ისინი იპარავენ | ისინი ცრუობენ |

4.

სამო: ძლეული კაცის მუშტი: მოწესეთა ტევადი რხევა:
მურა-შავმიწა ნიადაგი: დაკრეფილი ხსოვნა და ფიცი:
შელოცვა ტყისკენ, სადაც მირიად ადგილის დედას
ასამარებს ერთადერთი მეკვლეკაცი: მორჩილი მრევლი:
ნანინანატრი ჟამი მოვა:
მძევლები წყვდიადს ამოგვართმევენ და გაგვიბახებენ და დაგვიორსულებენ,
საუკუნოვანი ცაცხვივით მტკიცეა მათი მოწიფული ყვირილი და
ზღვასავით ვნებაამტანია სიმწრით მონაგარი მათი ცბიერება;
ნანინანატრი ჟამი მოვა:
მოსწავლეები მასწავლებლებს სახლში მხევლებად დაისვამენ,
დაარწყულებენ და დააპურებენ და ნამუსს მოსწმენდენ და ვაი მადლობის მთქმელს!
ნანინანატრი ჟამი მოვა:
წვიმები წელში განყდებიან ჩვენი გულებისკენ სწრაფვით
და ჩვენს უმანკო წყურვილებში უსასრულო ტრამალებად დამკვიდრდებიან;
ნაგვეტანება სიყრმე, - წარუვალ მტკიცებათა ერთგული ხვედრი,
და, ღამეული სინანულით მონიშნული, კაცის საქმეს უსახლ-კარო მხეცივით იტყვის,
და შეიქმს შიში სიყვარულს და
ჟინს დაიცხრობენ სანთლები და
გული ჩვენი ისნავლის სირბილს!

5.

| | |
|---|---|
| მე უნდა გადავრჩე | მე ვცეკვავ |
| შენ უნდა გადარჩე | შენ ცეკვავ |
| ის უნდა გადარჩეს | ის ცეკვავს |
| ჩვენ უნდა გადავრჩეთ | ჩვენ ვცეკვავთ |
| თქვენ უნდა გადარჩეთ | თქვენ ცეკვავთ |
| ისინი უნდა გადარჩნენ | ისინი ცეკვავენ |

6.

აი მე ვხედავ ალესილი ლოცვა როგორ ლაპლაპებს და უმალ როგორ ისვრება
სისხლით
აი მე ვხედავ ფრთებშეკვეცილი ანგელოზები მეწველ ძროხას ჩურჩულებენ
მთელი ხმით ციდან
მე ვხედავ ჩემივ გაკვირვებას როცა ჩიტი ხის გულს ეძებს და ფოთლები
თავგანწირვით შრიალებენ

ხოლო კაცნი იმღერენ და იხორცტკბილებენ
მე ვხედავ ჩემივ გაკვირვებას რომელიც გარბის და რომელიც ბევრად სწრაფია
ვიდრე ნება მისი მოხრჩობის
აი მე ვხედავ როგორ კვდებიან შაშვის გალობას ადევნებული ვარსკვლავები
და ბევრს იწონის ძალიან ბევრს მათი სისხლი და მათი ვნება
და არ იქნება საკმარისი არავითარი ოქრო-ვერცხლი თვალ-მარგალიტი
და მეგობრობა და იმედი და ნოსტალგია
და ხეც კი არა ზღვაც კი არა ცხენიც კი არა
მათ არასოდეს არასოდეს დავავიწყდებით
დედა-შვილობის და თვით რილკეს ფასადაც კი არა და არა
ამიტომ გალობს ეს ასული: ქარო ოღონდ ნუ დამუნჯდები
და მილიონჯერ მილიარდჯერ გავიმეორებ "დადექ შენ ქარო"
ქვრივო ქალებო წლისთავამდე შეინახეთ როგორმე თავი
და მილიონჯერ მილიარდჯერ გავიმეორებ
"არავითარი წლისთავი და განაგდეთ ფლასი ხსოვნის ჯვარი არაფერს ითხოვს"
ოღონდ ნურასდროს გამლაშდებით მდინარეებო
და მილიონჯერ მილიარდჯერ დაგცინებთ და დაგიტირებთ
"ზღვა მლაშეა და დიადია"
აი მე ვხედავ ალესილმა ლოცვამ შეა იგი და ვნატრობ მანვე მოაკვდინოს
და მე ენატრობ მინდვრად მწიფე და ლამაზ ყვავილს

7.

ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათი არაა ცათა სასუფეველი;
ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი არ იქნებიან ნუგეშისცემულნი;
ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი არ დაიმკვიდრებენ მიწას;
ნეტარ არიან სიმართლისთვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი არ გაძღებიან;
ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი არ იქნებიან შეწყალებულნი;
ნეტარ არიან წმიდანი გულითა, ვინაიდან ისინი არ იხილავენ ღმერთს;
ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ისინი არ იწოდებიან ღმრთის ძეებად;
ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი, ვინაიდან მათი არაა ცათა სასუფეველი.

# შესავალი

არ შეიძლება არ გცოდნოდა ოდესღაც ეს ხმა!
რა ერქვა? იქნებ – ალმაფრენა ციდან მიწისკენ?
ხოლო შენ გყოფნის ეს სამყარო, და გყოფნის ისიც,
ვისაც ჩურჩულით ივიწყებდი იმ წუთად და იმ ბრმა იმედად,
სიყრმის სუნთქვას რომ აცოცხლებდა, - უხსოვარ წარსულს,
და ნაყოფით ხორცსავსე ხეებს გული ერჩოდათ შენს ტყუილში ამოსასვლელად;
და ივიწყებდი, შენვე უწყი, აი, ამ კაცად,
ღამით მოსილი მკერდის კართან მორცხვად რომ ტოვებ
და ნეტარების მწარე ბილიკს შეუყვები, და – საით, საით,
როცა ტკივილი დედასავით უსაშველოა?
და ივიწყებდი იმ ღალატად, რომელიც იყო
და რომელიც არასოდეს აღარ იქნება;
ო, ამოთქვი და აღასრულე, სულო ცოდვილო,
ყმაწვილქალობის უასაკო ვალი, და ნადი;
გაბედულია შენი მზერა: დამშეულ წყლად გაწვდილი საფრთხე;
წამონაკვთული მოგონება იმ სიზმრისკენ, შენი ხსოვნა რომ შეიყვარა,
და სათუთია მისი წინასწარმეტყველება,
უკუქცეული მისი ბაგე - გალობა-ღვარძლი,
რომელიც არ შობს სიცრუეს, და ვინ ბედავს ზამთარს?
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
ამომზევდება პრესტიჟული მეუღლე, ხვადი,
რომელსაც, როგორც ძვირფას სამკაულს, სავსე მკერდზე მოირგებს ქალი...

# მე მსურს გაგაუპატიუროთ

(პროზაული ექსპრომტი ლექსად)

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
ქალიშვილო, შეხედეთ მთვარეს, რა ლამაზიააა.. იმდენ ლექსად გამომითქვამს ასეთი მთვარე... გავისეირნოთ, ძალიან გთხოვთ, თქვენ – და, და მე – ძმა! აი, ფოთლები: ერთ დროს გულს მტკენდა მათი ცვენა: დიახ, იციან, როდის უნდა მოწყდნენ და მაინც ბოლო წამამდე შრიალებენ, შრიალებენ გაუთავებლად... ჩვენ კი არ ვიცით... ან რა გქვიათ, ბოლოს და ბოლოს? ჩვენ ორი წამით გავჩენილვართ, ჩემი ორიდან ერთს თქვენ დაგითმობთ! მე არ ვხუმრობ, ნუ გეღიმებათ! თქვენ ისეთი კეთილი ხართ, ისეთი სათნო! აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
მომიტევეთ, ქალიშვილო, თქვენ გიყვართ წვიმა? ნუთუ ველარ მცნობთ? წლები, წლები, წავიდა, გაქრა! გახსოვთ, რამდენი გვიმღერია, დედათქვენს რომ ვემალებოდით? გახსოვთ ის ბაღი? საჯინიბო? მომიტევე, როდის გათხოვდი? ჩვენ, ყველანი, ქართველები ვართ და რა იქნება, შევიყვაროთ ერთმანეთი, ჰა, რა იქნება? რაზეა დამოკიდებული თქვენი განწყობა? მხოლოდ – ამინდზე? იქნებ – ჩემზეც? ან, ვთქვათ, ამ ძაღლზე? რა ხმა ჰქონია ამ ბარიტონს! ჩვენ იმდენი გვიმღერია, რა დათვლის, კარგო! მე შენ ყავაზე დაგპატიჟებ! შენი მეუღლე? ეჭვიანია? დღეს, მეოცე საუკუნეში? ჩვენ ხომ ერთ დროს ერთმანეთი ისე გვეიყვარდა, რომ რა ვიცი... რა დროა ახლა? ბოლო მწამს და ფიცი მაკვირვებს! აი, ასე, აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
გაზაფხული ჩამრჩენია გულის ჯიბეში! აი, შეხედეთ, შეხედეთ და ამოისუნთქეთ... ო, ქალიშვილო, აი, მთები, - მეავე სისხლის მოლოდინად ალესილი და მზის გასწვრივ ჩამავალი გულქვა ეშვები! ჰოი, ქარი აღმოსავლეთის! ჰოი, დუმილი მომლოცველთა და გულისფეთქვა აი, ამ ცის! რა აკლია, იცი, ამ მინას? მუსიკა, ჩემო! მერე ვქმნით, რომ დავივიწყოთ... მაგრამ როდის დავივიწყოთ მოცარტი და ლისტი და ბახი? სწორედ ისე, როგორც ხე და გამყინვარების დიადი ჟამი დავივიწყეთ, როგორც მამა ადამი და დედა ევა დავივიწყეთ... აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
დიახ, დიახ, სწორედ ის, ვინც შობს! ჩახველება ლოცვის ჟამს და სიკვდილის ხსოვნით ამოლამებული თვალები და საშოსკენ დანაწევრებული აღსარებები და სიურრეალისტური ზრახვები და თვით კუბისტური სიზმრები და მადლი, ქალიშვილო, მადლი! ყველაფერი, სწორედ ამ ქვეყნად: ბერიკაცი ლოცავს სიყვარულს და ესაა კომპენსაცია; ობოლი ბავშვი ბულბულის ხმით უგალობს დედას და ესაა კომპენსაცია... მაგრამ სიცოცხლე? ნუთუ ისიც კომპენსაცია ყოფილა და არა სიკვდილი? ო, იცი, როგორ დავიღალე? შენი თვალები! აბა, დახუჭე, აი, ასე! ახლა მისმინე: არ გეზმანება კუნთმაგარი ხეები და კუნთმაგარი მამაკაცები? აკი, ვთქვი უკვე, საშო მეთქი! აი, ისიც, ჩვილი საშოში, რომელიც ლოთობს! აი, ისინი, და ერთმანეთს ეძებენ ჩვილნი! აი, ისინი, და ერთმანეთს არწყევენ ჩვილნი! და, ღმერთმანი, ო, ისინი, ისინი, ჩვილნი! მოდი, დავხოცოთ ეს სათუთი და წმინდა ვნება, რომელსაც ჰქვია სიყვარული! აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
აი, ქოლგა, რომ არ დასველდეთ! "დიახ" და "გთხოვთ" და "მომიტევეთ" და "ინებეთ" და "ქალიშვილო" და ქალიშვილო, მე ვიცოდი, რომ მოხვიდოდით, მე თქვენ გელოდით და ღამეებს ბადეებად ვისროდი ცაში და მტკიცედ ნაქსოვ მის ხახაში ვარსკვლავები ცვიოდნენ და პლანეტები კარგავდნენ წონას, მეტეორები ცივდებოდნენ და... კიდევ რა ვთქვა... ჰო, ძლიერი მკლავი მქონდა თქვენს მოლოდინში! მთელი ცხოვრება, დამიჯერებთ? და გავრბოდი და ვისვენებდი, გავრბოდი და ვისვენებდი და გავრბოდი და ვისვენებდი და, თურმე, თქვენი ოცნებისკენ მოვისწრაფოდი! ნუთუ ცხადია? ნუთუ მართლა ბედნიერი ვარ? გაზაფხულს ხელი კრძალვით უდევს ჩემს დაღლილ მკერდზე და არ მჯერა, აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
ასე, ერთად ვიფიქროთ, კარგი? სიყვარული და სიკვდილი ხომ ერთია და ჯერ სიკვდილის ვთქვათ: იგი თევზივით სრიალაა და – ხორცსავსე ატამივით სიტკბოუშვერი, იგი ერთგული მეძავივით მოქნილი და თოვლის ფიფქივით მსხვრევადია, საკუთარ თავს შემომწყრალი დროა იგი და შენ ხარ იგი! ხოლო არ მჯერა გარდაცვლილთა მჭევრმეტყველების, მათი ყოვლად უცნაური მოგონებების; და ფერფლით სავსე, ვერცხლოვანი მათი ურნების; და სამახსოვრო ნივთების და იქ გაჩენილი შვილების და იქ შექმნილი კარიერის და დავარდნილ სხეულთა და მოპოვებულ ჯილდოთა და ღალატის და თვით ერთგულების! ო, მისი სისხლის მიმოქცევა, უთვალავი არტერია, - გველის სიბრძნით გაკლაკნილი ერთადერთი უმიზნო მზისკენ; მისი სიმთვრალე და გინება და უთვალავი მანდილოსნის უმკაცრესი სისათუთით მიპატიჟება ლოგინად, და – აკვნის თავთან უწყინარი, ძუძუსავსე იავნანა; ხოლო ბავშვები, დაცინვის და ზიზღის ნიშნად, ციდან ფიფქებს გადმოყრიან და აჰა, იგი, - ხვალ და გუშინ და მაშინ, როცა ის კვდება ერთხელ, და

შენ ხარ იგი! ხოლო რა ვთქვათ სიყვარულის, ყველაფერი ნათქვამია, და შენ ხარ იგი! თუ ღმერთი გწამთ, ერთი წუთით, აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
აი, ჩემი "მერსედესი", სიკეთეში მოიხმარეთ, მე კეთილი ვარ! სათოფეზე არასოდეს დაგენახვებით! რა სალონია! უკანასკნელი ყვირილი მოდის! ჰოი და, მოდა! მე მწამს სიკეთის, რაინდული შემართების, გაუმარჯოს ერთობ სიკეთეს! უყურე და დატკბი მხოლოდ, - რა კარგია, სიკეთეს რომ მოიმოქმედებ; უყურე მხოლოდ: ჭიასავით... არა, ღორის სოლიტერივით ირევა ხალხი, მერამდენედ როცა ილვიძებ და ჩასთვლემ და ისევ ილვიძებ და შენ ხარ ფიქრი ამათგანი და ისინი იცინიან, თოჯინები იცინიან, და მერწმუნეთ, არ უყვართ ფიქრი! ფიქრი ხომ ერთობ სიკეთეა, ხმალია ფიქრი, და ალბათ – კეთილშობილებაც, და ისინი არ არიან კეთილშობილნი! ისინი კლავენ და მოთქვამენ და ნეტავ – ვის? შენ ხომ არა? განა შენც მოთქვამ? რას, ძვირფასო, რაც არ გაგაჩნდა? რა იყო იგი? მტვერი იყო, წამალი იყო! განა არ უნდა გახსნილიყო შაქარი წყალში? ჩვენ ხომ ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის: რაც შენ გინდა, მეც ის მინდა, ასე არ არის? აი, მე რომ გეუბნებოდი: უკანასკნელი ბღავილი მოდის, დიახ, ერთობ მსოფლიო მოდის! ხოლო საწოლზე – ალისფერი ატლასი და ვარდისფერი აბრეშუმი: აი, კომფორტი! ჩვენი სტუმარი მხოლოდ ჩვენი ხომ არ არის, იგი ღვთისაა! რა კომფორტია! აი, ასე, აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
ქალიშვილო, აი, ეს ძაღლი! ლეკვები, ერთ დროს ტრაგიკულად რომ დაეღუპა – სადღაც ასე, ათასობით საუკუნის წინ – დაიტირა, დაასაფლავა, და მას მერე მხოლოდ ყეფს და მხოლოდ ყმუის, არაფერს იტყვის! დაღუპვა რომ სიმბოლო იყო! ძაღლმა ეს იცის! სიმბოლო იყო დატირებაც, ისე, როგორც სიმბოლოა ჩვენი სახლები და ომები და კაცისკვლები და მეძავთა საქმიანი იერი და ბელადები და მეფეები; სიმბოლოა საგანი და კაცი ყოველი; და თვით სიკვდილიც სიმბოლოა, და ჩვენ მასში, როცა დრო დგება, ისე შევდივართ, როგორც კინოში ან თეატრში ან ბორდელში ან ტუალეტში, ხოლო კარს ხშირად არც კი ვხურავთ, მოგვეტევება! და ეს არაყიც სიმბოლოა, ეს ნაყინიც და ეს ნამცხვარიც! და მერე როგორ მოგვეიხმობენ, რათა ვიგემოთ! და ჰოი, გემო, ჰოი, გემო, აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

მავანი გეტყვით:
გთხოვთ ამიხსნათ, ქალიშვილო, ეს წვიმები საიდან და რატომ მოდიან? ერთობ სუფთა და დაწმენდილი ეს წვიმები საიდან და რატომ მოდიან? იქნებ – ისევ ჩვენი გულიდან? ან ვით შეიძლეს ამ მინათა ამორღვევა ან ზეცისკენ როგორ წვიმან ასეთი სევდით?

ხოლო ფოთლები შრიალებენ და კედლები თბებიან და საყვარლები სარკმლებს ცრემლებს პარავენ და მოყევით, მოყევით, როგორ წვიმდა! ან სულაც ის თქვით, ოფლში განბანილ ამ სიმღერებს ან ამ მთვარეს ან ამ ქალებს სად ეჩქარებათ? აი, სიმძიმე; აი, სისხლი; აი, მარჯვენა, საკუთარ თავს ლომბარდში რომ მიარბენინებს! განმიმარტეთ, რატომ უყვართ ამ სუფთა წვიმებს მაინც და მაინც გარდაცვლილთა გულებში დგომა? ქანცგაწყვეტილნი აი, უკვე მერამდენედ ჩამოქვეითდნენ; ო, ვნებიანი მათი სუნთქვა, ვნებიანი მათი მზერა, ვნებიანი მათი გავა და სურნელება! ან რას ფიქრობენ ეს წვიმები? რას იხსენებენ? რატომ დგანან ასე ხანგრძლივად? ან იქ, ცაში რა დარჩენიათ? ო, სათნოებით გაჟღენთილი თქვენი სახე, თქვენი თვალები! უთუოდ გამცემთ ამ კითხვებზე მეწამულ პასუხს და მე ლოცვად გავიკრიფები და უსასრულოდ, უსასრულოდ დავდგები და... აქეთ მობრძანდით

რა მშვენიერია სამყარო, არა?
მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!

ხოლო ხვალ-ზეგ მოვა კაცი, ჩემზე მართალი,
და ასე გეტყვით:
მაგარია სამყარო, არა?
უნდა გიხმაროთ, ქალიშვილო, გთხოვთ დამრთოთ ნება!

# ვარდნი ჰყვავიან ხოლო ვარდნი რას ჰყვავიან არავინ იცის

**(ზეინკლის ჩანაწერებიდან)**

*აი, სამყარო! აი, ვარსკვლავები: ურიცხვი საქალწულე აპკი! რატომ იგვიანებს პირველი "ვაი"? ვინ მოისმენს ვარსკვლავთა სკდომის დამანგრეველ ხმებს? ვის გადაეღვრება თავზე პირველი სისხლი?*

ავტორი (მუშაკაცი ქ. თბილისის ერთ-ერთი ქარხნის 25-ე საამქროდან)

1.

დაკითხულ იქნას ნებისმიერი ჩემთაგანი: ვინ არის გვალვა,
ჩემი გულიდან სასიმღეროდ გადახვეწილი,
ჩემი გულის სიკვდილად რომ შემომართულა?

2.

გაზაფხულია: ცვივა ფოთოლი და ერთდღიანი ქარები ქრიან.
დაქალებულან ჩემი სიზმრები.
მე მინდა: ამ ხეს ტყე ერქვას და ცხვარს – ფარა და ძროხას – ნახირი;
მე მინდა: ირემს არვე ერქვას და მგელს – ხროვა და მერცხალს – გუნდი.

3.

რაა შიმშილი? ოცნებაა მიუწვდომელზე. გადმომიჭერს მათრახს და ნავა.
ხოლო სისხლი ცხვირ-პირს შეიკრავს, და მერე მთელი შენი ცხოვრება
ნაჭრილობევს უნდა ეძებდე:
იმოგზაურო უნდა მერე გულიდან თმისკენ, თმიდან – ხელისკენ,
ხელიდან – სწორი ან თორმეტგოჯა ნაწლავისკენ, კუჭისკენ, ფხისკენ...
ან ღამე რაა? ღვთის საცვალი, რომლის ნაკეცში
თბილად სხედან ნაყროვანი გალაქტიკები, -
იავნანას იმღერენ და იხორცტკბილებენ.

4.

ვარდნი ჰყვავიან ხოლო ვარდნი რას ჰყვავიან არავინ იცის: არ ჰყვავიან ისინი ატმებს წიგნს დროშას ჭოგრიტს კომბოსტოს ან გადამთიელ სიკეთის ადეპტს ქარებს და ციყვებს მარადიულ სიჭაბუკეს და მაღალ მიძღვნებს;

წყვილები ტყეში შერბიან და რას შერბიან არავინ იცის: არ შერბიან სიყვარულს და ხორცსავსე ვნებებს და ვენერებს და თვით ატომურ განავლებს და პრეზერვატივებს და მოკრძალებულ გამოხედვებს და ვერგაგებებს და საშოებს და თეატრებს და ძვირფას სამოსელს და ლაღ სიცილს და გამოწვევებს და ხალხმრავლობებს და მაყვლოვანს და სერენადებს კალთაფერად სიმორცხვეებს ან სულაც ნდობებს;

ქარები ქრიან და რას ქრიან არავინ იცის: ჯარისკაცთა და მონესეთა არ ქრიან ფიქრებს არ ქრიან სარკმელს გომბეშოს ან ვირს ან ფეხსაცმელს არ ქრიან ქალაქსაროსკიპოებს (ნიმუშად: თბილისს) და მოქნილ და განაფულ სიზმრებს როცა იხვი ჩემი მკერდია არ ქრიან მამულს ან ჩიტის რძეს ან ქარიშხლებს ან ქარიშხლით შეყვარებულებს;

აცეკვდებიან მკერდები და რას ცეკვავენ არავინ იცის: არ ცეკვავენ ისინი ყვავილს მოჭრილ მარჯვენას ან მიხრწნილი მეძავის ქვითინს და ერთგულებებს და რქებდადგმულ მიცვალებულებს და მამარდაშვილს და მარტორქებს ან სულაც გვრიტებს ღამეულ მოთქმებს და ქოთნებში დაზრდილ ვარსკვლავებს;

მთელი სიმძიმით მივფრინავთ და რას მივფრინავთ არავინ იცის: ჩვენ არ მივფრინავთ მაგიდებს და ფრთათეთრ ხეივნებს და არც თოლია ლივინგსტონს და მეფე ბელშარაცს ჩვენ არ მივფრინავთ ჩარხებს და ქლიბებს პირამიდებს დაობლებულ დედებს და ცისკენ გასროლილ იმედს მოკლულ მკვლელთა და სახიჩართა ხვალინდელ წარსულს ხავსს ქვაზე ჩაშლილ ბუდეებს და დახოცილ ყვავებს ჩვენ არ მივფრინავთ ლუდს და ძეხვს და შიშველ კარტოფილს

5.

მოჩვენებები დახოცილთა თეთრი სულები გადავიდნენ უკვე მოდიდან:
მშვიდი იქნება ნებისმიერი შენი ღამე:
აღარ ცურავენ დერეფნებში ნაღალატევ ქალიშვილთა უმანკო ხმები
და გაბმული და ძლივს გასაგონი სტვენები და სისხლიანი ყელსაბამი გამხმარი ფეხი:
აღარ პატრონობს რა ხანია ამ სახლს ადგილის კეთილი გველი:
თავს არასოდეს შეგახსენებს უკვე მოდიდან გადასული მისი ცივი დუმილი-სიბრძნე:
გნებავს დათესე გოგირდის და ზღარბის ყანები:
მშვიდი იქნება და ხორცსავსე ყოველი ღამე:
ინებე მხოლოდ და მთვარესაც და ხეებსაც და მწვანე ზღვებსაც დაიმორჩილებ...

სანაგვე ურნას გაუმარჯოს!
იგი არასოდეს გადავა მოდიდან
და არც მოდაში შემოვა ოდესმე!

6.

ცა ერთადერთია, ვისაც შეგიძლია ენდო.
ის არასოდეს ჩაიშლება.

7.

მისი დაჟინებული სიჭარმაგე!
მისი დაბეჯითებული კვდომა!
მისი უსასრულო ვნება ცისკენ!
მოყევი, მოყევი, როგორ წვიმდა!

8.

"მე რომ მოვკვდები ხვალ ან გუშინ არ დაიჯერო
ჩემი ცხედარიც რომ იხილო და ციე გვამს ხელი შეახო და მე არ შევვინძრე არ დაიჯერო
არ დაიჯერო თორემ მართლა მოვკვდები და არასოდეს დაგენახვები
შენ ის ერთი ხარ ვისაც ძალუძს დამიცვას და არ მიმცეს სიკვდილს
შენ გადამარჩენ ვარსკვლავები რას მიშველიან
რას მიშველიან თოლიები ან ეს მტრედები
რომლებიც როგორც ლაჟვარდოვან ცაბაღწალკოტში
მიმოფრენენ ჩემს მკერდში და მე მათით ვსუნთქავ
რას მიშველიან მოჟამული გალავნები ან ეს ბავშვები
ერთადერთი შენ გადამარჩენ
ხოლო მე იცი როგორ მინდა რომ ვიცოცხლო უსაშველოდ ბევრი და ბევრი
და სულ გიყურო აი ასე გიყურო ბევრი
ჩემს სამარეზე მიწა შენი ხელითაც რომ მიმოაბნიო არ დაიჯერო
მე არ მოვკვდები ჩემი სიკვდილი მილიონმა კაცმაც რომ ნახოს შენ თუ გიყვარვარ
ქარები მოვლენ შენს მუხლებთან ატირდებიან
ხეებიც მოვლენ მოვლენ ზღვები და ცხენები და ვარდისფერი მზეები მოვლენ
მოგისამძიმრებს შენივ მზერა და შენივ ხორცი
სხვაც მრავალი მოგისამძიმრებს
როდი ტყუიან მათ ხმებამდე მე ჩემი ხმა ვერ მივიტანე
შენ მიეახლე და გიყურონ და დარწმუნდნენ რომ ცოცხალი ვარ
იდექი ასე დამიმშვიდე ეს სამყარო
მე სულ წამით ჩამოვიღალე"

9.

...მაგალითად:

მუშა №1 – შენ მხოლოდ მზე ხარ, მოღერილი ჩემი გულისკენ!
მუშა №2 – კვალთა ნარჩენო, დაემგზავრე შენივ აღსასრულს და თვით სიზმრად გაიბილიკე!
მუშა №3 – უმალ კარი-კარ სამათხოვროდ ივლის ეს ღამე, ვიდრე ჩემს სულს შეეშველება!
მუშა №4 – ქალი როდია ყაველგასული მადის სათავე!

მუშა №5 – თავჩაკიდული ფესვებიდან დანურულ სითბოს
ხეები ქარებს შეაძლევენ უშურველად და უსასყიდლოდ!

მუშა №1 – საფლავის ქვაზე დაისვენა ჩამავალმა მზემ: არ დაეძინოს!
მუშა №2 – ცხადში ღალატი ათასჯერ სჯობს სიზმარში ღალატს!
მუშა №3 – რას ჰგავდა ღამე ჩვენს თვალებში, რას ჰგავდა, ღმერთო!
მუშა №4 – გადამწყვეტ წარსულს მონდომებით ელოდა მსხვერპლი,
აყურადებდა დამშეული საკუთარ საშოს!
მუშა №5 – ფოთლები რტოებს მოთქვამდნენ და ლოცავდნენ ნაყოფს,
დედის ძუძუს რომ ჯერ არ მომწყდარა!

მუშა №1 – გაუმარჯოს უხორცო კივილს ცისკენ!
მუშა №2 – მოსასვლელ სიზმრებს ერთგულებით ვუთევდი ღამეს!
მუშა №3 – სისხლის საკანში დამწყვდეული სისხლია ღამე!
მუშა №4 – დაბრმავებული თვალებიდან ცრემლი სდით ქალებს!
მუშა №5 – არც ისე შორს ყოფილან წინაპრები, არც ისე შორს!

10.

აი ისინი აი მწიფე ქალიშვილები
ვინ დაუცხრობს და დაუამებს მათ სათუთ სულს მთვარისკენტკივილს
ვაი მათ ვაი
ქალიშვილები მზის სამსხვერპლოზე ხელებს როცა შეიწმენდენ
ვერასოდეს გაშლიან აფრებს სიყვარული რომ გამოიხმონ
მხოლოდ სიმღერებს ჩატოვებენ გადაშლილ წიგნში შინ მწუხრის ჟამს მოქცეულები
და სინანულს როგორც ღამეს შეერევიან
ქალიშვილები ყველაფერს რომ იხდიდნენ და ფალოსამდგარ ხეებს ახმობდნენ
ვერ იხილავენ ცად არეკლილ ტოტებს და ფესვებს
და თავ-თავის ნიჟარაში გამომწყვდეულ ლოკოკინებს დაუჩოქებენ
რათა ისწავლონ როგორ უნდა დანებდნენ მიწას
ქალიშვილები საუკუნეებს რომ თმობდნენ და იმ ერთადერთ სიზმარს ელოდნენ
რომელიც ალბათ უსათუოდ აუხდებოდათ
თავადვე იქცნენ სიზმრებად და არასოდეს ეცოდინებათ
ყოველი დილა ვის საწოლში შეისვრის მათ სისხლს
ქალიშვილები ერთმანეთს რომ მოუთხრობდნენ რძეთა შესახებ
მათი მკერდიდან მინდვრებად და ბალახებად რომ ილვრებოდა
ისევ დუმილით ამოთქვამენ სიტყვებს შორის ჩარჩენილ ბავშვებს
რომ არ იხილონ უკუქცევით სავსე ჰაერი – დედალი ვირთხა

11.

აი, სიშიშვლე, რომელშიც შევალ!

12.

მიაყურადე, მზის სხივს, კაცო!
ასე იფიქრებ: ნეტარებით შარდავს მავანი.

13.

არაა აუცილებელი ერთი სიზმარი ვნახოთ ერთი სარეცლის გამზიარებლებმა
ჩვენი სიზმრები ხვალ თუ არა ასი წლის შემდეგ
უსათუოდ შეხვდებიან ერთმანეთს და თავ-თავის თავს დაიტირებენ.
არაა აუცილებელი ხანგრძლივი განშორებები და მოთქმები და მონატრებები
რაც შეიძლება ბევრი რამ უნდა გადაშენდეს რაღაც რომ დარჩეს
ჩვენ მას ვუმღერებთ.
არაა აუცილებელი ყველა თევზი და ყველა სიღრმე
რომელიც მოყვა დიდი ხნის წინ ჩვენს მიერ ნასროლ ამ ზღვა-ბადეს ჩვენ გვეკუთვნოდეს
მთავარია ნაპირები ხელთ მტკიცედ გვეპყრას.
არაა აუცილებელი ზამთრისპირის ჭლექიანი ქარის მიერ ჩამოყრილი ყველა ბაფთა
უფსკრულს დაენთქას ან არ გაყვითლდეს მიწის ზრუნვას არ უერთგულოს
გაფსკვნილი ბაფთა უკვე ჰიმნია არასდროს თქმული
და ვერ წაშლიან ჩვენს უფსკრულებს და ჩვენს გალავნებს ეს თავსხმები და გრიგალები
აუცილებელია მხოლოდ ერთად გვეშინოდეს არ დავთმოთ იგი
სამარადისო სიკვდილიც რომ შემოგვთავაზონ
სიყვარული და ერთგულება ერთად შიშია.

14.

არა, სამარე არაა იგი!
იგი ხახაა მიცვალებულის,
რომელიც თავის თავში ჩაუშვეს.

15.

მე ყველა ხეს და მრავალ მარტოკაცს ვუსვამ ჩემს წარსულს,
როგორც – კითხვას;
დე, მიპასუხონ!

16.

"სასიცოცხლოა ეს ჭრილობა,

არასოდეს შეხორცდება!" –
თქვა ჩემმა ფიქრმა.

17.

სურნელოვანი ღამე-ბუნკერი გაანათებს ჩემს შორეულ ნაფეხურებს:
ჯერ კიდევ როდის მოვბრუნებულვარ ჩემი სუნთქვის თავშესაფრისკენ,
ხოლო გზები კვლავაც ცოცხლობენ;
მე ისე შორს ვარ, ვერასოდეს დამეწევიან ჩემეული ნაფეხურები,
რომელთა კუდშიც მივჩანჩალებ; დრო ბალახია:
ამოიზრდება მიწიდან და თავისთან ერთად ამოდევნის ჭრელ ცას, რომელიც
უდასასრულოდ ერთდღიანი პეპელაა და, იქნებ, ლოცვაც:
ფრთხილია, ფრთხილი, ღერო ბალახის,
რამეთუ დროა ერთადერთი, საკუთარ თავს რომ არ შემოწერს:
დრო თავადაა მეხსიერება, რომელიც ცოცხლობს, როგორც ბალახი.

18.

მე ობობა ვარ.
ჩემი ოჯახი ობობაა.
ჩემი სამშობლო ობობაა.
დედამიწა ობობაა.
სამყარო ობობაა.
ღმერთი ობობაა.
მე ობობა ვარ.

## ჩვენ გვიყვარს ლუდი

ო მეგობარო სამყარო ფრიად ხანგრძლივია ჩვენ გვიყვარს ლუდი
ვარსკვლავები და განქსტერები არსებობას ჩვენს ფეხებთან დაამთავრებენ
იქ ცხრა მთას იქით სიცოცხლეა იქ არ უყვართ წვიმა ან თოვლი
იქ არ ხედავენ ფიქრები სიზმრებს და სიზმრები როკვა-როკვით არ ღალატობენ
განიხვნებიან ალიონზე დარაბები როგორც უძირო თეთრი თვალები
ან როგორც სატრფო როგორც სიმღერა და ვიგალობოთ ვიგალობოთ რომ
გვიყვარს ლუდი
რომ ქლიავის და დაბინდული ხახვის ფერია გაზაფხული ჩემი სარკმლიდან
რომ ამ ქალს კაბა არაფერსაც არ უმალავს (ესე იგი თითქმის ყველაფერს)
და მან ეს იცის და როკავს როკავს რომ განქსტერები და კახპები
არსებობას ჩვენს ფეხებთან დაამთავრებენ
და ჩვენ არ ვიტყვით ამ ჩემს ფეხებს ან ამ შენს ფეხებს
კი არ ვჩურჩულებთ კი არ ვამბობთ ჩვენ ვამტკიცებთ რომ გვიყვარს ლუდი
და ეს არაა ბაკუნინი პროტესტი ფიცი
არ ემუქრება არანაირ რეჟიმს ნალექვით
არ მოითხოვს თავშესაფარს არაფერს ჩივის
ის არ მოითხოვს სამსახურს და არც იმსახურებს
ის არც კაცია და არც ქუდი ჰხურებია თავზე ოდესმე
არც თაფლობისთვე ჰქონია და მან არ იცის რას ნიშნავს გუშინ
ის არ მოითხოვს თვით თხოვნის ფასად
ან საკუთარი თავის ფასად ან მზის ფასად ფილმში რომ ნახა და მერე მოკვდა
გაიღვიძა როგორც მოკვდავმა ო წვიმა წვიმა ცრემლი ცრემლი კვლავ წვიმა წვიმა
და მერე მოკვდა როგორც მოკვდავი რიგითი და ჩვენზე ძლიერი
ან ქალის ფასად მილიონჯერ რომ გადაშალა და საჭირო გვერდს ვერ მიაგნო
და ფურცლა ფურცლა ფურცლა ფურცლა ვინ ამოხია და კიდევ ასჯერ მილიონჯერ
ვინ ამოხია
კვინტილიონჯერ მინუს ერთხელ მინუს ათასჯერ წიგნჯერ ფალოსჯერ მაგიდაჯერ
ვინ ამოხია
ის მტკიცებაა როგორც უთო სხვა არაფერი
ის მტკიცებაა როგორც ია სხვა არაფერი
ის მტკიცებაა როგორც ციყვი მე რომ გაკოცე შენ კი მხოლოდ კოცნა მაკოცე
და მიმორბოდა მამა-შვილი ფინალური ხეივანი ათასი ციყვი
ჩვენ გვიყვარს ლუდი როგორც ნიძლავი შენი კარის მეზობელი ბოზია თუ არაა ბოზი
დიახაც მაშინ როცა უბანმა ერთადერთმა
მიუხედავად იმისა რომ ერთადერთი თვალი აქვს საღი
ყველაფერი ფრიადზე იცის
ჩვენ გვიყვარს ლუდი როგორც ნიძლავი ეისმა ასომ მოაფუჭა მავანი ქურდი
რომელსაც დედა არასოდეს დავიწყებია არასოდეს უნატრია ის იყო ქურდი
ჩვენ გვიყვარს ლუდი როგორც ნიძლავი რამდენ გრადუსზე დუღდება წყალი
ან სამარეში მიცვალებული რას იწონის ასი წლის შემდეგ
როცა მატლთა და მინათა და ჭინჭველათა თაობები დანაყრდებიან
როცა წყალთა და მინისქვეშა ქართა და ჩიტთა თაობები დანაყრდებიან

ოჰ ეს უძლები ადამიანი
ოჰ ეს უძლები კონკრეტული ადამიანი
ოჰ ეს უძლები კონკრეტული გარდაცვლილი ადამიანი
ოჰ ეს უძლები კონკრეტული გარდაცვლილი ადამიანი ასი წლის შემდეგ
აი ამიტომ ვამტკიცებთ რომ ჩვენ გვიყვარს ლუდი გულისრევამდე
და ვეტრფით კათხას რომელშიც იგი ჩაისხმება რათა იქიდან
ჩვენს ხახაში ჩამოისხას და ჩვენ ვეტრფით ჩვენივე ხახას და ის კარგია
ის კეთილია ის სათნოა ის ამაყია და მორჩილია და ჩვენია და ის კარგია
ჩვენ გვიყვარს ლუდი ჩვენს მუცელში რომელიც ჩავა
და მერე ვნებით გავისტუმრებთ
ასერიგად ნეტარია დამშვიდობება
ასერიგად არაცრემლური
ასერიგად არალურჯადხავერდოვანცხვირსახოცური
ასერიგად არახელის(ხანგრძლივ-ხანგრძლივ)ჩამორთმევური
ასერიგად არაბოლოჯერერთადწოლური ან მესამეზეერთადლოცვური
ასერიგად ნეტარია დამშვიდობება ლუდთან რომელიც გვიწოვია და ჩვენ ეს ვიცით
ლუდთან რომელიც მზეა ჩვენი მთვარეა ჩვენი და წვრილ-წვრილი ვარსკვლავებია
ო მეგობარო ვიოლინო ერთადერთხელ არსებობს და ისიც მაშინ როდესაც გალობს
და ცხრა მთას იქით მთებია და ტრამალებია
ცხრა მთას იქით მგლებს სიცოცხლე არაფრად უღირთ
ცხრა მთას იქით თქვენ მავანო მზეთუნახავო ისე მიყვარხართ
ვით ლუდის კათხა ჩემი ხახა ჩემი მუცელი
და ვით ლუდი გულისრევამდე
და ჩვენ თითს ვიშვერთ გამეტებით იმ ადგილისკენ
სადაც კახპები განქსტერები და ვარსკვლავები არსებობას დაამთავრებენ
თავს მოიყრიან ქვეყნის თვალის ექვსივ კუთხიდან და გვიღირს ლოცვა
და სანთლები და ტაძრები და სეფისკვერები
და მათხოვრები საკურთხები მანდილოსნად ნება-ნება გარდასახვები
ღვთის საძიებლად გადმოკარკლული თვალები და ფეხებქვეშ ცები
სიარულები სირბილები სიარულები საქველმოქმედო სირბილები სიარულები
შუდრები ყველგან სადაც ასე არ მღერიან ან არ ამბობენ
უნდ დაინ აუგ ვოჰინ შტეჰტ დაინ აუგე
დაინ აუგ შტეჰტ დერ მანდელ ენტგეგენ
დაინ აუგ დემ ნიხტს შტეჰტს ენტგეგენ
ეს შტეჰტ ცუმ კონიგ
ზო შტეჰტ ეს უნდ შტეჰტ
შუდრები ყველგან სადაც ასე არ მღერიან ან არ ამბობენ
ბეტე ჰერრ
ბეტე ცუ უნს
ვირ ზინდ ნაჰ
ჩვენ იქ ვართ მხოლოდ სადაც ჩვენი თავი გვეგულვის
და თავსაც ოდენ ჩვენი თავის გარშემო ვიყრით
აი ადგილი სადაც ისინი დამთავრდებიან
როგორც ვაშლები ჩაკბეჩა რომ არ ღირსებიათ
და არც მეორედ დამწიფებას აპირებენ ამ ქვეყანაზე

აი ადგილი ანუ კაცი შენ რომ გხმარობს სწორედ ახლა ლუდს რომ მივირთმევ
აი ადგილი ანუ ლექსი რომელსაც ის წერს სწორედ ახლა ლუდს რომ მივირთმევ
აი ადგილი ანუ სიზმარი ტკბილზე ტკბილი მას რომ ესტუმრა
სწორედ ახლა ლუდს რომ მივირთმევ
აი ადგილი ანუ ღალატი რომელიც როგორც სალაფავი ათქვლიფა ვინმე არხეინმა
სწორედ ახლა ლუდს რომ მივირთმევ
აი ადგილი ანუ კაცი სახელმწიფოს მითითებით ფსიქიატრიულ კლინიკაში
სამუდამო საცხოვრისი რომ მიუჩინეს
და სახელმწიფოს მითითებით მობრძანდება ვინმე ავლიპი (საზოგადო სახელია
და არა კერძო რამეთუ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს)
და საგანგებო დანიშნულების ნემსს გამოუწერს
სწორედ ახლა ლუდს რომ მივირთმევ
აი ადგილი ანუ თრაკლის ობოლი გოგო
ტბორის პირს ძუნწად შემორჩენილ თაველს მშვიდად მიმოაგროვებს
სწორედ ახლა ლუდს რომ მივირთმევ
ო მეგობარო სამყარო ფრიად ხანგრძლივია ჩვენ გვიყვარს ლუდი
აიშლებიან შორს სვავები როგორც ნისლები
ჩვენ გვიყვარს ლუდი გულისრევამდე
და ადგილია ერთადერთი რაც ჩვენგან რჩება

# ვიოლინოზე უკრავენ ბრმები

ვიოლინოზე უკრავენ ბრმები და ჩვენ მათ ვიხსნით
ხოლო სიკვდილის მოლოდინი რამდენ სიკვდილს შეიწირავს არავინ იცის
დანაწევრდება სახლებად და გარაჟებად სკოლებად და სათაგურებად
ამურის ისრებს კისრისტეხით დადევნებულ რომანებად ხანგრძლივ ნდობებად
აუქციონზე მოსასაქმებლად ცემა-ტყეპით გამოყრილ და დაღლილ შარვლებად
და ძველმოდური კახპების მზერად და უმანკო აბაზანებად
კურკების სროლად გადამღერებულ გიტარებად ჭიპზე ვარდებად
დავიწყებულ ვნებებად და დავიწყებულ გახსენებებად
ქარი იქნება უკანასკნელ დარიგებებს მოელიან მამაკაცები
ქარი იქნება აბჯრის ჟღრიალით ეგებებიან უკანასკნელ დარიგებებს მამაკაცები
და აღარ ისმის დედის რძის სუნი ჩვილის ბაგიდან
საკმეველი საკმევლად რჩება
ამ რვა ხელიდან მე რომ მასხია რვავე შენთვის დამითმია თუ მეტყვი ვინ ხარ
ფიქრებს იღწვიან ობობები თავ-თავის ქსელს როგორც ბურუსს შეერევიან
საკმეველი საკმევლად რჩება
არავინ იცის ვინ ააგებს ჩემს კბილის ტკივილს
არავინ იცის რა ჰქვია ატამს ან ამ ალვებს ან ამ სახლებს თავით მიწაში
არავინ იცის შენ რა გქვია მტვერით დაფოთლილ პირისახეს ხორცსავსე თვალებს
და დიდი ხნის წინ ორი ნამით გალიმებულ უმწეობას
ჩემს სისხლში რომ ათვალიერებ
არავინ იცის ცრემლად გაკრეფილ ამ ქალბატონს დღეს ან გუშინ ვინ მიითვისებს
როცა მისი ხმა შავ საცვალთა ძახილს მოუცავს
ხოლო ცის ნაცვლად სივრცე ბოლავს და მოვა მოვა მისი მკერდი ვისაც დაიტევს
ვინ იმეორებს ქარი იქნება ხოლო წელსქვემოთ ლამაზია ჩემი ქალაქი
აი წელსქვემოთ ჩემი ხელები მოხაზავენ არავისთვის შესაბამის ტრაექტორიას
აი წელსქვემოთ ჩიტები და სარეცხები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ფრენენ
წელსქვემოთაა ჩემს ქალაქში ყველა გზა და ყველა ნიშანი
ერთმანეთს ყველა წელსქვემოთ ნატრობს ერთმანეთს ყველა წელსქვემოთ ეტრფის
ერთმანეთს ყველა წელსქვემოთ ლოცავს ერთმანეთს ყველა წელსქვემოთ წყევლის
წელსქვემოთ ყველამ ყველაფერი ისე იცის როგორც თავად ჩემმა ქალაქმა
წელსქვემოთ ჩვენი მირიადი თვალია და მაინც არ გვყოფნის
და შევუპყრივართ ამაღლებებს ზევიდან ქვევით
წიგნთა და ქვრივთა და არაქვრივთა მოლოცვებს და მოსამძიმრებებს
და ცანგალა და გოგონა და ტაში და ტაში
ტუალეტები მშობლიურ და ძირძველ ენაზე იძლევიან საჭირო რჩევებს
თუ კაცი არ გყავთ შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელოვნური საშუალებები
კიტრი სტაფილო სოსისი ძეხვი
ხმა მიეცით მრგვალ მაგიდას გამსახურდიას
ხმა მიეცით სახალხო ფრონტს ნოდარ ნათაძეს
გიყვარდეთ მხოლოდ თქვენი სქესი უცხოს ერიდეთ
პრეზერვატივი ანახევრებს განცხრომის ხარისხს
ტუალეტები მშობლიურ და ძირძველ ენაზე იძლევიან საჭირო რჩევებს

ხოლო მთები და ბალახები ვის ცოდვებად ამოძირულან ამას ის იტყვის
ვინც აქ არ არის როცა ერთობ სათუთია ჩემი ქალაქი მე იგი მიყვარს
რამეთუ მე ვარ ეს ქალაქი და ეს თვალები ღამეს რომ კლავენ დაბეჯითებით
ქარი იქნება უკანასკნელ დამშვიდობებებს ეგებებიან აბჯროსანი მამაკაცები
ფეხაკრეფით მოვლენ ღრუბლები და მეშინია ვარსკვლავები არ დამირბიონ
ერთხელ თუ არა ასჯერ მაინც ხომ მითქვამს შენთვის მე მათ დავიცავ
მე მათ დავიცავ არავისგან სიკვდილამდე და თვით სიზმრამდე ხვალ რომ ვიხილე
ლურჯი სითეთრის კარიბჭესთან ატუზულ დედად ის ცხვარს მწყემსავდა
ხედავ როგორ წვალობენ მკვდრები
რათა დასცინონ გარდაცვლილებს მათ რომ მოუკვდათ
მათი სუნთქვა და დაძახილი თოვლის ფიფქივით მძიმეა და მარადმედინი
ჭუპრი ჭუპრის წილ გაზაფხული გაზაფხულის წილ და ჩვენ მათ ვიხსნით
მზე რომ დადგება მტრედისფერი ეს ვაშლედი ყურს მოჰკრავს ჩვენს ფიქრს
და თავის თავში თავმოყრილი კვირტის სიმუნჯეს პურის ხმისკენ დაემგზავრება
ჩვენ როდი ვზრუნავთ ჩვენს თვალისჩინს ეს ვარდები უფრთხილდებიან
რომ გვკრეფენ გვკრეფენ უსასრულოდ და არასდროს არ თენდებიან
რას ჰხედავ როცა ღმერთი არ გწამს თუ მიპასუხებ
ამ რვა ხელიდან რვავე შენთვის მიჩუქებია
ჩვენ მხოლოდ ვხედავთ ერთადერთი ხეა ვინც ჰხედავს და თქვი რას ჰხედავ
როცა ხეა შენი მიჯნური როცა ცოცხლებს აღსასრული დაუღამდებათ
და ვინ ჩურჩულებს უპოვარია სიზმარი და კაცი ყოველი ერთურთისკენ ასწრაფებული
თუ მათ შორის ხე არ დაზამთრდა ვინ ჩურჩულებს ქარები მოვლენ
ვინ ჩურჩულებს დამწიფებულ და ვარდნაშეპარულ ნაყოფებად მოვლენ ქარები
და მადლიერი ვარსკვლავები თავ-თავისი მერმისის ხსოვნას
ნებისმიერი უცოდველის სარეცელზე მოთქმა-მოთქმით დაასვენებენ
და ცანგალა და გოგონა და ტაში და ტაში
ვინაა სურო ვინაა და წითელია ტაში და ტაში
ვინაა ლომის მძიმე ტორი ვინაა და კონვერტია ტაში და ტაში
ვინაა მიწის ამოსუნთქვა კუთვნილ სუნთქვას დანატრებული
ვინაა და ვინაა და ვინაარჯერ ტაში და ტაში
ვინაა გუშინ მე რომ გავჩნდი ხვალ რომ გავჩნდები
ტაში და ტაში რომელმა ხომ ეს ყოველი ზეპირად იცის
მწარედ მოთქვამენ შენი მკლავები ცხოვრების და ტუალეტის გაუტანლობას
მხოლოდ მცირედნი იბრუნებენ იმას რაიც ტუალეტს მიაქვს
მხოლოდ მცირედნი არ აცილებენ სევდიანი მზერით ურიცხვ განძს
მათ ჩვენზე ბევრად ადრე უწყიან რას დაარქვან აკვანი და გამოცდილება
დიახაც ერთობ საჭიროა იმაზე დარდი რაც უკვე იყო ავაი მერმისს
ავაი მერმისს რომელიც იყო და ჩარეცხეს მოგონების უჯერმა წყლებმა
ვიოლინოზე უკრავენ ბრმები და ჩვენ მათ ვიხსნით
ჩემი ქალაქის ტუალეტები შთამომავლობას უნახავენ
ლაპიდარული წარწერების ძირძველ ნიმუშებს
აზრობრივად ტევადსა და თემატურად მრავალფეროვანს
ჩემი ქალაქის ტუალეტები მაიმედებენ რომ პირადად მე არასოდეს გადავშენდები
და რომ დავიცავ ჩემს ვარსკვლავებს და ვიხსნი ჩემს ბრმებს
ვიოლინოზე უკრავენ ბრმები ისინი ჩვენი ბრმები არიან

## სად მჟოგიაროგს მესამე თვალი

ცრემლად გაკრეფილ ამ ქალბატონებს მე არ ვაკლივარ ასერიგად მტკივნეულია
მოლოდინი მესამე თვალის
რომელიც მათი მეხსიერების ყინულოვან ოკეანეს შორს გაურიყავს ჩემი მზერა
ნაპირებად მიმოფანტულა
მინელაობენ ტალღა-ტალღა სარკმლები და დაფდაფები რომელთა გულში
არასოდეს ჩაუხედავთ ჩვენს ნაფეხურებს
ნებისმიერი შიშველი მკერდი როცა მესამე თვალის ძალით მოიჩხრიკება
ვინ გადაარჩენს გამარჯვებულს და უკუმზერა თავს ვის ფიქრებად გაინახევრებს
ვისი ფესვები ჩასხეპენ რვა ცას და მეცხრე ზეცის მკერდის სურნელს შეირგებენ
იქ რძე თეთრია
ვინ უერთგულებს ღალატს და მიწას ჩვენსკენგზად რომ ამომართულა და
მოწილეა სამწუხარო ჩვენი იმედის
უნდა ვიცოდეთ ვინ გვციოდეს უსასრულოდ როცა ღამდება და ღამე არ სჩანს
კაცთაგანის თვალსაწიერზე
მტკივნეულია მოლოდინი ძნელია ერთობ არ უღალატო ღალატისთვის როცა არ
გკლავენ
და ბალახები ზურგს არ გაქცევენ ხეები და ვარსკვლავები თავის გზით ვლიან
ყველაფერი იმას ამტკიცებს რომ უმანკო და ცხოველია ის რაც არ ხდება რაც
მოხდება ან უკვე მოხდა
მაგრამ ვინ იცის ვის ერთგულებს ან ვის ღალატობს როცა მიწა უკვე ცაშია
ნებისმიერი ჩვენი ასო უკვე ჰიმნია ცის საკანში გამომწყვდეული
ნებისმიერი ატომი და გალაქტიკა უკვე ჰიმნია ცის საკანში გამომწყვდეული
ნებისმიერი ცის საკანი უკვე ჰიმნია თავის თავში გამომწყვდეული
რამეთუ შედგა ნებისმიერი გზამ ვინც იხილა
რამეთუ შედგა ნებისმიერი მზემ ვინც იხილა
რამეთუ შედგა ნებისმიერი ქვამ ქარმა და ზღვამ ვინც იხილა
ჩვენ უკვე მოვხდით და ვიდრე აქ ვართ კარგად ვიცით ხვალ ვინ მოგვკლა გუშინ
ვის მოვკლავთ
რატომ არ ვიცვლით ნიადაგს და ვის სიზმრებში ჩავესვენებით
გიურზები და ბეღურები მავანის ხორცს რამდენ ხანში გადასერავენ და
ერთმანეთს სად შეხვდებიან
სარკმლები და დაფდაფები ტალღა-ტალღა მინელაობენ და ორი თვალი მხოლოდ
მზერაა
მხოლოდ სუნთქვაა ორი თვალი ორი თვალი თვალთვალია ხელოვნებაა
და ღალატია ერთადერთი რაც ორი თვალიც შეგვიძლია მოვიმოქმედოთ
და არსებობა ღალატია დაბადება ღალატია ქვა ღალატია
გზა ღალატია ერთგულება ღალატია მზე ღალატია
მაგრამ ვინ იცის ვის ღალატობს როცა მიწა უკვე ცაშია და ხეები და
ვარსკვლავები თავის გზით ვლიან
და შევთხოვთ რომელს ცას მოვწყდეთ და უფსკრულს დავენთქათ რათა
ვისწავლოთ მაღლა ხედვა და ერთგულება

რათა ვიცოდეთ რომ ვილოცებთ სად წავა ლოცვა შემოდგომა ვის იმედად
დაგვიზამთრდება
მიწა ერთია ხოლო უფსკრული უამრავი მე ერთი ვარ ხოლო ასო უამრავი მწუხრის
ნაცვლად აღსასრული დამიღამდება
ხოლო გზა ისევ ღალატია მივირთვათ ნესვი მისი მომზისფრო სურნელება
მომუშტული მუქარაა
არაფრისგან გაჩენილი როგორც სამყარო ან შურდული ან ჩვენი გული
ან მეძავები არასდროს რომ არ ტოვებენ კუთვნილ საცხოვრისს მათ იციან
ტკივილის ფასი
ხოლო გზა ისევ ღალატია მეც კვლავ მიყვარხარ მე შენ მიყვარხარ თავო ჩემო
გულისრევამდე
და რაოდენ სამწუხაროა რომ ვერ გიშვილებ ვერ გახდები ჩემი ცოლი ან მეგობარი
რომ არ ხარ ჩემი და ან ძმა ან დედა ან მამა
რომ ვერასოდეს მოგესალმები ვერასოდეს დაგაბეზღებ და ვერც დაგიცავ
რომ ეს ყოველი უკვე იყო და არასდროს აღარ იქნება ჩვენც არ ვიქნებით
სად მშობიარობს მესამე თვალი როცა ცრემლად გაკრეფილან ქალბატონები
სად მშობიარობს მესამე თვალი როცა მე თოვლი შემცივდება და აი ვხედავ
ყოველ ფიფქს ისე მოიშორებს თავიდან ზეცა
როგორც ხეები შემოდგომის გამხმარ ფოთოლს ან დამპალ ნაყოფს
სად მშობიარობს მესამე თვალი როცა არც ერთი ჩემი ასო მე არ მეკუთვნის
ისე როგორც არ მეკუთვნის არც ერთი დედა რომელმაც მშობა და რომელიც მე
უნდა ვშობო
და შენ ვერ მეტყვი ვის ღალატობ როცა ღალატობ და მწარედ ცეკვავ
და შენ ვერ მეტყვი მესამე თვალის ბედისწერა სად უფრო მარჯვედ საცნაურია
სადაც მე ვარ თუ სადაც მე არ ვარ მე ერთი ვარ ხოლო ჩემი ბედისწერა უამრავია
და გეკითხები ვინ განისვენებს ამ გაუქმებულ ფეხსადგილში საუკუნოვან
წიგნებთან და მწერებთან ერთად
და გეკითხები მიწები და ცები როცა წავლენ-წამოვლენ შენს დასასრულს ვის
უანდერძებ
და გეკითხები ვინ უბრუნდება მკლავს რომელიც ოდესღაც მოსჭრეს
თავს ვინ მომწყემსავს შენს საშოში როცა მწუხრი ფიქრის ძალით მოირკალება
და უსასრულო ასულები ორბიტაზე გამვლელ-გამომვლელს კომეტებს და
მეტეორებს შესთავაზებენ
ხოლო მიწა უკვე ცაშია და ნოსტალგია ჩემზე ბევრად ძლიერია ბევრად სწრაფია
ბევრად მთვარეა ბევრად მზეა და წვრილ-წვრილი ვარსკვლავებია
და შენი სუნთქვა საზეიმოდ განიხვნება როგორც კარი ნებისმიერი საცხოვრისის
სადაც მე ვკვდები
ო შენი სუნთქვა საზეიმოდ განიხვნება და ფაიფურის ჩიტები და ბროლის ციყვები
წკრიალებენ წკრიალებენ გაუთავებლად მე მქვია ფიცი
ხოლო მზერა ხელთ რომ მიპყრია სიკეთით სავსე მზეთბილ ქუჩებში გამოდევნის
სურნელოვან შენს ძილს და საცვლებს
შენს უმწეო და მკვრივ სასთუმალს ვით არ მჯეროდეს მეძავებმა და
ჯარისკაცებმა კარგად იციან ტკივილის ფასი
ისინი ყველა დღესასწაულს მოტკბო ჩაის და კვლავ ჩაის და კვლავ ჩაის და
მოლოდინს შეაგებებენ

ასერიგად მტკივნეულია მესამე თვალი ჩვენმა ხმებმა როცა გვიციან ვინ
ხმოვანებს ვარდბულბულიანს
ვინ გარბის ცისფერს როცა მესამე თვალის იმედად ჰქრიან და ჰქრიან
თავანწყვეტილი მდინარეები
ჰქრიან და ჰქრიან ფრინველები მათ ცალი ფრთა აქვთ ხოლო მეორეს ღალატი
ჰქვია
ჰქრიან და ჰქრიან ყვავილები და რას ჰქრიან თუ არა ღალატს რომელიც ცაა
და ჩვენ ვიზრდებით ხე იზრდება მატლი იზრდება
და ჩვენ ვმაღლდებით უსასრულოდ ცისკენღალატად
მაგრამ ვინ იცის ვის ღალატობს როცა მიწა უკვე ცაშია და უკვე მოვხდით
და მე ვარ ფიცი ცრემლად გაკრეფილ ამ ქალბატონებს მე არ ვაკლივარ
ასერიგად მტკივნეულია მოლოდინი მესამე თვალის რომელიც ერთობ ჩვენი
მზერაა
მაგრამ ვინც მარად ჩვენთანაა ჯერ არასდროს დაბრუნებულა
და ვინც ჩაგვესმის ჯერ არასდროს გაგვიგონია

## საშობაო განწყობილება

არავინ იწყებს სიყვარულით ხელისგულებზე მზე შრება და მონდომებით
გვასწავლიან როგორ უნდა გვტკიოდეს შიში
როცა ხეები ნებისმიერ ჩვენს საფიქრალ-ამოსასუნთქს სამშვიდობო დაძახილით
ეგებებიან
არავინ იწყებს იმ ერთადერთი დიდი სიზმრით მადლიერმა ჩვენმა მკლავებმა
უძირო და უსასრულო გზებისკენ რომ დააიმედეს
როცა ღამის წყლებს ვარსკვლავმწიფე ყველა ტოტი შემოემტვრევათ
და უბედური დედები და მარტოქალები როგორც სანთელს აანთებენ მირიად
აკვანს
არავინ იწყებს დილას ლოცვით სხეულები ნება-ნება იბრუნებენ უანგაროდ
გაცემულ ოფლს და ჩვენ გვიყვარს მიწა
ჩვენ გვიყვარს მიწა როგორც ლუდი როგორც ბალახი ან როგორც მკერდი ცხრა
მთას იქით სამღერლად და სააშიკოდ გადახვეწილი
არავინ იწყებს დავიწყებით აი ისარი ნიშნისკენგზაზე უგზო-უკვლოდ
დანაწილებულს
თავდაპირველი არსებობა რომ არ შერჩა დასაცემად და უხილავი კვლავ კივილით
მიაპობს სივრცეს რომელმაც შექმნა
ვინ უკუაქცევს ათასობით იავნანას მონდომებით როცა თენდება
ვაი ჩვენ მასში არგარდაცვლილთ მონდომებით როცა თენდება და სიმღერ-
სიმღერ იგალობებს ჩვენმიერი ნაკვთი ყოველი
მალე ამოვლენ ხეები და მტრედები და მწყემსები და სხვები და სხვები
მონდომებით როცა თენდება
მალე ამოვლენ და მზეს და ცას და მთელ სამყაროს გაანათებენ
მალე ამოვლენ თვალებამდეუსასრულოდდაღლილიდათეთრითვალები და
მარცვალ-მარცვალ დაითვლიან
ერთ ღამეში რამდენ ასულს აუგეს წესი
მალე ამოვლენ კუდიანი ცხენები და კავბოელები და ბავშვის ხელით იმღერებენ
არავისთვის საჭირო დედას
კარგად იციან ბავშვებმა და მდინარეებმა არავინ იწყებს სიყვარულით ხოლო ამ
მკლავებს სიყვარულის არ ეშინიათ
ხოლო ამ მკლავებს არავინ ზრუნავს
ხოლო როცა მკვდრები კვდებიან მათ ეს მკლავები ასწავლიან დამშვიდობების
ერთადერთ და მუხლმტკიცე სალამს
ბავშვის მკლავები ჩურჩულებენ მოვენატროთ ერთმანეთს დედა
ბავშვის მკლავები ჩურჩულებენ აქ იქნება თუ ცხრა მთას იქით ჩვენ როცა ვჩნდებით
უკვე უწყიან ჩვენმა სულებმა რა შიათ და რა სწყურიათ ან როდის და რატომ
უნდა გარდაიცვალნონ
ბავშვის მკლავები ჩურჩულებენ ვინ მოკვდება თუ არ იცის რას უნდა მოკვდეს
ბავშვის მკლავები ჩურჩულებენ მწყემსებს ცხვარი ჰყავთ
ხოლო შენ ვინ გყავს საცოდავო ადამიანო რომ უპატრონო და უერთგულო
რომ გათბე როცა უმოწყალოდ შიშვლდებიან შვილებს მშობლები და
ზამთრისპირის სახლები და ხეები ქრიან

რომ გათბე როცა ყველა მინისძერა ერთ მშვენიერ დღეს დამშეული ფალოსივით აიმართება
და ვინ გვასწავლის საიდან და როგორ გვციოდეს
ვინ შეიწუხებს თავს ჩვენზე სუნთქვით როცა აქ ცაში ჯერ არავინ მომკვდარა და ჯერ არავინ დაბადებულა
როცა მილიონს უნდა ენდო ერთი რომ გენდოს და არასდროს გაგითავისოს
იქ საიდანაც არ მოსულხარ ნუ დაბრუნდები ჩურჩულებენ ბავშვის მკლავები
არავინ იწყებს სიყვარულით ჩურჩულებენ ბავშვის მკლავები
არავინ იწყებს იმ ერთადერთი დიდი იმედით ჩვენ რომ ზღვად გვექცა
ჰოი უდროოდ გარდაცვლილთა პეშვებიდან დაღვრილო და უგზო-უკვლოდ ლტოლვილო ზღვებო
არავინ იწყებს გაზაფხულით ჩურჩულებენ ბავშვის მკლავები
არავინ იწყებს ანით და ბანით ჩურჩულებენ ბავშვის მკლავები
არავინ იწყებს სიყვარულით ჩურჩულებენ ბავშვის მკლავები
ბავშვის მკლავები ჩურჩულებენ
სიყვარული თავმოყრაა
სიყვარული დასასრულია

ლოგიკის მონაჭრება
1991 1993

## ᲪᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

I

ყვა
შენო უწყვეტო და მადლიერო მკერდო
საიდუმლოდ გადანახული შემოტევების ყველაზე უფრო ფრთხილ წუთებში
როცა შორეული სიმძიმე საკუთარი თავის ტყვეობიდან განიდევნა
და ჩვენი ყოველი ხელახალი სიკვდილის ფასად
ერთჯერადი იმედი წარმოქმნა;
ყვა
შენი დაუღლელი უკანალის ერთჯერადო იმედო
რომლის გარდამქმნელ საქმიანობას
უპატრონო ძაღლების სწორხაზოვანი და თვითკმარი ყეფა
დუმილით აცილებდა უკანასკნელ გზაზე
საიდანაც უსაგნო ნიშნებით დაცხრილული მზერა
მინასთან შესახვედრად უნდა დამწიფებულიყო
და სამომავლო ფონი მოენიშნა;
ყვა
შენი უხსოვარი ორგაზმის სამომავლო ფონო
საიდანაც ნაცრისფერი ქარები ტკივილს აძევებდნენ
როგორც შორეული სიმძიმის ტყვეობას
სისხლის უმიზნო ცირკულაციით ტკივილგადაწურულს
და სადაც უკანასკნელ გზაზე სინანულის დიდი მდინარე დაიღვარა
რომელიც განბანა მრავალათასობით ალერსმა და ჭუჭყმა
და მზეს რომ დავმალვოდით გუმბათი ვინატრეთ
და ერთფეროვანი ბედნიერების წინმსწრები წუთები
როცა თავისი საუკუნოვანი სიმარტოვიდან
მოყვასის ხმაში და ზამთარში შესასვლელად დღისკაცი გამოდის;
ყვა
ნებისმიერი სასოწარკვეთილის გულში ამოსულო შენო ზამთარო
როცა მათ ხელი ჰკრეს შენს თვალს და განაგდეს შენგან
და მერე აღილეს მახვილი და მოგსრეს
ხოლო შენ დახარე თავი და წახვედი და გაქრი
ხოლო ჩვენ განვიწმინდეთ საკუთარ სისხლში და ვერ ვნახეთ სამოსელი
და მოვისხით ნებისმიერი ერთმანეთთაგანი
და მიდამოვირბინეთ ერთმანეთი
და დადგა ჟამი ნეტარების
და განქალწულებულნი ავმაღლდით ზეცად და
ყვა
ცაო ჩვენო ცაში

II

ყვა სიძულვილო შენო რომელმაც ურიცხვი მკერდი შობა
ყვა განკვალულო ბილიკებო რომლებიც არავის გაუკვალავს
ყვა მილიონობით სკამო ერთადერთი ტრაკის დასადებად
ყვა უპატრონოდ დარჩენილო სინდისო რომელსაც ნესტის სუნი უდის
ყვა კვამლო რომელმაც დატოვა ლურჯი ცა და ცეცხლს შეერია
ყვა მიზანო რომელიც თავად მიზანს არ გააჩნია
ყვა ნეხვო ვარდისფერო რომელიც შეიძლება შემოდგომის სუფრაზე დაიდგას
და ქარმა მავანი აბსტრაქტული ქალიშვილის უმკაცრესი თავშალივით ააფრიალოს
ყვა თბილო და უმანკო მინავ რომელსაც წინასწარ არასდროს არავინ გააფრთხილ-
ებს ის ოდესმე პირნათელი და ვალმოხდილი წავა იმქვეყნად
ყვა ნოსტალგიავ ცერა თითის ტკივილის გამო რომელიც უკვე აღარ არსებობს სამა-
გიეროდ არსებობს ხსოვნა რომელიც ტკივილზე გაცილებით უმიზნო და უანგაროა
ის ტკივილისკენ მოგვიწოდებს
ყვა დახავსებულო ბარკალო ქათმის რომელიც მივირთვი მზესთან ერთად გაზაფ-
ხულის ერთ მშვენიერ დღეს და ფრიად ვიგემე
ყვა მოულოდნელად შემცბარი წყლის სიჯიუტით აშრიალებულო წიგნის ფურცლე-
ბო და ვალსო რომელიც ჩემს სიზმრებს წაერთვათ
ყვა სათქმელო რომელიც სიტყვებში განიმქრა და ველარ ვპოულობთ მდევარი ჩქარა
ყვა დახშული ოთახის სარკმელივით გამოღებულო სანაგვე ბუნკერის რკინის ჭიშკა-
რო რომლითაც მასში ჩვენი ფიქრების მყრალი ჰაერი შეედინება მილიონობით ბუნ-
კერის სევდავ ჩვენი ჰაერით შელახულო მილიონობით ბუნკერის ტკბილო მოგონე-
ბავ გამოცდილებავ რომელიც მუდამ სადღაც მათ მიღმა ძალიან ახლოს მიედინება
ვირთხების და მიხაკების მსუბუქო რეტრო
ყვა მატლის გულში ამოსულო ჯანმრთელო ვაშლო
ყვა სკოლების და უნივერსიტეტების შინაარსებზე ბევრად უფრო შინაარსიანო კონ-
სერვის ქილებო რომლებიც ყველაზე უფრო სერიოზულ და სისტემურ მიდგომას
მოითხოვენ
ყვა """მე იგი მიყვარს მას არ ვუყვარვარ""" მაშინ როცა აი ეს წიგნი 476 გვერდიანია
ყვა მაშინ როცა მოქალაქე №-მა 40 დოლარი დაკარგა სადღაც
ყვა მაშინ როცა დაიკარგა ინგლისური სეტერი სადღაც
და ყვა და ვაი და ყ. და ვ. და მერე ისევ ყ.

III

"რაღაც ძალიან სერიოზული უნდა ხდებოდეს იქ ცაში
როცა ყვავები ასეთი ხმაურით განმარტავენ
თავიანთი ფრენის პირველსახეს
ო ეგზეგეტიკა
ო თვით მშობელი ხის მიერ და სივრცის თვინიერ
და სკორეთა ლოცვა-კურთხევით განმარტებული
ნისკარტმტკიცე და
კლანჭეჭვიანი

და თვალმერყევი
ამ ყვავების ციური რაზმი
რომელიც არა ერთხელ გადაზრდილა ჯვაროსნულ ლაშქრობაში
ო მახეილი და ყვავი
ო ხმალი და ყვავი
ო ოროლი და ყვავი
ო ნა რხეული და ყვავი
ო ნიგნი სატრფოსადმი მინერილი და ყვავი
ო ჩახველების მკერდმძიმე ჟამი და ყვავი
ო ყვავი და ყვავი"

## საუბარი

რაზე საუბრობენ ისინი?
ისინი მორჩილებაზე და დიდი ხნის წინ დამთავრებულ სიტყვებზე საუბრობენ.
ისინი თავიანთ ათასობით დედაზე და ათასობით მამაზე საუბრობენ
და ოდესღაც ერთმანეთში დავიწყებულ ვარსკვლავებზე
და ნაყოფსავსე წყლულებივით მძიმე სარკმლებზე -
რომ უკვე არასოდეს გასკდებიან ცისკენ.
დადგება დრო და ვირთხები ამოვლენ იატაკქვეშეთიდან.
რაზე საუბრობენ ისინი?
ისინი დაღლილ და უიმედო მკვდრებზე საუბრობენ
რომლებიც წარმავალი ქარივით წაიღო სიცოცხლის წყურვილმა.
ისინი ერთმანეთის მკლავებზე საუბრობენ
და იმაზე რომ ერთ მშვენიერ დღეს თვალს აუხელენ ყველა ზურგითმავალს.

"მონოდება

ცივა ჩავიცვათ
დროზე ჩავიცვათ
ხეები და მდინარეები
ჩავიცვათ კლასიკოსები და მათი თხზულებები
და ასორმოცდაათსართულიანი სახლები
ჩავიცვათ ერთმანეთი და ლოცვები და ძუძუთა ბავშვები
და ქვენარმავლები და გარდაცვლილთა ხსოვნა და მთის ბროლი
და გუგულის მარტივი მათემატიკური გრამატიკა
და სული ჩავიცვათ
სათნოება ჩავიცვათ ცივა
ეკლესიები ჩავიცვათ და ჩავახველოთ და თხის რძე ჩავიცვათ
მინა და ერთმანეთი ამოვიცვათ
დროზე ამოვიცვათ ერთმანეთი
ამოვიცვათ დროზე ამოვიცვათ
ვიდრე თბილად ვართ და ჯერაც არ გავყინულვართ!"

# სიჩუმე

"ძვირფასო რა უნდა ყოფილიყო ამაზე უფრო მნიშვნელოვანი.
ისინი დამთავრდნენ და ჩვენ არაფერი ვიცოდით და ისინი დამთავრდნენ.
რა ღრმა ყოფილა ჩვენი ტანჯვა უერთმანეთოდ.
ხეები უკუდგნენ და ვსუნთქავთ.
ძვირფასო რა შეიძლება მომკვდარიყო იქ
საიდანაც ვერაფერი გამოვიტანეთ.
ტკივილიც კი ვერა.
ისინი დამთავრდნენ:
ვარსკვლავები იმ შორეულ ცაში
და ვარსკვლავები ჩვენს მკლავებში სადაც
სული უნუხდათ ცარიელ ნიშნებს და უკაცრიელ გრძნობებს.
ერთგული სიზმრებივით ფეთქავენ გულები
როცა ნებისმიერი უპასუხო მზერა სასჯელია.
ერთმანეთის გადასარჩენად ისინი დამთავრდნენ.
ისინი დამთავრდნენ და მშვიდობა ჩამოწვა."

## პირობა

როცა ნამდვილი თოვლი მოვა
ჩვენ ვიტყვით
რომ ჯერაც არ გვაქვს მის შესახებ საუბრის უფლება
ყველა ჩვენი ნატვრა ჩვენს გარეთაა და გვიმზერს
ნუთუ ასე იშვიათი ვართ მაშინ
როცა ხელს ვიწვდით ერთმანეთისკენ
და ჩვენი თვალები შიშით იღიმიან

## ნატურმორტი

ჭიანი ვაშლების და წარმავალი ერთადყოფნების უწარსულო სევდა
რომელიც გარდატყდა ჩემში როგორც ტკივილის პერსპექტივა.
ვიოლინოს ხმოვანებას რა გამოაწრთობს ამბობდით თქვენ
და გულში იხუტებდით იმას რასაც ამიერიდან
სამომავლო ფონი უნდა დარქმეოდა.
ხოლო თოვლი თოვდა იმდენად თავისთვის
ხოლო ჩვენ ვიდექით იმდენად ჩვენთვის
(აქ ამ წარმავალ მიწაზე)
რომ სახლებს არ უკვირდათ არც ერთი ჩვენი ფიქრი
და უხეშ ღიმილად გარდაქმნიდნენ
ჩვენს საარსებო სივრცეში ხილულ
ყველა ზიარი ოცნების ანარეკლს.
კიდევ ერთი ურგები დილა როგორც სადღაც ცაში მომხდარი გარიგება
როცა მეამბოხე სული
უკანასკნელი და ყველაზე უფრო ზარმაცი თოვლივით მარტივია
და მერე:
აბა რა უნდა თოვდეს იქიდან
საითაც სამათხოვროდ განვდილი ურიცხვი ხელი
გზავნის ურიცხვ ერთჯერად მოციქულს ტკივილის მოსაგებად.

ხოლო მინა შეიძლება თოვლის ნიღბად იქცეს გამორჩევით მაშინ როცა მხრებში მოხრილი მეხსიერება თავის თავს შეახსენებს რომ საჭიროა როგორც სმენის ისე მხედველობის პატივისცემა მაგრამ ვინაიდან აღფრთოვანების წუთებს მხედვე ლობიდან ყოველთვის ის გამორჩებათ ხოლმე რაც მათთვის ისტორიულად ზედმი წევნით სასარგებლოა ხოლო სინანული სხვა არაფერია თუ არა დაკარგული მოსასმე ნის და კარგად გასაგონის ძიების პროცესი მაშინ არ უნდა გაჭირდეს იმის წარმ ოდგენაც რა სიმტკიცის ფასად ახერხებდა მინა შიშველი ხელებით ბრძოლას იქ ს ადაც გადამწყვეტ მომენტში ფოთლის ან ქაღალდის საჭიროება დღის წესრიგიდა ნ გამოირიცხება ვინაიდან თოვლი მოსულა და დევს.

# გახსენება

*უშანგ გაბიტაშვილს*

როცა იქ ცა მთავრდება ჩვენ ვამბობთ: ო ქაღალდის პაწია გემები წაილო მდინარემ
და მოკლა ჩვენ ვამბობთ იმას რასაც არ იტყვიან ქაღალდის გემები როცა იქ ცა უმტ
კივნეულოდ წვება აღმოსავლეთისკენ და ცარიელია სიტყვა საიდანაც ბევრჯერ მრა
ვალი სამშვიდობო განცდა უნდა ამოსულიყო და მოეთხოვა წყალი რომელიც სათუ
თად და ერთჯერ შევიდა ქაღალდის გემში ჩვენ ვამბობთ: აბა როგორ გიშველოთ
ასერიგად და იმდენად უმანკოებმა რომ თოვლის ფიფქსაც ვერ დაიცავენ ცივი ზა
მთრისგან ჩვენი შიშველი ხელისგულები როცა იქ პურში მარტორქები და ადამიანი
ს სიზმრებიდან დევნილი კრავები ღმერთის საქმეს აღასრულებენ და მოელიან ჩვენს
ბოლო სიტყვას საიდანაც ჩამავალი მზე ეფინება მიტოვებულ ამ პეიზაჟებს და რა
თქმა უნდა ვამბობთ: არ მოუკლას მონადირემ მინდორში ობლად დარჩენილ
ცხოველებს სამშვიდობო და ერთი დედა როცა ეს თეთრი ქაღალდივით უკანასკნე
ლი ათამდე ითვლის არც ყვავილებს არც წიგნის გვერდებს და რომ უმანკოა ცისკე
ნ წასული ყველა ჩვენი უილბლო იმედი და უსასრულოდ უნდა გამრავლდეს როცა
გემიდან ცვივიან მგზავრები რამოდენიმე ნათელი წამით რათა იხილონ როგორ
მიემართება გამოცდილი და ჩვენი ერთგული სასწაული იქით ჩვენი სიტყვიდან ა
მომავალი ცისკენ რომელიც ყველგან ერთდროულად წევს და გამოთავისუ
ფლებული სიმშვიდით ჩადის ყველა მტკივნეულ და თბილ სიზმარში საიდანაც
განდევნეს პური თავისი ურჩი ბინადრებით თავისი თავით და ერთი გაუთვალის
წინებელი დედით რომელიც ისე საჭირო იყო რომ ქარი ქროდა და დანომრილი ცი
სკენ მიაქროლებდა ცარიელ გემებს და ყველა მგზავრი უკანასკნელად ხედავდა პ
ირველ ერთადერთ სიზმარს და ხეებიდან ნიშნები ცვიოდნენ და ჩამავალ ცას მს
უბუქად და საიმედოდ ენარცხებოდნენ და მონადირე საქმის ცოდნით აღასრულ
ებდა ანდერძს და აი ხედავთ ვამბობთ ჩვენ რატომ კვდება ასე მრავალჯერ ის ვინც
ერთხელ და სამუდამოდ საქმის ცოდნით მოკლეს და წავიდნენ სხვების მოსაკლავა
დ როცა ქაღალდის გემში იბადებოდა ცარიელი და ხილული სიტყვა როცა ჩვენ
ვამბობთ: ამ უსაშველო თავშესაფრისკენ მოედინებიან ყველაზე უფრო დაწყევლ
ილი და წარმავალი მდინარეები და ისინი იტყვიან ნებისმიერ იმ მარტივ პასუხს
რომელიც არ ესმით ჩვენს რთულ ყურებს და მძიმე მარტორქებს ვიდრე ისინი ცხ
ოვრობენ პურში სადაც არაა სუფევა მაგრამ ჩვენ ყოველთვის უკანასკნელად ვხედა
ვდით ერთმანეთს როცა არ იყო მომსმენელი რომელსაც ყველა მარტივი პასუხი
ჩამავალ ცად უნდა ექცია საიდანაც აღარ ამოვლენ კრავები და სადაც უგრძნობი დ
ა უხორცო სიტყვა იბადება როცა იქ შორეული ხეების ჩრდილში წევს სიკვდილმის
ჯილი სიტყვა და სულს ლაფავს ერთადერთი დედის მოლოდინში

მერომელსაცსიგიჟემდემიყვარდაადამიანებიდანივთებიყველაფერიწამე
რთვამაგრამშევიყვარეთუარაესყველაფერიუკვესიგიჟესგამომწყვდეულ
მაუმალყველაფერიდამიბრუნდადააღვივსემაგრამსიგიჟისთვისადგილია
ღარდარჩაჩემშიდაუმალდავკარგეყველაფერირაცრათქმაუნდაკიარდავი
ბრუნეარამედჩემშიიყოდამხოლოდმაშინგამინაპირდაროცაუკვესიგიჟიდ
ანგამოღწეულსშემეძლოსიგიჟემდემყვარებოდაესყველაფერირომარაგა
მორიცხულიმესამისკანონირომლისსამოქმედოსივრცესიგიჟესარმოიცავს

## კლასიკური ჰარმონია

არ ბრუნავს წყალი. ბრუნავს ჭიქა რომელშიც წყალია.
არ ბრუნავს ვარსკვლავი. ბრუნავს ცა რომელშიც ვარსკვლავია.
არ ბრუნავს აზრი. ბრუნავს გონება რომელშიც აზრია.
არ ბრუნავს ფალოსი. ბრუნავს ვაგინა რომელშიც ფალოსია.
არ ბრუნავს გული. ბრუნავს მკერდი რომელშიც გულია.
არ ბრუნავს სიკეთე. ბრუნავს ბოროტება რომელშიც სიკეთეა.

არ ბრუნავს ღმერთი. ბრუნავს სამყარო
რომელშიც ღმერთია რომელიც ღმერთშია
რომელიც ღმერთია.

## კაუზალობა

მძიმეა ქვიშაში ჩარჩენილი ნაფეხურები
რომლებსაც არავინ მიუთითებს
სად იწყება გზა რომელსაც ადამიანები მიჰყავს ცისკენ
რომელიც ურცხვად ასცქერის მინაზე მიმობნეულ დასახლებათა
შორეულ პერიფერიაში გასაშრობად გაფენილ თეთრეულს
რომელმაც მდუმარედ იმღერა არაერთი მშობლიური
და ნანვალები წყეილი რომლებიც ქმნიდნენ იეროგლიფებს
უცნობი წყლისთვის რომლითაც განიბანებოდა
თავისუფალ ქვისმთლელთა ხელისგულებში ჩაქონილი
მზე რომელსაც მოითხოვდა წყვდიადი რომელიც უნდა ეპოვნათ
მაძიებლებს რომლებითაც იმედოვნებდნენ
გზადმყოფთა კვალში ჩამდგარი მსტოვრები
რომლებსაც დაფორეჯებულ სახეებზე გადასდიოდათ
ჩამავალი მზის საუკუნოვანი მარტოობა რომელსაც
ენაფებოდა უსულო საგნებს შერჩენილი ადამიანების
კენტ რიცხვთა სიმრავლე რომელიც ნატურალური ჯვარცმის
ზუსტი თარიღის აღსადგენად საჭიროებდა სივრცეს
რომელშიც უნდა გაჩენილიყვნენ პირწმინდა მოწმეები
შესაბამისი მეხსიერებით რომელმაც სახელდო მერმისი
და წინასწარმეტყველთა ღვაწლი მიითვისა აქ
ამ უპრეტენზიო ტერიტორიის შუაგულში რომლითაც საზრდოობენ
მხედველობიდან დევნილ შესაბამისობათა პაწია გულები
რომლებითაც სავსეა ახალი სამყარო რომელიც აიგება
არაფრით რომელსაც მუცლად ილებს იმედი ყოველ მოსახვევში
სადაც მოულოდნელი შეხვედრები განიმქრევიან არაფერში
რომელმაც უნდა შევას კანონგარეშე სიტყვა ერთადერთი
ორი ან რამდენიმე იეროგლიფის გზაგასაყარზე რომელიც
ყოველ ერთადერთ მკურნალს გზავნის ერთადერთი ავადმყოფისკენ
ჩვენს ერთგვაროვან მკერდში რომლიდანაც ტკივილამდე უსისტემო
და მარტივ გარემოს უხილავი ნისლივით ერწყმის რეალური სურნელება
რომელიც მრავალჯერ გადარეცხილი პალიმფსესტივით ერთგული თეთრეულიდან
ამოდის ჯვართან და სიზმრებთან ერთად რომლებსაც
არასოდეს მოუწევთ ღამე რომლის ეროგენულ ზონებს
თბილი თითებით ეხებიან შეყვარებულები რომლებიც გამოდიან
ერთმანეთიდან და სათუთად განიბანებიან განუმეორებელ წყალში
რომელიც მიედინება ქვიშაში ჩარჩენილი ნაფეხურებისკენ რომლებიც
უსაშველოდ იძირებოდნენ დროებით გადარჩენილი ყველა მგზავრის
გამოცდილებაში რომელიც თავის არარსებულ ღერძზე ბრუნვას დაუფლებული
არასოდეს წაუღიათ ძვირფასი ნივთების შესავსებად
ჩვენს უპირობო მიზნებს რომლებიც მსუბუქი რხევებით აღაგზნებდნენ
თანალმობის ვნებას რომელიც სიკეთის სახელით
განდევნიდა სიზუსტეს ურიცხვი გზააბნეული გულიდან

რომლითაც საზრდოობდა ყოველი უკიდეგანო აწმყო
რომელსაც მოუხმობდნენ აუტანელი სიამოვნებით განვალებული
წყვილები რომლებსაც უმძიმდათ ერთმანეთი და ის არაადამიანური
მხურვალება რომელშიც თავს იყრიდნენ მდინარეები ხეები მთები
აბიბინებული მინდვრები გაზაფხულის უძირო ქარები
და სხვა სასქესო ორგანოები რომლებიც ხშირად უნატრია
ჩვენს შეუქცევად წარსულს რომლის ფორები ამოქოლეს
განცდის იშვიათმა უნარებმა რომლებითაც ასერიგად მდიდარი და
ამაყია ისტორია რომელიც გამორიცხავს
ყველაფერს რაც შეიძლებოდა მომხდარიყო მაგრამ არ მოხდა ვინაიდან ის მოხდა რაც მოხდა იმიტომ რომ არ მოხდა ის რაც შეიძლებოდა მომხდარიყო რომ არ მომხდარიყო ის რაც მოხდა და არ შეიძლებოდა არ მომხდარიყო ვინაიდან მოხდა და პირველად და უკანასკნელად გამოირიცხა ის რაც შეიძლებოდა მომხდარიყო რომ არ მომხდარიყო ის რაც მოხდა და რამაც გამორიცხა ის რაც შეიძლებოდა მომხდარიყო მაგრამ არ მოხდა იმიტომ რომ მოხდა ის რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო ვინაიდან მოხდა და არ მოხდა ის რაც შეიძლებოდა მომხდარიყო მაგრამ არ მოხდა იმიტომ რომ არ შეიძლებოდა მომხდარიყო ვინაიდან არ მოხდა მაგრამ შესაძლებელი ენოდა იმათ დასამშვიდებლად ვის მიერაც ენოდა შესაძლებელი იმას რაც შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში რომ არ გამორიცხულიყო და მომხდარიყო და არ დარქმეოდა შესაძლებელი
რომელიც ერთადერთ გზაგასაყართან დამარცხებული მებრძოლების
საძმო სასაფლაო და სამარადისო ნუგეშია რომლის
ნათება ქარსმიცემული თეთრეულივით მოეფინება
მეხსიერების ყველაზე უფრო შიშველ ადგილებს
რომლებიც ნარუვალია აქ ამ უპრეტენზიო და დანყევლილ მინაზე
რომელიც ერთი ნაბიჯით ყოველთვის წინ უსწრებს
ქვიშაში ჩარჩენილ ნაფეხურებს
რომლებსაც არავინ მიუთითებს
რომლებსაც არასდროს არავინ მიუთითებს
სად იწყება კანონგარეშე სიტყვა ერთადერთი

## ლოზუნგებისკენ - ლოზუნგების საპირისპიროდ

*ეძღვნება ყველას, ვინც გადარჩება*

"ყველაფერი და არაფერი და მხედველობაში მიღებული ან არმიღებული ნებისმიერი შესაძლებლობა
და რაც გადარჩა და უღვთოდ მანათობელ სიზმრებს შეერია
და ისიც რაც მტვრის სქელმა ფენებმა გადარეცხეს და ვერ წავიკითხეთ
და ყველა მკერდი რომლითაც ჟამი შეიწირვის ან არ შეიწირვის
და ჩვენი უტყვი ბრძოლებისკენ და არარსებული ვნებებისკენ კრძალვით მომავალი ნებისმიერი ფეხსადგილი და ღაწვი ფეხსადგილის
და ფიქრსმიცემული ყველა დასასრული და ფიქრსმიცემული ყველა დასაწყისი
და ყველა გზადყოფნა რომელმაც ვერ ნახა თავის სხვადყოფილი
და ყველა უნუგეშო და გულწრფელი ღალატი რომელიც დაგუბდა მილიონობით ერთადერთ და საცოდავ გულში და მაინც ასე სათუთად და კოხტად იცხოვრა
და ჩვენზე მოსაუბრე ან ჩვენთვის მოსაუბრე ან ჩვენსკენ მოსაუბრე ყველა მარტოსული
და ნებისმიერი გამოცდილება რომელიც უკვე არასოდეს აღარ იქნება ისეთი ლამაზი როგორიც დღესაა როცა ვარსკვლავები სინანულით ცვივიან ცაში
და ყველაფერი რაც ნივთად მოინათლა ან არ მოინათლა და რაც ამოავსეს უძირო და თეთრმა ხელებმა
და ყველა ვის ნადგომშიც ან ვის ნავახშმევშიც წვიმის წყალი ჩადგა
და ყველა დავიწყებული და ხსოვნას მიცემული ფრთებისცემა და ხმამაღალი და შიშით მოთვალთვალე ყველა ირონია და ყველა ღიმილი
და ისიც რამაც დამარცხებას აზიარა ჩვენზე ალმსდგარი მილიონობით დოზირებული და ერთადერთი სურნელება
და ყველაფერი და არაფერი და დამთავრებული ან დაუმთავრებელი ყველა მოგონება
და ისიც რომ შორს უნდა ვიყოთ ნაგასაკიდან და რომ სიყვარული ხაფანგია
და რომ აქ აღარ ვართ და ჩვენმა თვალებმა წაშალეს ღამის კონტურები
რომ არ შეიძლება ჩვენ ერთმანეთის სულიერი მამები ვიყოთ
რომ სადღაც ჩვენი უშორესი სისხლის მიჯნაზე ერთადერთხელ იტირეს თუ იცინეს მკვდრებმა
რომ დღესასწაული ერთადერთი გმირი ქალია აქ სადაც ყოველი ჩვენი მპოვნელი ჩვენვე ვართ ან ყოველი ჩვენი მპოვნელი გვეძიებს ჩვენ
და რომ ყველაფერი წაიღეს ღმერთებმა უკანასკნელ ლეღვის ფოთლამდე და სამოთხეში ქარი ჩადგა და ჩვენ სიზმარი ვისურვილეთ სადაც ერთმანეთს ისეთები შევხვდებოდით როგორებიც ვიყავით მაშინ როცა ქვეყანაზე არ იყო სიზმარი და არც შიშველი და ჭკვიანი ტკივილი
რომ უნდა გადარჩეს ის ვინც უმიზეზოდ დატოვა შემოდგომამ და განმარტოვდა თავისი მსხვერპლის დიდი თვალების დასავიწყებლად
რომ გამოდიან სახლებიდან ნაღალატევი ქალები და მამაკაცები და არასოდეს ბრუნდებიან იქ სადაც უკვე არასოდეს იქნება ღამე

და ყველაფერი და არაფერი და გაღებული დარაბები და არშემდგართა მისადგომებთან სამუდამოდ შეჩერებული ნწყვილი

და რაც გაიზომა ან ვერ გაიზომა და რაც დაინგრა ან რამაც დაანგრია და რამაც ნყალივით ჩაიარა ჩვენში

და ყველა ვისაც უმტკივნეულოდ შეელია ჩვენი დავიწყება და დღესაც გვახსოვს

და ისიც ვინც ჩვენი უხეში ბრძანებით ნაიღო ქარმა და გადახვენა მილიონობით ერთადერთი მიმართულებით

და ნებისმიერი ვისი ცოდვაც ერთ მშვენიერ დღეს ნაიქცა და ფეხზე ველარ დადგა

და ვინც არ ისურვა სადმეყოფნამ და არსადყოფნისთვის გაიმეტა

და ისიც რაშიც ძვირფასი მკვდრები ჩაეთესლნენ და რაც შეურყვნელი არასოდეს უნახავთ ჭირისუფლებს ან ლხინისუფლებს

და ყველაფერი რაშიც შეინახა ლტოლვა და რაშიც ჩვენი უსახლკარო ნება იქნა დაცული და განმტკიცებული

და ვინც დაისაჯა ან არ დაისაჯა როცა ამბავი და საქმე უკუიქცნენ და ჩვენი უძირო გულ-მკერდი ენოდათ

და ვინც დააჩლუნგეს ან ვერ დააჩლუნგეს და ვისაც ყველაზე ნათელი დღეები და დიდი გრძნობები მიდიმოდიოდნენ

და ვინც ვერ შეხიზნეს დრო-სივრცის სოროში და ვისაც გადაშლილ ხმოვნებად გამოსცემდნენ ღამის კონტურები

და ისიც ვისაც მინამ ვერ გაუძლო და ქვეშ დაიტანა და სამზეოზე გამოდევნა არასრული ყველა ნარსული და ყველა ნათლიერი

და ყველაფერი და არაფერი და ისიც რაც სიტყვამ მოიძია და მაშინ მოირღვნენ ალტაცების მყიფე საზღვრები და მაშინ ვერ გადაერჩით

და ყველა სახელი რომელიც გამოქვაბულივით შეღრმავდა საკუთარ საშოში და აღარ ისუნთქა

და მოყვასისადმი შიში რომელ არს შიში შიშებს შორის ყველაზე უფრო გაშიშვლებული

და მზერაამომპალი ყველა დილის ქალი და ყველა დილის საყვარელი და კეთილშობილი და ჰუმანური იდეებით სავსე ყველა დილის ურნა

და სიყვარულის ნებისმიერი ჰასაკოვანი გამოცდილება და ყველა სუნი რომლითაც ნწყვილები ერთმანეთს ჰპოვებენ

და უსარგებლოდ უსარგებლესი ყველა ძაღლის ყეფა რომლის თვითკმარი და უმინზნო ბუნება მეტაფიზიკურ დისკურსად გარდაქმნა ჩვენმა ისარივით უძრავმა გონებამ

და ყველაფერი და არაფერი და ისიც რომ ყველა სამხრეთი და ყველა დასავლეთი თავს იყრის ურიცხვჯერ ერთჯერად ანმყოში

და რომ ხმას და ბგერის ორბუნებოვნებას გადამნყვეტი მნიშვნელობა აქვს შეცვლილი დაისის ფონზე ამომავალი ყველა მარცხისთვის

და რომ ბედნიერია ის რაც ძნელია მაშინ როცა დედამინის ნანვალებ და უბრალო ზურგზე ჯერაც არსებობს ბუშმენების უანგარო გულუბრყვილობა

და რომ გადარჩება ყველა ვინც გადარჩა ან ვინც ვერ გადარჩა ან ვინც გაიმარჯვა და ვინც იცხოვრეს და მინა მიაყარეს

და რომ ნეკნმა შექმნა ადამიანი

და რომ ცა ყოველთვის სარკმლის ტოლფასია

და რომ მიფრინავდნენ წეროები როცა შენ გშიოდა ხოლო შენი იშვიათი ძმები ღმერთით სავსე თვითმფრინავს ელოდნენ იმ გაუმაძღარ უდაბნოში სადაც მათი მოწოდებით იმედი გაჩნდა და დუმილმა იხარა
და რომ ერთი ფოთოლიც არ უნდა დავარდეს ჩვენში გაუვლელად თუ დედამიწაზე ან სადმე ახლოს მართლა არსებობს ოდესმე "იყო"
და რომ რა საჭიროა ერთმანეთს ვუმტკიცოთ არსებობს თუ არა სიყვარული და არსებობს თუ არა ჩვენი გულისცემა როცა ვარდები და ყვავილები მონდომებით კრეფენ ერთმანეთს და როცა ნებისმიერი სევდა ტევადია
და რომ ჩვენი უკვდავი სულები აღარ არიან ქარივით გამჭვირვალე
რომ ყველა ამერიკული და ინდური ფილმი ჭეშმარიტად ამერიკული და ინდური ფილმია
და ყველაფერი და არაფერი და ერთმანეთით დაძარღვული სასაზღვრო სიტუაციები და კლასიკური ჰარმონიის ერთსულოვნება სადაც არ შეიძლება არსებობდეს ბევრი ან ორი სინამდვილე
და ყველა ვინც ღალატობს ღალატს და ყველა ვინც ერთგულებს ერთგულებას
და ყველა და ყველაფერი ვინც და რაც გადარჩა
და ისიც რაც გამოცდილების ნებისმიერმა წარსულმა თავის თავს წაართვა
და ისიც რაც არასოდეს იქცევა მეტამეტაენად ვიდრე სიტყვებით ვიკვლევთ სიტყვებს რომლებსაც ვიკვლევთ ასე ერთბაშად და ასე უმიზეზოდ
და ყველაფერი რაც ტირაჟირებული სათქმელის მიღმაა და ყველას და ყველაფერს უპირობოდ გვითვალისწინებს
და ნებისმიერი სასოწარკვეთილი ეთიკა და მორალურის და ამორალურის ყოველი არცოდნა რომელიც ასე ძვირფასია ახლა ყველასთვის ვისაც სამყარო გულს არ ურევს და ვისთვისაც ყველაფერი ძვირფასია რაც მასში ხდება და რაც არ ხდება
და ისიც რამაც ურიცხვი მარტივი ღალატი დააპურა და ისიც რამაც ურიცხვი მარტივი ღალატი დაამშია და ისიც რაც გადარჩა
და ყველაფერი რაც არ გამოითქმის და რაც შესაძლებლობების ყოველი ერთადერთი გადაკვეთის წერტილია
და ისიც რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამთავრდეს ორგანიზებული დიადი ზეიმით
და ყველაფერი ყველაფერი ყველაფერი რაც არ იქნება ხვალ და არ იქნება არასდროს და რაც არის ახლა და რაც ჭეშმარიტად არის ახლა და რაც არ იქნება გუშინ და გუშინწინ და რაც უბრალოდ არის და არის"

არჩევანი იწყებს მსხვერპლშეწირვით და მაშინვე წინ უსწრებს.

როცა ის წინ უსწრებს აღარ არსებობს ის რაც უკან დარჩა და არც უკან დარჩენილის მნიშვნელობა არსებობს.

არარსებული მნიშვნელობა თავისთან ერთად წარიტაცებს თავის სახელს რომლის ერთმნიშვნელოვნება ნათელყოფას ცდილობს და მეტყველებს.

მეტყველების ყოველი ავტონომიური ფორმა მზერას მიმართავს იქით საითაც გაუსწრეს.

იქ საითაც გაუსწრეს არ არსებობს ნიშნის გაჩენის პერსპექტივა.

ნებისმიერი პერსპექტივა მოწოდებულია იმის გადასარჩენად რაც უკან დარჩა.

რაც უკან დარჩა ყოველთვის უცნობი რჩება ვინაიდან წინ წასულმა არ იცის რას გაუსწრო.

რასაც გაუსწრო წინ წასულმა ის რა თქმა უნდა არსებობს მაგრამ მხოლოდ როგორც ნეგატივი.

ნეგატივი ენერგიაა რომელიც შენახვის კანონს წინ უსწრებს და თავის თავს შეახსენებს.

შეხსენების აქტი ერთჯერადი ხდომილებაა და ყოველი ასეთი აქტი მსხვერპლშეწირვით მთავრდება.

დამთავრება გარდამავალი ნიშანია რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დამთავრებულს და დაწყებულს.

დაწყებული თავისთავად არასოდეს ცდილობს დამთავრებულთან კავშირის დამყარებას ვინაიდან ეს კავშირი აპრიორულად არსებობს.

აპრიორული არსებობა ხსოვნაა.

ხსოვნა არ გულისხმობს მეხსიერებას თუმცა არც გამორიცხავს.

გამოირიცხება მხოლოდ ის რასაც წინ უსწრებენ რაც ამ უკანასკნელს სამარადისო ხსოვნად აქცევს.

ხსოვნად გადაქცევა არ ნიშნავს გათვალისწინებას.

გათვალისწინებული ისაა რასაც წინ უნდა გაუსწროს იმან რასაც წინ გაუსწრო იმან რასაც წინ გაუსწრეს.

ის რასაც წინ გაუსწრეს მოკლებულია ხსოვნას.

ხსოვნა პროცესია.

პროცესი ყოველთვის მსხვერპლშეწირვას ნიშნავს და იქ არსებობს სადაც რაღაც იწყება.

დაწყება დამარცხების ტოლფასია და მაშინვე წინ უსწრებს.

წინმსწრები ისაა რაც უკვე დამთავრდა.

რაც დამთავრდა იმას თესლი ჰქვია და ენერგიის ნარჩენია.

ენერგიის ნარჩენით დაინტერესებული არაა ის რაც უკვე დამთავრდა და დაწინაურდა.

დაწინაურება უხილავის გაუჩინარებას ნიშნავს რაც გამორიცხულია ვიდრე სახეზეა ის რაც წინ უსწრებს.

წინმსწრები არასოდეს სვამს კითხვას თუ რას უსწრებს წინ ან რატომ უსწრებს.

რატომ უსწრებს წინ წინმსწრები წინსწრებულს მხოლოდ მაშინ აინტერესებს თემას როცა პირისპირ დგომა თანადგომით იცვლება.

თანადგომა სახეს უცვლის მეხსიერებას და არჩევანს უზრუნველყოფს.

უზრუნველყოფილი არჩევანი ოპოზიციებს სახელდებს.

სახელდება რეაქციაა და სამარადისოდ ოპოზიციების ტყვეობაში ყოფნისთვისაა განწირული.

განწირული არ გამორიცხავს თავგანწირულს მაგრამ არც მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებს.

შესრულებული რიტუალი არ არსებობს ვინაიდან არც ერთი რიტუალი მრგვალი არაა.

მრგვალი შეიძლება იყოს ის რაც ერთხელ მოხდა.

რაც მოხდა ის არ ხდება.

არ ხდება ის რაც წარმავალია და წინ უსწრებს იმას რაც გადაარჩინა მარადიულმა რომელიც მრგვალია.

მრგვალი მარადიულია მაგრამ არ გამორიცხავს წარმავალს ვინაიდან მეხსიერება წარმავალია ხოლო ხსოვნა მარადიული ისე როგორც განწყობილება წარმავალია ხოლო განწყობა მარადიული ისე როგორც სიმართლე წარმავალია ხოლო ჭეშმარიტება მარადიული ისე როგორც მამაკაცი წარმავალია ხოლო ადამიანი მარადიული ისე როგორც წინადადება წარმავალია ხოლო სიტყვა მარადიული ისე როგორც წინმსწრები ყოველთვის თანამდგომია.

თანამდგომი მოუწოდებს და მოწოდებაში განიმქრევა.

გაუჩინარებული მოწოდება ნეგატივია რომელიც ინახავს ენერგიას.

შენახული ენერგია ყოველთვის წინ უსწრებს იმას რამაც ის შეინახა და ხსოვნად აქცია.

რაც ხსოვნას გარდამავალ ნიშნად აქცევს აუცილებელია.

აუცილებელია ის რაც უკვე მოხდა ვინაიდან ის აღარ მოხდება.

აღარ მოხდება წინმსწრები.

წინმსწრები როგორც არარსებული არსებობს იმდენად რამდენადაც სახეზეა წინსწრება.

წინსწრების რიტუალი საკუთარ თავს თავის თავში ჰპოვებს.

პოვნა შესაძლებელია შედგეს იქ სადაც არა ერთხელ მოიპოვეს ის რაც ჰპოვეს და დაკარგეს.

დაკარგული ენერგიები წარმოქმნიან მანდარინს ნესვს ატამს ლიმონს ფორთოხალს ბანანს.

დაკარგული ენერგიები წარმოქმნიან მტრედებს თოლიებს ადამიანებს.

დაკარგული ენერგიები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფორმით და ერთმანეთით.

დაკარგული ენერგიები ერთმანეთს უნაწილებენ ტემპერამენტს.

ტემპერამენტი სულები და ხელნაწერები არ იწვიან.

რაც იწვის მხოლოდ რიტუალს აღასრულებს.

რიტუალი რომელიც სრულდება განწირულია გადარჩენისთვის და სახელდებული მარცხისთვის.

როცა მარცხი გაჩენას ზეიმობს მისი ნეგატივი წინმსწრებში განიმქრევა და აღარ არსებობს ის რაც უნდა გადარჩეს.

გადარჩენის ნება რიტუალს გამორიცხავს.

გამორიცხული რიტუალი ერთია.

ერთი წარმოქმნის ორს.

ორი წარმოქმნის სამს.

სამი აფორმებს მთელ სამყაროს.

სამყარო იწვის.

## ფსალმუნი

როცა აღარ მოკლავს მოყვასი მოყვასს
და არ გააუპატიურებს მოყვასი მოყვასს
და ცილს არ დასწამებს მოყვასი მოყვასს
და ცოლს ან ქმარს არ წაჰგვრის მოყვასი მოყვასს
და თვალს თამამად გაუსწორებს მოყვასი მოყვასს
და ავი ან კარგი საქმით ველარ გააკვირვებს მოყვასი მოყვასს
და დანაშაულთა შორის უსასტიკესს აღარ შეუნდობს მოყვასი მოყვასს
და უანგაროდ მიენდობა მოყვასი მოყვასს
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა გაძლიერდება მდუმარება და არავინ იქნება დუმილის მომსმენელი
როცა სიყვარული მოვა და ჩვენ ვერ გადავრჩებით
როცა ტკივილი იქნება და ჩვენ აღარ ვიქნებით
როცა შეწყდებიან ცაში ვარსკვლავები და ღამე შეწყდება
როცა დავიბრუნებთ იმას რაც გავეცით
როცა იმდენი სტომაქი გვექნება რამდენჯერაც ამოვისუნთქავთ
როცა ჭეშმარიტად ცოტანი ვიქნებით ვინაიდან ყველგან ვიქნებით
როცა ხორცი აღარ იქნება ხსოვნა და ჩვენც აღარ ვიქნებით
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა მოავლენ ქვეყანაზე არა პურის შიმშილს და არა წყლის წყურვილს
არამედ უფლის სიტყვის მოსმენის შიმშილს
და იხეტიალებენ ზღვიდან ზღვამდე და ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთამდე
და მიდამოივლიან შენი სიტყვის საძებნელად მაგრამ ვერ ჰპოვებენ
და ღონე მიეხდებათ იმ დღეს მშვენიერ ქალწულებს წყურვილისგან
და ღონე მიეხდებათ იმ დღეს მშვენიერ ჭაბუკებს წყურვილისგან
და სიკვდილი აღარ წაიღებს ყველაფერს არამედ მხოლოდ თავისას წაიღებს
და ადამიანებს ყველაფერი ეცოდინებათ მიწისქვეშა წყლების შესახებ
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა აღარ იქნება შორეული და არც ის გვეცოდინება რაა შორეული
როცა გაცემა გვენდომება მაგრამ არაფერი გვექნება გასაცემი
როცა მოვა შუბი და მახვილი და სიხარული ყოველი და შეგვჭამს და გაძღება
როცა ჩრდილები სვავებივით დააცხრებიან ყველა ჩვენს ნასიზმრალს
როცა განქარდება დიდი შუადღე
როცა აღარ ჩამორეკს საათი ცამეტს
როცა ლიბოს წყალი შემოღრღნის და ვარდი ჩაგვიტყდება
როცა აღარ იქნება შიში წრიული და არც დაღმასვლა იქნება წრიული
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა მიმოიქროლებენ საყდრები და ეკლესიები და ქარებს წამოშლიან
როცა ადამიანს იწამებს ის რომელმან შექმნა სამყარო
როცა იარსებებს თანამდგომი მაგრამ არა თანადგომა
და სიტყვას ისევ სიტყვა გადაარჩენს
და კითხვა თავს აღარ შეაფარებს პასუხს

როცა მრავალი ძვირფასი ფეხი მოკრძალებით დატოვებს სულეთს
როცა მრავალი ოქროს ტერფი დედამიწას დაუბრუნდება
როცა ვერავინ გადაიტანს ქაღალდზე იმას რაც ნამდვილია
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა ორ უკუქცეულ სამართალს შორის მოვმძლავრდებით
და ჩვენი უფსკრულები ზეცასთან შეხვედრას აუჩქარდებიან
როცა იმედი დაჩლუნგდება
როცა ჩვენი მომზისფრო სუნები და უძრავი ვნებები
მარადიული ნელინადის ყველა დროისკენ სარკმელს გამოხსნიან
როცა არაფერი იქნება იმაზე უფრო რთული ვისაც ანგრევენ
და არაფერი იქნება იმაზე უფრო მარტივი ვინც ანგრევს
როცა აღარ შევნიშნავთ სხვის თვალში დირეს და სიხარბე მოკვდება
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა დაწყნარდებიან ოკეანეები და დადგებიან მდინარეები
როცა აღარსად იქნება გასაქცევი და არც მთები იქნება
როცა არც ერთი ერთადყოფნა ფეხსადგილში არ მოიოხებს დასვრილ უკანალს
როცა ყველა სიტყვა გულიდან წამოვა და მზერას გამოიელის
როცა სენაკები სანთლებს აანთებენ და ისაუბრებენ სიყვარულზე
როცა დაღლილი ამოოხვრები და ბნელი ოთახები სიძულვილზე ისაუბრებენ
როცა დამაღლდებიან ცოდვები და ადამიანი ადაბლდება
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა იზეიმებენ თანხმოვნები და ყველა ხმოვანი იზეიმებს
როცა ლოცვების წარუმატებლობას ბოლო მოეღება
როცა ბალახები და ყვავილები უკანასკნელი დიდი ნატვრით ჩაესვენებიან
როცა ფოსო თვალით აივსება და მზე იქ ადგილს ვეღარ ჰპოვებს
როცა სიუჟეტები არც დამთავრდებიან და არც დაიწყებიან
არამედ მხოლოდ იქნებიან და იარსებებენ
როცა იშრიალებენ ოქროს ტოტები და ქარონი აღარ გადაგვცურავს
როცა სარკმლები დამთავრდებიან და მიტრა დაიწყება
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

როცა ცეცხლით აღარ მოინათლება ხორციელი
როცა დიდს და მცირეს სხეულში ეკალი მიეცემა
როცა მივწვდებით ქრისტეს განკაცებას და მისი სრული ასაკის ზომასაც
როცა უარყოფილი დიადი დაო უარმყოფელთა მიმართ თანალმობით მიიქცევა
როცა დამარცხებულის წყლებში განბანილი ინდრა უსაქმოდ დარჩება
როცა თეთრი წითელი ყვითელი და მწვანე ერთმანეთს შეერევა
როცა აღმოსავლეთი დასავლეთი სამხრეთი და ჩრდილოეთი ერთმანეთს შეერევა
როცა გილგამეში წიჩბებს გათლის და ნავს შენში შეაგდებს
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო
მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო

თეფში თეფში თეფში ნათურა თეფში ლამის შენი მკერდი თქვა უცნობმა ავტორმა
ნათურა თეფში მაგიდა თეფში დანა მაგიდა სკამი ორცხობილა თეფში მაგიდა
ნათურა სკამი ნათურა სკამი ნათურა თეფში დანა ფანჯარა დანა მაგიდა თეფში თ
ეფში დანა ბოლო მოეღო ყველა ჩვენს გეგმას თქვა დიუმამ ორცხობილა თევზი თე
ფში სკამი თეფში ლარნაკი თეფში თეფში ჩანგალი ორცხობილა დანა თეფში თეფში
კარადა თეფში დანა დანა ჩანგალი ჭიქა ჭიქა ლარნაკი ჭიქა ნათურა თეფში თეფში
თეფში თეფში ნათურა ჭიქა ფანჯარა ზამბარა ზამბარა თეფში ჭიქა თეფში თეფში
ნათურა ჭიქა მაგიდა პური მაგიდა სკამი სკამი პური ჩანგალი სკამი თეფში თეფში
თეფში აი ქოფაკი ამისთანას ვერ გააცურებ თქვა ბალზაკმა ვაშლი ვაშლი ვაშლი თ
ევზი ორცხობილა თეფში მაგიდა ლარნაკი სკამი ზამბარა სკამი ბაგვი ბაგვი თეფში
თეფში ნათურა ჩანგალი დანა დანა დანა ხედავ იმ ლამაზ მადმუაზელს თქვა მერიმემ
კარადა თეფში თეფში ჭიქა თასი სკამი მაგიდა თეფში სამსჭვალი თეფში მაგიდა
თევზი თევზი თევზი დანა ჩანგალი საგნებს ვუპატრონოთ თქვა უცნობმა ავტორმა
თევზი მაგიდა ნათურა სკამი სკამი სკამი სავარცხელი თეფში თეფში მაგიდა ლა
რნაკი წიგნი ლარნაკი თეფში თეფში მაგიდა ზამბარა მაგიდა რაზა რაზა რაზა სამსჭ
ვალი თეფში სამი დღე და სამი ღამე ინვოდა საბატო თქვა ეკომ სკამი კარადა თე
ფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში
თეფში თეფში თეფში თეფში თეფში მაგიდა თეფში თეფში თეფში თეფში ნათურა ნ
ათურა თეფში თეფში თეფში როგორ შემეძლო ამხელა სიყვარული ვერ დამენახა
თქვა ბეროუზმა მაგიდა რაზა მაგიდა რაზა თეფში კარადა მაგიდა სკამი თეფში მა
გიდა თევზი ლარნაკი სკამი სკამი სკამი მაგიდა ჯამი დანა ჯამი დანა ჯამი დანა ჯ
ამი დანა თევზი დანა დანა მაგიდა დანა გამლენი სწუხდა თქვა ფრანსმა მაგიდა მა
გიდა სკამი ლარნაკი ასანთი ასანთი სკამი წიგნი კარადა ზამბარა სკამი ჩვენც იქ
იდან ვართ ჩვენი მკერდიდან თქვა უცნობმა ავტორმა ჩანგალი სკამი სამსჭვალი ხ
ახვი ხახვი სამსჭვალი მაგიდა პური ხახვი პური ხახვი პური ხახვი ჯამი ჯამი ჯამი ს
კამი კათხა ჭიქა ჯამი თეფში თეფში თეფში პური თეფში თეფში მაგიდა სამსჭვალი
კათხა კათხა თეფში ჯამი ნათურა თეფში ხახვი ხახვი მწუხრის ქარი ქროდა თქვა უ
ცნობმა ავტორმა თეფში თეფში ჭიქა სამსჭვალი ხახვი კათხა კარადა სკამი კარადა
ჯამი ჯამი ჯამი სამსჭვალი თეფში თეფში თეფში დანა ჩანგალი დანა ჩანგალი
ჩანგალი თეფში თეფში სკამი სკამი ისევე როგორც ბევრი გმირი მარიაც ვერ მოე
სწრო ჩვენს დღეებს თქვა ბრეჟნევმა ჩანგალი დანა დანა დანა დანა სამსჭვალი ას
ანთი ზამბარა დანა სამსჭვალი ჯამი ჯამი ჯამი ზამბარა რაზა ზამბარა თეფში თეფში
კარადა მაგიდა თეფში ლანგარი პური ვაშლი პური კათხა კათხა სამსჭვალი ზამბარა
დანა დანა დანა ფანჯარა თეფში თეფში ლანგარი ჯამი პური ჩანგალი თეფში ჯამი
ჭიქა ვაშლი სამსჭვალი ხახვი ვაშლი დანა დანა თევზი დანა ჭიქა ზამბარა ფანჯარა
კარადა დანა პური თეფში თეფში თეფში სამსჭვალი ბაგვი ბაგვი სამსჭვალი შენ
ალარ ხარ ტყვე და მონა თქვა სკოტმა თეფში რაზა თეფში ბაგვი სამსჭვალი ვა რდი
სამსჭვალი ლარნაკი ზამბარა ლანგარი ხახვი სკამი სკამი სკამი თეფში ჩანგალი დანა
სამსჭვალი სკამი კათხა თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თ ეფში
თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში კათხა თეფში ჩანგალი ვარდი
თეფში ლანგარი ზამბარა თეფში აფეთქება არ მოხდება თქვა ბოდრიარმა სკამი
კარადა სკამი სამსჭვალი სამსჭვალი სკამი სკამი სკამი კვერცხი მაგიდა სკამი თეფში

თეფში ლარნაკი ლანგარი თეფში მაგიდა კომბოსტო თეფში ასანთი სკამი თეფში ლ
ანგარი თეფში ლანგარი თეფში კომბოსტო ვარდი თეფში თეფში სამსჭვალი ჭიქა ჭ
იქა სამსჭვალი კომბოსტო თევზი ბაგეი თევზი კომბოსტო ჩანგალი დანა ჩანგალი
ჩანგალი ჭიქა ჭიქა ჭიქა თეფში თეფში ჭიქა ჭიქა ჭიქა კომბოსტო ზამბარა ზამბარა
თეფში ჭიქა თევზი მაგიდა ჭიქა თეფში თეფში თეფში თეფში სკამი სკამი ასანთი ფ
ანჯარა ფანჯარა სამსჭვალი რაზა თეფში რაზა ჭიქა ამიერიდან არასოდეს და
გავიწყდეს ეს ჩემო ბიჭო თქვა ვერნმა თეფში თეფში სკამი კარადა ლარნაკი სკამი
თეფში ჩანგალი ჩანგალი ჭიქა ჭიქა ჩანგალი ვარდი დანა ვარდი დანა ვარდი დანა
ნივთებს ვუერთგულოთ თქვა უცნობმა ავტორმა ვაშლი მაგიდა ფანჯარა რაზა რაზ
ა თეფში ფანჯარა ზამბარა თევზი ბაგეი ჯამი მაგიდა თასი ლანგარი თევზი სა
მსჭვალი ხახვი ვაშლი ვაშლი თევზი ვაშლი პური თეფში თეფში ჭიქა ჭიქა სამსჭვა
ლი თეფში თეფში თეფში თეფში სამსჭვალი პური ჯამი ვარდი ძალიან ბევრი შე
დევრია უკვე შექმნილი თქვა ბიუტორმა თეფში ჩანგალი ჩანგალი დანა ჭიქა ფა
ნჯარა ფანჯარა ჯამი რაზა ასანთი კვერცხი სკამი ზამბარა ხახვი თევზი ზამბარა
ზამბარა თევზი სკამი სკამი მაგიდა თეფში თეფში თეფში დადგა მშვენიერი შემო
დგომა თქვა უცნობმა ავტორმა სკამი სკამი თეფში კარადა ვაშლი ლანგარი თეფში
ჩანგალი თასი თევზი ზამბარა სამსჭვალი კათხა ფანჯარა პური ჩანგალი კარადა
თეფში ჯამი პური ჯამი თეფში კვერცხი ჩანგალი ჭიქა კომბოსტო თეფში თეფში
მაგიდა სკამი მაგიდა კომბოსტო ჯამი ნათურა რაზა ჭიქა სამსჭვალი წიგნი ვარდი
ზამბარა ლარნაკი კარადა ლარნაკი ვარდი თეფში ბაგეი ბაგეი ჭიქა ჭიქა ჭიქა თეფში
ვარდი ჭიქა თეფში თეფში სამსჭვალი წიგნი ჯამი ვიქტორიანულ ეპოქაზე ნო
სტალგიამ შეცვალა სიზუსტის სურვილი თქვა უცნობმა ავტორმა დანა ჯამი დანა
თეფში თეფში ჭიქა ზამბარა დანა დანა დანა დანა თეფში ჩანგალი ჭიქა ჭიქა ვარდი
სკამი სკამი თეფში სამსჭვალი ლანგარი რაზა ლარნაკი თეფში ხახვი თევზი ხახვი
თევზი ხახვი თეფში პური სკამი მაგიდა ლანგარი ჭიქა ჭიქა თეფში თეფში თეფში თ
ეფში სამსჭვალი კვერცხი თასი დანა დანა ჩანგალი ჭიქა რაზა ზამბარა ნათურა
ჩანგალი სამსჭვალი სკამი პური თევზი სამსჭვალი ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჯამი
თეფში პური სკამი რას ვკითხულობდი თავისთავად იგულისხმება რომანებს და
კომედიებს თქვა გერცენმა სავარცხელი ვაშლი ჯამი თეფში თეფში თეფში დანა
დანა დანა ჩანგალი დანა თეფში ჩანგალი კარადა მაგიდა კარადა ხახვი აგური თე
ფში თეფში თეფში ჭიქა ჭიქა ჯამი კათხა კათხა სამსჭვალი სკამი სკამი თეფში ჯამი
აგური ჩანგალი ჩანგალი კვერცხი ლანგარი ჯამი ჯამი ჯამი თეფში ვარდი რაზა
რაზა რაზა საგნებს ვუპატრონოთ თქვა უცნობმა ავტორმა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა
კომბოსტო კომბოსტო კარადა სკამი სკამი სკამი კარადა ჯამი ჭიქა ჭიქა თეფში ჯამი
რაზა სამსჭვალი ზამბარა პური ფანჯარა თევზი ასანთი თევზი ვაშლი კათხა ჭიქა
კათხა ჭიქა კათხა ჭიქა ჯამი ჭიქა თასი ჭიქა სკამი თეფში თეფში თეფში თეფში
თეფში თეფში ჩანგალი ჩანგალი დანა იყო და არა იყო რა იყო ერთი გადაბერებული
ბერიკაცი თქვეს ძმებმა გრიმებმა ჩანგალი აგური თეფში თეფში ფანჯარა თეფში
თეფში ზამბარა პური ლანგარი ვარდი ვარდი თეფში ლარნაკი თეფში კვერცხი ჯამი
ჯამი ასანთი ჯამი წიგნი მაგიდა ჭიქა სამსჭვალი ბაგეი ჭიქა ჭიქა ჩანგალი დანა
ხახვი ზამბარა ხახვი თეფში კვერცხი რაზა ჩანგალი ლარნაკი ჯამი მაგიდა სკამი ზ
ამბარა აგური ვარდი თეფში თეფში თეფში თეფში სავარცხელი სკამი თეფში თეფში
ჭიქა ჭიქა ხახვი ჯამი თევზი ვაშლი თეფში თეფში თეფში თეფში თეფში დანა თეფში
თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში დანა თეფში თეფში თეფში როცა დავითი
შინ მივიდა საღამო ხანი იყო თქვა ჭავჭავაძემ თეფში მაგიდა სკამი აგური სა

მსჭვალი ლანგარი ვაშლი ზამბარა ლარნაკი ვარდი ზამბარა პური კვერცხი ჩანგალი დანა დანა ვარდი აგური დანა თეფში თეფში თეფში თეფში პური მაგიდა სკამი მაგიდა თეფში რაზა რაზა ბაგვი ბაგვი ჩანგალი კარადა სკამი კარადა ლარნაკი თეფში თეფში ასანთი ჯამი თეფში თეფში კათხა სკამი სკამი კათხა სკამი სკამი სკამი კათხა სკამი სკამი სკამი სკამი კათხა თევზი სამსჭვალი პური ის უკვე მოკვდა თქვა კორნელიმ ჩანგალი დანა ჩანგალი ჯამი კარადა თეფში აგური თეფში თეფში აგური თეფში სავარცხელი თევზი ჯამი ჭიქა პური თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში სავარცხელი ლანგარი დანა ხახვი დანა ხახვი თეფში თეფში ჭიქა ჭიქა ვარდი სამსჭვალი პური თევზი თეფში თეფში აგური მაგიდა კარადა სკამი კარადა სკამი სკამი სკამი სამსჭვალი მაგიდა სკამი სკამი სკამი მაგიდა სკამი სკამი სკამი ნათურა კვერცხი სკამი ნათურა თეფში თეფში ახლა მე ვიცოდი რომ პროკურორი ცრუობდა თქვა კროპოტკინმა პური აგური სკამი სკამი სკამი კათხა თასი თეფში თეფში ჯამი ჯამი თეფში აგური თასი თევზი ვაშლი თეფში თეფში კარადა თეფში კარადა ვარდი თეფში თეფში სავარცხელი ვაშლი კარადა თეფში კარადა ვარდი თეფში თეფში სავარცხელი ვაშლი კარადა თეფში ჩანგალი ჩანგალი ჩანგალი დანა თევზი ლანგარი ფანჯარა პური ფანჯარა თეფში თეფში კათხა თასი თეფში თასი აგური ხახვი პური ხახვი პური სკამი სამსჭვალი ნათურა ვარდი ჯამი ნათურა ჯამი თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში მაგიდა თეფში თეფში მაგიდა ჭიქა ხელცარიელი მეზღვაურები მიუყვებოდნენ სანაპიროს და ზღვას მალვით უყურებდნენ თქვა უცნობმა ავტორმა თეფში თეფში თეფში თეფში თეფში აგური სამსჭვალი თეფში თეფში თეფში თეფში თეფში ბოთლი თეფში თეფში თეფში თეფში ზამბარა თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში ზამბარა თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში ხახვი თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში ვარდი ნათურა თეფში თეფში თეფში თეფში თეფში თეფში მაგრამ მთავარი განა რძე იყო ძროხას დიდი სიხარული მოჰქონდა ადამიანებისთვის თქვა ბრეჟნევმა მაგიდა თეფში მაგიდა სკამი მაგიდა ნათურა მაგიდა აგური მაგიდა ბოთლი მაგიდა ვაშლი მაგიდა თევზი მაგიდა ვარდი მაგიდა სავარცხელი მაგიდა თასი მაგიდა ჩანგალი მაგიდა დანა მაგიდა კვერცხი მაგიდა ნათურა მაგიდა ჭიქა მაგიდა კარადა მაგიდა თეფში მაგიდა თეფში მაგიდა თეფში მაგიდა თეფში თეფში აგური თეფში ბოთლი თეფში თეფში კარადა თეფში თეფში ფანჯარა რაზა რაზა რაზა ზამბარა თეფში თეფში ზამბარა თეფში თეფში ზამბარა თეფში ჩანგალი დანა რენათმა მყისვე იცნო თავისი ძმა სინიბალდი თქვა სერვანტესმა კარადა სკამი სკამი მაგიდა ვაშლი ვაშლი ფანჯარა მაგიდა რაზა ვარდი ლანგარი ვარდი ლარნაკი ვარდი რაზა ბოთლი რაზა ვაშლი რაზა სავარცხელი მაგიდა სკამი სკამი სკამი თეფში თეფში თეფში თეფში მაგიდა თეფში თეფში კარადა სკამი თეფში კარადა ჩანგალი ბაგვი ბაგვი ჭიქა თეფში თეფში ხახვი ვარდი ვარდი ვარდი კვერცხი თეფში თეფში სკამი სკამი თეფში დანა დანა დანა დანა ჩანგალი ბოთლი ვაშლი ზამბარა კარადა კვერცხი ზამბარა თეფში ზამბარა თეფში ჩანგალი დანა თეფში თეფში ჭიქა მაგიდა ლანგარი მარგალიტი ნიშნავს მოლუსკის ავადმყოფობას თქვა კოლრიჯმა ფანჯარა ბაგვი ბაგვი დანა დანა დანა ჩანგალი ჩანგალი ჩანგალი ჩანგალი სკამი სკამი სკამი სკამი სკამი სკამი სკამი სკამი სკამი სკამი თეფში სკამი თეფში სკამი ჯამი ნათურა ბოთლი ნათურა რაზა მაგიდა სკამი თეფში თეფში სკამი რაზა თევზი პური სამსჭვალი პური თევზი პური თევზი სამსჭვალი პური სამსჭვალი რაზა კარადა სავარცხელი თეფში ლარნაკი აგური ვარდი ლარნაკი თეფში კომბოსტო ვარდი კომბოსტო თეფში სკამი კარადა სკამი თეფში ვარდი მაგიდა სკამი ვარდი თეფში ზამბარა თასი თეფში თე

ფშებზე უშნოდ ეყარა თართი და ორაგული თქვა უცნობმა ავტორმა დანა დანა დანა დანა დანა რაზა ნათურა მაგიდა ზამბარა სკამი მაგიდა ვარდი დანა თეფში თეფში დანა დანა დანა დანა დანა თეფში თეფში თეფში თეფში დანა დანა დანა თეფში თეფში დანა აგური ჯამი ჯამი აგური აგური აგური ჯამი ჯამი ჯამი აგური აგური აგური აგური აგური ჯამი ჯამი ჯამი აგური ჯამი ჯამი ჯამი აგური აგური აგური აგური აგური აგური აგური ჯამი ჯამი ჯამი ჯამი ჯამი ჯამი ჯამი ჯამი ჩანგალი ნათურა სავარცხელი ზამბარა კარადა სკამი მაგიდა პური თევზი სამსჭვალი რაზა ფანჯარა ლარნაკი კათხა სათლი ბაგეი ბაგეი ფანჯარა მაგიდა სკამი წიგნი წიგნი ბოთლი თეფში თეფში თეფში თეფში ვარდი ფანჯარა აგური ხახვი ვაშლი სკამი მაგიდა სამსჭვალი კარადა ასანთი რაზა ფანჯარა რაზა ჯამი ლანგარი თეფში თეფში თეფში ჯამი თეფში თევზი თეფში თეფში ვაშლი თეფში კათხა თეფში თეფში თეფში ვარდი თეფში თეფში ლანგარი თეფში თეფში სკამი თეფში ლარნაკი თეფში თეფში თეფში თეფში ვარდი თეფში ჭიქა სათლი თეფში ვარდი ჩანგალი სამსჭვალი ბაგეი ასანთი კომბოსტო ზამბარა თასი თევზი კათხა თეფში ზამბარა ვარდი კათხა ვაშლი ბოთლი სამსჭვალი ლარნაკი სკამი ჩანგალი დანა ჯამი ფანჯარა ჯამი თეფში სამსჭვალი კვერცხი დანა სურვილების უმრავლესობას თან სდევს რაღაც სიამოვნება თქვა არისტოტელემ კარადა სკამი თეფში თეფში თეფში აგური სათლი თეფში თეფში თეფში თეფში ნათურა ვარდი თეფში თეფში თეფში ჭიქა დანა თეფში თეფში ბაგეი თეფში თეფში თეფში თეფში რაზა ვაშლი თეფში თეფში თეფში ზამბარა თეფში თეფში თეფში კვერცხი თეფში თევზი კარადა სათლი დანა დანა დანა ჩანგალი ასანთი აგური დანა ვარდი ჯამი ჯამი ჯამი ბაგეი კომბოსტო ვარდი თევზი ლანგარი დანა სკამი ფანჯარა რაზა სკამი სკამი სკამი ჩანგალი სათლი თეფში კვერცხი აგური სამსჭვალი ასანთი თეფში თეფში თეფში ლარნაკი თასი ჩანგალი კვერცხი დილის შენი მკერდი თქვა უცნობმა ავტორმა თეფში თეფში თეფში ასანთი ასანთი ასანთი წიგნი სათლი რაზა ხახვი თევდორეს ავიწყდებოდა რომ ცხოვრებას თავისი ულმობელი კანონები აქვს თქვა უცნობმა ავტორმა ხახვი პური ვაშლი პური კომბოსტო პური სკამი სკამზე ხეები ამოსულიყვნენ თქვა უცნობმა ავტორმა კარადა ორცხობილა თეფში მაგიდა ორცხობილა ზამბარა სკამი ფანჯარა ფანჯარა კვერცხი აგური ვაშლი თევზი სათლი ხახვი პური ვაშლი სკამი სკამი სკამი ფანჯარა ჩანგალი დანა თეფში თეფში თეფში თეფში ორცხობილა თეფში თეფში თეფში თეფში თეფში ჭიქა ჭიქა ჭიქა თასი თასი თასი თასი თასი კარადა ჯამი თასი თასი ჭიქა თასი ჭიქა თასი თასი თასი ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა ჭიქა თასი კათხა კათხა თასი ჭიქა თასი თასი თასი თასი კათხა კათხა ჭიქა თასი კათხა კათხა ჭიქა თასი კათხა ჭიქა კათხა თასი თეფში თეფში თეფში თეფში მაგიდა მაგიდა კარადა თასი ჭიქა კათხა სკამი თასი სკამი თასი თეფში ჭიქა კათხა თასი კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა კათხა ორივე მხარე სავსებით დააკმაყოფილა და ერთნაირად ასიამოვნა საბოლოო განაჩენმა თქვა რაბლემ თეფში თეფში თეფში

თუ აუცილებლად უნდა ითქვას ის რაც უნდა ითქვას როგორ უნდა ითქვას ის რაც უნდა ითქვას?

თუ ის რაც უნდა ითქვას ჯერ არ გაჩენილა მაშინ როდის გაჩნდა ის რაც ითქვა?

თუ ის რაც ითქვა გამოთქმამდე ცხადი არ იყო როგორღა ითქვა?

გადარჩა თუ არა ის რაც ითქვა?

თუ გადარჩა როგორ გადარჩა და თუ არ გადარჩა რატომ არ გადარჩა?

თქვა თუ არა ის რაც ითქვა იმან რამაც ის თქვა?

როგორ ითქვა ის რაც რაღაცის მიერ გამოითქვა?

გადარჩა თუ არა იმის მთქმელი რაც ითქვა მაშინ როცა ის რაც ითქვა ის არ იყო რაც უნდა თქმულიყო?

როგორ გაიგო მთქმელმა ის რაც გამოთქვა იყო თუ არა ის რაც უნდა გამოეთქვა?

როგორ გაიგო გამოთქმულმა იყო თუ არა თავად ის რაც უნდა გამოთქმულიყო და რაც გამოითქვა ან არ გამოითქვა?

გამოითქვა თუ არა ის რომ რაღაც გამოითქვა ან არ გამოითქვა?

იყო თუ არა რაღაც ის რაც უნდა თქმულიყო?

რა იყო ის რაც უნდა თქმულიყო და ითქვა ან არ ითქვა?

როგორ ითქვა ის რაც ითქვა?

თუ ის რაც უნდა თქმულიყო ისე ითქვა როგორც უნდა თქმულიყო გადარჩა თუ არა ის რაც უნდა თქმულიყო?

გადარჩა თუ არა ის რაც ითქვა?

დაემთხვა თუ არა ერთმანეთს თქმული და სათქმელი?

იყო თუ არა იგივეობრივი სათქმელი და გამოთქმული?

გადაკვეთეს თუ არა ერთმანეთი იმან რაც ითქვა და იმან რასაც უნდა ეთქვა ის რაც გამოთქვა?

შევიდა თუ არა გამომთქმელი გამოთქმულში და იმოძრავა თუ არა?

იყო თუ არა მოძრაობა რაღაც?

თუ მოძრაობა იყო რაღაც მაშინ დაიოკა თუ არა წყურვილი იმან რაშიც იმოძრავა იმან რაც შევიდა?

გადარჩა თუ არა ის რაც შევიდა?

გადარჩა თუ არა ის რამაც მიიღო შესული?

მაგრამ მიიღო?

თუ მიიღო რა ხნით მიიღო და თუ არ მიიღო რა მიზეზით უკუაქცია?

მაგრამ უკუაქცია?

მოიყარეს თუ არა თავი მოძრავში შესულმა და გამოსულმა და გამთლიანდა თუ არა მოძრავი?

თუ გამთლიანდა როგორ და თუ არ გამთლიანდა რატომ?

ის რაც გამთლიანდა ან არ გამთლიანდა იქცა თუ არა იმად რაც უნდა თქმულიყო და რაც უნდა თქმულიყო ისე როგორც უნდა თქმულიყო?

ითქვა თუ არა ის რაც ითქვა ისე როგორც უნდა თქმულიყო?

გადარჩა თუ არა ის რაც ითქვა?

ის რაც ითქვა იყო თუ არა ის რაც აუცილებლად უნდა თქმულიყო?

თუ აუცილებლად უნდა თქმულიყო ის რაც ითქვა იქცა თუ არა გამოთქმული ციტატად?

საცნაურჰყო თუ არა ციტატამ თავის თავი როგორც ციტატა და სცადა თუ არა თავის თავში ჩაბრუნება?

შედეგი იყო თუ მიზეზი ჩაბრუნების აქტი და იქცა თუ არა ციტატა იმად რაც უნდა თქმულიყო?

უკუიქცა თუ არა ციტატა იქ საიდანაც მოვიდა?

საიდან მოვიდა ციტატა?

სად მიდის ციტატა?

თუ ციტატა ცვალებადია იცვლება თუ არა პერიოდულად ის რაც ციტატას ეფუძნება და რაც იცავს იმას რასაც ციტატა აძევებს?

ეფუძნება თუ არა ციტატას ის რასაც ციტატა აძევებს?

სავსეა თუ არა ციტატა?

რა იცის ციტატამ თავისი თავის შესახებ?

იცის თუ არა ციტატამ ის რაც მისი შინაარსის შესახებ იცის იმან რაც მის შინაარსს აფორმებს?

ითქვა თუ არა ის რაც გაფორმდა ისე როგორც უნდა თქმულიყო?

ის რაც გაფორმდა ჩაენაცვლა თუ არა იმას რაც ციტატამ უარყო და უპირობოდ გამოთქვა?

მტკივნეული იყო თუ არა ჩანაცვლების პროცესი?

იყო თუ არა ტკივილი თვითკმარი?

იმან რაც ითქვა მოინიშნა თუ არა თავისი თავი იქ სადაც დამთავრდა ის რაც გამოითქვა და დაიწყო ის რაც უნდა თქმულიყო?

გამოათავისუფლა თუ არა სიმბოლოსთვის ადგილი იმან რაც ითქვა?

საკმარისად თავისუფალი იყო თუ არა სიმბოლო როცა ის ციტატას წინასწარმეტყველებდა?

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს წინასწარმეტყველება იმად რაც ითქვა მაგრამ არ უნდა თქმულიყო?

თუ სიმბოლო არც წანამძღვარია და არც დასკვნა მაშინ როგორაა ის შესაძლებელი დროში და სივრცეში?

როდის არსებობს სიმბოლო როგორც თვითკმარი პროცესი?

არსებობს თუ არა ის საერთოდ?

უარყოფს თუ არა სიმბოლო იმას რაც მას გამოთქვამს და არა მის თავისუფლებას?

გამოთქვამს თუ არა გამოთქმული იმას რაც უნდა თქმულიყო როცა ის სიმბოლოში შედის და ციტატა შეაქვს?

რა ხდება იქ სადაც სიცარიელე თავს იცავს?

სავსეა თუ არა სიცარიელე?

დაემთხვა თუ არა ერთმანეთს თქმული დაართქმული?

დაცხრა თუ არა ის რაშიცართქმულმა თქმული უკუაგდო და სახელდო ის რაც გამოთქმულმა გადაარჩინა?

მაგრამ გადაარჩინა გამოთქმულმა ართქმული?

იყო თუ არა ართქმული ის რამაც ადგილი გაუმზადა ციტატას და მზერა მიაპყრო სიცარიელეს რომელმაც მზერა მიაპყრო ართქმულს?

გადაფარეს თუ არა ერთმანეთი სიცარიელემ და იმან რაც არც უნდა თქმულიყო და არც ითქვა?

გამოირიცხა თუ არა ის რაც არ ითქვა?

გადარჩა თუ არა ის რაც ითქვა?

აამოძრავა თუ არა გამომთქმელმა ის რაშიც იმოძრავა და ეზიარნენ თუ არა ერთმანეთს?

თუ აამოძრავა როგორ და თუ ვერ აამოძრავა რატომ?

დაივიწყა თუ არა ამოძრავებულმა ზღვარი მოძრაობასა და უმოძრაობას შორის და განიცადა თუ არა დიადი აწმყო?

რაც გამოთქმულმა განიცადა იყო თუ არა რაღაც?

დაივიწყა თუ არა გამოთქმულმა ის რაც განიცადა?

სად ეზიარნენ ერთმანეთს გამომთქმელი და გამოთქმული?

როდის დამთავრდა მოძრაობა?

დაუბრუნა თუ არა იმან რაც ითქვა იმას რაც უნდა თქმულიყო მაგრამ არ ითქვა ის რაც გამოითქვა?

გადარჩა თუ არა სიმბოლო?

გადარჩა თუ არა ციტატა?

გადარჩა თუ არა თქმული?

გადარჩა თუ არა ართქმული?

ის რამაც იმოძრავა იმაში რაშიც იმოძრავა იყო თუ არა საკმარისად ცარიელი მაშინ როცა გამოვიდა იქიდან რაშიც იმოძრავა?

ის რაშიც მოძრავმა იმოძრავა და რაც თავადაც აამოძრავდა იყო თუ არა საკმარისად სავსე როცა მარტო დარჩა?

გადარჩა თუ არა ის რაც ითქვა?

ის რაც ითქვა იყო თუ არა რაღაც?

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც დამთავრდა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც სამხრეთი დატოვა და ჩრდილოეთის სუსხით გადაშლილ პეიზაჟებს მიაშურა.

"მარილიანი წყლის ბინადარი ნიანგები მიირთმევენ ადამიანებს და როგორც მლაშე ისე მტკნარ წყალში თავს კარგად გრძნობენ" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"ჩვენ ველარ დავიბრუნებთ ბამბუკივით მშვენიერ ჩვენს ჭიპს საიდანაც ოდესმე ქარები ამოვლენ და მაშინ ვასწავლოთ სავალი ჩვენი რძიანი მინდვრებისკენ" - თქვა იმან ვინც დამთავრდა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვისი სულიც სიკვდილის მერე ქვების და მთების სულს შეუერთდა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც თავისი წარსულის მოსმენა ინება.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც შეუყვარდათ და სოლიდარობა გამოუცხადეს.

"ხეები და მდინარეები ჟანგისფერ ნაპირს შემოუსხდნენ და ჩვენ არ გვიშველა სიზმარმა და არც ღამემ გვიშველა" - თქვა იმან ვინც დამთავრდა.

"მე ვჯდები ხოლმე და ვუფიქრდები ცხოვრებას და ცრემლი მერევა რადგან არავინ მოდის ჩემს მერე" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"ჩვენ არ ვიცით ზამთარი წინაა თუ უკან" - თქვა იმან ვინც ერთხელ და სამუდამოდ პირჯვარი გადაიწერა და უკუდგა.

"ნუთუ აღარ არიან ჩვენი მშვენიერი მკვდრები რომლებიც ათასობით ვარსკვლავს ამძიმებდნენ და ცოდვა წაიქცა" - თქვა იმან ვინც არ წაიქცა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც არაერთხელ იხილეს სიზმრად.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა უარყოფილმა სულმა რომელმაც ოდესღაც კარი არ გაუღო იესოს.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა ოცწლიანი დუმილის მერე გამოქვაბულში შებრუნებულმა განდეგილმა.

"როცა ჩვენ დავიხოცებით ჩვენი სული შეუერთდება ინჯუანჯუანს და წინაპართა სულებს მაგრამ ისინი გვისაყვედურებენ რომ არავინ მოდის ჩვენს მერე" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"რა უნდა მოიმოქმედოს მოძღვარმა როცა აზრი სიტყვას განეყოფა და სინანული მარცხს განიცდის" - თქვა იმან ვინც უკანასკნელ დინებას შეერია.

"შემოდგომის ფერმკრთალ ვარდებად ბზუიან და ზუზუნებენ მკერდსავსე გულები" - თქვა იმან ვისაც შედარების ნიჭმა უმუხთლა.

"მან გადალახა მდინარეები და ველები და უნაყოფო ტრამალები; იმოგზაურა და მინას ფორმა მისცა; ჩამოვიდა აქ და გაქვავდა; მისი სული ბრუნავს უფსკრულში და იქ სადაც მისი ხალხის ძვლები ასვენია" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც უკვდავებას გადააყოლეს.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც შეიცნო თავისი ერთადერთი საკვები და უმიზეზოდ დაიმშა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც ქარმა წაიღო მრავალჯერ მრავალი საუკუნის წინ.

"დამთავრდა აღმოსავლეთის ქარების სეზონი" - თქვა მონადირემ.

"ჩვენ პასუხს ვაგებთ ყველაფერზე რაც მოხდება მაშინ როცა ჩვენ აღარ ვიქნებით ან ისევ მოვალთ" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"ჩვენ მრავალი მზის მარცხი ვინვნიეთ და მრავალი გზა წაიშალა მაგრამ ჩვენი მოლოდინი ერთგულია როგორც საკუთარი თავის მიმართ ისე ღმერთის მიმართ" - თქვა იმან ვინც დამთავრდა.

"აი ისინი ადამიანები რომელთათვისაც ცნობილია ორი სიმართლის მხარე" - თქვა იმან ვინც აღიარა სიმართლე და გადარჩა.

"აი დასავლეთის მხარე რომელიც ინახავს ჩვენი წარმომავლობის ყველაზე უტყუარ ურიცხვ საბუთს" - თქვა იმან ვინც დამთავრდა.

"აი დედა და აი მამა" - თქვა იმან ვინც ამსოფლიურ ამაოებას მორჩილად მიეგება და დიდხანს ემსახურა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც გადარჩა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც დამთავრდა.

"მშვიდობიან ღამეს გისურვებთ" - თქვა იმან ვინც გაიარა დილის ქვეყანა და გალობა მშვიდობით დაასრულა.

# ლოგიკის მონატრება

## I

თუ ღირებულია ნებისმიერი გეომეტრიული ფიგურის ნებისმიერი პროექცია განურჩევლად ფიგურისა მაშინ ღირებული უნდა იყოს ნებისმიერი გეომეტრიული ფიგურაც განურჩევლად პროექციის როგორობისა.

თუ ცხადი არაა ის რაც ცხადია და ცხადია ის რაც ცხადი არაა მაშინ სიკეთე არაა ის რაც სიკეთეა და სიკეთეა ის რაც სიკეთე არაა.

თუ მსოფლიოში კატასტროფულად მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა ვისთვისაც კვირადღე ნელა გადის მაშინ მსოფლიოში ყველა კვირადღე განურჩევლად ხანგრძლივობისა ერთია.

თუ ყველაფერი რაც იღლება ხდება უკიდურესად სექსუალური მაშინ ის რაც უკიდურესობებისადმი სიძულვილით გამოირჩევა მალავს თავის ნამდვილ ბუნებას.

თუ მსოფლიოში მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა რომელთა მეგობრები თავს იკლავენ იმის გამო რომ აზრს ვერ ჰპოვებენ ცხოვრებაში მაშინ ჭირისუფლების რიცხვიც მატულობს.

თუ სიმბოლო საკმარისად რეალურია საიმისოდ რომ სიმბოლოდ იქცეს მაშინ რეალობა საკმარისად სიმბოლურია საიმისოდ რომ სამარადისოდ გაუჩინარდეს სიმბოლოში რომელმაც შექმნა.

თუ ადამიანი ყველაფერთან ერთად იმითაც განსხვავდება ნიანგისგან რომ შეუძლია თავისი ხელით დაიხუროს ქუდი და ჩაიცვას პალტო მაშინ ნებისმიერი ქუდი და ნებისმიერი პალტო მხოლოდ ნაწილობრივაა თვითკმარი.

თუ ღმერთი სიყვარულია ხოლო მე არ ვარ სიყვარული მაშასადამე მე არ ვარ ღმერთი ხოლო თუ ღმერთი არაა სიყვარული ხოლო მე სიყვარული ვარ მაშასადამე ისევ და ისევ მე არ ვარ ღმერთი.

თუ მსოფლიოში მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა რომლებსაც ოსვენციმის გაგონებაც არ სურთ მაშასადამე მსოფლიოში მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა რომლებსაც არ უნახავთ არც ერთი ოსვენციმი.

## II

ყოველი ჩვენი ავადმყოფობა გვეძიებს ჩვენ რათა გადარჩეს და გადაგვარჩინოს.

გადარჩენილი ავადმყოფობები წარმოქმნიან შინაარსებს და ჩვენი მკერდის მარცხენა მხარეს იკავებენ.

შინაარსები თავს იყრიან ერთადერთ ფორმაში რომელიც მოგზაურობს ისე რომ ადგილიდან არ იძვრის.

ადგილი სადაც მარადიული მგზავრები მკვიდრობენ სავსეა მიწით და ვარსკვლავებით.

როცა მიწა სიმძიმეს კარგავს ყოველი ჩვენი ავადმყოფობა გვეძიებს ჩვენ.

ნებისმიერი ავადმყოფობა თვითკმარია.

ფორმა რომელიც გარს უვლის თავის თავს კრებითი გვარის წარმომადგენლობას დუმილისკენ მიუთითებს.

დუმილის ფსკერზე დაცემული სახელები ძალას იკრებენ.

დაცემული სახელი მყარი და მკვრივია.

ავადმყოფები მოდიან და ავადმყოფები მიდიან ხოლო ავადმყოფობები დარჩებიან.

იქ სადაც მითითებები გულებივით ფეთქავენ მიმთითებელი ქრება.

ნებისმიერი მითითებული გული ღერძული სიმეტრიის პრინციპს ერთგულებს.

ავადმყოფი გულები მოგზაურობენ თავიანთ თავში და სხვებში.

ყველა ვინც სხვაა სხვაა იმიტომ რომ სხვაა და არაა ის ვინც სხვაა.

სადაა ის რაც თვითკმარია?

III

თუ ის რაც გადაწყდა ჯერ არ გადამწყდარა მაშინ უნდა არსებობდეს ინტერვალი რომლის ხმოვანებაც პერიოდულ განახლებას განიცდის.

"თუ ის რაც პერიოდულ განახლებას განიცდის თვითკმარია მაშინ უნდა არსებობდეს პირობითი ზღვარი რომელიც ყოველი მოცემული სასაზღვრო ზონისთვის ერთადერთი და განუმეორებელია.

თუ ის რაც განუმეორებელია იმავდროულად ცვლადიცაა მაშინ მოიძებნება ერთი მაინც ისეთი ნიშანი რომლის მიმართ ნებისმიერი კონკრეტული ცვლადი უპირობოდ განმეორებადია.

თუ ის რაც უპირობოდ მეორდება საჭიროებს გარკვეული რაოდენობის საწვავს მაშინ დახარჯული საწვავის ღირებულება როგორც მაქსიმალურ ისე მინიმალურ დონეზე ნულის ტოლია.

თუ ის რაც ნულის ტოლია ერთხელ მაინც აღუნიშნავს ინტერვალს როგორც ფუნქცია ან ნებისმიერი ფუნქციის მახასიათებელი მაშინ ნებისმიერი გადაწყვეტილების გამოყენება შეიძლება ცვლადის სახით.

თუ ის რაც ცვლადია იმავდროულად მზადმყოფია ნებისმიერი ახალი ფუნქციის მისაღებად მაშინ ყველაფერი რაც დროში ხდება შეიძლება გამოცდილებად იქცეს დროში თანმიმდევრულად არსებულ ობიექტთა გარდამავალი კლასისთვის.

თუ ყოველი გარდამავალი კლასი ერთი გამოცდილების მისაღებად მაინცაა მზადმყოფი მაშინ ნებისმიერი კლასი განურჩევლად გარდამავლობის როგორობისა გამოცდილია.

თუ ყოველი გამოცდილი ობიექტი იმავდროულად გამომცდელიცაა მაშინ უნდა არსებობდეს გამოცდილება როგორც სისავსე.

თუ სისავსე გამორიცხავს სიცარიელეს მაშინ მოიძებნება ერთი მაინც ისეთი ცარიელი კლასი რომელიც სავსეა და იმავდროულად მიზანმიმართულიც.

IV

ჭეშმარიტად: რაც მიზანმიმართულია, იწვის.

სალამი შენდა, დიადო ღმერთო. მე მოვედი, რათა შენი მშვენება ვიხილო. ჩემთვის ცნობილია შენი სახელი. ჩემთვის ცნობილია ორმოცდაორი ღმერთის სახელი, რომლებიც მკვიდრობენ აქ, ამ მხარეში. ისინი ელიან იმათ, ვისაც ბოროტება

აქვს ჩადენილი, და სვამენ მათ სისხლს. თქვენ ცნობილი ხართ ჩემთვის, სიმართლის მეუფეებო. თქვენთან მოვედი. თქვენი გულისთვის უარვყავი უსამართლობა.

ჭეშმარიტად: რაც ინვის, სავსეა.

ო, ნეხეხაუ, რომელიც მკვიდრობ რა-სეტაუში, მე ხშირად ვკლავდი.

ჭეშმარიტად: რაც სავსეა, შესაძლებელია.

ო, ირტი-ემ-დეს, რომელიც მკვიდრობ ლეტოპოლისში, მე თვალთმაქცობდი.

ჭეშმარიტად: რაც შესაძლებელია ნებისმიერი გამოცდილი ობიექტის მიმართ, რეალური და მზადმყოფია.

ო, სედ-კერუ, რომელიც მკვიდრობ ჰერაკლეოპოლისში, ხშირად ვტყუოდი.

ჭეშმარიტად: მზადმყოფი, როგორც შესაძლებლისა და ნამდვილის ოქროს კვეთი, არ საჭიროებს სადმე ყოფნას.

ო, ხეჯ-იბხუ, რომელიც მკვიდრობ ვაიუმში, ხშირად ვანგრევდი.

ჭეშმარიტად: ოქროს კვეთი მოძრავია.

ო, სიმართლის მეუფევ, რომელიც მკვიდრობ მააგიში, პურს ვიპარავდი.

ჭეშმარიტად: მოძრავი ჯერ არ გადამწყდარა.

ო, აადი, რომელიც მკვიდრობ ჰელიოპოლისში, მე ვყბედობდი.

ჭეშმარიტად: რაც არ გადამწყდარა, არ გადაწყდება არასოდეს.

ო, ჯუდუ, რომელიც მკვიდრობ ანჯში, მე მიჩხუბია ქონებისთვის.

ჭეშმარიტად: რაც არ გადაწყდება, შეიძლება გადაილახოს.

ო, უამტი, რომელიც მკვიდრობ განსასჯელ ადგილას, მე ემრუშობდი.

ჭეშმარიტად: რაც შეიძლება გადაილახოს, არაა ინტერვალი.

ო, შედ-ხერუ, რომელიც მკვიდრობ ურიტში, ხშირად მჩვეოდა ფუჭი მრისხანება.

ჭეშმარიტად: რაც არაა ინტერვალი, მრგვალიც არაა.

ო, ნეხენ, რომელიც მკვიდრობ ჰეხა-ჯიში, გულგრილი ვიყავი სიმართლისადმი.

ჭეშმარიტად: რაც მრგვალი არაა, ოდესღაც ცარიელი იყო.

ო, ტა-რედ, რომელიც ცხადდები განთიადისას, ჩემი გული ყველაფერს მალავს.

ჭეშმარიტად: რაც ოდესღაც ცარიელი იყო, ინვის.

ო, კენმეჩ, რომელიც ცხადდები წყვდიადში, მე ყოველთვის შეურაცხვეყოფდი.

ჭეშმარიტად: რაც ინვის, ყოველთვის ინვოდა.

ო, ინხეტენევ, რომელიც მკვიდრობ საისში, მე ყოველთვის უხეში ვიყავი.

ჭეშმარიტად: სიტყვა იწვის.

ო, ნებ-ხერუ, რომელიც მკვიდრობ ნეჯევეტში, მე ყოველთვის სულსწრაფი ვიყავი.

ჭეშმარიტად: რაც ინვის, არ ცვივა.

ო, ნეფერტუმო, რომელიც მკვიდრობ მემფისში, ჩემზე ცოდვაა.

ჭეშმარიტად: რაც ცვივა, არ არსებობს.

ო, ხეი, რომელიც მკვიდრობ კუნში, ხმაური მიყვარდა.

ჭეშმარიტად: თუ სიტყვა არ არსებობს, მაშინ უნდა არსებობდეს ერთი მაინც ისეთი განცდა, რომელიც არ მოკვდება.

ო, უჯი-რეჰიტ, რომელიც მკვიდრობ სამსჯავროზე, სიბილწე მჩვეოდა.

ჭეშმარიტად: რაც არ მოკვდება, არ იქცევა გამოცდილებად.

ო, ჯესერ-ტეპ, ქვაბულის მეუფევ, ღმერთებს ცილს ვწამებდი.

ჭეშმარიტად: ყოველი გამოცდილება სიტყვის უკანა მხარეა, ისე, როგორც სიტყვაა გამოცდილების უკანა მხარე.

მე ყველაფერი უნდა შემემთხვეს ამ ქვეყანაში, რადგან ჩემთვის ცნობილია დიადი ღმერთის ორმოცდაორი თანამდგომის სახელები.

ჭეშმარიტად: მე არ ვარ სუფთა. მე არ ვარ სუფთა. მე არ ვარ სუფთა.

V

თუ კატები ადამიანთა საცხოვრებელ ტერიტორიებზე ვეფხვების და ჯიქების მიერ შემოგზავნილი აგენტები არიან მაშინ კატებს ან უნდა ვენდოთ ან არ უნდა ვენდოთ.

თუ ყველა ჭეშმარიტი წინადადება ელემენტარული ან ატომარული წინადადებების ჭეშმარიტობის ფუნქციას წარმოადგენს მაშინ ჭეშმარიტი უნდა იყოს ის აზრი რომ წოლისას ან ჯდომისას ადამიანები არ დადიან.

თუ სატრფოსთან განშორების მწუხარე ჟამი ემპირიული ფაქტია მაშინ ამ განშორებით გამოწვეული სულიერი შეჭირვებანიც ემპირიული ფაქტი უნდა იყოს.

თუ ნებისმიერი ფიზიოლოგიური აქტი წარმოადგენს ორ წერტილს შორის უმოკლეს მანძილს მაშინ ყველა წერტილი ერთი უნდა იყოს.

თუ მშიერი ფრინველი ცხოველი ან ადამიანი გარემოს გაიაზრებს შეჭმადი და არაჭმადი ობიექტების ერთობლიობად მაშინ ნებისმიერი არჩევანი დიახაც ნახტომია მაგრამ არა აუცილებლად შეუცნობელში.

VI

როცა სასოწარკვეთილება იზრდება სასოწარკვეთილი თავის სასოწარკვეთას ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება;

როცა სასოწარკვეთილება ზენიტშია სასოწარკვეთილი და სასოწარკვეთა ერთმანეთს ერწყმიან და მთლიანდებიან;

როცა სასოწარკვეთილება გამარჯვებას ზეიმობს სასოწარკვეთილი ქრება ხოლო სასოწარკვეთა ფუნქციას კარგავს;

როცა სასოწარკვეთილება შედეგებს იმკის სასოწარკვეთა კარგავს ხსოვნის ობიექტს და კვდომას იწყებს;

როცა სასოწარკვეთილება უსაქმოდ რჩება სასოწარკვეთა ქრება;

გამქრალი სასოწარკვეთა და გაუჩინარებული სასოწარკვეთილი ტრანსფორმირდებიან სასოწარკვეთილებად რომელიც თავის თავს განიცდის;

განცდილი სასოწარკვეთილება ღელავს და ელის;

მაგრამ: როცა მე ვხედავ იმას რასაც ჩემი თვალები ხედავენ, ვერ ვხედავ იმას რასაც ჩემი გული ხედავს და უკვე ვიცი რომ ნებისმიერი მითი იქ იწყება სადაც მზე ჩადის ხე მთავრდება და ციდან ფრინველები ცვივიან;

მაგრამ: როცა მე ვისმენ იმას რასაც ჩემი ყურები ისმენენ, არ მესმის ის რასაც ჩემი გულისცემა ისმენს და უკვე ვიცი რომ წარსული იქ იწყება სადაც სიტყვები მნიშვნელობებით ივსებიან და მარცხი მთავრდება;

მაგრამ: როცა წარსული გადარჩენის ტოლფასი ხდება და დამშრალი ცრემლები ყველაზე უფრო უხეში მატერიალური ნივთივით მკაფიოა, ადამიანები ემშვიდობებიან ერთმანეთს და ერთმანეთში სათუთად ბრუნდებიან ვინაიდან ჭიქა რომელიც

იმსხვრევა ერთადერთია მხოლოდ იმ სივრცისთვის რომელიც ყოველთვის იგულისხმებოდა მაშინ როცა მიზანი არსებობდა და უკვე ვიცი რომ სასთუმალზე ყოველთვის ერთადერთი ავადმყოფი წევს და სასთუმალი ერთადერთია და ათასობით ერთადერთი ადამიანი თავ-თავისი დროის სოროდან უთვალთვალებს ამ ერთადერთ სასთუმალს და ამ ერთადერთ ადამიანს რომელიც კვდება და ყველაფერი სიტყვებივით მარტივია და არც ერთი ორი სიტყვა არ შეერთდება როცა ჩვენ ვკვდებით და ეს რთული და უპირობო ერთადერთობა უხმაურო ხსოვნას განიცდის.

VII

თუ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობას განსაზღვრავს გაფიცვებისადმი მისი მიდრეკილება მაშინ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ნებისმიერი საზოგადოების ნებისმიერ წევრს ეძლევა გადარჩენის შესაძლებლობა.

თუ ღმერთი სიყვარულია ხოლო გაფიცვებისკენ მიდრეკილი ადამიანი არ შეიძლება იყოს ღმერთი მაშინ ნებისმიერ საზოგადოებაში მოიძებნება ერთი მაინც ისეთი ადამიანი რომელიც არაა ღმერთი.

თუ ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი ბედისწერის გაუმჯობესება მაშინ ყოველი კონკრეტული ბედისწერა ისევე შეიძლება აიწონოს და გაიზომოს როგორც ბედისწერით ადამიანის ტრაგედიის ხარისხის დადგენაა შეუძლებელი.

თუ მსოფლიოში მატულობს იმ ადამიანთა რაოდენობა რომელთა მეგობრები თავს იკლავენ ამა თუ იმ მიზეზის გამო მაშინ მოიძებნება ერთი მაინც ისეთი მეგობარი რომელსაც თვითმკვლელობის მიმართ იმუნიტეტი დარღვეული აქვს.

თუ ადამიანი მართლა ისეთი სასტიკია როგორიც მე ვარ მაშინ აუცილებლად უნდა გავხდე ადამიანი.

VIII

თუ ნაკადულები მღერიან მდინარეებს მაშინ მე ვიცი ნებისმიერი ნაკადულის ენა.

თუ მდინარეები მღერიან ზღვებს მაშინ მე ვიცი ნებისმიერი მდინარის ენა.

თუ ზღვები მღერიან ოკეანეებს მაშინ მე ვიცი ყველა ზღვის ენა.

ნაკადულები მღერიან მდინარეებს.

მდინარეები მღერიან ზღვებს.

ზღვები მღერიან ოკეანეებს.

IX

მე ვიცი რომ არსებობენ ოკეანეები.

მაშასადამე მე ვიცი რომ ბედნიერი ვარ.

პაუზა

ხოლო მან იხილა:
თამაში როგორც მონოდება
მონოდება როგორც პროტესტი
პროტესტი როგორც რიტუალი
რიტუალი როგორც ნოსტალგია
ნოსტალგია როგორც იმედი
იმედი როგორც შიში
შიში როგორც შემოდგომის ტყე
და მან იხილა:
შემოდგომის ტყე როგორც გახსენება
გახსენება როგორც ბილიკი არარსებული ადამიანებისკენ
ბილიკი არარსებული ადამიანებისკენ როგორც საზეიმოდ მორთული წყვილი
საზეიმოდ მორთული წყვილი როგორც გათქმული საიდუმლო
გათქმული საიდუმლო როგორც ხორაგით სავსე სუფრა
ხორაგით სავსე სუფრა როგორც თავშესაფარი
თავშესაფარი როგორც გალავანი
და მანვე იხილა:
გალავანი როგორც უძღები შვილის მეტამორფოზა
უძღები შვილის მეტამორფოზა როგორც ფარი
ფარი როგორც სამშობლოს სულიერი სიდიადე
სამშობლოს სულიერი სიდიადე როგორც შესავალი
შესავალი როგორც გადარჩენილი ავადმყოფობა
გადარჩენილი ავადმყოფობა როგორც მადლი
მადლი როგორც დღენაკლული სიკეთე
და მან აგრეთვე იხილა:
დღენაკლული სიკეთე როგორც სატრფო
სატრფო როგორც წართმეული ტყვეობა
წართმეული ტყვეობა როგორც თავისუფლების ფსკერი
თავისუფლების ფსკერი როგორც ცხრათავიანი დევის მრისხანება
ცხრათავიანი დევის მრისხანება როგორც ამოპირქვავებული წესრიგი
ამოპირქვავებული წესრიგი როგორც მშვიდობა
მშვიდობა როგორ გადამფრენი ფრინველები
და მან იხილა:
გადამფრენი ფრინველები როგორც კონტექსტი
კონტექსტი როგორც აშრიალებული ბაღი
აშრიალებული ბაღი როგორც ცის გახსნა
ცის გახსნა როგორც სასჯელი
სასჯელი როგორც ბანალური ჩანაფიქრი
ბანალური ჩანაფიქრი როგორც მხურვალება
მხურვალება როგორც მდუმარების აპოთეოზი
და მანვე იხილა:
მდუმარების აპოთეოზი როგორც თვითმკვლელის უკანასკნელი ნება
თვითმკვლელის უკანასკნელი ნება როგორც ბრმა ტყვია

ბრმა ტყეია როგორც ლობაჩევსკის გეომეტრია
ლობაჩევსკის გეომეტრია როგორც მუდმივი მუხტი
მუდმივი მუხტი როგორც წყლის ჭავლი
წყლის ჭავლი როგორც ძვირფასი ათწლეული
ძვირფასი ათწლეული როგორც მოკლე ჩართვა
და მან აგრეთვე იხილა:
მოკლე ჩართვა როგორც საიდუმლო სერობა
საიდუმლო სერობა როგორც ლექსი
ლექსი როგორც გაუჩინარებული თვალი
გაუჩინარებული თვალი როგორც ნუგეში
ნუგეში როგორც სარკის უკანალი
სარკის უკანალი როგორც სინთეზი
და მან იხილა:
სინთეზი როგორც უწყლო ქარავანი
უწყლო ქარავანი როგორც ნოემბრის ქარები
ნოემბრის ქარები როგორც პერიოდულად განხორციელებული მარცხი
პერიოდულად განხორციელებული მარცხი როგორც მოქცევა
მოქცევა როგორც აგზნებული ცნობიერება
აგზნებული ცნობიერება როგორც უახლოესი მიზანი
უახლოესი მიზანი როგორც ვალი
და მანვე იხილა:
ვალი როგორც საუკუნო ნეტარება
საუკუნო ნეტარება როგორც ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე
ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე როგორც სიტყვა
სიტყვა როგორც ფერი
ფერი როგორც განსაცდელი
განსაცდელი როგორც ბჭენი ჯოჯოხეთისანი
ბჭენი ჯოჯოხეთისანი როგორც თამაში
და მან აგრეთვე იხილა:
თამაში როგორც ცვალებადი ვნება
ცვალებადი ვნება როგორც წვიმიანი დღის პეიზაჟი
წვიმიანი დღის პეიზაჟი როგორც დედა
დედა როგორც მეტყველების კულტურა
მეტყველების კულტურა როგორც გაღებული კარი
გაღებული კარი როგორც უფსკრული
უფსკრული როგორც შინაარსი
და მან იხილა:
შინაარსი როგორც შინაარსი
სიყვარული როგორც სიყვარული
სამართლიანობა როგორც სამართლიანობა
სული როგორც სული
ერთგულება როგორც ერთგულება
სინდისი როგორც სინდისი
თავი თვისი როგორც თავი თვისი
და აღდგა.

# მოძრავი ფრაგმენტები და უძრავი ავტოკომენტარები

I ფრაგმენტი: ის რაც არ განცდილა ჯერაც განცდის საშიშროებას განიცდის ხოლო ის რაც განცდილია შეიძლება კიდევ მრავალჯერ იქნას განცდილი მაგრამ უკვე ვერასოდეს აღემატება განმცდელს.

კომენტარი: არის თუ არა განცდა უწყვეტი და განცდის ყოველ მოცემულ მონაკვეთში ფლობს თუ არა განცდილი განმცდელს?
არის თუ არა განცდის ყოველი მოცემული მონაკვეთი სახეზეყოფნა და თვითკმარია თუ არა განსაცდელი?
ზრუნავს თუ არა განსაცდელი განცდის პროცესის წარუმატებლობაზე და შეუქცევადია თუ არა ყოველი კონკრეტული ზრუნვა?
გაპირობებულია თუ არა განცდისწინარე შიში განმცდელის და განსაცდელის ურთიერთლტოლვით და მიისწრაფვის თუ არა იგი უსასრულობისკენ?
არის თუ არა სწრაფვა უპირობო და შეპყრობილია თუ არა საკუთარ თავზე გამარჯვების ჟინით?
შეიძლება თუ არა სწრაფვას პროცესი ენოდოს და შიშში ჩანაცვლებისთვის პერიოდულ მზადყოფნად ჩაითვალოს?
არის თუ არა შიში წარმატება-წარუმატებლობის ველიდან გაღწევის საწინდარი და განცდის პირადი უშიშროების მტკიცე გარანტი?
განცდის პირადი უშიშროება მხოლოდ განმცდელისთვის მიზნის წართმევის აქტს გულისხმობს თუ განსაცდელის მიზნადქცევასაც ნიშნავს?
განცდილში განსაცდელის გადასასვლელად აუცილებელია თუ არა განმცდელის უწყვეტი აქტივობა და უზრუნველყოფს თუ არა პროცესი ნესრიგს?
შეიძლება თუ არა უწყვეტ აქტივობად ჩაითვალოს განსაცდელის მოლოდინი ან შემდგარ განსაცდელთა არცოდნა?
არის თუ არა ნესრიგი პროცესის ირონიული ასლი და წარმოადგენს თუ არა თვით პროცესი ნესრიგის მორიგ განსაცდელს?
განცდის ყოველი მორიგი ხვედრი უკვე გულისხმობს თუ მხოლოდ ხელახლა მოიპოვებს დაცემის უნარს?
როცა განცდილი ეცემა რას განიცდის განსაცდელი რომელიც ერთდროულად განცდის მიზეზიცაა და შედეგიც?
განმცდელის ყოველი ხელახალი გამოცდილება შეიცავს თუ არა იმას რაც ჯერ არ განუცდია?
განმცდელს არ განუცდია ის რაც ჯერ არ განცდილა თუ გამოცდილებას და არის თუ არა განსაცდელი განუცდელი?
გულისხმობს თუ არა განსაცდელის შიში გამოცდის წინარე შიშს და არის თუ არა ეს შიში განცდა?
განსაცდელის ყოველი სახეზემყოფი შიში გამოცდილია თუ გამოსაცდელი და განსაზღვრავს თუ არა შიშის სიხშირეს განცდის დონე?
მიმდინარეობს თუ არა გამოცდილების პროცესი ცდის ველზე და მნიშვნელობს თუ არა განმცდელისთვის ამ ცდის საზღვრების ფარული პათოსი?
არის თუ არა განმცდელი იმავდროულად გამომცდელიც და ექვემდებარება თუ არა მისი გამოცდილება ყოველ ახალ გამოცდას?

განიცდის თუ არა განმცდელი განცდილს როგორც გადამწყვეტ ზარალს და ცდილობს თუ არა მის დასაძლევად გამოცდილების მობილიზებას?
განიცდის თუ არა განცდილი განმცდელს როგორც თავისი წარმატების ასლს და ზრუნავს თუ არა გამოცდილებად მის გარდაქმნაზე?
არის თუ არა ყოველი კონკრეტული გამოცდა საკმარისად გამოცდილი საიმისოდ რომ გამომცდელად იქცეს?
არის თუ არა განცდა საკმარისად განუცდელი საიმისოდ რომ განმცდელს თავისი თავი განაცდევინოს როგორც განცდილი?
არის თუ არა განცდა მზადმყოფი განსაცდელისთვის და საკმარისად დაცულია თუ არა გამოცდა ძალადობისგან?
თუ გამოსაცდელი გამოუცდელია და გამომცდელი კონცენტრირებულია განსაცდელზე მაშინ დროის რა მონაკვეთში არსებობს შიში?
განცდილი შიში უფრო ღირებულია თუ განუცდელი და მნიშვნელობს თუ არა გამოცდისთვის განცდის პერიოდულობა როგორც გამოცდილების საწვავი?
მიისწრაფვის თუ არა ალმატების მცდელობა გამოცდის ზღვართან შესახვედრად და მზადმყოფია თუ არა იგი მარცხისთვის?
განიცდის თუ არა მარცხი გამომცდელის ნებას და გრძნობს თუ არა განცდა გამოსაცდელის შიშს განუცდელის წინაშე?
აქვს თუ არა განცდილ ზარალს ფუნქცია და განიცდის თუ არა გამოსაცდელი ამ ფუნქციას როგორც გამოცდას?
გასცემს თუ არა განცდის მთელ მარაგს გამოსაცდელი და განიცდის თუ არა გამოცდილება ამ მარაგს როგორც უანგაროს?
გარდაქმნის თუ არა გამოცდილი მარცხი გამოცდების პერიოდულობას ცდის უცვლელ პირობებად და თვითკმარია თუ არა განცდილი?
განიცდის თუ არა განმცდელი გამომცდელს როგორც პრობლემას და განსაცდელს როგორც ამ პრობლემის ფარდობით მიზანს?
გამოუცდელია თუ არა ფარდობითი მიზანი და თანაუგრძნობს თუ არა გამოცდა განცდის ხანგრძლივობას?
რა იცის განსაცდელმა განმცდელის გამოცდილების შესახებ და ხედავს თუ არა გამოუცდელსა და განუცდელს შორის სხვაობის ნიშანს?
სავსეა თუ არა განცდის განცდა და ცარიელია თუ არა გამოცდილის განსაცდელი მაშინ როცა უცნობია განცდილი?
როგორ ზემოქმედებს განმცდელის განწყობა წარმატებული განცდის მიზანზე და გრძნობს თუ არა მიზანი გამომცდელს?
ცვალებადია თუ არა განცდა და წარმავალია თუ არა ყოველი მორიგი გამოცდის მოლოდინი?
შეიძლება თუ არა მიზნის წართმევის აქტი განმცდელის გამოცდად ჩაითვალოს და რამდენად წარმატებულია ყოველი კონკრეტული გამოცდა როგორც ასეთი?
ყოველი კონკრეტული გამოცდისთვის რამდენი ხვედრი შეიძლება არსებობდეს თუ განსაცდელი ყოველთვის ერთით მეტი მაინცაა განმცდელზე?
დამოკიდებულია თუ არა გამოცდის ინტენსივობა გამოსაცდელის გამოცდილებაზე და ზრუნავს თუ არა გამომცდელი გამოცდის ხარისხზე?
რა გზით ფასდება გამოცდის ხარისხი და როგორ საბუთდება ამ ხარისხის სახეზეყოფნის ფაქტი?

გულისხმობს თუ არა გამოცდის პროცესში ხარისხის სახეზეყოფნა ამ ფაქტის აუცილებლობას და მნიშვნელობს თუ არა იგი როგორც პრობლემა?
სადაა გამოსაცდელი და სადაა გამომცდელი როცა გამოცდა მზადმყოფია განცდის გასაცემად?

II ფრაგმენტი: საკონცენტრაციო ბანაკებში ჩამწყვდეული ადამიანები ძირითადად ოცნებობენ პურზე ტორტზე სიგარეტზე და თბილ აბაზანაზე მაგრამ უკიდურესად ძნელია ვამტკიცოთ ოცნებობენ თუ არა პურები ტორტები სიგარეტები და თბილი აბაზანები საკონცენტრაციო ბანაკებში ჩამწყვდეულ ადამიანებზე.

კომენტარი: დროის რა მონაკვეთში არსებობენ საკონცენტრაციო ბანაკები როგორც რეგიონალური ცენტრები?
რამდენად აბსტრაქტულია პური როგორც ოცნების ობიექტი?
რამდენად კონკრეტულია თბილი აბაზანა როგორც მიზანი?
გარდატყდება თუ არა ტორტის იდეალური ხატი დატყვევებული ადამიანის წარმოსახვაში?
ამჟღავნებს თუ არა სიგარეტის თვითრეალიზაციის პროცესი ლტოლვას საკუთარ თავში ჩანაცვლებისკენ?
აღემატება თუ არა უდანაშაულობის განცდა თბილ აბაზანას როგორც სუროგატს და მასზე ოცნების პერიოდულობას?
რამდენად ზოგადია უდანაშაულობის განცდა როგორც უნივერსალური აქტი?
რამდენად შეუქცევადია ოცნება როგორც აუცილებლობა?
რა განაპირობებს აუცილებლობის აუცილებლობას?
გულისხმობს თუ არა ოცნების პროცესი ოცნების ობიექტებს როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ და თვითკმარ ეპიცენტრებს?
მოიცავს თუ არა თითოეული ეპიცენტრი როგორც მნიშვნელობის ველი საკონცენტრაციო გამოცდილებას?
საკონცენტრაციო ბანაკი როგორც კულტურის ფენომენი იმანენტურია თუ ტრანსცენდენტური?
რამდენად თავისუფალია პური რომელზეც საკონცენტრაციო ბანაკში ჩამწყვდეული ადამიანი ოცნებობს?
ვრცელდება თუ არა ოცნებებით დამძიმებული ნებისმიერი ობიექტის ტკივილი იმაზე ვინც ჩამწყვდეული არაა?
თავს იყრის თუ არა თბილ აბაზანაში როგორც ოცნების ობიექტში ერთზე მეტი გამოცდილება?
ითვალისწინებს თუ არა ოცნება მეოცნებეს?
შეიძლება თუ არა ერთზე მეტ მეოცნებეს ჰქონდეს ერთი გამოცდილება?
რითაა გაპირობებული აბსტრაქტულის პრესტიჟი?
არის თუ არა ეს პრესტიჟი მიზანმიმართული?
გულისხმობს თუ არა მიზანმიმართულობა რამენაირ პათოსს?
ახასიათებს თუ არა ფორმის ცვალებადობა ოცნების ობიექტების მიერ მეოცნებეზე გავლენის სფეროს მოპოვებისთვის ბრძოლას?
გაცნობიერებულია თუ არა ბრძოლა და ზემოქმედებს თუ არა იგი მეოცნების ხსოვნაზე?
რა მნიშვნელობა აქვს ხსოვნას როგორც ნოსტალგიას?

რა ფასი აქვს იმედს როგორც ასპარეზს?
რეაგირებს თუ არა მეოცნებე ტორტზე არა როგორც იდეალურ ტიპზე არამედ როგორც პროვოკატორზე?
შეიძლება თუ არა ჩამწყვდეული ადამიანის ძალისხმევამ პროვოკატორი დადებით სანყისად გარდაქმნას?
რატომ არ შეიძლება იდეალური ტიპი იმავდროულად პროვოკატორიც იყოს?
რა გავლენას ახდენს ჩამწყვდეული ადამიანის დეფორმირებული აწმყო გარდასულ სიამეთა მარაგზე როგორც მეხსიერების საწავზე?
როგორ ურიგდებიან ერთმანეთს ხსოვნის ობიექტად ქცეული პური და ოცნების ობიექტად ქცეული პური?
არის თუ არა მათ შორის სხვაობა ნულის ტოლი?
შეიძლება თუ არა პური იქცეს თბილ აბაზანად?
შეიძლება თუ არა თბილი აბაზანა იქცეს სიგარეტად?
შეიძლება თუ არა სიგარეტი იქცეს ტორტად?
შეიძლება თუ არა ტორტი იქცეს სიგარეტად?
შეიძლება თუ არა პური სიგარეტი ტორტი და თბილი აბაზანა იქცნენ ერთმანეთად?
საკონცენტრაციო ბანაკი პირობაა თუ პროცესი?
შეიძლება თუ არა პური სიგარეტი ტორტი და თბილი აბაზანა ერთმანეთს ჩაენაცვლნონ?
ოცნების აქტი მიმდინარეობს თუ არა მეოცნების ხსოვნაში გავლით?
ხსოვნა როგორც ოცნების ნაკვალევი წარმოადგენს თუ არა საკონცენტრაციო ბანაკის ეპიცენტრს?
ინახავენ თუ არა საკონცენტრაციო ბანაკის კედლები მეოცნების იმედს?
წარმავალია თუ არა ჩამწყვდეული ადამიანის იმედი როგორც აბსტრაქტულ ობიექტებზე კონკრეტული ოცნების პირობა?
რამდენად სავსეა პირობა და რამდენად ღრმაა მეოცნების ხსოვნა?
გულისხმობს თუ არა ოცნების სიღრმე საკონცენტრაციო ბანაკს როგორც პლაგიატს?
მიისწრაფვის თუ არა პლაგიატი საკუთარი არსებობის უზრუნველყოფისკენ?
ყოველი კონკრეტული სწრაფვა დადგენილია თუ დადგენადი?
დროის რა მონაკვეთში მნიშვნელობს საკონცენტრაციო ბანაკის დრო და არის თუ არა იგი გაფრთხილება?
აქვს თუ არა მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა გაფრთხილების მიზანს?
აქვს თუ არა მნიშვნელობა მიზანს როგორც მიზეზს?
არის თუ არა მიზანი მიზეზი?
რა პირობების გათვალისწინებით უნდა ჩაითვალოს მეოცნების დრო გადმოპირქავებულ სივრცედ?
რატომ უნდა ჩაითვალოს იგი ასეთად?
საკონცენტრაციო ბანაკში ჩამწყვდეული ადამიანი პირობაა თუ პროცესი?
შეუძლია თუ არა ოცნების ობიექტის არსებობის წესის შეცვლა იმას რაც პირობაა ან პროცესი?
რა გავლენას ახდენს საკონცენტრაციო ბანაკებში ჩამწყვდეული ადამიანების სელექცია ოცნების ობიექტზე როგორც მიზეზზე?
განიცდის თუ არა დეჰუმანიზაციას ან ჰუმანიზაციას ოცნების ობიექტი?
აქვთ თუ არა პურებს ტორტებს სიგარეტებს და თბილ აბაზანებს დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება და მიმართავენ თუ არა მასტურბაციას?

თვალს ადევნებენ თუ არა მიმდინარე პროცესს ჩამწყვდეული ადამიანები და განიცდიან თუ არა გაუცხოებულ ორგაზმს?
სარგებლობენ თუ არა აგზნებულ მეოცნებეთა თავდავიწყებით საკონცენტრაციო ბანაკი და ოცნების პირობები?
რამდენად მნიშვნელოვანია ოცნების ფონი მეოცნებისთვის?
საგრძნობია თუ არა ოცნების ფონის პერსპექტივა?
შესაძლებელია თუ არა მასში შესვლა?
შესაძლებელია თუ არა იქიდან გამოსვლა?
რა საჭიროა გამოსვლა?
ჩართულნი არიან თუ არა საკონცენტრაციო ბანაკები კულტურული მემკვიდრეობითობის დაცვა-განვითარების საქმეში?
საკმარისად დიდია თუ არა მათი წვლილი მეოცნებეთა ინსტიტუტის სრულყოფის საქმეში?
გრძნობენ თუ არა პურზე სიგარეტზე ტორტზე და თბილ აბაზანაზე მეოცნებე ადამიანები ფარულ მზრუნველობას?
არის თუ არა ზრუნვა გულისამაჩუყებელი?
ცნობენ თუ არა გულაჩუყებული მეოცნებეები თავიანთ თავში ადამიანებს?
ყღერს თუ არა ადამიანი ამაყად?
ჟღერენ თუ არა უფრო ამაყად პურები სიგარეტები ტორტები და თბილი აბაზანები როცა ისინი მარტო რჩებიან?
ჟღერს თუ არა კიდევ უფრო ამაყად ნეხვი?
რა შუაშია აქ ნეხვი?
რა შუაშია აქ საკონცენტრაციო ბანაკი?
რა შუაში არიან აქ ჩამწყვდეული ადამიანები?
რა შუაში არიან აქ ოცნების ობიექტები როგორც აბსტრაქტული ობიექტები?
რას მოითხოვს და რატომ მოითხოვს პათოსი?
რას ამოაცალეს და რატომ ამოაცალეს პათოსი?
რა ღირს პათოსი?

**III ფრაგმენტი:** თუ ფერფლი და მტვერი ერთნაირად მოეფინება გაზაფხულის მწვანე მდელოს და ზამთრის თოვლიან პეიზაჟებს მაშინ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ადამიანური მეხსიერების ნებისმიერი წამი რომელიც თავის პირვანდელ მთლიანობას მხოლოდ მას მერე იძენს როცა მტვრად და ფერფლად დანაწევრებული და აწმყოს მტკივნეულ ჩრდილად ქცეული ერთნაირად მოეფინება გაზაფხულის მწვანე მდელოს და ზამთრის თოვლიან პეიზაჟებს.

**კომენტარი:** განიცდის თუ არა საფრთხეს ფერფლის დამცავ მექანიზმთა ერთობლიობა როცა ცვალებადობის აუცილებლობა ეჭვქვეშაა დაყენებული იმის მიერ რაც ეჭვქვეშაა დაყენებული?
რა მნიშვნელობა ენიჭება დროის იმ მონაკვეთს რომელიც უზრუნველყოფს ეჭვის მშვიდობიან მსვლელობას?
დაფარულია თუ არა ეს პროცესი?
ჩართულია თუ არა მასში ზამთრის თოვლიანი პეიზაჟების ცვალებადი კლასი?
განიცდის თუ არა ფერფლი მტვერს როგორც თავის აწმყოს?

განიცდის თუ არა მტვერი ფერფლს როგორც თავისი პერიოდული წარსულის უპირობო შედეგს?
რამდენად საგანგაშოა ადამიანური მეხსიერებისთვის გაზაფხულის მწვანე მდელო როგორც თვითკმარი სიუჟეტი?
რამდენად სიუჟეტურია ხსოვნა რომელიც არც თავისი პირვანდელი მთლიანობის აღდგენაზე ზრუნავს და არც მიზნადყოფნას ცდილობს?
რამდენად კონკრეტულია გაზაფხულის მწვანე მდელო რომელსაც ფრინველები და ქარები უფრთხიან?
დამოკიდებულია თუ არა პეიზაჟის კონკრეტულობის ხარისხი მეხსიერების როგორც ფუნქციის მთლიანობაზე?
განსაზღვრავს თუ არა პეიზაჟის კონკრეტულობის ხარისხს მეხსიერების სისავსის ხარისხი?
განწირულია თუ არა მეხსიერება მტვერზე და ფერფლზე გამარჯვებისთვის?
რამდენად ცვალებადია გამარჯვება?
უნყვეტია თუ არა მთლიანობა რომელიც ზამთრის თოვლიანი პეიზაჟების გავლით მტვრად და ფერფლად დანაწევრებას ცდილობს?
რამდენად დროულია ნებისმიერი წამი?
რამდენად ფრაგმენტულია ნებისმიერი წამი?
რა მნიშვნელობა აქვთ ფრინველებს და ქარებს გაზაფხულის მწვანე მდელოში აწმყოს მტკივნეული ჩრდილის ჩანაცვლებისთვის?
რამდენად უმიზნოა ჩრდილი რომელსაც არ გააჩნია თავისი ფორმა?
არის თუ არა თავისუფალი ის რაც უფორმოა?
ის რაც უფორმოა განაპირობებს თუ არა გაზაფხულის მწვანე მდელოსა და ზამთრის თოვლიან პეიზაჟებს შორის მეხსიერების მიმოქცევას?
რამდენად მიმოქცევადია მიმოქცევა რომელიც არ საჭიროებს ხსოვნას?
ხსოვნის რა რაოდენობას მოიხმარს ნებისმიერი ერთადერთი წამი რომელიც არ ექვემდებარება დანაწევრებას?
ის რაც დანაწევრებას არ ექვემდებარება შეიძლება თუ არა ჩაითვალოს განცდად?
ახდენს თუ არა განცდის წარმავლობა გავლენას მეხსიერების პირვანდელ მთლიანობაზე როგორც კონკრეტულ მთლიანობათა მშვიდობიან აწმყოზე?
რა კავშირია ნებისმიერი წამის პერიოდულობასა და შეშინებული ფრინველების მეხსიერებას შორის?
რამდენად მნიშვნელოვანია ეს კავშირი ადამიანური მეხსიერების ნებისმიერი წამის პირვანდელი მთლიანობის ცვალებადი ფუნქციის გააზრებისთვის?
არის თუ არა გააზრების პროცესი აწმყოს მტკივნეულ ჩრდილად ქცეული წამის გადარჩენის შედეგი?
ერთჯერადია თუ არა გადარჩენის აქტი?
რა იცის ნებისმიერმა ერთჯერადმა აქტმა მეორე ერთჯერადი აქტის შესახებ?
შეიძლება თუ არა ამ ცოდნას გაგება ენოდოს და რა მნიშვნელობა აქვს ცოდნის ამ მარაგს ნებისმიერი წამის პირვანდელი მთლიანობის გადარჩენისთვის?
არის თუ არა გადარჩენა დაკარგულის შეძენის აქტი?
გულისხმობს თუ არა დაკარგულის შეძენა ფერფლად დანაწევრებას როგორც ხიდს და არის თუ არა ხიდი თვითკმარი?
ის რაც თვითკმარია შეიძლება თუ არა იმის პერსპექტივად იქცეს რაც თვითკმარი არაა მაგრამ იმით საზრდოობს რაც თვითკმარია?

საზრდოობენ თუ არა ქარები ჩიტები ბალახები და კალიები ერთმანეთით და არის თუ არა ეს საკითხი მთლიანობის როგორც საკითხის გარანტი?
მთლიანობა როგორც საკითხი მოიცავს თუ არა ჩამავალი მზის დამაბრმავებელ მხურვალებას და ახასიათებს თუ არა მხურვალების გაუსაძლისობას ზოგადობა?
როდისაა ზოგადობა მიზანმიმართული და როდისაა მიზანი ზოგადი?
ინახავს თუ არა მტვერი მეხსიერების მიუვალ ფრაგმენტებს და რამდენად ფრაგმენტულია ნებისმიერი მიუვალი ფრაგმენტი?
ახასიათებს თუ არა მიუვალ ფრაგმენტს ზოგადობა?
შესაძლებელია თუ არა ამ ზოგადობის გადალახვა?
დროის რა მონაკვეთშია მნიშვნელოვანი გადალახვის როგორც უკუქცევის პროცესი და რამდენად ცვალებადია იგი?
ცვალებადია თუ არა უკუქცევის პროცესი?
ბრუნავს თუ არა ის რაც ცვალებადია?
მოძრაობს თუ არა ის რაც მოიაზრებს ცვალებადს როგორც უცვლელს და უცვლელს როგორც ცვალებადის პირობას?
რამდენად დაცულია პირობა და რამდენად დაუცველია შედეგი?
უზრუნველყოფს თუ არა შედეგის პირვანდელი მთლიანობა ანმყოს ნებისმიერი მტკივნული ჩრდილის მნიშვნელოვნებას?
არის თუ არა პირვანდელი მთლიანობის ფარდობითობა დადგენილი და ცნობილია თუ არა ამ მთლიანობის დადგენის დრო და სივრცე?
რა უზრუნველყოფს მეხსიერების მთლიანობას?
რა უზრუნველყოფს მთლიანობის უწყვეტობას?
როდის ტოვებენ ფრინველები გაზაფხულის მწვანე მდელოს და როდის უბრუნდებიან ზამთრის თოვლიან პეიზაჟებს?
როდის წყვეტენ ქარები ქროლვას და როდის ეფინებიან მტვრის თხელ ლაქებად ადამიანური მეხსიერების მიუვალ მონაკვეთებს?
როდის გრძნობს ნებისმიერი ნამი ანმყოს როგორც ფერფლს?
როდის იწყებენ ზამთრის თოვლიანი პეიზაჟები მთვარეზე ოცნებას და როდის იწყება დიდი მიქცევების ჟამი?
რამდენი ადამიანური მეხსიერების პირვანდელი მთლიანობა უნდა შეეწიროს დიდი მიქცევების მძვინვარებას?
როდის უბრუნდებიან მტკივნეული ჩრდილები ანმყოს და როდის იქცევიან ისინი ანმყოს მტკივნეულ ჩრდილებად?
როდის იქცევიან ანმყოს მტკივნეული ჩრდილები მეხსიერების მნიშვნელოვნების დასტურად?
როდის უბრუნდება მეხსიერება ანმყოს და როდის იხსენებს ადამიანი ხსოვნის მარადიულ ზაფხულს და ზამთარს?
როდის იბადება ადამიანური მეხსიერების პერიფერიაში გაზაფხულის მდელო და ზამთრის სუსხიანი მდუმარება?
როდის სხდებიან ცაზე ვარსკვლავები და როდის იბადება იმედი?
როდის ერწყმიან ერთმანეთს ხსოვნა როგორც ანმყო და ტკივილი როგორც ხსოვნის მარადიული პეიზაჟი?
იბრძვის თუ არა გადარჩენისთვის მტვერი რომელიც ზამთრის შეუქცევად ქარებს მიაქვთ და უყვართ?

როდის იქცევა მეხსიერების მნიშვნელოვნების დასტური ერთადერთი წამის პირვანდელ მთლიანობად?
გრძნობენ თუ არა ფრინველები ნებისმიერი ანმყოს როგორც წარსულისკენ მიქცეული ტკივილის სისასტიკეს?
გადარჩება თუ არა ფერფლი რომელიც უხსოვარი გულივით ფეთქავს და ოცნებობს?
რაზე ოცნებობენ მიტოვებული ადამიანები და რაზე ოცნებობს ფერფლი?
როდის ერწყმიან ერთმანეთს ფერფლი როგორც მიზეზი და ფერფლი როგორც შედეგი?
როდის ნაწევრდება ყოველი ერთადერთი წამის პირვანდელი მთლიანობა მტვრად და ფერფლად და რატომ უფრთხიან ქარები და ფრინველები მიწას?
რამდენად მნიშვნელოვანია გაზაფხულის პერსპექტივა დაღლილი გულისთვის?
ბედნიერია თუ არა გაზაფხულის მწვანე მდელო როგორც სტუმარი?
რა ქმნის სტუმარს როგორც პრობლემას?
რა ქმნის პრობლემას როგორც საკითხს?
როდის იქცევა მტვრად და ფერფლად დანაწევრებული პირვანდელი მთლიანობა ანმყოს მტკივნეულ ჩრდილად?
არსებობს თუ არა მიზეზი რომლის ძალითაც ჩრდილი შეიძლება იყოს არა ბევრი არამედ ერთი?
დროის რა მონაკვეთში იძენს ანმყოს მტკივნეული ჩრდილი ფორმას?
ცვალებადია თუ არა ბალახის სწრაფვა ვარსკვლავებისკენ?
ცდილობენ თუ არა მნიშვნელობები თავიანთი მნიშვნელოვნების გარკვევას?
ზრუნავს თუ არა ფორმა მნიშვნელობის სიწმინდეზე?
თავს უყრის თუ არა მნიშვნელობის სიწმინდე მეხსიერების დანაწევრებულ მთლიანობას და აღძრავს თუ არა სამოქმედოდ ქარებს?
ტკივილის როგორი ინტენსივობის ფასად მოეფინება მარადიული მდუმარება გაზაფხულის მწვანე მდელოს და ზამთრის თოვლიან პეიზაჟებს?
მოსალოდნელია თუ არა ანმყოს მტკივნეულ ჩრდილად ტკივილის გარდაცვალება და ხსოვნის ველზე ფრინველების გადაფრენა?
უახლოეს მომავალში მოსალოდნელია თუ არა ამინდის დადგენა?
მოსალოდნელია თუ არა ბალახების ფრინველების და ქარების დადგენა?
მოსალოდნელია თუ არა დადგენილი ბალახების ფრინველების და ქარების მართვა?

**IV ფრაგმენტი**: თუ ანმყო არ გულისხმობს წარსულის აუცილებლობას და არც ანმყოა მზადმყოფი წარსულის დასაცავად მაშინ წარსულს უნდა შეეძლოს ანმყოში თავისი თავის როგორც დაკარგული შესაძლებლობის აღდგენა და ხსოვნაში ღირსეულად გაუჩინარება.

კომენტარი: გულისხმობს თუ არა წარსულის აუცილებლობა ანმყოს როგორც ალბათობის ველს?
მიმდინარეობს თუ არა წარსული როგორც ალტერნატივა და ჩართულია თუ არა მდინარების პროცესი საკუთარ თავში?
გულისხმობს თუ არა ალტერნატივა მიზანთა თანხვედრას და არჩევანზე ზრუნვის უწყვეტობას?
რამდენად პირობითია ანმყო როგორც წარსულის მიზეზი?

რამდენად ნაყოფიერია ანმყო როგორც წარსულის დამცავი მექანიზმი და ზრუნვის შესაძლებლობა?
მზადმყოფია თუ არა ანმყო თავის სამოქმედო ასპარეზად თავისავე ანმყოს გადაქცევისთვის?
ანმყო როგორც აუცილებლობა განაპირობებს თუ არა მიზანმიმართულ მონაცვლეობათა ცვალებადობას როგორც შედეგს?
სახეზემყოფია თუ არა ყოველი გარდამავალი შედეგი?
დაკარგული შესაძლებლობა როგორც პროცესი განიცდის თუ არა ალბათობის ველს როგორც პერსპექტივას?
რამდენად აუცილებელია ყოველი განხორციელებული აუცილებლობა გულისხმობდეს თავის თავს როგორც აუცილებლობის ერთადერთობას?
რამდენად ალბათურია ყოველი ერთადერთი აუცილებლობა როგორც თამაში?
რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ანმყო როგორც ცვლადი?
რატომ უნდა აკმაყოფილებდეს ანმყო როგორც ცვლადი ამა თუ იმ პირობას?
დამაკმაყოფილებელია თუ არა დასაკმაყოფილებელი პირობები და იძლევა თუ არა მათი ჯამი წარსულს როგორც შედეგს?
არის თუ არა ანმყო გამორიცხული მესამე და მიმართულია თუ არა მისი მზერა წარსულისკენ როგორც შესაძლო შედეგისკენ?
წარსული როგორც შესაძლო შედეგი გზაა თუ სახლი?
რამდენად პირობითია გზად და სახლად შედეგის დაყოფა?
გამართლებულია თუ არა ასეთი დაყოფა თამაშით როგორც პროტესტით?
გამოწვეულია თუ არა პროტესტის ალბათობა ხსოვნის პერიოდულობით?
განაპირობებს თუ არა ხსოვნის პერიოდულობა პროტესტს როგორც მიზეზს?
არის თუ არა ანმყო ხვედრი?
შესაძლებელია თუ არა ხვედრი როგორც გზა ან ხვედრი როგორც სახლი?
შეიძლება თუ არა ხვედრი ეწოდოს იმას რაც ყველას ხვედრია და იმავდროულად გაპირობებული არაა აუცილებლობით?
აუცილებლობა როგორც მიზეზი და აუცილებლობა როგორც შედეგი წარმოქმნიან თუ არა შუალედურ ველს ხვედრის სამოქმედოდ?
მოიცავს თუ არა აუცილებლობა თავის თავს როგორც მთლიანს?
ემთხვევა თუ არა ერთმანეთს წარსული როგორც შედეგი და ანმყო როგორც ხვედრი?
ის რაც ხვედრია არის თუ არა იმავდროულად სახლიც?
ის რაც ანმყოა არის თუ არა იმავდროულად გზაც?
ის რაც თამაშია არის თუ არა იმავდროულად ალბათობის ველიც?
ცვალებადია თუ არა ხვედრი?
რამდენად მარტივია ხვედრი და რამდენად რთულია თამაში როგორც ხვედრი?
არის თუ არა თამაში ცვლადი?
არის თუ არა ადამიანი ცვლადი?
არის თუ არა ადამიანი ფრინველის ნადირის მწერის ამფიბიის ქვეწარმავლის და თევზის თანასწორი?
რამდენად ღირსეულია ადამიანი როგორც თანასწორი?
გულისხმობს თუ არა თანასწორობის ფაქტი დაკარგულ შესაძლებლობას როგორც სასოწარკვეთას?
რამდენად ფრთხილია სასოწარკვეთა და რამდენად უჩინარია დანაკარგი?

მოძრაობს თუ არა დანაკარგი დროში როგორც საარსებო მინიმუმში?
არის თუ არა დრო ღირსება?
გულისხმობს თუ არა დრო სახეზეყოფნას როგორც დაკარგული შესაძლებლობის აღდგენაზე ზრუნვას?
მზადმყოფია თუ არა ზრუნვა წარსულის დასაცავად და ხსოვნაში გასაუჩინარებლად?
არის თუ არა ხსოვნაში გაუჩინარება ხსოვნის გაუჩინარების იგივეობრივი?
გაუჩინარებული ხსოვნა როგორც შედეგი არის თუ არა შექცევადი?
როდის ემთხვევა ერთმანეთს აწმყო და ხსოვნა?
რომელია სუბიექტი და რომელია პრედიკატი მაშინ როცა დრო და ადგილი ცნობილია?
განსაზღვრულია თუ არა ის რაც ცნობილია?
მოიცავს თუ არა თამაში იმას რაც განსაზღვრულია?
თამაშობს თუ არა ის რასაც მოთამაშეები თამაშობენ?
თამაშობს თუ არა ის რითაც მოთამაშეები თამაშობენ?
თამაშობს თუ არა ის რისთვისაც მოთამაშეები თამაშობენ?
თამაშობს თუ არა თამაში?

**V ფრაგმენტი:** როცა დრო არც კითხვაა და არც პასუხი თამაშობს თუ არა თამაშის ველზე თამაში თამაშს?

**კომენტარი:** როცა დრო არც კითხვაა და არც პასუხი თამაშის ველზე ან თამაშობს ან არ თამაშობს თამაში თამაშს.
როცა დრო არც კითხვაა და არც პასუხი ან თამაშობს ან არ თამაშობს თამაშის ველზე თამაში თამაშს.
როცა დრო არც კითხვაა და არც პასუხი თამაში ან თამაშობს ან არ თამაშობს თამაშის ველზე თამაშს.
როცა დრო არც კითხვაა და არც პასუხი თამაში თამაშის ველს ტოვებს და გარბის ან ტოვებს და არ გარბის ან არ ტოვებს და გარბის ან არ ტოვებს და არ გარბის ან: თამაშის ველს თამაშად გარდაქმნის და თამაშიდან გადის.

## დილა

საზარელი იქნება მზის ამოსვლა
იქ სადაც
არ იქნებიან ჩიტები და არ იქნება მინა
მაგრამ
მეიმედება ფერფლადქცეული ღამის
რომელიც აღარ აღმოაცენებს მზეს
და რომელიც დაიბადება მილიონჯერ და ურიცხვჯერ
და ორიენტირები გაურკვეველი ადამიანებივით ჩაისახებიან
დავიწყებულ მუცელში
და საიმედოა აწმყო
სადაც ნარუვალი ღირებულებები
საუკუნეთა ჯანმრთელ ქურაში დახვეწილი ლიბერალიზმის
ნაყოფს მოიმკიან
მაგრამ
ის რაც ცვივა უნდა გადარჩეს
ნებისმიერი დაწერილი თუ დაუწერელი კანონის ძალით
და თავის ამოძახილს შეუერთდეს
და როცა დამთავრდებიან თეთრი ღამეები
მშვიდობიანი ფინალი სარკმელს გამოხსნის და
იტყვის: ამინ!

## ხილვა

ვიხილე იმედმა როგორ გაიარა
ჩემი სულის ყველაზე უფრო რთული მონაკვეთი
და დამემშვიდობა და მითხა:
დათო ბარბაქაძე
გახსოვდეს რომ სამყარო
შენი ცხოვრების
ერთი
უმნიშვნელოვანესი
ნაწილია
დღეს
როცა ჯერ არ არსებობს აწმყო
და ჯერაც უცნობია
უსასტიკესი ქარების სეზონი

თავი პირველი: 1. კითხვანი ეკლესიასტესი, ძისა დავითისა, მეფისა იერუსალიმში. 2. ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, არის თუ არა ამაო ყოველივე? 3. რას ჰმატებს შრომა ადამიანს, მზის ქვეშ რომ იღვწის? 4. მიდის თუ არა თაობა, მოდის თუ არა თაობა, და უცვლელია თუ არა ეს ქვეყანა უკუნისამდე? 5. აღმოხდება თუ არა მზე და ჩადის თუ არა მზე, უბრუნდება თუ არა თავის ადგილს და ამობრწყინდება თუ არა კვლავაც იქიდან? 6. მიჰქრის თუ არა ქარი სამხრეთისკენ, ბრუნდება თუ არა ჩრდილოეთისკენ? ბრუნავს თუ არა, ბრუნავს თუ არა, მიჰქრის თუ არა და უბრუნდება თუ არა ისევ თავის წრეს? 7. მიედინება თუ არა ზღვებისკენ ყველა მდინარე და აღივსება თუ არა ზღვა? მიედინებიან თუ არა მდინარეები კვლავაც იქითკენ, საითკენაც მიედინებოდნენ? 8. უძლურია თუ არა ყოველი სიტყვა, ძალუძს თუ არა კაცს ყველაფრის თქმა? გაძღება თუ არა თვალი ხედვით, აღივსება თუ არა სმენით სასმენელი? 9. იქნება თუ არა იგივე, რაც იყო, და მოხდება თუ არა იგივე, რაც მოხდა? არის თუ არა მზისქვეშეთში რამე ახალი? 10. ნახავენ თუ არა რასმე და იტყვიან თუ არა: აჰა, ახალი? ყოფილა თუ არა ეს ჩვენს წინარე საუკუნეში? 11. დარჩა თუ არა იმათი ხსოვნა, ვინც წინათ იყო; და მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, თუ გაიხსენებს მათი მიმყოლი? 12. მქვია თუ არა ეკლესიასტე და ვიყავი თუ არა ისრაელის მეფე იერუსალიმში? 13. ვინყე თუ არა გულმოდგინედ გამოძიება, გონებით განსჯა იმ ყველაფრის, ცისქვეშეთში რაც მომხდარა ან არ მომხდარა? მიუჩინა თუ არა ეს მძიმე საქმე ღმერთმა ადამის ძეთ სატანჯველად? 14. თუ განვიცადე ყოველი საქმე, მზისქვეშეთში რაც კი მომხდარა? არის თუ არა ყველაფერი ამაო და ქარების დევნა? 15. გამართავ თუ არა გამრუდებულს და შეავსებ თუ არა ნაკლულს? 16. მოვიპოვე თუ არა და განვიმრავლე თუ არა ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემზე უწინ იერუსალიმში? თუ ეზიარა ჩემი გონება განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას? 17. მივმართე თუ არა გულისყური, შევიცანი თუ არა სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, და მივხვდი თუ არა ამ ყველაფრის აზრს ან უაზრობას? 18. როცა სიბრძნე დიდია, არის თუ არა ვარამიც დიდი? უმრავლებს თუ არა მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს?

თავი მეორე: 1. ვუთხარი თუ არა ჩემს თავს: "მოდი, გამოვცდი მხიარულებას და მივეცემი სიამეებს"? ყოფილა თუ არა ესეც ამაო? 2. მივხვდი თუ არა, რომ გართობა ფუჭი საქმეა? რის მაქნისია მხიარულება? 3. ვიფიქრე თუ არა, ღვინით დამებანგა ჩემი სხეული, ხოლო გონებას სიბრძნით ეფხიზლა? დავდგომოდი გზას სიბრიყვისას, ვიდრე ვნახავდი, რა სიკეთეა კაცთათვის მასში, რასაც იქმიან ცისქვეშეთში, სანამ ცოცხლობენ? 4. ჩავიდინე თუ არა დიდი საქმეები, ავიგე თუ არა სახლები, ჩავყარე თუ არა ვაზი? 5. გავიშენე თუ არა ბაღები და წალკოტები, დავრგე თუ არა ხეხილი ყოველგვარი? 6. წორჩი ტევრების მოსარწყავად მოვაწყვე თუ არა წყალსატევები? 7. შევიძინე თუ არა მონა-მხევლები? მესხნენ თუ არა სახლში მრავლად სახლეულნი? მყავდა თუ არა ცხვარი და ძროხა იმაზე მეტი, ვისაც ჩემს უწინ უმეფია იერუსალიმში? 8. დავაგროვე თუ არა ოქრო და ვერცხლი, მეფეთა განძი ყოველი მხარის? გავიჩინე თუ არა მგალობელნი, კაცნი და ქალნი, და სიამენი ხორციელნი, ულამაზეს ხარჭათა დასნი? 9. განვიდიდე და გავმდიდრდი თუ არა უმეტეს მათსა, ვინც ჩემს წინარე არსებულა იერუსალიმს? მეყუდნა თუ არა მევე ჩემი სიბრძნე? 10. უარვყავი თუ არა ის, რაც მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, დავიოკე თუ არა გული სიხარულისგან, და თუ

ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით? თუ იყო ხვედრი ჩემი შრომის ეს ყოველივე? 11. გადავხედე თუ არა ყოველს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს ჩემს ნამოქმედარს? მივხვდი თუ არა, რომ ამაო იყო ყოველი, ქარისნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში? 12. რადგან რაღა ქმნას ადამიანმა, რომელიც მოვა შემდგომ მეფისა, რომელსაც უკვე ყველაფერი უქმნია ქვეყნად? 13. ვძებნე თუ არა, რა არის სიბრძნე ანუ სიბრიყვე და უმეცრება? სძლევს თუ არა სიბრძნე სიბრიყვეს, ისე როგორც მძლავრობს თუ არა ნათელი ბნელზე? 14. ჭვრეტს თუ არა გონებით ბრძენი? დავალს თუ არა უგნური ბნელში? და მაინც, ერთი აქვს თუ არა ყველას მონევნადი? 15. მეც მეწევა თუ არა უგუნურის ბედი? ვიყავი თუ არა სხვაზე ბრძენი? არის თუ არა ამაო ესეც? 16. ეხსომებათ თუ არა ბრძენი ან უგუნური მარადიულად? გაივლის თუ არა ჟამი და დაივიწყება თუ არა ყველაფერი? კვდება თუ არა ბრძენი კაცი უგუნურივით? 17. და შევიძულე თუ არა ცხოვრება? მემწარა თუ არა ყველაფერი, რაც მზის ქვეშ ხდება? არის თუ არა ეს ყოველი ამაო და ქარების დევნა? 18. და მოვიძულე თუ არა ნაღვაწი ჩემი, ამ მზისქვეშეთში რაც მიღვაწია, და რაც სხვას უნდა დავუტოვო, ჩემს შემდეგ მოსულს? 19. ვის შეხვდება ჩემი ნაღვაწი, ბრძენს თუ უგუნურს, ამ მზისქვეშეთში რაიც სიბრძნით მომიღვაწია? არის თუ არა ესეც ამაო? 20. თუ ნარვეუხოცე ჩემს თავს იმედი, რომ აღარაფერს მოველოდე იმ ღვაწლისაგან, რაც მზისქვეშეთში გამიწევია? 21. ნახავ თუ არა კაცს, რომელიც მუშაობს და არ იშურებს სიბრძნეს და ცოდნას, მაგრამ რომლის ნამუშაკევი სხვას ხვდება წილად, ვისაც არასდროს ულვაწია ამ საქმისათვის? არის თუ არა ესეც ამაო და უდიდესი ბოროტება არის თუ არა? 22. მაშ, რაღა რჩება ადამიანს შრომისა და ზრუნვის შედეგად, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა? 23. არის თუ არა სატანჯველი მისი დღეები, საზრუნავი მისი - წუხილი? ისვენებს თუ არა ღამით, შფოთავს თუ არა გული? არის თუ არა ესეც ამაო? 24. არის თუ არა კაცისთვის რამე უკეთესი, ვიდრე სვას, ჭამოს და ტკბებოდეს თავის ნაღვაწით? გამოვცადე თუ არა ესეც? არის თუ არა ღმერთის ხელთ ესეც? 25. ვინ ჭამს ანუ სვამს, ან განცხრომას მის გარეშე ვინ მიეცემა? 26. ითნევს თუ არა იგი ვინმეს და მიანიჭებს თუ არა ცოდნას, სიბრძნესა და სიხარულის ნიჭს? უჩენს თუ არა მოხვეჭისთვის ცოდვილს საზრუნავს, რათა ღვთის სათნოს დაუტოვოს ეს მონაგარი? არის თუ არა ესეც ამაო და ქარის დევნა?

თავი მესამე: 1. აქვს თუ არა ყოველივეს თავისი დრო და აქვს თუ არა ცისქვეშეთში ყოველივეს თავისი ჟამი? 2. არის თუ არა ჟამი შობის და ჟამი სიკვდილის? ჟამი დანერგვის და ჟამი დანერგულის აღმოფხვრის? 3. ჟამი მოკვდინების და ჟამი განკურნების? ჟამი ნგრევის და ჟამი შენების? 4. ჟამი ტირილის და ჟამი სიცილის? ჟამი გლოვის და ჟამი ლხინის? 5. ჟამი ქვათა მიმოფანტვის და ჟამი მათი შეგროვების? ჟამი მიჯნურთა პაემანის და ჟამი მათი გაყრის? 6. ჟამი პოვნის და ჟამი დაკარგვის? ჟამი შენახვის და ჟამი გაფლანგვის? 7. ჟამი დარღვევის და ჟამი შეკერვის? ჟამი დუმილის და ჟამი მეტყველების? 8. ჟამი სიყვარულის და ჟამი სიძულვილის? ჟამი ომის და ჟამი მშვიდობის? 9. რას არგებს მაშვრალს თავისი შრომა? 10. ვნახე თუ არა საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამის ძეთ მათ სატანჯველად? 11. შექმნა თუ არა მან კეთილად ეს ყველაფერი თავის დროისთვის? აღძრა თუ არა თვით იდუმალის შესაცნობად გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო? 12. არის თუ არა ადამის ძისთვის რამე იმაზე უკეთესი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხლობს? 13. თუ კაცსა ვისმე არ აკლდება სასმელ-საჭმელი და შრომისა წილ სიკეთეს ჰპოვებს, ღვთის ნაბოძები არის თუ არა მასზე ეს მადლი? 14. ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს თუ არა მუდამ?

დასჭირდება თუ არა რამის დამატება ან გამოკლება? ქმნა თუ არა ასე ღმერთმა და მის წინაშე უნდა ჰქონდეთ თუ არა შიში? 15. რაიც ყოფილა, არის თუ არა დიდი ხანია? და რაც იქნება, იყო თუ არა? და ან გარდასულს გამოიკვლევს თუ არა ღმერთი? 16. ფლობდა თუ არა მზისქვეშეთში განსჯის ადგილს უკანონობა? ეპყრა თუ არა მართლის ადგილი გამტყუვნებულ კაცს? 17. თუ განსჯის ღმერთი მართალს და მტყუანს? თუ დაუდგება ყველაფერს და ყოველ საქმეს იქ თავის ჟამი? 18. გამოცდის თუ არა ღმერთი ადამის ძეთ, თავისთავად რომ პირუტყვები არიან მხოლოდ? 19. აქვს თუ არა ერთი ხვედრი კაცსა და პირუტყვს - ჰგავს თუ არა ერთის სიკვდილი მეორისას და უდგას თუ არა ყველას ერთი სული, უპირატესობს თუ არა კაცი პირუტყვზე? ამაოა თუ არა ესეც? 20. მივა თუ არა ყველა ერთ ადგილს? არის თუ არა ყველაფერი მიწისგან და იქცევა თუ არა ისევ მიწად ეს ყველაფერი? 21. რომელი იტყვის, რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვემოთ ჩადის, ქვესკნელისაკენ? 22. არის თუ არა კაცისათვის სხვა სიკეთე, თუ არ იხარა თავის ნაღვაწით? არის თუ არა ეს მისი წილი ამ მზისქვეშეთში? დაანახვებს თუ არა ვინმე, რა მოხდება შემდგომად მისა?

თავი მეოთხე: 1. ვხედავდი თუ არა ძალადობას? ხდებოდა თუ არა ძალადობა ამ მზისქვეშეთში? ილვრება თუ არა ჩაგრულთა ცრემლი? და თუ ილვრება, ჰყავთ თუ არა ნუგეშისმცემი? არის თუ არა ქვეყნად მჩაგვრელი? და თუ არის, მის ხელშია თუ არა ძალა? 2. შევრაცხე თუ არა იმათზე უფრო ბედნიერად დიდი ხნის მკვდარნი, ვინც ჯერაც კიდევ ცოცხალ არიან? 3. არის თუ არა ორთავეზე ბედნიერი ის, ვინც ჯერ არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება? 4. არის თუ არა მარტოდმარტო ერთურთის შურით გამოწვეული სიბეჯითე ყველა საქმეში? არის თუ არა ესეც ამაო და ქარის დევნა? 5. დაუკრეფია თუ არა სულელს გულზე ხელი და ჭამს თუ არა თავისავე ხორცს? 6. თუ სჯობს ერთი პეშვი სიმშვიდე მთელ კალთა გარჯას და ფუჭ საზრუნავს? 7. თუ განვიცადე კიდევ და კიდევ ამაოება ამ მზისქვეშეთში? 8. თუ არსებობს მარტოხელა ადამიანი, ვისაც არა ჰყავს არც ძმა, არც შვილი, და ვის შრომასაც ბოლო არ უჩანს და ვერ გაძღება ვისი თვალიც დოვლათის ხილვით? ვისთვისღა ვშრომობ და სიამეს ვისთვის ვიკლებდი? არის თუ არა ესეც ამაო და ფუჭი საქმე? 9. სჯობს თუ არა მარტო ყოფნას, რომ ორნი იყვნენ? თუ მიეზღვებათ მაშინ კეთილად მათ საშრომელში? 10. და თუ დაეცნენ, წამოაყენებს ერთი მაინც თავის ამხანაგს? და მარტომყოფი თუ დაეცა, ვინღა უშველოს? 11. თუ ორნი დაწვნენ, გათბებიან? მარტომყოფი რამღა გაათბოს? 12. ერთი თუ სძლიეს, გაუმკლავდება თუ არა ორი? განყდება მალე სამმაგი ძაფი? 13. სჯობს თუ არა ღატაკი, მაგრამ ბრძენი ყმაწვილი მოხუცებულ, ჭკუასუსტ მეფეს, რომელიც უკვე ვერას ისწავლის? 14. თუნდაც რომ თავის სამეფოში უპოვრად იშვას, თუ გამოვა იგი მეფედ საპყრობილიდან? 15. ახლავს თუ არა მზისქვეშეთში ნებისმიერ მკვიდრს თავის ყმაწვილი? არის თუ არა ეს მისი სხვა? შეენაცვლება? 16. უჩანს თუ არა ხალხს დასასრული, მათ უწინარეს ვინც ყოფილა და მათ შემდგომი თუ მოინატრებს? არის თუ არა ესეც ამაო და ქარის დევნა? 17. ღვთის სახლისკენ მიმავალი უნდა ჩქარობდე? უნდა გაფრთხილდე? უნდა შესწირო თუ არა მსხვერპლი? და ვინც მსხვერპლს სწირავს, სჩადის თუ არა უკეთურებას?

თავი მეხუთე: 1. უნდა გისწრებდეს თუ არა ენა და გული შენი? უნდა ჩქარობდე ღვთის წინაშე სიტყვის წარმოთქმას? არის თუ არა ღმერთი ცაში, შენ კი - მიწაზე? კმარა თუ არა მცირედი სიტყვა? 2. არის თუ არა უგნურის სიტყვა ისე მრავალი, რო-

გორც მრავლადაა სიზმარში ამბები? 3. თუ ღმერთს აღთქმას მისცემ, უნდა აღასრულო? ვარგა თუ არა უპირო რამედ? რასაც აღუთქვამ, უნდა აღსრულდეს? 4. სჯობს თუ არა, რომ არ აღუთქვა, ვიდრე აღთქმული არ აღასრულო? 5. უნდა ამოთქვას შენმა ბაგემ ისეთი სიტყვა, რომ ცოდვაში ჩაიგდო თავი? უნდა იმართლო თუ არა თავი ანგელოზთან, და თქვა, შევცდიო? თუ განრისხდება ღმერთი შენს ხმაზე და თუ დაღუპავს შენი ხელით ქმნილს? 6. არის თუ არა მრავლად სიზმარი, ამაოება და გრძელი სიტყვა? გეშინოდეს თუ არა ღმერთის? 7. თუ სადმე ქვეყნად ღარიბღატაკთა შევიწროებას და სიმართლის და ჭეშმარიტების შერყვნას იხილავ, გაიკვირვო უნდა თუ არა? უთვალთვალებს თუ არა მაღალს მასზე მაღალი? 8. უკეთესია ის ქვეყანა, სადაც მეფე ქვეყნისთვის შრომობს? 9. გაძღება თუ არა ფულით ფულზე შეყვარებული? და ან სიმდიდრის მოყვარული შემოსავალს თუ დასჯერდება? არის თუ არა ესეც ამაო? 10. თუ ჰყავს ბევრ დოვლათს ბევრი მჭამელი? თუ დარჩება პატრონს რამე ყურების გარდა? 11. თუა ტკბილი მშრომელის ძილი, გინდ ცოტა ჭამოს და გინდა ბევრი? სიმაძღრით ძილი დაუფრთხება თუ არა მდიდარს? 12. არის თუ არა, ვნახე თუ არა ქვეყნად მტანჯველი ბოროტება: პატრონის საზიანოდ დაფლული სიმდიდრე? 13. დაიკარგება ეს სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო? და მისი შვილი თუ დარჩება ხელცარიელი? 14. გაბრუნდება თუ არა ისევ ისე შიშველი, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან? თუ მოიხვეჭს რაიმეს შრომით? 15. არის თუ არა ესეც მტანჯველი ბოროტება: რომ ისე წავა ან არ წავა, როგორც მოვიდა? რა სიკეთეა, ფუჭად რომ შრომობს და ან არ შრომობს? 16. თავის დღეებს სიბნელეში მოჭამს თუ არა? თუ იქნება დარდით, ტკივილით გულგასენილი? 17. ვხედავ თუ არა მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს? ჭამოს თუ არა, სვას თუ არა და იხაროს თუ არა კაცმა თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში? მისცა თუ არა დღეები ღმერთმა? არის თუ არა ეს მისი ხვედრი? 18. აძლევს თუ არა კაცს უფალი ქონებას და სიმდიდრეს და იმის უნარსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით? არის თუ არა ღვთის წყალობა ეს ყველაფერი? 19. ბევრს გაიხსენებს თუ არა კაცი? თუ მისცემს ღმერთი გულის სიხარულს?

თავი მეექვსე: 1. არის თუ არა ბოროტება მზისქვეშეთში? და მძიმეა თუ არა იგი? 2. მისცემს თუ არა ადამიანს ღმერთი ქონებას, სიმდიდრეს და ყოველ დიდებას? აქვს თუ არა ყველაფერი, რაც კი ინატრა? და რომ მისცემს, თუ მოახმარებს? თუ მოვა და თუ მოიხმარს ამ ყველაფერს ვინმე სხვა, უცხო? უბედურება თუა ეს და ამაოება? 3. რომელია უკეთესი: ასი შვილი რომ შვას კაცმა და იცოცხლოს კიდევ მრავალი წელი, მაგრამ ვერ დატკბეს სიამით და საფლავიც კი აღარ ეღირსოს, თუ დედის მუცელს მონყვეტილმა ეს ყოველივე არ განიცადოს? 4. ვინც ფუჭად მოვიდა და ვინც ბნელში წავიდა, ვისი სახელიც ბნელში დაინთქა, 5. იმაზე უფრო მოსვენებული არის თუ არა ის, ვისაც მზე არ უნახავს და არც გაუგია? 6. თუნდაც იცოცხლოს ორი ათას წელს და ვერაფერი სიკეთე ნახოს, აქვს თუ არა რაიმე აზრი? მივა თუ არა ყველა ერთ ადგილს? 7. არის თუ არა პირისათვის ადამიანის ყოველი შრომა? აღივსება თუ არა სული? 8. რა განასხვავებს ბრძენს და უგუნურს? რჩება თუ არა რაიმე ღატაკს, რომელმაც იცის ან არ იცის, ამ ცხოვრებას როგორ გაუძლოს? 9. სჯობს თუ არა თვალით ნახო, ვიდრე გულს აჰყვე? არის თუ არა ესეც ამაო და ქარის დევნა? 10. რაც კი არსებობს, ჰქვია თუ არა ამ ყველაფერს თავის სახელი? რა არის კაცი, თუა ცნობილი? შეუძლია თუ არა დავა უფრო ძლიერთან? 11. არის თუ არა მრავალი რამ, ამაოებას რომ განამრავლებს? უკეთესი რითაა კაცი? 12. რადგან ვინ უწყის, კაცისათვის რა არის კარგი

მის სიცოცხლეში, რომელსაც იგი აჩრდილივით თან დაატარებს? ვინ აუწყებს ადამიანს, რა მოხდება მის მერე მზის ქვეშ?

თავი მეშვიდე: 1. სჯობს თუ არა უძვირფასეს ნელსაცხებელს კარგი სახელი? გაჩენის დღეს - დღე სიკვდილისა? 2. სჯობს თუ არა ლხინში წასვლას ტირილში წასვლა? არის თუ არა იქ კაცის ბოლო? ცოცხალმა კაცმა ეს საკითხი უნდა იღოს თუ არა ყურად? 3. არის თუ არა მწუხარება სიცილის მჯობნი? არის თუ არა გული კეთილი, სახე როცა დაღვრემილია? 4. ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლში არის თუ არა? უგუნურთა - განცხრომის სახლში? 5. სჯობს თუ არა ბრძენისაგან კიცხვას ისმენდე, ვიდრე ბრიყვისგან - ქება-დიდებას? 6. თუ ჰგავს ქვაბის ქვეშ ფიჩხის ტკაცუნს ბრიყვთა სიცილი? არის თუ არა ესეც ამაო? 7. გაჭირვება გამოაჩენს თუ არა ბრძენკაცს? რყვნის თუ არა ქრთამი კაცის გულს? 8. სჯობს თუ არა საქმის ბოლო საქმის დასაწყისს? სჯობს თუ არა ამპარტავანს სულგრძელი კაცი? 9. უნდა იჩქარო გულისწყრომა? ბუდობს თუ არა გულისწყრომა უგნურთა მკერდში? 10. უნდა თქვა თუ არ უნდა თქვა: რად სჯობდაო წარსული აწმყოს? ახლავს თუ არა სიბრძნე ამ კითხვას? 11. არის თუ არა კარგი სიბრძნე, თუ თან ახლავს მემკვიდრეობაც? მჭვრეტელთათვის დიდად სარგო არის თუ არა? 12. თუ დაიფარავს ადამიანს სიბრძნეც და ფულიც? თუა სიბრძნე უპირატესი, და მის მფლობელს თუ ასულდგმულებს? 13. ვინ გამართავს გამრუდებულს ღვთის შექმნილისგან? 14. როცა კეთილი დღეებია, უნდა იხარო? უნდა მოიქცე თუ არა ფრთხილად ძნელბედობისას? შექმნა თუ არა ესეც და ისიც ღმერთმა ერთურთის საპირისპიროდ? რას შეიცნობს მის უკან კაცი? 15. ვნახე თუ არა მრავალი რამ ჩემს ამაო დღეთა მანძილზე? თუ იღუპება მართალი თავის სიმართლეში? თუ დღეგრძელობს ბოროტი თავის ბოროტებაში? 16. თუ უნდა იყო მეტისმეტად მართალი და მეტისმეტად თუ უნდა იბრძნო? საჭიროა თუ არა ძრწოლა? 17. მეტისმეტად იბოროტო უნდა თუ არა, ან თუ გაბრიყვდე? არის თუ არა საჭირო, რომ უდროოდ მოკვდე? 18. არის თუ არა უმჯობესი, იყო ერთიც და იყო მეორეც, არ უარყო არც ერთი და არც ის მეორე? თავს ყველაფრისგან თუ დააღწევს ღმერთის მოშიში? 19. არის თუ არა სიბრძნე ბრძენისთვის ძალა, ქალაქის ათ მბრძანებელზე აღმატებული? 20. არის თუ არა მზისქვეშეთში მართალი კაცი, კეთილ საქმეს რომ სჩადიოდეს და არ სცოდავდეს? 21. ყველა სიტყვას, რასაც ამბობენ, უნდა უგდო თუ არა ყური? უნდა გესმოდეს, შენი მონა როგორ გაგინებს? 22. აგინებდი თუ არა შენც სხვებს? 23. ეს ყველაფერი მოვიძიე თუ არა სიბრძნით? და ვთქვი თუ არა: ბრძენი ვარ მეთქი, მაგრამ სიბრძნე შორსაა ჩემგან? 24. არის თუ არა ღრმა და შორი, რაც კი არსებობს? ვინ მიაკვლიოს? 25. ვიდევ თუ არა გულს, შემეცნო, შემესწავლა, გამომეკვლია, რა არის სიბრძნე, გონიერება? უმეცრება ბოროტებაა? 26. თუა დიაცი უფრო მწარე, ვიდრე სიკვდილი? არის თუ არა მისი გული მახე და ბადე? თუ გადურჩება ღვთის სათნო და თუ დატყვევდება მისგან ცოდვილი? 27. აზრს რომ მიაგნო, თანმიყოლებით უნდა მისდიო? 28. ვპოვე თუ არა ის, რაც ვძებნე? ვპოვე თუ არა ათასიდან თუნდ ერთი კაცი? ვპოვე თუ არა ერთი მაინც მათ შორის ქალი? 29. ვპოვე თუ არა სულაც რაიმე? შექმნა თუ არა ღმერთმა წრფელი ადამიანი? იჩენს თუ არა ადამიანი აურაცხელ ზედმეტ თავსატეხს?

თავი მერვე: 1. ვინ იქნება ბრძენის მეტოქე? საგანთა არსს ვინ შეიმეცნებს? თუ ანათლებს სიბრძნე სახეს კაცისას და თუ შეუცვლის სახის სიტლანქეს? 2. ასრულებდე უნდა თუ არა მეფის ბრძანებას, თუნდაც ღვთისადმი მიცემული ფიცის პასუხად? 3. უნდა ისწრაფო მისგან წასვლა? ბოროტ საქმეს უნდა დაადგე? თუ გაა-

კეთებს ის ყველაფერს, რასაც ისურვებს? 4. მეფის სიტყვა თუა კანონი? უნდა ჰკადრო თუ არ უნდა ჰკადრო, რას აკეთებო? 5. თუ შეემთხვევა ავი საქმე ცნების შემნახველს? ჟამსაც და წესსაც გრძნობს თუ არა ბრძენკაცის გული? 6. არის თუ არა ყველაფრისთვის ჟამი და წესი? არის თუ არა ადამის ძის უბედურება, 7. რომ არ იცის, რაც უნდა მოხდეს? ან ვინ იტყვის, როგორ მოხდება? 8. თუ მოახერხებს ვინმე ქარის შეჩერებას? სიკვდილის დღეს თუ შეცვლის ვინმე? ბრძოლის ველიდან დაითხოვენ თუ არა ვინმეს? იხსნის თუ არა ბოროტება ბოროტის ჩამდენს? 9. თუ ვიხილე ეს ყველაფერი? თუ დავაკვირდი ყველა საქმეს, მზისქვეშეთში რაც კი მომხდარა? ვნახე თუ არა ის დრო, როცა თავის თავის საზიანოდ კაცი კაცს სძლევდა? 10. ვნახე თუ არა დამარხული ბოროტეულნი, წმიდა ადგილას ადრე მისულნი და მერე უკან მიბრუნებულნი? იქცეოდნენ თუ არა ასე, და იმ ქალაქში, სადაც ასე იქცეოდნენ და ან სულაც არ იქცეოდნენ, დავიწყებულ იქნენ თუ არა? არის თუ არა ესეც ამაო? 11. თუ ირჯება სწრაფად ბოროტი? ბედავს თუ არა ბოროტ საქმეს ადამიანი? 12. ცოდვილმა კაცმა ასჯერაც რომ ჩაიდინოს ბოროტი საქმე, მიეტევება? თუ მიეგებათ ღმერთისმოშიშ ღვთისმოსავთ მადლი? 13. თუ მიეგება მადლი ბოროტს და თუ იქნება როგორც ლანდი, ისე დღემოკლე ის, ვისაც ღმერთის არ ეშინია? 14. არის თუ არა ქვეყნად კიდევ ამაოება? ბოროტეულთა საქმეთაებრ მიეგებათ თუ არა მართლებს? არის თუ არა ბოროტეული, რომელსაც მართალ საქმეთაებრ მიეგება? ვთქვი თუ არა: ესეც ამაო? 15. ვაქე თუ არა მხიარულება? არის თუ არა სხვა სიკეთე კაცისათვის ამ მზისქვეშეთში, გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს? ახლავს თუ არა საშრომელში ადამიანს ეს ყველაფერი? 16. ვიდევ თუ არა გულს, შემეცნო ყოველი სიბრძნე, და მომეხილა ყველა საქმე, რაც ქვეყნად ხდება? ნახეს თუ არა მოსვენება ჩემმა თვალებმა ან დღე, ან ღამე? 17. ან თუ მიხვდება ადამიანი რაიმე საქმეს, რაც მზის ქვეშ ხდება? რომ დაშვრეს და მოიძიოს, თუ მოიპოვებს? ბრძენკაცმა რომ თქვას, მე მივხვდიო, მიხვდა თუ არა?

თავი მეცხრე: 1. ეს ყოველივე ჩავიბეჭდე თუ არა გულში? ვძებნე თუ არა? არის თუ არა ღმერთის ხელით ბრძენი და მისი ნამოქმედარი? თუ უწყის კაცმა ან სიყვარული ან სიძულვილი ან სხვა რამე, რაც მის წინაა? 2. აქვს თუ არა ერთი ხვედრი მართალს და მტყუანს, კეთილს და ბოროტს, სუფთას და გასვრილს, მსხვერპლის შემწირველს და მსხვერპლის არშემწირველს, როგორც კეთილს, ასევე ცოდვილს, მოფიცარსაც და ფიცის მოშიშსაც? 3. არის თუ არა მზისქვეშეთში უბედურება? აქვს თუ არა ერთი ხვედრი აქ ნებისმიერს? კაცთა გულები სიბოროტით თუა ალსავსე? ვიდრე ცოცხლობენ, მათ გულებში თუა სიშლეგე? თუ გადავლენ ისინი მკვდრებში? 4. აქვს თუ არა იმედი ცოცხალს? ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესი არის თუ არა? 5. იცის თუ არა ცოცხალმა, რომ სიკვდილი ელის? თუ იციან რაიმე მკვდრებმა და საზღაური თუ მიეზღვებათ? მათი ხსოვნა დავიწყებამ თუ მიითვისა? 6. თუ წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და ტრფობაც? თუ ექნებათ აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება? 7. თუ უნდა ჭამდე შენს პურს ხალისით და სიხარულით სვამდე შენს ღვინოს? ნამოქმედარი მოგიწონა თუ არა ღმერთმა? 8. თუ უნდა გქონდეს სამოსელი მუდამ სპეტაკი? შენს თავს ზეთი უნდა მოაკლდეს? 9. თუ უნდა დატკბე შენ სიცოცხლით ქალთან ერთად, რომელიც გიყვარს ამ ამაო წუთისოფელში? მოგცა თუ არა ეს ქალი ღმერთმა? არის თუ არა ის შენი ხვედრი სიცოცხლეში და იმ შრომაში, მზის ქვეშ რომ სწევდი? 10. უნდა აკეთო ის, რის კეთებაც ხელგეწიფება? თუ გაიყოლებ შავეთში საქმეს, სიბრძნეს, ცოდნას და საფიქრალს შენსას? 11. ამ მზისქვეშეთში თუა რბოლა მკვირცხლთა ნებაზე? თუა ომი მამაცთ ნებაზე? სიმდიდრე თუა გონი-

ერთა ნებაზე და ან მცოდნეთა ნებაზე - მადლი? არის თუ არა დრო და შემთხვევა ყოვლის მეუფე? 12. უწყის თუ არა ადამიანმა თავისი ჟამი? ელით თუ არა მოულოდნელად მიწეული ბოროტი ჟამი, და შეპყრობილნი იქნებიან თუ არა კაცნი ავ ბადეში გახვეული თევზებივით და მახეში გაბმულ ფრინველებივით? 13. ვცანი თუ არა ეს კითხვაც და საგულისხმოდ თუ ვაღიარე? 14. იყო თუ არა ქალაქი მცირე და ხალხიც ცოტა? მოდგა თუ არა ქალაქთან მეფე უძლიერესი, შემოარტყა თუ არა ალყა, სიმაგრეებით თუ შემოზღუდა? 15. იყო თუ არა იქ კაცი ვინმე უპოვარი, თუმცა კი ბრძენი? იხსნა თუ არა მან ქალაქი თავისი სიბრძნით? თუ გაახსენდა მერე ვინმეს ეს უპოვარი? 16. სიბრძნე ძალაზე უმჯობესი არის თუ არა? უპოვრის სიბრძნეს თუ იგდებენ აბუჩად და მის სიტყვებს ყურად თუ იღებს ვინმე? 17. ბრძენთა სიტყვები, წყნარად ნათქვამი, არის თუ არა უმჯობესი, ვიდრე სულელთა მთავრის ყვირილი? 18. ბრძოლის საჭურველს თუ სჯობს სიბრძნე და ერთი ცოდვილი თუ დაღუპავს მრავალ სიკეთეს?

**თავი მეათე:** 1. აფუჭებენ და ალპობენ თუ არა შხამიანი ბუზები სურნელოვან ზეთს? არის თუ არა ზოგჯერ სიბრძნეზე და დიდებაზე უფრო ძვირფასი მცირე სიბრიყვე? 2. აქვს თუ არა ბრძენს გული მარჯვნივ, ხოლო ბრიყვს - მარცხნივ? 3. სადაც არ უნდა წავიდეს ან არ წავიდეს, რჩება თუ არა ბრიყვადვე ბრიყვი? ბრიყვიაო, თუ ამბობენ სხვებზე? 4. თუ თავს დაგატყდა უფროსის რისხვა, უნდა დატოვო შენი ადგილი? მიეტევება თუ არა მორჩილს დიდი ცოდვები? 5. არის თუ არა სიბოროტე და ვიხილე თუ არა მზის ქვეშ: მბრძანებელი შეცდა თუ არა? 6. თუ განდიდდა სიბრიყვე მეტად? სხედან თუ არა მდიდრები დაბლა? 7. თუ ვნახე მონა ცხენზე მჯდარი, ხოლო მთავარი - მონასავით ფეხით მავალი? 8. თუ ჩავარდება ორმოს გამთხრელი თავის გათხრილში? ხოლო კედლის დამანგრეველს თუ დაშხამავს უხსენებელი? 9. მოსწყვეტს თუ არა ნელს ქვა იმას, ვინც ქვებს მიათრევს? დაასახიჩრებს ხე ხის გამჩეხავს? 10. დაჩლუნგებულ ცულს თუ არ გალესავ, დაგადგება ზედმეტი ძალა? საქმე ჭკუით უნდა წარმართო? 11. გველით დაკბენილ შეულოცველს შემლოცველი უშველის თუ ვეღარ უშველის? 12. ბრძენი სიტყვები მადლია თუ არაა მადლი? დაღუპავს თუ არ დაღუპავს ბრიყვს მისი ბაგე? 13. მისი სიტყვების დასაბამი თუა სიბრიყვე, ხოლო შედეგი - ავი სიშლეგე? 14. მრავალსიტყვაა თუ არა ბრიყვი? უწყის თუ არა ადამიანმა, რა უნდა მოხდეს? ვინ აუწყებს, რა იქნება, როცა ის წავა? 15. ბრიყვთა სიცრუე დაღლის თუ არა იმას, ვინც იცის ან არ იცის ქალაქისკენ მიმავალი გზა? 16. ხარ თუ არა ხარ სავაიო, ქვეყანავ, ბავშვი რომ გიზის მეფედ, ხოლო შენი დიდებულები დილიდანვე პურს მიირთმევენ? 17. ხარ თუ არა ხარ ბედნიერი, ქვეყანავ, სადაც მეფე არავის არ ემონება, ხოლო შენი დიდებულები თავის დროზე მიირთმევენ, ძალას იკრებენ და არ ილხენენ? 18. სიზარმაცისგან ჩამოიქცევა თუ არა ჭერი? გულხედაკრეფილს სახლში წყალი თუ ჩამოუვა? 19. იმართება თუ არა პურობა სამხიარულოდ? ავსებს თუ არა სიხარულით ღვინო სიცოცხლეს? ფული პასუხს ყველაფერზე აგებს თუ არა? 20. ფიქრში მაინც თუ შეიძლება, მეფეს აგინო? საწოლ ოთახში დიდებულს რომ შეაგინო, თუ შეიძლება? მიუტანს ამბავს ცის ფრინველი? და ფრთოსანი წაუღებს სიტყვას?

**თავი მეთერთმეტე:** 1. შენი პური წყალს გაატანო უნდა თუ არა? დიდი ხნის მერე მოიძიებ თუ არა ისევ? 2. წანილი შენი ქონებისა შეიდს, რვასაც კი, თუ უნდა მისცე? იცი თუ არა, რა მოელის ქვეყნიერებას? 3. როცა ღრუბელი აივსება, მოწვიმს თუ არა? სამხრეთში ან ჩრდილოეთში დაცემული ხე იქვე დარჩება, სადაც დაეცა? 4. და-

თესავს თუ არა ქარების მკვლევარი? ღრუბლების შემყურე მოიმკის თუ არა? 5. უნ-ყი თუ არა ქარის გზა და სავსე მუცელში ძვლების გაჩენა? უწყი თუ არა საქმე ღვთი-სა, ყოვლისშემქმნელის? 6. შენი თესლი სთესო უნდა თუ არა დილით? ხოლო მწუ-ხრისას შენმა ხელმა დაისვენოს უნდა თუ არა? რომელი უფრო სასიკეთოა? 7. არის თუ არა სინათლე ტკბილი, ხოლო მზის ჭვრეტა თვალებისთვის საამური არის თუ არა? 8. მრავალი წელიც რომ იცოცხლოს და იმხიარულოს ადამიანმა, უნდა ახსოვდეს თუ არა, რომ მრავლად იქნება ან არ იქნება შავი დღეები? ყველაფერი, რაც კი იქ-ნება, არის თუ არა ამაოება? 9. ვიდრე ნორჩი ხარ, უნდა იხარო თუ არა, ყრმაო? სი-ყმაწვილეში შენმა გულმა უნდა გაამოს? შენი გულის გზებს და თვალთა მზერას უნ-და მისდევდე? მიხვალ თუ არა სამსჯავროზე ყველაფრის გამო? 10. გულიდან დარდი უკუაქციო უნდა თუ არა? ხოლო სხეული უამურს რასმე მოარიდო უნდა თუ არა? ბავშვობა და სიყმაწვილე ამაო და წარმავალი არის თუ არა?

თავი მეთორმეტე: 1. უნდა გახსოვდეს შენი გამჩენი სიჭაბუკეში? მოვა თუ არა მწა-რე დღეები? მოგენევა თუ არა წლები, რომლებზეც იტყვი, რად მარგიან მე ისინიო? 2. თუ დაბნელდება მზე, ნათელი, ვარსკვლავი, მთვარე? თუ გამოჩნდება წვიმის მე-რე მრავლად ღრუბელი? 3. შეძრწუნდებიან სასახლის მცველნი? მეომარნი დასუსტ-დებიან? მეწისქვილე ქალები საქმეს თუ დააგდებენ? დაუბნელდებათ თვალისჩინი სარკმლიდან მჭვრეტელთ? 4. დაიგმანება ქუჩის კარები? დოლაბის ხმა თუ მიჩუმდე-ბა? ფრინველების ჟრიამული თუ მიწყდება და დადუმდება ყველა გალობა? 5. თუ შეაშინებთ სიმაღლე და გზებზე შიში თუ დაივანებს? გამწარდება თუ არა ნუში? თუ დამძიმდება კალია და გამოიღებს ნაყოფს კაპარი? თუ მიდის კაცი საუკუნო სახლ-ისკენ და მოტირალი თუ მისდევს უკან? 6. ვერცხლის საბელი თუ გაწყდება და თუ გატყდება ოქროს ჭურჭელი? თუ დაიმსხვრევა დოქი წყაროსთან? თუ ჩაეშვება ონი-ნარის ბორბალი ჭაში? 7. თუ მიიქცევა მტვერი მიწად, როგორც იყო ან არ ყოფილა? დაუბრუნდება სული უფალს, რომელმაც მისცა და ან არ მისცა? 8. არის თუ არა ამა-ოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, არის თუ არა ყოველივე ამაოება? 9. თუ იყო ბრძენი ეკლესიასტე და ხალხს სიბრძნე თუ შეასწავლა? იძიებდა და თხზავდა თუ არა იგავებს მრავალს? 10. საჭირო სიტყვებს თუ ეძიებდა ეკლესიასტე? დაიწერა თუ არა წრფელად? და სიტყვები ჭეშმარიტი იყო თუ არა? 11. წვერწამახული სოლები და ჩაჭედილი ლურსმნებია ბრძენთა სიტყვები? არის თუ არა იგავთ სიტყვები? არის თუ არა ერთი მწყემსისგან შთაგონებული? 12. გეტყვი თუ არა კიდევ, შვილო? ილო უნდა თუ არა ყურად? ბოლო თუ აქვს წიგნების წერას? თუ ქანცავს სხეულს ზედმეტი ფიქრი? 13. უნდა ვისმენდე ყოველივეს თავსა და ბოლოს? ღვთის შიში გქონდეს უნ-და თუ არა? მისი მცნებანი უნდა დაიცვა? არის თუ არა კაცისათვის ეს ყველაფერი? 14. ყველა საქმეს, ყველა დაფარულს - კეთილს და ბოროტს, სამსჯავროზე თუ მიი-ტანს ოდესმე ღმერთი?

## ფიქრის შესართავთან

წარუვალი და შეუქცევადია მარცხი
ხრიოკი მინები ჩვენით სავსე თვალებისკენ
მოემართებოდნენ
მაგრამ ჩვენი თვალები უკვე აღარ არიან ის
რასაც მინები ხედავდნენ
და ბრმად მოემართებოდნენ
და ჩვენ არ დავივიწყებთ სარკმელს
საიდანაც ჩვენი მოწყალე მზერა
დაიღვარა
და გარდასული გამოცდილებები ერთმანეთის შესაცნობად
გამოდიოდნენ მაშინ
როცა გვძინავს
და იმაში ვინც არ გაცოცხლდა
ხსოვნა ცოცხლდებოდა
მაგრამ გული ჩაგვწყდა ისეთი მშვიდობიანი იმედით და ზრუნვით
რომ ლეთა აიმღვრა და ადამიანები ნაპირებს
აწყდებოდნენ
და ფოთოლი ცვიოდა
და არც ერთი გაკვირვებული თვალი არ გვიცნობს მაშინ
როცა საჭირო იქნება ერთადერთი მკლავი
რომელსაც შეეძლო გადაერჩინა ჩვენი ცვალებადი აწმყო
მაგრამ არ მოვიდა
და ჩვენს ათასობით სიზმარში განიმქრა
და კარგად დავიმახსოვროთ ის
რაც არ შემორჩა
მეხსიერების მარადმწვანე დასასრულს
რომელიც პერიოდულად უნდა აენთოს და პერიოდულად ჩაქრეს
მინები თვალებს გვიქმნიან და მზერას გვიფორმებენ
არც ცამ და არც ზეცამ არ სახელდო
ჩვენი ოცნებები
არამედ იმან რაც აქაა
წარმავალი და შექცევადია მარცხი

## ჩემი მეგობარი ლინძი

...მაშინ ვესიზმრებოდით ვარსკვლავებს
რომლებიც გვესიზმრებოდნენ მაშინ

როცა მრავალსაუკუნოვანი ზეციდან
ჩამოდიოდა ათასობით წმინდა რიცხვი
და ისტორია ხელახლა იწყებოდა

უნდა გადარჩენილიყო ყველა
ვინც ოდესღაც
დავიწყებამ წაიღო და მოკლა

ღმერთო ნუთუ ნებისმიერი ახალი სიცოცხლე
მაშინ იწყება
როცა კიდევ ერთი დავიწყება უნდა აღსრულდეს
და კლასიკური მაყვლის ბუჩქიებით ცეცხლმოდებულს
ადამიანები უფრთხიან და გარს უვლის ნადირი

ოცნების მდუმარე მინდვრებიდან აიმართება კაცი და ცრემლები წავლენ

ერთ დროს ჩვენც ვიცოდით დავიწყებული ღიმილის ფასი
მაგრამ ნაკვალევები ერთმანეთს ერთვიან
იქ
სადაც მიწა მთავრდება და დრო იწყება
რომელიც მოინიშნავს მოთამაშეებს და ყოველ პერიოდულ არჩევანს
როგორც მკაფიო და თანაბარ აწმყოს

აი როგორ მაქცია ზურგი მშვენიერმა უცნობმა ქალმა
და ის ცოლად ითხოვა
ჩემმა ორმოცდაექვსი წლის მეგობარმა ლინძიმ
თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე...

## უსათაური

საინტერესოა
ის
რაც
საინტერესოა
იმიტომ
რომ
საინტერესოა
მაშინ
როცა
საინტერესოა
ის
რაც
საინტერესოა
და
არ
შეიძლება
საინტერესო
არ
იყოს
იმიტომ
რომ
უკვე
საინტერესოა
ის
რაც
საინტერესოა
იმიტომ
რომ
საინტერესოა
მაშინ
როცა
საინტერესო
არაა
ის
რაც
არაა
საინტერესო
მაგრამ
ის
რაც
საინტერესოა
დიახაც
საინტერესოა
და
ეს
მაშინ
როცა
საინტერესო
არაა
ის
რაც
არაა
საინტერესო
ხოლო
ის
რაც
საინტერესოა
უკვე
საინტერესოა
იმიტომ
რომ
საინტერესოა
ის
რაც
საინტერესოა
მაშინ
როცა
საინტერესო
არაა
ის
რაც
არაა
საინტერესო
მაშინ
როცა
საინტერესოა
ის
რაც
საინტერესოა
იმიტომ
რომ
საინტერესოა
და
საინტერესო
არაა
ის
რაც
არაა
საინტერესო
მაგრამ
ის
რაც
არაა
საინტერესო
შეიძლება
გახდეს
საინტერესო
მაგრამ
თუ
ჯერ
არაა
საინტერესო
მაშასადამე
არაა
საინტერესო
იმიტომ
რომ
ჯერ
არაა
საინტერესო
და
საინტერესოა
ის
რაც
უკვე
საინტერესოა
იმიტომ
რომ
საინტერესოა
მაგრამ
არა
იმიტომ
რომ
საინტერესო
არაა
ის
რაც
არაა
საინტერესო
არამედ
იმიტომ
რომ
საინტერესოა
ის
რაც
უკვე
საინტერესოა
იმიტომ
რომ
საინტერესოა

# საკითხის დასმა
# 1993 1994

# კლასიკური დისჰარმონია

ჯერ იყო ენა ხოლო მერე ყველაფერი რაც ენას უნდა გამოეთქვა.
ჯერ იყო გოდოლი ხოლო მერე ყველა ვისაც გოდოლი უნდა დაენგრია.
ჯერ იყო იმედი ხოლო მერე ყველა ვისაც იმედი უნდა გაენაფა.
ჯერ იყო ფრენა ხოლო მერე ყველა ვისაც ფრენა უნდა შეძლებოდა.
ჯერ იყო ნეკნი ხოლო მერე ყველა ვინც ნეკნს უნდა მოეზომა.
ჯერ იყო იზიდა ხოლო მერე ყველა ვისაც ოზირისი უნდა დარქმეოდა.
ჯერ იყო ნაკვალევი ხოლო მერე ყველა ვინც კვალს უნდა გაქცეოდა.
ჯერ იყო სიკვდილი ხოლო მერე ყველა ვისაც სიკვდილი უნდა დაეძლია.
ჯერ იყო მახვილი ხოლო მერე ყველა ვისაც სამოსელი უნდა განეძარცვა
და მახვილი ეყიდა.
ჯერ იყო ვარდი ხოლო მერე ყველა ვინც ვარდს უნდა მოესწრო.
ჯერ იყო სისავსე ხოლო მერე ყველა ვინც სიცარიელეს უნდა წარეხოცა.
ჯერ იყო კრავი ხოლო მერე ყველა ვის სულზეც კრავს უნდა ეფიქრა.
ჯერ იყო ციტატა ხოლო მერე ყველაფერი რასაც თავის თავი ბრჭყალებში
უნდა მოექცია.

# დარიგება

იცოდე:
ნუ იტყვიან გარდასულები
რომ შეუძლიათ უმიზეზოდ გამოეცხადონ
ჩვენს ათასობით დიად სურვილს
და სასოწარკვეთილი ეთიკა წარხოცონ.
ყველა ერთჯერადი ხვედრი უპირობოა და იღწვის.

იცოდე:
ნუ დაუბრუნდებიან გარდასულები მშობლიურ იმედს
საიდანაც მოგონებები წავიდნენ და მალვით იფიქრეს
მთის კალთებს შეფენილი ადამიანები
რომლებიც ხედავდნენ და დუმდნენ.
რა უნდა იყოს იმაზე მარტივი რასაც სიტყვები წარმოქმნიან.

იცოდე:
ნუ დაეჯერებათ დროის ბრუნვას მიცემულ წინასწარმეტყველებებს
სადაც ნებისმიერი აწმყო ისეთი სასტიკია
რომ ჩვენ ფრთხილად გამოვდივართ ერთმანეთიდან
და არ ვტოვებთ ადგილს
რომელმაც ერთმანეთში ჩანაცვლებისგან უნდა იხსნას
ათასობით დიადი სურვილი.

იცოდე:
ნუ იქნება მშვიდობიანი ნურც ერთი გარდასახვა
იმად რამაც გადარჩენა უნდა უზრუნველყოს და მახვილად მოიქცეს
უმწეო და მზერასუსტი ჩვენი ხორცისთვის.
ცასავით მწარეა ჩვენი სევდა.

იცოდე:
ნუ დაიმკვიდრებენ უდროო ქარები ჩვენში სასუფეველს
და ნუ გადარჩებიან წასულები
თუ მათი ბრუნვა და ჩვენში უკუქცევა
მოითხოვს დღესასწაულს
რომელსაც მიწა და სიცოცხლე მოითხოვს.

## არჩევანი

მაშინ იყო: თეთრ ცაში
უკანმოუხედავად ხმებოდნენ ხეები
და ვნახეთ როგორ წაშალეს ერთმანეთი ჩვენმა შორეულმა მიქცევებმა
და როგორ აიმღვრა ურიცხვი უნარსული სევდა.
ყველა უძლებ შვილზე იზრუნა ტკივილმა.

ხოლო სად უნდა გვეცხოვრა
თუ არ ჩამოდგნენ ღამეები და არ მიიცვალა არც ერთი მანძილი
რომლითაც ჩვენი ერთგული ბუნება თავის თავს ჰპოვებდა.

ან ვის უნდა გადაერჩინა ამდენი განცდა და ამდენი ერთადერთი ადამიანი.
ვის უნდა ეხსნა გაზაფხული რომელიც ფრთხილად მოიმარჯვეს
არჩევნის მომლოდინე ჩვენმა თვალებმა.

ვიცით: აღარ ვიმღერებთ.
ვიცით: ნებისმიერი დასასრული თამაში იქნება.

## ჩემი მაისური

(სიმღერა)

ვინ ჩაგვიცვა ვინ გვიცხოვრა ვინ გაგვიხადა

ერთმანეთს შეხვდნენ
ღამე რომელიც ჩემში იყო და
ღამე რომელიც ჩემში არ იყო
მათ აღიარეს ერთმანეთი და დაუბრუნდნენ თავ-თავის ადგილს

მე მიყვარს ჩემი მაისური
დადგა ზამთარი
ჩვენ მკლავებს ვშლით და გულში ვიკრავთ ბედნიერებას
რომელიც ვნახეთ სადღაც ჩვენში და არ გავუშვით
ჩვენი მკლავები ეკუთვნიან
ამ დაკარგულ ადამიანებს

მათ აღიარეს ერთმანეთი და ჩაუსაფრდნენ
თავ-თავიანთ სიმარტოვეს - გადამწყვეტ შავ ჯვარს
საიდანაც სამუდამოდ გავიდა ქრისტე

მოგვნატრებია ერთმანეთი
დავემშვიდობოთ შორეულ მგზავრებს
ჩვენსკენგზები რომ განამტკიცეს
და იხსენებენ წარსულს რომელიც მალე იქნება მათი მეგზური

ის ყვავილივით მარტივი და ერთჯერადია
მე მიყვარს ჩემი მაისური
ქარი დაძრწის ჩემს ხეებს შორის
მშვიდდებიან ჩემი ხეები

როგორც ისინი
მეც დავდგები ერთ მშვენიერ დღეს

ვინ ჩამიცვა ვინ მიცხოვრა ვინ გამიხადა

ჩვენი შვილები წავიდნენ ცისკენ
ოდესმე იქნებ მათი სულებიც შეიყვაროს
უკუღმართმა ამ მაისურმა

გადარჩა თუ არა ის, რაც გამოითქვა ან არ გამოითქვა?

ყველაფერი მთავრდება: ისიც, რაც არის და ისიც, რაც არ არის; ისიც, რაც განვიცადეთ და ისიც, რაც არასდროს განგვიცდია.

ის, რაც გადარჩა ან არ გადარჩა, ზეიმობს თუ არა იმას, რაც გადარჩა ან არ გადარჩა?

ბერძნებს არც ერთი ათეისტი ღმერთი არ ჰყავდათ.

ის, რაც გადარჩა ან არ გადარჩა, არის თუ არა ხსოვნის ჰორიზონტი?

როცა აფრიკის რომელიღაც უკაცრიელ სახელმწიფოში სისხლი დაიღვარა, მე მოვახერხე ქვაში შესვლა.

ის, რაც არის ან არ არის ხსოვნის ჰორიზონტი, დარჩა თუ არა ხსოვნის გარეთ?

მილიარდობით წვეთის დუმილი ბადებს ჩანჩქერის შემზარავ ხმაურს, რომელიც, როგორც მკვდარი ტვირთი, აწევს საკუთარ თავს და ჩვენს გამოცდილ გულებში განფესვავს.

ის, რაც ხსოვნის გარეთ დარჩა ან არ დარჩა, ცდილობს თუ არა ხსოვნაში შეჭრას?

თუ ფილოსოფოსს აღაფრთოვანებს ლობაჩევსკის გეომეტრიული იუმორი, სამაგიეროდ პოეტი განცვიფრებაში მოჰყავს იმას, რაც დაიფარა, მაგრამ დაიკარგა.

ის, რაც ცდილობს ან არ ცდილობს ხსოვნაში შეჭრას, ქმნის თუ არა ცენტრისკენულ ძალას?

თუ ერთ წყალში ორჯერ ვერ შეხვალ, მაშინ ვერც წყალს დალევ ორჯერ და ვერც ჭიქას ნახავ ორჯერ.

ის, რაც ქმნის ან არ ქმნის ცენტრისკენულ ძალას, იცავს თუ არა ხსოვნის სიფხიზლეს?

თუ ახალგაზრდა ადამიანები კენგურუს ხორცს შეჭამენ, ისინი ცუდ სიზმრებს ნახავენო.

ის, რაც იცავს ან არ იცავს ხსოვნის სიფხიზლეს, მოწოდებულია თუ არა საკუთარი ტერიტორიის სიწმინდის დასაცავად?

ძნელია ის, რაც გამოითქვა, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია ის, რაც არც ითქვა და არც უნდა ითქვას.

ის, რაც მოწოდებულია ან არაა მოწოდებული საკუთარი ტერიტორიის სიწმინდის დასაცავად, გულისხმობს თუ არა იმის უსაფრთხოებას, რაც გადარჩა ან არ გადარჩა?

ჩვენი სიზმრები ფოთლებია, რომლებიც შემოდგომის მოლოდინში ბეჯითად შრიალებენ უკანასკნელი დიდი შრიალით.

ის, რაც გადარჩა ან არ გადარჩა, ზეიმობს თუ არა გადარჩენას?

როცა აქილევსი კუს აღარ დასცინებს, მე დავრწმუნდები, რომ ადამიანი გაცილებით ამაყად ჟღერს, ვიდრე ნეხვი.

ის, რაც ზეიმობს ან არ ზეიმობს გადარჩენას, გამოითქვა თუ არა?

გუნდამენო - სულელო ხელიკო, შენ ხომ ყველაზე მართალი ხარ იმათ შორის, ვისაც მე ვიცნობ.

ის, რაც გამოითქვა ან არ გამოითქვა, გადარჩა თუ არა?

ხოლო აქედან გამომდინარე:

შესაძლებელია თუ არა პოეზია როგორც უცნობი?
შესაძლებელია თუ არა პოეზია როგორც ნაცნობის უცნობი?
შესაძლებელია თუ არა ნაცნობი როგორც პოეზია?
შესაძლებელია თუ არა უცნობი როგორც ნაცნობის ჰორიზონტი?
შესაძლებელია თუ არა ნაცნობის ჰორიზონტის წვდომა უცნობის საშუალებით?
შესაძლებელია თუ არა უცნობის გავლით ნაცნობში შესვლა და იქიდან უვნებლად გამოსვლა?
რას გულისხმობს ენება როგორც ზარალი?
არის თუ არა ზარალი აუნაზღაურებელი და შესაძლებელია თუ არა ზარალი როგორც გამოცდილება პოეზიის ენად ტრანსფორმირდეს?
შესაძლებელია თუ არა პოეზიის ენა როგორც პოეზია?

ხოლო აქედან გამომდინარე:

ნუ შეურაცხვყოფთ ბაყაყს რომელიც მშვიდად ცხოვრობს თავის გუბეში და ეს წამია ამოხტა წყლიდან.

## შეხვედრა

ილოცე. წარმოსახვა განდევნის მტკიცებებს
და აკანონებს საშუალო სქესის ორბუნებოვნებას.
ის მიმართულია უცნობი ადამიანებისკენ და სახლისკენ სადაც
ჩვენი გუშინდელი ვნებები ცხოვრობენ. აი მაშინ კი შეიძლება
ერთად აღებული ამდენი სიძულვილი იქცეს მელოდიად
რომლის რიტმი უკვე შეუერთდა ცის მეტყველ სილურჯეს
საიდანაც სიმართლე ცვიოდა. უნდა მოგვესწრო მხედველობის
გამოთავისუფლება და მასში ჩვენი საარსებო სივრცის მონიშვნა.
როგორც ჩანს კარგად დავავიწყდით ჩვენი ურიცხვი მანუგეშებლის
კრებით ხსოვნას რომელიც ალისფრად ფეთქავს ნამით გარინდებულ
ამ თავებში. ნიშნებმა მონახეს ერთმანეთი.
გათვალისწინებული განგაშის ზღურბლთან ქარი თავს მოუყრის
უკუქცეულ ბილიკებს და აიძულებს გადამწყვეტ ნაბიჯს. სუსტი მკლავიდან
გამოშვებული ნაზი ჟესტი რომელიც წყალივით საჭიროებს რწმენას
რომ ეს წარწერები ნამდვილია და მართლა არსებობს
შესაძლო აღიარებები და სასჯელის მრავალსახეობა.
თუ სიჩუმე გახანგრძლივდება ორი უცნობი დღესაც ნახავს
დაცემული წვიმით სავსე ქუჩაში ერთმანეთს
და ნლითი-ნლობით ნაგროვებ მზერას ააჩქარებს.
მაგრამ მე რა ვთქვა
მოტყუებულმა იმით რაც არ გამთქვამს და უიმედოდ მშვიდობიანია.
უსაგნო სითბო და ნანატრი შეხვედრა
რომელიც კიდევ მრავალჯერ იქნება ხაზგასმული ოცნების მიერ
როგორც მცხრალი შუქი და ჩურჩული
როცა ამა თუ იმ ამინდს დარაბა ცხვირწინ მიუხურეს.
შუაზე გაჭრილი მზერის ორაზროვნება უმართავი მახვილის სიზუსტით
აღადგენს თავის თავს. რაც მთავარია
დანაშაული უკვე შედგა.

შენი გული ფეთქავდა.
კაცი რომელიც მოცემულ მომენტში აქ არაა.
მომკიდე ხელი ამხანაგო.
სირბილის იმიტაცია ჩვენ არ გვაოცებს.
ბავშვები უკვე რა ხანია შინ არიან გამოკეტილი.
ვაღმერთებ საქმეს საიდანაც რაღაც ან ვიღაც შეიძლება გამოვიდეს.
თუნდაც ეს კაცი დაღლილი მხრებით და ჭაღარა თავით.
დროგამოშვებით ამ თავიდან რაღაც ინთხევა
ხოლო ირგვლივ რეზულტატის მეტს ვერაფერს ნახავს
ისეთი გამჭრიახი თვალიც კი როგორიც ჩვენი ხალხის მტერია
ან როგორიც გამარჯვებულებს ახასიათებთ.
წინააღმდეგ შემთხვევაში ჰაერი არ ისურვებდა
ჩვენი ყნოსვის გაუმჯობესებას.
რამდენი წმინდა ენერგია და რამდენი აუმოძრავებელი საქმე.
ჩვენ არა ერთხელ მიგვიბაძავს ხსოვნას მიმხმარი მოღალატე კაცებისთვის
რომელთა გამოუსწორებელი ფიქრები ყოველთვის მალავდნენ
მაღალი ეშელონებისკენ ლტოლვის ნარჩენებს.
მტვერნაყრილი იდეებიდან წარმომდგარი მუქარა.
მაგრამ ასეა თუ ისე მაინც ბედნიერია ის ვის ხელებსაც
სათამაშო თოფის ნაცვლად წარსული უჭირავთ.
მუდმივი შიში იმის გამო რომ ერთხელაც იქნება
ჩვენს ნაცვლად იმას ჩამოახრჩობენ ვისაც იცნობენ და უყვართ.
ხომ შეიძლება შედარებით ნელ ტემპში.
მღელვარების და შიშის გარეშე.
ხელი მომკიდე ამხანაგო.
ბავშვები აწითლებულ კეფას იმშრალებენ.
ვიდრე ისინი არსებობენ სახელმწიფო საშიში არაა.
მრავალი წლის წინ ჩვენც განგვიცდია წარმატებული ოფლი
და ის რაც დანაწევრებულმა მეტყველებამ შემოგვინახა.
სიმართლე საიდანაც ამოვიდნენ და
წყვდიადში მანათობელი ემბრიონისკენ დაიძრნენ
გამარჯვების მილიონიანი არმიები.
დიდხანს ცხოვრება გაახანგრძლივებს მანძილს
ნაკვალევიდან ეჟვის ხსოვნამდე
როცა შეიძლება გამოიარო ყველა სამოთხე და
შენმა ერთგულებამ გაგცეს.
უნდა ვისწავლოთ როგორ ვაუწყოთ ეს ყველაფერი დროს და ერთმანეთს.

## პერსპექტივა

რამდენი ცარიელი მონაკვეთი შეავსო ხავსმა.
ხოლო მწვანე წყლებში ჩაძირულ სურათებს
დროგამოშვებით
სიზმრიდან ცხადში გარდამავალი დედა პატრონობდა.

აქ მრავლადაა მიწაც და ენაც.
ვინც ზემოთ დარჩა კიდევ უფრო ზემოთ ნავა: მწებვარე ცისკენ.
მაგრამ მათ მზერას ამოფარებულ საგნებს და მოვლენებს
აღარ შეცვლიან პასუხები.

შეიძლება არც არასოდეს არსებულან მაგრამ ჩვენ გვახსოვს:
ვაშლის ხეზე ასული მშობლები.
იმდენჯერ გვეკლავდნენ რამდენჯერაც ვცოდავდით
და იძულებული ვხდებოდით შენდობა გვეთხოვა.

ერთხელ მაინც მოვითხოვოთ რაღაც ისეთი
რაც არ მტკიცდება.
მაგრამ არ ვიქცეთ პასუხებად.

გადაწყვეტილებები რომლებსაც სიზმრები წარმოშობენ
ნამდვილი და უცვლელია
ისე როგორც ცვალებადია ჩვენს გარეთ მოქმედი ჩვენი რწმენა.

# განგაში

როგორ შეიძლება აუტანლად იქცეს
მარტის მშვენიერი დაისის გამო სულებს შორის ატეხილი განგაში
როცა არსებობს ერთადერთი ხსნა
რომელიც განდევნის მასზე დამიზნებულ ურიცხვ ასაფრენ ზოლს
და ნავა:

როგორ შეიძლება გეიმედებოდეს და არ იყო აგზნებული:
მათ არ დარჩებათ შეუმჩნეველი
შენი გადამწყვეტი ინტელექტუალური სწრაფვა:
პირველი ნაბიჯის მშობლიური სიტკბო:

შეყვარებულები დაწყვილდნენ
და ებერებოდათ ყოველი რეალიზებული მკერდი:
ო ჩემო ნამდვილო შეტევებო თქვენ მაინც იცოდით
როგორი სისწრაფით იცვლებოდა ნებისმიერი ხმამაღალი სიცილი
და როგორ ილებოდნენ თქვენს უკან კარები:

სასურველ კვამლში ჩანაცვლებული ერთგანზომილებიანი სევდა
რომელსაც არავინ მეურვეობს:
სენტიმენტალიზმის რენესანსი:

ხოლო საწოლი შენ რომ გიყვარდა რა ხანია გარდაიცვალა:
ალბათ უკვე ისე შორსაა რომ ხსოვნას აღარ საჭიროებს
როგორც ჩვენი მეხსიერება არ მოითხოვს
იმას რაც არის ან რაც იქნება:

გაუჩინარებული ქალაქის სითბო საიდანაც მკრთალად გამოსჩანს
ასაფრენი ურიცხვი ზოლი და თანალმობის ნამუსრევი:
ნაყოფიერი და შექცევადი:
მშვიდობის მომხრე მარტის იმ ერთი დაისის გამო:
აგონია რომელიც ცდილობს ყველაფერი განიცადოს რაც ნამდვილია.

# თეზისები პოეზიაზე

1. ჭეშმარიტება, რომელიც პოეზიას აინტერესებს, არ შეიძლება ნულის ტოლი იყოს, მაგრამ ვინაიდან არც ნულია ჭეშმარიტების ტოლი, ისინი ოპოზიციის ორი თანაბარუფლებიანი წევრის სტატუსით წარმოგვიდგებიან და იმის ძალით, რომ ერთმანეთისკენ უსასრულოდ მიისწრაფვიან, ერთმანეთს განსაზღვრავენ.
2. პოეზიის მიზანი არ შეიძლება მარცხის შექმნა იყოს, რადგან პოეზია უკვე გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი მარცხის შედეგია.
3. პოეზიის ენაზე პოეზია არა მარტო უცნობის საშუალებით ნაცნობის განსაზღვრებას ნიშნავს, არამედ - თამაშის სისხლიანი ველიდან დაჭრილი და დახოცილი ადამიანების გამოყვანასაც. არ არსებობს სხვა გზა უცნობთან დასაბრუნებლად.
4. პოეზია ძენონის ისარია, რომელიც მოძრაობს კიდეც და არც მოძრაობს.
5. პოეზია არ შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, მშვენიერი ან უგვანი, აბსტრაქტული ან კონკრეტული, ზუსტი ან უზუსტო, უმიზნო ან მიზანმიმართული.
6. პოეზია იწყება იქ, სადაც განცდა მთავრდება.
7. პოეზია ერთჯერადია და არ ექვემდებარება ტირაჟირებას.
8. პოეზიას არა აქვს ფუნქცია, ხოლო მასზე დაკისრებული ფუნქცია პოეზიიდან მოწყვეტას და დამკისრებლის მიერ პოეზიის უარყოფას ნიშნავს.
9. მთელი სინამდვილე შეიძლება განისაზღვროს, როგორც ანტიპოეზია.
10. სიზუსტე ფუნქციაა, რომელიც ენიჭება პოეზიას სინამდვილიდან გამომდინარე პრაგმატული მიზნებით და მოსაზრებებით.
11. პოეზია თვითკმარია.
12. პოეზიის უმაღლესი დანიშნულებაა უცნობის საშუალებით ნაცნობის განსაზღვრება უცნობთან დაბრუნების მიზნით.
13. პოეზია ისევე არ დაიყვანება ჭეშმარიტებამდე, როგორც ჭეშმარიტება არ დაიყვანება პოეზიამდე, მაგრამ იმის ძალით, რომ არც ერთს აინტერესებს მეორე და არც მეორეს აინტერესებს პირველი, უერთმანეთოდ მათი მოაზრება შეუძლებელია.
14. პოეზია არ იბრძვის.
15. პოეზია არ შეიძლება იყოს სიმბოლო ან ნიშანი.
16. პოეზია არ გულისხმობს პოეტს, როგორც პოეზიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტს.
17. დამთავრდა პოეზიის ერა. იწყება პოეზია.

# ამბავი ერთი სიყვარულისა

მისი სახე გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (ოჰ მაშინ)
როცა გამოხატავდა მორჩილებას იმის მიმართ
რაც გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (მაინც და მაინც მაშინ)
როცა გამოხატავდა ნდობას იმის მიმართ
ვინც გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (სწორედ მაშინ)
როცა მორჩილება გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (სამწუხაროდ მაშინ)
როცა გამოხატავდა ნდობას იმის მიმართ
ვინც მისით ოპერირებდა მაშინ (ცხადია მაშინ)
როცა მისით ოპერირებდა იმის მიმართ
რის მიმართაც ოპერირებდა მაშინ (რა თქმა უნდა მაშინ)
როცა ნდობა გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (რატომღაც მაშინ)
როცა გამოხატავდა განითლებას იმის გამო
რის გამოც გამოხატავდა განითლებას მაშინ (მაშინ და მხოლოდ მაშინ)
როცა გამოხატავდა განითლებას იმის გამო
რაც გამოხატავდა ნდობას იმის მიმართ
ვის მიმართაც გამოხატავდა ნდობას მაშინ (ცხადია მაშინ)
როცა გამოხატავდა ნდობას იმის მიმართ
ვინც მის გამო წითლდებოდა იმას
რასაც წითლდებოდა მაშინ (დიახაც მაშინ)
როცა გამოხატავდა გაწითლებას იმის გამო
რის გამოც წითლდებოდა მაშინ (ვაი რომ მაშინ)
როცა გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (მაშინ)
როცა გამოხატავდა ნდობას იმის მიმართ
რის მიმართაც გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (საუბედუროდ მაშინ)
როცა გამოხატავდა მორჩილებას იმის მიმართ
რის მიმართაც გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (ბუნებრივია მაშინ)
როცა გამოხატავდა გაწითლებას იმის გამო
რაც გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (ცხადია მაშინ)
როცა გამოხატავდა იმაზე ზრუნვას
ვინც მის მიმართ გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (ოჰ ოჰ მაშინ)
როცა გამოხატავდა მორჩილებას იმის მიმართ
რაც გამოხატავდა მორჩილებას იმის მიმართ

ვინც მას მორჩილებდა და ვინც მასზე ზრუნავდა მაშინ (უშუალოდ მაშინ)
როცა გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა ზრუნვით შეპყრობილი მაშინ (აუცილებლად მაშინ)
როცა გამოხატავდა ნდობას იმის მიმართ
რასაც მორჩილებდა ან არ მორჩილებდა
მაგრამ გამოხატავდა იმას
რასაც გამოხატავდა მაშინ (მაშინ)
როცა გამოხატავდა მორჩილებას იმის მიმართ
რის მიმართაც განიცდიდა ლტოლვას
რომელსაც განიცდიდა მაშინ (უპირობოდ მაშინ)
როცა განიცდიდა ლტოლვას იმის მიმართ
რაც განიცდიდა ლტოლვას იმის მიმართ
ვინც მასზე ზრუნავდა ან არ ზრუნავდა
მაგრამ გამოხატავდა ზრუნვას მაშინ
როცა გამოხატავდა ნდობას მაშინ
როცა გამოხატავდა მორჩილებას მაშინ
როცა გამოხატავდა განითლებას მაშინ
როცა ოპერირებდა იმით
რითაც ოპერირებდა იმის მიმართ (ოჰ იმის მიმართ)
რის მიმართაც ოპერირებდა მაშინ
როცა გამოხატავდა იმას რაც მას გამოხატავდა

## საპროტესტო განწყობილება

1.

ერთად აღებული არც ერთი წამი არ გათქვამს მარადიულს
ისე როგორც არც ერთი სათქმელი სიტყვას არ გაამხელს.
აღიარებული საგნები მიიქცევიან განუმეორებელი ადგილისკენ
მაგრამ ადგილი იქ აღარაა სადაც ჩვენ ვართ.
მდუმარე "აღარ".
უკანდარჩენილი ოცნების სამშობლო
და ნაჩვევ გარემოს მომწყდარი სუნთქვა.

2.

გიუნთერ აიხი.

3.

როდის გამოგვიცხადებენ ვის ათოვს ან რატომ ათოვს ის ყველაფერი რაც ახლა
ასე შემპარავად თოვს?
როდის გვეტყვიან რომ ჩვენი ეჭვი არასოდეს ყოფილა უსაგნო?
როდის აღარ გვექნება უკეთესი მომავლის იმედი?
როდის დავიღლებით ჰელიოცენტრიზმით?
როდის დავმარცხდებით ისე რომ მარცხი არ გვექცეს მორიგ გამარჯვებად?
როდის აღარ იქნება ცა ჩვენი და მიწა იმათი?
როდის მივხვდებით რომ არავის ვუყვარვართ იმათ გარდა ვისაც ვუყვარვართ?
როდის მოვკვდებით ისე რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოგვძვრეს სული?
როდის აღარ ვიქნებით გზები გზადმყოფთათვის?
როდის აღარ შევირგებთ ნაწინასწარმეტყველებ ამინდს?
როდის აღარ ვუღალატებთ ჩვენსავე ხორცს?
როდის აღარ ვიქნებით რთული?

4.

"დაიბინადრონ ღამეებმა შორსწასულ ფიქრში.
ტკივილები მომშვიდდებიან.
გადასერავენ შენს მუცელს ზღვები.
გარდაცვლილები ააგებენ მირიად სამხილს
რომ არ დამთავრდეს დასავლეთი შენი სიმღერის
და არ იხარონ სისხლში მწერებმა.
მდინარეებს მოაქვთ ქვები

უმძიმესი ვარსკვლავები
თეთრი მზეები
და შენი თმები.
ჩემო ძვირფასო,
ღიმილში მიმქრალ შენს ხმას უკვე არასოდეს დავესიზმრებით".

5.

თუ გვსურს სამყაროს მექანიზმში ვიყოთ ქვიშა და არა ზეთი
არსადყოფნა მოგვსურვებია.

6.

ჩვენ ვერ გავიგებთ როგორ გავა ცხოვრება
და როგორ გავლენ ადამიანები. მაგრამ
ჩვენ ვიცით რას ნიშნავს აყრილი ასფალტი
და ზამთარი საიდანაც
ნებისმიერი ჩაშლილი გულისკენ სათითაო ფოთლები ცვივიან.
შენ - უცნობთა დარბაისელო მზერავ
მზე უფრო მარტივია
ვიდრე სისხლის მიმოქცევა ჩვენს გვამში რომელიც
ყოველ წამს მოგველის
ჯერაც გაუჭრელ სამარეში
და
ჯერაც გაუჭრელი სიტყვით.

7.

თუ თოვს
დიახაც უნდა თოვდეს.

# ამის ცოდნა. დიდაქტიკური მოტივი

ბოლომდე ნუ იტყვი თქვი ნახევრად.
უბრალოდ: ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომ შენ ეს იცი.
გვანიშნე და მივხვდებით რომ შენ ეს იცი
და გეეცოდინება რომ ისე არ უნდა მოგექცეთ როგორც იმათ ვექცევით
ვინც ეს არ იცის.
თუ შენ ამას ბოლომდე იტყვი
ჩვენ აუცილებლად ვიფიქრებთ რომ შენ არ იცი როგორ უნდა მოგვექცე
და ისე მოგექცევით
როგორც იმათ ვექცევით
ვინც ეს იცის მაგრამ ისე იქცევა
თითქოს მხოლოდ მან იცოდეს და სხვამ არავინ.
რაც ნახევარია ჩვენია
რაც მეოთხედია ისიც ჩვენია
რაც ჩვენია შენიცაა ოღონდ ნახევრად და მხოლოდ ისე
რომ ვერასოდეს გამთლიანდეს ვინაიდან ის რაც მთელია
უხილავია
ხოლო ჩვენ კარგად ვიცით ერთმანეთის თვალისცემის პატივისცემა
და გვსურს შენც იცოდე.
წინააღმდეგ შემთხვევაში შენ არ გეცოდინება რომ ის რაც შენ იცი
იცი მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენც ვიცოდეთ.
თუ გსურს ჩვენც ვიცოდეთ ის რაც შენ იცი და ჯერ ისევ მთელია
ნუ იტყვი ბოლომდე
თორემ ისე მოგექცევით როგორც იმათ ვექცევით ვინცარიცისროგორმოიქცესიქ-
სადაციციანროგორმოექცნენიმასვინცარიცისროგორმოიქცეს.
გვანიშნე და მივხვდებით
ყველაფერს მივხვდებით
იმასაც რაც ვიცით და იმასაც რაც არ ვიცით მაგრამ
გავიგებთ თუ არა შენც გაიგებ
და უსათუოდ გეცოდინება ის
რაც ჩვენ ვიცით და რაც შენთვის ჯერაც უცნობია.
უბრალოდ: ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომ შენ ეს აუცილებლად უნდა იცოდე.
როცა ეს ვიცით
მაშინ შენი ცოდნა ჩვენი ცოდნაცაა
რაც სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას რომ
ცოდნა ძალაა.

## ამბავი სხვა, წარმატებული სიყვარულისა

(ტრადიციულ-სენტიმენტალური)

და შენ / მინა მრგვალია / და ის / სახლების უკანმოუხედავი მღელვარება / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის დამმუშავებელ კომბინატში / და ის / ხეებსშერჩენილი კენწეროები / და შენ / სიტყვა რომელიც ერთმანეთისგან განაცალკევებს სინამდვილეს და პოეზიას / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში/ და შენ / აწმყოს წინასწარმეტყველება როგორც პასუხისმგებლობა მერმისის წინაშე / და ის / ყველაადამიანიმკვლელიასოკრატეადამიანიასოკრატემკვლელია / და შენ / ბუნკერთმეტყველება / და ის / სახეზე ქონივით ჩამომდნარი მზეი შემოდგომის / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის სამეურნეო გაერთიანება "გელათში" / და ის / მთვარე რომ ადიდდა და გადმოვიდა ნაპირებიდან / და შენ / სისხლგამშრალი წვიმა რომელსაც დანა გაუყარეს / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის საშენ მასალათა კომბინატში / და შენ / კაკადუს პარკი იმ შორეულ ავსტრალიაში და იქ მცხოვრები მარაუტი / და ის / უნარსულოდ უპატრონო სიტყვების ჯამი / და მერე ისევ შენ / ქარი ქროდა ქუთაისის მრავალდარგოვან საწარმოთა კომპლექსში / და მერე ისევ ის / როგორ შექმნას მარცხი იმან ვინც დიდი ხანია დამარცხებულია / და მერე შენ / ქარი ქროდა ქუთაისის რაიონის სოფელ გუმათის საწარმოთა კომპლექსში / და ის / იეროგლიფი როგორც გადარჩენილი საიდუმლო / და შენ / აჰა სპილენძობენ და ორგულობენ ერთგული სიზმრები / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის საწარმოთა კომპლექსში / და შენ / ღამედავსილი ჰორიზონტი / და ის / მწვალებელი და წყალივით უძრავი / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში / და ის / განა კიდევ არსებობენ ერები რომლებსაც არსებობის გრაფიკი არა აქვთ / და შენ / მტრედები როგორც ნათურები/ და ის / ქარი ქროდა ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში / და შენ / ვარდყოფილი / და ის / განთიადზე წყლის აპკიდან ამომსკდარი თვალი / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში / და ის / მიტოვებული ბავშვივით განვითარებული / და შენ / ტკივილსა და მკერდს შორის მანძილის ერთბუნებოვნება / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში / და შენ / ღამე იმახსოვრებდა თავის ამოძახილს / და ის / გესმის შეიძლება ჩაგიტყდეს ეს ტყე და ეს სილაჟვარდე როგორც ვარდი სილაში / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში / და ის / უმანკოება ურიცხვი სარეცხის / და შენ / აი როგორი მონდომებით წვიმდა ღამე ჩვენი გულისა / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის აბრეშუმის სამეურნეო გაერთიანება "კოლხურ აბრეშუმში" / და შენ / ძვირფასო ძვირფასო / და ის / ძვირფასო ძვირფასო / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში/ და ის/ სამყარო მარილოვანი ვარსკვლავებისა/ და შენ/ ნამბი იშვიათო ნამბი / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის ბამბის საქსოვ ფაბრიკაში/ და შენ / ჩვენი სამშობლო საფრთხეშია / და ის / ვერ ვხედავ მაგრამ ალბათ საფრთხეშია / და შენ / ქარი ქროდა ქუთაისის შალის ქსოვილების კომბინატ "მედეაში" / და ის / ოჰ საფრთხეშია საფრთხეშია / და შენ / ოჰ საფრთხეშია საფრთხეშია / და ის / ქარი ქროდა ქუთაისის სამეურნეო გაერთიანება "იმერეთში" / და შენ / და მერე ისევ ის / და მერე ისევ შენ / და აი ასე და აი ასე

## მეზღვაური

(სიმღერა)

ჩვენ დავიშლებით იმად რასაც ძონძებად ვაქცევთ

მზერის სისწრაფე დამღლელია
იმისთვისაც ვინც უმზერს და იმისთვისაც ვისაც უმზერენ
ფიქრი -
მკვდრის ბაგეს მომწყდარი სუნთქვა

ვინ მოდიოდა მაშინ ჩვენი უარყოფის ამოსაკითხად?
ვის ეხებოდნენ სიბნელეში ჩვენი ხელები?

ავუშვათ ყველა მშიერი ძაღლი -
აიკლოს სივრცე უთეთრესმა ურიცხვმა აფრამ
ზღვას შეერიოს ჩვენს გულებად გარდაცვლილი ყველა ტკივილი
და ისიც რამაც მიწის სუნთქვას ზურგი აქცია

ჩვენ იმდენ ასულს ვუღალატეთ
და იმდენი ქალისგან ვართ ნაღალატევი
რომ არც მიწაზე და არც მიწაში
ჩვენი ადგილი არ იპოვება

ჩვენ იმდენ პასუხს იმდენ დიახს ვუთხარით არა
რომ არც ცაში და არც ზეცაში
არც იქ - ოდესღაც მონიშნული ტაძრის სენაკში -
ჩვენი ადგილი არ იპოვება

იტყვის თუ არა ზღვა სამდურავს მომქცევთა მიმართ?
მოულოდნელი არაფერია -
როცა სიმღერა დაღლილ სხეულს ითავისუფლებს
ინყება სისხლი

ავუშვათ ყველა მშიერი ვირთხა -
გამოხრას სივრცე უთეთრესმა ურიცხვმა აფრამ
მირიადმა უწყვეტმა სხივმა

ვინ იყო მაშინ უარყოფის ამომკითხველი?

## ქურდები

ის, რაც ჩემი იყო, მომპარეს.
ამიერიდან ის უნდა გამეცა, რაც ჩემი არ იყო.
მე არ ვიცოდი, როგორ გახდა ჩემი ის, რაც ჩემი არ იყო.
არც ის ვიცოდი, როგორ გამეცა.
მეტი რა გზა მქონდა, ის უნდა მომეპარა, რასაც სხვა ფლობდა,
და ასე გამეგო, როგორ იპარავენ იმას, რასაც სხვა ფლობს.
მოვიპარე თუ არა ის, რაც ჩემი არ იყო, მივხვდი,
რომ ვიდრე გავცემდი იმას, რაც ჩემი არ იყო,
მომპარავდნენ. და იმასაც მივხვდი, რომ ის მომიპარავს,
რასაც დიახაც ფლობდა ის, ვისაც მოვპარე, მაგრამ მისი სულაც არ იყო.
არადა მე ხომ სწორედ ის უნდა მომეპარა, რაც მისი იყო.
სამწუხაროდ, ვერც ის გავიგე,
როგორ უნდა გამეცა ის, რაც არც მისი იყო, ვისაც მოვპარე,
და არც ჩემი იყო, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ვფლობდი.
რა თქმა უნდა, ვიდრე გავცემდი, მომპარავდნენ ისე,
როგორც მე მოვპარე იმას, ვინც მას ფლობდა.
მერე ვისხედი და ვფიქრობდი,
მომპარეს თუ არა ის, რაც ჩემი იყო,
და თუ არ მოუპარავთ,
შეიძლებოდა თუ არა ჩემი ყოფილიყო
ის, რაც ჩემი იყო, მაგრამ ვერ ვხედავდი,
მაგრამ თუ მაინც ჩემი იყო,
მაშინ ვის ან რატომ უნდა მოეპარა ის,
რაც ჩემი იყო, მაგრამ მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე,
როცა მომპარეს.

ქარმა წაიღო ყველაფერი(ვამბობდით ჩვენ) რაც ასე სათუთად შევაგროვეთ:
ყველა თვალი დამუნჯდა: ყველა ბალახი მიწას გაეკრა: ყველა სიმღერა
დათანხმოვნდა:
ისეთი მტკივნეული გამოდგა წარსული რომ მერე ისიც ქარმა წაიღო:
ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და ქარს ირგვლივ ვურბენდით:
ვერტიკალურო ჩვენო ხეო(ვამბობდით ჩვენ) შენი ფესვები ჩვენს ფეხებსაა
შემოხვეული
და შორს ვერ წავა ვერც დღეს და ვერც ხვალ და ვერც ოდესმე:
შენ არ ხარ ისე უანგარო(ვამბობდით ჩვენ) რომ თან წაგვიღო
და მერე უკუიქცე და დაგვცე: ვინც გზას გაექცა გზადვე იქცა
და ვინც მშვიდობა მოიპოვა სუფევა ცაში ჰპოვა და არა საწოლში
რომელიც ალბათ ბევრად უფრო თბილი და მარტივია(ვთქვით ჩვენ)
ვიდრე ნებისმიერი საუკუნო ნეტარება:
როცა სიხარული აღარაა ის მაინც უნდა შევინახოთ რაც ნამდვილია
და რასაც წამით მაინც შეიძლება ვუერთგულოთ(ვთქვით ჩვენ):
ის არ გაურბის ჩვენს ცარიელ ხელისგულებს და მწვანე თითებს:
ნამდვილი არ გაურბის ჩვენს სქესობრივ მონდომებას და მყიფე ლოგიკას:
ის ისე მალე ქრება როგორც მიწაზე დაღვრილი წყალი
და ისე მალე სველდება როგორც მიწა რომელმაც მიიღო დაღვრილი წყალი:
როცა ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობებით(ვამბობდით ჩვენ) მოიძებნება სიტყვა
რომელიც აღიარებს ჩვენი ტკივილის წინაშე თავის უმწეობას
და ჩვენთან ერთად დამთავრდება: მაგრამ როგორც წესი(ვთქვით ჩვენ)
ყველაფერი რაც ნამდვილია მაგრამ არა ძვირფასი უკანაა
და ყოველ ახალ გაზაფხულს და ყოველ მორიგ ღამეს საზეიმო იერით გვტაცებს:
დიახ(ვამბობდით ჩვენ) კარგია რიტუალი მაგრამ ჩვენ უფრო კარგები ვართ
ისეთი კარგები რომ დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს
და ბედნიერია ის ვინც სირცხვილმა იხილა: ბედნიერია(ვთქვით ჩვენ)
ვინც ჩვენს მერე წამოვა: ჩვენ მათზე ვილოცებთ და ადგილსაც შესატყვისს
განვუმზადებთ:
ჩვენ გვკლავს ყველაფერი რაც ნებისმიერ მოცემულ მომენტში
მნიშვნელოვნად და სახელოვნად იღვწის: მოცემული მომენტი ადგილი არაა:
იქ სადაც ადგილია ჩვენ თავს კარგად ვგრძნობთ(ვამბობდით ჩვენ):
არ ვიცით სად ვიგრძნობთ თავს კარგად მაგრამ აქ აი აქ ადგილი არაა
ვინაიდან თავს ცუდად ვგრძნობთ და ერთმანეთს ვერ ვეხებით:
გული გვწყდება(ვამბობდით ჩვენ) ძალიან ძალიან გვწყდება გული:
ჩვენ ერთი გული გვაქვს(ვამბობდით ჩვენ): სამწუხაროდ ის უკვე ფეთქავს

## ანტიხმები - 1993

*მხოლოდ ჭრილობა ყვირის საკუთარი ხმით.*

ანტონიო პორკეა

ვთქვი თუ არა ყველაფერი, რაც აუცილებლად უნდა მეთქვა, შვებით ამოვისუნთქე: მე აღვასრულე ჩემი მარცხი.

აწმყო, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ გულივით ფეთქავდა ჩემში, დღეს ცდილობს გარს შემომერტყას და მთლიანად მომიცვას. ჩემის მხრივ, მონდომებით ვცდილობ ამ გარსში ჩემი ძალების განთავსებას. მორჩილება ნუგეშის ტოლფასია.

რას უნდა მოველოდე სასიკეთოს ჩემი თავისგან, თუ ჩემი ნებისმიერი კონკრეტული მიზანი ჩემს გადარჩენაზე ზრუნავს? ალბათ, იმედებიც ადამიანებივით ბჭობენ და განსჯიან.

ის ისე საიმედოდ დაეცა, რომ - ვიცი - მთელი ცხოვრება უნდა შევნატროდე.

რამდენად ნაყოფიერია ძალისხმევა, რომელმაც ჩემი ბავშვობა უნდა დაიცვას ჩემი გაბედული თავდასხმებისგან?

რაც გავითვალისწინე, სწორედ იმან გამითვალისწინა. ახლა ჩვენ ერთიანი ძალებით ვცდილობთ იმის გათვალისწინებას, რამაც მზერა უნდა წარმოშვას.

როცა არც ის გვიკვირს, რომ რაღაც ჩვენია, და არც - ის, რომ რაღაც ჩვენი არაა, იმედი ისახება. ჩვენი ზურგი იმედს ფართოდ გახელილი თვალებით უმზერს.

ყველაფერი გაიზომება და აიწონება, მაგრამ ის, რაც გაზომავს და აწონის, თავად გაიზომება და აიწონება იმ ყველაფრის მიერ, რასაც ის გაზომავს და აწონის.

როცა მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ეს ადამიანები არ აზროვნებენ, დაღლილობა მომერია. მე ხომ ძალიან დიდხანს სწორედ ამ ადამიანების ნამოლვაწარით ვსაზრდოობდი.

რა ცუდად გვიცნობს ჩვენი ცხოვრება! რა ცუდად გვიცნობენ ჩვენი ღმერთები! ისინი რომ გვენდობოდნენ, იქნებ ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, სულ სხვანაირად!

უკვე იმდენი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ვგრძნობ, როგორ მწიფდება მათში პროტესტი. დადგება დრო და ისინი სასოწარკვეთილებებად იქცევიან. მაინც ვერაფერს შევცვლი, ვერც ჩემში და ვერც ჩემს გარეთ.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ დეკორაციები ჩვენი სულიერი ცხოვრების ღერძებია და მათ გარშემო თავდავიწყებით ვბრუნავთ. მილიონი ასეთი ღერძი. მილიონი ერთდროული ჩვენი ბრუნვა. დიახ, ესაა ჩემი ყველაზე უფრო ნამდვილი მოჩვენება.

"ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი", - მაგრამ მხოლოდ როგორც გემს - ნავსაყუდელი, და არა - პირიქით. მხოლოდ ასეთ სიყვარულს შეუძლია შთანთქას ოცნება და გაბატონდეს. ბატონს გაუმარჯოს! უკაცრავად, ბატონს - ზურგში მახვილი!

ყველა უბედურება კონკრეტულია, ხოლო ყველა ბედნიერება - აბსტრაქტული. მე ყოველთვის მენანებოდა იმის სახელდება, რაც დაბადებისთანავე უნდა მომკვდარიყო, ვიდრე არ მიეხვდი: მხოლოდ იმას უწერია გადარჩენა, რითაც ჩვენივე თავს სახელვდებთ. რასაც დროში გადარჩენა უწერია, სწრაფია.

არ იქნება ხოლმე მუდამ ასე გვიან... საუბედუროდ!

თუ ოპოზიციის ნებისმიერ ორ მხარეს შორის უმოკლესი მანძილი წრფეა, მაშინ ადამიანი სწორედ ამ წრფის სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

გული მეტკინა. ის, ალბათ, მაშინაც მეტკინებოდა, საერთოდ რომ არ ვარსებობდე.

ჩვენ ყოველთვის უკეთესი მომავლის სახელით ვღალატობთ აწმყოს. უკეთესის - მაგრამ არარსებულის - სახელით ვღალატობთ არსებულს.

მართალია, მტვერი რომ არ არსებობდეს, ადამიანი მტვერზე მსუბუქი იქნებოდა, მაგრამ არა - ბუმბულზე მსუბუქი.

როცა მე მშია, სამყაროს ყველა კანონი მშიერია.

ტკივილი ყოველთვის ერთი ნაბიჯით ჩვენზე წინაა. აქედან გამომდინარე, ცოდნას ერთი ნაბიჯით ყოველთვის წინ ვუსწრებთ.

ხელჯოხი მივაწოდე. ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოუწევს მის წარსულს ამ ხელჯოხის მშვიდად და უმტკივნეულოდ გავლა.

რა თქმა უნდა: თავისუფლება გზაა მონობისკენ.

არც ერთი რევოლუციური აქტი დროული არაა. ყველა შემოქმედებითი აქტი დროულია.

იქ, სადაც ხალხია, ისედაც მარტო ვარ. მინდა მარტო ვიყო მაშინ, როცა მარტო ვარ.

ერთადერთ შემთხვევაში შეიცვლება სამყარო: როცა მონები ბატონობისკენ სწრაფვას შეწყვეტენ, ხოლო ბატონები - მონობისკენ სწრაფვას.

რა ეშველება იმას, ვინც განვსაჯე. რა მეშველება მე, რომელმაც ამ წუთიდან ერთი განსჯილით მეტი უნდა ვზიდო?

თუ ვიზეიმებ იმას, რაც უკვე იზეიმეს, სამუდამოდ გავთავისუფლდები საზეიმო განწყობილების ტყვეობიდან.

ვიფიქრე, ერთი საათით მაინც ვიქნები მეთქი სამართლიანი როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ ჩემს განკარგულებაში წარმოდგენილმა სამართლიანობამ ისეთი გაუსაძლისი სევდა მომგვარა, ეს განზრახვა მყის უკუვაგდე.

სამყაროში არაფერი იკარგება. რა უნდა დაიკარგოს იქ, სადაც არაფერი ჩნდება. ენერგიის შენახვის კანონი საუკეთესო მეტაფორაა, რომლითაც ადამიანმა თავისი სწრაფცვალებადი ბუნება აღწერა.

ამდენი უცოდველი სახე! და ეს მაშინ, როცა მათ ჯერაც არ შეუცოდავთ!

სიტყვას თუ გადმოვაპირქვავებთ, მივიღებთ დუმილს, რომლის გადმოპირქვავების შემთხვევაში ველარაფერს ველარ მივიღებთ, თვით დუმილსაც კი - ვერა. ნებისმიერი სახის გადმოპირქვავების პროცესი მიმართულია წარსულისკენ, როგორც გადმოპირქვავებული აწმყოსკენ, ხოლო განუხორციელებელი ლტოლვის ობიექტად მერმისს გულისხმობს.

კითხვა ყოველთვის მაშინ ისმის, როცა პასუხი მზადაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კითხვას წინ უსწრებს პასუხი, არც ერთი პასუხი კითხვას არ გულისხმობს.

სად მოვიძიო სასაუბროდ კაცი, რომელსაც დუმილისთვის მეხსიერებამ თვით სიტყვები შემოუნახა?

ის, რაც არსებობს, განსაზღვრულია. ის, რაც განსაზღვრულია, მიმართულია წარსულისკენ. ის, რაც მიმართულია წარსულისკენ, გულისხმობს იმას, რაც შედგა. ის, რაც შედგა, აღარ არსებობს. ნამდვილია არა ის, რაც აღარ არსებობს, არამედ ის, რაც ჯერ არ არსებობს. ძირს არჩევანი!

ორივე ფრთა მომკვეთეს: წარსულიც და მომავალიც. სამუდამო ოცნების მხარედ დამირჩა აწმყო.

ვარსებობ, მაშასადამე ვაზროვნებ. ვაზროვნებ, მაშასადამე ვკლავ. ვკლავ, მაშასადამე ვარსებობ.

ის, ვინც თავის თავს დაუბრუნდა, მოღალატეა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოღალატეს გავუგოთ და ვენდოთ. რატომ არ ვეკითხებით, საიდან დაბრუნდა?

"ეს გზა საროსკიპოსთან მიმიყვანს?" - "არა, ეს გზა საროსკიპოსთან არ მიგიყვანთ!" - "არა? მაშ რა საჭიროა გზა, თუ იგი საროსკიპოსთან არ მიმიყვანს?"

როცა ეჭვიანი ადამიანები ვინმეს ენდობიან, ამას ისევ და ისევ იმიტომ აკეთებენ, რომ ნდობის უსაზრისობას გაუსვან ხაზი, და კიდევ - იმიტომ, რომ თავიანთი ნდობა რაღაც ძალზე ეგზოტიკური ჰგონიათ. თამაში აქაც თამაშია.

რატომაც არა? კრიზისული ჯანმრთელობა ერთადერთი რეალური ენაა, რომელზეც ადამიანები მეტყველებენ.

ის ამბობს: "რა ხანია ვატყუებ ადამიანებს, მაგრამ ისინი პასუხად უარეს ტყუილს მომიზღავენ". და ისვე ამბობს: "რა ხანია ვატყუებ სამყაროს, მაგრამ ის არ მომიზღავს სამაგიეროს, არამედ მოუთმენლად ელის ჩემს მორიგ ტყუილს".

ცხოვრება გაიძულებს, ხარკი უხადო ერთი მეტად უცნაური გზით: იპოლიტიკოსო. არანაკლებ უცნაურია ამ იძულებისგან თავის დაღწევის გზა: ხარკი უნდა უხადო მორჩილად. რაც უფრო მორჩილი იქნები, მით მალე გათავისუფლდები და აღარ იქნები იძულებითი პოლიტიკის თამაშში ჩართული.

მზად ვართ, ყველას და ყველაფერს პასუხი გავცეთ. და ეს მაშინ, როცა ირგვლივ ყველგან პასუხებია. პასუხის პასუხი მხოლოდ კითხვა შეიძლება იყოს. ჩვენც სხვა რა გზა გვაქვს: გამოვმწყვდეულვართ კითხვების ლაბირინთში და ვერ გაგვიგია, რატომაა სამყარო ასეთი კითხვამრავალი.

არსებობს თავისუფლების სასინჯი ქვა: ერთგულება.

თავს ვიცავ იმისგან, რამაც - ჩემში თუ შემოაღწია - შეიძლება მომისყიდოს და თავად ვიქცე იმად, რისგანაც შემდეგ თავს დაიცავს ის, ვისაც ვერასდროს მოვისყიდი.

როცა სამშობლო კვდება, ერთადერთ სამშობლოდ შეიძლება მხოლოდ ის გექცეს, რაც შენში გადარჩა. ჩემი ხატი პოეზიაა, სახატე - ხელოვნება.

ნებისმიერი მემარცხენეობა ეროვნულ სასწორზე იწონება.

დავიბენი: ნუთუ სულ ეს იყო, რაც მას ჩემდამი კეთილად განაწყობდა მეთქი. ის კი ფიქრობს, ჩემმა სიმართლემ დააბნიაო. ჩვენ რომ ერთმანეთის ფიქრებს დავებნიეთ, იქნებ ოდნავ უკეთესები გავმხდარიყავით. სამწუხაროდ, ნებისმიერი სიტუაცია მხოლოდ ერთხელ დაბნევის უნარს იძლევა.

ერთგულება, სულ მცირე, ორ გულს საჭიროებს.

ვიცი: გადავლახავ თუ არა წარსულს, რომელიც მომავლისკენ გზას მილობავს, უმალ გამიქრება მომავლის იმედი.

მე და შენ რომ მოგვკლავენ, ეს მხოლოდ სამწუხაროა. საუბედურო ისაა, რომ მათ იციან, როგორ მოკლან. მაგრამ მე და შენ არ ვიცით, როგორ არ მოკლან.

მაშინ ვამბობდით: "ეს დროც მალე მოვა". ახლა ვამბობთ: "ის დრო წავიდა". როგორც ჩანს, ჩვენ მხოლოდ მაშინ ვარსებობთ, როცა არ არსებობს "ახლა".

ისინი ამბობენ: "მათხოვრის მათხოვარი არაა მათხოვარი". ჩვენ ვამბობთ: "მათხოვრის მათხოვარი ქურდია".

ჩემში მხოლოდ ისაა საინტერესო, რასაც ბრიყვულად გავურბივარ. არადა სწორედ მაშინ ვმუშაობ, როცა გავრბივარ.

"დღეს ჩვენ..." გასაგებია, გასაგებია, ე. ი. გუშინ თქვენ...

რამდენს შეაძულეს ღამე სინათლის სახელით!

გამარჯვებულს არ ასამართლებენ, თუ ის უკვე გაასამართლა დამარცხებულმა.

ცაზე არაა არც ერთი ზედმეტი ვარსკვლავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცას ვარსკვლავები არ აკლია.

ყველაფერი, რასაც უარვყოფ, მიყვარს, მაგრამ თუ უარვყოფ - მხოლოდ იმას, რაც მიყვარს. რაც არ მიყვარს, უბრალოდ, არსებობს და მეტი არაფერი; უბრალოდ, ვიცი ან არ ვიცი და მეტი არაფერი. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც მიყვარს, ყველაფერს უარვყოფ.

ჩვენი დრო იმითაც გამოირჩევა, რომ შიში საუკეთესო საბრძოლო იარაღად აქცია, მშიშარა - ჩინებულ მსროლელად.

ათიდან ცხრა შემთხვევაში საკუთარი ღირსების დასაცავად სხვის ტერიტორიაზე იბრძვიან, ანუ ღირსებით ვაჭრობენ, ანუ ერთობ მომგებიან საქმიანობას ეწევიან.

მიიწურა თუ არა გამოთქმული, გამოსათქმელიც მიიწურა.

# ფიქრები ნაქცეულ ხეზე

## I

1. ხე არსებობს, მაშასადამე ყველაფერი გასაგებია: ისიც, რაც გასაგებია და ისიც, რაც არაა გასაგები.
2. რას მოასწავებს ხე, როგორც გამგები?

## II

1. "რაი არს ღმერთი?" "ესე არს მოლოდინი ხეთა მიმართ და ესე არს მოლოდინი ხეთა გამო".
2. მიზანმიმართულია თუ არა ხეთა მოლოდინი?

## III

1. ხე დამთავრდა, მაშასადამე ის აღარ მოიყრის თავს ჩემში ყოველი ჩემი დასასრულის ჟამს.
2. გულისხმობს თუ არა ჩემი დასასრული ხეს, როგორც სათავეს?

## IV

1. მოულოდნელი, ასე თუ ისე, შეიძლება გამოითქვას, მაგრამ როგორ გამოითქვას მოსალოდნელი? ხე როგორ გამოითქვას?
2. საჭიროებს თუ არა ხე, როგორც გამოთქმული, გამოსათქმელს?

## V

1. შემიძლია თუ არა თავი მოვიკლა იმის გამო, რომ ხემ იცოცხლოს?
2. აქვს თუ არა ფუნქცია ხეს, როგორც თვითმკვლელის კავშირს თვითმკვლელობასთან?

## VI

1. რაც გზამ შეინახა, გზადვე იქცა, მაგრამ რაც ხემ შეინახა, გადარჩა, როგორც დამარცხებული.
2. ვინ გაიმარჯვა და რა გაიმარჯვა, ხე როცა დამარცხდა?

VII

1. არ ვიცი, არის თუ არა ხელოვნება ანტიბედი, მაგრამ ვიცი, რომ ადამიანი ანტიხეა.
2. რა შემთხვევაშია მოსალოდნელი ანტიადამიანი, როგორც ხის ნება?

VIII

1. ხე ამბობს: "ჭეშმარიტად: მოითხოვე შეუძლებელი და არასოდეს მოგეცემა შესაძლებელი".
2. ხე, როგორც შეუძლებლის და შესაძლებლის ოქროს კვეთა, მდუმარებს თუ დუმილს გამოთქვამს?

## განდობა

"მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი ტოვებს განაჩენს,
როგორც მოჯადოებულ წრეს,
რათა აღსრულდეს ვალი
და ადამიანი დაუბრუნდეს თავის მორიგ ხვედრს,
საიდანაც იწყება გზა სახლისკენ.

თეთრეულის შრიალი და საცვლებს შორის მოარული სითბო.

რა თქმა უნდა, თეორიულად ეს ყველაფერი შესაძლებელია
და თავის ადგილსაც მტკიცედ მოინიშნავს
(ნებისმიერი ახალი ადგილი მხოლოდ სისხლით და ძალადობით მოიპოვება),
მაგრამ ხომ იცის ყველა ერთგულმა და უმოძრაო ნივთმა:
ერთად და ერთ ბედქვეშ დამთავრდებიან
აბსტრაქცია და ზედსართავი სახელები.
მშვიდობით, მშვიდობით,
ჩემო გალეულო მიმოსვლებო წიგნებსა და პურის სუნს შორის,
სადაც, მართალია, არ არსებობს ყელგამოღადრული მზე,
მაგრამ შეიძლება გადარჩეს ინტერვალი,
რომელიც ყოველ წამს მზადაა იცხოვროს და მზადაა აცხოვროს.
განა რა უნდა დაემალათ ამ უმწეო ხელისგულებს
ცივი ოფლის და გულისცემისკენ ფარული სწრაფვის მეტი?
მე ვიცი, შენ გიყვარს გაზაფხული და ორიოდე წმინდა რიცხვი,
მათ შორის ერთი - გამორჩევით.
გაზაფხული, რა თქმა უნდა, მოვა,
დაღლილი და ჯანმრთელი. ჩვენც, იმედია, მოვალთ.

რიცხვებისთვის უცხო და უსარგებლო ჩვენი გამოცდილი მზერა.

მაგრამ ბედი მხოლოდ კლასიკური შეიძლება იყოს,
ხოლო ჩვენ არ ვართ კლასიკური.
ჩვენ გამოვითხოვთ ბედისწერას, რათა აღსრულდეს ვალი,
და ჩვენ, ადამიანები, რომლებიც გაზაფხულს ვერ მოვიყვანთ,
დავუბრუნდებით გზას და ერთმანეთს, როგორც სახლს,
საიდანაც იწყება აბსტრაქციად და ზედსართავ სახელებად ყოფნის
მორიგი ხვედრი".

## ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔ

"...მაგრამ რას დავარქვათ სახელი, რომელიც დაგვარქვეს
უფუნქციო ჩვენმა სიზმრებმა,
საიდანაც ჩვენი ნება გამოთავისუფლდა
და გაკვირვებული უყვებოდა თავის თავს ყველაფერს,
რაც იქ არ უნახავს,
მაგრამ ნახავდა,
რომ არ მოსურვებოდა პასუხისმგებლობის საზღვრების გაფართოება
(ვის წინაშე და ვისი სახელით)
და უპირობო არსებობიდან გმირული მარცხის საუფლოში გასვლა,
როგორც თვითგვემა ერთადერთი ნამდვილი საქმისთვის,
როცა სიზმრებთან მეტოქეობა უფლებას გვიტოვებს,
სხვას არ შევხედოთ, როგორც ტოლს და სწორს,
მაგრამ გვიყვარდეს და ვფლობდეთ,
ვიდრე ჯერაც არ გალეულა ფიქრი სამოთხეზე,
რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება შედგეს,
როცა არსებობს (სულ მცირე) ორი მდუმარე არსება
და ერთი ვაშლის ხე,
როგორც გადარჩენის პირობა,
მაგრამ აუცილებლად რეალიზებული
და აუცილებლად უფუნქციო..."

## შეწყვეტილი ტრანსფორმაციის საიდუმლო

1.

შორს გასროლილი ქვასავით შეუვალო ჩემო ფიქრო
რა შეიძლება ითქვას შენს წარსულზე
დღემდე რომ მეტყველებს თითოეულ ჩემს მორიგ დასასრულს
და სიტყვის სიზუსტე უფრო ღრმაა
ვიდრე უმიზნოდ გასროლილი ქვის სიმძიმე
საიდანაც არ არსებობს გამოსავალი
ისე როგორც არ არსებობს ხიდი
ბრჭყვიალა საგნების სიგლუვეში აციმციმებულ ოცდაათ ვერცხლსა და
იმ ერთ ვერცხლს შორის
რომელიც დუმს და გლუვ საგნებად გარდაიქმნება
ერთმანეთზე ნაფენილი მეტაფორებით ნაშენებო ჩემო ფიქრო
რა შეიძლება გამოვტაცო შენი ხსოვნის მიმქრალ ზედაპირს
საითკენაც ურიცხვ ნაკადად ედინებიან
გზები ჩემეულ სამყაროთა და ჩემეულ გზათა
გზები ჩემი შეყვარებულის
გზები ჩემი მორიგი მარცხის
წყლის და მიწის უსიტყვო გზები

2.

აი, ადგილი:
როცა ყოველი ამოსუნთქვა მოიძიებს
მაგრამ ვერ პპოვებს რეალიზატორს
იქ
სადაც ერთ დროს არაერთი განცდა დამთავრდა
და არაერთი ღამე დაიწყო

3.

მაგრამ მე მინდა
შენ ამ მრავალ უგზო სიხარულს
უპასუხო ერთადერთი ზუსტი ტკივილით;

მზესთან ერთად ამოვა სული და აღარ ჩავა;

ხსოვნით მოცული რამდენი თვალი უთვალთვალებს
უკანასკნელ სამშვიდობო მზეს

ყველა იმედი შეუვალია;

მე მინდა სიტყვამ არ დატოვოს გადარჩენის შესაძლებლობა;

რაც მოვიპოვეთ ყველაფერი გადამწყვეტი აღმოჩნდაო
ასე ამბობდა;

ნამდვილის კვალი;

მერამდენედ მოკლული ბედი;

მე მინდა წყალი არ დასველდეს როცა თავს იხრჩობს ადამიანი
როგორ ვუშველოთ წყალს რომელშიც
არაერთხელ შევიდნენ და არაერთხელ არ გამოვიდნენ
როგორ გვიყვარდეს ყველაფერი
რაც ზოგადი და აბსტრაქტულია.

4.

არავისთვის ტრანსლირებული მილიონობით ადამიანი
ვიდრე არსად ვართ ყველგან ვართო
დამარცხებული განცდა
და წყალი

თავშესაფარი:
ერთადერთი:
მარტივი და თავის თავში გარდამავალი:

როგორ იმღეროს იმან ვინც ამბობს რომ სიმღერა არ შეუძლია?

დროს არ წაუშლია მისი ნაკვთების მრავალფეროვნება;
ჩვენ ნავშალეთ - მოლოდინის კაეშანს მიცემულმა, მოსაუბრე წყვილებმა;
რეაგირებს თუ არა ეს წვიმა შენზე
და შენი ოცნებებისთვის ასე ძვირფას იმ ობიექტზე,
საიდანაც ჩვენსკენ, როგორც შეჩერებული კადრისკენ,
მოედინება გარდასული სითბო და გარდასასვლელი ისტორია?
ამიერიდან მაინც ნუ იტყვი, რომ პური ყოველთვის ბრმაა
და წყალი ყოველთვის უმისამართოდ ჩაედინება თავის თავში,
აღმოაჩენს კი მხოლოდ იმას,
ვინც სულ სხვა წყლებს და შესაბამისობებს დაურწყულებიათ;
ბოლოს და ბოლოს, შეიძლება დაიჭრას კიდეც,
მაგრამ თითოეული ნაბიჯის უკან
შემართულია ერთით მეტი ნაფეხური,
და ქვიშის ფორმა მშვიდი სურვილით პოულობს
გაურკვეველ მითითებებს შორის დარჩენილ, წაუკითხავ შესაძლებლობებს,
რომლებიც ჯერაც არავის მოუნიშნავს;
დიახ, ჩვენ, საშიშროებას გამორიდებული წყვილები,
მივემართებოდით ცაში მოარული ხმისკენ,
რათა შეგვესმინა და გვეცნო,
მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაული, რომელიც ხსოვნამ შემოგვინახა,
მხოლოდ შორსწასული მგზავრივით სათუო და უმნიშვნელოა,
ვიდრე წვიმა არც კრებს და არც განფანტავს, არამედ წვიმს,
და სახელდებული ადგილები ერთმანეთში ეხვევიან;
"აჰააა" - იმეორებს ჩვენს მიერ წაშლილი ესა თუ ის შესაბამისობა;
"აჰააა" - ვიმეორებთ ჩვენ;
შეიძლებოდა თუ არა დაძრულიყო და ეს დაწყევლილი ხმაური თავის თაეში ისე მოეცვა,
რომ ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა,
გარდა სიტყვის პირისპირ შეყენებული სიმორცხვის და სიზმრის,
საიდანაც ეს-ესაა გამოაძევეს ყველა რიგითი ბრალმდებელი.

«მომდევნო ზამთარი

"დიახ, შენ გეგონა, ათავისუფლებდი ნიაგარას,
მაგრამ "ნიაგარა", რომელიც გაათავისუფლე,
შენს გარეთ აღმოჩნდა და გაქრა.

აღემატებოდა თუ არა შენს მორიგ საზღვრებს
შენი ყოველი მომდევნო ფრენის ტრაექტორია?

ყოველ შემთხვევაში, კარგია, რომ არსებობს ცუდი უსასრულობა,
რომელშიც ვერ შეხვალ და რომლიდანაც ვერ გამოხვალ;
ყოველ შემთხვევაში, ადამიანები,
რომლებიც შენი დაღმავალი ზეციდან ცვივიან,
დღემდე არასდროს განასახიერებდნენ ანთებულ თავებს
და არც ცნობისმოყვარეობის პერიოდული სახლებიდან ამომავალი
კვამლის სითბო გაუსხვისებიათ.

ვინც ამ თეთრ თოვლთან ერთად მიდის,
რათა ხეები და ათასობით ჩამოქცეული სიტყვა განადიდოს,
მას, ალბათ, ისიც ეცოდინება,
როდის უნდა დაუბრუნდეს მოძრავი კონტექსტი
თავის არარსებულ, მაგრამ ყოველთვის მიზანმიმართულ ღიმილს
და როდის განიცდიან მიწის სიმკვრივეს ზიარებული ფრინველები
ერთმანეთის შიმშილს, როგორც უხსოვარ ნაყოფს,
საიდანაც ქარი უბერავს ღამღამობით,
და არაერთი ფიქრსმიცემული მარტოსულის მორიგი იმედი
სათითაოდ და ხანგრძლივად ეხება
თითოეულ სასტიკ ნიშანს, ამ ქარს რომ მოაქვს.

ყოველ შემთხვევაში, კარგია, რომ არსებობენ
განმეორებადი განზოგადებები,
რომლებიც, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, არასდროს მეორდებიან,
მაგრამ მათზე დამიზნებული თვალი დღემდე საჭიროებს
ნებისმიერ შემთხვევითობას, კონკრეტულს და ნაფიქრს,
მაგალითად: ხეთა და სიტყვათა სიმრავლეში გარდამავალ ზამთარს".»

დიდება შენდა ფრთხილო და ურცხვად რეალიზებულო და სტილიზაციის საშიშროებას გამორიდებულო და დაცულო და მხედველობის არეს შერჩენილო და უმნეოვ / თუმცა არაფერია უფრო ცხოველური, ვიდრე გული, პასკალი კი მოგვიწოდებს, გულს ერწმუნეთო / დიდება მრგვალო როგორც სფერო და ბერძნული კოსმოსი და ღიავ და გამდინარევ ყველა პრაქტიკული მიმართულებით / თუმცა სიზმარში თავს იჩენს ნიშანთა და მნიშვნელობათა წარმოუდგენელი არევ-დარევა / დიდება ურიცხვო და ერთნიშნავ და ერთგანზომილებიანო და ამის გამო მოქნილო და ძენონის ისარივით ქალურო / თუმცა ზღაპარი პოეზიის კანონია და ყოველივე პოეტური ზღაპრული უნდა იყოს და პოეტი შემთხვევითობას ეთაყვანება / დიდება ურჩო და უჩვეულოვ და ისეთო როგორიც არ იტყვის არაფერს ისეთს რაც არ იქნება ისეთი როგორიცაა გამომთქმელი და ის რაც გამომთქმელს გამოთქვამს / თუმცა ყოველი ლიტერატურული სტილი სარგებლობს ერთი და იგივე სიტყვითი მასალით, რაც საბოლოო ჯამში, ჯერაც არ განსაზღვრავს სტილს, როგორც ასეთს / დიდება მკლავივით სუსტო და მომუშტული მუქარასავით მორწმუნევ / თუმცა ვერნადსკის არ აწყობს ცოცხალთან მიმართებაში გარემოს, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის, უშუალო სიცხადე / დიდება სწრაფშექცევადო და სველო როცა უკუქცევა არ მოითხოვს ზურგის სიმტკიცეს რომელმაც უნდა ალიბეჭდოს როგორც ქვა ყოველი ისე პოლიტიკურად თავისუფალი ქვისმთლელი ყოველი / თუმცა აჰაესერა ქუეყანა ჩუენი ფართო არს თქუენ წინაშე, დაეშენენით და ივაჭრებდით მას ზედა და მოიგებდით მას შინა / დიდება ვარდივით უნაყოფოვ და მწებვარევ და ამოღამებულო / თუმცა ჯერაც არ მომკვდარა და კვლავაც ცოცხლობს და მომავალშიც იცოცხლებს ხელოვანის სული / დიდება სალუქო და ფეხმძიმევ როგორც კრებითი სიტყვა საიდანაც უნდა იშვას ერთადერთი კონკრეტული მითითება / თუმცა დროის უწყვეტი ნაკადის მიმდინარეობის პროცესში ყოველი მომენტი წინარეს უარყოფს / დიდება მიხვეულო თუმცა მოხვეულო მაგრამ გახვეულო თუმცა შეხვეულო მაინც ჩახვეულო / თუმცა ჰრქვა სვიმექ მამასა მისსა და ძმათა მისთა: ვჰპოებმცა მადლსა თქუენ წინაშე და რაჲ-იგი სთქუთ, მიგცე / დიდება ხმატკბილო და ხმანარნარო და ანგელოზის ბაგესავით უსიტყვოვ / თუმცა რა უფლებით ვუწოდებთ ჩვენ ამ ყოფიერს ისტორიულს, როცა იგი წარსული არ არის / დიდება სპეტაკო და ქარვამრავალო და მიმცემო და არგამცემო და კეთილო და კალთამადლიანო და ამძუვნებულთა მოწყალევ და უხვო და მდაბალო / თუმცა ვერ უარვყოფ, რომ ჩვენს დროშიც შეიძლება კლასიკური სისტემის მიხედვით მშვენიერ თხზულებათა შექმნა, მაგრამ ისინი მოსაწყენნი იქნებიან / დიდება მოარულო და ერთჯერადო და შეუვალო / თუმცა ბედმა მარგუნა და დავიბადე, გავიზარდე, შრომითი წრთობა მივიღე მუშის ოჯახში / დიდება არაერთხელ ჩახდილო და ისევ გამოხდილო/ თუმცა ტრამალის მგელმა თავის თავში მაინც აღმოაჩინა ფაუსტის გაორებული სული / დიდება შეკითხულო და დაკითხულო და გამოკითხულო / თუმცა უსასრულო კიბეებზე აღმა-დაღმა დავიარები, მიუხედავად იმისა, რომ უილიამ ფოლკნერმა წერა დაიწყო ოციან წლებში / დიდება მკაცრო და ფრთათეთრო როგორც ბაფთა ან ოცნების გედი რჩეულფეროვანი / თუმცა დამფარავი გაცლა სიკვდილისაგან ისე ჯიუტადაა გაბატონებული ყოველდღიურობაზე, რომ ერთმანეთთანყოფნაში "უახლოესი" სწორედ "მომაკვდავს" მაინც არწმუნებს, რომ იგი სიკვდილს გაექცევა და თავისი მიხედული სამყაროს დამამშვიდებელ ყოველდღიურობას და-

უბრუნდება / დიდება ვარდწრფელო და იაწრფელო და სითხეწრფელო / თუმცა მოსე მწყსიდა ცხოვართა იოთარ სიმამრისა თვისისათა, მღდელისა მის მადიამელთასა, და მოჰყვანდეს ცხოვარნი იგი უდაბნოდ და მოვიდა მთასა მას ღმრთისასა ქორებად / დიდება ბანალურო და მორიგო და ქურუმო მზისა / თუმცა დაატყვევა კაცი ესპანურამ, რომელსაც წინა კიდურები ყვითელი ჰქონდა / დიდება ასპიტო და ვარდნაშემჯდარო და ხტუნვაშეპარულო და გარდამავალ ზმნასავით საბელზე გამობმულო და თავისუფლებისმოყვარე ერივით თვითკმაყოფილო და ნასუქო და ერთო / თუმცა თუ უკვე იმდენ ხანს იჯექი მაგიდასთან, რომ შენი ნასვლა საყოველთაო განცვიფრებას გამოიწვევს, მაშინ ერთს გკითხავ: იცია ლაბან, ძე ნაქორისა? / და მაინც დიდება დიდება შენდა ჩემო ლამაზო და ზედსართავო / დიდება დიდება შენდა ზედსართავო / დიდება უპირობოდ ზედსართავო / დიდება ჩვენო იმიტომ რომ ჩემო

# მოცემული კითხვის ადგილი

თეთრი ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ვკითხეთ ერთმანეთს: რატომ წვალობს "ადამიანი"?", მაგრამ კითხვა იმდენად რთული იყო, რომ პასუხს მოითხოვდა, ამიტომ ჩვენ ვკითხეთ ერთმანეთს: "რა აწვალებს "ადამიანს"?", და ვთქვით, რომ "რა" აწვალებს "ადამიანს", მაგრამ ვიდრე ამ წინადადებას ვიტყოდით, დიდი დრო უნდა გასულიყო, მათ შორის: მზე, მოყინული გზები, მძიმე და მსუბუქი მანქანები, თოვლიანი ბავშვები, "მარილის აკვანი", კედელს შეზრდილი მოხუცი კაცი, უფუნქციო საუკეთესო თხილამური, გიგანტურ სანაგვე ურნაში მოძრავი ძაღლის ზურგი, ერთმანეთში შელაგებული ქათმები, მშვიდობიანი ახალგაზრდების ჯგუფი, მოულოდნელად გაუჩინარებული დედაკაცი სიძვისაი, ეკლესიის გუმბათი, ნაცნობი ფეხი, ხოლო როცა წინადადება ითქვა, იგი გაცილებით რთული გამოდგა, ვიდრე ეს კითხვით წინადადებას შეეფერებოდა, ამიტომ ვთქვით: "დიახ, "რა" აწვალებს "ადამიანს"", მაგრამ ვიდრე ამ წინადადებას ვიტყოდით, დიდი დრო უნდა გასულიყო, მათ შორის: "მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა", "ფრთხილად, კარები იკეტება!", "ვეფხვი თუ ჯიქი?", "ვინ განყენინა შენ ამ ღამით, მწუხარე ლუ ჟუ?", "აკვამლული ქალაქის სევდა", "ნეონიანი ღამით შინ ვბრუნდებოდი", "თანამედროვე ქართველი საბჭოთა", "ჰომეროსი", "კუმურდო", "ჯეკა", "სინას მთის დიდება", მაგრამ დიდი დრო რომ უნდა გასულიყო, ამას მაშინ მივხვდით, როცა დიდი დრო გავიდა და "გავიდა" გასვლას მაინც არ ჩქარობდა, ხოლო ვიდრე ის ბოლომდე გავიდოდა, ჩვენ ერთმანეთს თვალები "თვალებში" გავუყარეთ და ვთქვით, რომ "ადამიანს" "აწვალებს" "რა", მაგრამ "წინადადება" იმდენად რთული იყო, რამდენადაც - მარტივი, ამიტომ კითხვა სათითაოდ დაგვეუფლა და ჩვენ ერთმანეთს გამოვუტყდით, რომ მართალია, ადამიანს აწვალებს რა, მაგრამ "ადამიანი" ისე არასდროს დაეცემა, რომ აწვალოს "რა" და აწვალოს დრო, რომელიც გასული არაა, რომ უკვე მოდის და მოაქვს ურიცხვი მარტივი კითხვა და მცირერიცხოვანი საჩუქარი, მათ შორის: საწინადადებო ფუნქციად ყოფნის მრისხანე აუცილებლობა, კონტექსტიდან სამარადისოდ გაძევებული "რისკი, როგორც ეჭვი", არარსებული "ზამთარი" და საკმარისად რეალური თეთრი "თოვლი", როცა ჩვენ ვკითხეთ ერთმანეთს: "რა ამოძრავებს "ჩვენ"-ში ქარს, მინას, ფრინველს, ფაიფურის ლარნაკს ან ბევრ სხვა უსახელო ტკივილს".

## დისტანცია

*ყველა შეხვედრა ერთმანეთს ჰგავს:*
*გაგიმარჯოს! დამნაშავე მე გახლავარ.*
*როგორ, ნუთუ - შენც?*
*იშვიათი ერთსულოვნება.*

გიუნთერ გრასი

როცა მე დამნაშავე ვარ, შენ არ ხარ დამნაშავე.
როცა ყველა დამნაშავეა, უნდა იყოს ვიღაც, ვინც არ იქნება დამნაშავე:
თუნდაც - ის, ვინც დამნაშავეა.
არა, შენ არ ხარ დამნაშავე.
შენ რომ დამნაშავე იყო, მე არ ვიქნებოდი დამნაშავე.
მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას:
კარგია, როცა არ ხარ დამნაშავე.
მაგრამ ისიც გულახდილად უნდა ითქვას,
რომ ყოველთვის, როცა ჩვენ არ ვართ დამნაშავე,
თავისთავად იგულისხმება, რომ დამნაშავე არსებობს,
მაგრამ - აუცილებლად ჩვენგან მოშორებით
და აუცილებლად ისეთი, როგორიც ჩვენ არ ვართ.
მაგრამ, როგორც წესი, უფრო შორსაა ოცნება,
რომელიც ყოველთვის გახურებული შანთივით შეუვალი და ერთგულია.
ვინც ოცნებობს,
არა მხოლოდ დამნაშავეზე, არამედ ოცნებაზეც ბევრად შორს მიდის,
მაგალითად, მაშინ, როცა არარსებული დამნაშავე წარმოუდგენია,
მაგრამ - განსაკუთრებით მაშინ,
როცა სამყაროს ნებას რთავს, რომ არსებობდეს დანაშაული,
მაგრამ უკრძალავს დამნაშავის არსებობას,
და, საერთოდაც, ყველაფერს კრძალავს,
რაც დანაშაულში თვით მის წვლილს ამცირებს.
როცა დანაშაული არსებობს, ის ყოველთვის ახლოსაა,
მაგრამ მოდის დამნაშავე და დანაშაული სადღაც ქრება,
სამაგიეროდ არსებობს სრულუფლებიანი დამნაშავე, რომელიც შორსაა,
და რომელიც, როგორც წესი, ცვლადი უფროა,
ვიდრე - ერთხელ და სამუდამოდ დაკავებული ადგილი,
ან, შესაძლოა, ნახევრად ცვლადი და ნახევრად ესა თუ ის ნატურალური ადამიანი,
თუ, რა თქმა უნდა, ვაღიარებთ, რომ ადამიანი ადგილია,
ამასთან - მუდმივად გადანაცვლებადი.
მე რომ დამნაშავე არ ვიყო,
აბა, როგორ ჩამენაცვლებოდი.
მე რომ შენს დანაშაულს კბილით არ ვიცავდე,
ყველაზე სასტიკი დამნაშავე ვიქნებოდი იმათ შორის,
ვინც თავის თავს უფლებას აძლევს, არ იყოს დამნაშავე.

რაც მთავარია, ყველაფერი ისე შორსაა,
რომ ჩვენც გვაქვს უფლება, ყოველთვის შორს ვიყოთ.
თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, შორს ვიქნებით თუ არა,
ერთმანეთისგან ხომ ისედაც შორს ვართ,
ისე, რომ დანაშაული ჩანდეს, დამნაშავე კი - არა,
და ჩვენ შეგვეძლოს, ვიოცნებოთ დანაშაულზე,
რომელიც, ერთ მშვენიერ დღეს, მორჩილად აღიარებს თავის დანაშაულს,
და - დამნაშავეზე, რომელიც თითს აღარ გაიშვერს იმ ადგილისკენ,
რომელსაც, ეს-ესაა, მალვით გავერიდეთ.
მაგრამ ადგილი ხომ ჩრდილი არაა, რომელსაც სიბნელე უშველის,
და არც პრედიკატია, რომელიც ან ახასიათებს სუბიექტს ან - არა.
დიახ, შენ არ ხარ დამნაშავე, რაც იმას ნიშნავს, რომ
არა, შენ არ ხარ დამნაშავე. სხვას - არაფერს.
როცა არავინაა დამნაშავე, უნდა არსებობდეს ვილაც,
ვინც დამნაშავე აღმოჩნდება, თუნდაც არ იყოს დამნაშავე.
მაშინ ყველაფერი, რაც ჩემი და შენია, თავის წესრიგს დაუბრუნდება,
ანუ - იმ ადგილს, სადაც წესრიგი ყოველთვის იგვიანებს,
მაგრამ აუცილებლად თვალ-ყურს ადევნებს იმას, ვინც მის ადგილს იცავს.
იყონ ისინი, გნებავთ, უსაშველოდ ბევრნი.

## საკმაო საფუძვლები კმაყოფილებისთვის

შენ იცი, რომ არაფერიც არ დამთავრდება?
შენ იცი, რომ გადაწყვიტეს, არსებობა შეგვინარჩუნონ?
შენ იცი, რომ ამიერიდან ვარდი მხოლოდ ვარდი იქნება და არა სიმბოლო?
შენ იცი, რომ ისევ გადარჩევის პრინციპით ვიმრუშებთ?
გადაწყდა: ბუნება ჭკვიანია და მისი აღზრდა დიდ სირთულეებთან არ იქნება
დაკავშირებული;
გადაწყდა: ვიდრე ჩვენთვის ჯერაც უცნობია ჩვენივე მიზანი,
უფლება გვაქვს, მგლად ან მაიმუნად ქცევის უფლება ავკრძალოთ;
უნდა აშენდეს ყველა ხიდი, რომელიც ფესვებს და კენწეროებს ერთმანეთთან
დააკავშირებს;
უნდა გაირკვეს ყველა, ვინც გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა და
დღემდე ვერ გამოერკვა;
საბედნიეროდ, დღეს ყველაფერი გარკვეულია;
ამიერიდან ყველა აწმყო გეზს წარსულისკენ აიღებს,
ხოლო ყველა უფუნქციო მომავალი გამდინარე წყლად გამოცხადდება;
ყველას ეცოდინება, მაგრამ არავინ არავის გაუმხელს,
ნამში რამდენ მეოცნებეს აღუსრულებს ეს გზა ოცნებას და რამდენს მოინელებს.
გამოღებული სარკმლებიდან იფრქვევა ნამდვილი სურნელება: ათასი ფერის,
ათასი ფიქრის, ათასი ზომის.
სამყაროში ორი ფოთოლიც კი არაა ერთნაირი,
ამიტომ ნებისმიერი ადამიანი ერთადერთი და განუმეორებელია;
მაგრამ ერთადერთი და განუმეორებელია სიხარულიც,
ამიტომ ყველა ამ ბედნიერი ადამიანის სიხარული ერთი უნდა იყოს.
მწუხარება არ არსებობს, მწუხარება აწმყოს ჩაბარდა.
ყველას უხარია, ყველა ბედნიერია, ყველა ცოცხალია.
შენ იცი, რომ დღეიდან ვარდები ჩვენს გულებზე დასახლდებიან?
შენ იცი, რომ ადამიანის ნამდვილი ნაბიჯი ცისკენ მიმართული ნაბიჯი იქნება?
შენ იცი, რომ ერთ ეტლში სხედან გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი?
შენ იცი, რომ ყველა ცოცხალია?

## გმირის თვალები

(დატირება)

იქ ანთია თუ არა ცეცხლი, სადაც უნდა ენთოს?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს, ხედავენ თუ არა მას გმირის თვალები?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ, ივსებიან თუ არა ისინი ცრემლით?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან, მიიძინებს თუ არა გმირი?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან და გმირი მიიძინებს, სამარადისო ექნება თუ არა ძილი?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან და გმირი მიიძინებს და სამარადისო ექნება ძილი, თავს დააღწევს თუ არა უკანასკნელ მის სიზმარს ცეცხლი?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან და გმირი მიიძინებს და სამარადისო ექნება ძილი და თავს დააღწევს უკანასკნელ მის სიზმარს ცეცხლი, უპატრონებს თუ არა ფერფლს, რომელმაც გმირი დაიტირა?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან და გმირი მიიძინებს და სამარადისო ექნება ძილი და თავს დააღწევს უკანასკნელ მის სიზმარს ცეცხლი და უპატრონებს ფერფლს, რომელმაც გმირი დაიტირა, აინთება თუ არა იქ, სადაც ხსოვნა ამოვიდა?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან და გმირი მიიძინებს და სამარადისო ექნება ძილი და თავს დააღწევს უკანასკნელ მის სიზმარს ცეცხლი და უპატრონებს ფერფლს, რომელმაც გმირი დაიტირა, და აინთება იქ, სადაც ხსოვნა ამოვიდა, ვისი სული წაიღო გმირმა?

თუ ცეცხლი იქ ანთია, სადაც უნდა ენთოს და მას გმირის თვალები ხედავენ და ცრემლით ივსებიან და გმირი მიიძინებს და სამარადისო ექნება ძილი და თავს დააღწევს უკანასკნელ მის სიზმარს ცეცხლი და უპატრონებს ფერფლს, რომელმაც გმირი დაიტირა, და აინთება იქ, სადაც ხსოვნა ამოვიდა და ცეცხლის სული წაიღო გმირმა, იქ ანთია თუ არა ცეცხლი, სადაც უნდა ენთოს?

## განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანი // ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრება

"I

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს"
მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"

II

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

III

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

IV

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

V

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

VI

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

VII

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

VIII

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"

მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

IX

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს"
მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

X

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს"
მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

XI

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XII

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს""

XIII

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""
მართალია ""ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"""
მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს""
მართალია ""ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"""

XIV

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XV

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს""

XVI

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"

მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს""

XVII

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XVIII

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XIX

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს""

XX

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს""

XXI

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღერებას""
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XXII

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
"მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
"მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
"მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღერებას"
"მაგრამ არც "განსაზღერება" ექვემდებარება "ადამიანს""

XXIII

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XXIV

"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ "არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი"" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ "არც "განსაზღერება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XXV

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XXVI

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას"
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას""
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XXVII

"მართალია ადამიანი არ" ექვემდებარება განსაზღვრებას
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ" ექვემდებარება განსაზღვრებას
"მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი არ" ექვემდებარება "განსაზღვრებას"
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ" ექვემდებარება "განსაზღვრებას"
"მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

XXVIII

"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
"მართალია ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
"მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

## XXIX

მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს"
მართალია "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება ადამიანს
მართალია "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება"" ექვემდებარება "ადამიანს"

## XXX

"მართალია" "ადამიანი არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია" "ადამიანი" არ ექვემდებარება განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება ექვემდებარება "ადამიანს""
"მართალია" "ადამიანი არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება ადამიანს"
"მართალია" "ადამიანი" არ ექვემდებარება "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" ექვემდებარება "ადამიანს""

## XXXI

მართალია ადამიანი "არ ექვემდებარება" განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება "ექვემდებარება" ადამიანს
მართალია "ადამიანი" "არ ექვემდებარება" განსაზღვრებას
მაგრამ არც განსაზღვრება "ექვემდებარება" "ადამიანს"
მართალია ადამიანი "არ ექვემდებარება" "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" "ექვემდებარება" ადამიანს
მართალია "ადამიანი" "არ ექვემდებარება" "განსაზღვრებას"
მაგრამ არც "განსაზღვრება" "ექვემდებარება" "ადამიანს"""

შლაგბაუმი

I. პრობლემის შესაბამისობა

დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის(ყოველთვის ხელიდან ის უსხლტება; ყოველთვის ის ხელიდან უსხლტება; ყოველთვის ის უსხლტება ხელიდან; ყოველთვის უსხლტება ხელიდან ის; ყოველთვის უსხლტება ის ხელიდან; ხელიდან ყოველთვის უსხლტება ის; ხელიდან ყოველთვის ის უსხლტება; ის ყოველთვის ხელიდან უსხლტება; ის ყოველთვის უსხლტება ხელიდან; უსხლტება ყოველთვის ხელიდან ის; უსხლტება ყოველთვის ის ხელიდან; ხელიდან უსხლტება ყოველთვის ის; ხელიდან ის ყოველთვის უსხლტება; ის ხელიდან ყოველთვის უსხლტება; ის უსხლტება ყოველთვის ხელიდან; უსხლტება ხელიდან ყოველთვის ის; უსხლტება ის ყოველთვის ხელიდან; ხელიდან უსხლტება ის ყოველთვის; ხელიდან ის უსხლტება ყოველთვის; ის ხელიდან უსხლტება ყოველთვის; ის უსხლტება ხელიდან ყოველთვის; უსხლტება ხელიდან ის ყოველთვის; უსხლტება ის ხელიდან ყოველთვის), რაც თავის თავს აგროვებს და ინვის(რაც აგროვებს თავის თავს და ინვის; თავის თავს რაც აგროვებს და ინვის; თავის თავს აგროვებს რაც და ინვის; აგროვებს თავის თავს რაც და ინვის).

II. განწყობის შესაბამისობა

ა) დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, რაც თავის თავს ინვის და აგროვებს(რაც ინვის თავის თავს და აგროვებს; თავის თავს რაც ინვის და აგროვებს; თავის თავს ინვის რაც და აგროვებს; ინვის თავის თავს რაც და აგროვებს).

ბ) დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, რაც ინვის და თავის თავს აგროვებს(ინვის რაც და თავის თავს აგროვებს; ინვის რაც და აგროვებს თავის თავს; რაც ინვის და აგროვებს თავის თავს).

გ) დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, ინვის და თავის თავს აგროვებს რაც(ინვის და თავის თავს რაც აგროვებს; ინვის და აგროვებს თავის თავს რაც; ინვის და რაც თავის თავს აგროვებს; ინვის და რაც აგროვებს თავის თავს; ინვის და აგროვებს რაც თავის თავს).

დ) დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, თავის თავს ინვის და აგროვებს რაც(თავის თავს ინვის და რაც აგროვებს; ინვის თავის თავს და აგროვებს რაც; ინვის თავის თავს და რაც აგროვებს).

ე) დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, აგროვებს და რაც თავის თავს ინვის(აგროვებს და თავის თავს რაც ინვის; აგროვებს და თავის თავს ინვის რაც; აგროვებს და ინვის თავის თავს რაც; აგროვებს და ინვის რაც თავის თავს).

III. პროტესტის შესაბამისობა

ა) ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის, დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება.

ბ) ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის, ყოველთვის ხელიდან უსხლტება დაგროვების პრინციპს.

გ) ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, რაც აგროვებს და ინვის, დაგროვების პრინციპს.

დ) ყოველთვის ხელიდან უსხლტება დაგროვების პრინციპს ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის.

ე) დაგროვების პრინციპს ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის, ყოველთვის ხელიდან უსხლტება.

### IV. პროტესტის ტრანსფორმაცია

სულ მცირე:

ის, რაც თავის თავს აგროვებს, ყოველთვის ხელიდან უსხლტება დაგროვების პრინციპს, და ინვის.

ის, რაც თავის თავს აგროვებს, ყოველთვის დაგროვების პრინციპს უსხლტება ხელიდან, და ინვის.

ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის, ყოველთვის დაგროვების პრინციპს უსხლტება ხელიდან.

ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის დაგროვების პრინციპს, ყოველთვის ხელიდან უსხლტება.

ის, რაც დაგროვების პრინციპს ხელიდან უსხლტება, ყოველთვის თავის თავს აგროვებს და ინვის.

ის, რაც დაგროვების პრინციპს ხელიდან უსხლტება და ინვის, ყოველთვის თავის თავს აგროვებს.

ყოველთვის დაგროვების პრინციპს უსხლტება ხელიდან ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის.

ის, რაც თავის თავს აგროვებს, ინვის და დაგროვების პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება.

ის, რაც თავის თავს აგროვებს, ყოველთვის ინვის და ხელიდან უსხლტება დაგროვების პრინციპს.

დაგროვების პრინციპს ყოველთვის ის ინვის, რაც თავის თავს აგროვებს და ხელიდან უსხლტება.

დაგროვების პრინციპს ყოველთვის ის აგროვებს, რაც ხელიდან უსხლტება და თავის თავს ინვის.

ყოველთვის დაგროვების პრინციპს უსხლტება ხელიდან და თავის თავს აგროვებს ის, რაც ინვის.

### V. პასუხის შესაბამისობა

სულ მცირე:

ყოველთვის უსხლტება დაგროვების პრინციპს ხელიდან ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის?

დაგროვების პრინციპს უსხლტება ყოველთვის ხელიდან ის, რაც თავის თავს აგროვებს და ინვის?

ყოველთვის ის უსხლტება ხელიდან დაგროვების პრინციპს, რაც ინვის და თავის თავს აგროვებს?

ყოველთვის თავის თავს აგროვებს და ინვის ის, რაც დაგროვების პრინციპს ხელიდან უსხლტება?

რაც დაგროვების პრინციპს ხელიდან უსხლტება, ყოველთვის ის აგროვებს თავის თავს და ინვის?

ყოველთვის თავის თავს ინვის და აგროვებს ის, რაც დაგროვების პრინციპს ხელიდან უსხლტება?

ყოველთვის ის ინვის დაგროვების პრინციპს, რაც თავის თავს აგროვებს და ხელიდან უსხლტება?

ყოველთვის ის აგროვებს დაგროვების პრინციპს, რაც თავის თავს ინვის და უსხლტება ხელიდან?

ის, რაც დაგროვების პრინციპს ხელიდან უსხლტება და ინვის, ყოველთვის თავის თავს აგროვებს?

გამგზავრებამდე ერთი წუთით
ან ერთი ცხოვრებით ადრე
1994

# გამოსავალი

ჩვენ უნდა გავუგოთ მოჭრილ ყვავილებს
როცა მათ არ უყვართ მზე
და სიტყვებს შორის სინათლე უკვდებათ

რატომ უნდა იყოს ჩვენი უმწეობა ყოველთვის მიზანმიმართული
რატომ უნდა ვიდგეთ ასე სასტიკად წარმავალნი იმის წინაშე რაც იყო
და მაშასადამე იმის წინაშეც რაც იქნება ან შეიძლებოდა რომ ყოფილიყო

ჩვენ უნდა გავუგოთ ერთმანეთს
ყოველ შემთხვევაში - მაშინ
როცა ერთმანეთი ხელიდან გვეცლება
მაგრამ ისეთი ნაცნობი და კონკრეტულია რაც ერთხელ მოხდა
რომ ერთმანეთს მაშინ მაინც უნდა გავუგოთ
როცა არ გვიყვარს ერთმანეთი

ან: რატომ უნდა გვღლიდეს ის რაც
ან იქნება იმიტომ რომ ჩვენ არ ვიქნებით
ან არ იქნება იმიტომ რომ ჩვენ ვიქნებით
ან იქნება იმიტომ რომ ჩვენ ვიქნებით
ან არ იქნება იმიტომ რომ ჩვენ არ ვიქნებით
მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იქნება ან არ იქნება
და ერთმანეთს მორჩილად გავუსწორებთ
მომხდარს და მოსახდენს
ანუ სიტყვას და სათქმელს

უჩვენოდ წაშლილ სიჩუმეში ამომავალი მრავალი სარკმელი
და ერთმანეთის პირისპირ მდგომი
ყოველი ორი სიყვარული

ან:
ერთმანეთს დიახაც მაშინ უნდა გავუგოთ
როცა არ გვიყვარს ერთმანეთი

ჩემო კმაყოფილო აღფრთოვანებავ,
(ადამიანები სარკის ნამტვრევებთან ერთად ნაწილ-ნაწილ ცვივიან არსაით)
შენ რომ თავისუფლების იდეაზე ჩემს ფიქრსა და
მხედველობის ყოველდღიურობისადმი ჩემს სწრაფვას შორის
მონიშნული შესაბამისობა გაგეთვალისწინებინა,
(აბა უყურე როგორ აგროვებენ ისინი სიყვარულს მთელი ცხოვრების
განმავლობაში)
ეს მერამდენედ გადაერჩებოდი, არა მხოლოდ მადლიერი,
არამედ მაღალი ღირებულებების ყოფითობის ზვარაკად მირთმეული,
როგორც პერიოდულად განმეორებადი და მუდმივმოქმედ ფუნქციებად დაშლილი
კრავი.
ხოლო შენ, რომელსაც ჩემი მორიგი უარყოფიდან სული წვიმებად და ბალახებად
ამოგდიოდა,
(თეთრ საგნებთან დაკავშირებული გაფრთხილებების უწყვეტი რიგი)
იმდენად არაფერს მიეძალე და იმდენად არაფერი გქონდა წასაღები,
რომ ჩვენ ერთმანეთში ვხტოდით და ქუჩის ძაღლები
ადამიანების შესაცნობად ემზადებოდნენ.
(ხანგრძლივი და მიზანმიმართული ზრუნვა
როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ კეთილი სურვილი, განურჩევლად ადეპტისა)
შემეძლო, ნამი, ის, ერთადერთი და მსასოებელი, არ მოსულიყო;
შენ მაინც იცი, წამები ხშირად არ მოდიან,
მაგრამ როცა მოდიან,
ჩვენ იქ აღარ ვართ, სადაც მისი სახე შესაძლებელია.
ძალიან, ძალიან იშვიათად. და ისიც მაშინ,
როცა აღფრთოვანება თავის თავში ბრუნავს.
(ჩიტის სიზუსტით მიმომფრენი ნებისმიერი რიგითი გულისფეთქვა)
ასეა, ყველაფერი, რაც კარგია, მაღლაა და იქიდან გვიმზერს მაღლამზირალი,
მაგრამ დღეს ხომ არავის უკვირს,
რომ ყოველი კონკრეტული შესაბამისობა ცვალებადია;
ალბათ, უფრო ცვალებადიც კი, ვიდრე ჩვენსა და შენს შორის მანძილი.
(მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზურგი თავის ქარს საჭიროებს,
ამიერიდან მხოლოდ ზურგის ქარი განხორციელდება),
მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვუმზერ მერცხლებით მოძრავ ცას
და არ მეშინია მისი ვიწრო ყელის,
რომელიც ქარის მიმართულებით მიედინება და მიზანმიმართული ფეთქავს;
ყველა დილა მარტოა ამ გასაძლებ ხმაურში,
(წარმოსადგენია, რარიგ ძნელი უნდა იყოს თვალის დახუჭვის მოთხოვნილება,
როცა ყველაფერს ზედმიწევნით ხედავ),
მაგრამ მაინც იბადება და გრძელდება მრავალი უმახვილო ტრაექტორიის
ურთიერთკვეთა ან შეხების სურვილი, რაც შესაძლებელს ხდის სიტყვას,
რომელიც მიწყივ ხელახლა აღადგენს დღეებს შორის დარღვეულ კავშირს
და - წინასწარცნობილი თითოეული გაბრძოლების პერიოდულობით
მარტივცვალებადი -
წინ უსწრებს მოსახდენს და გაურბის მომხდარს.

გიყვარდა გიყვარდა იმოძრავეო სიზმარი საიდანაც ამოეიზარდე შენს წმინდა ხილვებს მონყვეტილი და წარსულს მონყვეტილი და წელში მონყვეტილი მიყვარდა მიყვარდა თითოეული ჩემს მიერ ნანახი სიზმარი და ჩვენს მიერ ხილული სიზმრები რომლებსაც ადგილი დაემკვიდრებინათ მრავალი წლის წინ ჩვენს თითოეულ წარმავალ აწმყოში ვუყუროთ ადგილს უმკვიდრებდნენ მომავალს როგორც ღამით ჩაძინებულ სხეულებს რომლებიც ხედავდნენ სიზმრებს და საიდანაც ერთმანეთისკენ ურიცხვ ნაკადად და თითქმის სუნებივით ედინებოდნენ განუმეორებელი და მოძრავი სიზმრები გვიყვარდა გვიყვარდა ვიდრე ჯერაც ისმოდა ირგვლივ სამგანზომილებიან სივრცეში მათი მწუხარე გულისფეთქვა თითქმის არსაით ხელი გავუწოდე მიპასუხა რომ მხოლოდ ახლა ცოცხლდებოდა და ჩემი ხელი შეეშალა შემრცხვა რატომ არ ვიცი მეთქი შესაბამისი დრო და ერთგულება ჩამოქვეითებულ საგნებს დევნა უყო უმანკო მარიმ განა არ მიყვარდა მაგრამ როგორ მეცოცხლა ასე მძინარეს იმ ორი თუ სამი წუთით რომელიც სასწორის არც ერთ პინაზე არ მოთავსდება და არ გულისხმობს არაფერს ისეთს რაც მის წინაა მშვიდობით მაგრამ მორიგ სიზმარში ჩვენ ხომ უკვე ის არ ვიქნებით ვინც ახლა ვართ მაგრამ როგორმე უნდა მიეღოთ და ნასულიყვნენ რა თქმა უნდა საით როგორც ხვალ ოცდაათწლიან ომში საკუთარ თავთან ჯოჯოხეთთან ან არავისთან საუბარია შენზე ჩემო კეთილო დედა მაგრამ რა მექნა ასე მონყვეტილს დამემშვიდობა და გამომხედა ან გადმომხედა შორეული აწმყოდან თითქმის მოღიმარი წარვემართე ჩემი სულისკენ როგორც მიბრძანა ჩაძინებულმა ჩემს მკლავებს შორის განუმეორებელია ისიც რაც მოხდა და განუმეორებელია ისიც ვინც მაშინ ჩვენ ვიყავით ერთად ერთად როცა ჩრდილების დერეფანს თვალდახუჭული გაივლი მაგრამ მეშინია როგორც შენ დიახ ნუ შეგეშლება ჩემი ხელი მოძრავი სიზმრების გაელით და გადარჩენის საზეიმო სურვილით ალბათ მეოთხე განზომილებაც ჩვენთან ერთად მოინანიეს იმ უბედურმა ჭირისუფლებმა ნუთუ მდევარი უკუიქცა სამივე დროზე ბევრად ადრე გვიყვარდა ერთად ნაწილ-ნაწილ გვძულდა მაგრამ რა ვიღონოთ დიახ ასე თქვი მე მაშინ მინდოდა მათემატიკური სიზუსტით მეშველა შენთვის თუმცა რა თქმა უნდა არა იმიტომ რომ გადამერჩინე სადაც ჩემს სხეულს ასე უმოწყალოდ ვესიზმრებოდი მთელი ღამე და მკლავდა აჰააა ვერ წამიხვალ მეთქი იმოძრავეო ძალიან ჩქარა რა აიტანს ამ ყველაფერს გაუთავებლად ძალიან ჩქარა არ გაეღვიძოთ სიზმრიდან ამორთულ ჩვენს გულებს თევზებივით უწარსულონი რა თქმა უნდა ჩვენ მაგრამ გადაეცი რომ აღარ იმღეროს იმაზე მწარედ ვიდრე მოსახვევთან დაკეცილი ის სხეული მოხმარებას არ ექვემდებარება და გარბის მაგრამ თავდავიწყებამდე უადგილოა გვიყვარდა იცი როგორ გვიყვარდა ასე მორბენალი თითოეული ჩვენი ასო თითოეული თავის თავზე დამიზნებული ნუ იტყვი რომ გადახვალ და ტკივილს დაუსხლტები რა თქმა უნდა თევზი სრიალაა მაგრამ დრო უფრო ღამეც უფრო ყოველი ნაკვთით ყოველი ჩვენი გაბრძოლებით ვერ დავრჩები კიდევ მრავალმა სიზმარმა უნდა ნახოს მეთქი ჩემი სხეულის არაერთგვაროვანი ზედაპირი ჯერ კიდევ მაშინ მაგრამ ახლაც ადგილს იმკვიდრებდა სამომავლო ბრძოლები უნდა ვაწარმოოთ ასე ღრმად და საფუძვლიანად თითქმის უსულო საგნებივით მიმთითებელი ხმების სამარშრუტო სვლა ჩემსა და შენს შორის თითქმის გულის ამოვარდნამდე პერიოდულ აჩქარებათა თანდაყოლილი უნარი ვუყუროთ როგორ ამოვიდა ქოთანში ია უწყვეტი ლალი მოეფერე განა შენ არასოდეს გექნება წარსული უთხარი განა შენც უნდა მ-

ინყივ ტიროდე ჩემო ძილო ყველა განზომილების ტყვეობაში დავხუჭე თვალი და გავბედე მეთქვა საზეიმო სიტყვა შესაბამისი დროის მიმართ საიდანაც გავქრი სულ რამოდენიმე წამით მერე ვისთან ვისთან ომი რომ იცოდე ნუთუ დღემდე შენც იმას ფიქრობ რომ დაფრთხა და მოკურცხლა დახუჭული თვალი მაშინ მოვკარი როცა სწორედ ჩემსკენ გარბოდა მაგრამ ვიცოდი რა უნდა მეთქვა და თავიც ამიტომ შევიკავე ასე არ იყო თქვი ასე არ იყო ასე არ უნდა მიმემართა მისკენ ყველა ჩემი არჩევანი მშვიდობით მაგრამ ხომ შეიძლება ვიცნოთ კიდეც ერთმანეთი თუ კიდევ ერთხელ გაგვიღიმა სიზმარმა და ერთმანეთი აპოვნინა ჩვენს სურვილებს რომლებსაც იმხელა გზა აქვთ გასავლელი რომ ეს-ესაა დაბრუნდნენ და გვთხოვენ მივუშვათ ერთმანეთთან როგორ გრძელდებოდა გაცოცხლების ის დამღლელი და მცხუნვარე პროცესი უფრო ჩქარაო გაუთავებლად უფრო ჩქარაო ავუქციოთ მეთქი გვერდი არაერთ მომქანცავ საქმეს თუნდაც ამ მარის სასწორის ორივე თავისუფალ პინაზე თანაბრად დასკუპებულს ორი პაწია უშნო ჩიტი შენ ვერ მოძებნე დრო რომელმაც მიიტაცა შენი სატრფო აკადემიური სიზმრების ცვალებადი ხასიათით დაღდასმული წარმოსახვა მათ შორის მისი წარმოსახვაც იმ სამარადისოდ დაწყევლილის და ცუდის მაგრამ ლოცვის დაწყებამდე ერთი წამით ადრე რომელმაც შენიანად მიიტაცა ნუ ეტყვი რომ წავიდეს და აღარ ნახოს ასე გულგრილად ამდენი და ამდენი ფერადი ხილვა ხომ შეიძლებოდა დაეთმო მავანი მზადმყოფი სიტყვისთვის რომელთა გამოც ღირს თავდადება თუნდაც სიზმრად მაგრამ მაინც ნუ ეტყვი გათენებამდე ოდნავ ადრე ამკვიდრებდნენ მომავალს მაგრამ მაინც ნუ წარუხოცავ იმედს რომელმაც მიიტაცა მოიძებნება შესაბამისი დრო აქ სადმე ჩვენში

**P. S.**

ჩავიდა მაგრამ აღარ ამოვა
მე კი გაფრთხილებ ცნობიერია ჩემი ყოველი რხევა
და კიდევ
თან მახლავს ტრადიციის ცვალებადი ბუნება
დანაწევრებული გრაფემა მაგრამ ხილვადი
ისე როგორც მომაკვდავი ბელურა
რომელსაც ორი წვეთი წყალი აედევნა რათა გადარჩეს და იხსნას
მოინახება თუ არა რაღაც და მათ შორის ჩადგება თუ არა
ვიდრე ბავშვები მიმორბიან
მაგრამ გვაუწყეს რომ გარდაიცვალა
დღეს ან არასდროს ან გამოზომილი ნაბიჯებით ყოველდღიურად
ასე შეიძლება სული გასძვრეთ შენს შრომებსაც და გამოყენებულ ნივთებსაც
მაგრამ გასაგებია რატომაც ვირხევით
ყოველდღიური რაციონით კმაყოფილნი
მაინც გაფრთხილებ რომ ჩავა მაგრამ აღარ ამოვა
და თუ შენ იტყვი რომ აღარ გაქვს თავმოყრის უფლება
მაშინ დალიე ჩაი გადი ეზოში და ნუღარ შემოხვალ
ვიდრე ეს გამოცდილება ჩვენში იტვირთება
როგორც უხარისხო გეგმის მონახაზი
ვიდრე ეს ჩიტი წყალს ვერ შველის და იძულებულია მოკვდეს ასე გაქანებული
ჰაერიდან ჰაერში გადასული
გეუბნები შევეჩვიეთ მეთქი
შევეჩვიეთ როგორც აი იმას
როგორც ჩვენს ღარიბ მეზობელს ზარ-ზეიმით ამოსულს
ჩვენს გულში და გულსისხლძარღვებს შორის
მაგრამ დავძენ აგრეთვე რომ ძალიან ჭირდა სუნთქვა ჩემო კეთილო ნათანიელ
ერთი შეგეხედა როგორ იზრდებოდა იმ ნაცნობი ფალოსის გასწვრივ
როგორ უყვარდა თავის გარშემო მოშრიალე ფოთოლცვენა
და მაინც როგორ ირხეოდა ყოველდღიურად
დღეს ან არასდროს ან გაფრენილი სიჭაბუკიდან
პოსტმემდე და პოსტქალიშვილურ მკერდებამდე მას რომ მოელიან
ჩემი მომაკვდავი ბელურა ჩვენი მომაკვდავი ჩიტი
გთხოვ უპასუხე რომ ვეცდებით ძალა არ ვიხმაროთ
აქვე ყვავილებით სავსე ლარნაკი იგონებს თაიგულს
კივილით რომ ჩაუქროლა ოდესღაც ფრინველის ნაცნობ გულისფეთქვას
და ორი წვეთი წყალი გაუწოდა
ოჰ ნუ ძვირფასო ნუ მეთქი ძვირფასო
ის პეშვები ახლაც ისე დაუზარებლად მიიჩქარიან წყლის მოსატანად
როგორც მაშინ ჩვენი ბავშვობის ბოლო სულ ბოლო არდადეგებზე
წყალწყალა და მწვანე ზაფხულის შუაგულში
მაგრამ დაეცა და ტირის მე მოგითხრობდი თავგანწირულ მფრინავზე
ვიდრე იგი საქმიანად იტვირთებოდა ჩვენს გულებში

ციდან ცისკენ და მიწიდანაც ცისკენ
მაგრამ თუ მაინც აღწევს შენამდე თამაშის ხმები
არ დაიზარო ჩემო კეთილო ნათანიელ გადი და ნახე
როგორია ეს თამაში მცხუნვარე მზეში
ნახევრადგამხმარ ხეებში და რამდენიმე ბავშვის სირბილში გამონწყობილი
როგორია მოფიქრებულ შეკივლებებში ინსტინქტურ შემობრუნებებში და
ჩაცუცქვებში
გამონწყობილი ეს თამაში იქ სადაც გაჩნდა სადაც იხარა
სადაც ყველაზე ნაკლებად გვჯერა მისი არსებობის
მაგრამ ნება მომეცი გაგაფრთხილო რომ მე აქ ვარ და ვკანკალებ
იმ არაადამიანური მხურვალებით ატანილი
რომელმაც ჩემში სამშობლო უნდა მოიპოვოს
ერთი შეგეხედა როგორ გროვდებოდნენ მის ირგვლივ პეშვები
ერთი გენახა როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მკვდარი ფრინველი და ორი წვეთი
წყალი
აი მაშინ კი მიხვდებოდი რომ არასდროს არაა გვიან
რომ ყველა ნივთი დაუცველი და სასტიკია
როგორც ჩვენში ისე ჩვენს გარეთ და იმ გაელვებულ ცაშიც
სადაც მოტეხილი ფრთა მარტოა და ამიტომ არ ბრუნავს
ისე როგორც ყვავილებით სავსე ლარნაკი არ ბრუნავს და უხმოდ გასცქერის გზას
რომელსაც ეს-ესაა მტვერი აუვიდა
მე კარგად ვნახე როგორ დამტოვა ჩემო კეთილო ნათანიელ
მე კარგად ვნახე როგორ არ მოვა

"...ვიცი ეს იყო წინათგრძნობა
მაგრამ სიკვდილი ჩაიშალა ხოლო წარსული უთავბოლოდ მეტყველებდაო
ბოლოს და ბოლოს მე ხომ მხოლოდ იმას ვეხები თვალით და ხელით
რაც საკუთარ თავს ვერ ხედავს და ვერ ეხება და მე მთხოვს შველას
და ვეფერები უსასრულოდ მდინარეებში ჩარჩენილ სიტყვებს ამოსულთა და არამოსულთა
დაწყევლილებმა რა ქნანო მითხრა
რა მეპასუხა დაწყევლილისთვის რომელიც უკვე აღარავის აღარ ახსოვდა ამ სასტიკ სახლში სადაც შენ არ ხარ მაგრამ ის რომ ყოველი წამი იძულებულს გხდის არ გახსოვდეს მორიგი წამი და რაც იქ მოხდა იმ მორიგი წამის შიმშილით გარემოცულ შენს ორგანიზმში
დამიჯერე ეს არაა აბსტრაქციაო დამიჯერე რომ მოვკვდები და მეორე ნაპირს კიდევ ერთხელ შერყვნიანო ჩემი ტერფები
თავქვე მირბოდა დედაჩემი დედაჩემო რა ხდება მეთქი შენი ციდან და შენი კალთიდან ამ სასტიკ დროში ეს სიცივე ნეტავ რატომ იპნევა მეთქი
ჩემი გულუხვი მასპინძელი ჩემი სიმღერა საიდანაც მერამდენე საუკუნეა ვერ ვიბადები
ვერც ისინი იბადებიან ჩვენი თვალები ჩვენი მდუღარე სავედრებლები
ასეთო წყნარო რატომ ცვივიან ჩვენში ბავშვები რატომ წყდებიან ჩვენს ხერხემალს რიგრიგობით გამორყვნილი შემოდგომები რატომ ვართ მარტო როცა ერთად ვართ ან ამ ყველაფერს ბანალობა რატომ ჰქვიაო ჩემი სიმღერა რატომ ვერ გრძნობს ფეხქვეშ მიწასო
მაგიდებიდან იზრდებიან ჩვენი ხელები კარადებიდან გამოდიან ჩვენი ზურგები და ისე იწვის ირგვლივ ყველა სათუთი გული რომ ვერ უძლებენ საგნებს სიტყვები და ბრუნდებიან იმ სიბნელეში რომელმაც ყველა აღტაცება უნდა უარყოს იმ ერთადერთი სიზმრის სახელით რომელიც ალბათ ერთ მშვენიერ დროს თითქმის ყველაზე შეუმჩნეველი ამონაზარდი იქნებოდა შენს ნასიზმრალში
ამიხსენი ვინაა "ყველა" ან ვინ არიან ჩვენი ფიქრები იმ დაწყევლილი მდინარისკენ რომ მიუთითებენ ჩემს თვალისგულებს იმ დაწყევლილი მწვანე წყლებისკენ რომლებიც უკვე მერამდენე საუკუნეა დგანან და ჩვენს ბრმებს ინაწილებენ
ამიხსენი ვინ არიანო ვინ არიან და სად არიან ახლა ჩემს გულში წინათგრძნობის მაგინებლები როცა სიკვდილმა თავის თავი არ ნაავგოო
დიახ ეს იყო დასასრული დიახ ეს იყო სიკვდილი მეთქი
დიახ ეს იყო წინათგრძნობაო..."

## ანდერძის სურვილი

რა ვუყოთ, რომ სახსრები ბევრჯერ მოგვეცარა. სამაგიეროდ,
არის რაღაც-რაღაცები, რასაც პოეზიას ან სისტემას ვეძახით. გ-
ასძახე იმ კაცს - ნუ ექნება იმის იმედი, რომ
მოვატყუებთ და მის წინააღმდეგ ლტოლვის უფლებას მოვიპოვებთ,
ვიდრე ჩვენი ზეპირმეტყველება არ ჩაუძაღლებია;
ერთხელაც იქნება, ცისკენ ერთბაშად მოკვეთილი ათასი ღიმილი
დაბრუნდება და გულწრფელ შეძახილებს მოხსნის.
განა სამწუხარო არაა ეს ჩვენი სახსრებიც?:
ისინი ქარბუქს მოიცავდნენ და სისხლიც სველი ჰქონდათ,
მაგრამ არაფერი ეშველა ჩვენთვის უცნობი იმ კაცის ზურგს,
საიდანაც კიდით-კიდემდე უფერადესი, არნახული წყლები წვიმდნენ
და მინა ქრებოდა და პირმოკუმულებს გაგვეღიმა.

უთხარი. კარგად, შთამბეჭდავად უთხარი მეთქი.
ათასი წელიც რომ მოიცვან, მე მაინც იმ ჩემს სიყმაწვილეს ვუბრუნდებიო.
აბა, იფიქროს: რა გაიტანეს სიტყვის გარეთ მონუმენტურმა მისმა სიზმრებმა.
არა, მე მაინც იქ ვბრუნავ, იმ ჩემს სიყმაწვილეში, სადაც ახლა ვერავინ და
ვერაფერი დამიბრიყვებსო.

მაინც შეუძახე მის წმინდა ზურგს - მოსახსნელი მოხსნან
და დროზე გაგვეცალონ, თორემ ჩიტი რაა, ისიც არ დარჩება უწყინარი,
სადაც ფეხი დავდგით დაღლილი, გალახული.

არ ვიცი, რამდენია ახლა შენი თვალი,
მაგრამ მე მწამს შენი მზერის ტრაექტორიის,
როგორც სირცხვილით ციდან გაქცეული ანგელოზის,
როგორც ნებისმიერი სამხედრო მოედნის,
სადაც სამშვიდობო მარშებია.

ან უკვე რა ვქნათ, სევდიანი სახით მოარულმა ძვირფასებმა,
ვისაც არაფერი შეგვრჩენია: მხოლოდ ეს: შურისძიების
მხურვალე წყურვილი - მთებში მიმავალი გზასავით დაკლაკნილი;
ამ დროს უკვე სადღაც დაბლა ვართ და იქიდან გადმოვცქერით
ამ შეუქცევად ლტოლვას ტყუილის უფლებისკენ.
რა ვქნათ, თუ ჩვენში სხვა არაფერი დარჩენილა წარსულისკენ გაუხედავი;
რა ვქნათ, თუ ასე, ძარღვებივით, ჩაუვლიათ უკანასკნელ ცნობებს
და ჩვენთვის არც კი გამოუკითხავთ - რას უფრო მეტად ვსაჭიროებდით:
სიტყვას თუ იმას, რაც თითქმის ყოველთვის საცდელი ქვაა იმათ ხელში,
ვინც საცდელი ქვაა იმათ ხელსმიღმა, ვინც ჩვენ მორიგი თვალით გვაკვირდება
და ერთხელაც ვხედავთ, როგორ იძახის:
იცოდე, იცოდე, თვალი იქნება თუ ყურება, ხედვა იქნება თუ მზერა,

იცოდე, იცოდე, არცერთ შემთხვევაში არ უნდა შენყდეს.

ხოლო მე, ჩემს ასაკში - (გეუბნები) - ჯერ არ მინახავს, ვინმე მალავდეს და არ ცრუობდეს.
ამიტომ - (გეუბნები) - ჩასვი ზემორეგამოთქმული ბრჭყალებში და გამეცალე.

## გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე

კარგია, რომ რაღაც არ დაღლილა -
მაგალითად, ის, რაც ვერ ვნახე ან ის, რაც სხვებმა ნახეს;
მოკიდე ხელი ყველა ჩემს სიტყვას და გადაყარე მარჯვენისაკენ;
ისინი არიან ასოები ჩემი ხორცის,
რომელიც შიშველი და გარუჯული დატანტალებს
აპრილის წვიმასავით თბილ მინდვრებზე -
ის არ გადაჰყვა ჩემზე ზრუნვას, არამედ მომკლა
და თვალდახუჭული გამაქანა იქ, სადაც სამოთხე ეგულება, შენილბული, სრული;
სადაც არავინ ეკითხება არავის, თუ მისმა დახუჭულმა თვალებმა რა ნახეს
სიზმარში
ან რა მოიმოქმედა შორს - ცაში - დარჩენილმა ზეცამ;
რა მიაქვთ და რა მოაქვთ სცენაზე, როცა მზე ჩასვლას არ აპირებს;
როცა არსაიდან არ ქრიან ქარები და არ მოაქვთ
ჩემი დაკარგული სატრფოს გამოსახულებიანი მტვერი ან ნისლის მთელი წყება.
მე კი მაინც ჯიუტად ვჩურჩულებ, რომ ის ხე წაიქცა და ქვეშ არავინ დაუტანია,
რომ მირჩევნია სულ არ ვიფიქრო, ვიდრე დავბრუნდე აქ, სადაც ვწევარ
და ტოტების მტვრევა არ ესმით ჩემს ფანჯრებს, ყურებს და ამ გაუთავებელ
ჰანგებს.
გგონია, დამივიწყა? ჩქარი მატარებელივით ჩაივლის
წვიმების სეზონი მის ხსოვნას, და ჩემთან მოიყვანს დაღლილს, გარუჯულს;
აუტანელია ერთმანეთში გადასული ამდენი საგანი,
როცა შენ უკვე ქვეითი ხარ და - უცნობი, შარა-გზის ყაჩაღივით;
აუტანელია ხე, რომელიც ვილაცაზე ფიქრმა წააქცია და სამუდამოდ შეატოვა
თოვლიან მთის კალთებს ან გაზაფხულს, დაახლოებით ისე,
როგორც მადლობელი ვარ ყველაში ყველაფრის, რამაც საკუთარ სახეს და
ხელებს შემატოვა და წელიწადის ყველა დრო ბევრად უფრო ხანგრძლივი
გამოდგა;
როგორც ქალებისთვისაა ნანატრი და სასურველი ის, რაც კარგარეთ ეგულებათ.
ყოველ შემთხვევაში, კარგად ვგრძნობ, როგორ წერს და ინახავს
საკუთარ თავს ყველა მორიგი განწყობილება
სადღაც ჩემს მიღმა, და ჩემს გულს უნდა - შენც განიცადო
გადაჯგუფების სიმარტივე, მოსაგვრელი სითბო, სრიალით წამოსული ყინვა.
სიკვდილზე ფიქრივით ჩაივლის წვიმებს ეს ერთი სეზონიც;
გგონია, დავავიწყდი ჩემს მოსაძებნ სატრფოს?
გგონია, წამერთვა იქ დგომის უფლება, სადაც წითელი და შავი ერთმანეთს
ჰგუობენ?
გგონია, იოლია იცოდე, რა ჩაიდინეს ცაში დარჩენილმა, შენსკენ გამოქანებულმა
ჩემმა
ტყიურმა სიზმრებმა და ზეცამ?
მერე რა, რომ ყველა ერთიდაიგივე სიკვდილი, რომელსაც მივმართავთ,
სხვადასხვაა;
მერე რა, რომ მე შენს თვალს ისე არ ვეხები, როგორც შენ - იმისას, ის კი - ჩემსას;

მერე რა, რომ ყველა სანოლი თავდავიწყებით არ ბრუნავს, მაგრამ
ყველა შეიძლება ბოლო აღმოჩნდეს შენს ცხოვრებაში.
განა აუცილებლად საყელო უნდა გაიღელო იმის შესაცნობად,
რომ "ძალიან ბევრი" ხშირად მართლა ძალიან ბევრია, და თეფშს მუშტი დაჰკრა,
როცა ისინი, - შენი ხელები, - ღამის ყელიდან აღმოცენებულ თანალმობას
თავიანთ თავს ართმევენ და ერთმანეთს უხსნიან.
ღამის გამოთხრილი ყელიდან ამოზრდილ ნიშანს.
აი, ამიტომ მოგიწოდებ:
მოკიდე ხელი ჩემს სიტყვებს და გადაყარე ირგვლივ,
როცა დაბრუნებულს აღარავინ დაგხვდება ცოცხალი:
არც მაგიდა, არც წიგნები, არც სინანული, არც მარადიული ხსოვნა ცოცხლების,
რომლებმაც ისე გიღალატეს, რომ შენს ბედზე ფიქრის
ერთი მისხალიც არ დასცდენიათ და ფხიზლად, ერთგულად მოგელიან;
მაგრამ როგორმე უნდა ისუნთქო,
არ უნდა დათმო ის, რაც ღირდა ამდენ წვალებად:
ასოები შენი ხორცის, შენი მოსაძებნი სატრფო, წასაქცევად გამიზნული ხეები,
განლაგებების და ერთჯერადი მოძრაობების მრავალფეროვნება;
ყოველთვის შენგან გაუსვლელად,
ყოველთვის იმისგან გაუსვლელად, ვისაც შეხვდი და არ მოკალი.

## მკვლელის სიმღერა

(ტრადიციულ-რომანტიკული)

1.

მე ის მოვკალი.
მე ის ძალიან კარგად მოვკალი.
მე ის ძალიან მდიდრულად და ზუსტად მოვკალი.

2.

მე ამ წუთისთვის ისე დიდხანს ვემზადებოდი!
მთელი ცხოვრება ამ წუთისთვის ვემზადებოდი.
მთელი ცხოვრება მამზადებდა მე ამ წუთისთვის.
მთელი სამყარო მამზადებდა მე ამ წუთისთვის.
და მან - სამყარომ - იცოდა, რომ ეს მოხდებოდა.
და ის - სამყარო - ჩემსკენ იყო კვლავინდებურად.
და ეს საქმე რომ არ ჩამედინა, მეორედ მოსვლაც არ იქნებოდა.
რომც ყოფილიყო, მნიშვნელობა არ ექნებოდა.
აი, ამიტომ დანა ზუსტად უნდა გამეხსნა.
ჩემს დანას უნდა ემუშავა, მე კი მხოლოდ ხელქვეითად გამოვდგომოდი.

3.

გულის ჯიბეში დანა მედო,
კარგი დანა მედო.
და დანა ისე იოლად და სწრაფად გავხსენი,
მე ვიყავი ეს დანა თითქოს.

4.

მიხაროდა, ძალიან მიხაროდა.
ბედნიერებასაც უხაროდა, ჩემსავით უხაროდა.
ო, როგორ უხაროდა! ო, როგორ ვუყვარდი!
ო, რა ტკბილად და დანასავით ნამდვილი და ზუსტი სიტყვებით მეფერებოდა!

5.

მე ვინც მოვკალი, ის არ იყო ჩემი სამიზნე;

მე ვინც გავფატრე, ის არ იყო ჩემი სამიზნე;
ეს წუთი იყო ჩემი სამიზნე, ეს ბედნიერი ჟამი იყო ჩემი სამიზნე -
საუკეთესო დრო სამყაროში;
მოულოდნელი ეს ნესრიგი და მხურვალება;
აი, ზეიმი - ვერასდროს რომ ძალით მოსვლას ვერ აიძულებ!
დღესასწაული - ყოველთვის რომ თავისით მოდის!

6.

სასურველი იქნებოდა - გულში ჩამესო,
პირდაპირ გულში შევსულიყავი!
მაგრამ გული ხომ ერთი ბეწოა,
და მერე ისიც - ძვლის საკანში გამოკეტილი,
ნეკნებს იქიდან მონყენით და მოცახცახედ გამომზირალი.
ცხადია, ნეკნი შეიძლება გაჯიუტდეს და არ შეგიშვას!
და, ერთი წამით, ესეც დავუშვი:
შეიძლებოდა, ნეკნს უბრალოდ გაეხრჭიალა და დარტყმა თავის თავზე აეღო;
მაშინ ხომ სისხლი სულ ამაოდ დაიღვრებოდა.
ჩემი დანის გასანბილებლად დაიღვრებოდა.
ჩემი დანისთვის ამაოდ და წარუმატებლად დაიღვრებოდა.
როგორც ჩანს, უფრო საიმედო იქნებოდა მუცელში შესვლა, -
სადმე ჭიპის მიდამოებში: მარჯვენივ ან მარცხნივ, ზემოთ ან ქვემოთ.
რაც შევა, კიდეც დატრიალდება ან ისრიალებს ორიოდ წამით,
სადმე ღვიძლისკენ ან სულაც ჭიპში - მუცლის მექაში.
მაგრამ დანისთვის ტანსაცმელი ისეა, როგორც ხმლისთვის აბჯარი;
განსაკუთრებით: თუ მუცელი მკვრივია და კარგად ნაწრთობი.
ამიტომ უფრო საიმედო იქნებოდა ყელის გამოჭრა, -
არტერიები ჩაიხსნებოდნენ და საყლაპავ მილსაც ვნახავდი,
ახლა უკვე ორად განწვალულს, - გაღმა-გამოღმა შეთამაშებულს.
ო, რა სასტიკად მეშინოდა, მოულოდნელად ეშმაკს არ ეთქვა თავისი სიტყვა!
ო, რა სასტიკად მეშინოდა, რომ ვერ მომეკლა!
მეშინოდა, რომ ვერ მომეკლა!

7.

მაგრამ მე მაინც გულში შესვლა გადავწყვიტე, და ასეც ვქენი.
და ისე მშვიდად, ისე ცივად მოძებნა დანამ
გულიც და ფრთხილი გულისცემაც, რომ უმალ მივხვდი:
ისინი დიდხანს, ძალზე დიდხანს იცნობდნენ ერთურთს,
ისინი დიდხანს, ძალზე დიდხანს ეძებდნენ ერთურთს,
და როცა ნახეს ერთმანეთი, არ დაბნეულან, -
ორივემ ერთად გაიწვდინა ღმერთისკენ ხელი,
ორივემ ერთად გაიშვირა ღმერთისკენ თითი,

და ეს ორი გზა, და ეს ორი მიმართულება
შეხვდა ერთმანეთს და უფრო შორს აღარ წასულა.
იქ, უსათუოდ, იდგა ღმერთი და არ ფიქრობდა
არც ჩემზე, მაგრამ არც - იმაზე, ვინც მე მოვკალი;
ის არ ფიქრობდა არც დანაზე, დიდი ხნის წინ ჩემს ხელს შეზრდილზე.
და მე ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, თუ შევიტყობდი,
რომ ის ფიქრობდა ასეთნაირად:
"კარგია, როცა არის სიკვდილი და არის ისიც,
ვინც მოკლავს იმას, ვინც სიკვდილი დაიმსახურა".
და ამ ორმა გზამ ერთმანეთი დააფასა და მოიპოვა,
და გაიმარჯვეს დანამ და მისმა მონა-მორჩილმა.
ის იქ შევიდა, სადაც უნდა შესულიყო ნებისმიერმიზეზგარეშე.
და მე ვიხილე, ჩემმა დანამ როგორ მოკლა ადამიანი,
რომელმაც ერთ დროს შეურაცხყო ადამიანი და შეურაცხყო თავისუფლება,
თუნდაც ისეთი უპატრონო, ისეთი მწირი,
როგორიც იცის ჩვენმა მიწამ, და უამრავი
მოძალადის მზერის სუნით გაჟღენთილმა ჩვენმა ჰაერმა,
აყროლებულმა დამალული ამდენი მზერით,
ამ მიწამ, სადაც ერთმანეთს ჰგავს ძალიან ბევრი,
მაგრამ არა - ჩემს სანდო დანას,
რომელმაც ისე მიერთგულა, როგორც მე - ხსოვნას.
ხსოვნას, რომელიც ხიდია და გადარჩენაა.

8.

მე არ მიგრძვნია სისხლის სუნი,
და არც - სუნი მომაკვდავი ადამიანის.
მე მხოლოდ დანა გავუყარე და გამიხარდა,
რომ საიმედოდ გავუყარე, და დავუკვირდი,
რომ სისხლი არსად არ წასულა,
სისხლმა იქვე იწრიალა, - სხეულის ირგვლივ.

9.

მიხაროდა და ასე ვფიქრობდი: თუ ეს დანა ერთადერთია,
რომელმაც შეძლო ადამიანის ღირსების დაცვა
და საკუთარი ღირსების დაცვა და ხსოვნის დაცვა
და იმის დაცვა, ვინც ვერ გადარჩა მხოლოდ იმიტომ,
რომ მაშინ დანა არ არსებობდა, რომელიც მას დაიფარავდა,
და ვინც გაიგებს, რომ აი ახლა, აი ამ წუთას
მას საკუთარი ტკივილით და ხსოვნით იცავენ,
მაშინ ეს დანა ჩემი ღმერთია
და მე ეს დანა ისე მიყვარს,

როგორც ჩემი არსებობა მოკლულის თავთან ამ დანით ხელში,
როგორც ჩემი არსებობა ყოველთვის, ყველგან ამ დანით ხელში,
როგორც საერთოდ ყველაფერი, რაც არავის და არაფერს არ ჰგავს
და რაც ძალიან მარტოსულია
და რაც - უბრალოდ - თვითონაა ყველაფერი, რაც ამ სასტიკ მიწაზე ხდება.

## სენტიმენტალური ავტოპორტრეტი

...თუ მაინც უნდა დაისაჯო,
ეცადე - ისე დაისაჯო,
რომ სხვებმა, ახლებმა, არ გამოტოვონ ის,
რაც ძველი შედარებებივით საჭირო შენმა იმედმა გამოტოვა.
შენი ბობოქარი სიუჟეტი - ესაა ნასაქცევად აგებული მრავალსართულიანი
სახლების მწკრივი,
რომელიც ყველა შესაძლო ჰორიზონტმა დაივიწყა და მზესთან ერთად მიდის;
შინაარსი, რომელშიც ხესავით იზრდები - ესაა ფოთოლცვენა,
რომელიც ყოველთვის იყო მორიგი და ყოველთვის შენსავით შესრულდება.
ძალიან დიდხანს, თითქმის მთელი ერთი წამის განმავლობაში,
იცოცხლა იმან, ვინც შენ გიყვარდა.
მაგრამ შენ უკან მოიხედე და შენიშნე,
როგორ ჩქარა მოიცვა მისი ფიქრი ყველა ასაკმა,
და ასე ესიტყვე:
"ოდესღაც შენს ტანსაც ლამაზი და მოხდენილი ხელები ჰქონდა;
განა ისინი ერთხელ მაინც შეეხნენ სითბოს,
რომელიც ზღვამ ჩემს უხეშ სიზმრებში გამორიყა?
შენი ხელები ჩემს თვალწინ მღეროდნენ,
მე ვიყავი ხანგრძლივი მოწმე მათი ჭკნობის".
შენი მოძრაობები სავსეა ხმაურით,
საიდანაც უკვე სულ სხვები, -
შენთვის უცნობი წყვილები და მოძრაობები, - იბადებიან;
მათი მონდომება სავსეა ჰაერით,
რომელიც პურივით საჭირო შენმა ფილტვებმა გამოტოვეს,
წყალივით საჭირო შენმა ჰაერმა არ აღნიშნა.
მათი სიტყვები სავსეა იმედით, რომელიც უკვე კუპრივით ცაა,
სადაც თვალი ველარ ხედავს მთავარ ვარსკვლავებს.
ახლა შეიძლება წარსულსაც რაღაც დაარქვა და თავი მოუყარო.
შენი ბობოქარი სიუჟეტი ყოველთვის ერთია.
წასული ჰორიზონტი, ვფიქრობ, ძალიან ჰგავს რომაელ იანუსს.
შენი ბობოქარი სიუჟეტი, ვფიქრობ, ძალიან ჰგავს ჰერმესს.

# მთის მონასტერი

(ბერის სიმღერა)

ყოველ დილით წყალს ვეზიდები შეუმჩნეველი ნაკადულიდან,
მშვიდად გავყურებ ცვალებად ღრუბლებს;
არ ვიცი, ისევ მოვა თუ არა ჩემთვის ზამთარი,
მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ,
გარემოცული მაღალი მთებით და ფოთოლცვენით,
სადაც ამდენი მოკვდავი სახლობს - ამდენი სუსტი ადამიანი;
ფიჭვები ჩემზე არ ფიქრობენ იმიტომ, რომ ისინი მე ვარ
ყოველთვის, როცა ჩემზე ფიქრობენ;
მე არ ვმწუხარებ, ჩემი სენაკის თეთრი კედლები
რატომ არ ჰგვანან ბამბუკის სხლტეზე დაფენილ თეთრ თოვლს;
მეთევზეთა და ტყისმჭრელთა გზები ერთმანეთში გადახლართულან
და ასი წელიც რომ გავიდეს, ერთმანეთისგან მათ გამორჩევას არ ვისურვებდი;
უკვე ვერ მღლიან მოგონებები წარსულზე, ჯერაც რომ არ მქონია;
არც იმას ვფიქრობ, თითქოს ჩემს ლოცვას აყურადებდეს
ჩაჩოქილი ლურჯი ირემი, რომლის სუნთქვასაც თითქმის მთელი ტანით ვეხები;
ნეტა სესონი სადაა ახლა?
მხოლოდ ღამეს და მთვარეს ელიან მწიფე ქლიავის ეს ტოტები,
ოდინდელი ჩემი სიზმრები რომ წამოშალონ
და მოაბნიონ ამ სახურავებს და ამ მიდამოს,
სადაც ურიცხვი ადამიანი ღრუბელია, ტყეა, ციყვია,
და ეს ველური ბატებია,
და ყველასთვის შეუმჩნეველი ნაკადულია,
ხეტიალია მთის ბილიკებზე,
ცივი, სასტიკი ქარებია, და მონასტრის მიდამოებში
შეგროვებული მშრალი ფიჩხია,
რომელზეც მერე ფეტვი უნდა იხარშებოდეს ორმოცი წელი;
ყოველ მიმწუხრზე ქარს მოჰყვებიან წეროები ჩემი ფიქრისკენ,
მაგრამ ჩემზე როდი ფიქრობენ;
ვერ გამიგნია გზა შინისკენ ალბათ იმიტომ,
რომ არც არასდროს მისურვებია;
ნაფოტივით ვწევარ მინაზე,
მშრალი ძვლები მშრალ ფიჩხებს მიგავს;
ახლა რომ მკითხონ, ვერ ვუპასუხებ, რა ერქვა იმ ქალს,
ვინც ხშირად იყო ერთ დროს ჩემს გვერდით,
ვინც ხშირად იყო და გულს მითბობდა;
ზეზეულად თვლემენ წვიმები;
ხის ყველა ტოტი, ყველა კენწერო ადამიანის თბილი სულია
და - ახლა ვფიქრობ - ესეცაა: ქარის ყოველი წამოქროლება
და მთის კალთებზე ჩამოთოვლილი ხმელი ფოთოლი.
წყალს ვეზიდები შეუმჩნეველი ნაკადულიდან.

## ჰიმნი ღამისადმი

1.

თეთრი სახლის წითელი სახურავი
და მწვანე მთის მწვანე ქიმი
ერთმანეთს უამბობენ შინაარსიანი,
მაგრამ სულისშემძვრელი იმ ღამის შესახებ,
როცა ჩვენც შევწყდით და მოგონებებიც შეწყდნენ.

2.

მარტი ყვაოდა.
ვკითხე: "როგორ აჩერებ ენას პირში?"
"ცივი ხელებით შევეხოთ ერთმანეთს, - თქვა, -
სუნთქვით შევეხოთ გუშინდელ ერთმანეთს".

3.

ხოლო სიზმარი იყო ასეთი:
"ბებერო და რთულო ხეებო,
მზად ხართ თუ არა წასაქცევად მარჯვნივ ან მარცხნივ?"

4.

მოხარულთა და მგლოვიართა რაოდენობას, ერთად აღებულს,
ბევრად აჭარბებს ორ ნებისმიერ მოძრაობას შორის მანძილი,
ხოლო ამ მანძილს - ნებისმიერი შესრულებული მოძრაობა.

5.

მაგრამ:
შენ ისე რატომ ჭამდი მეთქი ვაშლს
(ჩემმა ხელმა რომ გამოგიწოდა),
როგორც მე ვმჯდარვარ არა ერთხელ ტელევიზორთან
აფრიკის მოლოდინში ან კაკადუს პირისპირ?

6.

მოძრაობა არსებობს მაშინაც, როცა სრულდება და -

მაშინაც, როცა არ სრულდება,
ისე, როგორც არსებობს მაშინაც, როცა ვხედავთ და -
მაშინაც, როცა ვერ ვხედავთ.

7.

ღამურები
და პანტაგრუელის კეთილი ხახიდან გაქცეული ადამიანები
ერთმანეთს უამბობენ:
"ჩვენ უნდა წავიქცეთ მარჯვნივ ან მარცხნივ,
მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენსკენ".

8.

განა შენც აღიარე, რომ
"განიცადა ის, რასაც შევეხე;
მოუსმინა იმას, რაც მომესმა;
დაინახა ის, რასაც შევხედე"?
განა შენც ასე თქვი:
"ნუ მოიკლავს იმას, რაც მიყვარს"?

9.

ღამე თავს უყრის მოძრაობებს
და ანიჭებს ვინმესთან ან რამესთან შეხების უნარს,
რათა დასასრული აღინიშნებოდეს ყველგან და ყოველთვის.

10.

თეთრი სახლის წითელი სახურავი და
მწვანე მთის მწვანე ქიმი
ერთმანეთს უამბობენ:
"აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ.
მაშინ მიწა დაემთხვევა მიწას,
ცა დაემთხვევა ცას,
ჩვენც არ დავემთხვევით მაშინ ერთმანეთს".

11.

სახლი მთაზე დგას.

მთა კარგად მოჩანს ჩვენი სახლიდან,
რომელიც მთაზე დგას
და რომელშიც ყველა ღამე ერთმანეთში და ერთად შრიალებს.
მაგიდის ირგვლივ თავები უხმოდ მოძრაობენ.

12.

მაგრამ:
"დაე, იდინონ ჩვენმა ხელებმა
ნებისმიერი შეწყვეტილი ხმის მიმართულებით,
თუ მათ ეს ღამემ უკარნახა".

13.

მაგრამ:
"ქვეყნიერებას ერთი წამით შეავლო თვალი.
მერე დაბრმავდა და მრავალ წელს იარსება თვალდავსებულმა,
ხოლო იქ, ძილში, ის ყოველთვის ხედავდა სიზმარს,
იმ ერთი წამით ნასათუთევს, რომელიც იყო
მისი ბედისკენ მოშრიალე წითელი ვარდი,
მილიონ სიზმრად ამოსული წითელი ვარდი".

14.

მაგრამ:
"ბევრმა იტირა და იცეკვა;
მე ვნახე ჩემი თავი, რომელიც წავიდა და მომძებნა;
მე ვნახე სინამდვილე -
ჩემი და ჩვენი პირდაპირი ცხენი და სიზმარი,
ამდენი ცარიელი საქმე -
ჩემი და ჩვენი სინამდვილე,
ჩემი და ჩვენი მწვანე მთის ქიმი".

15.

თეთრი სახლის თეთრი სახურავი
და მწვანე მთის მწვანე ქიმი
ერთმანეთს უამბობენ იმ ღამის შესახებ,
როცა ჩვენც შევწყდით და მოჩვენებებიც შეწყდნენ.

16.

მაგიდის ირგვლივ თავები დადიან.
ერთმანეთს ეძებს ორი შემხვედრი მოძრაობა.

17.

მარტი ყვაოდა.
ვარდი ისაა, რაც უნდა დაჭკნეს.
იგი უნდა აღინიშნებოდეს ყველგან და ყოველთვის.

# ძველი მოტივი

და ის ისეთი კარგი იყო თავის სევდაში
და სევდანარევ თავის ტკივილში
და ტკივილიან მოგონებებში ჩემზე და შენზე
და იმ აგვისტოს მიდამოებზე,
სადაც მრავალი ფეხი შეგროვდა
და მიმოფანტა ირგვლივ უჩვევი -
თვალისთვის და ხმისთვის უჩვევი -
საგნები და მითითებები,
და ის ისეთი სიმღერების შესაქმნელად შექმნა ბუნებამ,
რომ ჩვენ გვრცხვენოდა მასთან ერთად ფიქრი და სუნთქვა,
რომ ჩვენს ფიქრებსაც რცხვენოდათ ჩვენი
და თვალს ირიბად აპარებდნენ შემოდგომის მიმართულებით
მიმქროლავი იმ საგნების მიმართულებით,
რომლებიც უკვე მზერას თითქმის აღარ უფრთხოდნენ.
ისე მსუბუქად მოძრაობდა და ისერებოდა,
ისე ბრუნავდა საგნებისგან დაცლილ ფერებში,
რომ თვალს ვხუჭავდით და ტირილი - ქვეყნიერების
ყველა კუთხიდან ყველა კუთხეს დასწრაფებული -
ჩვენს ბნელ გულებში თავისმოყრას დასწრაფებული,
უკვე თითქმის არ არსებობდა.
და ის ისეთი კარგი იყო, როცა გადარჩა,
რომ ჩვენც გადავრჩით და ვიმღერეთ, რომ ის გადარჩა,
და რომ დიდია სიხარული ყოველთვის, როცა
აღმოაჩენენ დანწყევლილი ჩვენი სიზმრები,
რომ არანაირ დასტურმყოფელს არ საჭიროებს
არც ერთი ფერი და არც ერთი მიმართულება,
რომელმაც შეძლო გაქცეოდა მზერას და საგნებს
და გასულიყო იმ არყოფნაში,
სადაც ყველაფერს სახელი ჰქვია,
სადაც იციან, რომ სიბნელე რაღაც კარგია,
რაღაც ძალიან ნაცნობი და მშობლიურია,
და რომ ჩვენც თითქმის ასეთი ვართ ერთმანეთისთვის.
და ის ისეთი კარგი იყო თავის სევდაში,
რომ ჩვენ ვტიროდით ერთმანეთის ხმით და თვალებით
და გვიხაროდა, რომ ჯერ კიდევ არ ვარსებობდით
და გვიხაროდა, რომ ჩვენშივე იყო შეხება.

## სითბო შენი მოძრაობისა

რამ გაიძულა გადახვევნა სიტყვების ჩრდილში
სადაც შენს ფიქრებს დაუკარგავთ მნიშვნელობები
ეს დროც კი -
ხსოვნამ უსარგებლო რამე ნივთად რომ შეგატოვა -
შენი არ არის

ვინც არ მომხდარა
ის შენს სიტყვას არ საჭიროებს

განზე გამდგარან შენი რთული მოძრაობები
და შეყოლიან შიშის ბილიკებს
მნიშვნელობები დაუკარგავთ
მნიშვნელობად გადაქცეულებს

ვინც უკვე მოხდა
ის შენს სიტყვას არ საჭიროებს

აგჯანყებიან ურთულესი მოძრაობები
და მნარე ნაყოფს შეხიზნვიან
მნიშვნელობად გადაქცეულნი

ვინც უნდა მოხდეს
ის შენს სიტყვას არ საჭიროებს

ერთმანეთის ბედს შედგომიან
შენგან გასული მოძრაობები
ერთმანეთს კი არ იკარებენ

გაუზიარე შენი სიტყვა იმას ვინც ხდება
ახლა ვინც ხდება ყველგან ყოველთვის

როცა მოაწევს მწიფობის დღე
მწარე ნაყოფი
ხმებს გამოსცემს შენგან წასულ მოძრაობებად

## ადგილობრივი ელეგია

შეხედე როგორ წვიმსო თითქოს მაგრამ არ წვიმსო
თუ დარცხვენილმა ჩემი ცისკ-
ენ ჩავკიდე თავი
მაგრამ შეხედე მაინც როგორ არ წვიმსო მაგრამ
რატომ არ წვიმს-
ო მაინცდამაინც აქ ამ მხარეში
სადაც ხანგრძლივი წვიმები იცის ყოველთვის როცა
ჩვენ აქ არ ვართო
და სწორედ ახლა მკვდარი მტრედის მარჯვენა ფეხი
რატომ არ წ-
ვიმსო მაინცდამაინც აქ ამ მხარეში
სადაცხანგრძლივი წვიმები იცის ყოველთვის რ-
ოცა ჩვენ აქ არ ვართო
ყვერულებს შორის მოკისკისე შენი სამშობლო
და სწორედ
ახლა რატომ არ წვიმსო მაინცდამაინც ამ
ამ მხარეში
სადაც წვიმს მაგრამ მაინც არ
მიდის და მერეც მიდის შემოდგომის მხარდამხარ კაცი
სახლივით მძიმე გამჭვირვა-
ლე თითქმის უმანკო
მაგრამ თუ მაინც რას იზამ მაინც
თუ მაინც მაგრამ მაინც წვ-
იმს თუმცა და ერთმანეთსაც არ ასველებენ არც ეს წვიმები და არც ეს ბედით-უ-
ბედოები
ყველა ზურგი ერთნაირად თუ არ სველდება
მაშინ ო მაშინ რატომ არ წვი-
მს და იმ უდღეურს რა უხაროდა თითქმის ძალიან
და უფრო ალბათ მაინც ალბათ ო-
დესმე ალბათ
ოჰ როგორ ჩვენთვის და ასე წვიმსო
და ნუ გადარჩა და რას გადარჩა
მაგრამ შეხედე
რა ზემოთ-ქვემოთ და პირიქით წვიმდაო წვიმა და არ წვიმდნენო მ-
აინცდამაინც იმ ღრუბლებიდან საიდანაც ღრმა ბავშვობაში ჩვენ ვწუნაობდით და ვ-
უსველებდით ერთმანეთს შარვლებს
რომლებიც თუმცა თითქმის არასდროს არ ა-
რსებობდნენ თუ ახლა აქ ვარ და გადმომცქერის შეუღებავი ეს სახურავი თავის ო-
დინდელ მტრედებთან ერთად
იცი რას გეტყვი აიკრიფე გუდანაბადი
და კიდევ იცი
რამდენ რამესაც საინტერესოს და კარგს გეტყვიო მხარ-თეძოზე თუ წამოვწექი

მაგრამ მაშინ ხომ მეც გეტყვი მეთქი
ისევ მოფრ
ინდა და შემომცინა
დასაკარგი
რა გაქვსო მკითხა
ბევრი მაქვს მეთქი დასაკარგი
რა გაქვსო მკითხა
ჩემი მინისკენ
ჩავკიდე თავი
გაელიმა ჯერ რა ცოტა დაგიკარგავსო
მაინც ვიცოდი რომ გროვდებ-
ოდა აქვე ჩემს ირგვლივ და თითქმის ჩემი თვალების მიღმა
თუმცა და როცა აბა ს-
ად მიდის
ის კარგად დგას და კარგადაც მიდის
სახლივით მძიმე და დახუნძლული აი
იქითკენ
საიდანაც წინკარში წვიმა შემოპარულა და კრუტუნებს და შემნვარ რძეს
ითხოვს
შენი სამშობლო მოვიარე და ყვერულებიც ბევრი ვჭამეო
და ვუსველებდი-
თ ერთმანეთს ფიქრებს რომ თუმცა მაინც მიხურე კარი და ყველაფერი რაც თვალებს
ხუჭავს
მაგრამ შეხედე როგორ წვიმსო და როგორ არ წვიმსო თუ მაინც წვიმსო და
თუმცა მაინც არავითარ შემთხვევაში
თუმცა მოკურცხლა
ღრუბლებისკენ და ღრ-
უბლებისთვის დასასველებლად თუ სადმე შეგხვდეს
მაგრამ იცოდე აისროლე არ დ-
ავარდესო აქ სადღაც ჩვენთან და ჩვენს გარშემო
და ვიდრე თუმცა ჩემი წვიმა და
შენი წვიმა აქვე ყოველთვის
არა გრცხვენია რა გატირებს ან არ გატირებს
ეს მხო-
ლოდ ისე ენას ვიჩლექდი და გიმღეროდი რომ როცა მაშინ
არ წვიმდა და არც წვიმ-
და მაგრამ ქარს მიჰქონდა ჩემი სამშობლო
შეჩერდი მეთქი ძალიან გთხოვ შეჩერდ-
ი მეთქი
ქამანდი მტყორცნე იქნებ როგორმე შემაჩეროო
რომ როცა მაშინ და ალა-
რასდროს
შენ ხომ გარეთ ხარ იმ ლექსის გარეთ
წვიმს მაგრამ მაინც თუმცა სველ-
ია ღია წინკარი

რომელსაც აი როცა კარგად ეწერ წვიმს იმ ყველაფერს რასაც არ
წვიმან ჩემი მკლავები
და ვერც შევსულვარ მაინც იმაში
რაშიც ვერ შედის ის რას-
აც ვწერ და
მინდა შევიდეს იმაში რაც რომ თუმცა და მაინც მინდა გამოვთქვა
რო-
ცა შენ წვიმდი ამას ნუ იზამ ნურასოდეს ამას ნუ იზამ
თუ გადაურჩა ყველა ზურგი
ერთნაირად არ სველდებაო
მაინც ვერ შეხვალ შენი სამშობლო უკვე შორსაა
თით-
ქმის შენში ან თითქმის შენს უკან
ო ქვაო ქვაო ისევ ჩემს სატრფოდ გადაიქეცი
თ-
უმცა როგორმე ვიცოდე ერთ დროს
რაც გააქვავე როგორმე თითქოს
ჯერ რა ცო-
ტა დაგიკარგავსო

## შავი ფერის უარყოფის ოპერაცია

(ამბავი)

მიცვალებულთა შორისაც რომ ვერ ჩავენერე
მაშინ დავრწმუ-
ნდი რომ ცოცხალი ვარ თითქმის ყოველ გაზაფხულამდე
საიდანაც ჩემი მკერდისკ-
ენ აჩქარებულან თვალსმიცემული მერცხლები და მათი შავი მოძრაობები
მახვილი
მახვილს ადევნებული ომს მოუწოდებს ჩადექიო მზის ამოსვლამდე ვიდრე ვერ ვხედავთ ერთმანეთს და ვერც იმას ვინც ჩვენ გაგვიმეტა მერცხლისფერი მინის მკერდში სამოგზაუროდ
ნუ ხუმრობ მეთქი ჩვენო კარგო ვთქვი უნებლიეთ და ჩა-
მუხლულმა მრგვალი ცისკენ ხელი წავიღე
მაგრამ ამაოდ მომელოდა ყველა მშობ-
ელი გაზაფხულამდე შენ ეს კარგად დაიხსომეო
მაშინ დავრწმუნდი რომ მეც ვყო-
ფილვარ ერთ დროს მინაში და მეც მინახავს როგორ ქმნიდნენ სიტყვები ომს და ერთმანეთისთვის ქმნიდნენ ერთმანეთს რაც თითქმის არსად არ ხდება ხვალზეგ-
ან მილიონი საუკუნის წინ
რომ უნდა განვლოს საამისოდ წამის რაღაც მეჩვენედმა
ან სულაც ჩემმა მერცხალივით წითელმა გულმა რომელიც ფეთქავს ვიდრე ვერ ვხედავ და ვიდრე თვალი არ მოუკრავთ მისკენ ჩემს ფიქრებს იმ წარსულში დასაბრუ-
ნებლად ერთი ნაბიჯით წინ რომაა ყოველთვის როცა ჩამუხლული მისკენ ხელს ვი-
წვდი და ჩემი სიტყვა მიყვარს მისკენვე
მაგრამ შენ მაინც ცოცხალი ხარ ახლა ყოვ-
ელთვის და ჩამუხლული ხელს იწვდი ჩემი იმ სიზმრებისკენ საიდანაც მე გამოვდივარ ნაბიჯ-ნაბიჯ და ჩემი თავის გადასარჩენად
ან ვთქვათ იმ სიტყვის გადასარჩენად ს-
აიდანაც არარსებული ან არსებული ერთდროული ჩვენი ბრუნვისკენ ზურგშეუქც-
ევლად იღვრებოდა ძაღლის ყმუილი
საიდანაც ჩვენმა მკერდებმა ერთმანეთი გად-
მოანთხიეს და შექმნეს მინა სამი ნაბიჯის გამოჩენამდე
და ის ბრუნავს და მოგვიწ-
ოდებს არ ვიყოთ მარტო და ასე ამბობს
ვინც მარტოა არ დაეცემა და თუ დაეცა მა-
რტოკაცი ვინღამ უშველოს და ბოლო სიტყვა ვინ უჩურჩულოს და ვინ უამბოს რომ სითბო ჩნდება მაშინ როცა ორი გული ღამეს გადაკვეთს და ერთმანეთს არ დაივიწ-
ყებს და ღამეს ისე გაუმკლავდება რომ იანუსი იზეიმებს თითოეულში
მაგრამ სიტ-
ყვები ომს წარმოქმნიდნენ რომელმაც თვით ეს სიტყვები შექმნა და ფერებს შორის წარმოქმნილი სიცარიელე შეგვინარჩუნა შიგ დატმასნილთ და შავი ფერით უარყო-
ფილებს

სიტყვა და ნივთი
ერთმანეთში გარდამავალი ორი სიზმარი
მიწისგულისკენ
ამომავალი ორი მთავარი მიმართულება
როცა მზე ჩადის ყველა ციდან და რომ ის
ყოველთვის და ყოველგან ჩემზე წინაა
რომ კარგად უნდა დაიმახსოვრო რომ ის ყ-
ოველთვის სადღაც შენს უკან შენზე წინაა
და მრგვალი ცისკენ ცრემლნარევი
ხელი ნავიდე
გამაფრთხილა არ შეშინდეო
განა ყოველთვის ასე არ არის როცა ერთ-
მანეთს ეუახლოვდებით
ჯიუტად იცვლის ჩვენი სუნთქვა მიმართულებას ყოველთ-
ვის როცა ერთმანეთს ვხვდებით
ეს უნებლიეთ ამოვთქვი მეთქი გაღვიძებამდე რ-
აღაც ერთი ცხოვრებით ადრე
ხოლო ის ამბობს რომ ცა ჩავიდა და ჩაიტანა ჩემი იმ-
ედი იქ საიდანაც ეს-ესაა ამოვედი ჩემი სიზმრიდან
და საიდანაც ამოვედი მოღალა-
ტის ფრთხილი სუნთქვიდან როცა ის ჯერაც რიტმულად სუნთქავს და ღალატს გულში
არ გაუვლია
და საიდანაც ვერ ამოვალ ალბათ ვერასდროს
ხოლო ის ამბობს რომ გა-
ეღვიძა და რაც ვერ ნახა ირგვლივ ნამდვილი მე დამიბრუნა
გთხოვ ამას მაინც ნუ
იტყვი მეთქი
კარი შეაღო და შემოვიდა
გთხოვ ნუ გიშველის ახლა სიკვდილი გთხოვ
ნუ მთხოვ მეთქი იმას რაც ითქვა
კარი უსიტყვოდ გაიხურა და ჩემთან დარჩა
ოჰ ეს
რამდენი გიწვალია თითქმის რამდენი სიცოცხლე გაქვს მოვლილი მეთქი
მერე ერ-
თმანეთს ვეფერებოდით
შენ ახლაც ხუმრობ ძაღლის ყმუილი ნუთუ ალერსად გა-
დაგექცაო
და ვერ ვენევი მაშინ როცა ვუსწრებ და ვხედავ
როგორ ივსება ჩემი სუ-
ნთქვის რეზერვუარი ათასი ჭუჭყით და სიხარულით
და ხელს იწვდიდა ჩემი სიზმრ-
ისკენ თითქმის იმ ჩემთვის ჯერაც უცნობ გაზაფხულამდე რომ არ დადგა და არ
დადგა ჩემთვის რომ არ დადგა და არ დადგა ჩვენთვის
რომ იღვრებოდა მაგიდაზე
დაღვრილი წყალი და არ ცდილობდა არ დაღვრილიყო და არ ცდილობდნენ ჩვენი ხ-

ელები ერთმანეთისთვის არ ეპატრონათ ვიდრე მერცხლებში კიდევ ერთხელ იმოძრავა მკვეთრმა შავ-თეთრმა და დაილევარა მინაზე წყალი

მშვიდობით მეთქი

უტყვად მიმზერდა

მშვიდობით მეთქი

მყიფე დასტური გაიმეორეს მისმა თვალებმა

მშვიდობით მეთქი

შებრუნდა და არ გამეცალა

ოჰ ეს რამდენი გინვალია ვერ აარღვიე განა მინა მაინც ძვირფასო ვერ მოკვდი მეთქი ჩემზე უჩუმრად

ოჰ ეს რამდენი გინვალია დაღვრილ წყალს რომ ამოყოლოდი

ძაღლის ყმუილს რომ ასე ზუსტად ამოყოლოდი და გეერთგულა შენივ ხსოვნისთვის

რომ სითბო ჩნდება მაშინ როცა ფერი კვდება და ფერებს შორის მოძრაობა იბადებაო

რაც ითქვა შენსკენ გაუჩინარდეს და შენთან ერთად წყალს გავატანე რათა შენ მაინც გადამერჩინე იმ უხილავი ნივთების გავლით ფერებს რომ თითქმის არ ეხებიან - ნიშნებს საგნებს და ერთმანეთს რომ მოძრაობენო

# შელოცვა

დაცემული
უნდა წამოდგეს

ნუ მიიხედავ შენი თავისკენ
ეს - ერთმანეთის წასაქცევად აჩქარებულ ხმებს ფანტავს ქარი

რათა არ იქცე მიწად და ფერფლად
რათა არ იქცე იმად რაც შენგან წასასვლელად ვერ გაიმეტე
ნუ მიიხედავ შენი თავისკენ

დაცემული
უნდა წამოდგეს

ნუ მიიხედავ შენი თავისკენ
ეს - ერთმანეთის გასაჩენად აჩქარებულ ხმებს აქრობს ქარი
ეს - სიტყვა იწვის
ჩემს და შენს შორის მოძრაობისკენ

იყოს ცა შენი
ფერი შენი
სიტყვის ხმა შენი

ის რაც დაეცა
სიტყვებს შორის გამქრალ მანძილს ვერ მოიძიებს
ის რაც დაეცა
უსათუოდ უნდა წამოდგეს
არარსებული ვარდებიდან არსებული ყვავილებისკენ
ის უნდა იდგეს
ყველა ცისკენ ზურგშექცეული

ნუ მიიხედავ შენი თავისკენ
ეს - ერთმანეთთან შესახვედრად აჩქარებულ ხმებს უხმობს ქარი
ეს - სიტყვა იწვის
როგორც მანძილი
გადასარჩენი შენსკენ და ჩემსკენ

# ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ

აღფრთოვანებამ იცის:
სადღაც
უნდა შეჩერდეს -
თითქმის
ყველასთვის შეუმჩნევლად,
თითქმის იმისგან მოუშორებლივ,
ვინც მასთან ერთად დაცემას ცდილობს.
რა რჩება?
"უნდა" -
მაღალ რეგისტრში.
ყველა შესაძლო მიმართულებით.
ხელისშემშლელი.
მითითებებს გარიდებული.
მაგრამ ჯერ ბრუნავს
წამის რაღაც მესულერთედით
და - ზუსტად ისე,
რომ ამ გზაზე ჩვენ არ ვბრუნავდეთ;
რომ ბრუნავდეს და
ერთმანეთი არ შეატოვოს
ერთმანეთზე დამიზნებულ ნივთებს და სიტყვებს,
ყოველ მორიგ წამს
შეუნარჩუნოს
განზომილება და ხედვის კუთხე:

ალტაცება -
თითქმის არსაით.

## წმინდა ადგილი

I

წყალი - აქ - ჩვენში:
უნდა ითქვას:
წყალი - აქ - ჩვენში - ყველგან - ყოველთვის:
წყალი - აქ - ჩვენში - უხმაურო - უმიზეზო - გუშინ - დღეს - ჩვენში:

ნუ
უნდა ითქვას.
ნუ
უნდა მოკვდეს.
ყველგან. ყოველთვის.

წყალი - აქ - ჩვენში - მტერში ჩვენში - ხმაურში ჩვენში:

ნუ                    ნუ                    მტერი ჩვენი.
უნდა დაწვეს.    უნდა მოკვდეს.    ხმაური ჩვენი.

II

მტერი - წყალთა და ხმელთა გასწვრივ - ჰაერთა დამართ - მტერი შენი - ცას მოწყვეტილი - ბნელით მავალი - მძიმე - მძიმე - ბნელით მავალი - მტერი - და - მტერი - დაქანებული - შენსკენ - და - ჩვენსკენ - ყველგან - ყოველთვის

წართმეული
რამ წამართვას

რამ მომტაცოს
მოტაცებული

ფრთა: წართმეული: ხმელთა დამართ: ჰაერთა დამართ:

ფრთა:

ფრთის ნამსხვრევი ყველგან ყოველთვის შენზე და ჩვენზე დამიზნებული

წყალი -       მიმართულება
აქ              შენი
ჩვენში        და                    ჩვენი.

III

მტრის მტერი შენი -

მტერი შენი
განბანოს წყალმა

ცას მოწყვეტილი. ბნელით მავალი.

| | |
|---|---|
| მტერი შენი | მტერი შენი |
| ხმელმა | ჰაერმა |
| განბანოს | მოკლას |

ვარდნა ღრმად ჩვენში:
ვარდნა ჩვენში ყველგან ყოველთვის:

| | |
|---|---|
| ნუ | უნდა ითქვას |
| უნდა ითქვას | ღრმად |
| | ვარდნა |
| | ჩვენში |

სანთელივით უმიზეზო ლოცვასავით გზანათელი საყდარი ჩვენი

| | |
|---|---|
| ვარდნა | ვარდნა |
| ჩვენ | არ |
| ში | საით |

და

ვარდნა
ჩვენში. ყველგან. ყოველთვის. ნაქცეული ქვევიდან ზევით.

IV

უნდა ითქვას ყველგან ყოველთვის
ყველგან ყოველთვის მაგრამ -
შორის
ყოველთვის - შორის.
წყალი - აქ - შორის - ყოველთვის შორის.
ფრთა წართმეული. მტერი შენი - ნაქცეული ზევიდან ქვევით.
წყალი - აქ - ჩვენში.
ნაქცეული მარჯვენიდან ზევით.
წყლისგან დაცლილი. სადღაც ჩვენში. მძიმე და ჩვენი.

შორის -
ყოველთვის
ყოველთვის -
შორის

ხმელს მოკლებული: ნაქცეული მარცხნიდან ზევით:
მაგრამ -
წყალთა და ხმელთა მიღმა
მაგრამ -
შორის
მაგრამ -
ყოველთვის

V

მტრის სიტყვა შენი: სახე შენი დაკარგული ყველგან ყოველთვის:
მტერი შენი დაკარგული ყველგან ყოველთვის:
ვარდნა - აქ - ჩვენში: დაკარგული ყველაფერში: ყველგან: ყოველთვის

აქ -
შენში
ჩვენში

მტერი შენი
მძიმე შენი
ნერტილი შენი

აქ -
ყველაფერში

აქ - ყველაფერში

ნართმეული რამ ნამართვას
დაკარგული რამ დამიკარგოს

მიზეზთა და ხმელთა დამართ: ჰაერთა გასწვრივ წყალნაღებული.

და -
შორის

შორის -
ყველგან
ყოველთვის

მტერთა დამართ და სიტყვათა გასწვრივ ბნელით მავალი შენისკენ და
ჩვენსკენ ფრთა მოტეხილი ნამსხვრევი რამე უიმედო ფრინველი რამე
და მტერი ჩვენი მტერი ერთგული ცას მოწყვეტილი გარდმოსული შენ-
ზე და ჩვენ-
ზე

წყალი -
აქ
ჩვენში

როგორც სიტყვა. როგორც ნათელი გარდმო-
სული შენიდან ჩვენზე. შენიდან ჩვენ-
ში.

რაც უნდა ითქვას უნდა ითქვას ყველგან ყოველთვის.

ვარდნა შენი
ვარდნა ყოველი

ნუ
უნდა ითქვას

უნდა ითქვას მთქმელი ყოველი უტყვი ყოველი ხმა ყოველი სიტყვა ყოველი.
ხმაურთა მიღმა. ნივთთა მიღმა. ყველგან. ყოველთვის.

VI

ნუ უნდა ითქვას
ხე ყოველი მტერი ყოველი

ნუ უნდა ითქვას
თქმული ყოველი

გვიმრის ფოთოლი წართმეული
წართმეული სიტყვა ყოველი.

ნუ უნდა ითქვას
ნუ უნდა ითქვას მტერი ყოველი.

წართმეული. თქმული ყოველი.
ნამსხვრევი რამე. ხიდი რამე. სიტყვა - შორის - სიტყვა ყოველი.
ნუ - წყალი ჩვენში.

წართმეული რამ წამართვას. წაქცეული რამ წამიქციოს.

გარდმომავალი ბნელით ბნელში უხმო და უმტრო
ნართმეული
ნართმეული დღეს და ყოველთვის
სიტყვა ხმაურს და სიტყვა მიზეზს გარიდებული
ნუ უნდა ითქვას მიზანი შენზე დამიზნებული
ფრთა - შენში. ჩვენში. ფრთა - ყველაფერში.
სიტყვა ხმაურს გარიდებული. დამართული მარჯვნივ და ქვევით.
დამართული უმიზეზოდ
ბნელს დამართული

წყალი. აქ. ჩვენში.
დამართული. ყველგან. ყოველთვის.

## მარგარეტ თრაკლი

ის, რაც წავიდა -
შენგან წავიდა.
მაშასადამე, ის უკვე მოხდა.

მწიფე ზაფხულის დაღლილ მზეში ამოვლებული მძიმე ატმები
ჩვენს სიტკბოუშვერ მოძრაობებს იმეორებენ.
გზადმყოფთა შორის ყრუ თანხმობა მოიძიეს
მტვრის თეთრმა გზებმა,
მაგრამ - ისეთი,
მიმწუხრის ცა როგორიცაა:
ჩვენი ხეები აქ არიან, ჩვენთან არიან,
და მაინც ისე საიმედოდ ჩაშავებულან,
რომ უკვე ჩვენთან აღარ არიან.

უპატრონოა ყველა ბავშვი, ყველა მშობელი.
კუპრისფერს აფრქვევს ყველა ხიდი.
სახლებისკენ ნაქცეული მოაჯირები
კიდევ ბევრჯერ ნაიქცევიან.
რაღაც ნაცნობი შიშით შეკრული ყველა მოხუციც უპატრონოა.

"მინდა ვთქვა და ვერ გამომითქვამს.
რაღაც ისეთი გამეორდა, რაც ნაქცევით არ იმუქრება.
ოჰ, მინდა ვთქვა და იმას ვამბობ, რაც უკვე ითქვა".

ზღვა ირგვლივ თითქმის არსადაა,
მაგრამ ჩვენ ვხედავთ:
გამეორებულ რხევებს შორის ჩარჩენილი მენავეები
ჩვენ არ გვიხმობენ.

ის, რაც წავიდა -
აქ აღარაა.
მაშასადამე, "შენ" უკვე მოხდა.

## ნაქცეულები

(სიმღერა)

1.

შენ მაინც იცი -
მრავალი ყინვა და მრავალი ნაქცეული ადამიანი განვლეს ამ გზებმა,
ვიდრე იმ ნაბიჯს გადადგამდნენ, რომელმაც შენთან
ჩემი შეხება უზრუნველყო და არ გამწირა.
სად იყო ამ დროს ჩემი თვალი?
მე სად ვიყავი -
გარდამავალი ყველაფერში, რაც გარს მეკრა და არ მმორჩილებდა?

შენ მაინც იცი -
რამაც დამცა, იმან არ მიმტრო.
ჩვენ არ დაველილვართ გუშინდელ დღეს,
არც იმას, რასაც ზურგი ვაქციეთ.
ჩვენ არ ვიცით, როგორ ნავიქცეთ.

2.

ფოთლებს ხეები აღარ შერჩათ,
მგზავრებს - გზები,
ცრემლებს - თვალები.
ეს, ალბათ, უფრო ზაფხულია,
შეიძლება არის ზამთარი,
ან - გაზაფხული,
ან - შემოდგომა,
ან - წელიწადის ყველა დრო ერთად.
ერთი სიტყვით, ახლა უკვე ყველაფერი ჩვენია და არცაა ჩვენი.
ერთი სიტყვით, ახლა უკვე სადღაც სხვაგან ვართ
და გვენატრება ის, რასაც აქ ვართ.

შენ ამბობ - ვცრუობთ.
ამბობ - ვცრუობთ.
შენ ამბობ - ვცრუობთ.

მე გეუბნები - უფრო კარგად უნდა ვიცრუოთ.
უფრო ხმამაღლა და მთელი ხმით უნდა ვიცრუოთ.
მე გეუბნები - ერთმანეთის გასაგონად უნდა ვიცრუოთ.

3.

რაც მოხდა ერთხელ,
მოხდა ყველგან,
მოხდა ყოველთვის,
მაგრამ ჩვენ აქ ვართ იმიტომ, რომ ის ახლა ხდება.

ჩვენ არ ვიცით, როგორ წავიქცეთ,
და ვერც ვისწავლით ამას ვერასდროს.
ჩვენ უნდა ვიდგეთ.

ჩვენ უნდა ვიდგეთ,
გადასადგმელი იმ სიტყვის და იმ ნაბიჯის მიუხედავად,
რომელმაც დაგვცა.

რომელმაც დაგვცა
და არ გაგვწირა.

## მეგალე

მათ - უსამართლოდ დახოცილებმა - არ იციან, რაა სიკვდილი.

ჩემი თავისთვის უცხო ვარ უკვე - ამომავალი
მინასავით უმძიმეს და უმსუბუქეს იმ ცრემლებს შორის,
რომლებმაც ჩემი ხორცი ნაიღეს.
უკვე უცხო ვარ სადმე - გზებს შორის - გაჩენილი ნაპრალისთვის,
საიდანაც შველას ითხოვენ
უსამართლოდ და უმახვილოდ დახოცილები;
შველას ითხოვენ უიმედოდ დაჭრილები, რომლებმაც სიკვდილს
ფრთა ვერ შეახეს და ვერ იცნეს - რაა სიკვდილი.

მათ მისაღებად იჩქარა მიწამ.
მათ გასაცემად იჩქარეს მათმა უსაზღვრო ძმებმა.

ამიერიდან ჩემი სევდა მეთვალყურეა
ალმავალი ჩემი ტკივილის -
ისინი ყველგან ერთად არიან,
მაგრამ მათ შორის ჩემი სახით ხმაურობს ვიღაც
და ძალას მართმევს და სევდას ირქმევს,
და გამომცქერის შორეული ნაპირებიდან
და შემახსენებს,
რომ ჩემი ფეხი არ შეხებია ჯერ იმ ნაპირებს,
სადაც ზურგის ქარს ქარი არ ჰქვია:
რომ ჯერაც აქ ვარ, რაც იმას ნიშნავს,
რომ შეხებებით ამოვსებულ ჩემს სასმენელს და ჩემს სახედველს
ჯერაც ვერ განბანს ქვიშა და კირი;
რომ ჯერაც ისევ სიტყვამ უნდა უშველოს ჩემს ხმას
და შეეშველოს იმ ერთი მზისკენ,
საიდანაც მინა ინყება
და საიდანაც ამოვდიეარ ერთდროულად მილიონგზის და მილიარდგზის,
ნებისმიერი ხის ტკივილით, თითოეული
ფოთლის შრიალით ბიძგმიცემული,
სათქმელს უსიტყვოდ მიცემული, -

იმ სიზმრების ვერგამძლებელი,
რომლებადაც ვიქეცი ერთ დროს.

## ლირიკული გადახვევა

რიგითებმა რა ნახეს სიზმრად
როცა მათი თბილი სული სიცოცხლემ დათმო?

დანყევლილმა რა ნახა სიზმრად
როცა მისი მანყევარი ხსოვნამ უარყო?

პროსტიტუტკამ რა ნახა სიზმრად
როცა მიწამ დე ფაქტოდ სცნო მისი სამშობლო?

განდევნილმა რა ნახა სიზმრად
როცა მდევარი შეუნყდა და ოფლი დაუშრო?

გამაძღარმა რა ნახა სიზმრად
როცა ძვალ-რბილი დაუცხრა და სული დაუცხრო?

ცად ნასულმა რა ნახა სიზმრად
როცა ყველა თვალს მიეფარა და გზა დაუთმო?

კოლმეურნემ რა ნახა სიზმრად
როცა კედლიდან ჩამოხსნეს და დატოვეს მარტო?

დანყევლილებმა - პროსტიტუტკებმა - განდევნილებმა - გამაძღრებმა - ცად ნასულებმა - კოლმეურნემ - რა ნახეს სიზმრად?

რიგითებმა –
როცა მოკვდნენ -
რა ნახეს სიზმრად?

კიდევ ბევრმა სხვამ რა ნახა სიზმრად?

## როგორც შეხება ან ოდნავ მეტი

1.

მძიმე რამ სიტყვა:
უპატრონო კითხვებისკენ ზურგშექცეული.

მომრგვალებული ბაგეები:
ერთმანეთისკენ მომრგვალებული ბაგეები:
ბაგეები - საიდან საით.

თუ ესმათ კითხვებს შენი ლოცვა?
შენი ლოცვა თუ ესმა სიკვდილს?
თუ ნარგიხოცა საიმედოდ ყველა იმედი?
უმცირესი თუ მოგცა შვება?

2.

ბგერები – ნყალს და ჰაერს შერთული:
ტალღა – ტალღაზე გარდამავალი:
ზღვის ფსკერივით მოძრავი ზურგი:
ზურგი – ქცეული პასუხებად:
ხმოვანი ზურგი:
ზურგი – შენსკენ აჩქარებული

და

შენს სამყოფში –
უკედლებოდ დარჩენილ ჭერქვეშ –
იმ შენს სამყოფში,
უკითხვებოდ დარჩენილი პასუხები თუ შეიფარე?
თუ დააპურე უგზო-უკვლო პასუხები?
შენს უბეში თუ გაათბე?
შიშს და სიკვდილს თუ გაარიდე?

3.

გზა. ვინ თქვა ერთ დროს:
"გზა ყოველთვის იდევნებოდეს".
თქვი "ცეცხლი", თუ გსურს ფერფლად იქცე.
თქვი "ბაგე" და დამთავრებულ მოძრაობად გარდაისახე.

ვინს და ვინს შორის საქმიანი, უშნო ხეტება.
ტალღა – ტალღას აღმატებული.

იმ შენს სამყოფში –
სადაც ერთ დროს კითხვა წაიქცა –
პასუხები თუ ანუგეშე?
თუ თქვი "მოვდივარ"?
შენს გულს ბაგე თუ მოუმრგვალე?
საპასუხოდ მოვდივარო, თუ დასცდა ბაგეს?
ის თუ მოვიდა, ვისაც უკვე აღარ ელოდი?
და თუ მოვიდა, რა დაარქვა შენს სტუმარს ბაგემ?
და ამის მერე რა დაარქვა სიტყვამ შენს ბაგეს?

4.

ზურგი – უტყვი და საპასუხოდ თავდადრეკილი.
მძიმე რამ სიტყვა.

გადავერჩიო, თუ ჩაგესმა?
მოვდივარო, თუ გაიგონე?

# ფიქრები ანმყოზე

*ბესიკ ადეიშვილს*

დრო რომელმაც შენი სატრფო შენსკენ მიიმხრო
და დრო რომელმაც შენი სატრფო თავის თავს მისცა
ერთი დრო არაა

დრო რომელიც შენს ალტაცებას მიაქროლებს შენი ყოველი ამოსუნთქვისკენ
და დრო რომელმაც უნდა დაამხოს მახვილივით მოქნეული შენი სიტყვა
ერთი დრო არაა

მაგრამ არის დრო რომელსაც შეუძლია მახვილს წინ აღუდგეს
და არის დრო რომელშიც თავს იყრის ყველა გათქმული საიდუმლო
არის დრო რომელიც ქვას გინვდის
და არის დრო რომელიც ქვას პურად გარდაქმნის
მაგრამ ყველა დრო ერთია როცა ჩვენ ერთი ვართ
აქ - ამ გასაძლებ ხმაურში
რომელსაც ყოველთვის ერთად უნდა ვაკლდეთ
და რომელიც ყოველთვის ჩვენს ირგვლივ ბრუნავს
და გვაიძულებს ვიყოთ ნაწილი და არა მთელი
ვიყოთ აქ და არა ყოველთვის

დრო რომელმაც შენი სატრფო საკუთარ წარსულს გამოსტაცა
და დრო რომელიც შენმა სატრფომ თავისკენ მიიმხრო
ერთი დრო არაა

დრო რომელიც პასუხს კითხვებად არ დაესმის
დრო რომელიც სისხლს გზას უჩვენებს
დრო რომელიც ჩემს სამშობლოდ ნებადართულ სამშობლოს სახავს -
ჩემი დრო არაა

მაგრამ ბევრჯერაც რომ ვქრებოდე და ვიბადებოდე
და არჩევანი მქონდეს ურიცხვი
ვიტყოდი რომ სამშობლო არ მაქვს
და სამშობლოს არ გავაჩნივარ

დრო რომელიც ტკივილს სპობს და ბოლმას ახარებს
დრო რომელიც დროს უჯანყდება
დრო რომელიც ამოდის ჩადის და არ მთავრდება -
ჩემი დრო არაა

მაგრამ ბევრჯერაც რომ ვქრებოდე და ვიბადებოდე

და არჩევანი მქონდეს ურიცხვი
მე ვისურვებდი მხოლოდ ასეთ დროში ცხოვრებას
და ვისურვებდი მხოლოდ აქ და ახლა ცხოვრებას

თოლიების ყაპყაპს შეხიზნულ არც ერთ ჩემს კითხვას პასუხი არ სურს

რა თქმა უნდა -
მე შემიძლია ხანგრძლივად ვიდგე და ვიოცნებო ისეთ დროზე
რომელიც ისეთ კითხვებს მოითხოვს
რომლებიც პასუხს არ მოითხოვენ

მაგრამ - ცხადია -
მე ვისურვებდი ისეთ ძრწოლას
როგორსაც ახლა შევუპყრივარ
მხოლოდ ისეთ შიშს
როგორსაც ახლა ავუტანივარ

მხერავი
1994    1995

## პირველი

(კრიტიკული ლექსი)

ვიღაც გამოდის და ხმამაღლა ამბობს -
მე ვარ პირველი

ის კი - ერთი ურიცხვთაგანი -
ჭკვიანი თავმდაბალი წესიერი
კუთხეში მიმჯდარა
დამაჯერებლად იღიმის
და ამბობს
რომ ეს სირცხვილია
რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს
ისეთი და ისეთი ადამიანების წარმომშობ სამშობლოში
როგორებიც არიან მაგალითად ეს და ეს

ჩემი ღრმა რწმენით
ჭკუა თავმდაბლობა წესიერება
როგორც ყოველთვის ახლაც უბადლოდ გაიმარჯვებენ
ამიტომ მოთმინებამ არ უნდა უღალატოს იმას
ვინც კუთხეში მიმჯდარა
და დამაჯერებლად ღელავს და ამბობს
რომ ეს სირცხვილია

მერე რა რომ ძალიან იშვიათად მაგრამ მაინც გამოჩნდება ხოლმე
ვინმე ისეთი
ვინც გამოდის და უტიფრად ამბობს -
მე ვარ პირველი

ჩემი ღრმა რწმენით
და კუთხე-კუთხე მიყუჟულთადმი ჩემი ულრმესი პატივისცემის მიუხედავად
ეს ძალიან აუცილებელია
ვიღაც გამოდიოდეს და უტიფრად ამბობდეს -
მე ვარ პირველი
მით უმეტეს რომ (როგორც უკვე აღინიშნა)
ეს ხდება ძალიან იშვიათად
მაგრამ რატომღაც მაინც და მაინც მაშინ
როცა ყველა გრძნობს რომ რაღაც ძალიან მართალი ხდება
რაღაც ზუსტი და არადამაჯერებელი
რაღაც აშკარა

ის კი - კუთხეში მიმჯდარი და დამაჯერებლად მოქირქილე - ამბობს
რომ მას არასოდეს წარმოუთქვამს

"მე ვარ პირველი"
საბედნიეროდ მას ოდესღაც ეყო ჭკუა თავმდაბლობა წესიერება
არ გამოსულიყო და არ წარმოეთქვა
"მე ვარ პირველი"
სამწუხაროდ მას ახლა ყოფნის ჭკუაც თავმდაბლობაც წესიერებაც
რათა ვერ მიხვდეს რომ ვერც იტყოდა ვერასოდეს
"მე ვარ პირველი"
და რომ სინანული სწორედ ამას ნიშნავს და არა იმას რომ ის იტყოდა
"მე ვარ პირველი"

ჩემი ღრმა რწმენით
უმრავლესობა იმათ შორის ვინც გამოსულა და ვისაც უთქვამს -
მე ვარ პირველი
არ შემცდარა
ხოლო ვინც შეცდა
შეცდა იმიტომ რომ იცოდა რა ეთქვა
მაგრამ არ იცოდა რატომ ამბობდა იმას
რასაც ძალიან იშვიათად ამბობენ
მაგრამ როგორც წესი
როცა ამბობენ და იციან რას ამბობენ
არ ცდებიან

ბოლოს და ბოლოს
ეს ხომ ძალიან ძალიან ძნელია
ვიღაც გამოვიდეს და ასე უტიფრად ასე დაუკითხავად თქვას -
მე ვარ პირველი

მით უმეტეს
თუ ის სულაც არაა ბრიყვი

# ნესრიგის დამცველები

(კრიტიკული ლექსი)

"აი, კიდევ ერთი ალტაცება მოვიხადეთ, როგორც ვალი.
აი, კიდევ ერთხელ ჩაგვრეცხა ცხოვრებამ", -
ისინი მიწას დაენარცხნენ და მოკვდნენ.
მე მზეს შევხედე და ვთქვი:
"პური
რომლის ყოველი წერტილი არის გული
და რომელზეც ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ჩემს მშიერ მეგობრებს
აღწერას აღარ საჭიროებს
აღარ მოითხოვს კლასიფიკაციას და გულისამრევ პოეტურ წესრიგს
პური
რომელიც ყველგან და ყოველთვის პურის გულს აღნიშნავდა
პურის გულს უნდა აღნიშნავდეს დღესაც
და უნდა ფეთქავდეს როგორც გული
იმის ხელშიც ვინც ის არ გასცა
და იმის ხელშიც ვინც ის გასცა
მაგრამ თუ დღეს პურზე ხელი არ მიუწვდებათ ჩემს
მეგობრებს მხოლოდ იმიტომ რომ არაფერი დაუშავებიათ
ეს იმას ნიშნავს რომ პურის გულისფეთქვა
ჩემს სამშობლოში შეწყვეტილია სამუდამოდ
ახლა უკვე მართლა სამუდამოდ".
ფიქრმა კი იქვე მიკარნახა:
"და მაინც, არა, ჯერ კიდევ არ ცივა".
ეს იყო ძველმოდური, მაგრამ ჩემი განცდა.
რა თქმა უნდა, მე ის წარმოვთქვი,
მერე მიწას დავენარცხე და მოვკვდი.
ხოლო მათ წარმოთქვეს:
- კი, მაგრამ ჩვენ ხომ მიწას დავენარცხეთ და მერე წავიქეცით!
თუ წაქცევას არ აპირებდა, რატომ დაენარცხა ეს კაცი მიწას?
- იცით, ეს კაცი ჯერ მოკვდა და მერე დაენარცხა მიწას.
ხოლო მათ წარმოთქვეს:
- დიახ, ეს, დიდი ხანია, ნებადართულია.

## კრისტალიზებული სიტყვების ჯამი

გაქანებული ზამთარი, უთოვლო, უყველაფრო, ჩვენი -
გაქანებული სხვაგან, ისე, რომ ზედაც არ გვიყურებს;

ლექსები, რომლებიც სავსებით გვიყვარს ნაწილ-ნაწილ -
ისინი დაჭერობანას თამაშობენ;

ძნელად წარმოსადგენი მფრინავი თავები
და იოლად წარმოსადგენი პეიზაჟი მგორავი თავების;

არა, ისინი ჩვენ არ გვთამაშობენ;

ჩვენი მეგობარი ქარს მიაქვს, მაგრამ ვერ წაიღებს -
ტარი ჩვენ გვიჭირავს;

ერთ დროს ასე იყო:
ისინი ჩვენით თამაშობდნენ;

სირინოზებმა მზესუმზირა მიირთვეს
და ჩენჩოს აქეთ-იქით აფურთხებენ;

დაჭერობანას ჩვენით თამაშობდნენ;

სიტყვები მკვრივდებიან, დედდებიან
და მოვლენებად, ნივთებად და შეხებებად გვიბრუნდებიან;

აქეთ მე და შენ ვიმყოფებით,
იქით კი ჩვენ ვართ -
მშფოთვარედ წამოგორებულნი;

სირინოზები საქმიანად,
ზუსტად აფურთხებენ;

ყოველთვის ასე იყო:
"გაიქეცი, მაგრამ ზურგსუკან კარი მიიხურე,
რათა შენს მერეც გაქცევაზე იფიქრონ და არა გასვლაზე"

# ბავშვები

ხეები, რომლებიც ჩვენზე მალე გაიზარდნენ, არსად არ წასულან,
ისინი ყოველთვის გველოდნენ და იდგნენ.
როცა მოწყენილობამ ერთხელაც გარეთ გამოგვყარა,
შევნიშნეთ, რომ შემოდგომის ქარები ხეებს ართმევდნენ ფოთლებსაც და დროსაც,
რომლითაც ისინი გვეკავშირდებოდნენ.
მაშ ასე, - ვფიქრობდით ჩვენ, - საჭირო გახდა გარეთ გასვლა,
რათა გვენახა ის, რაც უფრო გარეთ ხდება,
ვიდრე შიგნით ჯერაც არ აღინიშნება
იმის ნიშნები, რაც უფრო შიგნით ხდება.
ბოროტი ენები ამბობენ, რომ მოსალოდნელია ჩვენი ზრდა სულ სხვა მიმართულებით, -
დაახლოებით იქით, საიდანაც ეს ხეები სულაც არ ჩანან,
მაგრამ სადაც არანაკლებ პრაქტიკული პეიზაჟი იცის:
მართალია, იქ ხეების დიდი სიმცირე შეინიშნება
და არც შემოდგომაა მათ წინააღმდეგ კეთილგანწყობილი,
მაგრამ ჩვენად წოდებული ყველა მოთხოვნა ხომ, არაიშვიათად,
ცვალებად ბუნებას ფლობს,
რაც იმას უნდა მოასწავებდეს, რომ გარემო ხშირად ხელს არ უწყობს
ჩვენს კეთილ ნებას,
ნასაქცევს ჩვენსკენ და დასაძრახს ჩვენგან.
მაშასადამე, ხეებმა, რომლებიც ჩვენზე მალე გაიზარდნენ
და არსად არ წასულან,
ყოველი პირველი შემთხვევისთანავე უნდა დააკმაყოფილონ
ჩვენი უსაგნო და ჩვენთვისვე გაუთვალისწინებელი შინაგანი მოთხოვნილებები,
რომლებიც პირველი შემთხვევისთანავე გარეთ და უფრო შორს განიდევნნენ.

## გაზაფხული

*ინგებორგ ბახმანს*

გუშინ წითელი ამინდი იყო.
შენ იცი, რას ნიშნავს,
რომ მზე ჩავიდა და ქალაქში წითელი ამინდი იყო.
შეხედე, როგორ კივის და წვალობს ქარიშხალი,
რომელსაც ზამთარი დაუკარგავს, დაუკარგავს თოვლი, ხეები,
და იცის, რომ ველარ დაეწევა.
შეხედე, როგორ კივის და წვალობს, - ადამიანივით,
რომელმაც ვერ ნახა გასალები თავისი სახლის.
შენ იცი, კუდში ტრიალი სასტიკია:
როგორც ჩანს, ხმაურიც თავიდან დალაგდება, -
ყველა სახლის მყუდრო ბინადარი,
ძაღლებს სანაპიროსკენ არავინ გარეკავს,
კარსაც არავინ შემოგვიღებს.
შენ იცი, სასწაულებს ჩაიდენს ეს დრო.
მოქალაქეები ერთმანეთს ეხეთქებიან
და მძიმე წარსულზე ფიქრი სერავს მათ სახეებს,
უბედობამ შემოუარა ქალაქს ცეკვა-ცეკვით
და გადაწყვიტა, რომ ქარიშხალი ვერ გავა ქალაქიდან;
ფოლადის სალტედ იქცა მისი ნაკვალევი,
მის სიტყვებს ფოლადის გემო დაკრავთ.
არადა, ტიბეტი უკვე იყო,
უკვე მოძრაობდა, როგორც დრო, როგორც თევზი.
შეხედე: ნუთუ ამ მამაკაცებიან ქალაქში აღარ აცივდება?
ნუთუ სამუდამოდ წავიდა ზამთარი
და კედლები ურყევად, უსაფუძვლოდ დგანან?
ნუთუ კითხვები მხოლოდ პასუხებს გაეცემათ?
სასტუმროებს ტოვებენ დიდი, ციური დათვები
და სასტუმროები ცარიელდებიან,
მინდვრებს ტოვებენ დაკლული ხბოები
და მინდვრებიც ცარიელდებიან,
სადღაც ზარივით გაისმის ცეცხლის ხმა
და ჭადრაკის დაფაზე წაქცეულ ფიგურებს წითელი დღე მსჭვალავთ.
სასწაულებს ჩაიდენს ის დროც, ხვალ რომ დადგება.
შენ იცი, წყლის ერთ წვეთში მოცემულია ჩვენი სახე,
ჩვენი მძიმე და უილბლო წარსული,
ჩვენი საერთო საცხოვრებლის გრძელი დერეფანი,
ასობით წითელ ამინდს შეტოვებული გულისცემა.
მაგრამ შეხედე, ეს არ იქნება: ქარიშხალს ზამთარი დაუბრუნდეს,

მერყევი ხეებით, თოვლით, რბილი და საშიში სახურავებით,
იგი შორსაა, ვისთვის - შეყვარებულის ბაფთასავით,
ვისთვის - მკერდივით,
ვისთვის - ბარათივით.

## დავიწყებულები

რაღაც,
რაც გექვია, -
ჩვენ ვართ.
მაგრამ ქვიშამ თმა არ შეგვიშრო,
არ დაგვიფარა, არ გაგვწირა.

ვემშვიდობებით ხვალინდელ დღეს,
მრავალს, ერთადერთს.
ვემშვიდობებით, პირით - წარსულისკენ,
ისე, რომ აქ ვართ.

უთხრან კედლებმა ჩვენს ჩამქრალ თვალებს
ის, რაც ჩვენმა ხმამ ჩაგვჩურჩულა,
რაც გამოეყო ჩვენი ხვედრის ყოველდღიურობას,
რამაც დაგვივიწყა.

აქ გვეტკივა, ზღვასთან, სუფთა ჰაერზე, ყველაფერი,
რასაც აქ არ ვართ.
აქ გვკლავს, უქვიშოდ, უგზო-უკვლოდ, ყველაფერი,
რამაც გაიმარჯვა.

## ქება ცაცხვისა

*მამა გიორგის(ბარიშვილს),*
*შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარს*

1.

ცაცხვი ჩემი სიხარულისა
ჩავიდა წყვდიადს
თეთრ კედლებს შორის გზა განკაფა
განერა ბაგე
ვარდი დანაცრული
განერა ბაგე წყალთაგან ციურთა
შვენის გალობა
ცრემლთა დაზიდულთა თვალნი აღაველენენ
წარმავალისა ცისკრისა პირისპირ
ყოვლისა პირისპირ რაიც განიმქრევა
თვალნი ღვივიან
მოძრავს და ერთადერთს
ცაცხვს ბნელში ჩამავალს
წყვდიადში თბილ მზედ და თბილ სითხედ ჩამავალს
იხილებოდა წითელი ყოვლის უწინარეს
უწინარეს წარმავალისა
აჰა ფიქრისა გადამსწრები
აჰა სასურველი
აღაველენენ დაღვრილს აღაველენენ
დაცემულნი აღეელინებიან
განერა წყვდიადი
დრო
დრო განერა
ქარისგან ნაცრის ნალებამდე ჩემად მოისწრაფა
მოძრავმა ისწრაფა
შორის მოისწრაფა
აღევლინებიან ნიადაგ შორის
გარნა პირისპირ
გარნა უტყვად აღევლინებიან

2.

შთაესახოს გულსა სიბრალული
მეძავეთა და ავაზაკთა მიმართ ფერნი ციურნი შთაესახოს
ხელნი ურიცხვთანი ურთიერთს მზერას მიაპყრობენ

ოდესცა ბჭენი ჯოჯოხეთისანი
თვინიერ ზათქისა
თვინიერ გრგვინვისა დაილეწნებიან
გესავ
მიუტევე თვალთა ჩემთა
ხე ეგე ყოველი
შარიშური ფოთოლთა ყოველი
ალიონთა ნიაღ მოარული
ჩიტთა გალობა სახიერი
კამაროვანი მონასმი ყოველი
სარკმელთა შიგან გამოჩინდებოდა
ნაკეცი გამოჩინდებოდა
გასრულებულ ლოცვათა ნაკეცი
განიხვნა
განიხვნა სიბრალული
ალილო მახვილი მკერდი მოიშიშვლა
დასთხია რძე და ქვა
სიტყვანი დასთხია ჯოჯოხეთისანი
მომხედე უფალო
სახეს მოყვასისას ხიდად შემანიე
ემსგავსოს ხმოვანებისა ჩემისა ნაბიჯი
ხესა განტოტვილსა
ცაცხვსა რომელი სარკმელთა შიგან
მწუხარედ განეტოტებოდა
ამოდინდებოდეს
ნათელი ამოდინდებოდეს

3.

გარნა როკვენ და იხარებენ ხმანი ფრინველთა
განეფინება
საყდარს და სენაკს მიმოივლის
სიყმილს მიმოივლის
ბრალიერთა ნაავადარს განეფინება
სიტყვა წყობილი
სიტყვა ალმავალი
ენა ტყეთა და ცათა სახლეულის
ენა სახლეულის ყოველთა თხემთა
მწუხრმა მოიცვა ჟამიერი
იყავნ ნება შენი
განესხვისებოდეს
განესხვისებოდეს
მინის ოთხივ კიდით ისწრაფა ძლეულმა
ივლტოდა ურვის მონაგარი

ესერა ცაცხვი
ცაცხვი მეწამული
ოდესცა თეთრთა თხემთა მიღმა
განიბანებოდა
ოდესცა გზა ჩემი უკუიქცა
და დევნა უყო წყალმა მრავალმა
წამერთვა სისხამი
მიწამ მიითვალა სავალი ჩემი ბევრეული
ანცა სურნელებენ ფესვნი
და ფესვნი ფესვთაგანნი
ოდენ უფსკრულნი
სიღრმენი ოდენ
ზეცად ჩამავალნი
ოდესცა ლურჯად განიბანებოდა

4.

განიხვნა სილურჯე მწუხრისა
აღმოჩინდებოდეს კვალად გზა ჩემი
გზა ყოველთა ცოცხალთა და წარმავალთა
აღმოჩინდებოდეს
ერთურთისკენ ესრეთ მალემსწრაფი აღმოჩინდებოდეს
ვითარცა განიხვნა ბაგე იონასი
და შთანთქა თევზი დიდი
უფსკრულმა მისმა
და სრულად მოიცვა თევზი იგი
რომელმან მოიცვა სული იონასი
რომელმან განმსჭვალა
სავალი სამი დღის
სავალი სამი ღამის უკვალოდ განმსჭვალა
იდიდე უფალო
ვითარცა კარედი
განიხვნა გალობა ფრთოსანთა ყოველთა
ნახტომი ნადირთა
წამისწამი მწერთა და ნეშო ოტებული
ქვემძრომნი განიხვნენ
ვითარცა კარედი კეთილქმნული
განიხვნა
განიხვნა შრიალი ცაცხვისა
მთხრებლს მიტანებულისა
განიხვნა სულისთვის და განერა თვალთა
ნურავინ უწყოდეს ქარი ოტებული
ვარსკვლავი მწუხრისა
მტვერი მწუხრისა აღმოჩინდებოდეს

5.

დასავლეთი ოდეს ასწრაფდება
ქვის საფეხურებს განამრავლებს მოძახილი მგალობელ ჩიტთა
დუმილს განამრავლებს
მინიერნი მეყვსეულ მოირკალებიან
სიტყვას აღაპყრობენ
ისმინე უფალო
ნაგვიანევი მოძახილი ისმინე ფრთოსანთა
ფერი უფორმო ჩვენთა ფიქრთა
გარნა დაზიდული ვითარცა ძენნი
მძევალი მინისა
ისმინე უფალო მზერა განპობილი
უსახლოდ ისმინე
ნუ იტყვი თვალი კაცთა შემიორგულდაო
მოძრავს ნუ შემშჭვალავ
გზას ნუ მოუმოკლებ ღამისკენ მიმავალს
მიმავალს ცაცხვისკენ
რომელი განერა
რომელი განერა ვითარცა ბაგე
გინა დაფდაფი დაპობილი
განერა თვალისთვის
არათუ გულისთვის
რათა იხარებდეს გარეგანწვალული
მიმხმობთა ძიებად
ძიებად
დევნილთა სიშლეგისკენ

6.

მოვალს
უფალი მოვალს
ცისკრის აღსრულებად მოვალს
შეუვალი მოვალს
გზა უდევს კაცთაგან და მხეცთაგან უვალი
ვარსკვლავნი უჩინარნი
ხმანიც უჩინარნი
გზა უდევს ფრინველთა გალობაუჩვევი
განერა დუმილი
განერა ისრიმი ყოველთა ვნებათა
აჰა გამზეურდა კედარი ადგილი
განერა
განერა სიტყვა დანაცრული
ნითელი ყოვლის უწინარეს

მოსილი ვარდითა
ნუვდიადით მოსილი
ალაგი უჩვევი
უცხო
ყვავილთათვის ველთა და კბოდეთა
ეჭვთათვის ქვემძვრომთა
როკვისთვის ნაკადულთა
ალაგი კრებითი
წინმსწრები ყოვლისა თავისა თვისისა
მორჩილი უფლისა შესახვედრად
აღმოდინებადი ტყეთაგან
მკლავთაგან მლოცველთა აღმოდინებადი
აღმოდინებადი თვალთაგან მლოცველთა
აღმოდინებადი
ნელიად აღმოდინებადი
ცაცხვი ჩვენი სინანულისა

## ცუდი ამინდის მერე

მართალია, წვიმა წავიდა, მაგრამ რაღაც მაინც დატოვა
გაცრუებული იმედების, სველი ხეების, დახურული წიგნების სახით;
რაღაც, ალბათ, დამთავრდა კიდეც, მაგრამ ცხოვრება გრძელდება,
ცხოვრება გრძელდება წარსულისკენ,
რომელიც კიდევ ბევრ ძვირფას შეხებას გაიყოლებს,
ერთმანეთით ამოავსებს ნივთებს შორის ცვალებად მანძილს,
ერთმანეთში ჩაანაცვლებს სულ სხვადასხვა მიმართულებით აჩქარებულ
გამოცდილებებს;
ყოველთვის იმოძრავებს გზა, რომელმაც ერთმანეთს უნდა შეახვედროს
ადამიანები და სიმღერები,
ლექსები და ფრინველები,
თვალი და დანა;
ის კი, ერთი ურიცხვთაგანი, რაღაცას ეძებს,
რაღაც ისეთს, რასაც ერთ დროს ერთად ვეძებდით,
რაც ვერ წარხოცეს შენელებულმა ღამემ და მშვიდობამ,
რაც მოიწელა მრავალმა სოციალურმა კუჭმა,
რაც დამთავრდა,
მაგრამ აი, დროს კი, იმ ჩვენს დროს,
ჩვენს მოპოვებულ აწმყოს და წვალებას, ვერ გამოვტაცეთ;
ვერ გამოვტაცეთ ვერც სველ ხეებს,
ვერც - ჩვენს სამშობლოს,
რომელიც ნელ-ნელა ემსგავსება ისეთ თავის თავს,
სატრფოს რომ ვეღარ შევადარებთ;
ვერ გამოვტაცეთ ჩვენს სურვილს -
ცოტა უფრო დიდხანს რქმეოდა სიყვარული იმას,
რაც შემთხვევის წყალობით მოგვეცა.
მაგრამ, როგორც ჩანს, სადღაც მაინც ხარ,
თუნდაც ერთი ურიცხვთაგანი,
რაღაცით დაღლილი, რაღაცის მოიმედე,
სიკეთის ლოკალური გამოვლენებისთვის მადლობის გადამხდელი;
ყოველთვის იმოძრავებს გზა, რომელიც ზოგჯერ კივილით ჩაიქროლებს,
ზოგჯერ მთელი წლით, საუკუნით ან წამის მთელი მეათასედით დაგვიანდება,
ზოგჯერ - რატომღაც - მაშინ მოვა, როცა სხვაგან ვართ,
მაგრამ წვიმამ ხომ ჩვენი სახით რაღაც ისეთი შეატოვა
სველ ხეებს და სველ მოაჯირებს,
რაც, ალბათ, დიდხანს უნდა გაწვალდეს,
წარსულიდან მოსატაცებლად კიდევ დიდხანს არ გაიმეტოს
ის, რაც მართლა იყო,
რამაც სასტიკი ხელი გვკრა და არაერთი გულივით დაგვეწყდა,
რათა ერთად და ერთმანეთისთვის გადავერჩინეთ,
რათა დავეკარგვოდით ნივთებს შორის მონიშნულ მანძილს,
ყოველთვის ცვალებადს, ყოველთვის მარტივს.

# თავის თანხლებით

ვნახე, ვნახე, როგორ დაეცი,
როგორ დაეცი, სულო ჩემო, აქცენტირებულო თავზე,
რომელმაც სხვენი გადაკვეთა და თვალსაც ისე მიეფარა, როგორც - ხსოვნას, -
როგორც ამ ცივ ფარდას, ქარში მოლივლივეს.
თვალსაც ისე მიეფარა, როგორც სიბნელეს.
განა რა იყო, თუ არა თოვლის ნაკლებობა,
შიშველი ტანების სრიალი ერთმანეთში და თავვივით რუხ ღამეში,
საიდანაც გავრბოდით, როგორც ხელოვნური სამოთხიდან,
და ღერო-ღერო ბალახი გვცვიოდა.
განა რა იყო საფარეველი, თუ არა სიჭარბე:

(მხედველობიდან დაბრუნებული აბსტრაქციების ყოველი ზუსტი დასასრული ნარმოშობს მკვრივი და ლპობადი საგნების მთელ სიმრავლეს, ზოგჯერ - ცარიელს, ზოგჯერ - სავსეს, მაგრამ ყოველთვის გზახსნილს მეტყველებისკენ, რომელსაც არც თავის თავში და არც თავის თავს გარეთ მიზანი და მიზეზი არ მოეძებნება, რაც მიზამიმართულ არაერთ აგზნებულ ან მნყობრში ჩამდგარ ცნობიერებას ალუძრავს სავსებით ნორმალურ სურეილს: მოძიებულ იქნას მიზანი, რომელიც გაამართლებს აბსტრაქციებისკენ უკუქცევისთვის უვარგისი და - მაშასადამე - სახმარი ღირებულების არმქონე კომბინაციების მოსალოდნელ მოულოდნელობათა მთელ სიმდიდრეს. იმპორტირებული მიზანი ნებისმიერ ლოგიკურ დროში ნარმოქმნის ავტონომიის მოსაპოვებელ სამუშაოებზე მოთხოვნილების აუცილებლობას, რასაც მოქმედებაში მოჰყავს მეტყველება როგორც ასეთი: როგორც თავის რუხი, საიმედოდ კრისტალიზებული, პერიოდულად ადგილმონაცვლებადი ფენა.)

თუ არა სიჭარბე:
არა გარდასულთა მოქცევა ზღვასავით,
არც - ფიქრი ტალახზე, რომელმაც პირველი საბრძოლო სცენა აირეკლა.
განა რა ნაგვერთეა იმაზე მეტი და იმაზე საჭირო,
რაც ქარს გავატანეთ, სიტყვებს გავატანეთ ერთმანეთის გულის მოსაგებად.
ან - ეს: როცა სიჩუმე დღესავით გაილია,
ბედნიერი და ხანმოკლე დღესავით.
ვნახე, ვნახე, ყველა გზა და ყველა თვალი როგორ გაქციე,
როგორ გაღიარე, ადგილცვალებადი.
იმის მოსაგებად, რაც ვერ დავკარგეთ,
რაც ვერ შევაგებეთ ხსოვნას და ერთმანეთს.
თავზე, რომელმაც სხვენი გადაკვეთა
და ყველა ჩვენი ფიქრი ირიბად განელო,
ხმაურით მიმართა ნარსულისკენ.
მოლივლივე ხსოვნის სიჭარბისკენ.

## ნეროების სამკუთხედი

ყოველი მათგანი: არა ცაში ან ძველი ტბის სარკეში,
არამედ - უმცირესი ნინალობის ველში,
რომელსაც მის ნინ ერთი ფრთით მარჯვნივ
ან ერთი ფრთით მარცხნივ მოძრავი ტალღა ქმნის -
ფრინველის ტალღა.

ყოველი მათგანი: არა სხვაში ან ნინსვლაში,
არამედ - თავის უნყვეტ ქროლვაში,
მიმართულში ხვედრისკენ,
რომელიც არც ერთ შესაძლო სამკუთხედზე ან ზეცაზე,
გადაფრენად და სევდად ტრანსფორმირებულ
არც ერთ თვალშეუვლებ შეხებაზე
არ დაიყვანება.

ყოველი მათგანი:
რაც მდგომარეობს, მაგრამ არა - ყოფნაში ან ნამში,
არამედ - თავის მოძრავ საიდუმლოში,
გაცემადში
პირველი შეხებისთანავე ბგერასთან,
რომელიც თანმხლებია.
რომელიც აღმოჩნდა.

ყოველი მათგანი: არა ხეების ან მინის,
არც ხსოვნის ნინააღმდეგ,
არამედ - მათთვის უცნობ კანონში:
ხაზის და სიმრგვალის აღსანიშნად.

თითოეული
თავის უნყვეტ მოძრაობაში,

ყოველ ნამს მსხვრევად,
ტბასავით მკვრივ თავის სარკეში.

## სიზმრის კვალდაკვალ

"თითქმის ერთდროულად საგრძნობლად გვიყვარდა ერთმანეთი.
თითქმის ერთდროულად ზღვაში მოფარფატე ტალღებს გამოგვტაცა
იმ ჩვენმა მონოდებამ,
ბლაგვი საგანივით არნახულმა იმ ჩვენმა იდეამ.
ვჩქარობთ."

"როცა ჩვენ ვჩქარობთ,
ბრძოლა შემადგენელი ელემენტებისთვის
ერთადერთი შესაძლო ბრძოლაა
როგორც წყალგარეთ, ისე - ჰაერგარეთ
და - ჩვენი მიწის მრავალ ცეცხლოვან, მაგრამ მომიჯნავე ტერიტორიაზე.
როცა ჩვენ არ ვჩქარობთ."

მათ ნახეს სიზმარი:
განზომილებების სამყაროდან
ერთმანეთის მზერაში გატყორცნილი
ორი უცხო ჩიტი, -
ფიზიკაზე მოსაუბრე ორი უცნობი ობიექტი.
დიახ,
ხის მრავალ ტოტზე დასკუპებული ორი უსქესო თბილი ფორმა.

# ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

(კრიტიკული ლექსი)

არა მე არ ვარ კულტურული ადამიანი
რაც იმას ნიშნავს რომ სამწუხაროდ არც წევრი ვარ

მე რომ კულტურის ჩემი სამშობლოს მოღვაწეთა რიგებში ვიყო
წევრიც ვიქნებოდი
მაგრამ მე არც წევრი ვარ
და არც სხვებს ვაიძულებ
თავიანთ თავისუფალ ნებებს წევრობისკენ გზა გაუკაფონ

მაშასადამე მიუხედავად იმისა რომ არ ვარ მემარცხენე
არც მემარჯვენე ვარ
მემარჯვენეობა კი აუცილებელი პირობაა (მაგრამ არა საკმარისი) საიმისოდ
რომ კულტურული მოღვაწე იყო
და რაღაცას ისტორია დაარქვა
რაღაცას - განათლება
რაღაცას - ომი

როგორც ჩანს
არსებობს თანდაყოლილი კულტუროდეფიციტის სინდრომი
რომლის წინააღმდეგ ყოველთვის წარმატებით იბრძოდა და იბრძვის
ჩემი სამშობლო
ასეთი უკომპრომისო ბრძოლის საბუთია
ხსენებული სინდრომის მატარებელთა მეტად მცირე რიცხვი
რომელთა შორის ვაღიარებ მეც ვიმყოფები

სხვათაშორის
ერთმა ჩემმა მეგობარმა
რომელიც დღემდე კულტურას მოკლებული ჩემი გულით მიყვარს
მეტად უდროო დროს მკვლელები გმირებად დამისახა
ხოლო როცა მათ სამოთხეში თავი კულტურულ წევრად დაიგულა
ეს თავი ძალიან შინაგან ემიგრაციაში წარმოიდგინა

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა
რომ მე არ ვარ კულტურული ადამიანი
რაც ფრიად მერყევ სოციალურ მდგომარეობას უქმნის
ჩემს ისედაც მოშიშ პერსონას
რომელიც დიდი სიამოვნებით გახდებოდა ნებისმიერი გზისმაჩვენებელი ერთობის წევრი
რომ არა მის აწმყოსა და წარსულში კულტურის სრული დეფიციტი

რაც სათუოს ხდის მის ინდივიდუალურ ულრუბლო მომავალს

თუმცა ის(ჩემი უზნეო პერსონა)
იმედს არ კარგავს
და მოთმინებით ელის როდის აიძულებენ
თავისი თავისუფალი ნება გამოხატოს
და კულტურის თავის ტანჯულ სამშობლოს
განახლებული თავით შეეშენოს.

მომავალი კი თავის (ჯადოსნურ) ქუდში თავს უყრის
(ექსტრავაგანტურ) ჩვენს მკლავებს შორის (ანაზდად)
ფეთქებად რიგითობებს და ღიმილით ფიქრობს (ყოვე
ლდღიურ) (უფორმო) სახლებზე რომლებიც (მღელ
ვარედ) სუნთქავენ მის (უწყინარ) გამომეტყველებას
გარდატეხილს შიშში და ძრწოლაში იმ შეხებების და ს
წრაფვის ნინაშე რომლებსაც მათივე (ორალური) ფა
ნტაზიები წარმოშობენ და (შეუვალი) მოძრაობებით მი
იქცევიან ქუჩებისკენ რომლებიც სავსეა (ბინადარი)
ადამიანებით რომლებიც (მორჩილად) ჩაედინებიან
(გრანდიოზული) პროექტების ოკეანეში საიდანაც ამო
ედინება (ყოველდღიური) ურთიერთობების უწყვეტო
ბა როგორც ღრუბლების (მონოტონური) ქარავანი ვარ
დივით განშლადი და სამუზეუმო განწყობილებებში
(ანაზდად) აღმოცენებადი

მაგრამ

მომავალი თავის (ჯადოსნურ) ქუდში თავს უყ რის
სავსებით (ერთჯერად) შეხებებს და (მხურვალე
დ) მიაქცევს ადგილისკენ სადაც მათი რღვევა დაიწ
ყო სადაც ისინი დრომ აღიარა ჩვენმა (ურღვევმა)
რიგითობამ ჩვენმა (პოპულარულმა) (მორიგმა)
დილამ

როგორც ასობით ცვალებადი ღიმილის ფონზე
ნაოცნებარი მაშინალური მყუდროება -

შენთვისაც კი არა, ხელებდაკრეფილო,

შენთვისაც კი არა,
ჩემს ყოველდღიურ თეთრეულთან ერთად ქვიშაში მოთამაშევ.

რელაცია I

ვიდრე ვერცხლი წკრიალებდა
ვიდრე ჰორიზონტალურ შენს ფეხსაცმელს მომწყდარი ვერცხლი
წკრიალებდა
იმ ყრუ ხმებში გამორჩეული ჩვენი დგომა
შენი "პირველი ნახვისთანავე მიყვარდები"-
ის წინააღმდეგ ჩემი
"ყოველთვის მივუთითებდე იმაზე ვინც მიყვარს იმას ვინც არ მიყვარს"
შემჩნეული ჩვენი თვალი
მარმარილოს რიკულებს შორის
ჭალიანი დარბაზებიდან ერთმანეთისკენ დალმავალი
ერთჯერადი ჩვენი გაბრძოლება
სოციალური ხედვის პირისპირ
აღდგენილი ქვები
განახლებული
მრგვალი ხეები
ჩემი თვალი
შეტოვებული
მის უზრუნველყოფილ კბილებს
მის ნაყიდ მახვილს შეტოვებული
ჩემი ცეკვა
უზედსართავო ჩემი ცეკვა
ყველა სულიერის წინააღმდეგ
ჩემი უპატრონო ხედი
როცა

ყურმოკრულმა
ქვები აღვიდგინე
პერსპექტივის საპირისპიროდ მრგვალი ხეები აღვიდგინე
ვიდრე
"მიყვარდები ყოველთვის ხელახლა"
იმ მარმარილოს რიკულებში
იმ შემჩნევებში იმ
ერთმანეთთან შესახვედრად დამთხვეული ორი სარკის გარეთ ყოფნაში
როცა
"როცა ფორმა ქრება შიში ვითარდება
როცა შიში ქრება თვალი ვითარდება
როცა თვალი ქრება..."
ჩვენს ყოფნაში
სადაც
ვიბრძოდით გადასაადგილებელი სამუშაოების ჩასატარებლად ნაყიდ
რამდენიმე წამში
როგორც ყოველთვის აღნიშნავდა

როგორც
ყოველთვის ვძულდით მის მუცელს ზეიმს წარმოებას
უპატრონო ჩვენი ხსოვნა როცა
"ყოველ წამს
ყოველ წამს საზრისს გავურბოდე
ყოველ წამს
ყოველ წამს ვმოძრაობდე"
რომელსაც ყოველთვის დიდი თეთრი ხარი მიუძღვოდა
უმახვილო მზერა მიუძღვოდა
სანაპიროდან შემჩნეული ჭალიანი დარბაზებისკენ
ვიდრე
ვერცხლი მონკრიალე
ვიდრე
თვალი შიშში განვითარებადი
გასროლილი ჩემი ცეკვა
უფუნქციო ჩემი არბალეტი

თქვა რომ გამოიწვევს ამ შეხებას თუ ისინი ხელს არ ახლებენ მის უბრწყინვალესობას და არც მათთვის დამახასიათებელ გულჩვილობას აიგდებენ მასხრად როგორც ამა ს სჩადიოდნენ ჩვენს თვალწინ სტადიონზე მისკენ ზურგშექცეულნი და მუშტებმოლე რილნი მათ შორის უარესისკენ დიახ იმისკენ მარცხნიდან მესამისკენ მაგრამ ისინი უკვე აღარ იყვნენ ადამიანები არამედ ბიძგმიცემული სხეულები დამახასიათებელ ნი ჩვენი ცალკეული მოწოდებებისთვის რომლებიც ეს უკვე მერამდენედ აითვისა მათ მიერ აღიარებულმა ერთობამ იმ ყოფილი ფუნქციონრებისა რომელთა შორის მისი ამოცნობა სულაც არ იქნებოდა რთული საქმე რომ არა წელიწადთა მსვლელო ბებს შორის პოეტური შეუთანხმებლობით აღმოცენებული გისოსები და მათზე დამ იზნებული ოცნებების წყალუხვი კრებითობა გამჭვირვალე და როგორც ყოველთ ვის ამჯერადაც დაუსაქმებელი მათგან ვისაც ევალება ყოველმიზეზგარეშე აგოს პასუხი იმაზე რაც არ შესრულდა იმის მიზეზით ვინც კოლექტივს გამოეყო და საბა ნაოდ მოკურცხლა გაურკვეველი დენადობით ცნობილი მდინარისკენ ისე რომ ქალ ალდშიც გავიდა წინადადებებს შორის მიღწეული შეთანხმებაც შესნავლას დაუქვემ დებარა და მათ გაოცებულ სახეებსაც დროდადრო ისე ემსახურა როგორც ყოველი პირწმინდა ინტელიგენტის თანშობილ წესდებას შეეფერებოდა და თქვა:

> "ენთროპია შეიძლება განისაზღვროს როგორც განუსაზღვრელობის ზომა ან - სისტემის შესაძლო მდგომარეობათა მრავალსახეობის ზომა. ენთროპია სისტემის თავისუფლების ზომაა: რაც უფრო მეტი მდგომარეობაა სისტემისთვის დამახასიათებელი, მით მეტია ენთროპია. ენთროპია მაქსიმალურია ალბათობის თანაბარზომიერი განაწილებისას."

მაგრამ მან გაიარა ამდენ უფორმო ტანში როგორც წყალზე და არ დასველდა მაშინ როცა ისინი შენიშნავდნენ რომ მას კაბა წამოეკრიფა და სიმშრალისკენ მიემართა თავისი მრავალი დრო რომლებსაც ნებისმიერი სქესის და ასაკის ქალბატონები და ბატონები იმეცნებდნენ ყოველ წამს მიუხედავად იმისა რომ არა ისე როგორც ეს ხდება რედაქციებში და სხვა კულტურულ წარმონაქმნებში არამედ ისე როგორც ეს მიმდინარეობს მისთვის ცნობილი სილეზიელი ფეიქრების შთამომავალთა თავებში მოკაშკაშეებში ყოველთვის როცა ამას მოითხოვს მრავალდარგოვანი ფიზიოლოგი ური საჭიროება არა ერთ კუთხეში და როცა ჯერ კიდევ არ მიიღება მხედველობაში კარის ჩაკეტვის საჭიროება და ვიდრე ისინი არ ჩურჩულებენ რომ მან ერთმა გატყორც ნოს ის რაც ბუნებით მიეცა ოთხივე კედლისკენ იმ მორალზე დაფუძნებული სიმართ ლით რომელიც უპირატესობას ანიჭებს კულტივირებული ინსტინქტების ინტეგრირ ებისთვის მებრძოლთა თანამედროვეობას ერთ მშვენიერ დღესავით მარადიულს და ამბობს:

> "ენთროპია ფაზური მოცულობის ლოგარითმია. ენთროპიის გასაზრდელად საჭიროა ფაზური მოცულობის გაზრდა. ენთროპიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სისტემის თავისუფალ ხარისხთა რიცხვი. ესაა დამოუკიდებელი ცვლადების რიცხვი, რომლებითაც აღიწერება სისტემის მდგომარეობა. ენთროპიის ცნებასთანაა

დაკავშირებული ექსტრემალური პრინციპიც, რომელიც სისტემის ფართო კლასისთვის(ფიზიკურისთვის, ბიოლოგიურისთვის, სოციალურისთვის და ა. შ.) მყარი ნონასნორი მდგომარეობის მოძიების საშუალებას იძლევა."

მაინც და მაინც მაშინ როცა უბერავდა ის როცა ჩვენსკენ უბერავდა გზახსნილთა მეხსიერების საპირისპიროდ უბერავდა ის მაშინ თავებისკენ უბერავდა მკერივი და დანინნკლული კალმახის ეროტიკა უსისხლოდ ჩაველილ ღამეებს შორის ერთ-ერთში საიდანაც ისინი ალზევდნენ ფრაგმენტულად და ჩვენ ვიძახდით რომ თავს შეიკავებს საგრძნობლად გამოღებული შენი სახის დასავინყებლად რაც შეიძლება მოჰყვეს არაეფექტურ უკურეაქციებს გადაუმუშავებელი ენერგიით დატვირთულს და ნაკლებად პროგრესირებულს ვინც გამონვევა ესროლა აღიარებების სახით შენახული ინფორმაციების მთელ სიმდიდრეს ფიზიოლოგიის სახელმძღვანელომდე დაყვანილს რამაც გვაფიქრებინა ესმის თუ არა მას ეს დიახ ასე გვაფიქრებინა ესმის თუ არა მას ეს ესმის თუ არა სარკის ზედაპირის სიხარბე ურიცხვი ურთიერთგამომრიცხავი პარამეტრის მუდმივობა ამ დაუღალავ სიბრტყეზე საიდანაც ჩვენი მეგობრები იღლებიან და ფრთათეთრი პეპლების გუნდი ცვივა აი ასე ცვივა დიახ აი ასე და ამბობს:

"როგორც წესი, მიღწევადი მაქსიმუმი პირობითია, ვინაიდან ყოველთვის არსებობს შემზღუდავი პირობები, რომლებიც ხელს უშლიან ენთროპიის გაზრდას. შეზღუდვები დამოკიდებულია კონკრეტული სისტემის თვისებებზე და შეიძლება ერთობ ურთიერთგანსხვავებული იყოს. მათ შორის უფრო ტიპობრივი, მნიშვნელოვანი და უნივერსალურია "რესურსებით" შეზღუდულობა. რესურსების როლი შეიძლება შეასრულოს: ენერგიამ, ნივთიერებამ, დრომ, სივრცემ, ოპერაციების რაოდენობამ და ა. შ."

მან გაიმარჯვა ვირუსებთან ომში და დაიმსახურა შეხება,
საიდანაც გამომდინარეობს ერთფეროვანი კომბინაციების მოძრავი რიგი,
დამაინტრიგებელი, როგორც ცვალებადი გარემო
და გამომწვევი, როგორც ინფორმაციის ნაკლებობა ან -
კლიშირებული სისწრაფე თითქოს შესამჩნევ შეხებებს შორის,
რომლებიც გადარჩეული სიცოცხლის არც ერთ უბანზე
არ საჭიროებენ მატერიალურ სუბსტრატს.
ყოველთვის, და არა ყოველ წამს, მოსალოდნელია მისი დაცემა,
მაგრამ მოძრაობით დატყვევებულ თანამოძმეთა გარემოცვაში
თავს ისე გრძნობს, როგორც - სიცარიელის მწვერვალზე,
და ფრთებს შლის შესამჩნევად.
მართალია, სიზმარმა არ იცის მიტევება,
მაგრამ წონასწორობა მაინც არ ირღვევა, -
ნებისმიერი არჩევანი მომენტალურად ტრანსფორმირდება შესრულების აქტში,
ეს უკანასკნელი კი - შედეგში, რომელიც, თავის მხრივ, ორმაგია:
პროცესი უნაკლოდ განხორციელდა,
მაგრამ მასში მონაწილეობა არ მიუღია შემსრულებელს ანუ იმას,
ვინც მოქმედება განიცადა და ვისთვისაც ცნობილია პროცესის რეზულტატი,
მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ეს არაა მისი პიროვნული გამოცდილების ჯამი.
ასე, რომ გამოტოვებულ იქნა ის, ვინც ვირუსებთან ომში გაიმარჯვა
და ფიზიკური არსებობა სიამოვნების ყველა უბანზე შეინარჩუნა.
მაგრამ წონასწორობა მაინც არ ირღვევა:
ჩვენი თმის ყოველი ღერი, ყოველი ღერი დათვლილია.

დაე ასე იყოს
დაე ჩვენი ლოცვა
დაე ჩვენი ლოცვა მწერში შედიოდეს
დაე ჩვენი ლოცვა შედიოდეს მწერში
რომელიც ეკლესიის კედელს მიუყვება
დაე ხესთან იყოს
დაე კიბე იყოს ხესთან და კიბეზე ადამიანი
რომელიც ბალახთან ერთად აბიბინდა
ჩიტებთან ერთად აჭიკჭიკდა
და ხართან ერთად ბღავის
დაე ერთმანეთს ეჯახებოდნენ
როგორც მინყივ ახლაც ისე ეჯახებოდნენ ერთმანეთს
ჩვენი ბრალდებები
წარმოუდგენელნი დროსავით დროსავით დაუჯერებელნი
დაე ამდენ მოციმციმე ვარსკვლავში ერთი მაინც
დაე ერთი მაინც ერიოს მოძრავი
და მეორე მაინც ერიოს მოძრავი
და ყოველი ვარსკვლავი იყოს მოძრავი როგორც თიხა
დაე ვივინყებდეთ ზაფხულს და ვივინყებდეთ მზეს
მაშინაც როცა გვათბობს
და მაშინაც
როცა ადამიანურად ცხელა
ადამიანურად ვიწვით
დაე კვლავ აღნიშნონ
კვლავაც ერთმანეთი აღნიშნონ ნივთებმა
მაგრამ არა სიტყვა
რომელიც მათი სიყვარულით გადაილახა
რომელიც აღმოჩნდა
დაე ყოველთვის ასე იყოს
დაე რკინის კიბე
დაე ნივთებმა მილიონი წლის წინ რომ დაიმსხვრნენ
განმარტონ ნივთები
მილიონი წლის მერე რომ უნდა აღმოცენდნენ
დაე ქალმა და მამაკაცმა-ც ხშირ-ხშირად განმარტონ ერთმანეთი
დაე იზეიმონ რაც ასე აკლიათ რაც ასე ვერ ნახეს
რაც თეთრ ხართან ერთად ბღაოდა
დაე მან ერთმა
მან ერთმა
ყოველ წამს გაიაროს ტკივილებს შორის როგორც
წყალზე
და არ დასველდეს
დაე არ დასველდეს ჩვენთაგან არც ერთში

და

დაე ის ერთი ყოველთვის ანგრევდეს
ანგრევდეს მექანიკას რომელიც მკვდარია რომელიც გვმართავს
დაე "ქალმა" და "მამაკაცმა"-ც
დაე შენ მაგრამ უჩემოდ
დაე მე მაგრამ უყველაფროდ
დაე ჩვენ მაგრამ ჩვენით
დაე ცაცხვის ხესთან
დაე მოყვავილე ცაცხვის ხესთან
დაე თუ დრო
თუ დრო მართლა არსებობს
დაე დაე მხოლოდ უდროოდ მხოლოდ უსიკვდილოდ
დაე ხვალ მაგრამ გუშინ
დაე დღეს მაგრამ მუდამ
რომელიც ეკლესიის კედელს მიუყვება
რომელიც არ დასველდეს
მაგრამ არსაიდან
მაგრამ არსაით
მაგრამ არსად
მაგრამ დაე მინყივ დაივინყონ
ერთმანეთი დაივინყონ
დაივინყონ ერთმანეთი
ერთმანეთში გადადიოდნენ
გადადიოდნენ ერთმანეთში
მინყივ ერთმანეთში გადადიოდნენ
მინყივ ივინყებდნენ დაე

# მხურავი

(ბალადა)

*თუ ითქვა, რომ წინადადება უსაზრისოა, ეს არ ნიშნავს, რომ ლაპარაკია მისი საზრისის უსაზრისობაზე. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ამ დროს ენიდან გამოირიცხება, ხმარებიდან ამოიღება რაიმე სიტყვათშეთანხმება.*

ვიტგენშტაინი

*თუ მე მაინც ვლაპარაკობ ფიქციაზე, მხედველობაში მაქვს გრამატიკული ფიქცია.*

ვიტგენშტაინი

I

ისინი შემოვიდნენ და თქვეს რაღაც.

მაშინვე ვუპასუხეთ.

მერე რიგრიგობით ვმეტყველებდით ჩვენ და ისინი.

ვიდრე ვმეტყველებდით, ერთმანეთის გვესმოდა და ვიცოდით, რომ ვერ შევთანხმდებოდით.

არ არსებობდა შეთანხმების აუცილებლობა.

როცა შევთანხმდით, რომ ვერ შევთანხმდებოდით, ისინიც გაჩუმდნენ და ჩვენც გავჩუმდით.

უკვე აღარ გვესმოდა ერთმანეთის.

თანხმობა დაირღვა.

უთანხმოებამ იმატა, და ბოლოს ჩვენც დავრწმუნდით და ისინიც დარწმუნდნენ, რომ დუმილი შლიდა შეთანხმებას.

მათ თქვეს რაღაც.

ჩვენ მივხვდით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიტყოდით.

მაშინვე ვუპასუხეთ.

ისევ ვმეტყველებდით: მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თანხმობა არ დარღვეულიყო.

II

ერთობლივი ძალებით ითქვა:

ჯერ პასუხი უნდა გაეცეს და მერე დაზუსტდეს, აქვს თუ არა პასუხგაცემულ კითხვას საზრისი.

პასუხებმა უნდა დატოვონ ნივთების, მოვლენების და ადამიანების ქვეყანა და კითხვების მხარეს დაუბრუნდნენ.

კითხვებმა გულღიად უნდა მიიღონ პასუხები და სულმოუთქმელად შთანთქან.

კითხვებს არ უნდა ეგონოთ პასუხები იონანი, ხოლო პასუხებს არ უნდა ეგონოთ კითხვები დიდნი თევზნი.

კითხვებმა არ უნდა განდევნონ შემკითხველნი, რათა ამ უკანასკნელებმა ერთმანეთი არ ამოხოცონ.

კითხვებმა არც მოპასუხეები უნდა განდევნონ, რათა ამ უკანასკნელებს სამუდამოდ არ დაეხშოთ აზრისგან თავისუფალი სიტყვის კარი.

III

მათ თქვეს, რომ გამოთქმულის მიზანია - რაც შეიძლება საიმედოდ შენიღბოს საზრისი.

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ საზრისი არ საჭიროებს ნიღაბს, ვინაიდან იგი თვითონვეა ნიღაბი.

ისინი მიხვდნენ, რომ ჩვენ საზრისი ცვლადის სახით წარმოგვედგინა, და გვკითხეს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მეტყველების აქტს.

კითხვაზე კითხვითვე ვუპასუხეთ, რამაც ისინი აიძულა - დასკვნების მთელი სერია გადაეხალისებინათ და ეთქვათ, რომ წინადადება სხვა არაფერია, თუ არა საზრისის მეორე მხარე.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ წინადადება არა საზრისის, არამედ სიტყვის მეორე მხარეა.

მათ თქვეს, რომ წინადადება სიტყვების ჯამია.

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ სიტყვების ჯამი მხოლოდ სიტყვა შეიძლება იყოს, წინადადება კი ნივთების და ხდომილებების კომბინაციაა და არა - უმეტესი.

იძულებულნი გახდნენ ეკითხათ, თუ რას ნიღბავს საზრისი.

მივუგეთ, რომ საზრისი ნიღბავს როგორც იმას, რაც მის უკან დგას ან არ დგას, ისე - საერთოდაც არაფერს.

შევთანხმდით, რომ საზრისის ფუნქციაა - არ მოვწყდეთ გამოთქმის ორბიტას და არ შეწყდეს რიტუალი, რომელიც მუდმივად აღადგენს კავშირს "ენასა" და "სამყაროს" შორის, ვინაიდან ასეთი კავშირი ხიდია სიტყვასა და ფიქციას შორის.

განმარტების სახით ერთობლივი ძალებით ითქვა, რომ ფიქცია არც ენაა და არც - წინადადებათა ჯამი, არამედ - შინაარსი, რომელიც მოიცავს მხოლოდ იმას, რაც მოაზრებადია (იმის ჩათვლით, ვინც მოიაზრებს).

ასევე ერთობლივი ძალებით შევნიშნეთ, რომ ვისი მეტყველების როგორ აქტზეა საუბარი?

ჩვენის მხრივ ითქვა, რომ მხოლოდ მას მერე, როცა ამ კითხვის ყოვლისმომცველობა ეჭვს აღარ დაექვემდებარება, შეიძლება დაისვას საკითხი ლოგიკის გრამატიკის საჭიროების ან უსარგებლობის შესახებ.

IV

ითქვა:

მხოლოდ შეშლილებს აქვთ სიტყვის სამყაროში ცხოვრების მორალური უფლება, ამიტომ სიტყვის სამყაროში ცხოვრების იურიდიული უფლებაც მხოლოდ შეშლილებს უნდა ჰქონდეთ.

როცა სიტყვა ცარიელია, ცარიელია იმიტომ, რომ მასში არ ცხოვრობენ შეშლილები.

როცა სიტყვა სავსეა, სავსეა იმიტომ, რომ მასში არ ცხოვრობენ შეშლილები.

როცა სიტყვა არც სავსეა და არც - ცარიელი, ისაა სიტყვა და სხვა არაფერი, ანუ მაშინ სიტყვა და შეშლილი ერთმანეთს ემთხვევა და მიიღება არა შეშლილი სიტყვა, არამედ - სიტყვა, რომელშიც მხოლოდ შეშლილები ცხოვრობენ.

სიტყვა, რომელშიც შეშლილები ცხოვრობენ, ერთადერთი შესაძლო სიტყვაა.

## V

ისინი: თუ გსურთ, სამყარომ აღიდგინოს წონასწორობა, მაშინ გამოთქმულმა მთლიანად უნდა მოიცვას სათქმელი.

ჩვენ: გამოსათქმელი იმიტომაცაა გამოსათქმელი, რომ გაურბის გამოთქმის აუცილებლობას და არ სურს "სამყარომ" წონასწორობა დაკარგოს და იქცეს სამყაროდ.

ისინი: იქცევა თუ არა გამოსათქმელი გამოთქმულად, თუ გამომთქმელი გამოსათქმელის ადგილს მიითვისებს?

ჩვენ: არა, ვინაიდან გამოსათქმელი მუდმივად ადგილმონაცვლებადი ადგილია, ხოლო გამოთქმული - მისი კვალი ან ნაკვალევი.

ისინი: ნაკვალევი ექვემდებარება კვლევას და, მაშასადამე – მისი გავლით, ადგილის ექსპანსიას.

ჩვენ: ნაკვალევი ექვემდებარება მხოლოდ ცრურწმენას, ცრურწმენის საგანი კი მხოლოდ ცარიელი სიმრავლეა.

ისინი: რა ამოძრავებს გამოსათქმელს, როგორც ადგილს?

ჩვენ: რა ამოძრავებს გამომთქმელს, რომელსაც გამოუთქმელის გამოთქმა სურს?

ისინი: არის თუ არა გამოუთქმელი გამოსათქმელი?

ჩვენ: არის თუ არა გამოსათქმელი გამოუთქმელის და გამოთქმულის ოქროს კვეთი?

## VI

ფეიერაბენდი (1975): ანარქიზმს - იმ სახით, რომლითაც ის ვითარდებოდა წარსულში და რომელიც ამჟამად მომხრეთა სულ უფრო დიდ რაოდენობას იკრებს, - ახასიათებს თავისებურებები, რომლებიც ჩემს მოწონებას არ იმსახურებს. იგი ძალიან ცოტას ზრუნავს ადამიანთა სიცოცხლისა და ბედნიერების პრობლემებზე (იმათი სიცოცხლისა და ბედნიერების გამოკლებით, ვინც გარკვეულ ვიწრო წრეს ეკუთვნის) და პურიტანული თავგანწირვისა და სერიოზულობის სწორედ იმ სახეს წარმოადგენს, რომელსაც მე უარვყოფ. (...) ამიტომ მე ახლა უპირატესობას ვანიჭებ სარგებლობას ტერმინით *დადაიზმი*. დადაისტი არათუ ადამიანს, ბუზსაც კი არ აწყენინებს, უკიდურესად ვერ ჰგუობს ვერანაირ სერიოზულ ღონისძიებას და მაშინვე, როცა ადამიანი ისეთ პოზას ღებულობს, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვნის წარმოთქმა სურდეს, უკეთურობას გრძნობს. დადაისტი დარწმუნებულია, რომ სიცოცხლეს ფასი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა ნივთებს *მსუბუქად* მოვეპყრობით და ჩვენი მეტყვე-

ლებიდან განვდევნით ისეთ ღრმააზროვან, მაგრამ უკვე ასწლეულობით დახ-ვავებულ, თვითდისკრედიტირებულ კონსტრუქციებს, როგორებიცაა "ჭეშმარი-ტების ძიება", "უფლების დაცვა", "მგზნებარე ინტერესი" და ა. შ. და ა. შ. დადაისტი ყოველთვის მზადაა ექსპერიმენტის გასარისკად იმ სფეროებშიც კი, სადაც სახეზე-მყოფის შეცვლა და ექსპერიმენტირება საეჭვოა(მაგალითად, ენის საბაზისო ფუნქ-ციები).

VII

ისინი შემოვიდნენ და დუმდნენ.

ჩვენც ვდუმდით.

ისინი ფიქრობდნენ, რომ ფორმას მიეწერება შინაარსი.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ფორმებს მიეწერებათ ხილული და უხილავი ნივთები, მოვლენები და ადამიანები, მაგრამ არა - შეშლილები.

ისინი ფიქრობდნენ, რომ ფორმას გარემოიცავს, მაგრამ ვერ ფარავს შინაარსი; და მაინც, შინაარსი ხილულია, ფორმა - უხილავი.

ჩვენ ვფიქრობდით: შინაარსი ხილულია იმიტომ, რომ იგი კონვენციის შედეგია, ფორმის კონვენცირება კი შეუძლებელია.

ისინი ფიქრობდნენ: შინაარსი ცვლადი და ჩანაცვლებადია, ფორმა - მოძრავი და ადგილცვალებადი.

ჩვენ ვფიქრობდით: ფორმა წარმოადგენს ადგილს.

მათ თქვეს რაღაც.

მაშინვე ვუპასუხეთ.

VIII

ერთობლივი ძალებით ითქვა: შეშლილი მხურავია.

ერთობლივი ძალებით ითქვა: დიახ.

## როგორც ყოველთვის

*ბექა მინდიაშვილს*

გვიან, მაგრამ მაინც ვიცანი.
ურიცხვი სიზმრით გარემოცულს მხოლოდ მისი კვნესა ჩამესმა.
"აი, ისიც, - გავიფიქრე, - ჩემი სიზმარი".

მაშინ მივედი, ვანუგეშე და სიტყვებით ვუთხარი,
რომ დიდხანს უნდა ვყოფილიყავით ერთად,
რომ ამიერიდან ერთმანეთისთვის უნდა გვეპატრონა,
რომ ამიერიდან მეცოდინებოდა:
ჩემგან ნანახი და ჩემგან სანახავი ყველა სიზმარი
მისი ნაწილია - ამ ერთადერთი ჩემი სიზმრის,
რომელიც ყოველთვის მშველის,
ვიდრე ერთად არ შევუდგებით ქრისტეს.

(თუმცა, შევძლებთ კი ოდესმე,
დავუტევოთ ჩვენი მცირე განძი და შევუდგეთ იმას,
ვინც ყოველთვის მზადაა ჩვენს მისაღებად,
ვინც ყოველთვის ჩვენშია და გვნატრობს;
ვინც იქაა, სადაც ქვეწარმავლები იმალებიან,
საფლავის ჭიები წყვილდებიან
და ირემი ვერ ხარობს;
ვინც იქაცაა, სადაც ირემი ხარობს?
მაშინ ჩვენ მშვიდად მოვუკვდებით ერთმანეთს
და გვეცოდინება, რომ ჩვენი გზები ერთმანეთს აღარ გადაკვეთენ).

როცა ყველას პირზე ეკერება მისი სახელი და ის მოვა,
ჩვენ არც ბზის ტოტი ვიქნებით,
არც - ცაცხვის ყვავილი,
ადამიანებიც კი - არა.
როგორც ყოველთვის, ის ახლაც შეუმჩნევლად მოვა
და შეუმჩნევლად შეგვცვლის.
მხოლოდ დაცემის ხმა იქნება ყველასთვის გასაგები.

## სიყვარულის ახსნა

მეთქი: შენ ხარ ქალი, და მწუხრის წყლებით გარემოცული შენი ორგანიზმით
გარემოცული ჩემი ორგანიზმი ცდილობს გასხლტომას
შენი წყურვილიდან, როგორც - თევზი წყლიდან,
რათა გარემოგიცვას და თავისი მარცხენა ფერდი დაიბრუნოს.
როცა ჩვენ, ფრენას მოწყვეტილები, თვალს ვადევნებდით,
როგორ შედიოდნენ და გამოდიოდნენ მათში უმანკო ფრინველები,
და თითოეულს ჰქონდა თავისი - და არა ჩვენი - ფრენა,
და თითოეული ხდებოდა ერთხელ ან არც ერთხელ,
აი, მაშინ, მაშინ, როცა ჩვენს ხელებს და კიდურებს ეყოთ ერთმანეთი,
როცა გზების და გზაწვრილების გაყვანა დავიწყეთ,
მაშინ არ უნდა შეგვეტოვებინა ჩვენთვის ერთმანეთი,
მაშინ არ უნდა გვეღალატა იმისთვის, ვინც მოგვიწოდა,
რომ ერთმანეთის მოძრაობები მაინც დაგვენდო
და გადაგვერჩინა ჩვენ, მეთერთმეტე ჟამზე მოსულებს,
რომლებმაც ვერ ვიტვირთეთ სიმძიმე დღისა და სიცხე,
რომლებმაც ყველგან, სადაც მივედით, მხოლოდ ენახეთ და გავიმარჯვეთ.
როცა ჩვენს ფრენებში ხდებოდნენ ისინი,
ჩვენთვის უცნობი ცებისკენ მიმავალნი,
მაგრამ თითოეული ხდებოდა ერთხელ და არა უმეტესჯერ.
ცის თითოეული ერთი მონასმი და არა უმეტესი, -
მხოლოდ იმიტომ, რომ მე და შენ დავკარგეთ,
რომლებსაც მწუხრის ვენახი გვერგო, გაკრეჟილი და ნამუშაკევი,
რომლებიც ყველგან, სადაც მივალთ, მხოლოდ ენახავთ და გავიმარჯვებთ.
მეთქი: შენ ხარ კაცი, და ჩემი წყურვილი შენი ნეკნიდან -
როგორც შვილი მამის წყალობიდან - გასხლტომას ცდილობს,
რათა დაუბრუნდეს თავის მარცხენა ფერდს
და გარემოგიცვას, როგორც გასროლილმა ისარმა ჰაერი.

# მოციქულები

"როცა მისი სრულყოფილი ზურგი გვიმრის ფოთლებში ჩაიკარგა,
ჩვენ ვიცოდით, რომ ველარ ვნახავდით.
მზეზე მოლაპლაპე დანასავით შესრიალდა წყვდიადში კოცონი
და ჩვენი სახეები გაანათა სწორედ მაშინ,
როცა ის კი არა, მისი კვალი გვახსოვდა".

თერთმეტივე წერდა იმიტომ, რომ არ უნახავთ.
თერთმეტივე წერდა იმას, რაც ხდებოდა.
არც ერთს არ უმტკიცებია, რომ ის იყო.

"ხელგაშლილი ჩვენი მკლავების ორაზროვნებამ მიიტაცა
ცრემლის ეკლებზე აყვავებული მისი მზერა".

ისინი არ ენდნენ შემჯამებლის საცეცებივით მომუშავე მიწას,
რომელსაც ის ენდო.
ამიტომ ისინი დღესაც
ჩვენთან ერთად თხზავენ ლექსებს და ჩვენთან ერთად ნამლავენ ბავშვებს.
ჩვენთან ერთად რეცხავენ ჭურჭელს და ჩვენთან ერთად აუპატიურებენ და
ძარცვავენ ქალებს.
ჩვენთან ერთად ანთებენ სანთელს და ჩვენთან ერთად ფატრავენ უდანაშაულო
და დამნაშავე ადამიანებს.
ჩვენ მათ ვუყვარვართ.

"განა ნაკლებად ჩანს ჩვენი სახე ამღვრეულ წყალში
ან - ჩანჩქერში, რომელიც მილიონობით ჩვენს ერთადერთ გამომეტყველებას
ბადებს და აქრობს შეუმჩნევლად?"

ხოლო ის, ალბათ, ჭუპრიცაა და პეპელაც, მაგრამ - ორივეზე აღმატებული.
დიახ, ესაა ერთადერთი ჩვენი აწმყო,
რომელიც მხოლოდ ისე ლაპლაპებს,
როგორც - ხმლის ხმა გადამწყვეტ ომში.

"ის კი მილიონობით ჩვენს ერთადერთ გამომეტყველებას
აქრობს და ინახავს სამუდამოდ".

# ოცნების მოგონება

სადაც ფაიფურის ბურთი გაკვირვებული ეჯახებოდა ასფალტიდან ანაზდად აღმო-
ცენებული ბავშვის მარჯვენა და მარცხენა ხელის გულებს

რომლებიც მიემართე-
ბოდნენ ერთმანეთში გადახლართულ ჩვენს ფეხებს შორის აღმოცენებული ხმაურ-
ისკენ

საიდანაც სახილველ იყო ცაში ორი მომრგვალო სხეულის ოდინდელი ლივლი-
ვის ნარჩენები

რომლებსაც მიასვენებდნენ ანაზდად დაარსებული სასაფლაოს მიმ-
ართულებით

საიდანაც სამიოდე მიცვალებულის კეთილი სულიერესობა გზავნიდა
სამგლოვიარო ყვავილების არაერთ თაიგულს

რომლებიც დასავლეთის მხრიდან ა-
ღმოცენებულ ჩქაროსნულ ღრუბელთა ხელისგულებზე ამხედრებულნი გზადაგზა
ცვიოდნენ და გამოსცემდნენ გაკვირვებას შესამჩნევად მანერულს იმ ბავშვის ყურ-
თათვის

რომელიც გაკვირვებით ჩამოსცქეროდა ასფალტს და მღეროდა სამ ხმაში
და გულში

რომელიც მის გარდა არავის დასწყვეტია ანაზდად აღმოცენებულ გულ-
შემატკივართა ერთმანეთში გარდამავალ მისალმებებს შორის

რომელთა წრეში ვ-
ით ალყაში მოქცეული მემარცხენე გოგო-ბიჭები არც კი ეძებდნენ საფურთხებლ-
ებს

რომლებსაც ზრუნვით ჩაჰლიმოდნენ მემარჯვენე გოგო-ბიჭები

რომლებიც არც
კი სწავლობდნენ თამაშს

საიდანაც იწყება მფეთქავი და ხმაურში გარდამავალი გუ-
ლი

რომელიც ახლაც ისე როგორც მაშინ დასავლეთის მხრიდან უბერავდა და დრო-
ულად აშრობდა ერთმანეთში როგორც უფსკრულში ჩაქანებულ ჩვენს ფეხებს შორ-
ის ოფლთან ერთად გაჩენილ რომანტიზმს

საიდანაც ყოველთვის დათქმულ დროზე
ბაყაყი ხტებოდა წყალში და ჩქაფუნი ისმოდა სიჩუმეში

რომელსაც არღვევდნენ გ-
ანახლებული ამოძახილები ჯანმრთელნი როგორც ნადირთა გამოხედვა

საიდანაც
იღვრებიან მხოლოდ ზრდასრული გადაწყვეტილებები და ყველაფერს რასაც მათი
სიფხიზლე წარმოქმნის ჰქვიათ ნარჩენები

რომლებიც როგორც ერთმანეთში გარ-
დამავალი ჩვენი ტანები იკარგებიან და ასფალტიდან აღმოცენებული ბავშვის მარჯ-
ვენა და მარცხენა ხელის გულებს შორის მოხვედრილი თავიანთი თავი უკვირთ აი
იქ მინდოდა ყოფნა

როცა ცაში რაღაც ხდება: ვთქვათ, მერცხალი, -
მისი მონასმი შეთანხმებულია ცასთან
და არა - კანონთან, მისი მოძრაობის მტერთან.

იქიდან, რომ დააპატიმრეს, სულაც არ გამომდინარეობდა, რომ დამნაშავე იყო.
იქიდან, რომ გაასამართლეს, სულაც არ გამომდინარეობდა, რომ დამნაშავე იყო.
იქიდან, რომ განაჩენი გამოუტანეს, სულაც არ გამომდინარეობდა, რომ დამნაშავე იყო.

როცა ცაში რაღაც ხდება,
ჩვენ მას შეგვიძლია ვუწოდოთ ჩიტი ან მერცხალი,
მისი გამოცდილება კი უკვე სახეზეა.

ერთ მშვენიერ დღეს
მან თავის თავს არ აპატია ის სამშობლო, რომელსაც მის მეტი ყველა ხედავდა
და გადაწყვიტა, ყველას თვალწინ მოკვდომოდა ასეთ სამშობლოს.
როცა დარწმუნდა, რომ განაჩენი სისრულეში მოიყვანა,
ამ რწმენაზეც უარი თქვა
და დანაშაული აღიარა თავის სამშობლოდ.
მან იცოდა: ეს ერთადერთი მხარეა, სადაც შურისძიება არ არსებობს.

და მაინც: რას წარმოიდგენდა, რომ დამნაშავე იყო.

მისი გული ასე ფეთქავდა:
რა მნიშვნელობა აქვს, იცი თუ არა ფრენა,
როცა ფრინავ:

რა თქმა უნდა, ჰუმანიზმის საპირისპიროდ.

და მაინც:
არ იყო მოქალაქე. მაშასადამე, დამნაშავე იყო.

რაც, ასევე, კარგად იცოდა.

## ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

(კრიტიკული ლექსი)

ეს მისი საქმეა

ამბობს: ეს ჩემი საქმეა

თითქმის ყოველთვის საგნების და მოვლენების დანიშნულება უცნობია მხოლოდ იმიტომ,
რომ არ ვიცით მათი გადაჯგუფების საიდუმლო -
სიტუაციების შესაბამისად ცვალებადი
და ჩვენს თითოეულ ახალ კითხვაზე უდროოდ ნაფენილი

ამბობს: ეს ჩემი საქმეა
ეს მისი საქმეა

ხოლო მერე, პოლიტიკური ვაშლების და თვალებიანი გოგონების ფონზე:
"თქვენ, ბატონო ექიმო, მეხსიერებაში გრჩებათ საგანი, მე კი იქვე მეკარგება მის შესახებ ყოველგვარი ცოდნა, ამ დროს მგონია აზრი სავსებით ჩაბნელებულია"

მან კი:
როგორ დაალო კაცმა პირი
    როგორ ისკუპა ქალმა პირში
        როგორ დახურა სახემ პირი
            როგორ დამთავრდა თმა -
კაცის პირისკენ უქაროდ დევნილი, მწვანე, უნუგეშო

ამბობს: შედით ჩემს მდგომარეობაში
შევდივართ მის მდგომარეობაში
ეს მისი საქმეა

# შეჯამების უარყოფა
1995 1999

## ქებათა ქება ჩემს უწყვეტ სატრფოს

1.

შენი ყბა, ძვირფასო, შენი თეთრი ყბა, -
სისინა ბგერების ტყვეობაში ცრემლნარევი მზერის მშენებელი.
მშვიდობით, მეგობარო, რომელსაც არ გიკვირს ეს ჩემი ძილი,
რომელიც სახლიდან გასვლამდე ივიწყებდი, რომ კეფა არსებობს,
ვიღაცის სანგარი, ვიღაცის კეფა;
კვდომა, სისინა ბგერებით მოცული, -
ერთი, კონკრეტული კვდომა.

2.

მძიმედ მქშინავი ტბა კი არა,
უცნობი და გიგანტური ცხოველის ზურგი, -
კაცის და მიწის დამფარავი,
საკუთარი უმწეობის მიმხმობი ზურგი;
დრო,
საიდანაც შენი შუბლი ამოიზარდა.

როცა ცას ძარღვი აღარ შერჩა,
ჩემი ძილიდან
სამლარიანი შუბლი როცა ამოიზარდა,
შრიალი როცა გამარტივდა ბლაგვი ჩიტების.

ისინი მაშინ ტბას კი არა, ფსკერს უმიზნებდნენ,
შენ გიმიზნებდნენ შემოდგომას მოწყვეტილები.
შენ გიმიზნებდნენ კვდომის ხეებს მოწყვეტილები.
და მიფრინავდნენ,
გიგანტური იმ ცხოველის ცხელი ზურგისკენ
მიფრინავდნენ ეს უცნობი მოძრაობები.

პერმანენტულად ცვალებადი კრებითობა,
რთული, როგორც იმ ცხოველის მდუღარე ზურგი.

3.

ღიმილის მიჯნაზე
შესამჩნევად გამოღებული პირის მისამართი, -
პერსპექტივა შეკითხვის თანხლებით;
ცხვირის ჭვინტმა განმსჭვალა ფაიფური, -

Vomer, სანქციონირებული ქვედაყბის მიერ.
სუსხიანი ზამთრის ახალი დილა.
თეთრი ფარდის მიღმა სანოლია.
მჭიდრო და უმანკო.
ახალი დღის ახალი სუსხი.

4.

შენი თავით დაიწყო ნგრევა.
მერე დაფარა შუბლშეკრული შენი მუცელი.
მერე და მერე მოედო ქალაქს.
აი, როდის მოხვედი და თქვი:

- ხელოვნების ფორმაკაზმულ ქმნილებებს შორის მოძრავი და ერთმანეთით დამუხტული ჩვენი დახრები აღარ სუნთქავენ უკვე ძნელად; აღარ ადიდებენ ქალაქს, როგორც ოდნავ მეტს კედლებზე, სახურავებზე, რეალური ბავშვებით და სათამაშოებით დატვირთულ პარკებზე; აღარ ხედავენ ზემოთ-ქვემოთ მოძრავ აიენურ ყოფასთან შეთანადებულ წყვეტას: ბაზრებიდან სახლებისკენ მორბენალ ჩანთებს, სატრანსპორტო საშუალებებიდან ცაში ასულ ნისლს, დაკმაყოფილებამდე და დაკმაყოფილების მერე გაჩენილი ბგერების ერთობით წარმოქმნილ სიტყვას, როგორც ვიოლინოს გასაღებს, როგორც მაქსიმუმს, როგორც უნარს; აღარ ადიდებენ ქალაქს, როგორც ოდნავ ნაკლებს კედელთან ჩადენილ აქციაზე, სახურავებიდან ნასულ წვიმაზე, პარკებიდან ამოშლილ ისტორიულ ხედვაზე, სადაც მხოლოდ რამდენიმე (სახელიანი) მოძრაობა შეიძლება არ იყოს ხელოვნების ნაწარმოები, მათ შორის: ხე, ბალახი, ქვებს შერჩენილი მინა, ქარის ყოველი მოდიფიკაცია, წყალი, მაგრამ არა ისეთი რთული წარმონაქმნი, როგორიც აყრილი ასფალტია, ან - თავახდილი საკაბელო ჭა, ან - საგზაო ნიშანი.

ვინ დაიწყო შენი თავით, ძვირფასო, ნგრევა?
თითქოს სულ არ არსებობდეს ის ყველაფერი, რასაც სახელდებ.
ამ ხმაურში იბადებიან მათი ფეხები და მწვანე, უიმედო ბალახში დარბიან, -
სუსტი, გასაზრდელი მათი ფეხები, რომლებიც უკვე ეხებიან საუბრებს, რჩევებს, მნიშვნელობებს,
ზრდასრული ჩვენი ფეხები კი საიმედოდ წყვეტენ ამ კავშირს,
რათა სხვა, უფრო პრაქტიკული, მოძრაობა აღადგინონ, -
სხვაობა ასაკთა,
შუქ-ჩრდილების მიმართ მგრძნობიარეთა და მზისმოყვარეთა შორის სხვაობა.

5.

დაირიბებული წარბებიდან მოსული უარი, -
ერთადერთი შესასვლელი გადაკეტილია.
მარცხენა ზედა ხალი:

ფოკუსირებადი ხედვის წინააღმდეგ წამოყენებული რიგითი ინტრიგა.
ისინი:
შეშუპებულ ქუთუთოთა ირგვლივ მოთმინებით დაყუდებულები, -
ჯიუტად მქშინავი, რიცხვმრავალი ნახევარრკალი.

6.

ორი რწმენის გზაგასაყარზე შემართული ხელი,
როგორც დამშვიდობება ნეიტრალურ ტყესთან და ხეებთან, -
შენი სიყრმის განუხორციელებელ პერსპექტივასთან,
სავსესთან რხევებით და დედით;
შენი რეალობის მტრებთან - სიზმრებთან,
რომლებიც ახლაც, როგორც მაშინ, ჩნდებიან, მრავლდებიან და ერთმანეთს
ებრძვიან.
ხელი, შემართული, როგორც ბრალდება,
როგორც ჭრიალით შეღებული კარი, -
განმათავისუფლებელი სისხლის და სინესტის.
- უკვე დავიღალე, - და ის იქვე სხდება,
გასაქცევად მომუშტული შენი დგომის ირგვლივ,
რათა დაშალო და დასცე, თვალს თუ ვერ გაუსწორებ,
ბიოლოგიურ მის სიბრძნეს თუ ვერ გადალახავ.
- რისთვის შეღებილხარ მწვანედ, რისთვის მეკარგები
ისედაც დაკარგულს ყველასთვის, ვისთანაც სტუმრად არ მიველ?

როცა ნერვები დაძრწოდნენ უპატრონო და ცუდ გზაზე დამდგარი ბავშვებივით,
როცა მათთვის აღარ იყავი ადგილი, რომელიც ფეხქვეშ უნდა ეგრძნოთ,
როცა მაინც და მაინც არ მოკვდი,
მაშინ მოვიდა:
შენი სიყრმის პერიფერიაში კედელს მიმხმარი ნელი სისხლის დამხსნელი მზერა, -
უცხო, მშობლიური შენი ეროტიკა.

7.

მრავალ ჩვენს ეჭვს აღძრავენ ჩვენი წოლის ირგვლივ მბრუნავი კედლები,
ცეცხლის შემნარჩუნებლები ცვალებადი ზამთრის შუაგულში.
მოუთმენლად გადავადგილდებით.
იმ განსაკუთრებული ჩურჩულის მერე, რომელიც ამბობდა:

"შენ, ლეთარგიული ენცეფალიტით დაავადებულო ჩემო მეგობარო,
რომელზეც ხელოვნების ნაწარმოები უჩვეულო გავლენას ახდენს თავისი ღრმა
და მდიდარი შინაარსით,
რომელზეც წაკითხული ლექსი თუ მოთხრობა დამათრობელი მუსიკასავით
მოქმედებს,

რომლის მიერაც მხატვრული ნაწარმოების კითხვას თან სდევს უძილო ღამეები,
რომელიც ღრმად წვდები ქალის ბუნებაში,
რომელსაც შეგეძლო გყვარებოდა ექიმები - დაუცველი შენი შვილები,
რომელიც სასჯელს სასჯელით შეხვდი".

მას მერე, როცა იყიდებოდა ცხელი პური ძახილის ნიშნით,
და პერმანენტულად ცვალებადი ჩიტების გუნდი
აქრობდა სიტყვას ყოველთვის ხელახლა.

ერთმანეთისკენ გადავადგილდებით ყოველთვის ხელახლა.

8.

შენი სახის არაერთი გამომეტყველება, როგორც ფონი
წარსულისკენ დაქანებული ნაძვებისკენ,
სუსხიანი მათი შენიშვნებისკენ, რომლებსაც ბადებდა
ყვრიმალთა შეჯახება ქართან - მიუტევებელთან, ნამდვილთან.
თვალი ადევნე თითების გზაჯვარედინზე წარმოქმნილ ლათინურს,
მრავლობითში დაცულ მის უწყვეტ ნამყოს:
ცახცახმა გასცა, მაგრამ არა - კვალმა,
არა - შეხვედრამ გადახრილ ნაძვებთან.

შელამების სოროში აციმციმებული სათვალე, როგორც ნაშთი.
წიგნის შრიალი, როგორც გახსენება.

თითქოს ეს-ესაა გამოიღვიძა.

9.

ოჰ, როგორ უცინის მის ამ ზეიმს,
მუსიკას შეზრდილ მაჯისცემას.
შენყდა ჯგუფური რეაქცია. Graubünden.
ახლა კი დამშვიდდებიან ცრემლნარევი, მზით სავსე ლაწვები.
ახლა კი გაიელვებს შუბლზე ძარღვის ბასრი, საქმიანი მზერა.
ახლა კი შენითლდება ყური.
წარმოსახვა ფეხებს შორის შეიყვანს საგნობრივს, მარტივს.
მიმართულება განისაზღვრება ქარით და წვიმით,
არა - დავიწყებით, არა - სისხლით.

10.

"ვერ იცოცხლებდა ჩემი ტანი, რომ არ შეეძლოს

სიკვდილზე ფიქრი ჩემი სულის შეუწუხებლად.
და ისე, როგორც უსულო ნივთი ეხება მზერას
და როცა რაღაც არ ერთმევა, მადლობის ნიშნად
თავადვე ტოვებს თავისი სუნთქვის რომელიმე არსებით ნაწილს
(მაგრამ არა აქ - თვალისა და მზის სამსჯავროზე,
არამედ მათი საერთო მსხვერპლის - ლპობის - ველზე ასაყვავებლად),
მეც მზად ვარ სიტყვა გადავიხადო იმაზე მალე,
ვიდრე ყოველი ალტაცება ნიშანს მომცემდეს
და ჩემს ზეიმზე, როგორც მართალ ანგარიშზე, მიმითითებდეს."

მოძრაობაშეყრილი ის ხმა -
ხელებში ჩარგული თავივით უდღეური.

11.

ხოლო ტუჩები წამოიმართნენ, მოწყდნენ სუნთქვას,
საიდანაც ოფიციალური მისალმებები თვითდადგინების მტკივნეულ პროცესს
არეგულირებდნენ
და თავიანთ თავებს უყურებდნენ, როგორც სხვებს.
ისინი კი არა, სულაც არ ჰგავდნენ ბაგეს,
რომელმაც უფსკრულებით მოცულ წყვდიადში გამომუშავებული სიტყვა უნდა
გადაამუშაოს.
აღინიშნება თუ არა მოქნევის სისწრაფე,
გაესმება თუ არა ხაზი ნარჩენთა მნიშვნელოვნებას, -
ეს მხოლოდ მეტყველების კომპეტენციაა.

საიდანაც თავიანთ სქესს ვერ გაურბოდნენ.
საიდანაც დაძაბული ყური არ ჩანდა.

12.

უკვე გაცემულ-დავიწყებული, მოძრაობაშეყრილი ის ხმა.
ერთმანეთისკენ მომღერალი ორი დაბრუნება, -
გზა, რომელიც არ ედოთ შეზვინული თეთრი თმის გავლით.
ისინი კი მე მიყურებდნენ, -
ანარმოებდნენ ჩემივე სიმორცხვეს, განმეორებადს თითოეულ ნაცნობ შეხებაში.

- მხედველობაში იქონიე კარაქიანი პური, რომელიც ასმათმა გისახსოვრა.

ეს კი ნამდვილად არაა სიკვდილი: რეალურის ზღურბლზე შესახვედრად
მომწყდარი წყვილები.
მაგრამ ძალიან იშვიათად: როცა სურვილი არა მხოლოდ ფორმებს იმორჩილებს,
არამედ ტანებსაც - სავსებით ცარიელ, უძირო შეხებებს, -

ენის წვერზე მომდგარ ორ სიტყვას შორის გაჩენილ მანძილს:
მუდმივ არჩევანს.
დიახ, ჩურჩულებდნენ, რომ მათი ლტოლვა ერთჯერადია და განუმეორებელი,
რომ მათი შეხებები სამყაროს ათბობენ,
რომ მათი სენტიმენტალიზმი ცივია, როგორც საჭირო წყალი.

მე მიყურებდნენ, უკვე გაცემულ-დავიწყებულს,
მე მიყურებდნენ
საფუძვლიანად გახელილი შენი თვალები.
როგორც დამშვიდობება ნეიტრალურ ტყესთან და ხეებთან.
როგორც შლაგბაუმი.

13.

ჩანს, უკვე შეერია ამ მწვანე თითებსაც.
უკვე ამ ძარღვებსაც ხმამაღლა ურჩია.
და აი, ისინი, - ეს თვალები, - ერთმანეთს ებრძვიან.
მათი კალაპოტი მშრალია, როგორც შემოდგომის მზე,
როგორც ელიფსი.
ისინი აღარ ნარმოშობენ მოულოდნელ კომბინაციებს, -
ფონს ბედნიერი ამოძახილისთვის.
ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან თითოეული იყოფა ორად,
ხოლო იმათგან თითოეული - ასევე ორად.
ღიმილი(შორს აშრიალებული ჭკნობა,
რომლის ყინულივით ამაო ნაკვთები აღარ გეხებიან)
არც ჩურჩულს გულისხმობს.

ისინი აღარ წარმოშობენ ფონს აღტაცებისთვის.
შენს ძარღვებს თვალი შეერია და ბრძოლა ურჩია.

14.

მაგრამ:
ხედვის და მზერის ორგანოები,
მიტოვებულები თვალების და ყურების მიერ.
გაქცევის სურვილი აღეძრა მეგობარს,
რათა შერთვოდა უფრო დიდ სფეროებს და იქიდან მოესწრო პასუხი,
თავისი პასუხი.
და ისიც იცოდა, რომ მშობლიური სოციალურ-საწევრო კონტექსტი
შურს იძიებდა ჰორმონების სრული რხევით, -
მოთვინიერებულ ნაბიჯთა სიბრძნის იმედად მყოფი,
სიტყვისმიღმური დუმილისთვის ზურგისშემქცევი კვაზიალტაცება.

"ოჰ, ის დაუსხლტა ჩვენს სისუსტეს, ჩვენს ჭეშმარიტებას.
ვინღამ უშველოს?"

იკითხე: - ამ ხმებს შორის ჩემი ხმაც გაისმას?
ნაწილ-ნაწილ მიგდების ტექნიკა.
არა - მამტკიცებელთა თვალების და ყურების მიერ.

15.

სახელებით და შეცდომებით სავსეა ცხოვრება:
ორი რწმენის გზაგასაყარზე შეჩერებული ელმავალი, -
მზერა, რომელიც მოსალოდნელმა ცნობებმა აღნიშნეს,
რომელიც უკვე აცდა ლიანდაგს და იქცა განვლილ გამომეტყველებად,
შეწყვეტილ ცხოვრებად,
რომელიც ხელებმა და ფეხებმა განაგრძეს.
"ნუთუ შეცდომაც შესაძლებელია?".
შენი სახელებით ტვირთმძიმე ცხოვრება, ყოვლად კონკრეტული, ყოვლად
უმიზეზო, -
შუბლის ძარღვსა და საფეთქელს შორის გამოკეტილი ლიანდაგი:
ჩვენით მოცული გზა, რომელიც ჭკუიდან გადაცდა.
ამბობდი:
- სახელებით და შეცდომებით სავსეა ცხოვრება.

16.

გადაადგილებული შენი სახე.
შენი მზერა - ბლაგვი ჩიტების ეროტიკა.
სისხლსავსე, სისხლსავსე შენი ეროტიკა.

## ცვალებადობები

### 1. თქვენი ყოველდღიური ყოფა

ის შენ არაფერს არ გიყვება.
კედლებზე თქვენი მოძრაობები ერთმანეთს ერჩიან.
თქვენი სილუეტებიც ერჩიან ერთმანეთს.
ქარი როცაა,
ერთმანეთს ეკვრით და ცხოვრების გაუტანლობაზე ისე საუბრობთ,
თითქოს ერთმანეთს ვალებს უბრუნებდეთ.
რაც დრო გავა, თქვენი სურვილები უფრო და უფრო გართულდება.
უფრო და უფრო აიტანთ ერთმანეთს.
შენ მას არაფერს არ უყვები.
თქვენ ერთხელ უკვე გაუგეთ ერთმანეთს, -
ეს საკმარისია, რომ გნამდეთ, სხვაგანაც იგივე ხდება.
თქვენი ფიქრები ერთმანეთისკენ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით
მიდიან.
მათ იციან, რომ ერთმანეთს სადაც შეხვდებიან,
იქ სიტყვის ადგილი არ იქნება,
არც დრო იქნება ერთმანეთისთვის რაღაცის სათქმელად.
რაც მნიშვნელოვანია, ცდილობს შორს იყოს და იქიდან ხედავდეს იმას,
რაც ერთმანეთთან თქვენმა შეხებამ სახალხო საქმეს გამოსტაცა.
თქვენ ხართ ორიგინალურები და ნამდვილები, რასაც
საგულდაგულოდ უმალავთ ერთმანეთს და სულაც არ გრცხვენიათ.
ის შენ არაფერს არ გიყვება.
და კიდევ, იმ ერის შვილები ხართ, რომელიც დამოკიდებულია
ამინდის ცვალებადობაზე და ბადებს ბუნების უამრავ შვილს.
თქვენ, რა თქმა უნდა, ბუნების შვილები ვერ გახდებით,
მაგრამ ბედი აქეთკენ მიგაქანებთ, და გჯერათ,
რომ ეს უკვე რაღაცას ნიშნავს,
თუნდაც - სოლიდარობას მათთან, ბუნების ამ შვილებთან.
თქვენი სახლის კედლებს თქვენ უყვარხართ და ნატრობენ -
არაფერი ისე არ შეიცვალოს, რომ ინტერიერი იქცეს
ცივ და ცარიელ სივრცედ, სადაც ტაშის შემოკვრა გულს აჩქარებს
და წარსულში გადაჰყავს, როგორც ძილში.
თქვენ თუ რამეს აღმოაჩენთ, მხოლოდ - ერთმანეთში.
თქვენ თუ ვინმეს სიხარულს მოჰგვრით, მხოლოდ - ერთმანეთს.
თქვენს იქით მხოლოდ უკიდეგანო სამყაროა,
ის კი - ეს სამყარო - მართლა თქვენშია.
ქროდეს ქარი, ტყდებოდნენ ტოტები,
მაგრამ - გაუშვი - იცხოვრეთ.

ფონი: ნისლი, ნამშლელი ფრინველების და მეხსიერებაში დალექილი ნატვრის, / კრებს მანქანების გამონაბოლქვში და სახლებში შეხიზნულ ხმაურს, / რომელიც მუდმივად უნდა მეორდებოდეს ერთმანეთს მინდობილ ჩვენს გამომეტყველებებ-

ში / და მოძრაობის მოსურნე ტანების ქროლვაში არა ერთმანეთისკენ, / არც - ნებისმიერ უცხოზე ნაფენილი თრთვილისკენ; / მხოლოდ - კუთვნილი, მშობლიური უმწეობისკენ, / მხოლოდ - სარკისკენ, რომელმაც პერმანენტულად უნდა განგვაახლოს. / როცა ნისლი ივიწყებს მანძილს თავის ზრდასა და კვდომას შორის / და უსასრულოდ განივრცობა, /მაშინ ეს მანძილი, ჩვენში არეკლილი, / კვდომას გარდაქმნის დასაწყისად და ერთმანეთში ჩანაცვლებისკენ მიუთითებს ადამიანებს, / მოუწოდებს იმისკენ, რაც უკვე არის და რასაც ვერ ვხედავთ / მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ ისევ ნისლის ტოტები ირწევიან / მინისკენ ზურგშექცევით ამართულ ეჭვებში, - / და ერთმანეთს ეკვრიან იმ უხილავის წინაშე შიშით, / ვინც მათ ხვედრს არ ინდობს აი, ახლა, როცა ისინი / მართლა შემართულან ერთმანეთის გადასარჩენად და მართლა უშრომიათ, / როცა თრთვილის ყოველი ბგერა მინისგან მიტოვებულია, / განწირულია მეორე ბგერასთან დაკავშირებისთვის და / სიცოცხლის გადანაცვლებისთვის ერთი წამით მაინც. / ხოლო ისინი - ეს ტოტები - ჩვენს ხორცში სისხლივით განვითარებულნი / და ისე მტვრევადნი, როგორიცაა ჩვენი ბრძოლა / ერთმანეთის მეხსიერებაში ჩვენი გმირული ჟესტების შესანარჩუნებლად, / უკვე შრიალებენ, უკვე გვაუწყებენ, როგორ შორს არიან. / საარსებო მინიმუმით სავსე გაურკვევლობაში გადანაცვლებისთვის. / რასაც ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ უკვე არის.

## 2. იმედის შესახებ

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი გაუძლებენ
ცვლილებებით დაღარულ სახეებს
და მათ შორის ისე ივლიან, როგორც სიტყვებს შორის გაჭიმულ თოკზე.
განა მაშინაც არ ყვაოდნენ ბაღში ალუბლები?
განა მაშინაც არ წერდნენ ლექსებს?
მაგრამ ეს არც იმას უნდა ნიშნავდეს, ვინც ხეებს სიტყვებად არ გარდაქმნის,
ვინც უფრთხის ძველმოდურს მხოლოდ იმიტომ, რომ მოდაში არ იყოს.
შეხედონ, როგორ მიაგელვებს დავიწყება ერთმანეთში არეულ გამომეტყველებებს
და ტოვებს ნაკვალევს, სავსეს ტყეებით, ჭალებით
და ქალაქებში აშვებული ეპიდემიებით, ფრანგი პოეტებით
და ჩემს მიერ მათი ირიბი გახსენებებით.
"ესეც ასე"? "დიდი დრო დამთავრდა"? ეს სულაც არ ნიშნავს,
რომ უწყინარი სიარულების ან სახლში სხდომების ყველა არმია მშვიდობიანია,
რომ საქმე ეხება თანხმოვანი ბგერების წესრიგს.
მაშინაც, როცა ისინი გარბიან, რაღაცას ტოვებენ საიმედოს და საგანგაშოს,
რაც მერე ბედის ტრიალია, მიუღებელი სხვებისთვის, -
წესრიგის დამცველებზე კონტროლის მსურველთათვის,
რომლებიც, სხვათა შორის, უნდა გვიყვარდეს არა იმიტომ,
რომ მხოლოდ ასე გადავურჩებით ტოტალურ წესრიგს,
არამედ უფრო იმიტომ, რომ ისინი გადარჩნენ -
ჩვენზე ძალადობის ვნებით შეპყრობილი "კონტროლიორები":
ბაბილონის გოდლის მშენებელთა,
ილუზიონისტთა მორიგი ტალღა.
რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გაუძლებთ გახსენებებში დალექილ სახეებს, -
ჩვენი წარმავლობა კრებს მხოლოდ მოძრავს,

ინარჩუნებს მხოლოდ არსებითს.
მაგრამ ფოთოლი ჯერ მწვანეა, მერე - ყვითელი,
ბედნიერი და უბედური ადამიანები ერთნაირად ხედავენ სიზმრებს,
და აქ თუ არა, რომელიღაც ჩვენს აწმყოში მაინც არსებობს მხატვარი, პოეტი,
მერცხლები ბუდეებს იშენებენ და იჩეკებიან,
ღამით მთვარე ისე ამოდის, როგორც გუშინ ან
მრავალი საუკუნის წინ ამოდიოდა,
და ეს სავსებით საკმარისია,
რათა ვიცხოვროთ, ვიმღეროთ და არ ვიყოთ მარტო.

ფონი: რომ ვკვდებოდი და იმ კვდომაშიც განუწყვეტლივ ვანგრევდი ჩემს თავს / ან რომ გავურბოდი მოძრაობებს, რომლებიც ბაძავდნენ / სამოცდაათიანი წლების ჩემს ბავშვობას, / სადაც ჯერ კიდევ მაშინ ვიცხოვრე, როცა ამაზე ფიქრსაც კი შეიძლებოდა / ნარვეხოცე მთაში შესული გაზაფხულის წვიმასავით, მობიბინე ბალახებს შორის. /"მშვიდობით", - გვეუბნებოდნენ მოსალოდნელი ფრინველები / და თვალებს ჩვენი წოლისკენ აპარებდნენ. / რა იცოდი, რომ ვკვდებოდი მეთქი, ისე სათუთად ჩავჩურჩულე, /რომ მასაც კი, წარსულის მქონეს, შერცხვა და მზერა გამოშინოდა თავდახრილმა. / რა თქმა უნდა, იმეორებს მეთქი; / ვფიქრობდი, დიახ, იმას იმეორებს ჩემთან, / ვისადმი სიბრალულმაც აიძულა, რაღაც ღირებული გაეწირა მეთქი. / მაგრამ როცა მოხუცები? როცა ისინიც ბერდებიან? / როცა აღარ იძაბება არც ერთი მათი მოქმედება? / როცა სულერთია, საით გააქანებს ჩვევა? მაგრამ / დავუბრუნდეთ სამოცდაათიანი წლების იმ პირველ ნახევარს, / როცა ჩვენი სახლის კარი ძალიან ცუდად იკეტებოდა / და შიშზე უფრო ძლიერი იყო სირცხვილი ნებისმიერი მოსალოდნელი უცნობის წინაშე, - / სამი კედლის მიღმური ყოფნა: ზეთში შემწვარი კარტოფილი / და სინათლე ჩვენს ფანჯრებში.

### 3. წყალი

შენი ხელები კი გულგრილად თვლემენ.
ჩვენ შეგვიძლია, არ ვიყოთ შურისმაძიებლები.
გინდოდა სიკვდილი, მაგრამ იწყებდი სიცილს და ხელი გეშლებოდა.
სახე გეშლებოდა იმათ მზერაში, ვისაც უნახიხარ
სიშიშვლის და მიზნების მიღმა, -
გადამფრენი თევზების კლასიკა, პერიფერიული.
შენი გადაწყვეტილებებიდან მოისმის არა ერთგულება, არა ერთობა,
მხოლოდ ეს - უარყოფილი ღალატი.
მდინარეებს და ზღვებს ქმნიან კენჭები.
მათ იქით წყალია, რაც უკვე ჩვენი აღარაა,
რაც მხოლოდ ჩემია.
მე მაინც ვფიქრობ, რომ უნდა შეგეძლოს იმის აღება, რასაც გიწვდი.
წყალში ჩაძირულ ჩვენს თვალებში
ყოველთვის ის ჩანს, რაც წყალშია.
ხელები ერთმანეთს იზიდავენ,
ნარჩენები ერთმანეთს ეკვრიან.
ვასსერ: ველხ

აინ ვორტ. ვირ ფერშტეჰენ დიხ, ლებენ.
აი, ღამე. მაგრამ:
აი, სიჩუმე, რომელიც ღამეში არ გაისმა.
უნდა შეგეძლოს იმის აწევა, რაც მძიმე სულაც არ იქნებოდა,
რომ არა ჩვენი ერთადყოფნა, -
ჩვენს მიღმა მყოფთათვის ისეთი დამღლელი,
რომ მათი მზერა გვღლის და გვფიტავს.
სიტყვა აირეკლავს გადამფრენი თევზების სურათს
და აქცევს ჩიტებად, რომლებიც ცურავენ სიღრმეში, ფსკერთან.
ჩვენ შეგვიძლია შური არ ვიძიოთ,
არ დავუბრუნოთ, რასაც გვთავაზობენ.
მაშინ მე შევძლებ იმის აღებას, რასაც მინდი.
როცა ერთად ვართ, წყალი არ ჩანს.
და არც ჩვენ ვჩანვართ, მაგრამ ეს უკვე სიზმარია,
რომელიც ერთმანეთს მოვუყევით,
რომელმაც დაგვიცვა.
ხელები, რომლებსაც წყალი დაშლის, ცნობენ სიშიშვლეს
და ფრთხილად უარყოფენ ბროლის ამ ლარნაკს, -
წყლის კიდევ ერთ მორიგ ფუნქციას.
დანვეს თუ არა უკვე გვამი?
წავიდ-წამოვიდნენ თუ არა ტომის ბელადები?
მთელი ღამე იქ, წყალში, რაღაცეები ციმციმებენ.
თურმე, როგორია ყოფა.

ფონი: კრებს, როგორც გამოტოვებული სიცოცხლის ნარჩენებს, - / ბიოგრაფიებს, რომელთა ნამყო ჯერაც ცაშია და ჯერაც არ წაშლილა, / არ გამოურიცხავს შესაძლო არყოფნა, დასახსრული / ჩვენსკენ აჩქარებულ კეთილისმსურველთა ბილიკებად და შეტყობინებებად. / აი, ასე, ჩვენ გავიტყორცნებით ერთმანეთის ხვედრში მხოლოდ მაშინ, /როცა საკუთარი რიტმი გვეკარგება, - /სუნთქვის, ხედვის და სიტყვის რიტმი. / ჯერ და მერე კი მოძრაობები ადგილზეა, - თვალშეუვლები მათი ერთობის სტატიკა გამძლეა ჩვენივე მიზეზით, / და ვინ იტყვის, რომ ეს ცუდია და წესრიგს აზარალებს. / აი, ასე, ჩვენ ჩავენაცვლებით ერთმანეთის კონკრეტულ დავიწყებებს / და ვქრებით, ვიდრე მათში სხვა მიმოიქცევა - ერთი ან ათასი. / და ჩვენი შიში იქცევა ნუგეშად, განუხორციელებელი მიზნების გავლით, / იმ კანონებში და წესებში გავლით, რომლებიც მანამ არსებობენ, / სანამ მათი არსებობა ცნობილი არაა აღმსრულებლებისთვის. / და ის გამძლეა იმიტომაც, რომ თუ ერთმანეთს არ შევეხეთ, ვერ ვიმოძრავებთ, / ვერ შევქმნით სიტყვებს, რომლებითაც ერთმანეთი უნდა გადავწონოთ; / დაწყვილებულთა სისავსე ინგრევა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს. / აი, ასე, ჩვენ გამოვტოვებთ იმათ, ვინც შეგვხვდა და გაგვიმეტა, / მაგრამ მათი კითხვები ჩვენს მოკუმულ ბაგეებს მიემსხვრევა / და ბადებს ზუზუნს, მნიშვნელოვანს სასვენი ნიშნებივით, / პოენის გზებზე დაკარგულებივით.

## 4. ძველი სიმღერა

შენ ფიქრობ, რომ უნდა წავიდნენ?

შენ ფიქრობ, რომ უიმათოდ უნდა დავრჩეთ, ვინც ჩვენში ცოცხლობს?
შენ ფიქრობ, რომ ჩვენი ხელებიც ეს-ესაა დაემშვიდობნენ მთავარ ვარსკვლავებს?
და რომ ჩვენ ამას გვიან, გვიან, გვიან გავიგებთ?

არავითარი ნიშანი იმის, რომ ჩვენ მოვკვდებით.
არავითარი ნიშანი იმის, რომ ოდესმე მაინც მივხვდებით სიცოცხლის და
ერთგულების ფასს.
არავითარი ნიშანი იმის, რომ ჩვენს სულს ისეთს ნახავენ სიზმრად, როგორიც იყო.

რა შეიძლება იყოს უფრო თანმიმდევრული?

შენ მეუბნები: შემთხვევითობა მხოლოდ მედლის ერთი მხარეა.
შენ მეუბნები: ვერ მოგვძებნიან იმ ხის ფესვები, ერთ დროს რომ დავრგეთ.
ვერ მოგვძებნიან წყლები, ჩვენ რომ არ ნაგვიბილწავს.

არავითარი ნიშანი იმის, რომ ცოცხლები ვართ.
არავითარი ნიშანი იმის, რომ ჩვენს სიკვდილს ვინმე ამოხსნის
და ამ სიკვდილის ნამდვილ მიზეზს ამოიკითხავს.
არავითარი ნიშანი იმის, რომ ჩვენს ხსოვნას ვინმე ჩვენი საქმით დაიცავს.

მე შენ მიყვარდი, მაგრამ ენახე, როგორ დაგლალე.
როგორ დაგლალე ერთგულებით. და გაგეცალე,
გადავიხვეწე ცხრა მთას იქით და ცხრა ზღვას იქით
და ჩემს სიტყვაში, უნუგეშო ამ ყოფაში გამოვიკეტე.

შენ ვერ იმღერებ გაუმხელელ ვერც ერთ ჩემს სურვილს.
შენ ვერ იმღერებ იმას, რაც არ ვთქვი.
იმას, რაც არ ვთქვი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვიტყოდი.

რაც იქ ხდებოდა, იმ ჩვენს თითქოს ამოუხსნელ ერთადყოფნაში,
იმ ჩვენს ღალატში, - რაღაც ერთობ გადასარჩენს რომ ვღალატობდით,
იმას აქ ვცხოვრობ ასე გვიან მხოლოდ იმიტომ,
რომ დაიხარჯოს და არ გახდეს ვინმეს საშველი,
რომ არ მეძებოს ვინმემ თუნდაც იმ ჩემი სახით,
რომელიც გასცემს მხოლოდ თავის
- არა ჩემს -
ნარსულს,
იმას გასცემს, რაც სხვაგან მიდის.

მე ასე ვხედავ: მედლის მეორე მხარეც ესაა - შემთხვევითობა.
კანონი სადღაც სხვაგან არის საძიებელი. სადღაც მათ მიღმა.

არავითარი ნიშანი იმის, რომ რაღაც ვიცით.
არავითარი ნიშანი იმის, რომ რაღაც არ ვართ.

# ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲕᲘᲜᲪ ᲬᲧᲐᲚᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲠᲩᲝ

*უშანგი გაბიტაშვილის ხსოვნას*

## 1. მსუბუქი ვახშამი

1. მეკითხება, ისინი ვინ არიან, სათვალიანი ადამიანები. ხელს რომ ვაშველებდი. ვეკითხები, მისთვის ერთი კაცის ბედი არსებობდა. ჩაი შესთავაზე. ერთი კაცის, რაც საკმარისია, რომ მე ვიყო უცხო. ვინც ყოველთვის უცხო ვიყავი მათი ძმობის ირგვლივ, ახველებს. და ასეც - ვბრუნავდე იმ ღერძზე, სათვალავში რომ არ ჩაიგდება. მაგრამ უნდა მომახსენოს, რომ შრომამ შექმნა ეს ხომ ძველი სენტენციაა მიანი. ვინ არიან მეთქი ისინი, 2. სათვალიანი ადამიანების ზურგებს რომ ერნყმიან. ერთი კაცის ბედი ტრიალებს მის დაღლაში, ტერიტორიების ცვალებადობაში. გზა რომ გადაჭრა, მაშინ ვაღიარე. ხელს ვიქნევდი ქვემოდან, ოსტატო. მეგობარო, ერთი კაცის, განა სარკე შეიცავს კრიალს? ყველგან, სადაც მივა. უნდა მომახსენოს, რომ ახალ და რთულ სამუშაოებთან დაკავშირებით, როგორც ნესი, ადგენენ ტექნოლოგიურ რუკებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნოლოგიური ოპერაციების და პროცესების თანმიმდევრობას, სამუშაოთა შესრულების ხერხებს და მეთოდებს, ადგილს მუშისას და მის უზრუნველყოფას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რომლებიც შესაძლო ტრავმატიზმის და პროფდაავადების თაურნყაროთა აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევიან ასმესამე გვერდზე. ქალაქი მტვერში შეიცნობა, ღიმილის გასნვრივ, სარკესავით სნორი ზედაპირი. ოჰ, 3. ვემთხვევით თუ არა, მაშინვე გვიშორებს და ნარმოქმნის მრუდს, ჩვენს იქით. სანამ არ გაციებულა, ჩვენს იქით, საჩვენებელ ტერიტორიაზე. მივხვდი, კითხულობდა, რამდენი კოვზი ჩაეყარა. კედლიდან რამდენიმე ნაბიჯის სიშორე საკმარისი აღმოჩნდა მისთვისაც და ჩემი ნაცნობი სტუდენტისთვისაც, როცა ბუყბუყით ჩადიოდა ნყალში, როცა ეწეოდა მომდევნო ნინარეს, სამი. ტრიალით მანიშნებდა, ღიმილის მიღმა, ამდენი აბსტრაქტული ჟესტის იქით. თვალს არ ვაშორებდი. 4. ამიტომაც აღმოჩნდა გატანილი გარეთ, კომბინაციების მორიგ შრეზე, დალექილზე. გმადლობთ. ეკითხება კი? ან რას? ნიშნებს არ გაურბის, მაგრამ შორს უჭირავს. უნდა მომახსენოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მანძილს სამრენველო დანესებულებებსა და საცხოვრებელ ან საზოგადოებრივ შენობებს შორის განსაზღვრავენ სანიტარულ-დამცავი ზონების შექმნის აუცილებლობით ორასორმოცდამესამე გვერდზე. შორს უჭირავს 5. მსხვილ ღერძზე მოტრიალე და მაღლივი თავი, ფსკერზე ორიოდე ნუთით დალექილი, როგორც დასვენება. ერთი კაცის ბედზე აგებული მისი ხველა გაისმის ყველგან, ტრანსპორტში, პარკში, შინ და გარეთ. მომქანცავი მგზავრობის მერე. და რომც აღიარო, ვეკითხებოდი მაშინ ჩემს თავს, ისინი ვინღა იყვნენ, მისი ზურგი ვისაც ფარავდა, ზედხედის იქით. აი, ასე. გმადლობთ. მერე ადგება და გარბის. უკვე დაბრანულა. ვისი ბედიც 6. ისე ტრიალებს მის ნარსულში, მის ყოველ ხვალეში, როგორც მე მზის გულზე, გასულ ზაფხულს. ქალბატონებო და ბატონებო. მომდევნო შეხვედრამდე დამშვიდობებული ქალაქი მტერით გამოიცნობა, რამდენიმე კოვზის თანხლებით. უნდა მომახსენოს, რომ მნიშვნელოვანია ბგერითი ნნევისა და ინტენსივობის შედარებით ცვალებადობაზე ადამიანის სმენის ორგანოს რეაგირების ფაქტის გათვალისნინება სასაზღვრო სიდიდესთან და-

კავშირებით ოთხმოცდამეცხრე გვერდზე. დაიხარე და აკრიფეო. დიახ. სათვალავში რამდენიმე კოვზის ჩაგდებით. გავითვალისწინე. 7. ამბობ, ხელს ზემოდან ხომ არ ვაშველებდი, როცა იქნევდნენ ხელს ზემოდან. როცა გვცივა, ვთბებოდეთ ერთად. აივნის მოპირდაპირე მხარეს ვალიარე. ვეკითხები, ვინ არიან, მარჯვნიდან ქვემოთ, ირიბი სვლით. საკმარისად გადადე, არა? რამე უფრო ბრძნული, უფრო დაბრანული. ჩემი ხველა გაისმის ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. ირიბად და ქვევით, მდინარისკენ. უნდა მომახსენოს, რომ თუ არ ხერხდება ვიბრაციის შემცირება თავწყაროშიჟე ან ვიბრაცია წარმოადგენს აუცილებელ ტექნოლოგიურ კომპონენტს, მაშინ ვიბრაციის შესუსტება მიიღწევა ვიბროიზოლაციის, ვიბრომქრობი საყრდენის, ვიბრომყლაპის, ვიბრაციის დინამიკურ მქრობთა გამოყენებით სამოცდამეთხუთმეტე გვერდზე. თეთრი. რაც სავსებით შესაძლებელია. და ამოყვინთა, გაპრიალებულ 8. თავის ზურგს გამოჰყვა, მხარი უგანა ჩემი სტუდენტის დგომას, ჩაზნექილ ქვიშაზე. შენ ხარ მტერი ჩემი ბუნების, ჩემი მონოდების, მე შენ მძულხარ. ისინი მომდევნოს მოჰყვებოდნენ. მეკითხება სათვალიან ადამიანებზე. მე მათ არ ვიცნობ. მე მათ ვიცნობ. რაც უზომოდ ძვირი ღირს. მერე ადგები და წახვალო, ამბობს, რომ მერე ავდგები და წავალ. ვიცი და ვაფასებ. მსხვილ ღერძზე, რომელიც ღიმილს არეგულირებს და ნვალობს. აი, ჩემი ხელისგულები, კანი, დამსკდარი, დასერილი. რაც საკმარისი აღმოჩნდა შენთვისაც და მისი ნაცნობი სტუდენტისთვის უფრო. ქალაქს მტვერი იფარავს მსგავსი ნაბიჯებისგან. მათი მოძალება, ბევრის. მოგაწოდო? იმ ერთის ბედი. გზა რომ გადავჭერი, მაშინ უკვე ხელში მეჭირა, მიუხედავად მომქანცავი მგზავრობისა. ჩემი ზურგი ვისაც ფარავდა. დიახ, იმაზე მომახსენებდა, 9. ვისაც ვუგანე. შენ ხომ პირსახოცს მერე დასწვდი, რატომ არ ცრუობ? სამი კოვზი ჩამიყაროს, ტრიალით ვანიშნე, ჩვენი უცვლელი სოცსამშობლო, ჩვენი ვალი. სწორი ზედაპირი გადაწმინდა და დაჯდა, გათამაშდა. როცა ასე ერთად ვირხევით აივნის მოპირდაპირე მხარეს. გულ-მკერდში. ოღონდ ასე არა. უნდა მომახსენოს, რომ სახანძრო სიგნალიზაცია განკუთვნილია ხანძრის საწყისი სტადიის აღმოჩენისთვის, მისი წარმოშობის ადგილისა და დროის შესახებ უწყების გადაცემისთვის და ხანძრის ჩაქრობისა და კვამლის აღმოფხვრის ავტომატური სისტემების ჩართვის აუცილებლობის შემთხვევისთვის ორასსამოცდამეოთხე გვერდზე. გაითვალისწინებს, ზედხედის იქით, პარალელური აქციების მთელი გუნდი, მთელი მწუხარება. და ამოვყვინთე, ბუყბუყით, სასაცილოდ, რამაც მრუდი წარმოქმნა. ხოლო საინტერესოა, რატომ არ ცრუობს. თქვა, 10. ავდგები და წავალ. მზიური ქვეყანა, შუქი. მმადლობს. მისი ზურგი ვისაც ფარავდა. ჩვენი დასერილი ხველა გაისმის ყველგან, ყველა მონაკვეთში. უფლებების და მოვალეობების ჩათვლით. ვეკითხები კი? ვეწევი კი მომდევნო წინარეს? იცის და მაფასებს. სამი, სარკესავით მოკრიალებული. ვემთხვიო მის თიკანს, მის თავს. მოვხვიო ხელი რამდენიმე ნაბიჯის იქით. თუმცა, როცა ქრება და ინთება, როცა 11. ქრება და ინთება. უნდა მომახსენოს, რომ ხმაურისგან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს უნდა ახასიათებდეთ შემდეგი ძირითადი თვისებები: შეამცირონ ხმაურის დონე დასაშვებ საზღვრამდე სპექტრის ყველა სიხშირეზე; არ მოახდინონ ზედმეტი დაწოლა ყურის ნიჟარაზე; არ დააქვეითონ მეტყველების აღქმა; არ ჩაახშონ საფრთხის ბგერითი სიგნალები; უპასუხონ აუცილებელ ჰიგიენურ მოთხოვნებს ოთხმოცდამეცხრამეტე გვერდზე. მის დაღლაში ამოსულ 12. მგზავრობას, შენარჩუნებულს იმ ღერძზე, რომელიც მისი, იმ ერთის, ბედია. ზედხედის იქით მშენებარე მაღალი რეგისტრი, ყოველდღიური საიდუმლო. ადგება და წავა. და მაინც, და მაინც: ვარდი, ხველასავით მიუღებელი და ჩვენი; / სიტყვა, ხველასავით ქრობადი სივრცის

ხვეულებში; / ჩვენი ყოველდღიური წესრიგი, ხველასავით უამური, თბილი; / დაგვიანებები, ხველასავით გაურკვეველი და პირდაპირი; / კალიების ნახტომებში შენიშნული ძახილის ნიშნები, ხველასავით ურიცხვი, ერთი; / გადაძახილი სიჩუმეში, ხველასავით აუცილებელი; / ჩემი ძეირფასის სუნთქვა, ხველასავით სწრაფი; / სიმშვიდე, ხველასავით ხანმოკლე ამ გაუთავებელ წარმავლობაში, ამ აბსტრაქტულ უამინდობაში. 13. გზა რომ გადავჭერით, მაშინ. მათი მოძალება მიგვახვედრებს, რომ უფლება გვაქვს არ ვიყოთ ცოცხლები, მაგრამ შეგვიძლია მოვკვდეთ. თუმცა ჯერ ცხელია. დგომის გასწვრივ, აივნის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ის დგას მომქანცავი მგზავრობის მერე. მე კი სკამს უნდა ვთავაზობდე. მომქანცავი მგზავრობის მერე. სავსებით მმადლობს.

## 2. ჭირვეული ამინდის შესახებ

- კარგი პირი უჩანს, ითვლის ვარსკვლავებს და შვებას ჰგვრის ეს საქმე.
- კარგი პირი უჩანს ამინდს.

- მე ვფიქრობ, საგნები, რომლებსაც მოულოდნელი მზერა ეფინება,
უკვე იმაზე მეტს ითხოვენ, ვიდრე შეეძლოთ მოეთხოვათ
მათზე ამ მზერის მოფენამდე, მაგრამ
ამის მიზეზი არც მზერაშია საძიებელი და არც საგნებში, არამედ
სისწრაფეში, რომელიც საგნებს ადგილთან აკავშირებს, მზერას კი -
დროსთან. მაშასადამე, ის არ აკავშირებს ერთმანეთთან
საგნებს და მზერას. არადა, მათი ერთობის შესაძლებლობა
სწორედაც რომ სისწრაფეშია, რომელიც, თავის მხრივ,
შეუძლებელია მოულოდნელობის გაუნეიტრალებლად,
იქ და იმნამს, სადაც შეხვედრა გათამაშდა. ასე
თავისუფლდება თვალი სიძველისგან და ივსება სიახლით, რაც
სხვა არაფერია, თუ არა სიძველეზე ნოსტალგიის
რეალიზების იდუმალი ვნება, რომელიც მარადჟამს უნდა იქებოდეს
და იდიდებოდეს იმ ადამიანების მიერ, რომლებიც
სიცოცხლის ერთ მესამედს ძილში ატარებენ, და ასეც ხდება,
რაც, საცნაურყოფის შემთხვევაში, მადიდებელი ადამიანების
დიდებად შემობრუნდება ხოლმე, გაუცნობიერებელი კი, უბრალოდ,
თავის დროს გამოჭამს და კვდება. თუმცა
ჯერ სიტყვა უნდა ითქვას, მერე სიტყვა მზერად შემკვრივდეს, მერე კი
მზერამ საგნები წარმოქმნას. მაგრამ
ვის მიერ უნდა ითქვას სიტყვა? რა თქმა უნდა, იმ
საგნების მიერ, რომლებითაც მოფენილია ჩვენი გრძნობის
ყოვლად უსაგნო ტერიტორია, ყოვლად ცვალებადი ველი. ეს
ერთი დიდი წრებრუნვაა, ხოლო ვინაიდან წრე მხოლოდ
ჩაკეტილი შეიძლება იყოს, ჩაკეტილი წრე ჩვენი
წესია, სიტყვით შეპყრობილთა ერთადერთი თავისუფლება, ისეთივე
გაურკვეველი, როგორიცაა ყველაფერი, რაც ჩაკეტილია. როგორიცაა
ყველაფერი, რაც გადარჩენას და მეორედ მოსვლას

არ ექვემდებარება, რაც ერთადერთ პერსპექტივას ფლობს: იქცეს
სიტყვად და გაქრეს სიტყვად. ხოლო რაც საგნებს შეეხება, ის
შეეხება ადგილსაც და დროსაც, სადაც და როცა ჩვენი მზერა
ჩასაფრებულია პირველივე საჭიროების შემთხვევაში
კიდევ ერთი მზერის შესამუშავებლად, რომელიც
მისი მზერა იქნება, მზერის მზერა, იარაღი
ტოლობის ნიშნების მოსასპობად და საზრისის გაჩენის
საშიშროებისგან თავის დასაცავად, იმისგან დასაცავად, რაც
ყველა უბუმბულო ორფეხა ცხოველისთვის ერთნაირად
გასაგებ ენაზე მეტყველების სამართლიან საჭიროებას
უკავშირდება. და მაინც, ყველასთვის გასაგებ ენაზე
შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ აქ ლაპარაკია ჩემს მზერაზე, პოეტის
მზერაზე, რომელიც ბრმაა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა სხვა მზერა
თვალხილულია, ყველა სხვა მზერა საზრისს ხედავს. აი, ამ დროს
თავი მორჩილად უნდა დაიხაროს.

- კარგი პირი უჩანთ ჩემს მეგობრებს,
მათი ღიმილი სავსეა გაურკვეველი მომავლის წინაშე სიჯიუტით.
- კარგი პირი უჩანს ამინდს.

- თავისი ცივი და უხერხემლო თვალებით, ფაქტიურად, ისაა თევზი,
და თუ მას შვილები ეყოლება, ყური დამიგდე, თუ მას შვილები ეყოლება,
მათ ექნებათ თევზის სუნი
(ჯერ ჩაის დავლევთ, მერე ნამცხვარიც გამოჩნდება).
- მის შვილებს ექნებათ თევზის სუნი
(ჯერჯერობით ეს ორი ბოთლი სავსებით კმარა, რათა გავთბეთ).
- ყველასთვის გასაგებ ენაზე გამოითქმის ბრძანებები და მითითებები
(რა კარგია, რომ, ასე თუ ისე, შეგვიძლია დავსხდეთ და დავლიოთ
იმდენი, რამდენიც სავსებით საკმარისია, რომ არსად არ წავიდეთ,
ვიყოთ ამ მახინჯ სამყაროში).
- მომისმინე, ისინი მეთევზეები არ გახდებიან არასოდეს,
მათ ექნებათ თევზის სუნი და მეტი არაფერი. მეტი არაფერი
(მე გეუბნები, ეს საქმე გამოვა, და თუ არ გამოვა, არც ამაზე დაგვწყდება გული).
- გეუბნები, მეტი არაფერი. მე ვიცნობ მაგ მოდგმას ძალიან კარგად
(ერთიც გავაბოლოთ).
- მე ვიცნობ მაგ მოდგმას
(სამლიტრიანი ქილით ხელში).
- ძალიან კარგად.

"უკვე რამდენი სიკვდილი დაგროვდა,
რამდენი ადგილი შეივსო დარდით დროში და სივრცეში. უშინაარსო სინანულით.
მე მათ ვტოვებ და გავრბივარ სიზმარში, მოულოდნელობებით
მოსანყენ სიზმარში, სადაც არაფერზე არ ვაგებ პასუხს,
სადაც ჩემს გარდა ტრიალებს ყველა და ყველაფერი"

აი, მეგობარმაც გამიხსენა ამდენი ხნის მერე.
ჩვენ ვსხედვართ და ერთმანეთს ველაპარაკებით სულ სხვა ენაზე.
ამ ენაზე ლაპარაკობენ მუშები, ინჟინრები, პედაგოგები.
მე არ ვიცი, რა იქნება სამი წლის მერე ჩემს ასაკში:
ვის როგორ შევხედავ.
თავს ვის მოვაწონებ.
როგორი ვიქნები, როცა ფიქრები გამიტაცებს.
დღეს კი მეგობართან ერთად ვხარობ და ბევრს ვლაპარაკობთ,
ერთმანეთს შევცინით.
ძირითადად, ჩვენზე და სხვებზე.
და სულაც არ მოჩანს კავშირის გამწყვეტი ის ერთი ხმოვანი.
ვლაპარაკობთ ჩვენზე და სხვებზე.

- მინდა გითხრა, რომ ისინი დაივიწყა ჩემმა სამყარომ აი, ამ ჩემს თავში, სადაც არაფერი არ იკარგება ვილაცისთვის, ვისაც მე არ ვიცნობ.

- შენ ხარ მობი დიკი, იცოდე.

- დათო, მე მაინც ტრადიციულ ესთეტიკურ კატეგორიებს ვანიჭებ უპირატესობას: მშვენიერი, ამაღლებული.

- "...ნეტა რა მოსდით ამ დროს გულში ადამიანებს
ან მათ თავებში რა ხდება ამ დროს
იქ, იმ შორეულ სამყაროებში, სადაც ისინი თავიანთი მრავალი სახით არიან ახლა.
თქვი, როცა ასე ეკვრებათ სუნთქვა,
რა მოსდით მაშინ ადამიანებს.
საბრალო ხალხი. ამაღლებული საბრალო ხალხი.
რასაც ისინი გამოყოფენ ამ წუთებში თავიანთი სხეულებიდან,
არ უნდა იყოს სასაცილო არავისთვის, ვინც მათ არ იცნობს..."

- შენ წაიკითხე ეს გაზეთი? ერთი ნახე, აქ რა წერია.

- "ხედვა" თუ "მზერა", შენ რას იტყვი?

სამი წლის მერე მე ისევ ვიცი ჩემი ამინდი:
თალხი, ადამიანებს გამოკლებული გაზაფხული.
მობი დიკი წყალმა დაახრჩო.
მე ვამბობ:
- ახლა კი შეიძლება, შენს სახელს ის ერთი ასოც დაემატოს
და რაღაც შენივთდეს.
მოიძებნება თუ არა ამით დაკარგული შენი სახე,
რომელიც ყოველთვის ღიაა იმათთვის,
ვისაც უყურებდი თბილად, პრაქტიკულად.
საკამათო და კავშირის გამწყვეტი ის ერთი ხმოვანი.
დაგივიწყა თუ არა სამყარომ ცეკვა-ცეკვით მიმავალი ადამიანების,

ცოცხალი ახალგაზრდების თვალწინ. ეს მხოლოდ შენ იცი.
შენ ვერ აიტანე შენი სიკვდილი, შენი დაღლილი საფეხური,
რაც ჩემთვის ცნობილია ძალიან კარგად.

### 3. კანონის შესახებ

*საშინელებაა, როცა ნიუ-იორკში გვიან ღამით ვინმე იცინის. რამდენიმე მილიდან გაიგონებ. და ხელადვე მარტოობის ნაღველი შემოგანვება...*

სელინჯერი

ის ჩამჩურჩულებს, რომ მარტოობა არ არსებობს,
რომ მაშინ, როცა მარტოობა ტყით შემოსაზღვრულ გუგულის რეჟიმს გადაჭრის და
მთელი თავისი რეალობით წარმოგიდგება,
იცოდე, რომ ის - მარტოობა - არ არსებობს.
ერთი შეხედე, ხვალ-ზეგ დასაკლავ ამ ცხოველებს, ამ შინაურ გულისფეთქვებს,
ერთმანეთი როგორ უყვართ იქ, სადაც დააბეს,
და თავიანთი უმორჩილესი მოძრაობებით აცხრობენ კანონის მხურვალებას,
ანელებენ ცეცხლს, რომელიც, რომ არა მათი ბიოლოგიზმი,
ამობუგავდა სამყაროს და თავის თავს ტანჯვით დააცხრობდა.
ის ჩამჩურჩულებს, რომ მაშინ, როცა ისმის სიმღერა,
უკამკამესი ნაკადულივით რომ მორჩილებს თავის დინებას
და ირიბად ჩაედინება თითოეულ ახალ დახრაში, თითოეულ საკუთარ ხმაში,
ის არ ერთმევა სხვა სიმღერას, ერთმანეთის მაძიებელ არც ერთ სხვა
სვლას თავისი ბოლო წერტილისკენ, თავისი სიტყვისკენ,
ის - მარტოობა - ჩამჩურჩულებს, რომ არ არსებობს,
რომ არც - ირმის ნახტომი ცაში, არამედ მხოლოდ აქ - მიწაზე,
სადაც თითოეული კონკრეტული სუნთქვა ეკუთვნის კონკრეტულ შეყვარებულს,
შეყვარებულს იმის ძალით, რომ მისი ყოველდღიური ყოფნის რიტმი
მორჩილებს იმას, რაც სამყაროს კანონს მორჩილებს,
რაც არ აღიბეჭდება არსად არა იმიტომ, რომ მიმდინარეობს,
არამედ იმიტომ, რომ რაღაც რომ აღიბეჭდებოდეს, ამისთვის საჭიროა:
ის, რაც აღიბეჭდავს, არ აღიბეჭდებოდეს არსად, თავის თავშიც კი - არა.
ის ჩამჩურჩულებს, რომ, რა თქმა უნდა, ის არსებობს,
მაგრამ - მხოლოდ იმიტომ, რომ არის რაღაც,
რაც არ წყდება არასდროს, ისე, როგორც ჩვენი გულისფეთქვა:
ჩვენი წრებრუნვა მოითხოვს პერიოდულ დაძირვას ძილში,
რაც სავსებით უცხოა გულისთვის მხოლოდ იმიტომ,
რომ პერიოდულად ვიძირებოდეთ იქ, საიდანაც ჩვენს მარტოობას ვერ განვდევნით,
ვერ დავეპატრონებით ადგილს, რომელიც მოპოვებულ იქნა ბევრად ადრე,
ვიდრე ჩვენ დავიბადებოდით, ჩავეწერებოდით კანონში
ყოველდღიური მეხსიერებისა, რომელიც არ ღალატობს იმას,
რასაც ჩვენ მარტოობად მოვიხსენიებთ და ასე ვამარცხებთ,

ასე ვერთობით იმით, რამაც უნდა უშველოს ჩვენს იერს, ჩვენს სავალს, როცა
ჩიტები ინყებენ ჭიკჭიკს, ხეები მწვანდებიან ისე, რომ არავის არ ბაძავენ,
ტალახი სავსეა მოღრუტუნე არსებების მთელი სიმრავლით -
კმაყოფილი მათი დინგები გამოიყურებიან მიწის ერთგული შვილებივით,
ანუ ისე, როგორებიც არიან ისინი, მათი პატრონები.
შენ კი უკუქცევის ამ შეუძლებლობას უყურებ იმით, რაც აღარ ხარ:
შენი გუშინდელი აღტაცების ფონზე აწრიალებული გულისფეთქვით,
ქარში მოფარფატე ფოთოლივით, რომლითაც ხე ამინდს უმკლავდება, -
უნუგეშო თავის მარტოობას, თავის ერთადერთ მეორე მხარეს,
სიხარულში გარდამავალ, კანონის სიმშვიდეში ჩამავალ
თავის ხვედრს, თავის პროცესს,
და შენ ვერ გაიგე, მაინც რა მოხდა: "ეს-ესაა გავიდა ზამთარი"
თუ "ზამთრამდე ჯერ კიდევ შორია"
ყოველ შემთხვევაში, ესაა შემობრუნებები,
რომლებიც ყოველთვის გაურკვეველი იქნება შენთვის,
ვინაიდან შენც ის ხარ, ვინც შენი სახით მორჩილებს თავის გულისფეთქვას.

## ტაბაკინური განწყობილებები

*მამა იაკობს, მამა ვარაქიელს, ტაბაკინის*
*წმინდა გიორგის მონასტრის ძმობის წევრებს*

### 1. წარმომადგენლობა

ეს-ესაა ღამე დაიწყო და ბაყაყები ტოვებენ თავიანთ დღიურ სავანეებს
და ასობით სანტიმეტრის გავლით მიემართებიან ტბორებისკენ, რუებისკენ, გუბეებისკენ;
მათ უნდა გადალახონ მოულოდნელი შეხვედრებით და წინააღმდეგობებით სავსე მანძილი,
რომელიც ყოველმა წამმა შეიძლება შეცვალოს, ვინაიდან
მათი მიმართულება არ იმართება არც აზრით, არც, მით უმეტეს, ინსტინქტით.
ისინი, მინებებულები ჰაერის ლოგიკას,
საქმიანი ადამიანის იერით გადაადგილდებიან სიბნელიდან სიბნელისკენ და ასე უახლოვდებიან ღამეს.
მათი სხეულები ეძებენ ერთმანეთს, მაგრამ როცა ჰპოვებენ, უკვირთ.
რას საჭიროებენ ისინი ამქვეყნად? ძალიან ბევრ რამეს,
მაგრამ - მხოლოდ მაშინ, როცა მშვიდად გადაადგილდებიან მომავლისკენ,
ისე, რომ არაფერს მოელიან, მაშასადამე, არც არაფერი არსებობს მათ წინ;
ისინი ამოდიან და ჩადიან იქ, საიდანაც ამოდიან და ისევ ჩადიან.
და აი, ეს-ესაა დაიწყო ღამემ ბაყაყების დაშლილი არმია, -
მათი მიმართულებები იმართება გაბმული შინაგანი ძახილით,
უწყვეტი ხმის იმ ჰარმონიით, რომლითაც ისინი
ყოველდღიურ თავიანთ ყოფას უკავშირდებიან.
ასე იყო გუშინ, ასე იქნება ყოველთვის:
ისინი ამოდიან ტბორებიდან და გუბეებიდან მხოლოდ იმიტომ,
რომ დაუბრუნდნენ ტბორებს და გუბეებს მას მერე, როცა
აღიჭურვებიან იმით, რითაც ტბორებში და გუბეებში ვერ აღიჭურვებოდნენ.
ეს ის ცოდნაა, რომელიც გამოუსადეგარს ხდის მათთვის არა აზროვნებას,
არამედ აზროვნების სურვილს და მუდმივ შიშს, რომ შეიძლება პროგრესი შეწყდეს.

მათი გულისცემა ჩქარდება მხოლოდ მაშინ,
როცა უახლოვდებიან და უკვე ხედავენ წყალს და ერთმანეთს.

### 2. მგზავრის სიმღერა

ვთქვათ, დღეს რა ნახა,
ჩემმა დაღლილმა წარმოსახვამ რა ფრინველი მოინადირა
ამ ირიბ ტყეში, სადაც მის შიშს არ უნდა ჰქონდეს
იმის იმედი, რომ - დამცხრალი - აღორძინდება,

და, მინავლული კოცონივით, გაღვივდება ვიღაცის ხელით?

არაფერი, სულ არაფერი.

ახლა კი, როცა ღამე ჩამოწვა, რაიმეს, ალბათ, მაინც ნახავს,
რაიმე ისეთს, რაც თავის ჯანმრთელ თანამოძმეთ ჩამორჩენილი,
რა თქმა უნდა, ის არ იქნება,
რაც დღისით, მზისით უნდა ენახა.

ჭრიჭინების დამცხრალი რიტმი
სიყვარულით იმეორებს დღის მხურვალებას;

უკვე ჩავლილს და წარმოსახვაში იმაზე ოდნავ უფრო დაძაბულს,
ვიდრე დღეს იყო,
მიუთითებს ჩემი ჩრდილისკენ,
რომელშიც მთვარემ დროის რაღაც მონაკვეთი გამოამწყვდია.

ვიდრე ამ საქმეს ჩაიდენდა, მთვარეს, ცხადია,
ბევრად კეთილი სურვილები ამოძრავებდა,
მაგრამ რომ ნახა, მე ამ საქმეს არ ვეყოფიო,
ჩემს უკვე დამცხრალ, უიმედო წარმოსახვაში
ისე სწრაფად და საიმედოდ დაიდო ბინა,
რომ თვალი ვკიდე მხოლოდ დროის უმცირეს ფრაგმენტს,

და ამ ფრაგმენტმაც მხოლოდ მთვარის სურვილები წარმომიჩინა...

### 3. ვისაც არავისთვის არ მიუბაძავს

და მაინც, მე თუ ვინმეს ვბაძავდი,
ვბაძავდი ჩეჩმას,
ვბაძავდი აი, ამ კონკრეტულ ჩეჩმას,
რომელიც გადახარა არა ქარმა, არა წვიმამ
ან უამინდობების მთელმა სერიამ,
არამედ - ყველაფერმა ერთად,
და არც - ყველაფერმა, არამედ
ყველაფერმა ერთად, ნაგულისხმევმა იდეაში,
რომელმაც ჩეჩმის გეგმა წარმოშვა.
მაშასადამე, მე ვბაძავდი ყველას და ყველაფერს,
რაც და ვინც შეიძლებოდა გამოყენებულ ყოფილიყო შექმნამდე
ან, უბრალოდ, პრაქტიკაში რეალიზებამდე ბევრად ადრე,
ე. ი. ჯერ კიდევ იდეაში.

4. სიზმრის კვალდაკვალ

მისი თვალები ფართოვდებიან უსაზღვროდ, უჩვენოდ,
რათა აღიარონ რაღაც კონკრეტული, ის კი,

ის ქარიან ამინდში მოვიდა, ქარიან ამინდში ის
მოვიდა რაღაცის სათქმელად,

როცა ქარიანმა ამინდმა წაიღო,
ის მაშინ მოვიდა რაღაცის სათქმელად,

ჩვენ ვიყურებოდით იქით, საითაც ის ქარმა წაიღო,
მისი ხმა კი აქ იყო, ჩვენთან,
ამიტომ ვიცოდით, რომ ის მოვიდა
მყიფე, კონკრეტული რაღაცის სათქმელად ჩვენთვის,

ჩვენთვის, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ისაა,
ვინც მოვიდა ქარიან ამინდში მსხვრევადის,
კონკრეტული რაღაცის სათქმელად,

ვინც იყო ერთ-ერთი,
ღრმა ჭურჭლის მსგავსი ვინც იყო
ჩვენს შორის,
რომელიც მოვიდა, რათა ეთქვა,

რათა გაგვეგო, რომ უნდა ეთქვა
და ჩვენთვის რაღაც უნდა ეთქვა,
ჩვენთვის, სადაც თითოეული იყო ის, ვინც
ქარიან ამინდში მოვიდა,
მოვიდა, რათა ეთქვა

მაშინ, როცა ჩვენი თვალები ფართოვდებიან
და იძირებიან აღიარებებში,
რაღაცის სათქმელად სიმწიფეში შესულ სიჩუმეში,

რომელიც ჩამოდგა, როგორც ჰაერი
დიდი წვიმის წინ, როგორც

როგორც შეუმჩნეველი,
ყველაფრის მთქმელი სიყვარული,

არა იმ ერთის, რომელიც იმ ერთს უნდა ეთქვა,
ჩვენს შორის ერთ-ერთს,
რომელიც მოვიდა რაღაცის სათქმელად,
იმის სათქმელად,

რაც ითქვა ჩვენს შორის

და არ ჩაგვესმა მხოლოდ იმიტომ,
რომ ქარს წაელო ის, ვინც მოვიდა,
ვინც ქარიან ამინდში მოვიდა

იმის სათქმელად, რაღაცის სათქმელად,
რაც ქარიან ამინდში ითქვა,
რაც მსხვრევამ, იმ ერთმა უბრალო მსხვრევამ
ჩვენს ხელებს თვალწინ ააცალა, როგორც

ღრმა ჭურჭელი, რომელიც მსხვრევის ხმამ
ჩვენს ხელებს წაართვა,

ქარიან ამინდში ჩვენს ხელებს დააკლო,
რათა ის თქმულიყო, რაც უნდა გაგვეგო, რაც უნდა გვეთქვა,

როცა მოვიდა ქარიან ამინდში ის,
ის ერთი როცა მოვიდა
ქარიან ამინდში რაღაცის სათქმელად
ის, ის ერთი როცა მოვიდა.

## 5. შეხვედრა

მაინც სად უნდა გამქრალიყვნენ ის ჩემი ეჭვები,
სად არიან ისინი ჩემში და რა გზებით მართავენ, საით მიმართავენ ჩემს გულგრილობას,
გამოწვეულს იმის შეგნებით, რომ ყოველი მდედრობითი სქესი
რომლის კუზიან ფეხთა ჩრდილში იზრდებიან ყმაწვილური ჩვენი თვალები,
ოდესღაც უმანკოდ მოზეიმეები, ახლა კი, ყოველი სიფხიზლის მიწურულს,
მოსურნენი შეჯამების და კლასიფიკაციის? მაგრამ
ისინი ცხოვრობენ თავიანთ სურვილებში და წინ უსწრებენ იმას, რაც გულით სურთ,
ისინი თავიანთ თავთან ღალატობენ მეხსიერებას, რომელიც ჯერ ისევ უცხოა მათთვის,
ჯერ ისევ ვერ იტევს მათი მოძრაობის ახალ სისწრაფეს,
პირობითობების ახალ, შესამჩნევ კომბინატორიკას.
სად არიან ისინი ჩემში? მზის შუქს კი არა, სიცხეს უფრთხის
ჩემი მამაკაცური მწუხარების ჩრდილს შეფარებული მისი სიმართლე,
და ასე ინახავს მანძილს თამაშის იძულებითობასა და იმ ხმას შორის,
რომლის სიხშირე დამოკიდებულია ისევ და ისევ ამ მანძილის ცვალებადობაზე,
რომელიც, თავის მხრივ, სულაც არაა გამორიცხული, იმართებოდეს თანხმობით
მის თამაშსა და ამ თამაშით გარშემორტყმულ იმ ჩემს ხმას შორის,
რომლის სიმაღლე დღითიდღე აფართოებს თამაშის საზღვრებს,

დლითიდლე ასუსტებს მის უძლურებას, და უყვარს. მაგრამ
ჩემი მეხსიერების ფსკერზე დალექილი, ის, ჩემი სატრფო,
ვერასოდეს იქნებოდა მარად ნაწყენი აი ეს ფური,
რომელმაც შეძლო დამოუკიდებლობა მიენიჭებინა თვალებიანი, ყურებიანი
თავისი თავისთვის, მოარულისთვის იმ გზით, რომლითაც
ვერ ივლის მიზნით სავსე ვერც ერთი არსება. და სწორედ მაშინ,
როცა ჩვენ შევიცავთ შესაძლებლობას არ ვიყოთ სრულყოფილი და მთლიანი,
ანუ როცა შეიძლება რაღაც გვაკლდეს და მიწყივ გვაკლდებოდეს,
ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, ვწვდეთ
ჩვენში რაღაც ჩვენთვისვე დაფარულისკენ წყენით მომზირალი
აი ამ ფურის ავტონომიას, მის უწყვეტ მღელვარებას, მის ორგაზმს, -
საშუალო არითმეტიკულს ჩვენს სიტყვასა და მის სიტყვას შორის,
ბიოლოგიური დროის ღერძზე მბრუნავს და არსებითს,
რასაც ვმორჩილებთ ჩვენივე ღირსების წინააღმდეგ, ისე,
როგორც სხვა ათასი პირობითობის წინააღმდეგ, წესების დაცვით.
აი, ასე, - უყვარს, ვინც ახლა ვარ.

**6. ბზობა**

- მე ვიყავი აგზნებული.
მთელი ღამე ვებრძოლე ეშმაკებს.
ახლა ვარ დაღლილი და ვდგავარ აქ, ქვის კედლებით შემოკავებულ ჩემს
სამყოფში,
ჩემს ამ სიცოცხლეში, რომელსაც სურო ჩემსკენ მოუძღვება.

"მან კი იგი გარემოიცვა მაშინ, როცა იქ არ ვიყავით,
როცა ის დრო ქვეყნად არ იყო გაფანტული.
ის დიდებით შევიდა იერუსალიმში.
დღეს ის დიდებით შევა იერუსალიმში"

იმათ თვალებში, ვინც ახლა ჩვენით გამოიხატება,
მოძრაობს სილარიბე და აღბეჭდილია უსაზღვრო სივრცე,
რომელიც გარემოიცვა ქრისტემ,
გარემოიცვა ყოველ წამს,
როცა სავსე ვართ მისით.

"შენ კი, უნდა გკითხო, რატომ აკლდები ამ დიდ დღესასწაულს?
რა პასუხს აძლევ უფალს იმ შენი ცოდვებისთვის,
რომლებიც ჯერ არ შეინანე?
რატომ აკლდები ამ დიდ დღესასწაულს შენში?"

- ისაა თვალი, რომელიც მხოლოდ იმ წიგნს კითხულობს,
რომელსაც ხურავენ და აღარ კითხულობენ.
და მე ეს ვიცოდი: რაც იქ ხდებოდა,

უნდა მესნავლა ხელახლა.
ხელახლა.

"ხსოვნაში მოიპოვება ყველაფერი,
ყველაფერი იმის გარდა, რაც უნდა იშვას,
აი, ახლა, აი, ამ წამს რაც უნდა იშვას".

ჩვენით აღინიშნებიან უმარტივესი ჭეშმარიტებები:
ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ მოზეიმე ურთიერთგაგებებს.
აღმოსაჩენს იმათ მიერ,
ვინც ჩვენით გამოიხატება.

7. ქვრივი

მომისმინე, მომისმინე,
ვისაც შენ იხსენებ,
ვინც შენში ცოცხლობს ჩემი სახით,
ის უკვე მკვდარია.

მისი ხელები ცეცხლს ანთებენ არა ვინმეს დასარწყულებლად,
არც - სიტყვის სათქმელად.
ისინი სამშვიდობოდ ეძებენ ერთმანეთს,
ერთმანეთში არეული მისი ხელები სამუდამოდ ეძებენ ერთმანეთს.

მომისმინე, მომისმინე, შენს ბილიკზე რა ხანია იხარა სიჩუმემ
და თავის შრიალს სთავაზობს იმათ, ვინც სხვების დაღლას დაუზავდა,
ვისაც სახეზე გადაეფინა ღიმილი, ღიმილი.

"ცოდვების გავლით,
განმეორებით ქრობადი და გაჩენადი ცოდვების გავლით
ვაპირებდი უფსკრულში ჩაშვებას."

განა ვის ცოდვებზე საუბრობდნენ, ჩემო სიხარულო?
განა ვის ეძებდნენ უსახელო ფრინველებით სისხლსავსე მინდვრები,
რომლებმაც ჩემს სულს ვერ უშველეს,
რომლებმაც ვერ მიხსნეს?

განა რა ვუწოდე იმ ყველაფერს, რაც ჩვენ წინ გვისწრებდა,
რაც მოითხოვდა, ხელი გვეკრა ერთმანეთისთვის?
განა რა ვუწოდე დროს, რომელიც ჩვენს შორის ჩადგა,
ცრემლს, რომელმაც შენ არ მიგიღო?

"ან რატომ უნდა მოგვატყუონ, რაში სჭირდებათ, რომ მძინარენი გვეგონონ ისინი?

მათ ხომ ის ერთი ძილიც ჰყოფნით, სადაც ჩვენ დავხვდებით."

განა შენშივე არ მოიყრის თავს ის ყველაფერი,
რაც აქაც ბევრჯერ გაგელიმა სიტყვებთან შენი ბრძოლის სახით,
რასაც მშვიდად, მშვიდად უმზერდა ჩემი უწყვეტი მარცხენა თვალი,
ჩემი მორჩილი წარმავლობა?

შენ უნდა გაუძლო შენს სიკვდილს ყველგან,
ყველგან ჩემს გარშემო,
ამ ულრან ტყეშიც, სიტყვებშიც, ჩემშიც,
ყველგან ჩემს გარშემო.

## სიმღერა

ხეირიანად არც იცნობდა.
მე კი იმ ბიჭს სულ არ ვიცნობდი.
და მაინც, მე ის ძალიან მიყვარს.
ელქტონ-ჰილელი ჯეიმს კასლი მიყვარს ძალიან.
და კიდევ - დიკი. დიკ დაივერი.

## ცეცხლის შესახებ

*ბადრი გუგუშვილის ხსოვნას*

მისი ადიდებული სიზმრების გავლით დაინგრა სამყარო,
მაგრამ არა ჩემი, არა
ჩემი.

მე ჩავღრმავედი ჩემს შორეულ,
გამოვლილ წარსულში,
მისი ჩექმის ყელში.

და ცეცხლი -
ცაში ანთებული ტოლობის ნიშანი.

მე ჩავღრმავედი ჩემი ჯარისკაცური ყოფის შუაგულში,
ჩემი გუშინდელი დანაკარგის ყელში.

ცეცხლი, სარკმელში მოგიზგიზე,
ეკიდა გარემოს და იწვოდა ხმაურით, შურით.
ირგვლივ
ყველაფერი იყო ზედაპირი, ამრეკლავი
ხმაურით, შურით.

და ცეცხლი -
ანთებული ტოლობის ნიშანი,
ნაიქეციო, ჩამჩურჩულებს.

მზე გიზგიზებდა დროში და ჩვენში,
ყველაფერში.

ნაიქეციო, ჩამჩურჩულებს.

მე ვიქცევი,
მე ვიქცევი, როგორც არ ვიცი ვინ.

და ყოველთვის ასე ვიქცევი
და ყოველთვის ისე მრცხვენია,
როგორც არ ვიცი ვის.
არ ვიცი ვის.

რაღაც უნდა მომაფიქრდეს მეთქი
ამ ყველაფრის გასაძლებად,

ამ ყველაფრის საპირისპიროდ.

ასე ვიქცევი,
ასე მეთქი, ჩავჩურჩულებ ჩემს თავს ყურში,
ლამის ხმამაღლა
ჩავჩურჩულებ, მიშველე მეთქი,
იფიქრე მეთქი რაღაც ხმადაბლა.

ასე ვიქცევი,
ასე მეთქი.

მიშველე მეთქი.

მიშველე მეთქი,
ჩავჩურჩულებ ჩემს ყურს ხმამაღლა,
ჩავჩურჩულებ - ხმადაბლა - ჩემს ფიქრს.

# ჯიხეთის ვარსკვლავი

*მართას*

ნაძვი, გახვეული მოძრავ თავის თავში,
შენახული მუდმივ თავის არსებობაში,
მთელი თავისი ერთგულებით,
მთელი სისავსით;
ჯამი,
ჭურჭელი, პირთამდე მოვსებული,
მოკრიალებული სიმშვიდის სარკმელი;
ნაწილი,
შესაკრებელი მთელთა და მთელთა,
თავმოყრილი სავალი ოთხი მხრის;
- მართა!
მართა: მდელო, ქარში აბიბინებული,
სასტიკი, უარყოფილი ობლობა,
და
ჩრდილი ნაძვის,
ბრუნვის თავის ღერძზე მოძრავის,
ჩრდილი მორჩილების,
როგორც უკუქცეული სიტყვის,
როგორც სიტყვაში უკუქცევის,
როგორც არავის მიერ გასროლის;
ქარი, მინდვრად აბიბინებული,
მთელი, გზადყოფნა ნაწილისკენ,
ნაძვი, ასი წლის წინ მოსული,
ექო, მოსული არსაიდან,
სიმშვიდე არსაით.

## შიში

შიშით მოცულო ჩემო მეგობარო,
ვინც ქმნი ბედს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია,
შენ ახლა მიირთმევ ყურძენს და ფიქრობ:
შეუძლებელია, რატომღაც არ მოგვკლან.

შენ, ვინც თავახდილი, ბინძური ჭიდან
ხაპავ და ზეცას უბრუნებ ვარსკვლავებს,
ფიქრობ: რა ხდება, რატომ არ გვწირავენ.
ყურძნის ჩენჩო ეცემა მაგიდის ზედაპირს.
ფიქრობ: შეუძლებელია, რატომღაც არ მოგვკლან.

შენ, ვინც შენს თავს ღუპავ შემხვედრის წინაშე
და უჩვენებ, როგორ ხდება აი, ეს - დაღუპვა,
როცა ყველა ყველას უღიმის, უცინის,
როცა გაზაფხულია შენს ირგვლივ ყველგან,
ფიქრობ: რა ხდება, რატომ არ გვწირავენ.

შენი მარტოობა ივსება ყურძნით,
რომელიც გაურკვეველ მანძილში ჩავარდა,
უშეცდომო დისტანციაში რომელიც დაცვივდა.
შენი მარტოობა ივსება სისხლით,
და ფიქრობ: აქ-სადმე, ყოველთვის აქ-სადმე,
შენი მარჯვენა ფეხი უნდა დაძრწოდეს აქ-სადმე,
რომელიც ერთი ნაბიჯით ყოველთვის ჩამოგრჩა,
როცა აგროვებდი ჩენჩოს და ფიქრობდი:
როგორ შეიძლება დაგვინდონ, არ მოგვკლან.

ყურძნის მარცვლები და შავი ჩენჩოები
დროის ცვალებად ხახაში ცვივიან,
შენი სიკვდილიდან ცვივიან ნიშნები
და ამას ითხოვენ - ღმუოდე, ბღაოდე.

შენ, ვინც იდაყვებით ეყრდნობი მაგიდას,
ფიქრობ: ეს რა ხდება, რატომ არ გვწირავენ.
ფიქრობ: ეს რა ხდება, რატომ არ გვხოცავენ
მათი ანთებული, მგზნებარე თვალები.

შენ, ვინც საკუთარი ღერძის ირგვლივ ბრუნავ
და ხელ-პირს არ იბან იმათგან არც ერთით,
ვისაც ეიმედები შენში და ყოველთვის,
ვისაც ეიმედები შენში და ყველგან,
არ იცი, უყვარხარ თუ არა ერთადერთს,

ვისაც შენ თავს უყრი შენს ირგვლივ ყველგან,
ვისაც შენ თავს უყრი უკვე რა ხანია,
ვის ბედსაც ქმნი ყველგან,
სადაც ეს შესაძლებელია.

## სასონარკვეთილები

(ზღაპარი)

*დავით ჩიხლაძეს*

დედამიწის ყველა კუთხეში მოკლებულები სითბოს,
შევიყარენით აქ და ვამტკიცებთ, რომ სახურავები სავსე იყო თოვლით.

სახურავები სავსე იყო თოვლით და იმით,
რაც ჩვენი ხსოვნის გარეთ დარჩა.

შევიყარენით დედამიწის ყველა კუთხეში და ვიჩქარეთ კუნაპეტი ღამისკენ,
რომელიც სავსე იყო თოვლით,
სადაც ეწყო სახურავები და მეხსიერება დააბიჯებდა ირიბად, ალმაცერად.

საუკუნოვანი შედარებები კარგავდნენ ყველაფერს, რაც თვალს ირგვლივ ეკრა,
და უფრო ასატანი ხდებოდა ცხოვრება.

კუნაპეტ ღამეში გაისმოდა ხეების შრიალი
და ელვის სისწრაფით გადავყავდით გაზაფხულის მთვარიან ღამეში,
რომელსაც გადმოვყავდით სუსხიან ზამთარში,
რომლის სახურავები სავსე იყო თოვლით,
რომელსაც ხსოვნა იდუმალებით და ხეებით ავსებდა.

ხეების განლაგება სავსე იყო თოვლით
და იდუმალება სავსე იყო ყველაფრით,
რაც ერთი-ორად გვიახლოვდებოდა.

განლაგებულები დედამიწის ყველა კუთხეში, ერთმანეთს ვითხოვდით
და ვიყავით მოძრავები, დავიწყებულები;
ჩვენი ცხოვრება ივსებოდა თოვლით და ივსებოდა რწმენით,
რომ ისიც - ჩვენი ეს ყოფა - შეიძლება ატანილ იქნას სახურავის წვერზე,
თუ ის - სახურავი სახურავებს შორის - გადაფარულია ახალი თოვლით.

სახურავები სავსე იყო თოვლით და ჩვენი მონდომებაც სავსე იყო თოვლით.
ჩვენ ის გვივიწყებდა ყველგან, სადაც გადაგვაწყდებოდა.
ჩვენი მონდომება თოვლით სავსე ხსოვნის იქით ქროდა
და გვივიწყებდა ყველგან, სადაც გადავაწყდებოდით.

ჩვენი ცხოვრება სავსე იყო ძველი და სისხლსავსე ნივთების სიმრავლით,
რომელსაც დასდიოდა ახალი თოვლი
და მშვიდად ფარავდა სახურავებს, რომლებიც სავსე იყო ყველაფრით,

რაც უკვე სავსე იყო ჩვენით.

დედამიწის ყველა კუთხიდან ერთმანეთისკენ მოვეშურებოდით
და ვმღეროდით, რომ ხეებით და სახურავებით სავსეა თოვლი.

საუკუნოვანი შედარებები კარგავდნენ მნიშვნელობას
და უფრო ასატანი ხდებოდა ცხოვრება,
უფრო ასატანი ხდებოდა თოვლი.

## საკუთარი თავის მიმართ

(დიდაქტიკური ლექსი)

*Daß du kein Beispiel geben kannst als dieses:*
*Immer noch offen.*

მ. ლ. კაშნიცი

შეგიძლია სტაბილურად კვდებოდე ყოველდღე
და ნარსულს მინაზე ანარცხებდე ბურთივით ან მყიფე ფორმებივით, ასევე ყოველდღე,
მაგრამ არ უნდა შეგეძლოს, არც ერთ შენს ასაკში,
ერთდროულად მინაზეც იდგე და სწრაფცვალებად ნორმებსაც იცავდე.

შეგიძლია აღრმავებდე ურთიერთობებში გაჩენილ ბზარებს
და ეს საქმე უფრო გშველოდეს, ვიდრე ხსოვნაში დალექილი ურთიერთობები,
მაგრამ არ უნდა შეგეძლოს, ცხოვრობდე ერთხელ და იმასაც ფიქრობდე,
რომ ერთ ადამიანს შეუძლია ჭკუიდან გადაცდეს ორჯერ ან მრავალჯერ.

შეგიძლია რაღაცას ებრძოდე და ბრძოლას მას მერე უფრო განაგრძობდე,
როცა აღმოაჩენ, რომ ეს შენი ბრძოლა ვიღაცეებს საგანგაშოდ ახარებთ, ანყობთ,
მაგრამ არ უნდა შეგეძლოს, ცხოვრობდე ერთხელ და იმასაც ფიქრობდე,
რომ ერთგულებამ შეიძლება იყვავილოს ორჯერ ან მრავალჯერ.

შეგიძლია ზურგში სნვდე შენს თავს და აჩქარებით შეაგდო სიზმარში,
რომელმაც ვერ უნდა განმარტოს ცხოვრება,
ვერ უნდა დაიცვას უპატრონო შენი მიგნებები იმათგან - გაბოროტებული ხალხისგან,
მაგრამ არ უნდა შეგეძლოს, ცხოვრობდე ერთხელ და იმასაც ფიქრობდე,
რომ ერთი კაცის ცხოვრებაში სიყვარული შეიძლება არსებობდეს ორჯერ ან მრავალჯერ.

შეგიძლია ამტკიცო ყოველდღე, რომ რაც აქ ხდება, ის ხდება ყველგან,
რომ ყველა ადგილი, რომელსაც შევეხეთ, ღმერთისგან მიტოვებულია,
მაგრამ არ უნდა შეგეძლოს, ცხოვრობდე ერთხელ და იმასაც ფიქრობდე,
რომ შეიძლება, რამდენჯერაც მოგინდება, შეიცნო იმდენჯერ.

შეგიძლია ახვიდე ქვეყნად ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე,
უყურო მინას და ხედავდე არაფერს, სავსებით არაფერს,
მაგრამ არ უნდა შეგეძლოს, ცხოვრობდე ერთხელ და იმასაც ფიქრობდე,
რომ შეიძლება კვდებოდე არა დღეს, კვდებოდე არა დღეს.

მე მინდა გირჩიო: აღიარე ძვირფასი ნარსული.

აღიარე, რაც უკვე დაკარგე.
ყველას წინაშე აღიარე, ვინც ამას მოითხოვს.
დავიწყებისკენ გაქანებული შენი თავი აუწყე ყველაფერს,
რაც გამშვიდებს და შემპარავად გაიძულებს იყო ისეთი,
როგორიცაა ყველა, ვინც ცვალებად ნორმებს აღიარებს.

შეგიძლია უნუგეშო, მყიფე ფორმებივით კვდებოდე ყოველდღე,
მაგრამ იმ ერთხელ, როცა დრო მოგივა, მართლა უნდა მოკვდე.

შეგიძლია უყურებდე ბედნიერ და უბედურ სახეებს და ხედავდე არაფერს,
სავსებით არაფერს,
მაგრამ როცა ვიღაც მოდის და შენს წინაშე რაღაცას ივიწყებს,
დაღლილ და ხსოვნას შეტოვებულ ურთიერთობებში უნდა კითხულობდე
მხოლოდ შენს ყველაფერს.

# ნაცრისფერი ლექსი

1.

მე არ მჯერა, რომ ეს შეიძლება ოდესმე არ მოხდეს:
მიწის ზედაპირი იქცეს მტვრის სქელ ფენად, რომლითაც დაიფარება სახლები,
ხეები, გზები, მინდვრები და გამიზნული ურთიერთობები,
სადაც ადამიანურ საქმეთა მარტივი, უტყვი დასასრული
(დაწყებული მაშინ, როცა არც ამინდი არსებობდა და არც, მით უმეტეს, გული,
რომელსაც, ერთადერთს, შეეძლო ნებისმიერი ამინდის შექმნა)
ჯერ ისევ ბრუნავდა საკუთარ საზღვრებში, უწყლო, უჰაერო ტერიტორიებზე,
რომლებსაც არავინ აღნიშნავდა როგორც მრავალს ან ბევრს
ან როგორც დაშლილ ერთს, გამომდინარეს ხილული თუ უხილავი,
წრიული თუ კუთხოვანი დაშლილი ერთიდან,
სადაც ჯერ ისევ სვამდნენ ლუდს ერთმანეთის მეგობრები
და სიამოვნებით საუბრობდნენ იმაზე, რაც მათ არ იცოდნენ,
ვინაიდან იცოდნენ სხვებმა, რომლებიც ერთმანეთის მეგობრები იყვნენ
და თავიანთ სახლებში მსჯელობდნენ იმაზე, რაც ლუდის სმას და
ყოველი შესაძლო თევზის პირველსახეზე ბჭობას მოითხოვდა,
მოითხოვდა მოძრაობას სავსებით გასაგებ ტერიტორიებში,
რომლებიც სადღაც მაინც არსებობდა, და მათ ეს სჯეროდათ
არსაიდან გამომდინარე რწმენის საფუძველზე, იმის საფუძველზე,
რაც სავსე, მაგრამ განლევად კათხებში ამოიკითხება, ისე,
რომ ამის შესახებ არ იცის იმან, ვინც კითხულობს სიცილით, სევდით,
უნიჭო და უმიზნო თხრობით, პირში ამოძრავებული, მსხვრევადი თევზით,
თვალშეუვლები წარსულით, რომელსაც გააჩნია თავისი წარსულიც,
და ის უჩინარდება მაშინვე, რანამს დანაკარგებს ვითვლით და აღვნიშნავთ
და ვიწყებთ ცხოვრებას ჩვენივე თავისკენ - უძირო ფსკერისკენ,
საიდანაც განუწყვეტლივ ამოდის მტვერი.

2.

მე არ მჯერა, რომ ეს შეიძლება ოდესმე არ მოხდეს:
ადამიანურ საქმეთა მარტივი, უტყვი დასასრული,
რომელიც საკუთარ საზღვრებში და იმ საკუთარ სიტყვებში ბრუნავდა,
რომლებიც არ ახსოვთ იმ გრძნობებს, რომელთა
შეხება მსგავსთან ან შეხება უცხოსთან
იმ წყლებს და ჰაერს წარმოქმნიდა, რომლებსაც სიტყვები განსაზღვრავენ
ყველგან, სადაც სრულდება ხმაური, რომელსაც კათხები ასრულებენ
ერთმანეთის მეგობართა დავიწყებულ, გათანგულ ბგერებში,
იქცეს კონკრეტულ გამოცდილებათა წარმოუდგენლობად
ლექსებში, ზღაპრებში, რომანებში, სამუსიკო ნაწარმოებებში,
რომლებიც არიან მტკიცება ან თხრობა ან ღიმილი

ნებისმიერი განზოგადების სამწუხარო ამ შეუძლებლობის,
რედუცირებულ ნიადაგზე მყარად დგომის ამ შეუძლებლობის, მათდა სამწუხაროდ,
ვინც რაღაცას აჯამებს რაღაცის პირისპირ რაღაცის შუქზე
და იმედოვნებს, რომ ასე შეიძლება ამინდის შექმნა,
ყველასთვის და ყველაფრისთვის სასურველი კონტექსტის შექმნა,
სიკვდილის, ღალატის, შეძულების, სიზმრებში ფრენის,
კათხების ვარდნაში გაჩენადი მსხვრევის და სიგიჟის გამომრიცხავისა;
რომ ასე შეიძლება კიდევ ერთხელ შეიქმნას სახე,
რომელიც ერთზე მეტი არავის უნახავს არსად, სადაც ხელის მოძრაობა
ნიშნავს საზღვრების დანესებას,
ხიდის დანესებას სახიდან სახემდე, რაც ხდება ყოველ წამს, ყველგან,
სადაც ვიღაც უშუალოდ წვალობს და აგროვებს თანხას დასასაფლავებლად
იმისა, ვინც უკვე აღარ მიაჩნია იმად, ვინც თვითვეა,
ვინც უნდა შესრულდეს ხმაურში, მტვერში,
ვინც განვლილ უნდა იქნას მთლიანად, სრულად,
ვინც

3.

სიტყვას უნდა დაუბრუნდეს. მე არ მჯერა, რომ ეს შეიძლება
ოდესმე არ მოხდეს: ადამიანურ საქმეთა მარტივი, უტყვი დასასრული,
ქცეული კონკრეტულ გამოცდილებათა წარმოუდგენლობად,
გვექცეს ღმერთზე ფიქრის სრულ შეუძლებლობად, ნახტომად
ხილულ თუ უხილავ საგნებში, რომლებიც აღარ არსებობენ
არც აქ - ჩვენს სხდომაში ერთმანეთის და ლუდის პირისპირ,
და არც იქ - იმ ერთში, რომელშიც ისხდნენ ერთმანეთის
სულ სხვა მეგობრები და სვამდნენ შავ ლუდს,
ამოსულს სითბოდან, მრავალი ბედიდან და დაგვიანებიდან,
დასრულებულს სევდით და შეუმდგარი ცხოვრებით, სიბნელით,
რთული შეცდომების შეუძლებლობით და ურიცხვი სახელით,
რომელთა ერთობა ყოველთვის ახერხებს ვერგასვლას სიტყვაში,
შეშლაში, თუნდაც სიზმრად შეკრებილი ნამდვილით ტკბობაში,
როცა რაღაც ინგრევა არა აქ, ინგრევა არა იქ,
არამედ - ხსოვნაში ორი-სამი სასიკვდილოდ არსებითი იმ მოგონებისა,
რომლებიც, ერთად აღებული, ისაა, რაც უკვე დაგვიკარგავს.

4.

მე არ მჯერა, რომ ეს შეიძლება ოდესმე არ მოხდეს:
კონკრეტულ საქმეთა წარმოუდგენლობა იქცეს მტვრის სქელ ფენად,
რომელიც დავიწყებას არ მისცემს ადგილს, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით
და თითქმის ყოველთვის, როცა სიფხიზლე გვაიძულებს - ვამტკიცოთ,
რომ ჩვენს ირგვლივაც არსებობენ მცირე-მცირე დაქანცულობები

და ისინი, ჯერაც ისევ შეუმჩნეველი და ფასდაუდებელი საჭიროების შესატყვისად,
ემორჩილებიან აღიარებას და შემოსვლას ჩვენში,
საიდანაც მძიმე ხელით განვდევნით ჩვენ მათ გარემოში,
რომელსაც გარს აკრავს ჩვენი უმნეობა, ცვალებადი ჩვენი სიმართლე და ხვედრი,
ამ ადგილის თითოეულ მორიგ ეპიცენტრში
მიმდინარეობენ მსგავსებები და ტოვებენ მსგავსებს,
რომლებიც, მსგავსად წარმავალთა,
თავ-თავიანთ მდინარებაში ეხებიან ხილულის დანაშრევს
და განსაზღვრავენ დინების ერთადერთ და განუმეორებელ,
განზოგადების უარმყოფელ რიტმს,
განუზოგადებელს უხილავი დინების მიღმა.

## ამბავი (სიზმრად) კანის ძიებისა

*...რომ მას ხელში თეთრი ქვა უჭირავს*
*რომ ის სიზმრად თეთრი ქვის სახელის*
*დანახვას სწავლობს...*

ჯერომ როტენბერგი. სამი სიზმარი

1.

ჟანგბადი ნაკლებად
ნაკლებად ქარი ხელისგულზე - შეხვედრების ველზე
გადაკვეთების, წაკითხვების ველზე შეხვედრების

გვეცნო მისი სახე ნაკლებად
მეტად სუნთქვის ხვეულები კანში ამომჭკნარში -
ყვავილოვან რთულ მოძრაობაში სუნთქვისა

შეხება ჟანგბადთან
შველასთან სიტყვისგან - კედლის მითითებით დაქანებულისგან
ყველა უწმინდურში ჩასახული მტვრისგან
გამომწვარი ბევრი აგურისგან

შესაქმნელად კანისა ჩვენს ფიქრში
სუნთქვაში ნაკლებად
ნაკლებად ხელების ქნევაში გულისკენ -
წითელი ზოლისკენ

გრძელ გზაზე, კლებადზე
ყოველი ახალი შეხვედრის პირისპირ -
პირისპირ ნაცნობი სუნთქვისა ქარში

დაირიბებულში რთულისკენ - ახლისკენ
მოძრაობის საიდუმლოს მინებებულისკენ
თავმოყრის წერტილში წითლისა -
ძგიდისა მრავალი აგურის

სახისა
კანისკენ მითითებულისა მტვრის მიერ
მიერ მოყვავილე გზისა -
მოძრავისა ნაკლებად სიტყვაში
მეტად რთულ ცეკვაში -

შეწყვეტილში სუნთქვის ბასრ ძგიდესთან

აგურთან -
მისი კანის სველ წითელ აგურთან
უმოკლესი ზოლით დაწყებულთან

ჩვენში -
მისი კანის ფიქრისთვის ნაცნობი შეხების სიღრმეში -
მეტის ან ნაკლების შესაქმნელად

2.

- მაშინ მან მე გადამიწია სახის კანი და თქვა: "ყარს, როგორც არ ვიცი რა". მე თვალი თვალში გავუყარე და ვუთხარი: "სადაა ჩემი საფრენი აპარატი". მან გულზე ხელი დაიდო და იქით მიმითითა, საიდანაც ჩვენსკენ მხედრები ცხენებს მოაგელვებდნენ, თითოეული - ორ-ორს. დავიწყე მათი დათვლა, რამაც დიდთავა ადამიანი უმალ აღაშფოთა და მიბრძანა, მხედრებისთვის ზურგი შემექცია. მე არ დავემორჩილე და დათვლას განვაგრძობდი. მან დაიწყო ჩემი სახლის დაშლა: კედლებიდან იღებდა აგურებს და სიცარიელეში ყრიდა. მე ახლა სინქრონულად ვითვლიდი მხედრებს და კედლებიდან გამოცლილ აგურებს. ვიღაცის ხმამ ქალის ენით მკითხა: "სადაა შენი აგურები". მე დიდთავა ადამიანს მივუბრუნდი და ნერვიულად ვკითხე: "სადაა ჩემი სახლი". ის უეცრად პატარა ბიჭად გადაიქცა და მიჩვენა დაჩუტული წითელი ბურთი, რომელიც მაშინვე გადაყლაპა, მერე კი მთხოვა, გამემეორებინა რიცხვი: "ერთიათასშვიდი". მე დავიწყე გამეორება, იმ იმედით, რომ ჩემი სახლი პირვანდელ სახეს მიიღებდა, მაგრამ ყოველი ახალი გამეორებისას რიცხვის რაოდენობას ვზრდიდი. ბიჭმა სიცილი დაიწყო და დანაწევრებული მეტყველებით მითხრა: "დიდი სახლი არ იქნება, ყურზე კანი გძვრება". მე შევშფოთდი და ვცადე დამეჭირა. გაიქცა და ძალზე შორს აღმოჩნდა. ვხედავდი მის მუცელს, რომელიც ამავე დროს დაჩუტული დიდი ბურთი იყო.

3.

ვამბობ: შეხედე შეხედე იგი სახეში სცემს თავის ჩირაღდნიან ხელებს
ვამბობ: იგი მათ თვალს უკრავს მთავარ მოსახვევში

მპასუხობს: სადაც მოძრაობა გახშირებულია?
სადაც შუქნიშანი მოპოვებულ სიცოცხლის ხმებს აღწერს?
სადაც ადამიანები გზებს ისე ერწყმიან როგორც თავ-თავიანთ გეგმებს?

ვამბობ: ისინი ტაშს უკრავენ მის მთავარ მოსახვევს
მის მთავარ შუქნიშანს ზღვის წითელ მდინარეს
რომელშიც მისი ლურჯი მხეცები დაცურავენ

მპასუხობს: იყო ერთი მდუმარე კაცი რომელმაც ცაში სტყორცნა ბადე

და იყო მებადური ჩიტთა და ფრინველთა
ის უკვე აღარ დაბრუნდება

ვამბობ: მათი სახე ინთება სისხლისფრად, ყვავის და ყვავის და
ნაყოფი ჩვენს ეზოს ციფრებად ეფრქვევა, რთულ ფერად კომბინაციებად;
ჩვენი მინა ინთება ძონისფრად, იწვის და იწვის და
ყოველი სულდგმულის დღემდე არნახული კომბინაციები
ჩვენს მთავარ ურთიერთშეხებებში გადასარჩენად მოიწევენ

მპასუხობს: იყო ერთი მდუმარე კაცი
ვისაც ის თვალში სცემდა თავის ჩირაღდნიან ხელებს
და ვისი თვალებიც ყვაოდნენ ზამთრის ბუჩქებივით
თოვლის შიშველი ხეებივით
როგორც გერმანელის ხმოვანი სახე
როგორც ის ვინც იქ შეეშალათ
მთავარ მოსახვევში ვინც ერთხელ უკვე შეეშალათ

ვამბობ: იქ რაღაც ისეთს შეეხო საქმე რაღაც ისეთ გამოუსწორებელს
რომელშიც ჩვენს მეტი ყველა გადარჩება

ამბობს: ვისთანაც საქმე ჰქონდა ამ რაღაც გამოუსწორებელს?
რაღაც საალბათოს?

ვამბობთ: თქვენი ყვავილისკენ ჩვენ ვიწვდით ჩირაღდნიან ხელებს
ისინი ყვავიან ყოველ მოსახვევში ისინი გვიქნევენ ბროლისფერ ალმებს
ისინი ჩვენს ფრთებს განსაზღვრავენ

ვამბობთ: ნაღვლიანი და თხელი კანისკენ
საალბათო კრებითი კანისკენ ჩვენ ვიწვდით ძუნწ, ჩირაღდნიან ხელებს

4.

- სველ მინაზე თავით იდგა და ფეხებს ისე ატრიალებდა, თითქოს ველოსიპედს მართავდა. მე საქმიანად მივუახლოვდი და შევეცადე, ჩემი ასო მის ფეხებს შორის მომეთავსებინა. მას ეს ჩემი საქმიანობა არ გაკვირვებია, ფეხების მოძრაობა შეწყვიტა და რეზინის გასაბერ თოჯინად იქცა. მე მის სრიალა ზურგზე ვიწექი და გადმოვარდნისგან თავს დიდი წვალებით ვიკავებდი. ვიგრძენი, რომ დიდი შავი ძაღლი ფეხისგულს ულოკავდა. არ შემიხედავს, მაგრამ მაინც დავინახე, რომ თეთრი პატარა ფინია იყო. ქვა მოვიმარჯვე და ვესროლე. გაისმა ადამიანური ყვირილი და ირგვლივ სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. მივხვდი, რომ დამსაჯეს და ჩემს თითებს დავხედე. ორივე ხელზე თითები ერთმანეთს შეზრდოდნენ და ნიჩბებს მიმიგავდნენ. დავიწყე მათი ლოკვა იმ მიზნით, რომ ჩემს ირგვლივ რაღაც შეცვლილიყო. ამავე დროს, მეშინოდა, მიცვალებულის სახე არ გამომცხადებოდა. გულში ვამბობდი, რომ ძალიან მიყვარს დიდი შავი ძაღლი და მზად ვარ გამოვკვებო და თავი დავბანო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამით მასზე ვზემოქმედებდი. დავიწყე ირგვლივ თვალის ცეცება

ჩემგან შთაგონებულ ძაღლთან შესახვედრად. ისევ მიცვალებულის სახის გამოცხადების შიშმა შემიპყრო და ეცადე, ვიღაც უხილავისთვის, ვინც - დარწმუნებული ვიყავი - მიყურებდა, თავის შეცოდება: წელში მოვიკაკვე, დავმწუხრდი და გავუბედურდი.

5.

ჩვენი სახე რომელიც ცეკვავდა ღიმილის კიდეზე
ჩვენი გული ეცნო: ლეღვის ხის ნაყოფი ყველგან
სადაც ფრინველები მოიპოვებიან

ჩვენი სახე ეცნო: შეუძლებლობა მოძრაობის, ფიქრის -
დამახსოვრებების კვალი მოყვავილე:
დაძარღვული ათასი წვრილმანი ათასი სიტყვის ნაკლებობა

მისი უანგარო ღიმილის კიდეზე ცეკვავდა რთული ჩვენი სახე
ერთად აღებული ჩვენი მონდომება გაქრობის, სიზმრის:
გატრიალება და ხელების ჩაქნევა სინქრონულად ერთგზის
როცა განმარტებულ დამსხვრეულ მის სახეს
ჩვენი ცრემლი ეცნო -

განზოგადებული ათასი წვრილმანი -
ყოველი ახალი ფიქრის კიდეზე შეკრებილი:
შეკონინებული ნაყოფი ასიდან ერთი დამახსოვრებული სიზმრის
და სიმღერის: და სიტყვის: და სიზმრის
მის სახეში დამახსოვრებულის

რომელიც ცეკვავდა უსპეტაკეს ზეწრებად გაფენილ ჩვენს მრავალ სახეზე
ჩვენს კრებით სხეულზე: სუნთქვით და რღვევებით გასპეტაკებულზე
მომავლის ზეცაში -
ჩვენი კრებითი სახისთვის დღემდე უხილავში

გასპეტაკებულზე შეხვედრების ერთფეროვნებაში:
სიზმრებში რომლებიც გვიცავენ კლებისგან -
კრებითის ნგრევისგან ყველგან სადაც გზა ჩვენს ტანზე არ გადის
სადაც გამომწვარი მრავალი აგური სახლს ან სასახლეს არ აღნიშნავს

სადაც გადაგდებულ და ლპობად ფრენებში მოიპოვებიან ხმოვნები
რომლებიც უყანგბადო სუნთქვის ხვეულებში
სუნთქვის არც ერთ სრულყოფილ და რთულ პოეტიკაში
არ მოიპოვებიან

ვინაიდან
ჯერ კიდევ მოიპოვებიან მის მიერ შენიშნულ სახეებში
რომლებიც უკვე დავიწყებულია გულებში რომლებიც

რთულ და ყვავილოვან ჩვენს სახეს მალავენ
ცეკვაში რომელიც ეკუთვნის ზენრებად გაფენილ ჩვენს სახეს
და მალავს განმარტებულ დამსხვრეულ მის სახეს

6.

- მტრები საიდანღაც ისროდნენ. თავზე ჩაჩქანი მეხურა და ჩემს თვალწინ მწოლიარე უსახო, თეთრთავიან ჯარისკაცს ვარწმუნებდი, რომ აქ დარჩენა სასიკვდილო იყო. მას მკერდში რაღაც ჩაეხუტებინა და ქვითინებდა. კარგად რომ დავუკვირდი, მისივე ფეხი გავარჩიე. შევხედე იქ, სადაც ფეხები უნდა ჰქონოდა და აღმოვაჩინე, რომ ერთი ფეხი აკლდა. ვცადე გაქცევა, მაგრამ განზრახვას მიმიხვდნენ და ცეცხლი გახსნეს. თავი მოვიმკვდარუნე და, პირქვე წამხობილმა, მუცელქვეშ ამოდებული ხელით მიწის თხრა დავიწყე. მაშინვე სანგარში აღმოვჩნდი, რომელიც, ამავე დროს, გვირაბიც იყო. სანგარს ტანკებმა გადაუარეს. მივხვდი, მტრის ზურგში მოვექეცი, მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. დავიწყე ფიქრი, ვინ შეიძლებოდა მტრის ბანაკში ჩემი ნაცნობი აღმომეჩინა. გონება გამინათდა: ტანკისტებს ხომ ჩემი კარის მეზობელი მეთაურობდა. გამახსენდა, რომ ეს ჩემი მეზობელი უკვე მკვდარი იყო. იმის წარმოდგენამ, რომ მიცვალებულთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ტყვეობა მელოდა, თავზარი დამცა და დაპატარავება ვცადე. მერე გვირაბის ბოლოში გასვლა დავაპირე, მაგრამ მყისვე გადავიფიქრე, - გვირაბის ერთი ბოლო ზღვაში გადიოდა. რომელი იყო სამშვიდობოზე ჩემი გამყვანი მიმართულება? იმის შიშმა, რომ თუ ზღვას მივადგებოდი, უკან დასაბრუნებლად და მეორე ბოლოსკენ გასაქცევად დიდ დროს დავკარგავდი, საგონებელში ჩამაგდო და ისევ დაპატარავება, შეუმჩნეველ ბუზად ან ტარაკნად გადაქცევა მაფიქრებინა თუ მასურვებინა.

7.

რომ: სიზმრის უკიდურეს წერტილში ყოფნა თავაზიანი შეხვედრების ფონზე;
რომ: ტაშისცემა დიალექტიკური იმ ჩვენი ცეკვის მისამართით
საიდანაც იფრქვეოდა სიზმრის სრული შეუძლებლობა ყველგან
სადაც ამოსუნთქვა არ ისმის ხველა;
რომ: შენი კომპაქტური კატა გილოკავს სახეს და გკოცნის
ირონიაც აღმოცენებადი სუნთქვის ბასრ ძგიდესთან
მშვიდად შემსხვრევადი ღამეს რომელიც უცნობია
რომელსაც ხელს ვართმევ, ვტირი(უსიტყვოდ, უხმოვნებოდ);
რომ: მე არ მესმის მეთქი თქვენი არა მეთქი ასე ვეკითხები
არა მეთქი ჩუმად ვეკითხები ყველას ვისაც ახლა არ ესმის შენი;
რომ: მთელი სახე სიზმრით მაქვს მოთხვრილი
მე არ გიცნობთ მეთქი მივმართავ უცნობებს ისინი
იხდიან ჩემს პალტოს და გადიან სცენაზე გადიან თოვლში
კანის და სირთულის შესაქმნელად ბევრი წითელი
აგურისგან კანის და ძილის შესაქმნელად
ასაგებად მეტ-ნაკლებობის და ძილის;
რომ: არც ერთ უკიდურეს წერტილში ყოფნა თანხლებული ჟანგბადით სიცივით;
რომ: ძილის ხეებს გამობმული შესაძლებლობები მათ შორის ერთი

გამორჩევით: რომ ის რაც მოგეცა შეკავდეს თავის ამ გაუგებრობაში
თავის ამ ზრდასრულ გასაგებობაში - შეწყდეს;
რომ: გეუბნება რომ შენ ის უკვე აღარ გიყვარს
შენი კატა გეზრდება თვალწინ და ყვირის რომ უკვე აღარ გიყვარს
კანი ქმნის საზრდოს სერიოზული ფიქრებისთვის
ამ ფიქრების საქმიანი მწარმოებლებისთვის
რომლებიც რთავენ ზამთრის ტელევიზორს და ერთმანეთის თავებთან ერთად
მიირთმევენ ზამთრის ცხელ ჩაის აყოლებენ საუკუნის დასაწყისის
ფრანგულ-გერმანულ-იტალიურ ამბოხს შვაიცარელ ლენინს
ნებისმიერ მოსალოდნელ პროტესტს წინასწარმეტყველებენ;
რომ: ჩვენ მათ არ ვიცნობთ მოვიდნენ და დასახლდნენ ზეცაზე
საიდანაც იფრქვევა ჟანგბადი წაკითხული ურთიერთობების
ჯანმრთელობა ტირილის, კანის ხვეულების
ისინი სისხლის კალეიდოსკოპში ჩაედინებიან;
რომ: მტვრის არც ერთ უკიდურეს წერტილში ყოფნა არც ერთ იმ
შეუძლებლობაში ყოფნა რომელიც რთავს ზამთრის
ეკრანებით განათებულ ყრუ, უთვალავ სახეს
და მათი ერთობა არის წვრილი წითელი ზოლი -
მგზავრობა დამღლელი
გზა მოყვავილე დამახსოვრებების.

8.

- ჩემს სახლში, სასტუმრო ოთახის ფარდას ვარ ამოფარებული. ვიცი, რომ უკვე მოვკვდი. ოთახში, ტახტზე, დედაჩემი წევს. მის თავთან ვიხრები და ვაღვიძებ. ამბობს: "დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი!". შეშინებული უფროა, ვიდრე გაკვირვებული. ისმის საორღანო მუსიკა. ფარდები სვეტებს ემსგავსება. გავრბივარ გარეთ, სადღაც მეჩქარება. გვერდით უცნობი ქალი მახლავს. ხელში ორივეს მძიმე ჩემოდნები გვიჭირავს და მსუბუქად ვატარებთ. შევდივართ უზარმაზარ დარბაზში, რომელიც ხალხითაა სავსე. ქალი ქრება. მე პარტერში, პირველ რიგში, ვჯდები, ჩემოდნები ფეხებთან მიწყვია. ვიცი, რომ ვერავინ ვერ მხედავს და მეშინია, რომ შეიძლება ნებისმიერმა ახლადშემოსულმა მაყურებელმა იმ სკამზე დაჯდომა მოისურვოს, სადაც მე ვზივარ, მაშინ კი საბოლოოდ აღარ ვიარსებებ. მოუთმენლად ველი ჩემი თანმხლები ქალის შემოსვლას, რათა დროზე დაიკავოს ჩემს გვერდით ადგილი და ჩემს სკამზე არავინ დასვას. დარბაზში ყრუ ხმაური და წარმოდგენის დაწყების მოლოდინია. ვხედავ ჩემს თავს, - წვრილი კონტურებით შეკრულ, გამჭვირვალე სიცარიელეს. გულში ერთსა და იმავეს ვიმეორებ: "ეს რა დამემართა, ეს რა დამემართა". დარბაზში ჩია მამაკაცი შემორბის, თეთრ მრგვალ სახეზე მხოლოდ თვალები აშჩნევია. ვიცი, რომ მე მეძებს. ვცდილობ დამალვას ჩემივე სკამზე, მაგრამ ვერ ვახერხებ. კაცი მკაცრად მაფრთხილებს, რომ აქ ჩემი ადგილი არაა და ახლავე დავტოვო ეს დარბაზი. როცა წარმოთქვამს სიტყვებს "ეს დარბაზი", ხელით თავის ფეხთან, იატაკისკენ მიუთითებს. ხელი მაშინვე უგრძელდება, საცოდავად ჩამოეკიდება და იატაკზე დასთრევს. თვალები სახიდან უცვივა და სახე ქრება. მერე კაციც ქრება, მის ნაცვლად ვენერა მილოსელის ქანდაკება დამცქერის და ჩურჩულით, გაბმით მეუბნება: "ხომ ხედავ, ხომ ხედავ, ხომ ხედავ". მღვრიე წყალში თავით ვეშვები.

9.

გამიზიარე შენი ბედი შენი სავალი შენი შთაგონება
გამიზიარე მეტ-ნაკლები ნგრევების შუქზე აცეკვებული შენი ბედი
ჟანგბადი შენი - პერიფერიული

ხელები ცვივიან უტყუარი ხელისგულებიდან რომლებიც
შენ აღარ გეკუთვნიან
ცეცხლში შეყრილი ბზარებივით სკდებიან ხელები რომლებიც
ხელისგულებს აღარ ეკუთვნიან

გამიზიარე შენი სახის კანი შერჩენილი ჩემს ფიქრს - მოზიარეს
შენი შემოდგომის რომელსაც ერთად შემოუსხდნენ თოვლი და სიცივე
შერჩენილი ჩემს კანს - მოზიარეს შენი დავიწყების
საიდანაც აღარ ამოვიდნენ თოვლი და სიცივე

პერიფერიული ნგრევების შუქზე აციმციმებული სახლი -
უკედლებო ჩვენი ერთადყოფნა: განზოგადებების ახალი უნარი:
სრული, სრული უუნარობა რომელიც სიზმრებმა მიითვისეს

თავი მოიყარეს შენი ბედის მიღმა - სუნთქვის ხვეულებში
რომლებიც ჯერ კიდევ არსებობდნენ შენი ფრენის მიღმა
სადაც მტვერი ხელისგულებიდან სიცარიელეში გადაიზრდებოდა
ყოველთვის ჩემი და შენი გავლით
ყოველთვის იმათ მიღმა

ვინც სიზმრებს აღარ ეკუთვნოდა ვინც აღარ გვციოდა
ჩვენი ტანები ზენრებად ვინც ააშრიალა
ცაში რომელიც წითელ ზოლად გასდევდა შენს უნარს თოვლის და სიცივის

ათასი წვრილმანიდან განზოგადებული ქრობის - ჩვენი ფიქრის
საიდანაც მომავლის წყლები სიცარიელის სავსე გულში ჩაედინებიან
ერთ წამში ათასჯერ ერთ წუთში მრავალჯერ ერთ დღეში ბევრჯერ
ჩაედინებიან სამახსოვროდ სიტყვის და სიმღერის
ნასაშლელად გაჯიუტებული ჩვენი აბსტრაქციის -
განზოგადების ამ შეუძლებლობის

გაზიარებული შენი შთაგონების ამ უნაყოფობის:
რომ მათმა უჯანმრთელესობამ
ერთ მშვენიერ დღეს მუცლად იღოს
ჩვენი სნეულება შენი

## ლექსები ელიზაბეტისთვის

### 1. აუცილებელი შემთხვევის შესახებ

შენყვეტილი შენი სიმღერიდან
კიდევ ერთხელ მოყონავს სიცოცხლე,
ფორმირებულ არაერთ წესრიგს შეყინული,
დაქსაქსული არაერთი მიმართულებით;
კიდევ ერთხელ მე ვიხრები ერთ-ერთის ბოლოსკენ
და ვცდილობ ხელი შევახო კრისტალს,
რომელიც ბრწყინავს შორს შენგან,
უმალ უჩინარი;
მე მას ვაღებ, როგორც ნესტიანი სარდაფის კარს,
ცხვირში მკვდარი თაგვის სუნი მცემს,
და ამ სიმყრალით ატანილი ჩემი სახის დანახვაზე
შენ კიდევ ერთხელ წყვეტ სიმღერას
და იქცევი გამდინარე წყლის ფერიად,
ჟანგიანი მილის კუთხესთან მოიკალათებ
და გამჭვირვალე თვალებით ცდილობ იოცნებო
ღრუბლებზე, კვამლზე, მოაჯირზე,
რომელსაც შენი ნახვით შემცბარმა ხელი ჩავკიდე
და დაკარგული ბავშვივით მიმყავს
ღრმა სიზმრის მინდვრისკენ,
სადაც ყოველთვის თავს იყრიან შენყვეტილი შენი სიმღერები
და უხარიათ ჩემი მორიგი გამოჩენა
შენს ამ კიდევ ერთ ოცნებაში,
საიდანაც ცუდად არ მოჩანს
შენი სიზმრისკენ გადმოხრილი ჩემი სახე,
რომელსაც ღვარად სდის თანაგრძნობის და ღიმილის ცრემლები;
და ამ სიგიჟეს როცა ხედავ,
წყვეტ უმალ სიმღერას, ტოვებ შენს ადგილს
და ინაცვლებ ჩემი გაღეღილი, ღარიბი გულისკენ,
სადაც უცნაური ამბები ხდება.

### 2. მოცემულობები

გახსოვს? რომ ერთმანეთისთვის არაფერი შეგვეძლო მაშინ;
რომ არაერთხელ დავკარგულვართ ხილულ, მაგრამ უცნობ ნიშნებში,
რომლებსაც, ალბათ, ისე გავაჩნდით, როგორც საშველი, როგორც ხვედრი.
ჩვენ კი ვინ გვერქვა?
ერთმანეთისთვის ხშირად უცნობი მეგობრები, ბნელი ადგილები,
რომლებიც დიდხანს აგროვებდნენ დანაკარგებს თავ-თავის წარსულში,
იმ მოულოდნელ მიგნებამდე,

რომ თურმე მხოლოდ ფორმებს და ღიმილს აგროვებდნენ,
კრებდნენ მხოლოდ ერთმანეთის აღმოსაჩენად აუცილებელ მოძრაობებს,
ერთ დროს დანყებულს, ამუშავებულს იმ სივრცეში,
რომელსაც - ასევე - ჩვენ მაინც გავაჩნდით,
ერთმანეთის მოულოდნელი მეგობრები,
შეუმჩნევლები სხვათა და სხვათა - დამვინყებელთა - მიერ.
გახსოვს? რომ არც ერთ ნამს არ უნდა ვუქრებოდეთ ისე,
როგორც ამ სახლებს, სასახლეებს, დიდ და მნიშვნელოვან ქუჩებს ვეკარგებით.
იქნებ, არის რაღაც ისეთი,
რაც ზრუნავს ჩვენი იმ ერთობლივი მიგნებების შესაკავებლად, შესანარჩუნებლად
შენი თვალივით გამჭვირვალე სამხრეთ საფრანგეთის უძირო ტყეებში?
იქნებ, ვიღაც ინახავს იმ ხმას,
ერთობლივ ჩვენს ხმას ნისლის თავზე,
მთის ფერდობებზე, შებინდების გრილ სიჩუმეში?
იქნებ, რაც უკვე მოიძიეს ჩვენი ხმების ფრთხილმა ურთიერთშეხებებმა,
დაცული და შენახულია ჩვენი სუნთქვის რიტმში ყველგან,
ყველა ნაკადულის და ფიქრის გავლით?
იქნებ, ეს "რაღაც" არის მხოლოდ იმის ძალით,
რომ ჩვენი ზრუნვა გულისხმობს ერთად გადარჩენას, გულისხმობს შენს ხმას,
გულისხმობს ჩემი გულისფეთქვის გახანგრძლივებას
უფსკრულის თავზე შენს დგომაში, -
როცა ფრთები გაშალე და შენი ხსოვნის იმ სიუჟეტს გადაუფრინე,
სადაც ნევხარ ნაქცეული, თვალდახუჭული, და ჯერ არ იცი, რომ გადარჩი.
უფსკრულის თავზე შენს ამ დგომას როცა ვკითხულობ,
ჩემს მალულ თვალს დასთამაშებს შენი ღიმილი;
როცა ვკითხულობ შენს ამ ფრთებში შენახულ იმედს
(რომ შეიძლება ერთმანეთის შემნახველი ჩვენი გულები
გადაურჩნენ დავინყებას, დაკარგვას, სიკვდილს),
ჩემს მალულ თვალს დასთამაშებს არსაიდან გაჩენილი, ცრემლიანი შენი ღიმილი.
მოცემულია შემოდგომა.
მოცემულია ხშირადნავალი ბილიკებით აღნიშნული რამდენიმე მიმართულება.
ყურს ვადევნებ ისრების ცვენას ჩემი გულის ყველაზე უფრო ბნელ ადგილებში.

### 3. უხმაურო ჩემი სიღარიბე

იყო რთული, როგორც არაერთი სახელი ამქვეყნად,
როგორც კედლების ღამე შენს უძილო, აფორიაქებულ სამყოფელში;
ხედავედ ნაცნობებისთვის უცხო,
უცნობებისთვის კიდევ უფრო უცხო, უსარგებლო ფიქრებს,
როგორც ღრუბლების მოძრაობას,
შენი არაერთი ხედვის ნერტილის კართან შეჩერებულს;
ნიგნებიდან შენს მეხსიერებაში
ყოველი სიტყვა გადადიოდეს, როგორც დასასრული,
როგორც შეჯამების ყოველდღიური უარყოფა იმათი სახელით,

ვინც დიდი ხნის წინ დაგიხოცეს ან თვითონ დაიხოცეს თავი,
როგორც შეჯამების საერთოდ არცოდნა და, შესაძლოა, არარსებობაც;
გეშინოდეს სახელის, რომელიც შენს სახელს ჰქვია იმათ თვალში,
ვინც ახლაც ხოცავს იმათ, შენებს,
და ღრმააზროვანი მეტყველებით აღნუსხავს სხვების სისასტიკეს;
ოცნებობდე ფულზე, რომელიც არა და არ მოდის შენი შრომის ფასად
და რომელიც მართლა გჭირდება;
ქრებოდე შენივე უამური ფიქრების ხსოვნაში,
უქრებოდე შენივე სიზმრებს;
ზრუნავდე სიცოცხლის შენარჩუნებაზე სირთულეში, სისხლში, -
ეს ყველაფერი, შესაძლოა, უკვე არის მცირედი საშველი
ამ კონკრეტული უამინდობების,
ამ უზედსართავო მონყენილობების მერე.

## 4. ჩვენი ადგილი

უმი, მშრალი გემო ულიმის შენს წარბს.
არაფერი, არაფერი ამ ჩემს რთულ ასაკში მე არ გამაჩნია,
რითაც შეიძლება თვალი დავიმშვიდო,
როცა ჩემს თავს შენს ფიქრებში ვხედავ.
და თუ მე მაინც მიხარია, ეს არ შეიძლება იყოს ჭკვიანური,
უზრუნველყოფილი წარსულით, მომავლით.
იქნებ, ეს მართლა სიგიჟეა?
იქნებ, სხვა არც არაფერი არსებობს ამქვეყნად,
გარდა მდინარეში ნასროლი ქვისა და მწვანე მდინარისა,
და ჩვენი სხდომისა მდინარის ნაპირზე,
და მზესუმზირისა, რომელიც შენი ძილის სარკმელთან ირწევა,
და ასკილის მინავლულ ბუჩქთან ნაპოვნი სახლისა,
და სადღაც ჩამოსხმული შავი ლუდის სმისა ჩემს მიერ სადღაც,
და ასე უცნობი მრავალი ვიწრო ბილიკისა.
ჩვენ კი ვსხედვართ და ერთმანეთის მოსმენილ ტკივილებს,
როგორც ჩუმ ბარათებს, ერთმანეთის წარსულში ვგზავნით,
რათა უკეთესად ვუგებდეთ ერთმანეთს ყველაში,
ვინც ჩვენს შეცდომებს და დანაკარგებს ოდესმე უნახავთ.
ჩვენ კი, როგორც სამკურნალო მცენარეებს, ვაგროვებთ კითხვებს,
ირგვლივ თავმოყრილ ურიცხვ პასუხზე გასაცემად.
მერე იქ ვსეირნობთ, ხოლო მერე იქიდან ვბრუნდებით.
მერე სოკოები კიდევ ერთხელ ყურადღებით ისმენენ სიმღერას,
რომელსაც ჩემი ენა ხალისით ასრულებს მინდვრად, ნაძვების შორიახლოს.
შენმა სიცილმა კი აქვე, ეს-ესაა, ისე გაუსინჯა სოკოს სისხლს გემო,
რომ ვერც კი გაიგე, ვიდრე შენს ბაგეებს სისხლი არ შეეხო.
მერე უმი, მშრალი გემო იღიმის შენს წარბთან,
ჩემი მარცხენა თვალის შორიახლოს.
ვის ირგვლივ? - უხმოდ მეკითხები, - ვის ირგვლივ თავმოყრილ პასუხებს გულისხმობ?

ჩვენს ირგვლივ, - უხმოდ გეკითხები, - ჩვენს ირგვლივ მომლოდინე
გამოცდილებათა გარშემო თავმოყრილ, ხმამაღალ პასუხებს.
შენი მზესუმზირა, უკვე რახანია, შენი თბილი ძილის სარკმელთან ირწევა.

## 5. წესრიგის შესახებ

როცა - ამდენი ახირებული ნივთით, ცვლილებით, მოძრაობით გარემოცული, -
რომელიმე ოცნებიდან გამოვდივარ, მტვერს ავიკრეფ
და ვცდილობ უხმოდ, უსიტყვოდ განვვლო უხილავი ის მოედანი,
სადაც ჭარბი, მოსანყენი ზრუნვის სიჭრელე გონებას უმღვრევს
ჩემს თითოეულ მორიგ ნაბიჯს და მორიგ გადანყვეტილებას,
აღსავსეს ბევრი ფრთხილი ფერით, არანაკლებ ბევრი ფონით
და სულაცარახელისშემშლელი ამდენი ახირებული ნივთით,
რომლებშიც შენ დასრიალებ, როგორც თეთრ და გაყინულ მინდორზე,
ამოუხსნელი სირთულეების უგულებელყოფით,
მსუბუქად შემცველი სხვებისთვის ხილული იმ შეჯამებების,
რომლებიც შენი ხსოვნის გაშიშვლებულ,
დაუცველ მინდორზე ჩემს ამ გამოსვლაში აღარ მნიშვნელობენ,
და, საერთოდაც, როცა ჩვენი თავი, ჩვენი ძვირფასი ურთიერთობები
ასე უცებ გვიქრება ხელიდან და უკვე ამასაც უსაზღვროდ ვერ ვშველით,
ვხედავ შენს სურვილს: ერთმანეთის მისამართით განთავსებული
ამ ნივთების მორიგი ერთობა მიუთითო ჩემს თვალს,
როგორც სწრაფად ქრობადი იეროგლიფი, ნასაკითხი იმის მიერ,
ამ ჩიხებში ვისაც დავეძებთ, ვისაც ვულებთ ამდენ სურათს
და ვინც ჩვენვე ვართ, ჩვენი ურიცხვი დანაკარგის ფონზე
ერთად, უმიზნოდ და უმიზეზოდ მოცემული (მაგრამ ვის მიერ? მაგრამ რატომ?);
ვხედავ ჩვენი ურთიერთობის უხილავ სახეს,
როგორც სიტყვების თანმიმდევრობას ყველგან, სადაც არ უნდა ვიყოთ,
რასაც არ უნდა ეხებოდეს ჩვენი ეს მწირი მეტყველება;
ვხედავ ამ სახის უხილავ წესრიგს, რომელიც ხშირად
ერთადერთი უხილავი კითხვის სახით თუღა არსებობს
და ეს კითხვაც ერთი ხანგრძლივი და მომქანცველი მგზავრობაა ერთმანეთისკენ
ურიცხვი სიზმრის ან ოცნების ან სიღარიბის თეთრ, გაყინულ ზამთარში გავლით,
ერთმანეთში დაცული და დავიწყებული ათასობით საკუთარი სიმარტოვის
ამოცნობით,
ნაკითხვით და ჩუმი მიხვედრით.

# დიოტიმა

*O du Teilhaber meiner Leiden!*

ჰოლდერლინი

ჩემო მესამე დღეს გამქრალო სახევ, მეგობრის სახევ,
მერე ვისი მისამართითაც გაისმოდა არაერთი საყვედური ყოველი მხრიდან,
ვინც სიტყვებს შორის ნება-ნება მოიწევდი და იზრდებოდი
შორს ჩვენგან, პერსპექტივაში, გულთან,
სადაც განუხორციელებელი უხსოვარი ნგრევები სახლობენ
და ჩვენი ხსოვნის ბევრ წარმოსახვაში
წარმოქმნიან მრავალ მოულოდნელ, უხილავ დინებას,
რათა ჩვენი ურთიერთობებით დასახსრულ ჩვენივე ურთიერთობებში
ფრთხილად შემოსული ეს სიტყვა - გაგება - კვლავ ინარჩუნებდეს ხედვას
და სუნთქვას დროისა, მოძრაობებისა, ერთეული იმ მთლიანობების გაძლიერებისა,
რომლებიც არის საჭირო საზღვრები ჩვენსა და ნებისმიერ ჩვენს ხილვას შორის,
სადაც
შეაჩერო შენი სიტყვა შემხვედრის ფიქრში,
ამოიკითხო ყველა შენი პასუხი მის უთქმელ შეკითხვებში,
რომლებიც მოძრაობენ არა დროის მიმართულებით ან მის წინააღმდეგ
და არიან ხაზგაუსმელად აღნიშნულნი შემხვედრის ღიმილში,
ნიშნავს:
ხედავდე შემხვედრს ყველაში, ვინც შენ ვერ გხედავს,
გტოვებს და ასე იქცევა შენზე უხილავი ზრუნვის მსახურად,
მდოგვის იმ მარცვლად, რომელიც ქარის მოძრავი ფიქრია, მისი ერთადერთი მიწა,
და რომელიც ხშირად არის ფრინველი ან ქაცვი ან ავადმყოფის ბოდვა
ან ბევრი უსარგებლო, შემჩნეული ნივთი,
ურთიერთობები, ანთებული შენი მოძრავი ენის წვერზე, შენი მოძრავი ვერგაგება,
ერთ დროს პასუხებად, შეხებებად გამქრალი და გადავიწყებული,
რომელიც ხარობს შენთვის არარსებულ, შენით განმსჭვალულ მოკლე დროში,
წყდება ხეებს და უჩინარ ვარსკვლავებს,
გადაიფრენს გაუვალი გამომეტყველებებით დაძარღვულ ურიცხვ გულისფეთქვას
და უჩინარდება შენი ფიქრის უსიტყვო სივრცეში,
სავსეში დავიწყებული და უთქმელი კითხვებით
და შენთვის უცნობი, მაგრამ შენს მთავარ წარსულში მოძრავი, მოქმედი მზერით,
რითაც ვიწყებთ და ვამთავრებთ, რაშიც
ვართ ყველგან და ყოველთვის, მაგრამ -
მხოლოდ ჩვენთვის უცნობი გულით;
ხოლო მერე ის იცავს სიცოცხლეს განზოგადებების საჭიროებისგან,
შეკრებილი ქვებით გამართული ურთიერთობების შეცვლისგან
წიგნებით, აღწერებით, დამახსოვრებებით,

განმეორებადი სიტყვებით; ეს სახე მეგობრობს სიცოცხლეს,
პირველარსებული, შორი პერსპექტივა,
საქმიანი, განედილი ხელი ჩავლილი დანაკარგებისკენ,
ფერისკენ, გემოსკენ, ათასი საფრთხისკენ,
მომხიბლავი ყველა იმ განცდისკენ,
რომლებიც უკვე განვიცადეთ და უკვე აღარ გვეკუთვნიან;
ვიდრე არსებობს შუალედი, ხოლო ეს შინაარსები
ქმნიან თავიანთ შინაარსებს და, როგორც ნაცნობი
მგზავრები, ერთმანეთს უკავშირდებიან,
არ მთლიანდებიან, არ წყვეტენ სიტყვას და აღიარებენ,
რომ ისინი არიან ჩურჩულით ერთმანეთი, არიან
სიცოცხლის გაგრძელება უკან, სამოთხისკენ,
რომელიც განსაზღვრავს დროის ბრუნვას,
ანესრიგებს თანმიმდევრობას ჩვენსას და ჩვენში,
ღიმილს კიდეზე თვალისა და კუთხეში ბაგისა,
სადაც წარმოსახვა იცავს ჩვენს სიცოცხლეს
გახსენების სახიფათო, ურჩ მოსახვევებში,
ცეცხლს უკიდებს ხმამაღლა, გაბმით;
ხოლო მერე, ასეა თუ ისე, ერთმანეთს უკავშირდებიან.
როგორც სახელის გადარქმევის მომლოდინე არაერთ ქუჩაზე
მრავალი კარგად სიარული, მრავალი უმომავლო, ძლიერი ღიმილი,
ერთმანეთს ანდობენ შემჩნეულ შეცდომებს,
ერთმანეთის თავდახრილ ფიქრებში ამოკითხულ ურიცხვ წარმატებას.
ამკრძალავი მიმართულებების სრული წვით უზრუნველყოფილი ჩვენი შეცდომები
ერთმანეთს უკავშირდებიან მრავალი გამჭვირვალე საუბრის მიღმა,
მზერის გასწვრივ ნებისმიერ მოულოდნელ ვერგახსენებაში,
სადაც შეცდომების და დანაკარგების ურთიერთშემცველი
სასვენი ნიშნებით მოძრავი წესრიგი
ქმნის თამაშის უსწრაფეს წესებს და -
სახეს, შესრულებულს იმდენი კითხვით, რამდენიც შეიძლება დაიწყოს დილა.
და ეს ხდება ყოველთვის ხელახლა,
როცა შენი ტანი, შენი ფიქრი ეჩუქება სრულ სოციალურ უპერსპექტივობას,
რომელშიც დღითიდღე იძირები, ულმოდამო ამ თანადგომების,
ცნობისმოყვარე შეგულიანებების, ხელისშემშლელ ამ მთლიანობაში;
გადაეცემა ყრმობა-სიყმაწვილის რთულ გზაგასაყარზე დამახსოვრებულ,
მოუქნელ სახეებს, რომლებიც შენს ყოველდღიურ სიჩუმეში და მოთმინებაში
აღიბეჭდება და განიმქრევა ყოველთვის ხელახლა,
ხდება მყრალი სარდაფებიდან ამოსული, მიმზიდველი ზუზუნის ფონზე,
ყოველთვის შენი წონასწორობის და სიზუსტის ხაზგასასმელად,
როგორც საჭირო, მაგრამ უთქმელი მითითების უთქმელი სიმძიმე,
სიგიჟე, ცვალებადი წესრიგის არცოდნის ცოდნა და უმალ იმის ცოდნაც,
რომ ყველა, ვინც უკვე გარს აკრავს იმას,
რაც უკვე გარს აკრავს შენს შიმშილს, ცუდად მართალია,
მსგავსად იმ შეხების, რომელიც თავს უყრის შენი უხსოვარი ფიქრების სიხშირეს

და აქცევს ერთ უწყვეტ მელოდიად, ერთ რიგით ნაწყვეტად
შენი მეტყველების შეხვედრაში ხმასთან,
ნანახთან ეს-ესაა არავის მიერ.

არსებითი სვლები
1999 2000

## 1. ნემსის მორიგ წვერზე

მერე მე ვეძლევი ოცნებებს
ამოკრებილს შორეული ციტატებიდან
რომლებიც ბჟუტავენ ძველი სადარბაზოების ნათურებივით
და მტვრიანი მათი სიყვითლის თანმიმდევრობა
შემპარავად აუხეშებს ამუქებს ჩემს რიტმს
ბოლო შეხვედრები მუყაითად ზუზუნებენ ჩემს თავში
ის ხელს ართმევს ახალ ცხოვრებას
წარმოუდგენლად მოუმზადებელს
ამდენი კითხვის ნიშნის დასაბინავებლად
ან გარდასულ მოციმციმე ფიქრებში და საზრუნავებში
და ბევრი დანაკარგის შენელებულ მსვლელობაში ირიბი ხედვისკენ
როგორც მბჟუტავი სადარბაზოების ძველი ნათურები
სადაც შენს ყურში
ზოგჯერ გაისმის უიმედობაც
რაც ერთიც ვნახოთ წარმოსდგება
მარჯვე ბავშვების მიმორბენაში
სანთლის შუქზე
ნემსის წვერზე
სანაპიროს გრილ სიჩუმეში
სადაც ყველგან გაისმის გულში ჩაქნეული ხელი
ასული მორიგ საფეხურზე და სადაც

ჩემი ყურადღების არეში უკვე ექცევიან შინაარსები, რომელთა კონსტრუირება შეუძლიათ არა მხოლოდ აზრის ლოგიკაზე, არამედ ლინგვისტური ერთეულების განლაგების ემოციურ ლოგიკაზე დაშენებულ თანმიმდევრობებსაც. ასეთ ლექსებში "ბუნებრივად" ფიქსირდება კონსტანტური და ცვლადი სასაზრისო ფუნქციების ურთიერთგადაკვეთის ნერტილები, რაც არა იმდენად აზრის ლოგიკაზე აგებული სანინადადებო კომბინაციების - როგორც მყარი სააზროვნო სტრუქტურების - უკიდურესად პირობითი ხასიათის გამოაშკარავებას ისახავს მიზნად, რამდენადაც - მსგავსი პირობითობების თამაშებრივი ბუნების წარმოჩენას. მით უფრო საინტერესო და თვალწარმტაცია ეს სანახაობა, როცა პოეტური თამაშების სრული თანხლებით მიმდინარეობს და ლექსის ფორმით გამოიხატება.

## 2. მოთამაშე ეგვიპტელი ქალი

სადაც შენი თვალი ხელს ინვდის მანუს მინდვრებისკენ
ფერად-ფერად ადამიანებს ჩამოშლილი კედლის მტვერი სცვივათ სახიდან
და ზანტად უჩინარდებიან ერთმანეთის გამომეტყველებებში
მათი ღიმილის ნაშალი როგორც ქარის ხმა
დაქრის ჩვენს მრავალ საქმეში ერთად აღებულში ხელით
რომელიც მგზავრია ან სულაც მსახური მზის და მთვარის

მისი ზურგი მოსმენილი სიმღერების რიტმში გამოისახება
როგორც წყურვილი როგორც ქვიშაში დაფანტული თვალი
არც ერთი უხილავი რიცხვის წმინდა და მორიგი სათქმელი
არც ერთი უკვე ამეტყველებული გული
და მათი ფეთქვის თანმიმდევრობა
ქვიშის მარცვლებად აღრიცხული
ჩვენი წარმაელობის ნაზ გარდასახვებში
რამდენიმე გამომეტყველების წაშლაში
უხილავი რიცხვების ხელით წმინდა სათქმელით
ცეცხლს უნთებს უწყინარ ჩვენს სურვილს
ერთმანეთში ვხატავდეთ ერთმანეთს იქ სადაც
ვეგულებოდი ჩემს სატრფოს თავის თბილ ღიმილში
შეზავებულში ცხელი დღეების სიბრძნით და თიხით
ჭარბად დაზიდული ატმის და ყურძნის ნაყოფებით
და სამხრეთის ქარს მსუბუქს ფრინველის ბუმბულივით
ჩვენს ეჭვიან ცდაში და სხდომაში
როგორც ორი ერთგული მეგობრის უხმაურო საუბარი
შემოჰქონდა შორს ნანახი მდინარის წყალი
და კენჭიანი ნაპირები ტყის სურნელება
მოჩრდილული სახის კანის ნაცნობი სიმშვიდე
და რიტმული სუნთქვა შორეული მგზავრის ან მსახურის
რომელიც უკვე შეყოლია უქვიშო და უჩინარი ნაპირებისკენ
ჩვენს ფერად და ქრობად თვალებში შენახულ გამომეტყველებებს
ქვიშა-ქვიშა მიმობნევადს ჩვენს მრავალ საქმეში
ერთად შეკრებილში და მერე დაშლილში ვიღაცის ხელით
რომელიც იქნებ შენც იყავი ერთხელ ან მრავალჯერ
როგორც წმინდა რიცხვის მორიგი მსხვერპლი
ჩემი თვალის ხელში

## 3. მიძინება

ვისაც ახლა ყოველთვის ეხება საუბარი,
როგორც ცეკვის მარწუხებში გაელევებულ ფორმას,
გარდასახვადს ათასობით შეხებად სივრცესთან,
მის ყოველ სუნთქვასთან ერთდროულად, ერთგზის.
თითქოს არსაიდან ან სულაც მიწიდან ამოსული ადამიანები
მზისკენ გადახრილი შრიალით ირევიან
მისი ფიქრის და ზრუნვის სანახებში.
ეს ფოთლებიც მისგანაა მეთქი.
ჩვენს სიზმრებსაც მისი წყალი მსჭვალავს მეთქი.
მისი ძილის უმანკო სიმშვიდე, იქნებ სულაც არმცოდნე სიზმრების
და სოციალური სასვენი ნიშნების, მისი დაღლილი მიძინება.
ვრცელი მინდვრები მზის მცხუნვარე სცენაზე აღმოაცენებენ
უჩვეულო მოძრაობებს, უცნობ მიმართვებს,

გაურკვეველ შენიშვნებს და შეხედულებებს,
რომელთა ერთობა უკვე არის კიდეც დასავლეთის ცოცხალი მწყემსი,
ვისით მოცული მიწის მუშაკები მას უხმობენ შიგნიდან გარეთ
და ქმნიან ლაბირინთს, დაწერილს სავსებით გასაგებ ენაზე
იმათთვის, ვინც ის გადაწერა შიგნიდან გარეთ ბევრად უფრო ადრე,
ვიდრე მას შექმნიდა ხელის წარმოსახვა.
აი, კიდევ ერთი ეს ფოთოლიც მოწყდა შემოდგომას.
ეს ერთი მონასმიც დაკარგა მისმა წარმოსახვამ.
ჩვენში უკვე უჩინარდებიან მისი ფიქრის საუკეთესო მიწები და წყლები;
უხალისო, ზარმაცი ფიქრებით ვეხებით მისი შეხების თანაბარ სუნთქვას;
სივრცესთან, მის ყოველ სტრიქონთან ან, უბრალოდ, წინადადებასთან,
ხაზგასმულ ბგერასთან შუაგულ შეხებაში შემწყდარ იმ ხედვას,
ვისაც ახლა ყოველთვის ვგულისხმობთ სანთლის ალში,
დაგრაგნილში ძაფზე, რომელიც შეიცავს ათასობით ერთ უხილავ მონასმს,
ამოწურულს ჩვენი უცნობი წარმოსახვით,
განუმეორებლით ვის მიერ, ვის მიერ

## 4. ღიმილის ზოგიერთი ფორმის ასახსნელად

შუაგულში შეკივლებისა, რომელიც მთელი შენი ცხოვრებით
მიემართება ხმისკენ, რომელიც მას სავსებით ვერ ცნობს მაშინაც -
წვიმიანი ზამთრის ნაპირებით შენს აღტაცებაში
და ცრემლიან, უღრუბლო მზერაში ხმისკენ,
რომელიც ფურცლავს და ეხება, როგორც წიგნებს,
თითოეული ტალღის უწყვეტ შრიალს,
და ისე კითხულობს, თითქოს წერდეს შიგნიდან გარეთ,
სადაც, უკვე მერამდენედ, ლიტერატურიდან შორს, ბალახებში,
ჩემი დაღლილი გამომეტყველება შემახსენებს ტკივილებს,
რომლებმაც ვერასდროს მოიცალეს ჩემთვის
და მათი გაუთამაშებელი ფრაგმენტები დღედაღამ უნდა მეგროვებინა ამაში, იმაში,
რაც, ცხადია, გრძელდებოდა ყველა დინებით,
რომლებიც თავს იყრიან შორს ჩემგან - ჩემში,
ანარეკლში შრომისა, მორჩილებისა და შეურიგებლობისა,
ამოღამებული და თვალებს მინდობილი სახისა, უხმაურო მეხსიერებისა,
რომელიც არის, მაგალითად, შემჩნეული შეცდომების გასწორება, რაც არ არის შემჩნეული შეცდომების გასწორება ახალი შეცდომებით, რაც არ არის ახალი შეცდომებით შემჩნეული ძველი შეცდომების გასწორება, რაც არ არის ახალი შეცდომებით შემჩნეული შეცდომების გასწორება ახალი შეცდომებით, რაც არ არის ახალი შეცდომებით შემჩნეული შეცდომების გასწორება ძველი შეცდომებით, რაც არ არის ძველი შეცდომებით შემჩნეული ახალი შეცდომების გასწორება ძველი ან ახალი შეცდომებით, შუაგულში შეკივლებისა, სადაც
ცხოვრების ზღვრულ ფორმებს შეტოვებულები გამოცდილებებად,
რომლებიც ჩვენივე ბედის ირგვლივ ჩვენს ბრუნვას წესრიგს უბრუნებენ
ყოველი ჩვენი ახალი გამომეტყველების შეხვედრაში უღრუბლო მზერასთან ხმისა,

რომ კანონის ბორბალი ყოველთვის უნდა ბრუნავდეს მარჯვენივ,
რათა ჩვენი ცხოვრება მიედინებოდეს მარცხნივ,
ხოლო კანონის ბორბალი ბრუნავდეს მარჯვენივ
და ბრუნავდეს მარცხნიდან მარჯვენივ და ბრუნავდეს ყოველთვის
და ირგვლივ და მარჯვენიდან მარცხნივ,
როგორც, შორეული ბალახის სიღრმეში, არაერთხელ დეზორგანიზებული შიში,
აქვე, შემინულ ტიხარს ქარმიკრული ამ ფრთის წინააღმდეგ,
რამდენიმე უმნიშვნელო ბილიკის ერთობლივი ღიმილით შემინული დაცემის ფონზე,
სადაც, ნასიზმრალი მისი მეტყველებით,
არის ერთადერთი ადგილი: ღმერთი,
სადაც შეიძლება იდგე და საუბრობდე შესახებ ირგვლივ,
იმისა, რაც შენს ფიქრს და შენს ენას ანუხებს,
რაც შენია უნყვეტად, ირგვლივ,
რაც შენია აქ, ღმერთში, ამ შენს არავინში, სადაც

## 5. უხილავი (ამ) მწერლის სიკვდილი

ამ ასოებში უკვე ისმის ნგრევის ხმები, მიუწვდომელი სიტყვებისთვის,
თანხმოვნებისკენ ყრუდ მიზანმსწრაფი მათი ჯერ კიდევ შეუმშრალი გულებისთვის,
რომლებიც ქმნიან მიმართულებებს ნგრევებისა,
სადაც მერე ზრუნვით და ბეჯითად, როგორც საკუთარ სახლს, აშენებენ ნგრევებს.
ამ ასოებით შეკრებილი ამ სიტყვების გვერდიგვერდ დგომაში უკვე ნაცნობია
დიდი მანძილები, გადაძახილები შორიდან, თითქმის ერთ სიტყვად ყოფნიდან,
სადაც მხურვალე ადამიანებში განვითარებული ნაკადულები და მწვანე მდელოები
ერთმანეთს გაბმით შესცინიან; განაგრძობენ ერთმანეთს ძილში სიტყვებისა,
რომლებსაც ფერი მთვარისგან აქვთ ან უხილავი ყოველდღიური ვარსკვლავებისგან;
ულოცავენ ერთმანეთს ფიქრებს, შეცდომებით წანაცვლებულ თითოეულ ნაბიჯს.
უხსოვარი შელოცვებით ულოცავენ ყოველ მისხალს ერთმანეთის მტერის,
და დღემდე არიან უხილავი მწერლის კვდომის ხმები,
ბრმად გაელვებული სივრცეში ჩვენი მეხსიერებისა,
ჩვენი შურისძიებებით დამძიმებულ ფრთებში მისი წონასწორობისა
სადღაც, პაერის შორიახლოს, - შეუძლებელ, უსიტყვო ეთერში
ან, სულაც, ერთმანეთის ჩამქრალ მოძრაობებს ყურმიდებულ ქვებში.
სად რა დაუკარგავთ? სად რა უძებნიათ მიგნებულ ერთმანეთის დანაკარგებს შორის?
საიდან წასულან შორს და მოუხედავთ გვიან, დაისის სრულ სიჩუმეში ზრუნვისა,
ლოყით რომ ეკვროდა, როგორც ბავშვი, თავისი რთული გაურკვევლობების უხილავ სარკმელს,
გაელვებულს ზრდასრული ადამიანების უფრთო დინებაში?
სად უფრო ხმადაბლა ისმოდა ჩურჩული, მათ რომ ჩაესმოდათ ყველგან,
სადაც შესაძლებელი არ იყო დუმილი?
შორეულ დროს ისინიც იყვნენ ისტორია, უკვდებოდნენ სიცოცხლეს და ხეებს;
მათაც ულიმოდა ბედი ამ რთულ სიტყვათშეთანხმებებს შორის;
ნებისმიერი სხვის(ან უცხოს) ცრემლში გაბნეული ქარიანი ფრინველებივით

ინევდნენ ზომიერ თანაგრძნობას უსახელო, დაღუპულ სულებში,
რომლებსაც უკვე ველარ იხსენებდნენ სახეები
ჩვენს სიტყვებს შორის ჩაშლილი შეთანხმებების და ფიქრის,
სადაც ჩვენ ვეძებთ იმ ფორმებს, რომლებმაც უკვე მოგვიპოვეს
არა მხოლოდ, რა თქმა უნდა, ჩვენში თუ ჩვენს ირგვლივ განთავსებულ ცდებში
დაკარგული კვარის ანთებისა; ტალახიანი წვიმების აფრიკით ტკბობისა სიზმრებად;
ჩვენს წარმოსახვებში უდაბნოდან მოტანილი წითელი ქარების დნობისა
ბრიტანეთის სანაპიროებზე,
როცა ჩვენი დანაკარგები, ამღვრეულ ცაში ფრინველებივით გაბნეულნი,
კრებდნენ ერთმანეთს ოცნებებში გარდასულზე და იმაზე, რასაც
ველარ იხსენებდნენ ამ რთულ სიტყვათშეთანხმებებს შორის
ერთმანეთის ხედვას და ფრენას მიყურადებული ჩვენი სახეები, იმ ერთის ირგვლივ,
ჩვენს ზრუნვაზე ვისი უფლებაც არის საქმიანი და გამონათქვამების
გულისგულის მაძიებელი
ყველა ღიმილში ან გეზის ალებაში სიზმრის დაწყებისკენ
და "აი მაშინ მივხედი რომ"-ის შეუძლებლობისკენ სამუდამოდ, თავისთვის,
სისხლით;
ვისი მზერის ირგვლივ ლივლივებდა ვისი თვალიც,
გარემოებებით დამძიმებული და ლიბრში განფენილი,
ჩვენი დანაკარგების მოქცევებში მისივე არსებობის მიერ შენიშნული,
არგადარჩენილი.
იგი იყო, ვინც კრავდა ძნებს და ლენავდა კალოებს ჩვენს შებინდებულ
ურთიერთობებში,
აჩერებდა მზეს ჩვენი შეხვედრების თავზე, არ ტიროდა.

## 6. ვარდის ნაკლებობა

არადა, ისინი - ეს ადამიანები - რომლებიც მსგავსნი არიან სიმართლის
და როგორლაც მონმობენ - რაც დღეს უკვე არსებითია - ღმერთმა უწყის რას,
არიან დროის დასაწყისი ჩვენს მოქმედ იმედში აქედან გასვლისა და გადარჩენისა,
ამ ერთმანეთიდან ერთმანეთში სხვა გზით შეღწევისა, - მაშინ, როცა მთელი
ნაპოვნია,
ნაპოვნია წონა, რომელიც უხილავი სისწრაფით ქრება სხეულიდან
და აქცევს მას ზღვრად სიკვდილ-სიცოცხლის, იცავს ყველა წარმავალი
ემოციისგან
და კრებს სიცოცხლის გაგრძელებას თავისი თავისკენ,
სადაც ხორბალს წითელი მზის თბილ წყალში ალბობენ,
სადაც იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ ადამიანები, -
ოდინდელი ეს ზედაპირები, თავმოყრილები ერთმანეთში, რათა შეექმნათ
სიმძიმე გულის, მოგზაურის შემჩნეულ რღვევებში,
უხსოვარ წარსულში ჩარჩენილი მთლიანობების რღვევებში მათი სიმძიმისა,
წონასწორობის ნაკლებობისა, ადგილებად კრისტალიზებულ
და ერთმანეთით წარმოსახულ ამდენ ზედაპირში, ამდენი ვარდით.
რა იციან მოცინარმა მათმა თვალებმა შესახებ სიცილის,

შესახებ იმ ბაგის, რომელიც ჩურჩულებს ამდენ დავიწყებულ, არასრულ სიტყვას?
ამდენ საცხოვრებელ განლაგებას ქვათა და აგურთა, წოდებულს სახლად,
რომელიც ძნელად ჩანს სოციალური გრძნობების ურთიერთშეხებებში,
შეჯახებებში ცნებისა ცნებასთან, სიზმრისა სიზმართან, ფერისა ხმასთან?
მათი - ამ ადამიანების - შორეული წარმოსახვით განსაზღვრული მოძრაობა
კოსმოსის გულის,
რომელიც განსაზღვრავს მანძილს ჩვენი დასკვნებიდან ჩვენი წარმოსახვის
ბრუნვის ადგილამდე,
სადაც ეს ჩვენი მოძრაობა ჩვენივე თუ ერთმანეთის ცვალებად ცოდნებს და
ცვალებად კანონებს შორის
მიემართება სადღაც მომხდარი ყოველდღიური ღიმილისკენ,
რომელიც ყველგან გამოკრთის, როგორც მოულოდნელად შენიშნული შორი
სარკმლის სახლი,
და ისიც - მხოლოდ იმის მიერ,
ნისლის მხარეში განსახლებულ ჩვევებს შორის ვისი შეცნობაც
მოითხოვს რამდენიმე სიტყვის ჩუმ წესრიგს,
როგორც სინათლის უჩინარ სხივს, - ამდენი სულის ყოველდღიურ გასვლას
ტანიდან,
მოულოდნელად ნაკლულიდან იმ გადამწყვეტი რამდენიმე ასეული გრამით ან,
სულაც, გულისფეთქვით,
ტანს რომელიც უბიძგებს და გზას უნათებს ამ ზედაპირში,
საიდანაც ეს სანივთო და საჩვევითო დასახლებები თითქოს ვარდები უფრო იყონ -
მარადიული გზები ჩვენი მეხსიერების ნებისმიერი წარსულისკენ,
დიდხანს ნაგროვები და ასე დავიწყებული სითბოსკენ,
ნამში გამთლიანებული ხედვის შესამჩნევად
წიგნებში, მზიან ლარნაკებში, ნარიყში გალობის.

## 7. ყოველდღიურობის ხსოვნა

...შექცეული
ზურგის ქარისკენ, რომელიც განელილ იქნა არც ლოცვით ან მარხვით ან შრომით,
არამედ - სიტყვაში გამთლიანებული სიჩუმით, შექცეულით ხმისკენ,
რომელიც მხოლოდ იქ, იმ ყოველდღიური გამეორებებით აგებული
ნიშანსვეტების შუაგულში,
არის შინაგანი ადამიანის ხანგრძლივი ხატი ჩვენში, -
ურიამულში, ალტაცებული შედეგების შემკრებ ასობით და ათასობით ქმედებაში, -
ამდენი მუდმივი ერთეულის დავიწყებით ისე ცვალებადი,
რომ თითქმის არც გვქონდეს წარსული ან, ვთქვათ, ხსოვნა წარსულის,
ხიდის, გადებულის გამოთქმას ან გამოხატვას დაუმორჩილებელ
ზოგიერთ გამოხედვასა და იმ სავსე წრეს შორის,
რომელსაც ქმნის მიწყივ ზრდადი ჩვენი ნაკლებობა,
სიკვდილისკენ მიქცეული ჩვენი ამდენი უხეში საქმის ხმაური, სიჭარბე.
თუმცა, ხანდახან, თვალს მოკრავ, რომ ყოველდღიურ ამ ყოფნასაც აქვს თავისი
ჩუმი გაგრძელება

ფერადი თუ უფერული პეპლებისკენ, მინდვრის ქვებზე და აგურებზე მოსრიალე
ხვლიკებისკენ,
იმ დასასრულისკენ, სადაც - გვინდა თუ არ გვინდა -
მოძრაობს სიჩუმე და მხოლოდ ასე კეთდება საქმე;
სადაც მხოლოდ ასე აღარ გვპასუხობენ სადღაც დანყებული ჩვენი შეხებები
და აღარც - საღამო, გახვეული საკუთარ მნიშვნელოვნებაში,
ამდენი მზით გამოცდილი სიმღერის ნათელში,
კიდევ ერთხელ ნამოშლილი
თოლიების სანაპირო ქვიშისკენ, ღამისკენ,
რომელშიც, როგორც უჩვეულო სანახაობა,
მოქცეულია შენი ადგილი, შენი გადაადგილებების ერთობა, საზრისი;
მინდვრის ბალახში არეკლილი, მოსალოდნელი სიჩუმე და მინა, -
ყველაფერი, რაც დაასახელე, რაც გადამალე და გაუნოდე ანმყოს,
როგორც არარსებული ერთადერთი სიტყვის ლექსიკონი:
სქელტანიანი, მძიმე ნიგნი, მძიმე ქვემდებარე,
რაც თითოეული ახლადგაჩენილი ურთიერთობის ბედს დარტყმებს აგემებს
და უზრუნველყოფს ვნებითი გვარით, ურთიერთჩანაცვლების ნაღვლიანი და
ზმნური უნარით,
ნივთებში მიმდინარე, დაუცველი ისტორიებით და ცვალებადობების მიმართ
უცვლელი სიფხიზლით,
თხრობით, რომ სამოთხე სადღაც გარეთ არის, ჩვენს ირგვლივ გარეთ,
რომელიც გარს აკრავს ჩვენს ურთიერთღიმილს და სინანულის შესახებ სიმნრის
ნაკლებობას;
რომ ვაშლის ხეების ეს შრიალიც ჩვენი ნასვლების და დაკარგვების
საჩრდილობელია, -
უზრუნველყოფილი სულისკვეთებების უკვეშესრულებულ, მშრალ გულისცემაში
ნასვლების და ბრმად გადაკარგვების ყოველ ნამს, ყოველ ნამყოში და ცვლადში,
როგორც, ვთქვათ, უმალ გაჩენილი ხვლიკის ეს ტეხილი,
კედლის მზიან ეკრანზე მოძრავი ემბლემა.

## 8. ეს დაბნეული ლექსი

ხოლო მერე მივირთმევდით თავიანთ მნარე პურს და დროგამოშვებით ხმამაღლა
ვამბობდით,
რომ საოცარია პირდაპირ და რომ ეს არ არის, ეს კი არის ლექსი, და რომ არ
გვეშლება,
ეს არის ლექსი, რაც უკვე შეგვიძლია დავარქვათ ზოგიერთ შემთხვევით შეხებას,
ვთქვათ, ღიმილს მკითხველის ნამიან ბაგეზე სადღაც სიზმრებს შორის არსებულ
შუალედში
ან - ამ ღიმილს შემორჩენილ ზრუნვას(იქნებ, სულაც ვისზე ან რაზე?)
ამდენი უიმედო გაბრძოლების კონკრეტულ სივრცეში, ამდენი უჩინარი ნვალების
სახელით,
ლექსით, რომელიც შეუძლებელია შეგეშალოს ამდენ არარსებულ სიზმარში,
რომლებიც, ზოგჯერ ვფიქრობთ, არც არის ლექსი, და მერე, უფრო ღრმა ნუთებში,

ვფიქრობთ, რომ ის, რასაც ზოგჯერ ვფიქრობთ, უზრუნველყოფს თამაშის მქრალ ნესრიგს,
ჩვენთვის უხილავ ამ ჩვენს ღიმილს, რომლის სრული შეუძლებლობაც არის ეს თამაში,
გადანაცვლებებით აღსავსე, ულექსო შუალედი ნებისმიერი შეხვედრიდან
ნებისმიერ სულ სხვა შეხვედრამდე სულ სხვა მოაჯირთან შენელებულ დროში,
რომელიც, როგორც ჩვენ ჩვენს ღიმილს, დაეძებს თავის დროს,
რაც, სხვათაშორის, უზრუნველყოფს მის დინებას ერთადერთხელ,
მაგრამ ურიცხვი მიმართულებით და - რაც უკვე შეიმჩნევა - ყველგან ამ ჩვენში,
სადაც ამ სიზმრებს, რომლებითაც გადაფარულია ჩვენი ყოფითი აუცილებლობების ნაირსახეობა,
დავდივართ და ვმალავთ ყოველდღიური ჩვენი საქმეებით,
მოქმედებებსა და მათზე ფიქრებს შორის მოძრავი ჩვენი კავშირებით,
გრძნობადი ხატების ამ ჩვენი ნელი შესუსტებით, ინტენსიურად და მალვით,
შუაგულში, სადაც ისეთი სიბნელეა, ისეთი არაარსებითი,
რომ დინებები შეუფერხებლად გაედინებიან ლექსისკენ - შუალედური უმიზნო პუნქტისკენ -
ძალების მოსაკრებად და სვლის გასაგრძელებლად არსებითი სიცარიელისკენ,
ყოვლისმომცველი სიბნელის მომცველი სიგიჟისკენ, აქეთ,
აქეთ, სადაც საშინაო და საგარეო მიზნებით დაცული ხელშეუხებლობა ჩვენი სიზმრების და ძილის
გამოიმუშავებს შეხებებს მატერიალურ საიმედობასთან, რომლით დაცულებიც
ფრთებს ვუთვალიერებთ ნაწილობრივ ამოსული ან ჩასული ლექსების რთულ იეროგლიფებს,
განვითარებულებს და მიმოქცეულებს ჩვენივე მინდვრებში ან მინდვრებიდან ძალიან შორს,
შიშეელ ნყლებში ბავშვობის, დედის, უჩვეულო სანაპიროების,
საიდანაც ეს ლექსი ქრება იქ, სადაც ღმერთი ხედავს ყველაფერს,
ხედავს ყველა დირეს, ხედავს, სად ვართ ჩვენში,
ხედავს, ჩვენი რომელი ადგილიდან მოვდივართ და რაც მოგვაქვს, სად ვნახეთ ჩვენში;
უხილავია ჩვენი გზები, რომლებსაც ღმერთი ხედავს და გვიმხელს იქ,
სადაც ვართ ჩვენში და გადავადგილდებით აუხსნელი სისწრაფით სხვისკენ.

## 9. შებრუნება

იქნებ, გტკენდეს კიდეც გულს ბევრი შეხება,
რომელმაც მერე დაუმსახურებლად უნდა განიცადოს ეს ქრობა შენს გულში, შენს სუნთქვაში?
მინდვრის ბალახები იხსენებენ რამდენი ფრინველის ნამიან ფიქრს ძილის წინ,
სიბნელის ჩუმ ზრდამდე, და მათი ღიმილი ფერს იცვლის, ხდება უხილავი,
გამოიმუშავებს ერთობის შეგრძნებას შიშის წინააღმდეგ,
მაგრამ მაინც იბრუნებს მზერას და სრულდება ყოველდღიურ მეხსიერებაში სიტყვის და სიმწვანის,

სადაც მე აღვნიშნავ შენს არსებობას იქ, სადაც შენ აღნიშნავ ჩემს არსებობას
იქ, სადაც ჩვენ აღვნიშნავთ სხვების არსებობას ერთმანეთის მეხსიერებაში,
საიდანაც უხსოვარი წლების მერე განიდევნებიან შემთხვევითი ცვლილებები და
შესაძლებლობები,
სინათლეში, რომელიც ხელიდან გისხლტება იმიტომ, რომ ის არის თვალი,
რომელიც არის შორ ლარნაკში დანახული წითელი ვარდის პოეტის ღიმილი,
რომელიც ხელიდან გისხლტება იმიტომ, რომ არ ხდება სიზმრად და სხვაგან და
ამიტომ
გისხლტება ხელიდან და არის გადახრილი სურვილების გაბმული ნიავი,
ბრმად მქროლი ახალი სახეების ურჩი ბუნებისკენ,
რომელიც ჯერ კიდევ აზუსტებს თავის თავს და მხოლოდ ასე შეიმჩნევა.
ვისი ღიმილია, რომლითაც ხედავ ნაწვიმარი სიგრილის ტანში შეჭრილ ამ მოაჯირს,
ამ საფეხურების სვლას მაღლა ან დაბლა, სულერთია,
ყოველდღიური სურათების და მოულოდნელი, ახალი ჩვევების ამ შეუძლებელ
მთლიანობას?
ეგვიპტეშიც დარბოდნენ ბავშვები,
მათი ტანი იბადებოდა გარუჯული და მერე თეთრდებოდა ერთადერთი უხილავი
ქურუმის ლოცვაში,
რომელსაც ყველა ხილული ტაძრის ხილული ქურუმი გამოავლენდა ღმერთების
თვალწინ
და უკვე ნაუწყები წესრიგის სახელით. ვისი ღიმილია,
რომელიც შენი გამომეტყველების გავლით გადაურბენს იმ შეუმჩნეველ
დისონანსებს;
რომელიც ხშირად აღინიშნება სურვილის გადახრაში ყოველი ახალი ამინდისკენ,
რომელსაც აღძრავს სხვა ვინ, თუ არა შენი თვალი?
სხვა ვინ, თუ არა ის, ვინც ხელს უშლის ამინდის სიზუსტეს და
წინასწარმეტყველებას?
მათი მზის ყოველი მანაც რომ მზე იყო, რომელშიც ამონის დიადი ქურუმი
განიბანებოდა;
სხვა ქარი მსჭვალავდა მისი იმ სიტყვების თანმიმდევრობაში გაჩენად მანძილებს,
რომლებიც ვისგან შემჩნეული ნაცვალსახელების ქროლვის სისუსტეს
უგალობდნენ?
კათხა ლუდი ბრუნავდა მათ გულში და ისინი ემსგავსებოდნენ
დამტვრეულ ხოფს, უპურო სახლს, განყვეტილ საბელს და ბევრ სხვა ასეთ
შედარებას.
მათ უყვარდათ მარილიანი ხუმრობები და იმდენი ცეკვა,
რომ შეეძლოთ ღმერთების ლუდით სავსე გულები მიეპყროთ და მათი მზერა
მოეხიბლათ.
შიშის წინააღმდეგ? რომელი ახალი შიშის დასაცავად?
რომელი სიახლის დადგენამდე და ამოძრავებამდე?
აქ კიდეც დავქროდეთ, როგორც სურვილების გაბმული ნიავი იქ,
ღმერთების თვალწინ, სხვების არსებობით შესრულებულ ერთმანეთის
მეხსიერებაში.

## 10. უსწორმასწორო ლოცვა

ის კი - ჩვენი ენა - ისევ უხმოდ უმზერს იმ ახალ ცხოვრებას,
იმ ჩვენს ჩვეულ დროში რომელიც ვერ გვცნობს ერთხელაც კი.
სადღაც, რომელიმე სინათლით აღსავსე, ხასხასა მინდორზე,
განა ჩვენც არ ვდგავართ და რამდენ ისტორიას ვუყვებით სიცოცხლეს?
მასში გავლებულ ისრებს სხვა ძალა აქვთ;
რა მნიშვნელობა აქვს, ხვდებიან თუ არა ისინი სამიზნეს,
თუ, ყველა შემთხვევაში, მასვე აგრძელებენ?
ჩვენ საიდან, გვეგონოს, მოვდივართ იმ ჩვენს ურიცხვ ხელგაშლილ სიტყვაში,
საიდანაც ერთმანეთს მალვით ვაყურადებთ
და დამახსოვრებულს ვინახავთ, ეჰ, მერამდენე ხვალინდელი დღისთვის?
ჩვენ მასში არ ვისვრით, მასში გავლით ვისვრით ამ ისრებს,
და რამდენ ისტორიას ვუყვებით სიცოცხლეს
თოვლის ან ქვიშის ზედაპირში ქრობადი ფიქრებით?,
რომლებიც, დაე, თუ ქრებიან ჩვენგან შეუმჩნევლად,
მაგრამ - ჩვენში და არსებითი, ურცხვი შეხვედრებით.
ხელს, სხვას რას, ვუშლით ამ მორიგ ერთმანეთს, რათა ვიხსენებდეთ
სხვას რას, თუ არა იმას, რაც კვლავ ახსოვთ არა "ჩვენს სულს" ან "ჩვენს კითხვებს",
არამედ - ჩვენი ყოველი ორი თვალის გადაკვეთის წერტილს,
ადგილს, რომელშიც უკვე ველარ შევალთ
ვერც იმ გახსენებით, ვერც იმ დავიწყებით
და ვერც იმ წაშლით მასში იმ დასკვნების,
რომლებიც კი არ ხსნიან, არამედ ხურავენ,
იმ მეგობრებთან შეხვედრების ფასად,
რომლებიც რამდენ ისტორიას მოუთხრობდნენ
ერთად გატარებულ თითოეულ სიცილს და ბალახებს,
თითოეულ სინითლეს ფიქრებში, ხმაში ან სახეზე.
ეს კი სხვა ხელია, სხვა ადგილი, საიდანაც, ჰაერის გამოვლით,
ცვივა მზისფერი - და ბევრიც სხვა - ძვირფასეულობა,
რასაც ჩვენი გული უფრო ადრე აღწერს,
ვიდრე - მოწყალე გვირგვინოსნის გადაწყვეტილება,
რომ, მისი ხელიდან ჩვენს გულში და ხელებამდე,
ჩვენი ენის ფსკერზე, მოძრაობს ბევრი ისტორია,
ყურადღებით მომსმენი ჩვენი ხმის, ჩვენი გაცინების:
რომ ჩვენ უკვე წაგვილეს სიზმრებმა და ამ ჩვენს სიზმრებში
ჩვენი მოცეკვავე ქალებიც ცეკვავენ;
რომ ერთი ტაშს უკრავს, მეორე მიწას კოცნის, მესამე ყვავილს აშრიალებს;
რომ უკვე მერამდენე მგზავრს ეგებებიან, ხსოვნაში დაკარგულს?
ახლა კი, ამდენი სიზმრის მერე, როგორ სათუთად ჩანს:
ისინი ქვებს და თიხას ფორმებს ანიჭებდნენ,
დროში გადავადებისგან იცავდნენ უილბლო, სევდიან შეხებებს,
ისინი სხვა ცეცხლის შემნახველი სატრფოები იყვნენ.

ახლა კი, ამდენი დროის მერე, და, იქნებ, ამ დრომდეც,
ჩვენ ვაკაკუნებთ შენს სახელში ყველა ჩვენი დროით
და ყველა ჩვენი დროის ყველა "ანგელოზით"
იმდენად ბევრია მათი რიცხვი და მათი სახელი,
რომ მათი ცოდნა შენყდა შენს სახელში ჩვენი ხელის შეხებამდე,
ამ შეხების, სულაც, დანყებამდე.
განა რას ვაფარებთ მათ გრილ ფრთებს? მათ ფრენას?
განა რომელ ფიქრებს, ხსოვნებს და დაცემებს?
"ანგელოზი", რა თქმა უნდა, ურიცხვია "ცაშიც" და "ზეცაშიც",
მაგრამ როცა შენს იმ ერთ სახელში ვაკაკუნებთ,
მათ - ყველას ერთად - აქვთ ერთი ფრთა, არიან ერთი ფრთით,
რომელიც მგზავრია არც არსებული და არც არარსებული,
რომელიც, თქვი, როგორ გამოითქვას?:
როგორც "მარადისობა არ დაიყვანება დასანყის-დასასრულში უსასრულობამდე"?
როგორც "სიკეთე არ დაიყვანება კარგი საქმეების ურიცხვ კეთებამდე"?
როგორც "შაქარი არ ნიშნავს სიტკბოს და მცხუნვარება ცეცხლს"?
ეს ჩვენთვის შორია, - რაც ჩვენ დროში გვქვია,
რათა ნუ ვკარგავდეთ ერთმანეთს არა, რა თქმა უნდა, იმ სიღარიბეში,
რომელიც არ იცნობს არც დროს, არც სახელებს
და არის ცარიელი, როგორც შენი ხელი,
რომელიც ჩვენს კარზე აკაკუნებს ჩვენთვის უცნობ,
ჩვენი სუნთქვისთვის კარგად ნაცნობ სიცარიელეში,
არამედ - იქ, სადაც შენი ხელიდან, ჰაერის გავლით,
ცვივა მზისფერი - და ბევრიც სხვა - ძვირფასეულობა
და კვლავაც ბევრია ისტორია, ყურადღებით მომსმენი ჩვენი ხმის.

## 11. როცა მდინარე ადონისი წითლად იღებება

"ჩემო თვალო, შენ აქ შეიძლება შეიყვარო ორი-სამი სიტყვა, რომლებიც სულ მალე არიან უსასრულოდ წარმავალი ნინადადებები წიგნის გვერდებიდან ორი-სამი ხანგრძლივი სიტყვისკენ, რომლებიც არავის ითხოვენ შენზე მეტს, ნაკითხვაში ჩაძირული შენი მცხუნვარე ღიმილის მეტს იმ უჩვეულო მკითხველის სახეზე, ვინც იქნებ შენც იყო უმიზეზო ფიქრებს მიცემული ხელისჩაქნევით და შებრუნებით ნაკითხვაში ჩაძირული შენივე თვალისკენ, ამ თვალის შორი სიტყვებისკენ, სიტყვებში დაძრული შენი ხაზგასმებით ოდინდელი სხვების (ვინ იცის) რამდენი ხაზგასმის ასამოძრავებლად

შენ აქ შეიძლება შეიყვარო ორი-სამი სიტყვა, რომელიც თავის თავს შეუყვა ნამიან სიზმარში წიგნისა, რომლის გვერდებიდან შენი ულრუბლო ხსოვნისკენ მიმავალ შებრუნებებს არც ფრთა აქვთ, არც - ბგერა, წყლის და ჰაერის საძიებლად, არც ვინმეს ითხოვენ შენზე მეტს ამდენ ამინდსა თუ უამინდობაში შენთან შეხების გზებს ბრმად შეყოლილები უხსოვარი, შორი გვერდებისკენ, სადაც შენი მცხუნვარე ღიმილი იძირება ხსოვნაში ორი-სამი უღრუბლო სიტყვისა, ამდენი უხსოვარი გვერდის წვაში შენივე თვალის ნაკითხვისთვის საჭირო ჩვევისა, რაც სულ მალე არის გადა-

ადგილებების მოძრავი ერთობა ბევრ უხსოვარ წიგნში ბევრი ხაზგასმის წასაშლელად მიერ იმის, ვინც იქნებ შენც იყო იმ წინადადებების მიგნების მცდელობით, რომლებიც იხსენებენ ორ ან სამ იმ სიტყვას, რომლებიც შენია

შენ აქ შეიძლება დაკარგო ნაკითხული წინადადებების ხსოვნაში შენახული ორი-სამი სიტყვა შეხებების სავალს შეყოლილი მცხუნვარე ღიმილით, იმ სამოთხის ხსოვნიდან გაღწევის ხაზგასმული და ძვირი მცდელობით, რომელიც არავის მოითხოვს შენზე მეტს არაერთი წიგნის ულრუბლო ხსოვნაში ორ-სამ სიტყვად შენი ამ ყოფნის და წინადადებებს მოკლებული შენი ოცნებისა

აი, შენი თვალიც, შენახული ორ ან სამ სიტყვაში,
მათ ფიქრში შენს ფრთაზე, შენს ჰაერზე,
როცა მდინარე ადონისი წითლად იღებება"

## 12. ადგილის აღსანიშნად

- იქნებ, ასე ვემთხვევი კიდეც იმ ჩემს გრამატიკას,
სადაც მერე, ვფიქრობ, მახსოვს აღარც, თუ რას ვყვებოდი დანვრილებით,
სახეზე ხაზგასმული სიტყვებით და ჩემთვის -
ლექსისთვის, რომელიც იყო არც იქ, სადაც იგი უჩემოდ ხდებოდა
და არც იქ, სადაც იგი ისმენდა უჩემოდ
იმას, რასაც მისი სახით და მისადვე ვყვებოდი "ყველას" გასაგონად
და - იქ, სადაც მისი ნაფიქრის სიჩუმეს, მისი ძილის ნიავს შეხიზნული,
ვფურცლავ უხეშ წიგნებს,
თვალის კუთხით ვეხები შესამჩნევი ხეების იმ შრიალს,
ჩემი შეცდომების მიმართულებით და გამართული წინადადებების წაშლისკენ
ვისი უხილავი ქროლვაც
ქმნის მორიგ ხაზგასმას და მორიგ დაწყებას ამინდის, ბუნების,
როგორც იქ არშესვლას, სადაც თვალს და ხელს შორის გვიქრება თითოეული
შემხვედრი, ცელადი,
და რასაც ყოველდღიური, ირიბი ეს სვლები უწოდებენ, მაგალითად, "ქვას",
"ბალახს", "ძალიანს", "სილამაზეს",
ბევრ ასეთ არჩევანს, წესრიგში ბევრ ასეთ ჩატოვებას საკუთარი თავის და
სხვების,
ვისაც მე ვყვები "ყველას" და იმის მოსასმენად,
ვისაც კვლავ ის ჰქვია, ვინც სახლ-კარს საშიში მდინარის პირას კრავს,
იწყებს იქ ცხოვრებას, რაღაცის ხაზგასმას,
რაც, იქნებ, იყოს სიღარიბეც, იმ მოთხოვნილებების მიმართულებით
გადანაცვლებადი,
რომლებსაც ჩემით და ჩემსკენვე ვაკლივარ თითოეულ ამ გაშლილ, გულთბილ
ხელისგულზე;
სად არ დაეძებენ მისი - ჩემი თხრობის - ურიგო წინადადებები
ამა თუ იმ შეხებაში დაკარგულ ფრაგმენტებს,
ამა თუ იმ მოძრაობის სიჭარბეში ჩამქრალ ოცნებებს და სიზმრებს,
ამა თუ იმ გულისცემის გათანაბრებაში ჩაშლილ კორომებს და მოულოდნელ
მინდვრებს,

სავსეს პატარა ძველი ღვთაებებით,
ცოცხალი ხისგან ნაჩორკნი მათი ბუტბუტით და სუნთქვით;
რითაც მას შეეხნენ: სიტყვებით თუ ბგერით თუ სხეულით, -
არასრულ წესრიგში ბევრ ასეთ ნაღვლიან ჩატოვებას,
ენის ბევრ ასეთ არამღვრევას, გულის დიდ წესრიგში არშესვლას, სიკვდილს,
სადაც სიტყვა, რომლითაც აღინიშნება სიტყვა, რომელსაც ვიყენებ, ვთქვათ, ამ აზ-
რის შესასრულებლად, სხვა სიტყვაა არა იმ აზრით, რომ მოცემულ აზრს
არ გამოთქვამს, არამედ - იმ აზრით, რომ მისით, გამოსახულით ახლა და
ამ გვერდზე, აღინიშნება მისი მოძრაობა იმ სიტყვისკენ, რომელიც მისით
აღინიშნება და რომელიც მისკენ იმ აზრის შესასრულებლად ისწრაფის,
რომელიც ქრება და ინთება, ქრება და ინთება,
და სადაც, დაე, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოისახებიან წინადადებები,
როგორც ცხენები მდინარეში,
როგორც წარმოუდგენელი მათი ანარეკლი,
ერთ უხილავ ფიქრად შენახული,
დარჩენილი მდინარის შრიალში.

# ცბის სანაპიროს სიმღერები
## 2001 2004

# პირველი ნაწილი

**ტბის სანაპიროს მიდამოებში თვალს ვადევნებ მშვიდად მოსეირნე ხანდაზმულ ადამიანებს და ვფიქრობ დედაჩემზე, რომელიც ახლა აქედან შორს არის**

შენ ხარ ქარის გამონაგონი
ჩემს ფიქრში, სადაც არ არსებობს
ცარიელი ადგილი შენი ოცნებებისთვის,
რომლებიც ფრთხილი ჩიტებივით
სხედან გამქრალი ამდენი სახის ამდენ ნორჩ ტოტზე
და არ იციან, როდის გაქრება
ის, რაც უკვე გაქრა მრავალგზის და არც ოდესმე გამოუჩნდებათ,
და მათი ფრენა არის არცოდნა გამქრალის ხსოვნის,
სადაც მე და შენ, როგორც თბილ ძაფს, ვართავთ ერთმანეთს
და ერთმანეთის გასაგონად ილიმიან "სად ვართ" და "ვინ ვართ"
რომელ შენს ფრთაში? რომელ ჩემს ფიქრში?

## ტბის სანაპიროდან შინ ვბრუნდები და ჩემთვის ვეკამათები გამველელ-ის სიტყვებს

ამ ქუჩის იქით მიმდინარეობენ სხვა ქუჩები
და მათ იქითაც მიმდინარეობენ სხვა ქუჩები მოღრუბლული გალერეების,
წუნდებულების სენტიმენტალიზმით, რომლის ნარჩენები
ასე ფრიად ულირს სახელმწიფოს, რომელიც თითქოს არსად არის
და თვალს გვიკრავს ყოველ მოსახვევში, როგორც ონავარი ბავშვი,
რომელიც თითქოს არსად არის ცელქი ღიმილით, რაღაც ისეთით,
რამაც უკვე ულვთოდ გაიმარჯვა
და მიამიტი ხტუნვა-ხტუნვით განაგრძობს ამ საქმეს
წინაშე კაცთა მეცნიერთა და ზეპურთა დედათა, ქუჩებში,
რომლებიც მიმდინარეობენ სამოთხის კართან უარყოფილი სულებივით;
სახლებში, რომლებიც ჰაეროვანი გაქროლება არიან სიცრუის,
ქვიშაზე ნაგების მკვიდრად, უსასრულოდ;
ბაღებში, რომლებიც შენივთებული ფიქრებია სულელთა და ბრიყვთა, -
დაე, იწარმოებოდნენ ისინი ყოველგან,
სადაც სათნოების აზრი აპრიორულია ნებისმიერ ბრუნვაში და ღმერთშიც;
დაე, ასე სწვდებოდნენ ერთურთის სიკვდილს და სიმუნჯეს
ღატაკთა სულები გარდასულ და გარდმოსულ დროთა, ცხადია, ქუჩებში
და გაჩერებებზე მისაბლული ადამიანების მიმდებარე ტერიტორიებზე
დაცულ ისტორიულ ძეგლებში, სახელდებულებში რატომღაც ტაძრებად,
სახლებად უფლისა, რომლის ჩრდილშიც გადაყრილან
მშრომელები ამაყი წესრიგის,
დაკანონებულის დიად კაცთა მიერ ხან ასე, ხან ისე.
და მათ ეს შეძლეს, ჩემო სიყვარულო:
რომ ყოველი გრძნობა და ნაყოფი,
მომხიბლავი შემხვედრი ყოველი,
იყოს ხაფანგი და არა უმეტესი,
სადიდებლად მათი ამ წესრიგის, აწონილის ხან ასე, ხან ისე;
რომ ყოველი კოცნა ან შეხება გარდაიქმნებოდეს ფულად და მოგებად,
საწარმოო ურთიერთობების ფუნქციად, აგურად,
რათა, რა თქმა უნდა, სადმე და ოდესმე...
აი, რატომ ტირის ყველა სიტყვა, წარმოთქმული
მიერ ჩემი ხორცის, გაჩენიდან როდემდე, ძვირფასო?
აუწყობელი სათაური როგორც და მე როგორც,
"მე" როგორც, ჩვენს ფიქრში და ყველას ფიქრში როგორც.
მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენ იმის ხელშიც,
ვისაც ფრიად ულირს ესთეტიკა დანისლული გალერეების და
იქ გამქრალ ბაგეთა,
გაუჩინარებული სუნთქვის და სიურჩის,
რომლითაც მერე, აი, ასე დაქსელილია
რამდენი მინდორი ამ ქუჩებით,
ვერშეხებით ფეხისა მიწასთან ვერსად, ვერც სიზმრებში,

ვერც ურთიერთობების ღიმილში ან ცაში,
რომელიც ჩვენივე შიშებმა ჩამოხსნეს,
იქნებ სულაც არაფრის გამო,
ჩვენშივე ჩაკარგულ ხმოვანთა და თანხმოვანთა გამო,
და ცუდ სათაურთა გამო იმ შიშებმა,
რომლებიც სად არ დაგვეძებენ აღნიშნულებს ბევრგან და ბევრგან;
რომლებიც, დაე, იწარმოებოდნენ
ერთმანეთში გარდასულ სიტყვათა წაშლილ ბილიკებზე,
უსინათლო ბავშვების ფიქრებში,
კედლებს შეტოვებულ ფერად ასოებში, წაუკითხავში ხელთა მიერ,
რომლებმაც ისინი გამოსახეს იქნებ სულაც არაფრის გამო,
რაც შეიძლება ულირს კიდეც თავის ბნელ სოროში
იმას, სახელმწიფოს, მოთამაშეს ფერადი ბურთებით,
ჩვენი შთაგონებით. შენ კი ამბობ, რომ ის ტირის არაფრის გამო.

სალამოსპირია და გავცქერი ველოსიპედებზე ამხედრებულ სტუდენტებს, რომლებიც, ტბის სანაპიროს გავლით, სხვადასხვა მიმართულებით მიქრიან

მითხარი, რა არის შენი ბიზნესი:
კაფეში სხდომა, ლუდი და სიცილი?
წიგნების კითხვა უსასრულოდ?
დროებითი დამახსოვრებები დაკვეთით,
როგორც ეს ინფორმაციის მიმღებ და გამტარ
ამა თუ იმ დეტალს შეუძლია?
წვიმაში ხშირად სიარული?
მეგობრები, დგომა ღამის მანეკენების პირისპირ,
ოცნება ცუდ დროზე,
რომელიც ყველა შენს წარუმატებლობას წყალს მისცემს?
იქნებ, სულაც დროშების ფრიალი?
ქალაქში გზააბნეული ნიავი რამდენი,
შემთხვევით შემხვედრი
სახიფათო მოსახვევებში და კედლებთან,
სადაც უსულო საგნებივით მიყუდებული არსებები
სიფხიზლეს ებრძვიან?
ან, იქნებ, ოთახში ბოლთისცემა,
ხელზე მძიმედ შეხება შუბლის?
მართალია, მე შენ ვერ გეტყვი, ვინ ხარ
ან ხვალ-ზეგ ვინ იქნები,
მაგრამ გეტყვი, ვთქვათ, რა არის ჩემი ბიზნესი
ამ უანგარო მზის ქვეშ ან თუნდაც
ხელ-პირს როცა ვიბან, ვიხდი ფეხსაცმელს
ან ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ვიკმაყოფილებ
ან, სულაც, ბედს ვცდი ათას ისეთ სისულელეში,
მადიდებელთა წმინდა რიცხვს რომ უჩემოდაც არ მოისაკლისებს,
ან, ვთქვათ, ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება,
წარმოვიდგენ არა სიზმრად ან მოჩვენებად,
მხოლოდ გაგრძელებად იმ სიზმრის,
რომელსაც არ ვიცი როდის ვნახავ.
რა შეიძლება იყოს ჩვენი საერთო ბიზნესი?
რაში შეიძლება ჩავდოთ ფული,
რომელსაც უკვე რახანია აღარ ვჭირდებით ეს ადამიანები,
არც, რა თქმა უნდა, ცოცხლები და
არც, რა თქმა უნდა, მკვდრები?
რაში შეიძლება ჩავდოთ ეს თვალები,
რომლებიც უკვე წართმეული გვაქვს
ან გული, რომელიც თავზესაყრელად გვაქვს?
რაში შეიძლება ჩავდოთ ერთმანეთი,
თუნდაც სხვა სახით, სხვა ხმით,

მაგრამ ისე, რომ ვიცნოთ?
მაგრამ როგორც მე ხშირად ვფიქრობ
(რაც, ცხადია, ჩემი ბიზნესია),
ჩვენ უკვე დიდი ხანია დავკარგეთ ის,
ვინც იცოდა ესეც და ბევრი რამ ისეთიც,
რაც ბიზნესი არაა,
რაც ფერად-ფერადი ჩიტებია,
რომლებსაც ხატავდნენ ეტრუსკები და სხვებიც;
რაც კარგი ლუდია,
რომელსაც სვამდნენ ეგვიპტის ღმერთები და სხვებიც;
რაც, თუნდაც, ჩვენ ვართ ერთმანეთში,
რომლებიც არ გვახსოვს.

## თვალს ვადევნებ ტბის ზედაპირზე იხვების დაშვებას და მახსენდება დაუვიწყარი ჩემი მეგობარი, რომელმაც ერთ დროს თავი ჩამოიხრჩო

შორი გაქცევები ტირილიდან სიცილში
სიცილიდან მეგობრის წიგნივით გადაშლილ ბალახში თუ ხავსში
საიდანაც მოუგვარებელ საქმეებში
საიდანაც მაცქერალი სულ სხვა გაქცევები სულ სხვაგან
სხვა მიზნით და სხვადასხვა გზით ოდესღაც შენში თავმოყრილი სულ სხვა
გაქცევების პირისპირ და თვალწინ
მალე თავმოყრილნი ერთმანეთის შორ გაქცევებში ტირილიდან სიცილში თუ ხავსში
საიდანაც მაცქერალი ფრაგმენტები რამდენი შენი სახის რამდენი შეხების
სიცილთან და ტირილთან სხვების
შენში გავლით გადარჩენილების საიდან და საით
მოუგვარებელი მათი სურვილებით მოწესრიგებული სულ სხვა სურვილები სულ
სხვაგან და სხვათა
მაცქერალთა ოდესღაც თუ ოდესმე შენში
შენი საქმეების შორ გაქცევებში მოუგვარებელ სულ სხვა საქმეებში
მალე აღნიშნულში ფრაგმენტებად ნაგროვებ სიცილთა შორ ხავსში
შეკრულში სხვადასხვა გზით დევნილ გაქცევათა მაცქერალ სულ სხვა გაქცევებში
მიტოვებულებში მიერ გაქცეულთა ოდესღაც შენში და თავმოყრილებში შენშივე
შენგანვე მაცქერალ სულ სხვა გაქცევათა თვალწინ
მეყვსეულად მოუგვარებელი სულ სხვა საქმეების ნაშლათა თანხლებით
გადაშლილ ბალახში თუ ხავსში
საიდანაც შენშივე
სულ სხვა გაქცევების კვლავ გასახსენებლად შენივე შორი გაქცევების თვალწინ
და თავმოყრით
ფრაგმენტების ნაჩქარევი ნაშლით ბალახებად
ხავსად ან სიცილად რამდენ ამ სახეში
ხილულში
სულაც უხილავში რამდენი ცრემლიდან ტირილის თუ სიცილის
სულ სხვა გზით ჩქარი ხელით
საიდანაც მაცქერალი სულ სხვა სურვილები
მოუწესრიგებელ სურვილებთან შეხებით დევნილნი სულ სხვა სურვილებში
ფრაგმენტებად თავმოყრილ სიცილთა შეხებად ხავსთან ან ბალახთან
ვარგისთან საკვებად და სიტყვად და გაქცევად სულ სხვა გაქცევებში
სულ სხვა ცრემლების და გაქცევების თვალწინ
ნაშაშლელად სულ სხვა შეხებების კვალის და ბალახის
ნასიზმრალის შორ გაქცევებად მოუწესრიგებელ სურვილებში მოწესრიგებული
სურვილების თვალწინ და ჩქარი ხელის სხვა გზებით
ქცეულით შორი გაქცევების სიტყვებად ცრემლიანი სიცილის თუ ტირილის
თვალწინ
ფრაგმენტებში ნაჩქარევი ნაშლისა გაქცევის მაცქერალ სულ სხვა გაქცევათა
გაქცეულთა შორი გაქცევებით სულ სხვა გაქცევებში
გადაშლილში შეხებებად ხილულ ან უხილავ სიცილში

სულ სხვა გაქცევათა უხილავ ტირილში ხავსისა
უხილავ ტირილში ცრემლისა
შორ
უხილავ ცრემლში ჩქარი სვლისა
უკვე აღარ აღნიშნულისა ხელით
გადაშლილით არსაით და არსად

## განწვიმდა და ქოლგიანი ადამიანები, თალხი დღის შუაგულში, ტბის სანაპიროს გავლით, თავ-თავიანთ გზებს მიუყვებიან

*ოუც თარიპმენს*

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები დახატულია სხვათა მიერ არა კედლებზე და ტილოებზე, არამედ ცაში.

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიების დამხატველთა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები დახატულია ჩვენს მიერ წყლით და ცეცხლით.

ჩვენთვის უცნობ ამ მხატვართა ბედის შესახებ მოგვითხრობენ ჩვენს მიერ ბევრგან დახატული ისტორიები, გაბნეულები ცაში, გაბნეულები უწყლოდ და უცეცხლოდ.

ჩვენთვის უცნობი ეს მხატვრები კითხულობენ ჩვენს ბედს ძველ, გახუნებულ ისტორიებში, რომლებსაც ისინი აბინავებენ ვიწრო დერეფნებში და აგურით ნაგებ ოთახებში, ცასთან ახლოს.

სხვათა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები, გასაყიდად გამოფენილი სულ სხვათა მიერ, დახატულია, ჩვენდა გასაკვირად, სულ სხვათა მიერ და უკვე წაკითხულია ჩვენს მიერ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენ ვიხსენებთ სულ სხვა დროს და სხვაგან შესრულებულ ჩვენს წაკითხვებს და ვხედავთ ჩვენივე ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომლებსაც სხვები ხატავენ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები თვალს ადევნებენ მხატვრებს, რომლებმაც ისინი დახატეს წყლით და ცეცხლით ცაში.

ეს მხატვრები ჩვენ არ ვართ.

ეს მხატვრები ჩვენ ვართ.

ჩვენ ვხატავთ სხვათა მიერ დახატულ ჩვენს ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომელთა ბედი უცნობია ჩვენთვის უცნობი მხატვრებისთვის, რომელთა ნახატებს ვაბინავებთ ძველ, გახუნებულ ისტორიებში, ცასთან ახლოს.

ისტორიები, რომლებიც ჩვენთვის უცნობ მხატვართა ბედის შესახებ მოგვითხრობენ, გაბნეულია ვიწრო დერეფნებში და აგურით ნაგებ ოთახებში, რომლებიც უკვე აღარ არსებობენ.

მხატვრები, რომლებიც აღარ არსებობენ, ხატავენ ჩვენს ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომლებიც აღარ არსებობენ და სულ სხვა მხატვრებს, რომლებიც ასევე აღარ არსებობენ, მოუთხრობენ ჩვენი ბედის შესახებ, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ რომელსაც იხსენებენ სულ სხვა მხატვრები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ.

ჩვენ ვხატავთ ცაში უწყლოდ და უცეცხლოდ გაბნეულ მხატვართა უცნობ ისტორიებს, რომლებიც მოგვითხრობენ სულ სხვა მხატვართა მიერ მოთხრობილ სულ სხვა მხატვართა ისტორიებს, რომელთა გახუნებულ გვერდებზე უკვე აღარ იკითხება ჩვენი ბედი, რომელსაც სულ სხვა მხატვართა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები შეიცავენ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენს მიერ ბევრგან დახატული ისტორიები იკითხება წყლით და ცეცხლით ცაში.

ჩვენს მიერ დახატული უხილავი ისტორიები, დახატული ჩვენთვის უცნობ მხატვართა მიერ და გასაყიდად გამოფენილი სულ სხვა ხალხის მიერ, მოგვითხრობენ

ვიწრო დერეფანთა და აგურით ნაგებ ოთახთა შესახებ, სადაც ახლა სხვები ცხოვრობენ.

უკვე გამქრალ ამ ისტორიებს კითხულობენ მხატვრები და პოეტები უშუალოდ ცაში.

ეს პოეტები და მხატვრები ჩვენ არ ვართ.

ეს პოეტები და მხატვრები ჩვენ ვართ.

## წუხელ ნანახი ცუდი სიზმრის გამო დარდს ვიქარვებ და რომ ვერც ვიქარვებ, დილით, ტბის სანაპიროსთან

თუ ისინი იტყვიან, რომ
აქვთ უცნაური სახელწოდებების მთელი ნუსხა, მაშინ
ჩვენ რა წყალში ჩავვარდეთ?, ალალ
მათი ურჩხულები, აქეთკენ
დევნილი ალალ საშიშები გუშინაც,
მაშინაც, რა
ბრძანებაა, კვლავ
თუ გვეამება, ნუ
იქმთ თქვენ ამას,
ბატონო, აგრეთვე
მშვენიერი ქალი საუცხოოდ ჩნდებოდეს ნიაღვრიდან იქვე, დარბაზებში
ნაშენებ სიტყვათა, ყვავილოვან
კორდებს როს დავცქერდი, მომსმენელი
გალობისა: "უტე
მოკუტეს უტე მოკუტეს", სადაც
ერთი საუკუნე, როგორც
წვეთი ზღვაში, რომელიც
როგორც წვეთი რომელიმე უფრო ზღვაში, რომელიც
რარიგ წვეთი ვისი ფიქრისა, ქარო
მობიბინევ, ვისი
ფეხის ხმისა მხარეში ვარდების, ომი
დამთავრდაო, ერთმანეთის
ყურში ჩურჩულებდნენ სადაც გასაგებად, რათა
ერთურთისთვის შეესხათ ბევრი, ეამებინათ
რაღათა, და
ინებეთ კეთილი, ყური
თქვენიც ათხოვეთ იმათვე,
ბატონო, გადამფრენი
ფრინველების ჩრდილებს როს დასცქერდით კორდზე მამულისა, არამც
უკადრისი ქცევის მონაბერში, თუ
ისინი შეკრავენ ირაოს იმათ წინააღმდეგ მათგანვე, მაშინ
ჩვენ სად ჩავვარდეთ?, როცა
მათი უარის ბრმა ტყვია ტკბილ ბავშვებს უჭირავთ კბილებით, გაფრენილი
წეროების მოსაგონებლად და თუნდაც, ხოლო
იქ რას ბრძანებთ, აგრეთვე
ნუ წარვწყმდები, აგრეთვე
ნაღებულან შემსხმელები და შესხმულები ხოტბის, თუ
ეს გეამებათ, ამოზრდილი
ნაზი შემოდგომის უნაზესი ნიაღვრიდან ნაზად, ოპ,
კარდაკარ, ცისკენ
შეტყორცნილი ბუშტები მათი სულის აგრეთვე, ან

არა და ბუშტები შარდისა, დაირაზე
დამღერებულისა, ისტორიულ
ნარწყევთა თანხლებით, დამთავრდა
და რომელს რამდენი გვეკუთვნისო თანაც, პოტენციის
კართან მიჯაჭვული ბევრი ამირანის თანხლებით, ჰანგებით
ჩუმი გალობისა: "უტე
მოტყნან ერთურთი კვალადვე", აგრემც
გეამებათ პატივი ერთურთის, რარიგი
რიდით და პატივით ცხებული ერთმანეთის შუბლზე ოდინდელი, ერთიც
ენახოთ ხშირ-ხშირად გამხმარი რამდენი პატივის მომდევნო,ოჰ,
მომდევნო დადებად და ფენად, თქვენ
ასე განსაჯეთ, გეამებათ
რაკი, ყური
თქვენი ათხოვეთ მათ სირცხვილს, თუ
ისინი დახტიან მეტადრე სკუპ-სკუპით რბილობში მათი ფაშვის, რაკი
კეთილთან ერთადვე ინებეს მათ თურმე ამისი გაგონებაც, და
ეგეც ალალ მათი, ეგეც
მშვენიერი, მერამდენე
შესხმა ერთმანეთის ყურში და ყოვლის უნინარეს, ნარნარ
და ტანკენარ ეგეც, საუცხოოდ
ჩნდებოდეს, განათუ
ნემსები ფიჩეინა ყურთბალიში მანდვე

**სწრაფად მოძრავი ღრუბლები ტბას მზის სხივებს ხან უმალავენ, ხან მცირე ხნით გამოუჩენენ, რაც ჩემში აღძრავს მეტად მარტივ ფიქრს, თუ რატომ უჩნდებათ ადამიანებს სხვათა მიერ ბევრჯერ თქმულის გამეორების სურვილი**

ყველაფერი ცოცხალია
ცოცხალია თოვლი რომელიც წყლად იქცევა და კვდება
ცოცხალია წყალი რომელიც მიწაში ჩადის ან ისევ ცაში ადის და კვდება
ცოცხლები არიან ადამიანები რომლებიც კვდებიან იხრწნებიან და იქცევიან მიწად
ცოცხალია მიწა რომელიც კვდება სახლებად ხიდებად გზებად თავშესაფრებად
ცოცხლები არიან მკვდრები რომლებიც აღარ არიან ცოცხლები
ცოცხალია ყველა მსხვერპლი ყველა ნადირი ყველა სიტყვა
ცოცხალია თესლი რომელიც აღმოცენდება ხორბლის სახით და ხორბალი
რომელიც მოგვეცემა პურის სახით ადამიანებს რომლებიც ცოცხლები
ვართ ჩვენი სახით
სიკვდილი დაწყევლილია სიცოცხლით
ცოცხალია დანა რომლითაც პურს ვჭრით
ცოცხალია ჟანგი რომელიც დანას ჭამს
ცოცხალია შეჭმული დანაც
ცოცხალია ღალატი ერთგულება გმირობა ლაჩრობა სიკვდილი პროცესია
ცოცხალთა და მკვდართა
ცოცხალია ფული ფასიანი ქაღალდები წყალში გადაყრილი მონეტები და ამ
წყალთან დაბრუნებაზე ოცნება
ცოცხალია ყველა წაუკითხავი წიგნი გადაშლილი სიტყვა ჩამქრალი გრძნობები
ცოცხალია სიყვარული რომელიც სიძულვილის მეორე მხარეა
ცოცხალია მზის ენერგია გარდაქმნილი სულ სხვა ენერგიად ჩვენს გულებში კანში
საუბრებში
ცოცხალია ჯანმრთელობა როცა ის ქრება ათასი მიზეზით და ათასჯერ ათასი
მიზნით

სიკვდილი დაწყევლილია სიცოცხლით
ცოცხალია სიძულვილიც რომელიც სიყვარულის მეორე მხარეა
ცოცხალია ისტორია რომელიც ცოცხალია
ცოცხალია დავიწყება და წაშლა ღარიბების მათხოვრების შეშლილების მკვდრების
ცოცხალია აბსტრაქტული ადამიანების აბსტრაქტული სიგიჟე
ცოცხალია მუსიკა სიგიჟის
ცოცხალია თევზი რომელიც შეიჭამა ღვინო რომელიც დაილია
ცოცხალია ქრისტე
ცოცხალია იუდა ისკარიოტელი ლაზარე ლაო ძი ტოლსტოი ილია ჭავჭავაძე ბუდა
სიკვდილი დაწყევლილია სიცოცხლით
ცოცხალია რაც წმინდაა
ცოცხალია რაც წმინდა აღარაა
ცოცხალია რაც უკვე გაქრა რასაც ველარ ენახავთ სიცოცხლეში რაც დაიკარგა
რაც ჩაიძირა რაც ჰაერში ტრიალებს რაც ფილტვებში ილექება
ცოცხალია ცეცხლი რომელიც ჩაინაცრა ნაცარი რომელიც გადაყრილ იქნა ხელით

რომელიც ცოცხალია მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა ის ვისიც ეს ხელია
ცოცხალია სიცილი რომელსაც სიცარიელე შთანთქავს ან გამოიმუშავებს
რომელიც მოულოდნელად ქრება ბაგიდან და აჩენს სახეზე ბრმა უძირო ნაპრალს
ცოცხალია ეს ნაპრალიც
ცოცხალია ბაგიდან გამქრალი სიცილიც
ცოცხლები არიან მკვდრები რომლებიც აღარ ცოცხლდებიან
ცოცხალია ყველა სიზმარი რომელსაც მკვდრების სულები ხედავენ
ცოცხალია ყველა მკვდარი სულიც
სიკვდილი დანყევლილია სიცოცხლით
ცოცხალია მკვდარი ეკონომიკა მკვდარი ხალხი მკვდარი სიხარული მკვდარი ქცევებით მკვდარი აღტაცებაც ცოცხალი ადამიანების
ცოცხალია ჩვენში ხსოვნა უდროოდ ნასულების
ცოცხალია რომ დროულად ნასულები არ არსებობენ
ცოცხალია გარდაცვლილის საწოლი სიცივე ძველი მოგზაური ნივთები ცოცხლები არიან ტურისტები
ცოცხალია თალესი რომელიც ორმოში ვარდება ბეკონი რომელიც ქათამს ყინულით ტენის ცივდება და კვდება სპინოზა რომელიც ლინზებს ამზადებს და ყიდის რათა პური იყიდოს და წეროს
ცოცხლები არიან დაკონსერვებული თევზები
ცოცხალია ცაში ნასული მათი სული, გახსნილი და გადაყრილი კონსერვის ქილების სიცარიელის მაცქერალი ზემოდან, მაღლიდან
ცოცხალია ქვადქცეული ყველა გმირი გენიოსი ერის მამა ერის დედა ერის შვილი და ა. შ.
ცოცხალია ჰარმონია სიკვდილის სიცოცხლის შემოდგომის ტყეების ზამთრის ტყეების ყინვის ერთმანეთთან სასქესო ორგანოების შეხების
ცოცხალია ესთეტიკა გრძნობების სიჩლუნგის გემოვნების დაკნინების ყველა დონეზე დაცემის და კვდომის
სიკვდილი დანყევლილია სიცოცხლით
ცოცხალია შთაგონების არქონა შთაგონების ქონაც მწვერვალებზე დარჭობილი გამარჯვების დროშების სიბრიყვეც
ცოცხალია ხილი და ბოსტნეული კენკრა პოეტური კრებულები ძველი და ახალი ენები საგიჟეთები და უმაღლესი სასწავლებლები
ცოცხალია კვალი რომელსაც ჩიტი ცაში ტოვებს ავტობუსების მიმოსვლა გაზის და ბენზინის არასრული წვა ნებისმიერი სხვა სანვავის არასრული წვაც
ცოცხალია მწვანე ხასხასა ბალახი ველად და დაძაბული კურდღლები ველად
ცოცხალია ნისლი ქარბუქი წყალდიდობები პითაგორას სული
ცოცხალია პოლიტიკა სიცრუე უბრალო ხალხის წვალება და კომფორტი მათი თავისუფალი დრო მათი სახლები ფულით ძლიერების ზრუნვა მათზე მათ ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე
ცოცხალია ტუალეტებში ჩარეცხილი გამონაყოფი ეს წყალიც ეს ტუალეტებიც ეს მცხრალი სინათლეც
ცოცხლები არიან ჰოლდერლინი ეზრა პაუნდი სელინის ბავშვობა კნუტ ჰამსუნის დედა

ცოცხლები არიან მოკლულები მკვლელები სანგრებში მსხდომარენი
საპყრობილეებში მსხდომარენი საპყრობილის კედლებს შეყინულები
ცოცხალია დამცირება ფუსფუსი დავიწყება ხსოვნა სიცრუის ან სიმართლის
სათქმელად გაღებული პირი რაღაცის მტკიცება სერიოზულად გამეტებით
სიკვდილი არ არსებობს
სიკვდილი არ არსებობს
სიკვდილი დანწყევლილია სიცოცხლით

## ტბაზე უკვე გამოჩნდნენ აფრიანი ნავები, რომლებსაც ხელს ვუქნევ და ჩემთვის ვესალმები

რა თქმა უნდა, ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისგან
ამ ცარიელ დარბაზებშიც, ცარიელი დარბაზების ამ სიგრილეშიც,
რაც ნიშნავს მეტად ან ნაკლებად გრილ რომელიმე სხვა ოთახში გასვლას, -
განსხვავებას ჩვენს ფიქრებზე დამიზნებული ერთმანეთის ფიქრებისგან,
რომლებიც, როგორც სასიცოცხლო ენერგიას, იკრებენ ერთმანეთს
და გზას განაგრძობენ შორეული მომავლისკენ,
რომელიც გზას განაგრძობს წარსულისკენ:
ბევრ უხერხემლო ან ხერხემლიან ადამიანთან ბევრი შემთხვევითი შეხებისკენ,
რომლებიც არ ვიცით. რა თქმა უნდა,
ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისგან
ამ ცარიელ დარბაზებშიც, ამ დაკარგულ დროშიც,
მაგრამ იმდენად, რომ არ ვგავდეთ ერთმანეთს არსად,
არც შეხვედრების აუცილებლობით ხაზგა(და)სმულები,
არც ჩვენთვის უცნობი შეხებებით
ერთმანეთში, როგორც ცივ და ჩქარ მდინარეში, შესულები,
სადაც, რა თქმა უნდა, ჩვენ განვსხვავდებით სხვებისგანაც
და გზას განვაგრძობთ, განსხვავებების წასაკითხად,
სამოთხისკენ, რომელიც მოხდა. და ეს ჩვენი სვლა,
ყოველდღიური ჩვენი თამაშები, ჩვენი ღიმილი და პური,
არის მომხდარ სამოთხემდე მანძილის ზრდა დროშიც და სივრცეშიც,
და, რა თქმა უნდა, ამ უფერულ ლექსშიც,
სადაც მსგავსი არაფერი ხდება.

## ბავშვები ტბაში უხალისოდ ისვრიან კენჭებს, რომლებიც წარმოქმნის წრეებს, რომლებშიც ტბის ზედაპირზე მიმოფანტული ნუშის ყვავილები ექცევიან

ეს, ალბათ, იმაზე უფრო ცუდი იყო, ვიდრე მათ ეგონათ;
ეს იყო საიდუმლო, დაშლილი სახლებად, სადარბაზოებად,
რომლებშიც, როგორც ბნელ გამოქვაბულებში, შერბოდნენ ბავშვები;
საიდუმლო, გადაშლილი შეუმჩნეველ ხელნაწერებად კედლებზე,
სულებში, დამახსოვრებულ ან სასაცილო კოცნებში;
საიდუმლო, ჯერაც ისევ შემჩნევადი მოქალაქეების გაუბედავ ფიქრებში
ერთმანეთზე, თუნდაც სიკეთეზე; მას მტვერი ედებოდა შეუმჩნევლად, თვალწინ;
მათი უწყინარი ეს დავიწყებები იმათთან ყოველდღიური შეხების და ნგრევის,
ვისაც გააჩნია ნათელი მიზანი, თუნდაც სამუდამო;
მათი ყოფნა და ღიმილი დანიშნულებებში, მიზნების ჩრდილქვეშ,
და ერთმანეთისთვის ჩუმი და უწყინარი გაზიარებები, რომ
რარიგ კარგად გრძნობენ თავს ამ გამჭვირვალე მიზანთა ჩრდილქვეშ,
რაც, შესაძლოა, ახვედრებდეს კიდეც მათ ასეთ მიზანთან,
რომელიც მათ ვერ ცნობს სავსებით მიზნობრივად: რათა
იცოცხლონ და იყონ ნაცნობები, იქნებ, სულაც ღვთისთვის ან სიტყვისთვის,
რომელიც იყო და რჩება ამ უკანასკნელთან;
მათ არც კი იცოდნენ, რა ენოდებინათ
ამდენი უჩუმარი საქმიანობისთვის: წვიმაში დგომისთვის,
მთაზე ასვლისთვის და იქიდან სირბილით დაშვებისთვის,
ძილისთვის, სხვების სიზმრებისთვის, თავიანთი ერთჯერ ათასი
წარუმატებლობისთვის და მერე ამის გამო თავხედური სიცილისთვის ირგვლივ;
იმის გამო სიცილისთვის თუნდაც, რომ ისინი ვერ ხედავდნენ იმას,
რასაც მათი თვალი ხედავდა; ან, რა იცოდნენ, რა ენოდებინათ
ამ ყველაფერზე და სხვა იდუმალ გამოცდილებებზე წერისთვის
დროდადრო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ,
მერე კი იმის მერამდენედ აღმოჩენისთვის(და ამ მიზეზითაც
მოულოდნელი და ჯაჭვური სიცილისთვის), რომ
მათი - ამ მათი ნაწერების - სახით
საქმე ეხებოდა რთულ, მრავალუცნობიან განტოლებებს,
რომლებიც თითქმის უცნაურად ბადებდნენ ახალ განტოლებებს,
რომლებიც მათ, ყველას, უცნობებს რამდენი ციური სხეულისთვის,
რამდენი მზისთვის, ერქვათ სადღაც(იქნებ, სულაც თითქმის არსად,
რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ - არსად),
უკვე დაკარგულ თუ ოდესმე დასაკარგ - მათთვის უცნობ - გამოცდილებებში,
სადაც ერთად აღებული ამდენი უჩუმარი საქმიანობისთვის სახელების
დასარქმევად

მათ არ ჰყოფნიდათ არც ცოდნა, არც თვალი
და არც არსებითი სუნთქვის საწყისები, რატომაც კვდებოდნენ
ყოველდღიური შეხებებით გალიმებულები და აღარ იყვნენ ირგვლივ.

## ტბის სანაპიროს მწვანე მინდორზე გულალმა ვწევარ და მახსენდება გუშინდელი ჩემი ნაცნობი თანამემამულე, რომელმაც სუპერმარკეტში საპონი მოიპარა

უცნობო თანამემამულევ, შენი ცოდნა შრომის, მოპარვის, მოპარული ნივთების ცოდნის, მათი შერჩევის და შიშის ამ რეალურ, დიდ მაღაზიებში, რეალური ამ ხალხის თვალებში, მოიხსენოს უფალმა ჩვენმა წყალობით და მოწყალებით მისით, მოხედოს მოწყალებით მეედრებელთა მისთა, რომელნი ყოველითა გულითა ჰხადიან მას, დანახულნი გამოხედვებში უფერული მანეკენების, რომლებიც არც მინის არიან და არც ცის; მოყოს ყური თვისი და ისმინოს ხმა ყოვლისა ერისა მისისა, მოიხსენოს ხეების შრიალი და უხილავი მდევარი ევროპის შუაგულში, შენი გულის დაბნეულ, დამარცხებულ ტერიტორიაზე, უცნობო თანამემამულევ, მოპარულო შენს სამშობლოში, შორს აქედან, ძლიერი, უწარსულო ქართველების მიერ; განამრავლოს იგინი ღმერთმა, მშვიდობით დამყარებულ ჰყოს, წარმართთა ზედა მოსვლისაგან განათავისუფლოს და უძლებისა ჯოჯოხეთისა ბჭეთაგან უკუნისამდე დაიცვას; შენგანაც დაიცვას, გადაგდებულო აქ, ევროპის შუაგულში მიმოფანტულ სუპერმარკეტებში, რომლებიც სწრაფად იმახსოვრებენ რამდენი შენი თანამემამულის გულისცემის აჩქარებას მოსაპარ ნივთებთან, სრულ სიცარიელესთან შეხებისას; ღუთივ-დაცული შენი სამშობლოს დაბინძურებულ არტერიებთან შეხებისას რომელიმე ასტრალურ სივრცეში; შენ, ჭუჭყიანი, უცნობი ხელების ძლევამოსილებით წართმეულო იმედების მოზომილ, განლევად საკუთრებას, დაგდებულო მსუბუქად და ქართული სილაღით აქ, ევროპის შუაგულში, შორს სამშობლოს რესტორნებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც უდანაკარგოდ, უშენოდ, უჩვენოდ, ინახავენ ქართულ სულს, ქართულ სიამაყეს, მშობლიური ფესვების სიდამპლის უმაღლეს შეგნებას, ნაქებს ეროვნული პოეტების ნასუქი პირით, ჩახლეჩილი მათი სახეებით, რომლებიც შენსავით მოუპარავთ; შეიწყალოს და განაძლიეროს უფალმა ისინი, დაბრკოლებულნი შენითა დიდითა მცონარებითა, უმეცრებითა, უკრძალველობითა და უდებობითა, მათდა მიმართ შენი ბოროტად ქცევითა; შენი სიარულიც დაიცვას უფალმა, აქ, შუაგულ ევროპაში, აუხსნელი სისუფთავით შემაშფოთებელ ქუჩებში, თვალიერება და სიმრავლე განაზრებათა, ალტაცება მაღაზიებით, როგორც მუზეუმებით ან ულრუბლო მომავლით; გარიგება არავისთან, არაფერთან, გრილი ნიავის დატოვება გარეთ, დიად უნივერმაღში ფეხშებიჯებული უცნობი ყვითელი მოქალაქის ნაგაზის თვალწინ; წარგზავნილო მსახურებად, მსგავსად შენთა ობოლთა მოძმეთა, რომელნი მოგზაურობენ გინა დგანან გინა ზღვასა შინა მავლობენ, და რომელნიც ყოვლისა განსაცდელისაგან დაიცვას უფალმა; შენ, მოპარვის უარყოფის სახელით ნამრთმევთა მიერ გაგდებულო სხვაგან და სხვაგან, თუნდაც აქ, შუაგულ ევროპაში, ექსპერიმენტების მზიურ ველზე, სასაკლაოზე უცხოთა და სხეათა; აცხოვნოს და შეიწყალოს უფალმა მოხუცებულნი და ყრმანი, ობოლნი და ქვრივნი, და მდებარენი უძლურებასა და დახსნილობასა შინა, მწუხარენი, განსაცდელთა შინა მყოფნი, ტყვეობასა და საპყრობილესა შინა მყოფნი ამ ქალაქში, როგორც ერთ დიდ თაიგულში, დანახულში ციდან ან სიზმრიდან, რომელსაც შენი ფულიანი, უწარსულო მემამულეების შორეული ყნოსვა უნაზესი სიტურფით აგნებს თუნდაც ცხრა მთას იქით, თუნდაც ცხრა ზღვას იქით, მსუნთქავი, მქშინავი; უფალმა აცხოვნოს და მწვალებელთა და

უარის-მყოფელთაგან, ულმრთოთა და წარმართთაგან დაიცვას მათი ზანტი გამოხედვა ოჯახებიდან, სუფრებიდან, შვილივით ნაზარდი ვაზის ნაჟურიდან, სულის ნარწყევიდან, დიადი გარიგებებიდან დამკვრელებთან, მხატვებთან, კალმოსნებთან, მაიმუნებთან, სამშობლოს სადარაჯოზე ასულ მკვლელებთან; უფალმა მოაქციოს ბოროტისაგან იგინიც, გალიმებული, უცხო ენით მოარული მოქალაქეები უცხო, აუხსნელი შუაგული ევროპის აქ, და თურქეთის სადღაც, ამერიკის იმპერიის სადღაც, ნებისმიერი შესაძლო ადგილის მიწაზე, მიწის ქვეშ, ათასი უფსკრულის ხახაში; მოპარული ნივთებიდან, შენივე მოპარული არსებობიდან დანახული მათი ულრუბლო სახეები, მათი ჩარაზული კარი; შენი გულის ჩარაზული კარიც; შენი სიცივე, საშიში, სასტიკი; სულისმოთქმა ყოველი ახალი დამცირების, დაცემის წინ; შენი ქარი, მოპარული შენი ცხოვრების - როგორც უსარგებლო ნივთის - დამტარებელი გასაყიდად ან დასანარცხებლად შენივე გულის ფერგადასულ ფსკერზე; მეგობარო ათასი საქმის, ათასი ასეთი ნაშლის და გაგების; კრისტალურ ასფალტზე მძიმედ დაგდებულო ეროვნული, მსუბუქი მოგვერდით; მაღალი სატყნავი ღირებულების ობიექტად შენი ყოფნიდან ანაცვლებულო ერთი საფეხურით მაღლა, ძლიერთა სამშობლოდან შორს ყოფნისკენ და საცვლების, საპნების, კბილის ჯაგრისების მოპარვისკენ, და, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, დაცემისკენ შენი ფულიანი, ძლევამოსილი თანამემამულეების თვალში, რომლებსაც არცხვენ, სახელს უტეხ, რომლებიც შენ არასდროს, არასდროს არაფერს გპარავდნენ, არამედ გართმევდნენ კარგად, ძარღვიანად, და აკეთებდნენ კარიერას, ხელოვნებას, ნაგავს, შენი სისხლის ძეხვს, შესათავაზებელს სატყნავი ღირებულების მქონე შენი შვილებისთვის; მოიხსენოს უფალმა თვალები ამ უკანასკნელთა, აკვიატებული ფიქრივით თანამდევი ვიტრინებთან, თაროებთან, არაფრის პირისპირ; შენი მუნჯი სამშობლოს პირისპირ, რომელიც შენ ხარ; შენი იმ ფიქრების პირისპირ, რომლებსაც ვერ ხედავ, რომლებიც უშენოდ განაგრძობენ დაფიქრებას ამ ყველაფერზე, გარემოცულზე სისასტიკით შენი ამაყი მემამულეების, რაც ექვემდებარება ახსნას, განმარტებას, ანალიზს, სინთეზს, გულისამრევი ადამიანების გულისამრევ განაზრებებს, გადასულს რესტორნებიდან ტელევიზორებში, ტელევიზორებიდან სიცარიელეში, საიდანაც - უკანვე ან ქუჩებში და სასამართლოებში, დამცირებული ადამიანების დროულ, საჭირო გაცინებებში, საჭირო ოთახებში და სადღეგრძელოებში, რომლებიც დაიცვას უფალმა; ხოლო უარმყოფელნი ამ ყოველივესი, ჭეშმარიტებისა გზათა შეცდომილნი, წვალებათაგან დაბნეულნი, ნათლითა ცნობისა მისითა განანათლოს და მოაქციოს მართალსა სარწმუნოებასა ზედა; დაგიცვას და გიპატრონოს შენ, რომელიც ვერასდროს, ვერასდროს გაზომავ მანძილს, რომელიც განვლო ულმერთობამ, რათა ეყვავილა აქ, დედამიწაზე; გამკვალავმა რა გზების, რათა მოსულიყო ჩემამდე, შენამდე! ეყვავილა თავებში იმ ხალხის, რომელიც აქ ცხოვრობს, შუაგულ ევროპაში, ქვით ნაგები სახლების ველზე; ლაპარაკობს შენთვის ფარულ, უცხო ენაზე და შენთვის უცნობ, ცალმხრივ კონტრაქტს დებს ათიათასობით, ასიათასობით შენსავით ბრიყვი, უსუსური ადამიანის უსუსურ ვნებასთან - მოიპარონ სიცარიელე, რათა მერე გარდაქმნან ფულად, რომელიც ზოგჯერ მართლაც არის უზრუნველმყოფელი სიცოცხლის, წვალების უსაზღვრო წყურვილის ყველგან და აქაც, შუაგულ ევროპაში, სადაც შენ არ ხარ არავისთვის, არ აკლდები გულში სულ არავის, წამითაც კი არა; სადაც უნდა დაგიცვას უფალმა, რომელსაც ახსოვხარ, როგორც მთლიანობა, დაშლილი უსუსური ტვინის შეკითხვებად და ამ შეკითხვების ჩახშობად სისხლში, სულში, სიცოცხლეში; როგორც

კუპრივით შავი ღვინო, ფანტაზიის საკანალიზაციო მილით შელნეული დემოკრატიული სატუსაღოს უღრუბლო კედლებში, ნაგებში უკვდავი, მუმიფიცირებული ფასეულობებით; როგორც ამაყი ქართველები, თავიანთი მონადინებითვე შეთხრილნი საკუთარ ამაყ უკანალში, რომელიც დაამტკიცოს, აღამაღლოს უფალმა ჩვენმა, მისცეს მას ძლევა ბოროტთა აგარიანთა ზედა, აღამაღლოს ყანნი მისი და მიანიჭოს მდიდარნი მონყალებანი მისნი; რამეთუ ღირს არს ჭეშმარიტად, ღირს არს ჭეშმარიტად, ღირს არს ჭეშმარიტად!

## ივლისის ხვატში, ტბის სანაპიროს მოჩრდილულ ალაგს შეხიზნული, ვათვალიერებ ცელანის ფოტოსურათებს, რომლებიც დიტერმა ფოსტით გამომიგზავნა

ყველა სიმართლე,
როგორც შუბი, როგორც ისარი,
შენზე იყო დამიზნებული;

რას იხსენებდი?
სიკვდილს? სიცოცხლეს?
უხილავი ზღვების უხილავ დელფინებს?

ყველა ცოდნა, ყველა სიბრძნე,
ყველა ყოფითი გამოცანა
შენზე იყო დამიზნებული;

ისინი მოქმედებდნენ,
ისინი შენი გავლით მოძრაობდნენ,
შენში არ რჩებოდნენ,
მაგრამ ტკივილი, როგორც ცეცხლწაკიდებული ბალახი,
არც სიკვდილის იყო, არც – სიცოცხლის,
შენი იყო,
ცეცხლწაკიდებულის;

როგორ წაიშალა
დავიწყებული სახეების გრძელი ხეივანი,
რომელიც იცნობდა შენს ღიმილს, სიარულს;

არა სახლები, მხოლოდ – გამოსახულებები სახლების,
გამოსახულები სულ სხვა ცხოვრებაში,
უხილავ სიზმარში,
სულ სხვა შუბების და ისრების თვალწინ;

მუდმივი უკანდახევები გულისკენ,
ერთისკენ, ასისკენ,
ცეცხლწაკიდებულისკენ
ამდენი სიმართლის, ამდენი გამარჯვების მიერ,
ცხენებიანი ამდენი მინდვრის გულზე,
სადაც შეიძლება იცოცხლო
ან მოკვდე
დავიწყებული
ყველა ამ სიმართლის, ყველა მკვლელის მიერ;

სად წერიხარ, როგორც არსებული?

რომელ უხსოვარ დინებაში?
რომელი თევზის ფიქრში?

რომელი უხილავი ზღვების უხილავ დელფინებს,
ვისი უხილავი წყლების უხილავ დელფინებს
ახსოვხარ,
სიტყვისას თუ შენსას?

დამვიწყებელი ყველა მკვლელის,
ყველა მარტივი, ცალსახა პასუხის;

ამდენი სიმართლის,
ამდენი გამარჯვების მსხვერპლი,
შეყვარებული ამდენი სიცოცხლის და სიზმრის.

## მწუხრის სიჩუმე, რომელიც ტბის სანაპიროს წარმომიდგენს, როგორც შემაშფოთებლად არსებულს და იმავდროულად არარსებულს, ხდება მიზეზი იმ ქალაქისადმი ხოტბის მონახაზის, რომლის სტუმარიც ვარ

მუზავ, უმღერე ამ უცხო ქალაქის ყოველდღიურ წარმოსახვებს,
რომლებშიც, როგორც საჰაერო ბურთებში ან უმიზეზო გაცინებებში, დროებით მცხოვრებნი,
გადავადგილდებით აქეთ ან იქით, რამდენიმე საჭირო ნაბიჯით,
რომლებიც მერე მრავლდებიან ჩვენივე დავიწყებებიდან განლეულ ხსოვნებად,
და არიან ფხიზელი სიმთვრალე შეუძლებელი, რეალური ადამიანების,
მათი არსებობის და ღიმილის გადანაწილება არსაით სწრაფვებში,
ამ უკანასკნელთა შენელება და დაშლა სახეებად, ხმებად, ცრემლებად, მატერიალური უმწეობის ატომებად,
სასონარკვეთილების დამაჯერებელ, უსარგებლო ფორმებად ან, სულაც, ფულის ფუნქციებად;
და არიან, ამასთანავე, ესთეტიკურის ბრუნვა უსასრულო სიყვარულის ირგვლივ,
რომლის ცეკვა ერთად აღებული ამდენი გულის მკერდზე,
როგორც ცოცხლებისგან დავიწყებულ, მიგდებულ სცენაზე, ყოველთვის უკანასკნელია,
და რომლის მტვერიც საავდრო ღრუბელივით მძიმდება და ილექება
აუხსნელი შეჭირვებით ერთმანეთის გამომცნობ გამომეტყველებებში,
ამ გამომეტყველებების სვლაში სხვებისკენ
და თხრობას, სასვენი ნიშნების ზეიმს მორჩილად დაქვემდებარებული ცისკენ;
ისინივე არიან, ალბათ, ნატურალური, ბრმა რიცხვები, გამოსახული მრავალსართულიან სახლებად,
მათში მოძრავ გრძნობებად ნატურალური ხალხის და მისი საქმეების სიმრავლის,
ერთმანეთის სამკურნალოდ თავგანწირვების და სხვათა განირვების ჩათვლით,
როგორც ღმერთის ინტელექტში რეპრეზენტირებული მარადიულობა შემთხვევითი ურთიერთობების,
ამ ურთიერთობების ნაკლულობაში მფეთქავი გულის,
რომელიც ყველა თავის შესაძლო სამყაროში დაცულია
შემთხვევითობების რღვევისგან სიტყვებად და მათ ცუდ თამაშებად,
და არის პოეზიად რეალობის დამიწების პრესტაბილური ჰარმონია
და მისი შემეცნების ყოველდღიური, ბეჯითი ფორმები,
და, დღეს და ყოველთვის, ამ ფორმების დამიწება ადამიანებად,
რომელთა დამიწება ხილულ და უხილავ საქმეებად, ნიშნებად და მოძრაობებად
განამტკიცებს ბუნების ხსოვნას და მისით ტკბობის ფიზიოლოგიას.

# მეორე ნაწილი

## ზამთრისპირი, მიწური რამდენი სარკმლიდან

*ანა მგალობლიშვილს*

1.

ვთქვათ, ეს სიხარულიც,
ქვაფენილზე დაცემული სინათლე წინ და უკან მოარული ხალხის,
მათი ერთადყოფნა მათთვისვე შეუმჩნეველ დროში,
ხოლო მერე, ისევ და ისევ,
მათი დაშლა ადამიანებად, ხმებად, სახეებად, რომელთა სინათლე
ჩაღვრილია ერთ უწყვეტ ნაკადში, დენადში შობისკენ, მოძრავისკენ
ამ ხალხის უნარით: ხსოვნა ანელებდეს საზრუნავს, ყოფას,
წვიმის ყოველდღიურობას და მასში შენახვას
თვალების, ბგერების, დროდადრო ურთიერთშეხებების,
რომელთა სათუთი ხმოვანება ჩაღვრილია
მოლოდინში ნებისმიერი შემხვედრის და მოკვდავის, მსგავსის,
რომელიც — ხდება — ჩაუქროლებს ქვაფენილიდან ამოსულ სიჩუმეს,
მათ გრილ, შიშველ ტანზე დაცემას წვიმის,
მოგზაურის ამ უამრავ უხილავ ჩრდილში,
როგორც ერთში ან როგორც ბევრში,
სულაც არც ერთში სასაცილოდ დაშლილში სულაც
გადაადგილებებად და ერთმანეთიდან გათავისუფლებებად
წვრილმანი, საჭირო ათასი ილეთით,
უცნაურ მაღაზიებში შეძენილი უცნაური, უსარგებლო ნივთებით,
რომელთა დიდი და პატარა ფორმები უკვე ეცემიან შიშველ ქვაფენილზე,
როგორც საჩუქრების, ნაგებული თამაშების ფერადი ჩრდილები,
და ეს სიხარულიც დამაბნევლად შეერევა
ქვაფენილზე დაცემული განთიადის ჩრდილებს და ეშმაკებს,
ამ ჩრდილების დამაბნეველ განლაგებას იმ მოძრავ სივრცეში,
რომელიც მერე, ისევ და ისევ,
შეუმჩნევლად მიუყვება გზას შობის დღესასწაულისკენ.

2.

ნაცნობი, არარეალური სახეები განთიადის წყნარ დინებაში,
მცენარეების შინაგანი შრიალით ნაცნობი ნიავი,
როგორც ჩვენი არსებობის ყოველდღიური ნარჩენები,
მათი ეთერული სუნთქვა და ქრობა, დავიწყების უწყვეტი სათავე,
სადაც ჩვენი მოძრაობები ეძებენ ან პოულობენ სქესს, ოქროს, ერთმანეთს,
სიცოცხლის ხაზებს და მათ გაჩერებებს ათასობით უხილავ ფიქრში,
სადაც ნისლი მატულობს, სახეები იკარგება,
როგორც ძველი სიზმრების ალბომიდან გამქრალი ფოტოსურათები, ხმები ან
ცრემლები,
შენახული აუხსნელ მეხსიერებაში, რომელიც სადღაც გაგვაჩნია,
ხოლო მერე – ქარის სიმღერა განთიადის ყველგანმყოფ სისხლში,
ძველი, როგორც დამტვერილი წიგნივით მწუხარე ამ სისხლის სარჩევში
ჩვენი თვალისთვის დაფარული, ბნელი პარაგრაფი,
სადაც წარმოსახვა განმარტებულია, როგორც ნაცნობ, არარეალურ
სახეებთან შეხება და დამშვიდობება ორიოდ წამით, გაჩერებით,
თუნდაც ღმერთზე ამ უწყინარი საუბრების განშლით და გაბნევით ხეების
შრიალში,
ფრინველების უხილავ მზერაში ან მონდომებულ გონებათა სიბრძნის მზიურ
ველზე,
გეომეტრიული რეალიზმის საზღვრებში მბრუნავი სულის პოეტიკა,
დავიწყებული ყველა შესაძლო სიმაღლიდან,
გაუჩინარებული ყველა შესაძლო სიღრმიდან და შეუძლებელი ღმერთივით,
რომელმაც შეიძლება თუნდაც წამით დაუშვას ფიქრი თავისი ძალების
ეკონომიაზე;
როგორც ადგილი, როგორც ხსოვნა სიცარიელის,
რომელიც მერე ხუნდება და ხელახლა ქრება;
როგორც ყნოსვის, კანის ან სმენის შეგრძნებების დარღვევები,
გამოწვეული ბუნების სუნთქვით ჩვენს სულში,
ყველა იმ სამყაროში, სადაც ცხოვრება სიზმარია,
თვით ერთმანეთთან შეხვედრები ერთმანეთის სხვა, საშიშ სიზმრებში,
რეალური სახეების არარეალურ, წყნარ დინებაში
ყველა საქმისკენ, ყველა დაღლილი სინათლისკენ;
თითქმის სარკმლის გულში ქუფრი დღეებით გარემოცული არსებობა,
შეხებული მკვდარ ან ცოცხალ ფოთლებს, როგორც ქარის ნერვებს,
სულთა სამყაროზე სხვა სარკმლების საუბარს ან მათ მოულოდნელ დუმილს,
არის თუნდაც მოსალოდნელი ზამთრის სიღრმიდან ამოტანილი ნუგეში,
სახლის სახურავებიდან ქალაქზე მოფენილი თიხის ფერი და ზარების სიმღერა.

3.

ხოლო უწინარეს:
არის სიხარული ფრინველთა

და ცხოველთა
ან კაცთა
სადაც იდუმალი ხეების ჩურჩული
ან დგომა
პირისპირ ნაგალობევთა კაცთა
ფრინველთა ნაგალობევთა პირისპირ
სადაც დგომა პირისპირ მათდა
სადაც გალობა
მოუსმენრად ნაგალობევი
მიერ კაცთა
მიერ მხეცთა
მიერ ფრინველთა
სადაც მათივე დგომა ან ფრენა
ხეთა არსებობის გვერდიგვერდ სადაც
არის ზამთრისპირის სველ ტყეებში
შემცივნული სიხარული
ფრინველთა და
ცხოველთა ან
კაცთა.

## მონატრება. ლიბერალური მოტივი

მე ვაწვენ ჩემს სხეულს შენს მკლავებზე.
ჩემი სხეული წვება შენი სუნთქვის ზღურბლზე.
მე ვწვები შენი სხეულის ირგვლივ.
ჩემი სხეული წვება შენს თვალებში და ფიქრში.
შენი თვალი მკლავებში იმწყვდევს ჩემს სხეულს.
შენი სხეული ჩემს სხეულთან ერთად წვება უხეშ ქვეშსაგებზე.
ჩვენი სხეულები ერთმანეთს აწვენენ თავ-თავიანთ სიზმრებში.
ჩვენი სხეულები თავ-თავიანთ სხეულებს აწვენენ ერთმანეთის მკლავებზე.
ჩემი სხეული იწვევს შენს წოლას დავიწყებულ ბილიკებზე.
ამ ბილიკებზე ერთ დროს ვიდოდნენ უცხო სხეულები.
ეს ბილიკები ერთ დროს თელილ იყო უცხო სხეულებთან ერთად მოხეტიალე ჩვენი სხეულებით.
მე ვაწვენ შენს სხეულს შენი სხეულის ხსოვნაში.
შენი სხეული წვება ჩემს ხსოვნაში, სადაც ის(შენი სხეული) იწვა.
შენ აწვენ შენს სხეულს ჩემს სხეულში.
ჩემი სუნთქვა აწვენს შენს სხეულს თავის რიტმში.
მისი რიტმი არის შენი რიტმი, რომელიც არის ჩემი რიტმი.
სადღაც არსებობენ ადამიანები, სახლები, ბავშვები.
ჩვენი სხეულები უწვებიან ერთმანეთის სხეულებს ირგვლივ.
მე ვწვები შენში შიგნიდან გარეთ.
შენი წოლის სხეული ჩემი წოლის სხეულია, რომელიც შენი წოლის სხეულია.
ჩემი სხეული ვიდოდა ბილიკებით, რომლებიც შენი სხეულია.
უხეში ქვეშსაგები მხურვალებს ჩვენი სხეულის წოლებქვეშ.
რა დრო გასულა მას მერე, რაც შენმა თვალმა მკლავებში მოიმწყვდია ჩემი სხეული.
შენი სხეული იწვევს ჩემი სხეულის წოლას ჩვენს სიზმრებში.
ჩვენი სიზმრები ჩვენი სხეულის სიზმრებია.
შენი სხეული მკლავებში იმწყვდევს ჩემს წოლას შენში.
ჩემი თვალები ხედავენ შენს თვალებს.
ჩვენი სხეულის სიზმრები ჩვენი სიზმარია, რომელიც ძილში ხედავს ჩვენს წოლას.
არსებობს სიბერე.
ჩვენი წოლის თვალები ხედავენ ერთმანეთს.
ჩვენი სხეულების წოლა მხურვალებს უხეშ ქვეშსაგებზე.
ჩვენ ვაწვენთ ერთმანეთს ბილიკებზე, რომლებითაც დაფარულია უცხო სხეულები.
ჩვენი სხეულები ერთმანეთის სხეულებში აწვენენ თავ-თავის სხეულებს.
რა დრო გასულა მას მერე, რაც შენი წოლა დაწვა ჩემს წოლაში შიგნიდან გარეთ.
ჩემი სუნთქვის სხეული შენი სხეულია.
შენი წოლის სუნთქვა ჩემი წოლაა.
ჩვენს წოლას ჩვენი ფიქრები ურბენენ ირგვლივ.
ვისი სული და ქარები ქრიან ჩვენს წოლაში.
ჩვენი სხეულები ერთმანეთის ხსოვნაში აწვენენ ერთმანეთის წოლებს.
ჩვენი სხეულები ერთმანეთს აწვენენ ჩვენი სუნთქვის ზღურბლზე.

ჩემი სხეული იწვევს დავიწყებული ბილიკების დავიწყებას ჩვენს წოლაში.
შენი წოლა წვება ჩემს წოლაში შიგნიდან გარეთ.
სადღაც არსებობენ საზრუნავნი, ვარსკვლავნი, პატრონიანი ან უპატრონო მკვდარნი.
ჩვენი სიზმარი ჩვენი წოლების სიზმარია.
ჩვენს წოლაში განსხეულებული ჩვენი სხეულები განსხეულდებიან ერთმანეთის წოლაში და ჩვენში.
ჩვენი წოლის სხეულები განსხეულდებიან ერთმანეთში, ერთმანეთში განსხეულდებიან.
ისინი(ჩვენი წოლის სხეულები) განსხეულდებიან ერთად.
ერთმანეთში ჩვენი ერთადწოლა ჩვენი სხეულია.

## მინისქვეშა წიგნის მალაზია

თუნდაც სხვაგანმყოფო,
დალეწილი დარაბებიდან თავმომყრელო
ოდინდელ ხედვათა,
ნაშლილ დანახვათა შემკრებო,
მინისქვეშა ბევრი წიგნის გასაყიდად აქმყოფო
მათო ყოველდღიურო მცდელობავ,
სწრაფად თარგმნილ სასხეულო მდინარებათა
სხვაგანყოფნავ ყოველდღიურ ჩუმ ხახაში
მინისქვეშა გა(და)სასვლელების,
მათივე, მათივე სხვაგანყოფნავ,
მათივე თხრობითი ალრფთოვანებების
აქყოფნავ, მინისქვეშა წიგნების ხსოვნაში,
ყოველდღიურ კლებაში სიცოცხლის,
სადაც უცნობი ხარ,
გა(და)სვლათა მინისქვეშა მცდელობებით დალარულო
მათო წარმოსახვავ,
მათო იმ ადგილო,
სადაც ყველა შესაძლო სამყაროს უფლებები კარგად დაცულია,
ბნელი გვირაბების ჩამქრობი
მათი მონდომების შორეული წარსულიდან
უკვე მერამდენე აწმყოში გა(და)სვლავ
მათივე, მათივე მონდომების,
ყოველდღიურო კლებავ
მინისქვეშა ბევრი წიგნის დროის,
მათი კრებითი შინაარსის განმარტებავ
მოზუზუნე ქართა მი-და-მოსვლით
მინდვრებზე ან ყდებზე,
სტრიქონ-სტრიქონ ნალეწ დარაბათა სულში მიმოქროლვით,
განწვალვით ღამისა დღისაგან და მზისგან,
აშრიალებული სიტყვების ქრობავ და გა(და)სვლავ
ერთურთის ყოფნაში,
სიმდიდრეში სიცოცხლის ნიშნებით,
შიშნეული თვალების გა(და)სვლავ
წიგნის მინისქვეშა სამყაროებიდან
შეხებაში ოცნებათა, მიზანთა მსხვრევებთან
და სხვა ასეთ მზისგულზეყოფნებთან,
ყოველდღიურ-კლებასთან-შეხების მიზეზით თხრობასთან,
მინისქვეშა დგომავ წიგნების და მათი ავტორების,
საავტორო დგომების მინისქვეშა
წიგნებით ტკბობავ და წარმოსახვის კლებაში
და ბევრი წიგნის მინისქვეშა დროს მინებებაში
ჩუმო მივიწყებავ მზისგულზე დგომის.

# მისი სულ სხვა შეხების ამბავი

*შალვა ფანცულაიას ხსოვნას*

იგი დასნვდებოდა ფოთლის გამჭვირვალე ზედაპირს სიმღერით, რათა მოესრისა
მისი ნაოჭები ცხოვრების მწვანე შუქზე, სადაც გაუხარელი ადამიანები
უმზერდნენ ერთურთის სახეებში მოძრავ გადაადგილებებს გრძნობათა,
მტვერის უხილავ ნაწილაკთა და უჯრედების ქრობათა(სისხლში?, ცის შორეულ
ლაჟვარდში?, არსად?), რათა ყოფილიყო აკრეფილ ხორცი, დანთხეული
უცხო ოთახებში, სიმღერით, მძიმედ მოარული ნაბიჯები, მათი უხმაურო
გა(მო)სვლა
პასუხებით განათებულ პერიფერიაში ეთერული სივრცის, მისი პასუხების,
მისი მრავალი უარის, დროდადრო რათა დაეხედა ნერვებად ქცეული
ხელისგულებისთვის
კუთვნილ, ერთჯერად სხეულზე ხელთა, ხილვის ზოლთა და სიმშვიდის,
მოგვრილიყო რომელიც წიგნთაგან, სიმღერით, მარტოსულს, ჭარბად
მიმომზირალს,
რათა ანგელოზებს მიეგნოთ მისი ამ ეშმაკური ხედვის საპასუხოდ სულისთვის,
რომელსაც
მისი ცხოვრების მწვანე შუქი მოიქცევდა მკლავებში, სიმღერით, ჩაესმოდა
წყვილების ჩურჩულში, უხაროდა მალვით და მრავალი ცვლილებით,
დაშურებულს
გზადვე, დაშურებულს ირგვლივ, გარემოცულს კუთვნილი სხეულით, ორგანოთა
მრავალფეროვნებით, უცხო ოთახებში, სადაც ნაგროვები ცხოვრების თანხლებით
დასნვდებოდა კუთვნილ სიმარტოვეს, მოგზაურს ამდენი უცხო გულისფეთქვის
ხმაურში, მათი ფილტრაციის ხანგრძლივი ლანდშაფტის თანხლებით, სიმღერით,
სადაც იგი
დასნვდებოდა ნარჩენებს ქარის ქროლვის, მისი პოეტიკის არართულ დეტალებს,
როგორც ფურცელ-ფურცელ შემცირებად ვარდს ან ნებისმიერ ყვავილს, დაღლილს
თავის ბუნებასთან რთული დიალოგით, განვითარებულით ქრობისკენ უჯრედთა
და ხსოვნის,
სადაც იგი დასნვდებოდა შემთხვევით მიგნებულ ბგერებს, როგორც მიტოვებულ
სახლებს და ოთახებს, სიმღერით, ფიქრებში, აღგვიდა პირისგან
მინისა და შორეული კენწეროებისა(ხეთა?, ნერვთა მიერ გასავლელ გზათა?,
ზეციურ ლაჟვარდთა?), სადაც ზმანებულ ნაოჭებში დაძრული სიტყვა
თრთოდა, მკვრივდებოდა, გამოსცემდა მიგნებულ ბგერებს და
ეხებოდა თითოეულ ცხოვრებას და ატომს, შედიოდა სიწითლეში ყოველი ბაგისა,
ყოველი მეტყველების განაპირებისა დაცემად და ქრობად, რაჟამს კვლავაც ხდება
უცნაური ცვლილება გულის, დავიწყება ოდესმე შენივ თვალისფერთა,
ოდესმე სათუთ მიმოხრათა და ალერსის კომბინაციათა, სადაც ციმციმებდნენ
ვარსკვლავნი
და ქროდნენლა ფრინველნი, სადაც მისი მზერის შუქზე სრულ საკუთარ
არსებობას

იმეცნებდნენ უცაბედი ნივთები და მკვრივი სხეულები, სიმღერით, მთლიანად,
ხორკლიანი ფურცლების ხმაური, კვდომა ასოთა და იეროგლიფების,
ნუმერირებათა
გაუჩინარება, ნიველირებული გვერდების შრიალი, იყვნენ შესამჩნევნი
მის დახრაში, როცა დასნვდენოდა ქარს მინარცხებული ფოთლის მწვანე,
გამჭვირვალე მზის სხივს, რათა აეკრიფა დაცემული თავისი სხეული, ეგროვებინა
ნიადაგ რათავე ცრემლებში თავისი იდუმალი იმ არსებობისა, რომელიც შიგნივ
დასნვდენოდა ქარის იმავ ნარჩენთ, რომელნი(ც) მიწის დვრილებს ავსებდნენ
ხანგრძლივი,
უტყვი დიალოგით მისთვის შეუმჩნეველ მისსავე დახრასთან ერთდროული
ურიცხვი
სუნთქვისკენ, თავისი ბევრი უარისკენ, რომლებიც თავიანთ ერთადერთ უარში,
ხანგრძლივ ნაკითხვაში, გზადაგზა აირეკლებოდნენ.

# გამო-მეტყველება

ეს არის ადგილი
საიდანაც შეიძლება დაბრუნება ჩვევების ენაში
რომელიც გარს აკრავს ენასთან ჩვენს უწყინარ თამაშებს
განურჩევლად მასთან ჩვენი შეხებისა
ჩვენი შესვლებისა მის ათასობით ზედაპირში
რომლებიც როგორც ერთმანეთში ჩაწნული სიზმრები
განმარტავენ ერთმანეთს თამაშით
ცეკვავენ ერთმანეთის ყველა სიტყვის წვერზე
და ასე ივიწყებენ ენობრივ ერთმანეთს
რომლებიც ვართ მარტო ან ერთად ენის იმ ღიმილში
სადაც ვფლობთ წესებს ერთმანეთთან მისასვლელად
შესათანხმებლად ერთმანეთის გასვლებთან ან შემოსვლებთან
ჩვენს წესებში რომლებიც ერთმანეთს
თავ-თავისი დინებით და ხმით უზიარებენ
იმას რაც ხდება როცა ხდება
და ენით ჯერაც გამოუთქმელ
გამოცდილებად ჯერარქცეულ მოძრაობაში
ჩაძირული მათი შიშველი სხეულები
ერთმანეთით იცავენ ერთმანეთს
მოიცავენ ერთმანეთის მიმოქცევას სრულად და სავსებით
ყველგან სადაც ერთმანეთს ხვდებიან
სისხლში კანის ფორების ხმაურში
ტანის მოწყვლად ნაკვეთურებში
სპერმის გასაჩენად გაღებული ენერგიის ველზე
დავიწყების ნათელი წუთებით გაჯერებულ მეხსიერებაში
რომელიც მერე მოგვეცემა
როგორც თავის თავთან ენის საუბარი
ჩვენი ხანგრძლივი მოძრაობის დაწყებას და
კვლავ დაწყებას შორის იმ შუალედში
როცა მოძრაობა ამთლიანებს იმას რაც ბევრია
რაც სიტყვების ცვალებადობაში გამქვრეული ენის სხეულია
რომელიც ხშირად გვეშლება ან გვეკარგება ხანგრძლივ ერთმანეთში

## მუშის სიმღერა

ოი, სიყვარულო, ჩვენი მოძრაობა შემოსაზღვრულია საქმეებით, რომლებიც ჩვენთვის სულერთია.

ოი, სიყვარულის ნამიანო სევდავ, ჩვენი მიმოსვლები შემოსაზღვრულია შრომით შემოსაზღვრულ სივრცეში, რომელშიც ჩვენს თვალს და თმას მტვერი ეფინება.

სიყვარულო, სიყვარულო, ჩვენი ფეხსაცმელი და ჩვენი ფილტვები ივსება ქვიშით და ფერმკრთალი ცარცით, და ჩვენ ამას დროდადრო ვერ ვამჩნევთ.

გზაო სიტურფისა, ჩვენ (გა)გვაქვს ჩამოყრილი ბათქაშით სავსე ტომრები და ხსოვნა.

ქარო სიტურფისა, ჩვენ (გა)გვაქვს დანარცხებული კედლები, დაშლილი ავეჯი და წვრილმანი ნივთები სივრციდან, რომელიც შემოსაზღვრულია ღია ან დახურული სარკმლებით და კარნით.

ბაღოვ სილამაზის, როგორც ნისლში, ჩვენ ვქრებით მტვერში, საიდანაც თბილ მისალოც ბარათებად ვუჩნდებით ერთმანეთს, ვუღიმით ერთმანეთს.

ოი, სიყვარულო, ჩვენ (გა)გვაქვს ურთიერთმიმართვები სივრციდან, რომლითაც ჩვენი შრომა შემოისაზღვრება.

ნაზო მწუხარებავ, ვინ ვის რას ულოცავს ჩვენი სახით, ჩვენი არსებობით?

ნაზო მონატრებავ, ვინ ვის რას ულოცავს გაკრული ხელით?

## ფრაგმენტი პროთევსის წერილისა უცნობი ადრესატის მიმართ (გვიანდელი მისტიკოსების მტკიცებით, მინოსის მიმართ). არაკანონიკური პოეტური ვერსია, რომლის ორიგინალი განლვრილია ტექსტის აქ წარმოდგენილ პროზაულ თარგმანში, შესრულებულში ბეჯითად მომზადებული პწკარედიდან

*Diese Müdigkeit ist nicht die gewöhnliche Müdigkeit, sie ist eine Art des Schmerzes, es sind die Schmerzen der Angst.*

Peter Handke, Als das Wünschen noch geholfen hat. 1974, S. 72

*Nicht den Zustand der Angst meine ich, sondern den Zustand danach – wenn die Angst vorbei ist.*

Peter Handke, Als das Wünschen noch geholfen hat, 1974, S. 102

<...>და მაშინ ადამიანური მოძრაობების ეს ამოუწურავი სიმდიდრე
ერთ უწყვეტ სპირიტუალურ სეანსს ემსგავსება.
ვინ ატარებს ამ სეანსს? რა მიზნით და ვისთვის?
ჩვენ ხშირად ვსვამთ კითხვებს, რომლებზე გაცემული პასუხები
ბევრად უფრო ნაკლებ სიამოვნებას გვანიჭებს,
ვიდრე – ამ კითხვებამდე მიმყვანი იმ გზისთვის თვალის მიდევნება,
სადაც და რომელზე შემდგარებსაც იმდენი რამ დაგვიკარგავს,
რომ ნებისმიერი შესაძლო პასუხი უკვე უძლურია შეკითხვის დასაძლევად,
ნებისმიერ შეკითხვაზე ჩვენი მიჯაჭვულობის დასარღვევად.
ვერც ერთი პასუხი ვერ გადაწონის სიამოვნებას,
რომელსაც ამ გზაზე მიმავალი ადამიანი განიცდის.
პასუხისკენ თითქოს თავისით მიმავალი ამ გზის ყოველი წერტილი ტკბობის წყაროა
და, ამ თვალსაზრისით, კითხვები დიახაც საბოლოო პასუხები არიან,
რომლებიც არანაირ სხვა პასუხს არ საჭიროებენ.
ეს არის ის დროც, რომელიც ადამიანს თანდათანობით ავიწყებს მიზანს,
პასუხის ძიების აუცილებლობას. პასუხი ყოველთვის
უკვე სიამოვნებისგან დაუძლურებული გონებისთვის შეთავაზებული ცუდი
საჩუქარია, რომელსაც შეიძლება მხოლოდ პრაგმატული დანიშნულება გააჩნდეს,
უპირატესად – სხეულის შენახვა, მისი სამოძრაო უნარების გადავადება.
სხეული კი ყოველთვის ხარჯვისკენ,
გამოუყენებული ენერგიისგან მუდმივად გათავისუფლებისკენ არის მიმართული.
ამ მექანიკას კარგად იყენებს ის უსახო კაპიტალიზმი,
რომლის სამსხვერპლოზე ამდენი დიდი და მცირე ძღვენი იქნა მიტანილი
როგორც მდიდრების, ისე ღარიბების მიერ.
სახელმწიფოში ცხოვრება, დიდი ანგარიშით,
ნიშნავს კიდეც მზამზარეული პასუხების ჯოჯოხეთში ცხოვრებას.

ეს პასუხები უზრუნველყოფენ ადამიანის სურვილს,
იყოს დაცული არა იმდენად მეორე ადამიანისგან,
რამდენადაც – თვით იმ სახელმწიფოსგან,
რომელიც მას პერმანენტულად პირდება თავისუფლებას.
ადამიანი ზღვა ენერგიას ხარჯავს ამ პერიოდული შეხსენებების,
ამ უსარგებლო თავისუფლების დასავიწყებლად,
და როცა მას აღარც კი ახსოვს სახელმწიფოს მხრიდან უკანასკნელი აგრესია,
სწორედ მაშინ ახსენებს მას სახელმწიფო თავსაც და აღნიშნულ თავისუფლებასაც.
მთელი ადამიანური არსებობა სახელმწიფოში
სახელმწიფოსგან წამოსული ამ წინარე აგრესიისგან გაქცევა
და მორიგი აგრესიის ხაფანგში მოხვედრაა.
სახელმწიფოს ძლიერება სწორედ ადამიანის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარზე
და მაინც და მაინც წინააღმდეგობის გაწევის ჟინზეა დაფუძნებული.
მორიგი აგრესია, შესაძლოა, არც არსებობდეს;
ყოველი მორიგი აგრესია, შესაძლოა, წინარე აგრესიის ფანტომია,
რომლის გააქტიურებას იწვევს ადამიანის ჟინი -
მაინც და მაინც წინ აღუდგეს, გაექცეს, დაემალოს აღნიშნულ აგრესიას.
ამ აგრესიის ფანტომში განზავება, მისი მიღება და ასე დამორჩილება,
მასში განღვრა და გამქრევა საბოლოოდ გადააგვარებდა სახელმწიფოს ძალას,
თავისუფლების ამ უცნაურ იძულებას,
და თვით სახელმწიფოსაც ნაცარტუტად გადააქცევდა.
მაგრამ ასეთი გამარჯვება შეუძლებელია იმიტომ,
რომ ადამიანს ტკბობის ეს გამოცდილება,
სახელმწიფოსთან ასეთი ეროტიკული თამაშების გამოცდილება
სჭირდება დროის საზღვრებში საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად,
იმ შიშის დასაძლევად, რომელიც ადამიანს თან სდევს მას მერე,
რაც იგი სამოთხიდან გაძევებული აღმოჩნდა.
უდროობა, გარკვეული თვალსაზრისით კი – უჰაერო სივრცის უდროობა,
იყო ის სამოთხე, საიდანაც არა მხოლოდ გააძევა ღმერთმა ადამიანი,
არამედ აღუძრა მას შიში, რომ ერთ მშვენიერ დღეს დააბრუნებს ისევ უკან
და რომ ეს იქნება არა ძღვენი, არამედ – სასჯელი.
სხვა სიტყვებით, სასჯელია არა სამოთხის გარეთ ცხოვრება,
არამედ – იმის შიშით დადაღვა, რომ შენ გელის დაბრუნება სამოთხეში,
რომელიც უკვე სამოთხე აღარ არის,
მაგრამ ერთადერთი ადგილია შენს გამოცდილებაში,
რომელსაც სამოთხე ჰქვია და რომელიც ამ სახელით უნაშთოდ აღიწერებოდა.
სწორედაც რომ სხვა სახე უნდა ჰქონდეს სამოთხეს,
რომელსაც ემატება ახალი ადამიანური გამოცდილება: შიში.
ადამიანმა ეს შიში სამოთხის ტერიტორიასა
და მის გარეთ არსებული ტერიტორიის ზღვარზე ყოფნისას მოიპოვა,
ამ შიშთან ერთად არსებობს იგი სამოთხის გარეთ
და ამ შიშით არის მონამლული ის სამოთხე,
რომელმაც შიშის – სამოთხეში დაბრუნების შიშის – შესახებ არაფერი იცოდა.

სამოთხე, რომელიც ადამიანურ გამოცდილებამდე ბუნება იყო და არა მეტი ან ნაკლები
და რომელიც მხოლოდ მასში უცოდველი ადამიანის დაბადებასთან ერთად იქცა სამოთხედ,
მოულოდნელად ხდება ლაბირინთი,
რომლის გზებს მიცემულიც შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი,
ხოლო აღნიშნული ლაბირინთის გარეთ არსებული ადამიანის ცხოვრება
არის მუდმივი შიში,
რომ მან შეიძლება ერთ მშვენიერ წამს ლაბირინთში გაახილოს თვალი.
ანუ, ლაბირინთის გარეთ მისი ცხოვრებაც ლაბირინთულია,
იმ განსხვავებით, რომ აქ არც მინოტავრი არსებობს და არც – არიადნეს ძაფი.
მეორეს მხრივ კი, აქ მინოტავრი ჩასაფრებულია ყველგან ერთდროულად,
რაკი ის ადამიანის გონებაში, მეხსიერებაში არსებობს.
და სად შეიძლება საუკეთესოდ მინოტავრის დავიწყება,
თუ არა მინოტავრის ხახაში? თუ არა ყველაზე მეტად ხილულ
და ყველაზე მეტად მატერიალიზებულ მინოტავრში?
ლაბირინთის შინაარსს, ამ თვალსაზრისით,
ქმნის სწორედ მინოტავრის არამატერიალურობა.
ის არის იდეა, რომელსაც არ უწერია მატერიალიზება ანუ ცენტრირება,
განსხვავებით ადამიანისგან, რომელიც მატერიალიზებული იდეაა,
ცენტრირებული და დროში გადაადგილებადი, კვდომადი არსებაა.
სწორედ მინოტავრის ამ ხახას ეძებს ადამიანი ლაბირინთში,
საიდან შემთხვევით გასვლაც იმ სამოთხეში მოხვედრად წარმოუდგება,
რომელშიც არსებობს ლაბირინთი,
მაგრამ არ არსებობს არც მატერიალიზებული მინოტავრი
და არც მინოტავრის არამატერიალიზებული იდეა;
რომელშიც მისი არსებობა და არარსებობა
უკვე არა მხოლოდ არ განსხვავდება ერთმანეთისგან,
არამედ ეს განუსხვავებლობაც სულერთია;
ხოლო ამ უკანასკნელს არც კითხვები დაესმიან
და არც კითხვებს გაეცემათ პასუხები,
ვინაიდან კითხვები და პასუხები შესაძლებელია მხოლოდ იქ,
სადაც ადამიანი ფლობს წარსულს, გამოცდილებას.
სამოთხეში კი, რომელში უკუვარდნის შიშითაც
ადამიანი დროის საზღვრებში დარჩენას ამჯობინებს,
მეხსიერება საჭირო არ არის, ის წაშლილია სამარადისოდ.
სამოთხის გარეთ არსებობს სამოთხე,
როგორც ჯოჯოხეთადქცეული ადგილის ხსოვნა,
სამოთხეში კი სამოთხის გარეთ არსებობის გამოცდილება წაშლილია.
არა ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია,
არამედ – უბრალოდ – წაშლილია.
მაგრამ თუ სწორედ მინოტავრის ხახას წარმოვიდგენთ ლაბირინთის სახით,
რომელში მოხვედრილი ადამიანისთვისაც ლაბირინთიდან გამოსვლა

მინოტავრის სხეულისგან თავდახსნის,
მისი გარსისგან გათავისუფლების იდენტური ხდომილებაა,
მაშინ თავისუფლებისკენ მიმავალი ერთადერთი გზა არსებობს:
გზა ხახისკენ, უკუსვლა, გამოღწევა იქიდანვე,
საიდანაც მსხვერპლი მინოტავრის შიგთავსში აღმოჩნდა.
გზა კუჭისკენ და თორმეტგოჯა ნაწლავისკენ,
რაც მინოტავრის მიერ მონელებულ-გადამუშავებული
ადამიანის გამოყოფით დასრულდებოდა,
მხოლოდ თავისუფლებაწართმეული ადამიანის დაბადებას უნდა გვაუწყებდეს.
მონელებული და ფეკალიზებული ადამიანისთვის თავისუფლება უცნობია;
მეტიც, მას არ შეუძლია თავისუფლების შინაარსის გააზრება.
მართალია, მას არ ერთმევა უნარი, რომ მიიღოს ცოდნა
და, ამის საფუძველზე, თავისუფლების ცნება აღწეროს და დაახასიათოს
ზოგადი კონვენციის ან კრიტიკული კონიუნქტურის ფარგლებში,
მაგრამ თვით თავისუფლება,
როგორც ერთადერთი და განუმეორებელი ადამიანის
ერთადერთი და განუმეორებელი ბედნიერება,
მისთვის გაუგებარია.
იონას გზა დიდი თევზის მუცლიდან უკანვე,
მისი ამონთხევა, ანუ დროში და სივრცეში მისი უკუვარდნა,
იმავე პრობლემის თემატიზებას ახდენს,
რასაც – მინოტავრის ხახაში მოხვედრილი მსხვერპლის აქტივობა.
იონას ლოცვა, რომ ის არ იქნას გადამუშავებული დიდი თევზის მიერ,
არ დაექვემდებაროს მონელებას,
ადამიანური აქტივობის მიმართულების საკითხსაც სვამს.
ლაბირინთში – იქნება ეს მინოტავრის ხახა თუ, უბრალოდ, სივრცე,
რომლის ყოველი წერტილი მინოტავრის ხახის მოლოდინია –
ერთადერთი გზა უკან სავალი გზაა,
ლაბირინთში სხვა ცოცხალი პერსპექტივა არ არსებობს.
ყველა სხვა მონდომება ლაბირინთში ილუზიაა,
იქნება ეს დროის მოგებისთვის გაღებული ენერგია,
რომელიღაც უკეთეს სივრცეში გადაადგილების ვნება
თუ სულაც მინოტავრის მოქრთამვაზე ბრიყვული ფიქრები.
მხოლოდ დროში და სივრცეში გავლილი გზის უკანვე გავლა
არ არის აქ დროის ფლანგვა,
შინაარსი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ არაპროგრესული ძალისხმევით.
ნებისმიერი პროგრესული ნაბიჯი, ნებისმიერი წინსვლა
მსხვერპლს მიაქანებს მონელებისკენ და მონელებულად ყოფნისკენ,
მონელებული ადამიანისთვის კი, როგორც უკვე ითქვა,
თავისუფლების იდეა ცარიელი ცნება ან ნონსენსია.
როცა იონა დედამიწაზე დაბრუნდა, მან უკვე იცოდა,
რომ დიდი თევზის უფსკრული სხვა არაფერია,
თუ არა იმ დრო-სივრცის გაგრძელება,

რომელშიც ადამიანი დედამიწაზე ცხოვრობს,
და რომ მსგავსი უფსკრულები ადამიანს ფეხის ყოველ ნაბიჯზე ელის,
ისინი მოსალოდნელია ჩვენი არსებობის ყველა მონაკვეთზე,
ნებისმიერ ფიქრში თუ საქმეში. და იონამ იცოდა ისიც,
რომ ნებისმიერ უფსკრულში შესაძლებელია ლოცვა ღვთისადმი,
ღმერთის შესახებ მეხსიერების არა მხოლოდ შენარჩუნება,
არამედ – გააქტიურება ყველა შესაძლო სულიერი მიმართულებით.
ხოლო იქ, სადაც ადამიანი ლოცულობს, სუნთქავს კიდეც.
მაგრამ იქ, სადაც ადამიანის არსებობა დაკავებულია ლოცვით,
პროგრესი არ მნიშვნელობს, პროგრესის მოთხოვნილება ქრება.
თუ სახელმწიფო თავისი დამანგრეველი, პიროვნების წამშლელი მუხტით
რამეს უპირისპირდება, სწორედ – ადამიანის ამ ღვთაებრივ უნარს: ილოცოს.
ყველანაირ იარაღზე საშიში და წარმატებული ფანდი,
რომელსაც სახელმწიფო ადამიანური მეხსიერების დასაშლელად იყენებს,
არის პროგრესის რომანტიზება
და ადამიანის შეკავება ასეთ რომანტიზებულ პროგრესში.
დრო, რომელიც უკეთეს დროს გპირდება, ყველაზე ცუდი დროა.
დრო, რომელიც მიგითითებს სხვა დროზე და იძულებულს გხდის,
მთელი შენი მონდომება მიმართო იმ სხვა, უკეთეს დროში ცხოვრებისკენ,
რომელიც გართმევს სწორედ შენს აქტიურ დროს,
რომელშიც შენი არსებობა და შესაძლებლობები
ერთადერთი საუკეთესო მოცემულობით ხასიათდება,
პარაზიტირებს შენს ანმყოზე, გტაცებს მას
და პერმანენტულად გადაავადებს შენს არსებობას "უკეთეს" დროში,
რომელიც შენი მოტყუების ხარჯზე გაძლიერებული ფანტომია.
ოცნება უკეთეს დროზე,
რომელიც შენ საიდუმლოს გასაღებს მოგცემს
და მასში შესვლის ბედნიერებას გაზიარებს,
სწორედ პროგრესის რომანტიზმით დატყვევებული იმ გონების ხვედრია,
რომელსაც კანტმა ზარმაცი გონება უწოდა
და რომლის სიზარმაცე თვისობრივია და არა – რაოდენობრივი.
მოლოდინი, რომ ადგილი, რომელიც იდეალური საყრდენი იქნებოდა
შენი ერთადერთი ფიზიკური ორგანიზმისთვის,
სადღაც სხვაგან უნდა არსებობდეს,
განაიარაღებს შენს ფსიქიკას, შენს არაფიზიკურ არსებობას
იმ ნებელობისგან, რომელსაც ერთადერთს შესწევს ძალა,
მზერა მიმართოს ყველა უფსკრულისკენ ერთდროულად
და წაიკითხოს ისინი, როგორც საიდუმლოს შეუძლებლობა;
ნებისმიერი შესაძლო საიდუმლოს შესაძლო ფანტომი ერთადერთი უფსკრულია,
დასახსრული მილიონობით უფსკრულის ერთადერთ გამოცდილებად,
არჩევნის გამოცდილებად.
და როცა მსგავს უფსკრულში მოხვედრილი ადამიანი
ირჩევს გზას წინ ანუ არაშინისკენ,

მისი ერთადერთი არსებობა განწირული ხდება
არა დროის ფანტომის ხაფანგში მოსახვედრად,
არამედ – ერთდროულად ყველა შესაძლო ფანტომის ხელში აღმოსაჩენად
და ამ უკანასკნელთა მიერ
მისი ერთადერთი რეალური არსებობისთვის წერტილის დასასმელად,
მისი ჩრდილის დასანაწევრებლად მისსავე სიხარბეში,
რომელიც განფენილია მილიონობით ცარიელ,
უშინაარსო დროში ანუ ვითომ-დროში<...>

# უხილავი ცხოვრება

*Stehen, im Schatten*
*des Wundenmals in der Luft.*

პაულ ცელანი

ნერდე ამდენი ცრემლის ჩრდილში,
შენივე დავიწყებულ ჩრდილში

ნერდე ფასიანი ქაღალდების მიღმა
დაკარგული ქაღალდების ჩრდილში,
იმაში, რაც უკვე არ არსებობს,
რაშიც სიტყვები ერთმანეთს
ბნელი დერეფნებით უკავშირდებიან

ნერდე შენი არსებობის ჩუმ,
უხილავ მიქცევას სიტყვებად,
სასიცოცხლო ამ შეხებას აქცევდე სიტყვებად

ნერდე იმას, რაც სარკმელს ცხენებთან,
ზღვასთან და ხეებთან აკავშირებს;
ნერდე შენი ჩრდილის ნაშლილ არსებობას,
იმას, რასაც სხვები ვერ ხედავენ

ნერდე იმას, რაც შენზე მეტად გამქრალია,
რაც შენზე მეტად არ არსებობს

ნერდე სიტყვებითვე,
ნერდე, სიტყვებს
ნერდე სიტყვებითვე

რომლებიც შენი კითხვებიდან,
ამ კითხვების კითხვებიდან
გაჩენილი სიზმრის სხეულია შენსკენვე,
ვინც ხარ ან ვინც არც ხარ

ნერდე ამდენი ერთი ცრემლის ჩრდილში,
ნერდე ერთ სიზმარში,
სადაც შენი გრაფიკული არსებობა
უკვე ცნობილია,
სადაც შენი მოძრაობის ქორეოგრაფია

უკვე არ არსებობს

წერდე,
ამრავლებდე სიზმრებს და სახელებს,
პასუხების უსიტყვო, სამახსოვრო შრიალს,
აღნიშნავდე ხეებთან, ზღვასთან და ცხენებთან
მათი ყოველი შეხების უცნობ ეროტიკას,
მათი ურთიერთარსებობის
სამახსოვრო შრიალს

წერდე ამდენი ცრემლის ჩრდილში,
ამდენ ერთ სიზმარში
იმას, რაც შენთან ერთად არ გაქრება,
რაც შენთან ერთად გადარჩება

წერდე,
სიტყვებით წერდე იმას,
შენი სიტყვის სიზმრად რაც დარჩება

## მედიტაცია -შორის ურთიერთობის უმნიშვნელო დეტალებზე

(1)

მამაკაცის პლატონური სიყვარული ქალის მიმართ გარდა-
სახული ქალის პლატონურ სიყვარულად მამაკაცის მიმართ
გარდასახული კაცის პლატონურ სიყვარულად ვარსკვლავების
მიმართ გარდასახული ქალის პლატონურ სიყვარულად
თეთრეულის მიმართ გარდასახული მთათა პლატონურ
სიყვარულად მდინარეთა მიმართ გარდასახული კაცის
პლატონურ სიყვარულად საქმის მიმართ გარდასახული
საქმის პლატონურ სიყვარულად ქალის მიმართ გარდასა-
ხული კაცის პლატონურ სიყვარულად სახელმწიფოს მიმართ გარ-
დასახული ქალის პლატონურ სიყვარულად საკუთარი არსებობის
მიმართ გარდასახული მიმართ გარდასახული კაცის
პლატონურ სიყვარულად უსხეულო არსებათა მიმართ გარდასახული
ქალის პლატონურ სიყვარულად ვაშლის მიმართ გარდასახუ-
ლი კაცის პლატონურ სიყვარულად ხილის მიმართ გარდ-
ასახული ქალის პლატონურ სიყვარულად გველის მიმართ
გარდასახული ევას პლატონურ სიყვარულად კაცის მიმართ გარ-
დასახული ქალის პლატონურ სიყვარულად ევას მიმართ გარდა-
სახული კაცის პლატონურ სიყვარულად მწერთა მიმართ გარდასახული
ქალის პლატონურ სიყვარულად ქალთა მიმართ მიმართ გარდასახული
კაცის პლატონურ სიყვარულად საკუთარი თავის მიმართ გარდასახ-
ული ქალის პლატონურ სიყვარულად სიყვარულის მიმართ
გარდასახული კაცის პლატონურ სიყვარულად სპორტის მიმართ
გარდასახული ქალის პლატონურ სიყვარულად მცენარეთა მიმართ
გარდასახული თევზთა პლატონურ სიყვარულად კაცის მიმართ გარდა-
სახული ქალის პლატონურ სიყვარულად შვილის მიმართ გარდა-
სახული სხვათა პლატონურ სიყვარულად ჩვენდა მომართ საიდანაც

(2)

იმ პლატონურ სიყვარულში დანერგილი შემეცნების
კეთილქმნილობა იმ პლატონურ ცნობიერებად საიდანაც
იმ პლატონურ სიყვარულში დანერგილი შებრალების
კეთილქმნილობა იმ პლატონურ სიბრალულად საიდანაც
იმ პლატონურ სიყვარულში დანერგილი შენანების
კეთილქმნილობა იმ პლატონურ სინანულად საიდანაც
იმ პლატონურ სიყვარულად კეთილქმნილი შეყვარების
დანერგილობა იმ პლატონურ სიყვარულში საიდანაც
იმ პლატონურ სიძულვილად კეთილქმნილი შეძულების
დანერგილობა იმ პლატონურ სიყვარულში საიდანაც

იმ პლატონურ სიხარულად კეთილქმნილი გახარების
დანერგილობა იმ პლატონურ სიყვარულში საიდანაც

(3)

პლატონური სიყვარულის დაბადება პლატონის სულიდან სადაც სიყვარულის
პლატონური მოგზაურობა ქალს და კაცს შორის დანთებული პლატონური
შეყვარების გავლით დანთებული პლატონური სიყვარულის გავლით სადაც
შეწყვეტილი მოგზაურობა პლატონური სიყვარულის იდეებში უხილავი გავლით
სადაც პლატონური სიყვარულის შეყვარება იდეების სამყაროში ბინადარი
იდეების მიერ
სადაც პლატონური სიყვარულის ზეცნობიერი მოგზაურობა
ქვეცნობიერი პლატონური სულების წრიალით საშიში
არაცნობიერი ზეცის ხვეულებში სადაც

(4)

პლატონური სიყვარულის იდეით შეპყრობა კაცთა მოგზაურთა ერთმანეთში და
სხვებში
და ქალთა მოგზაურთა შეპყრობა პლატონური სიყვარულის სრულქმნილი იდეით
ერთმანეთში და სხვებში და თანაბრად შეპყრობა მათი ერთმანეთში და სხვებში
დენილი
პლატონური სიყვარულის იდეით შეპყრობილ ერთმანეთში სხვათა გავლით
დენილი მათი
პლატონური სიყვარულის დახრილობით მათ მიერვე შეპყრობილი ერთმანეთის
იდეებისკენ
სადაც მათივე ჩაშეებისკენ ერთმანეთის პლატონურ ზეცაში რომელშიც მათი
ჩახშირება
შეპყრობილი ერთმანეთის დასახსნელად პლატონური შეპყრობიდან
პლატონური სიყვარულისკენ საიდანაც

(5)

*წვიმს და ესერა ჰნათობს მზეი ქოლგაი ფრთეთა ტრე-*
*დისათა შორისი ეგრედ და ესერა წვიმს და ესერა ჰნა-*
*თობს მზეი და გარდაბრწყენს გარდაბრწყენს ეგრედ ცხა-*
*დლივ ეგრედ ქოლგაი ფრთეთა ტრედისათა შორისი ეგ-*
*რედ და ესერა წვიმს და ესერა ჰნათობს მზეი გარ-*
*დაბრწყენს გარდაბრწყენს ეგრედ ცხადლივ ეგრედ და გან-*
*მშორ ეგრედ და სულერთიან-განმშორ-ეგრედ სრულ-*
*ცხადლივ-ეგრედ სრულ-განმშორ-ეგრედ და სრულ-ცხად-*
*ლივ-ეგრედ სრულერთიან-ცხადლივ-ეგრედ და განმშორ-ეგრედ*

(6)

პლატონური სიყვარულის იდეისკენ
დაშურებული ქალის და კაცის დაშურებული
პლატონური სიყვარულის ქალის და კაცის
დაშურებული თაკარა მზის იდეისკენ
პლატონური სიყვარულით ქალის და კაცის იდეისკენ
დაშურებული პლატონური სიყვარულით თაკარა მზის
იდეისკენ დაშურებული ქალის და კაცის
პლატონური სიყვარულით დაშურებული სიკეთისკენ
დაშურებული თაკარა მზისკენ დაშურებული
მზის იდეისკენ პლატონური სიყვარულის
უარსაყოფად დაშურებული ქალის და კაცის
პლატონური სიყვარული თაკარა მზისკენ

## ქარის შესახებ ამ ქალაქში

მაინც სად ნანახი სახეები ქალაქის თავზე ამაღლებული მოლოდინის ვის მიერ
ნანახი დამახსოვრებები მე ვიყავი ვცხოვრობდი ვქრებოდი ამ დახვეწილი
პეიზაჟებით თანხლებულ სიზმრებში ჩაძინების ნაზ საათებში ყველგან და
აქაც ვის მიერვე კოცნანი კედელთა ან შინდისფერ აგურთა
ხელში ატაცებული ჰაერი ან წყალი დაცული არსებობების გავლით
მოგზაური ცხოვრება ვის მიერ რათა შევხებოდი დანახულთა შორის
ნამყოფ ქალებს და შეშლილებს შავ ღიმილს თეთრ ძროხებს და
შორეული ინდოეთის ეროვნულ კეთრს მალულს არაერთგზის
უკლებლივ შემხვედრ ამდენ თვალთა ცრემლში სწრაფ ძილში და
დგომაში სახეების სწრაფ გაქანებათა სადაც იყო ვიყავი ვცხოვრობდი
რომელი ქალაქის მტვრის ნემსები რომელ ქალაქში დატოვებული მეგობრები
სიცოცხლის რომელ მონასტერში მიგნებული ღმერთი ჩემს ბედს
განსაზღვრავდნენ არა მხოლოდ სხვათა ოცნებები არა მხოლოდ არაერთის
ძილის ხანგრძლივობა მაინც სად დასრულებული ძიება სიმდიდრის
ოცნების სად დაწყებული დანახვები შეცდომათა განზოგადებების
მათით დაცინვის სიზუსტეთა სიბრძნის მათით ოცნებების
ავოკადო პოეტების ერთ საერთო თავში მძინარე ქოქოსი
მისი სიზმარი თანხლებული ერთმანეთისკენ ჩვენი ყოველი გაქანების სიუხვით
სისავსით მე ვიყავი ვცხოვრობდი სიზმრებში სულ სხვათა და სხვათა
ჩემს ბედს განსაზღვრავდნენ დიდი ხნის წინ დავიწყებული
გმირებიც კი უხილავი ჩემთვისვე სულაც კოცნანი ბაგეთა და
კრებითი სიბრიყვე სულ სხვა გლობალური კრებითი თავების
სად ნანახი შეხვედრები უახლოეს სხეულთა წარსულის
მათი ამაღლება ჩემს თავზე ან ფრენა ჩემივე არსებობის გავლით
ჩაძინების ნაზ წუთებში შენიშნული ქარის ძალა მისი ცხოვრება და მის მიერ
ჩვეული დაცინვა პოლიტიკური და სხვა სახის საზღვრების ან მათი დარღვევების
სადაც ისევ ჩნდება ტკბობის არაერთი წყვეტილი საათი
მოულოდნელ გამოცდილებათა სახელის არცოდნა
და მათი ასეც მიტოვება რომელიმე უსასრულობაში
ასეც გადარჩენა ყვითელ ფოტოსურათებში შესული ადამიანების
იქ ამღერებული მათი დროის რამდენი ასეთი ქარის შენელების
ჩვენს თვალებში ერთმანეთს შერჩენილ ჩვენს გამოხედვებში
რომელთა თავზე ცა პირს იკრავს გზავნის ეს-ესაა დავიწყებულ
ფერებს ღრუბლებს შორის ურთიერთობების სახით ან ხმაურით
ნაშლილ სულ სხვა ურთიერთობათა სიციევეს წარმავალს
ოდესმე ჩვენგანაც მოგზაურს ჩვენს სხეულებს შორის მიმოქცევად
იდეათა გავლით დასრულებულს გმირთა მიმართებით
უცნობი ნებისკენ რომელიმე დაკარგული სამოთხიდან
რომელიმე სხვა ჯოჯოხეთისკენ ასე უკუქცევით დროშიც და
სივრცეშიც წარმავალი შეხვედრებით წარმავალ გრძნობებთან
ამ გრძნობების თითოეულ წარმავალ ვარსკვლავთან
საიდანაც წინ და არა ზევით მიმავალი ეს გზა(სავალი მცირედთა

და არა ბევრთა) ადამიანურ შესვენებებს მიცემულ გზადმყოფთა სიჩუმე ან მათმიერი გახსენება ოდინდელი ნების(მერამდენე სამყაროდან მერამდენე სამყაროში გადაადგილებით მერამდენე ამ გამოცდილების სახელთა არცოდნით) ქმნის ქარის შეხებებს თვალებთან და ქვებთან სადგურის ულიმლამო ხმაურიდან გამოსულ ადამიანებთან სულ სხვა ქალაქის სულ სხვა მტვერთან სულ სხვა საზრუნავთან თანმხლებთან ნებისმიერ შესაძლო ქალაქში დიდი ხნის წინ დავიწყებულ სხვა წიგნთა გმირებთან რომელიმე საკლასო ოთახში რუდუნებით მომრგვალებულ ასოებთან და სადმე შეკონილი სიმინდის ფერთან

# მესამე ნაწილი

## მორიგი წამის პოეტიკა

სასოწარკვეთილი დამახსოვრებები
ერთმანეთის თვალის ფერის
და მოგზაური ნაბიჯების დამახსოვრებები
სასოწარკვეთით დავიწყებით
მწარე სინანულის ეს-ესაა ქრობით

ჩვენი გულის ნებისმიერ ხვალინდელ დღეში

ცრემლებს მიღმა შენახული
წარუშლელი თვალის ფერის დამახსოვრებათა განლევა
და ამ ხდომილების პროგრესი
ამ პროგრესის სიგიჟის შემჩნევაც
შიშით ან პანიკით
ჩუმად თვალის დევნება მისთვის

ჩვენს სხეულში ჩვენი ფრთხილი მოძრაობები
ფეთქებადი ნახტომები
გაბნეული ამ სხეულის სხვადასხვა ცენტრისკენ
დაკარგული ამ სხეულის ძიება
შიგნიდან ან გარედან
რაც უკვე თითქმის სულერთია

გამქრალი ჩრდილები
და მათი ხსოვნის თვალის ფერიდან
გაჩენილი სხვა ჩრდილები
მათი გადაადგილებები
ჩვენს მოთვალთვალე ფიქრში
ჩვენს შეშინებულ სიგიჟეში
რომელსაც უკვირს ეს სისწრაფე ყოველი ქრობის

ყველაზე უფრო რეალური აბსტრაქციების გამრავლება

ნებისმიერ გამოთქმულ მზერაში
სხვათა თვალის ფერის ნებისმიერ მოულოდნელ უკანდახევაში
და ჩვენივე თვალის ფერის კლებაშიც ყველგან
ყველა იმ სხვა თვალთან შეხებისას
რომელიც არ გვახსოვს
რომელიც მწარედ გვავიწყდება
გარდასულებს ნებისმიერ ხვალინდელ დღეში

სადაც ეს სისწრაფე
სადაც ეს ყვირილი ყოველი ამ ქრობის
სადაც ჩვენი დამახსოვრებების განლევა
ამ განლევის ცრემლიანი სისწრაფე
და რომელიმე ჩვენს უფსკრულში ჩამწყდარი გული

ერთმანეთის სასოწარკვეთათა დამახსოვრებები მათშივე
და პროგრესული განლევა მათი თვალის ფერის
მშვიდად მშვიდად დაკარგული მეხსიერებაში
მშვიდად მშვიდად განლეული დამახსოვრებებში
დავიწყების სასოწარკვეთებში

## კარგი დღე

თვალი ადევნე განთიადის ხის ტოტებზე
ეშმაკურად ჩაძინებულ ვარსკვლავებს და ჩიტებს;
თვალი ადევნე მათ სიმშვიდეს, მათში გარინდებულ ფრენას,
რომელიც, თუნდაც ეშმაკურად ჩაძინებული და თუნდაც ყოველთვის,
კრეფს ყვავილებს ჩვენი გულის ფერად ველზე,
ჩვენი ურთიერთობების ცვალებად ზეცაზე და ფიქრში.

თვალი ადევნე შენს მეხსიერებაში მოგზაური
ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების წაშლას შენთვისვე შეუმჩნევლად;
ამ წაშლილი არსებობის სიცარიელიდან გაჩენილ მათ ტკივილს,
თავმოყრილს ყველა სიცოცხლეში, რომელშიც შენ მიუყვები
სიზმრის ქუჩებს ყოველდღიური სიცოცხლისკენ,
ჭიქა წყლისკენ და შენს სხეულში ბინადარი ბაქტერიებისკენ.

თვალი ადევნე ლექსის წერას თითოეული შენი ხელის მიერ,
და – კალამს, ამ უხორცო მედიუმს, ფორმების და
ფერების ცვალებადობაში მდუმარე მის სიმშვიდეს;
თვალი ადევნე შენს ბავშვობაში ამაღლებული სახეების მიმართ
შენი გულგრილობის გარდასახვებს სხვათა სისასტიკედ,
ამ უკანასკნელთა მიერ წარმოებულ დამპყრობლურ ომებს
შენთვის უცნობ ბავშვობათა ტერიტორიების ჩასაქრობად
და მკვდარ მიწებად მათ გადასაქცევად.

თვალი ადევნე დაცვარული ამ კათხის სიმშვიდეს,
რომელიც, როგორც მეგობრულ ხელს,
გიწვდის ყინულივით ცივი ლუდის ღიმილს,
რომელშიც, როგორც მშვიდი სიმართლე,
მიმოდიან ულამაზესი გერმანელი გოგონები,
პრაქტიკული მათი თვალები და მათში მფეთქავი გულისცემა,
მათ წინაშე შეშინებული დრო, რომელიც უკან იხევს რამდენიმე წამით,
და რომელშიც ასე მშვიდად მიმოდიან გერმანელი ეს მათი კაცები,
რომელთა დაბნეულ სახეებში ასე კარგად საგრძნობია
თითქოს უკვე არსად მყოფი ჰეგელის და ფიხტეს შრომა,
შენთვის ძვირფასი გერმანელი პოეტების სიმღერა და შრომა.

თვალი ადევნე შენი სიზმრების სიფხიზლეს,
მიუწვდომელს ნებისმიერი შენი გუშინდელი დღისთვის;
თვალი ადევნე შიომღვიმის გარდასულ მონასტერს,
რომელშიც ნუ გამორიცხავ რომ ხელახლა იშვი.

თვალი ადევნე განთიადის ხის ტოტებზე
ეშმაკურად ჩაძინებული ჩიტების და ვარსკვლავების

მშვიდ სუნთქვაში აღმოჩენილ შენს სიხარულს ამ კარგი დღის გამო,
რომ შენ, როგორც შორი ფრენით დაღლილმა ფრინველმა,
მოგიკითხა შენი რახანია უხილავი მეგობრის წიგნმა,
უხილავი რამდენი ცრემლივით მოხეტიალე
მისი პოეზიის დაშლილმა და დაფანტულმა წიგნმა.

## ბუნების ესკიზი

როგორც ცოცხალი ადამიანი მიაგდონ სადმე,
საიდანაც გზას ვერ გაიგნებს უკვე ვერასდროს
სხვა, მასავით ცოცხალი, ხალხისკენ,
სახლებისკენ, სადაც ეს ხალხი ემალება უამინდობებს,
გაურბის პოლიტიკურ ან უფრო ცუდ მოვლენებს,
ქუჩებისკენ, სადაც იგი შერბის ერთმანეთში
და ივიწყებს უამრავი შიშველი მინდვრის მზეს,
ცდილობს გაექცეს დამანგრეველ საღამოებს,
ზედმეტ სიღარიბეს და უკვე გასაძლებ სიგიჟეს,
ისეთია ეს ადგილი, რომელიც იწყება თითქმის არსად,
თითქმის უგზო აღმართებში და ხრიოკ მიწაზე,
რომელიც, როგორც ბნელ ტოპრაკში კენჭების ჩხრიალი,
გიკარგავს სიმშვიდეს, ხსნის შენს უხილავ გულს
და აღნევს მასში შეკითხვებად,
რომლებიც, როგორც ისევ სადმე მიგდებული ადამიანები,
მიმოიხედავენ ირგვლივ და იწყებენ ფიქრს სადმე წასვლაზე.
ხვალ ან მერე, ალბათ, აქაც იცხოვრებს ხალხი,
მოინდომებს მძიმე მზის წაშლას
ერთმანეთთან საუბრით და ფარდის გადაწევით,
საყვარელი სახეებიდან საყვარელ ნივთებზე
ღიმილის დაბნეული გადაადგილებით
ან ნებისმიერი არტისტული ჟესტით,
და უკვე ვეღარც გაიხსენებს,
რა დაკარგა ან დაივიწყა მიგდებული ამ ადგილის,
ხრიოკი ამ მიწის და აღმართების სახით,
ჯერ რომლებიც ჩუმი სავალია შორ სასაფლაომდე,
სასაფლაოს შორ საფლავებამდე.

## სამუშაო დღის დასასრული. თემის განვრცობა

1.

სიცივით ან სიცხით შეპყრობილთა
დაძარღვული,
მაგნიტური შრომა

ამოყვანილი კედლის გასწვრივ
ირიბად გადანაცვლებულთა
მუხლმაგარი შრომა

მშრომელი ხელების დაკაპიწებული შერკინება
დუღაბთან და მწველი მზის სხივებთან

რათა შენდებოდეს სახლები და
ადიოდეს კვამლი შორ ზეცაში,
მათი უდრეკი შემართება

ყველა სახის უამინდობის წინაშე სახლების შენება
და მათი გადახურვა კრამიტით ან თუნუქით
ან ფარული ოცნებების ქუდით

წლითი-წლობით ადგილმონაცვლე შენება და გარჯა
მამრობითი სქესის გამრჯე მამაკაცთა
და მათი უდრეკი ხასიათის

მოწოდების სიმაღლეზე სამუშაო იარაღთა ფლობა
და მათი აზიდვა ყველა შესაძლო სიმაღლეზე,
თუნდაც ლაჟვარდებში

ბუნების წიაღის გაფართოებები(შევიწროებები) ოფლით,
შემოსილით დაღლილ თვალთა გამომეტყველებით,
მშრომელი მარჯვენით

2.

უხილავი ენის საყრდენი
ხეები, ტბები, შორეული მწვერვალები
და მათ მკლავებში შენახული უხილავი თოვლი და ყინვა

უხილავი ჩვევის სიფხიზლე ჩვენი ხილული მოძრაობების,
მისვლა-მოსვლის და ჩაძინების ხელუხლებელ სათავეებთან

დარჩენილ მრავალ უხილავ ფიქრში

უხილავი ადამიანის შრომა ჩვენშივე,
ერთმანეთისთვის ხილულ, დაუთვლელ ერთმანეთში
და ერთმანეთის უხილავ გულში,
ყველა გულის ერთ უხილავ გულისცემაში

უხილავ ტბათა, ხეთა, შორეულ მწვერვალთა და
მათ მკლავებში შენახული ყველა თოვლის და
ყინვის საყრდენი ხილული ენა

უხილავი მისი სუნთქვის მიმოფენა
მინდვრებზე და მიწისქვეშა წყლების სითბოზე,
წელიწადის ყველა ხილულ და უხილავ დროზე,
ერთმანეთში მათ უხილავ ჩანაცვლებაზე

უხილავი ნიავის ჩუმი მოგზაურობა ჩვენს ფილტვებში,
შეუმჩნევლად ქრობა მისი ყველა ხუმრობის;
უხილავი მეხსიერების დერეფნებში მიმოფანტული ეს ხუმრობები

უხილავ ტბებში არეკლილ ხეთა კენწეროებზე
ნამით გამკრთალი ენის ხილულ დანაშრევებში
უხილავის გარდასახვა უხილავადვე

3.

ხოლო დღის ბოლოს –
ჩამავალ მზეზე დამიზნებული ამწეები:

სისხლიანი სანახაობა.

## შეყვარებულები ველად

(ამბავი)

1.

როცა ანგარიშმიუცემლად თრთოდა ქარი,
ხოლო მუსიკის ურთიერთგამომრიცხავი ჰანგები
თვალს და ხელს შორის დაკარგულ ხეებს უგალობდნენ,
ჩვენ უცნობი მიმართულებით მივისწრაფოდით ერთმანეთისკენ,
გულში ვიკრავდით მათ და უმალ განვეშორებოდით,
გამიზნულნი სხვადასხვა მხარეს, სადაც გზადაგზა
ჩვენი ფიქრი გვერდს უქცევდა უსახელო მცენარეებს
ან, უბრალოდ, სხვათაშორის, კრეფდა;

2.

როცა განსაზღვრული იდეებით განსაზღვრული
ჩვენი ლტოლვა ერთმანეთის ჰანგებისკენ
და ამაღლებულში მეყვსეული მათი გარღვევები
(სადაც ზოგჯერ ჩნდება კიდეც მოწყალე იესო,
თუნდაც სასურველი, მაგრამ სანატრელი,
დიდხანს მშიერი ბავშვივით საბრალო);
როცა ნისლით დაბურული დილის კალთებიდან
დაშვებული ჩვენი ერთმანეთი, როგორც
დირიჟორის (ჯოხი, როგორც) კვერთხი,
აღმართული ჩვენს ზურგსუკან როგორც;

3.

მე რხეული როგორც შენ რხეული როცა ვიგულისხმებოდით
რხეული ერთურთის განშორიშორებულ მკლავებში და მიწყივ;
მრავალსართულიან სახლთა შორ ლანდშაფტად ქცეული სიზმრები,
იგულისხმებოდნენ რომლებიც უშორეს, კიდეზე ზამთრისა,
სადმე მიძინებულ ჩვენს ფიქრებში დროულ ენძელათა
გამოღვიძებანი, მერყეობდნენ რომელნიც ერთგულად,
ჩვენს გაქანებებში ჩნდებოდნენ ერთგულად,
თავს გვესხმოდნენ სიზმრებში ერთგულად,
ერთურთის მკლავებთან ჩვენივე მკლავების
მიახლოებისას ჩვენი ლირიკული შენებანი როგორც
და მომავლის მდუმარე მუსიკა, შავ-თეთრი შრიალის
ხმოვანება როცა ხმოვანება როგორც;

4.

ჩვენ, სხვათა შეყვარებულები ერთმანეთის ირგვლივ,
როცა ჩვენი ლტოლვის თხელ ნისლს მინდობილნი,
კანდაკან ჩავლილი ერთმანეთის მერე,
მატერიალური ამ ჩვენი თვალებით
ყრუ ბაგეებს ვუხსნიდით ერთმანეთს,
და სიტყვებს კი არა ან მათ რთულ კავშირებს,
ენად შეხორცებულ სიჩუმეს ვუმზერდით,
ქარით ცრემლნარევ და დამძიმებულ ენას,
ვერავისთვის გასაგონ ანდროგინს,
(ო), მაშინ ჩვენ ვურბენდით ამ ირგვლივ ერთმანეთს,
(ო), მაშინ ჩვენ ხელთ გვეპყრა ერთურთი ერთად.

## დედალოსის მიერ არიადნესადმი მიძღვნილი და პერსევსისადმი მირთმეული ოდა, რომელიც, ალექსანდრიული ეპოქის სწავლულთა მტკიცებით, შექმნილი უნდა იყოს თეზევსის მიერ არიადნეს მიტოვებამდე მრავალი წლით ან საუკუნითაც კი ადრე. ცუდი თარგმანი

### §1

და ვარსკვლავები არსებობენ და ჩვენ აქ არ ვართ,
ანუ: რომ მხოლოდ ერთხელ ხდება ეს ყველაფერი,
და რაც გვიხსენებს, ჩვენ კი არა, იხსენებს იმ გზას,
რომელიც სხვაა, და იმ სხვასაც აქვს დასაწყისი
ჩვენში კი არა, სულ სხვა დროში, სხვაგან და სხვასთან.
მინდა, წამიერს ვუერთგულო, არაფრად ჩამგდებს
ორ სუნთქვას შორის გაჩენილი სიტყვა-უფსკრულის,
რომელშიც ცვივა დავიწყებას გადარჩენილი,
წარსულს და მერმისს შერჩენილი ყოველი მზერა.
რაღაც მიფრინავს, რაღაც თითქოს მარტო შთენილა,
მაგრამ, რატომღაც, ზეცა მაინც ცარიელია,
ერთმანეთისთვის ვერ იმეტებს, რატომღაც, აწმყოს
ერთმანეთს მალვით შეხიზნული ორი არსება.
მათ უანგაროდ გაუცვალეს, ალბათ, ერთმანეთს
გზები, რომლებიც გააჩნდათ და არ სჭირდებოდათ,
და ერთურთამდე მიიტანეს მხოლოდ იმიტომ,
რომ რაც ებადათ, ამ გზებს შერჩა და შეერია.
და არც იმ ერთხელ, როცა ხდება! ჩვენს თვალს მომწყდარი,
მაშინაც, ალბათ, დროს მოძრაობს, რაც ამოძრავდა;
როცა ერთმანეთს მოძრაობენ, დროს მოძრაობენ,
გზაც დროა, მაგრამ დრო არაა მეხსიერება.
და თუ შენც დრო ხარ, უნდა დაგთმო, უნდა დაგძლიო,
უნდა შეგეხო, ამოგშალო ჩემი ხსოვნიდან
და ჩემი თავიც ამოვშალო იმის ხსოვნიდან,
ვინც ხსოვნა მოსპო, მაგრამ თავი გადაირჩინა.
ნუ შემპირდები მარადიულს. ეს იოლია -
არ უერთგულო, აუჯანყდე ქრობადს, წარმავალს;
ბევრად ძნელია, არ გახსოვდეს ის, რაც არ იყო
და არც იქნება, მაგრამ იყო, მაგრამ იქნება.
დაახლოებით ისე, როგორც იქ, მთაზე, ხე დგას,
ისე უბრალოდ, ისე უტყვად, ისე მარტივად,
რომ ფესვი ტოტად, ტოტი ფესვად გადაქცევია,
და არ აპირებს არსად წასვლას, ცაშიც კი - არა,
არ იგერიებს დღეს ან ღამეს, აღმერთებს თამაშს,
და უცნობია მისთვის წამიც, მარადისობაც.

* * *

ყოველი სიტყვა დამწვარი და არდანაცრული
არის წარსული ანუ თითქმის რაღაც მესამე
ყოველი სიტყვა რომლითაც ჩვენ ერთმანეთს ვკარგავთ
არის შეხება არშემდგარი შენსკენ და ჩემსკენ
ყოველი სიტყვა რომლითაც ჩვენ ერთმანეთს ვინყებთ
არის დრო ჩვენით რომ არ ითქვა და დავივინყეთ
ყოველი სიტყვა რომელიც ჩვენ არ გვსაჭიროებს
არის ცრურწმენა და ისეთი დასასრულია
რომელიც ფიქრობს დასანყისად არ გადაიქცეს
ყოველი სიტყვა ერთმანეთი რომლითაც გვიყვარს
არის სასჯელი მოვლენილი შენზე და ჩემზე.

* * *

არ ვწერ სიმღერებს არ ვწერ ლექსებს არ ვწერ დღიურებს
ვერც აზრებს ვბადებ შენს საკადრისს ვერც სიზმრებს ვხედავ
არ მაქვს წარსული არ მაქვს აწმყო არ მაქვს მერმისი
არ ვფლობ სიმდიდრეს ავილო და გიბოძო უხვად
რაკი სურვილის მანქანაა ჩემი ბატონი
ვერც სექსს მოგიძღვნი ისეთს სხვისთვის რომ არ მიძღვნია
მაგრამ გულით მსურს შენ მოგიძღვნა ყველა ღალატი
რომელსაც იწვევს უსუსტესი ეს ჩემი ვნება
მაგრამ გულით მსურს გისახსოვრო რამე ისეთი
რაც არასოდეს შენს ხსოვნაში არ წაიშლება
რაც შენს სიკეთეს ერთიასად ვერ გადაიხდის
რაც ხალხის თვალში ნათელს მოჰფენს შენს თავდადებას
და ამიტომაც შენ გეძღვნება ჩემო ძვირფასო
ჩემი და შენი შეუღლების ეს მწირი სუფრა
და ხელმოწერაც შენ გეძღვნება და ეს ჯვრისწერაც
და ის პაწაწაც რომ გავაჩენ შენ მოგეძღვნება
და ფეხსადგილში ჩემი შესვლა ყოველდღიური
და ნეტარებით ჩამუხლული ჩემი იქყოფნა
და ჭინთვის წუთიც და ის სუნიც მზეთუნახავი
და უშუქობაც ჩემო კარგო შენ მოგეძღვნება.

* * *

ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა.

ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ.

იმასაც კარგად ვგრძნობთ, რომ საქმე ნელ-ნელა მიდიოდა ცუდად, მაგრამ ჩვენ ამას ვივიწყებდით და, ალბათ, ამიტომ მიდიოდა საქმე ასე ცუდად.

და აი, ვამბობთ, რომ დავუბრუნდებით იმ ჩვენს მხარეს, რომელმაც ბევრ რამეს გამოგვტაცა.

დიახ, ვამბობთ, რომ ის მხარე უკვე ჩვენშია და ძალიან ცდილობს, ჩვენთან ერთად გადაირჩინოს ბევრი რამე.

ჩვენ კი იქ წავალთ, სადაც საშინელი სამსჯავროს სცენას ჰგავს ჰაერი იმათთვის, ვინც ისევ საკუთარი ჰაერით სუნთქავს.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა.

რა კარგი დღე იყო: მინის ბელტებს მზე აშრობდა; ჭერში მარცხენა ფრთით ეკიდა ბუზი, უხილავი ძალებით რხეული; რადიო ჩართეს და ხალხურმა სიმღერამ განწყობა შეცვალა, შეცვალა ჰაერი. მე კი შეგეხვეწე: ქვეყნად ნურავის და ნურაფერს ნუ აქცევ საკუთარი კომფორტის ნაწილად. კომფორტსაც კი - ნუ. და ეს ხმა გაისმა შორეულ ავტოკატასტროფაში დაღუპული ახლობლის ექოდ, დასაკარგად განწირულ ექოდ.

ჩვენ კარგად ვგრძნობდით, რომ საქმე იმაზე ცუდად იყო, ვიდრე ჩვენს ფიქრებს წარმოედგინათ. სურნელოვანი იასამანივით ყვაოდა ნიავი და სევდას, რომელმაც თავი შეგვახსენა, სამოქმედოდ აგულიანებდა.

აი, როგორ: ტახტზე ვიწექით, და საქმე არავითარ შემთხვევაში არ იყო კარგად, და მე თვალი შევავლე გაზეთს, რომელიც გულუბრყვილოდ და თავმომწონედ გამოხატავდა თავის პოზიციას, როცა მკერდზე ისვირინგებდა მტკიცებას, რომ.

საქმე ცუდადაა, არა?

ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს ცოდნა ჩვენი მტერია.

და მე მაინც, რაღაცნაირად, შიგნიდან მტანჯავს ეს გაზეთი, რაკი მის კალთებს შეფარებია ადამიანი, რომლის გადასარჩენად მე გავიღებდი ჩემი დარჩენილი სიცოცხლის ნახევარს, და რომელიც, დაე, ერთობოდეს ჩემით, თუ ასე სურს. დაე, ერთობოდეს ჩემით.

დიახ, იქ წავალთ, სადაც ფიქრს მხოლოდ ეს წარმოშობს - იძულება, რათა არ ვიყოთ მარტო ნივთებს შორის, რომლებიც პირდაპირ კი არ გვკლავენ, არამედ - ირიბად, იმით, რომ გვიკლავენ უძვირფასეს ადამიანებს ჯერ კიდევ მანამ, სანამ გავიცნობდეთ.

საქმე ძალიან ცუდადაა?

მხარეს, რომელიც ოდესმე მაინც იქნება და აგვაცდენს იმ გზას, რომელიც მიეშურება დაცემულთა და დაღლილთა შორის ხეტიალისკენ ან, ვთქვათ, შეშლილთა შორის გამოხედვისკენ, რომელიც ტკბილად ცხოვრობს სიტყვაში და შეუძლია შენც გიწილადოს იგი - ეს სიტყვა - სისწრაფით აზრის დამფარავი.

ჩაგესმა თუ არა იმ წარსულში, რაც შეგეხვეწე?

ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა, ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ.

სიცოცხლე აღარაა გასაგები და ერთადერთი. ის იმდენია, რამდენჯერაც გავითამაშებთ ახალი შეხვედრით დატყვევებულები და მაშინვე ისე კარგად ვიწვით, როგორც ქურაში - ქვანახშირი, როგორც გასვლა მხურვალებაში და - იქვე - ნახშირში.

მერე რა, რომ ეს კარგი ცოდნა ჩვენი მტერია.

ჩვენ ისე გვიყვარს ჩვენი მტერი, როგორც ჩვენი ქროლვა ერთმანეთის წარსულისკენ, სადაც ვერასდროს ჩვენს თავს ვერ ვნახავთ.

ჩვენ ვართ გამოძახილი კედლის იქიდან, ყრუ კედლის იქიდან, ჩვენსკენ.

ჩვენ ვართ ბანჯგვლიანი მკლავივით უხეში ეჭვი, რომ კიდევ რა ვართ?

ჩვენ ვართ შემოსაზღვრული მთებით და ტყეებით, რომლებიც მართლა არსებობენ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქმე შეიძლება არც იყოს ცუდად.

* * *

ჩვენ ცოცხალი ქათმით ვთამაშობდით ფეხბურთს და ერთმანეთს სულაც არ ვუგებდით.

ჩვენ ვამბობდით: „ზუფერ, ზუფერ მაგას".

ჩვენ განვრისხდით, თვალები მივიხურეთ და გავქრით.

ჩვენ ანცი გოგონებივით შევრბოდით და გამოვრბოდით ერთმანეთში, მაგრამ გვეშინოდა.

ჩვენ ისე გვციოდა, როგორც მოსალოდნელია, თუ დღისით, მზისით.

ჩვენ გაუთავებლად ვახველებდით ნარბ-ნამნამების და ქუჩის მიღმა.

ჩვენ კიდევ ერთხელ მიმოვიხედეთ და ეს რა დავინახეთ.

ჩვენ ერთმანეთს ვაგულიანებდით: „აბა, ვინმემ ხომ არ მოიგო?".

ჩვენ ყურები ერთმანეთს დავუგდეთ და უშველებელი ნაბიჯებივით წიგნისკენ გავხტით.

ჩვენ ცხენებს ხელები დავტაცეთ და ერთმანეთს გავუცვალეთ.

ჩვენ არც ცას დავუნიშნივართ და არც ერს გავუზრდივართ.

ჩვენ ცხრა კარი გავაღეთ, მაგრამ როცა მეათე ვერ გავაღეთ, ყურები ჩამოვყარეთ და უკან აღარ დავბრუნებულვართ.

ჩვენი სიტყვები კანონები არიან იმათთვის, ვისაც ფეხზე გადადებულ ფეხში გული უცემს.

ჩვენ გვიყვარს სიმღერები, რომლებიც მღერიან და ცეკვავენ თავდავიწყების და ჩვენი ჩათვლით.

ჩვენ სკამებს და ბურჟუაზიას ვერჩით.

ჩვენ ისტორიული ხედვა გვაქვს და ზომიერების გრძნობა გაგვაჩნია.

ჩვენ სათვალავში ჩავვარდით.

ჩვენ სიტყვა შევასრულეთ და კიდევ ერთხელ გავქრით.

ჩვენ ვართ უღარიბესთა და შარელიანთა ფენა.

ჩვენ გულწითელები მოვიქნიეთ და მინაზე დავანარცხეთ სიზმრის მიწურულს.

ჩვენ ვინც გამოგვყვება, ინანებს მაშინაც, როცა მარცხნივ წავა, მაშინაც, როცა მარჯვნივ წავა, მაშინაც, როცა პირდაპირ წავა და მაშინაც, როცა უკან დაბრუნდება.

ჩვენ ანაზდად აღმოვჩნდით ერთმანეთის გვერდით და კიდეზე.

ჩვენ ერთმანეთი ყოველთვის უდროო დროს გვიყვარს, მაგრამ ლუდიც გვემახსოვრება.

ჩვენ სადაც ვართ, იქ ძაღლის თავი მარხია.

ჩვენ ვინც გამოგვყვება, ინანებს, ჩვენ თუ არ გამოგვყვება.

ჩვენ ვკლავთ გულებს, რათა იდინონ.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვართ ჩვენი ერის სინდის-ნამუსები.

ჩვენ მალაზიაში შევიძინეთ კბილის სახეხი მოწყობილობა და ნდობით აღვიჭურვეთ.

ჩვენ ხინკალიც გვიყვარს ლუდთან ერთად.

ჩვენ არ მივუძღვებით ერს არც წინ და არც უკან.

ჩვენ დავახურდავეთ ნაირ-ნაირი სიდიდის ფული.

ჩვენ არ გვაღირსეს აფრენა, მაგრამ არც ჩვენ ვეღირსეთ.

ჩვენ გვჯეროდა: „ვინ მოიგონა, ვინ მოიგონა აკვარიუმი ოქროს და სხვა ფერის თევზებისთვის?“.

ჩვენ, ვინ მოთვლის, რამდენი წიგნი წაგვიკითხავს.

ჩვენ ისინი ცისფერი ეკრანიდან მოგვიწოდებდნენ, ხოლო როცა ქუჩებში გვხვდებოდნენ, გვიღიმოდნენ და გამარჯობას გვეუბნებოდნენ.

ჩვენ დედის ძუძუ გვიწოვია.

დიახ, აფრენას არ ვეღირსეთ.

ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვუძღვნიდით იმას, რაც ყელამდე გაგვაჩნდა: სამშობლოს (ასე ვერთობოდით).

ჩვენ შემოდგომაც გვიყვარს, მაგრამ ძალიან ცოტანი ვართ.

ჩვენ თავი შორს გვიჭირავს ნევრებისგან და დეპუტატებისგან, მაგრამ ვიცით, რომ თუ ეს თავი ჯერაც მხრებზე გვადგას, ისევ - ნევრების და დეპუტატების წყალობით.

ჩვენ რიგ-რიგობით გავდიოდით ტუალეტში, ვისაქმებდით და შემოვდიოდით, რაც საკმარისი იყო ჩვენი ბედნიერებისთვის.

ჩვენ არ ვგავართ ტელე-კინე-ვიდეო კაცებს, რომლებიც ერთბაშად კეთილი ხალხია.

ჩვენ ცეცხლი გავაჩაღეთ და არაყი დავლიეთ.

ჩვენ რაღაც უფრო სასარგებლოც მოვიმოქმედეთ, მაგრამ აღარ გვახსოვს.

ჩვენ ვამბობდით: „ზუფერ, ზუფერ მაგას!“.

ჩვენ სიზმრებს ვხედავდით, სიზმრებში - ერთმანეთს.

ჩვენ ეს ზაფხული ზღვაზე გავატარეთ.

ჩვენ რედაქციის კუთხესთან ვდგავართ და ვათვალიერებთ მანქანებიდან გადმომავალ ქალებს და გოგონებს.

ჩვენ არც ისე ხშირად გვწყურია წყალი.

ჩვენ, სხვათა შორის, კარგები ვართ.

ჩვენ პირველად ვნახეთ ჩვენს სიცოცხლეში დამპალი ვაშლი, რომელიც გაშავებულიყო.

ჩვენ გავურბივართ მედიკამენტებს, რათა ვიცოცხლოთ.

ჩვენ სიზმრებში ერთმანეთს გასაოცარ პოზებს ვანიჭებთ.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ უსინათლობა ჩვენი სანთლური ყოფის განუყრელი ელემენტი გახდა.

ჩვენ კიბორჩხალას ხორცს გემო გავუსინჯეთ.

ჩვენ, სხვათა შორის, ძალიან გვიხდება ჩვენი თავი.

ჩვენ სახეები დავმანჭეთ და პირში ფრჩხილები გამოვივლეთ.

ჩვენ ბევრი მტერი გვყავს იმათ შორის, ვისაც არაფერს არ ვუშავებთ.

ჩვენ ისევ რედაქციის კუთხესთან ვდგავართ და ვათვალიერებთ მანქანებში შემავალ ქალებს და გოგონებს.

ჩვენ რომ დამპალი ვაშლი ვნახეთ, დამჭკნარი როდი იყო.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ცალ-ცალკე ვხდებოდით, ერთად კი ვსივდებოდით და ვმახინჯდებოდით.

ჩვენ ვხედავდით, დროდადრო როგორ ჩამოდიოდნენ ისინი საიდანღაც და გულდასმით გვპატრონობდნენ.

ჩვენ საღამოს ბავშვები ბაგა-ბაღიდან გამოვიყვანეთ და პედაგოგებს თავაზიანად დავემშვიდობეთ.

ჩვენ ქ(ხ)ირომანტიით არასოდეს დავინტერესებულვართ.

ჩვენ სამ ლარს ერთი ფოლაქი დავუმატეთ და საქმესაც კარგი პირი გამოუჩნდა.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს მტრებს უნდოდათ, ჩვენნაირი მტრები ჰყოლოდათ.

ჩვენ თოჯინებს თმები შევკრიჭეთ, მუცლები წითლად შევუღებეთ და თავში ერთმანეთს არნახულად ვურტყით.

ჩვენ ბოლოსდაბოლოს მწვადების და ასოების ერთმანეთისგან გარჩევაც ვისწავლეთ.

ჩვენ დავთქვით შეხვედრა მარსზე და გულამომსხდრებმა ვიტირეთ.

ჩვენ ავყვირდით: „ბებია, ბებია!".

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ თუ გაძლებას შევეჩვეოდით, გადარჩენაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა.

ჩვენ ვთქვით, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ აიტაცეს თუ არა ჩვენი განაჩენი, ცხენებს ისევ ხელები დაეტაცეთ და ყურები ჩამოვყარეთ.

ჩვენ ისეთი, ისეთი სენტიმენტალურები ვიყავით, რომ.

ჩვენ ავტონომიური სახელმწიფო უნივერსიტეტი სულაც არ დავამთავრეთ თურმე.

ჩვენ პურს ყველი და კარაქი მივატანეთ.

ჩვენ თვალი მოვკარით საათის წიკწიკს.

ჩვენ ვერც ამჯერად შევუნარჩუნეთ სიტყვებს და მურაბას სიცინცხალე.

ჩვენ სულაც არ გვაინტერესებდა ჩვენი წლოვანება.

ჩვენ ფეხებსაც ვერ მოვჭამდით ხოლმე ერთმანეთს.

ჩვენ საქმეს ვერ ავუვედით.

ჩვენ ვერც ტომატპასტას შევუნარჩუნეთ სიცინცხალე.

ჩვენ თუ ჭკვიანად არ მოვიქცევით, თავს და ენას მოგვაგლიჯავენ და კაკალს ველარ ვუყრით.

ჩვენ ვჭამეთ ბევრი რამ და საკვირაო სკვერში დავისვენეთ.

ჩვენ ვამბობდით: „ზუფერ, ზუფერ მაგას!".

* * *

ეს მხარე დასახლებულია სასიკვდილო განაჩენებით,
რომლებიც სოროებიდან გამომძვრალი თაგვებივით
უფრთხიან ხმაურს და არიან უკვდავები, გენიალურები.
არიან მარტოსულები თავ-თავიანთ გენერაციაში.

ეს მხარე მოფენილია ნამეხარი და დამსკდარი ხეებით,
როგორც ცოდვის სიმბოლოებით
და ყოველთვის თავიდან ამოსახსნელი, რიტმული ნიშნებით.
ისინი გვივიწყებენ და გვიხსენებენ, -
ასეთია მათი არსებობა,
გულისცემასავით ხაზგასმული და ერთფეროვანი.

ეს მხარე დასახლებულია ჩვენით,
მაგრამ ჩვენ დიდი ხნის წინ დავტოვეთ ეს მხარე,
რაც ცნობილია იმათთვისაც,
ვინც ამ მხარეში ცხოვრობს
და იმათთვისაც, ვინც აქ არ ცხოვრობს, მაგრამ
ვისთვისაც ეს მხარე - ასე თუ ისე - უცნობი არაა.

ეს მხარე დასახლებულია ექიმებით,
რომლებსაც ჩვენ უკვე ველარ ვუშველით,
რომლებიც დარჩებიან და ალესრულებიან ექიმებად
და არა ადამიანებად, რომლებიც მათში - ექიმებში -
ჯერ კიდევ დაბოდიალობენ.

როგორც ჩანს, ამას გულისხმობს აზრი,
რომ ამ მხარეში ადამიანი - ანუ ავადმყოფი -
ჯერ კიდევ შეიძლება მოიპოვებოდეს.

* * *

სუსტი ხარ მეთქი, გეუბნები, ჩემო სხეულო,
და გეუბნები უკვე ისე დამაჯერებლად,
რომ მევე მჯერა ამ ოხერი ჩემი სიცრუის,
რომელიც ჩემი უცნობია დამაჯერებლად,
ჩემი ნაცნობი არსებობის მეორე მხარე,
რომელიც დღემდე ქარებს მიქსევს ნამში იმდენჯერ,
რომ შეიძლება ჩემს ცხოვრებას დაერქვას „დიახ",
რომ შეიძლება ამ ტკივილებს ვიმეორებდე
იმათ პირისპირ, ვინც უცხოა ჩემი სახლისთვის,
სადაც ცხოვრობენ, დიახ, სადაც ცხოვრობენ სხვები,
იმაზე მეტად ან ნაკლებად რეალურები,
ვიდრე - ტკივილი გამოხრული გულის არეში,
უკვე იმდენად და იმდენად რეალურები,
რომ შენს ტანს, ფრჩხილებს, გამოხედვას და მეტყველებას
ვერ იკავებენ უკვე შენი ცუდი ფიქრები,
და შეიძლება იცოდე ან იზეპირებდე,
რომ უცნობია თავდადებით და თავდადებით
არის ნაცნობი ჩემი ენის მიმართულება
იმის პირისპირ, რაც გაქრა ან ისე დაყრუვდა,
როგორიც იყო მაშინდელი ტაში იმ სახლში,
სადაც ვამბობდი, არ ხარ მეთქი უკვე იმდენად,
დიახ, იმდენად, რომ ჩარეცხილ წყლებად ქრებიან
ამ უმახინჯეს სახლებს შორის შენი ფიქრები
და დაეძებენ შორს ანთებულ დამახსოვრებებს
ან, დიახ, ასე, დაეძებენ ღიმილს ბაგეზე,
ან, დიახ, ასე, შენთვის ნაცნობ გამოცდილებებს
იმეორებენ გამდინარე სისხლის პირისპირ
შენი ხელები, შენი ფრთები, შენი ხელები,
დამვიწყებლები კიდევ ერთხელ ტაშის შემოკვრის,
აკიელებულნი უკიდურეს წერტილში შენი
ძალისხმევისა და თევზისა, შენ რომ მიირთვი
და ახლა მწარედ ედინება შენი ენიდან,
შენი სისავსის შეუცვლელი აბსტრაქციიდან,
გაედინება პურში, ხეში, ქვეწარმავალში,
გაედინება უამრავი ცუდი ჩვევიდან,
ჩვევიდან დროზე და სიკვდილზე მიმაგრებისა,
ჩვევიდან ზღვაში, მდინარეში ჩადინებისა,
ჩვევიდან ხსოვნის, ისტორიის დავიწყებისა,
ჩადინებისა ბაბილონის ურიცხვ გოდოლში,
ურიცხვ ნარღენაში და სიზმარში ჩადინებისა,
გადახვეწის და გულისცემის აჩქარებისა,
ერთ ტანში ტანის ერთიასად გამრავლებისა,

და ამის მერე, კარგად ყური დამიგდე მეთქი,
შენს ტანში, ფრჩხილში, გაჩერებულ გამოხედვაში
განთავსდებიან უმეტყველო ჩემი ფიქრები
და წარმოშობენ ელეგანტურ ადამიანებს
შენი სიბნელის და ღიმილის ყველა კუთხესთან,
სადაც ეს ტანი, ეს ფრჩხილი და ეს გამოხედვა
ცარიელ გულში ჩარჩენილი ჭრილობებია,
გამოყოლილი ოდინდელი დიდი ომიდან,
დანაკარგების წმინდა მთიდან, ძალიან დიდხანს
შენი სიმღერის რთული ხილვა რომელიც იყო,
განთავსებულთა სანუგეშოდ, მათი მიზნების
გადასაძლევად იმათ მიერ, ვინც შენ იყავი
გუშინ, გუშინწინ, იმის წინ და ათასი წლის წინ,
ვინც უარყავი დაკარგულის შესაჩერებლად
შენგან შორს, უკან, წინ, სიტყვაში, საქმეში, ძილში,
ყველაზე უფრო კონკრეტულ და მყიფე ფიქრებში,
შორს და შორს შენი დაუცველი შეხვედრებიდან,
სენტიმენტალიზმს, ყვავილებს და სანაგვე ურნებს
გამოკლებული, უცოდველი სიმარტივიდან,
აღარავისთვის გასაგები სიმარტოვიდან,
რომელიც სადღაც გადაკარგულ ხის ფუღუროში
შეხიზნულხარ და ემალები სიგიჟეს, სიკვდილს,
რომლებიც უკვე შენი ჩუმი ბედისწერაა,
ვინც უარყავი დაკარგულის შესაჩერებლად
შენი მაგიდის, შენი ფიქრის, ქაღალდის სახით,
ვინც უარყავი იმის ფასად, ვინც ახლა შენ ხარ
ხის ფუღუროში საქმიანად შემრგვალებული,
როგორც ტკივილით დაგრეხილი, უფორმო ტანი,
მზით და ხრიოკით დაცული და გადაგდებული
შიგნიდან, ყრუ და რკინასავით მშრალი სიღრმიდან,
ზრდადი ბედით და სევდიანად ზრდადი საშველით,
რომელიც არის შენი ცუდი გამოცდილება,
და გეუბნები, ჩემო ტანო, რომ შენს ფიქრებში,
შენი ხსოვნის და ერთგულების სიმარტოვეში
ჩემი სიმღერა უკვე აღარ მონაწილეობს,
აღარც - ეს გული, რომ მოდის და უხმოდ ჩამძახის,
რომ უფლება მაქვს, უფლება მაქვს, რომ უფლება მაქვს
ხელმისაწვდომად შევიძინო ჩემი ცხოვრება
ჩემთვის სასურველ ნივთებთან და ფიქრებთან ერთად,
ურთიერთობებს თანდართული დანაკლისების,
წაგებების და მოგებების სრული თანხლებით,
აწმყოსთან ერთად, საიდანაც კარგად მოჩანან
დაუცველი და ერთმანეთზე გადაუცვლელი
ჩემი ხილვების ძირითადი კონსტრუქციები,
ჩემი სუნთქვის და ჯანმრთელობის, ავადმყოფობის

გამჭოლ ჰაერში მოქანავე საცხოვრებლები,
დიახ, მოდის და დამყურებს და უხმოდ ჩამძახის,
რომ შემიძლია ბატონობა ათას წვრილმანზე,
მრავალ და მრავალ გრამატიკულ კონსტრუქციაზე
და ბევრზე ბევრი გადაშლილი ავადმყოფობის
წმინდა ნაყოფთა სიმრავლეზე, სიარაფრეზე,
რომ შემიძლია ვივიწყებდე ისე იოლად,
როგორც სიზმრებში ჩემი სიტყვა ივიწყებს სათქმელს,
ყველას თვალწინ და გასაგონად ვცხოვრობდე იმას,
რაც ჩემია და ასერიგად მშობლიურია,
იქიდან, თეთრი კედლებიდან მოპოვებული
რაც მაბადია ექიმების ხშირი თანხლებით,
რბილი პირადი შენჯღრევების მონარჩენებში
ამოკითხული ათასობით მიმართულებით,
რომლებიც ყოვლად უმიზნოდ და უდასასრულოდ
შემახსენებენ ჩემს გეგმებს და ჩემს ჩანაფიქრებს,
ჩემს სამშობლოში გაქცევაზე მზაკვრულ ოცნებებს,

* * *

შეიძლება, ისინი სულაც ჩრდილებმა წარმოშვან.
სარკის წყვდიადში ჩაძირულმა, შეშლილმა ადამიანებმა,
რომლებიც ბუნებას მხოლოდ იქ ხედავენ,
სადაც ის თავისი თავისთვის არაა,
სადაც დამნახველი დასანახს აქცევს დანახულის დამნახველად
და ცვლის რაკურსს მხოლოდ მაშინ,
როცა საქმე ეხება თამაშს.
შეიძლება, ისინი წარმოშვან ღარიბმა ძაღლებმა,
რომელთა ყეფაში გამთლიანებული, მძვინვარე სიგიჟე
თავს უყრის ვარსკვლავებს და ამრავლებს იმედს,
თავისი ღიმილით დაღდასმული ლექსებიდან გაპარულ მინას,
თავმოყრილს ცაში, რომელიც უკლებლივ ყველაფერს ირეკლავს,
მართლების ჩათვლით.

* * *

ჩემს თავში
მამის შიში განწონის დედის შიშს
და ქმნის ხედს ფანჯრიდან -
აბრევიატურას
ჩემი გამოცდილების ნაკლულობის,
ჩემი ხედვის კუთხის;
ქმნის დედის თვითრწმენას,
განწონილს მამის შიშით
და ცაში ასული მწვერვალებით,
ჩასულით ჩემს თავში,
რომელიც (როგორღაც) ვეღარ უერთდება
გულის მღელვარებას,
შემოსაზღვრულს მარადმწვანე წარუმატებლობით,
პოტენციის წარმოების მუდმივი უნარით,
უნიჭობის ამ უუნარობით,
და უკვე ჩემს თავშიც
თოფიან კაცზე მონადირე
ველური იხვები დაფრინავენ,
და სივრცის ქურაში მსხვრევადი მათი ხმა
აჯამებს სიცოცხლეს,
შავ ბუშტებად გაფანტულს
ფრთებში,
რომლებშიც მტვერი არ არსებობს.

* * *

ბოლოს ჩვენი თავიც გაგვახსენდა ამ აურზაურში, -
როგორები ვიყავით მაშინ, ჩვენ-ჩვენი ხმით დაკავებულები:
ჩვენი დგომის ჩრდილი მანქანების ხმაურს ანელებდა
და წარმოქმნიდა გადაძახილს
უკვე მოძრავ იმ ქმედებებს შორის,
რომლებსაც, როგორც ჩვენზე ადრე დახოცილებს,
ვერ დავეწეოდით დღეიდან ვერასდროს;
გაყვითლებული წიგნის გვერდებიდან ამოხეულ ჩვენს სიკვდილს -
ამ ჩვენს მონდომებას - ქარი ფოთოლივით მიაფრიალებდა,
ტბაში მოციმციმე კენწეროებივით შორს ჩვენგან მიაფრიალებდა.

# შენიშვნები

2008 წელს გამოცემული ერთტომეული სახელწოდებით "ლექსები 1984-2004", რომელმაც გააერთიანა იმ დრომდე ცალ-ცალკე გამოცემული ჩემი რვავე პოეტური კრებული და ლექსები რომანიდან "აქილევსის მეორე ქუსლი", თანხლებული იყო შემდეგი ანოტაციით:

ნიგნში თავმოყრილია საქართველოში დღემდე გამოცემული ჩემი რვავე პოეტური კრებული. ოცი ნლის განმავლობაში ამ ლექსების, როგორც საბოლოო ვარიანტების, მესაქმნელად განხორციელებული ჩანანერების, ესკიზების და შავი ვარიანტების რაოდენობა საკმარისი იქნებოდა, სულ მცირე, ნინამდებარე ნიგნის მოცულობის მქონე ათი ტომის გამოსაცემად. ამ ფაქტს ვაზუსტებ მხოლოდ იმის ხაზგასასმელად, გრაფიკულ დონეზე ასახული რა შრომის შედეგია ეს ერთადერთი ნიგნი (შრომის სხვა შრეებზე რომ არაფერი ითქვას).

ეს გამოცემა ერთგვარი შემაჯამებელი დამშვიდობებაც არის ქართულ საპრეზენტაციო კონტექსტთან, რომელშიც ჩემი პოეტური შემოქმედების გამოქვეყნებაზე უკვე უარი ვთქვი და ამიერიდან ჩემს მიერ დანერილი ახალი პოეტური ტექსტების მხოლოდ პერიოდული ფიქსაციებით და საკატალოგო აღნერებით შემოვიფარგლები (პირველი ასეთი კატალოგი მიმდინარე ნლის 21 იანვარს გამოვეცი და მასში ნარმოდგენილია ინფორმაცია ჩემი ახალი პოეტური ტექსტების ასო-ნიშანთა და სტრიქონთა რაოდენობის, ასევე დანერის დროისა და ადგილის შესახებ, აღსანერი ობიექტების როლს კი ლექსთა სათაურები ასრულებს). მას მერე, რაც ჩემთვის საბოლოოდ დაკარგა აზრი საკულისომეცნიერული ზეპირსიტყვიერებით, კლანური ცნობიერებით, ავანტიურით და ემოციების ქაოსური მოძრაობებით მონესრიგებად-გენერირებად, დეკორატული ხელოვნებით დაფარულ ადგილობრივ საპრეზენტაციო კონტექსტში ჩემი შემოქმედების გამოქვეყნებამ, მართებული არ იქნებოდა ჩემი პოზიციის ადექვატური პრაქტიკული ნაბიჯის არგადადგმა.

ცხადია, აღნიშნული ქმედება ნაკარნახევია რეგიონული კონტექსტის ჩემმიერი ინტერპრეტაციით (ანუ, სავსებით შესაძლებელია, მცდარით და უსამართლოთიც კი) და ჩემი – ავტორის – სუბიექტური გამოცდილებით, რაც მხოლოდ მე მეხება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაბიჯი ღიად ნარმოდგენილი მეტაფორაა. მხოლოდ ჩემი პრობლემაა ჩემი ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული დასკვნები თუ – მთლიანად ქართული კულტურის, ამას დრო გვიჩვენებს. ბუნებრივია, ეს გადანყვეტილება ნანილობრივ ჩემმა ზოგადმა საკონტექსტო ფილოსოფიამაც შეამზადა, - როგორც ავტორი, ჩემი კოგნიტური შესაძლებლობების ფარგლებში, პერმანენტულად ვითვალისნინებდი სნორედ ევროპული ლიტერატურის კლასიკურ და თანამედროვე კონტექსტს.

თუ ოდესმე საქართველოში მნერლობის სტადია ლიტერატურის სტადიაში გადაინაცვლებს, ამ პროცესის ერთ-ერთი მამოძრავებელი იმპულსიც და ამოცანაც აუცილებლად იქნება მაშველი რგოლების გარეშე ქართული მნერლობის განხილვა ევროპულ ლიტერატურულ კონტექსტში. მრავალ ცნობილ მიზეზთან ერთად, დღევანდელობით ამ საზომის არარსებობის გამოც არის გაურკვეველი, თუ რა დარჩება ლიტერატურაში ჩვენგან – ცოცხალი და გარდასული ქართველი მნერლებისგან – პირადად ჩემთვის სანატრელი ამ დროის დადგომის ანუ საკონტექსტო პარამეტრების კულტურის გადამუშავების მერე.

რაკი საქართველოში ღრმად ფესვგადგმული და, როგორც ნესი, თითქმის ყოველთვის პრაგმატული პოლიტიკით ნაკარნახევი, თვალთმაქცური "თავმდაბლობა" არასდროს მახასიათებდა, არც ამჯერად დავარღვევ ჩემს სუბიექტურ ტრადიციას და ხაზგასმით აღვნიშნავ: ერთი ნამით მაინც რომ მეპარებოდეს ეჭვი ევროპული კონტექსტის გათვალისნინებით მოაზრებული ქართული პოეზიისთვის ნინამდებარე ნიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში, მის გამოსაცემად არ გავირჯებოდი.

უღრმესი მადლიერებით ვილებ ჩემი მეგობრის ნატო ალხაზიშვილის მიერ წინამდებარე წიგნის გამოსაცემად გაწეულ დახმარებას და იმედს ვიტოვებ, რომ ამ წიგნთან დაკავშირებული რწმენის, იმედისა და მოლოდინის გამართლებას ჩემი მეგობარი ოდესმე მაინც მოესწრება.

*დათო ბარბაქაძე*
2008 წლის 5 მარტი, თბილისი

"შენიშვნები" კი იწყებოდა შემდეგი დაზუსტებით:

> თბილისი წინამდებარე ერთტომეულში თავმოყრილ არც ერთ წიგნს არ ჰყოლია რედაქტორი, მე-ნტორი, ლექტორი და ცენზორი. ამასთან, ავტორი ყოველთვის თავად აფორმებდა მხატვრულად საკუთარ პოეტურ კრებულებს, თავად განსაზღვრავდა ყველა თავისი წიგნის საგამომცემლო კონცეპციას, თავად იყო ყველა თავისი წიგნის კორექტორი. ავტორი, კიდევ ერთხელ, მადლიერე-ბით თავს ხრის იმ ადამიანების წინაშე, რომელთა ფინანსური დახმარების, უსასყიდლოდ შესრულ-ებული საკომპიუტერო სამუშაოების, სასტამბო შეღავათების გარეშე მისი არა ერთი პოეტური კრებული კიდევ დიდხანს ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

ესსეები, რომლებიც თეორიულ დანართად ერთვოდა 2008 წლის აღნიშნულ გამოცემას, შესულია მრავალტომეულის III ტომში.

## მივუსამძიმროთ შემოდგომას

მიძღვნა: *დედაჩემს მოკრძალებით ვუძღვნი ამ წიგნს.*

მიუხედავად იმისა, რომ ლექსები სტამბას 1991 წლის თებერვლის ბოლოს გადაეცა, დაბეჭდვის ნებართვა სტამბის დირექტორმა მხოლოდ 30 ივლისს გასცა, წიგნი კი 1991 წლის მიწურულს გამოიცა. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ამ დროისთვის საქართველოში სტამბებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ წიგნის დასტამბვის უფლება, თუ მათ პროდუქცია ოფიციალურად რეგისტრირებული გამომცემლობის მიერ არ გადაეცემოდა. ასეთი გამომცემლობა თბილისში მაშინ სულ რამდენიმე იყო, ავტორი კი პრინციპულად უარს ამბობდა მათი ეგიდით თავისი პირველი წიგნის გამოცემაზე. უკვე არსებობდა რამდენიმე კერძო გამომცემლობაც, მაგრამ ყველა მათგანი სათანადო ფულად საზღაურს მოითხოვდა. *ალტერნატიული ხელოვნების ცენტრი*, რომლის ეგიდითაც ეს წიგნი გამოიცა, იყო არა გამომცემლობა, არამედ ასოციაცია, რომელსაც წესდებაში მითითებული ჰქონდა მხოლოდ ის, რომ შეეძლო წიგნების გამოცემა, მაგრამ, იმდროინდელი კანონმდებლობის მიხედვით, თუ ასოციაცია მოისურვებდა წიგნის გამოცემას, მაშინ ან თავად უნდა დაეფუძნებინა გამომცემლობა ან რომელიმე სახელმწიფო ან კერძო გამომცემლობისთვის გადაეცა პროდუქცია გამოსაცემად. ამიტომ იყო, რომ სტამბის დირექტორი დაჟინებით მოითხოვდა რომელიმე გამომცემლობიდან ოფიციალურ წერილს, თუმცა რამდენიმე თვეში მან წიგნის გამოცემაზე მაინც განაცხადა თანხმობა. საქმე ის გახლდათ, რომ პოლიტიკის

ფრონტზე იმ დროისთვის განვითარებული და კარგად ორგანიზებული არეულობა ადამიანებს მეტი გაბედულებისკენ უბიძგებდა. როგორც ჩანს, ასეთი გაბედულების სულისკვეთებამ იმძლავრა სტამბის დირექტორშიც, როცა მან, ოფიციალური გამომცემლობების შეკვეთით წიგნების ბეჭდვის პარალელურად, ავტორის სახსრებით დასტამბული წიგნიდან მისაღები სარგებლის იმედით, „მივუსამძიმროთ შემოდგომას" დასტამბა. წიგნის გამოსაცემი თანხის მოგროვება ავტორმა მამამისის მიერ მისთვის ნაჩუქარი ნიშნობის ბეჭდის გაყიდვით შეძლო; ორი რულონი ქაღალდი კი, რომელსაც სტამბა ფულთან ერთად მოითხოვდა, ავტორს მისმა მეგობარმა, გიორგი ფერაძემ აჩუქა. რომ არა მისი ეს ძვირფასი დახმარება, წიგნი კიდევ დიდხანს ვერ გამოიცემოდა. კრებულის ტირაჟი 5000 ცალი იყო, ხოლო წიგნის ტიპოგრაფიული დონე – იმდენად დაბალი, რომ ამ 5000 ეკზემპლარში ერთი წუნგარეშე სასაჩუქრე ეკზემპლარიც კი ვერ მოიძებნა.

## ლოგიკის მონატრება

მიძღვნა: ***წიგნი სიხარულით ეძღვნება ჩემს დას – ნანას.***

პირველი გამოცემა: 1993 წელი, 800 ცალი. ავტორის მიერ საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტების როტოპრინტული თვითგამოცემა. გამოიცა ავტორის ხარჯით. მეორე გამოცემა: 2001 წლის დეკემბერი, 100 ცალი. რიზოგრაფულ სტამბაში განხორციელებული თვითგამოცემა. მეორე გამოცემისთვის წიგნი უსასყიდლოდ დააკაბადონა თენგიზ ქირიამ. გამოცემა დააფინანსა ლელა ფიფიამ.

## საკითხის დასმა

მიძღვნა: ***წიგნი სიყვარულით და მადლიერებით ეძღვნება ჩემს მასწავლებელს, ბატონ ედუარდ კოდუას.***

პირველი გამოცემა: 1994 წელი, 500 ცალი. ავტორის მიერ საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ლექსების როტოპრინტული თვითგამოცემა. გამოიცა ავტორის ხარჯით. მეორე გამოცემა: 2001 წლის დეკემბერი, 100 ცალი. რიზოგრაფულ სტამბაში განხორციელებული თვითგამოცემა. მეორე გამოცემისთვის წიგნი უსასყიდლოდ დააკაბადონა თენგიზ ქირიამ. გამოცემა დააფინანსა მარიკა შარიქაძემ.

## გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე

მიძღვნა: ***ჩემს მასწავლებლებს, ქ-ნ ცისანა კანკავას და ქ-ნ მანანა ფანიაშვილს, მადლიერებით და სიყვარულით.***

პირველი გამოცემა: 1994 წელი, 300 ცალი. ავტორის მიერ საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ლექსების როტოპრინტული თვითგამოცემა. გამოიცა ავტორის ხარჯით. მეორე გამოცემა: 2001 წლის სექტემბერი, 100 ცალი. რიზოგრაფულ სტამბაში განხორციელებული თვითგამოცემა. მეორე გამოცემისთვის წიგნი უსასყიდლოდ დააკაბადონა თენგიზ ქირიამ. გამოცემა დააფინანსა მარიკა შარიქაძემ.

## მხურავი

მიძღვნა: *ბატონ მიხეილ გოგუაძეს, მასწავლებელს და უფროს მეგობარს.*

პირველი გამოცემა: 1994 წლის აგვისტო, 200 ცალი. ავტორის მიერ საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ლექსების როტოპრინტული თვითგამოცემა. გამოცემა დააფინანსა ვაჟა რამაზაშვილმა.
მეორე გამოცემა: 2001 წლის სექტემბერი, 100 ცალი. რიზოგრაფულ სტამბაში განხორციელებული თვითგამოცემა. მეორე გამოცემისთვის წიგნი უსასყიდლოდ დააკაბადონა თენგიზ ქირიამ. გამოცემა დააფინანსა მარიკა შარიქაძემ.

## შეჯამების უარყოფა

მიძღვნა: *ვუძღვნი ჩემს მეგობარს, მაია გოგოლაძეს, სიყვარულით, მადლიერებით, რწმენით.*

გამოიცა 1999 წლის მაისში, 200 ცალი. რიზოგრაფულ სტამბაში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე განხორციელებული თვითგამოცემა. წიგნი გამოიცა გია ბუღაძის ფინანსური დახმარებით. წიგნის გასაფორმებლად ავტორმა გამოიყენა ბერძენი პერფორმანს-არტისტის სოფია მარტინოს ნამუშევრები. წიგნის დანართში წარმოდგენილი იყო ავტორის სამი ესსე.

## არსებითი სვლები

მიძღვნა: ***Für Yolanda Bertolaso.***

გამოიცა 2001 წლის თებერვალში, 50 ცალი. რიზოგრაფულ სტამბაში განხორციელებული თვითგამოცემა. წიგნის გასაფორმებლად ავტორმა გამოიყენა საკურთხეველთან დაჩოქილი მამაკაცის ძველეგვიპტური რელიეფური გამოსახულება. წიგნი უსასყიდლოდ დააკაბადონა თენგიზ ქირიამ. გამოიცა ავტორის ხარჯით. 2006 წელს *არსებითი სვლები* დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა"(№8, 14 აპრილი).

## ტბის სანაპიროს სიმღერები

მიძღვნა: ***In tiefer Dankbarkeit gewidmet Frau Dr. Steffi Chotiwari-Jünger und Herrn Dr. Hans Weichselbaum.***

გამომცემელი: ლევან თითმერია, გამომცემლობა „საარი", 2004 წლის დეკემბერი. ეს იყო ავტორის პირველი წიგნი, გამოცემული რეალურ გამომცემლობაში (გამომცემლისთვის წიგნის ავტორის შეთავაზებისა და გამომცემლის კეთილი თანხმობის საფუძველზე), გამომცემლობის სახსრებით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ავტორის პირველი წიგნი, გამოცემული ფერადი გარეკანით.

## ARS POETICA

მიძღვნა: *ვუძღვნი დედაჩემის, ლილი ბარქაიას, ნათელ ხსოვნას.*

## მეხსიერების დასაცავად

მიძღვნა: *ბელას, ჩვენი დიდი მეგობრობის და მადლიერების ნიშნად.*

## *ლექსები რომანიდან* აქილევსის მეორე ქუსლი

ლექსები ამოღებულია ნოველებისგან შემდგარი რომანიდან "აქილევსის მეორე ქუსლი", რომლის თვითგამოცემა 2000 წელს განხორციელდა, ცალკეული ნოველები კი 1994 წლიდან იბეჭდებოდა ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

# ლექსთა ანბანური საძიებელი და ქრონოლოგია


ადგილობრივი ელეგია: 1994, ოქტომბერი 248
ამაღლებულისთვის: 2005, თებერვალი-მარტი 455
ამბავი ერთი სიყვარულისა: 1993, ნოემბერი 182
ამბავი (სიზმრად) კანის ძიებისა: 1997, დეკემბერი 352
ამბავი სხვა, წარმატებული სიყვარულისა: 1993, ნოემბერი 187
ამის ცოდნა. დიდაქტიკური მოტივი: 1993, ნოემბერი 186
ანდერძის სურვილი: 1994, სექტემბერი 232
ანტიხმები — 1993: 1993, ოქტომბერი-დეკემბერი 191
არსებითი სვლები: 1999, ოქტომბერი – 2000, ოქტომბერი 369
არჩევანი: 1993, აგვისტო 173
აღდგომის ღამე: 1989, აპრილი-მაისი 61
აღიარება: 1995, მაისი 290
ახსნა-განმარტებათა შესაჩერებლად. ლექსის ესკიზი: 2004, 11 აპრილი 446
ars poetica: 2010, 9-13 მარტი 502
1968. ყოველი შესაძლო რევოლუციის დასასრულის ანატომია. მცირე ექსკურსი: მაისი, 2006 467

ბავშვები: 1994, დეკემბერი 277
ბავშვები ტბაში უხალისოდ ისვრიან კენჭებს, რომლებიც წარმოქმნის წრეებს, რომლებშიც ტბის ზედაპირზე მიმოფანტული ნუშის ყვავილები ექცევიან: 2002, 17 აპრილი 400
ბახი: 1990, იანვარი-თებერვალი 72
ბუნების ესკიზი: 2003, 6 ნოემბერი 434

გაზაფხული: 1995, მარტი 278
გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე: 1994, სექტემბერი 234
გამო-მეტყველება: 2003, 7 თებერვალი 415
გამოსავალი: 1994, მარტი 225
გამოუვალი მდგომარეობა: 2012, 1-9 მაისი 518
გამოფხიზლებულთა ჰიმნი: 1988, ნოემბერი 52
განგაში: 1993, სექტემბერი 180
განდობა: 1994, იანვარი 198
განმარტება: 1989, ივნისი 65
განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანი // ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრება: 1994, თებერვალი 211
განწყობილებები: 1988, მაისი-ივნისი 33
განვიმდა და ქოლგიანი ადამიანები, თალხი დღის შუაგულში, ტბის სანაპიროს გავლით, თავ-თავიანთ გზებს მიუყვებიან: 2002, 10 თებერვალი 392
გახსენება: 1992 117
გზამკვლევი: 1994, თებერვალი 202
გმირის თვალები: 1994, თებერვალი 210

გრამატიკის გაკვეთილი: 1990, ივნისი 82
genius loci: 2008, 9-11 ოქტომბერი 490

დაბადება: 1989, აგვისტო 68
დავიწყებულები: 1995, მარტი 280
დარიგება: 1993, აგვისტო 172
დედალოსის მიერ არიადნესადმი მიძღვნილი და პერსევსისადმი მირთმეული ოდა, რომელიც, ალექსანდრიული ეპოქის სწავლულთა მტკიცებით, შექმნილი უნდა იყოს თეზევსის მიერ არიადნეს მიტოვებამდე მრავალი წლით ან საუკუნითაც კი ადრე. ცუდი თარგმანი: 2004, 28 იანვარი – 27 თებერვალი 439
დეკორატული მოტივი: 1992 129
დიალოგის შეუძლებლობა: 1994, აგვისტო 231
დილა: 1993 155
დიოტიმა: 1999, მარტი 363
დისტანცია: 1994, თებერვალი 207
დრო, წასული მოსაგონებლად: 2004, 25 აპრილი – 20 მაისი 448

ეზრა პაუნდი: 1995, ივლისი 308
ეზრა პაუნდის გარდაცვლილი თავი ჩემს სიზმარში: 2004, 8 აპრილი 445
ეკლესიასტე: 1993 157
ენტროპია: 1995, მაისი 295
ერთი გამოცდილების ქრონიკა: 2010, 13-15 მარტი 503
ესკიზები მოუხელთებლის სტრუქტურისთვის 499
1. თვალთვალი გისოსებში: 2010, 11 იანვარი
2. თვალთვალი პურის ყუაში: 2010, 12 თებერვალი
3. თვალთვალი შეკითხვებში: 2010, 11-12 აპრილი
ესკიზი საყმაწვილო აუტოტრენინგისთვის: 1990, ივნისი 81
ეჭვიანი ქალები: 1993, სექტემბერი 178

ვარდნი ჰყვავიან ხოლო ვარდნი რას ჰყვავიან არავინ იცის: 1990, სექტემბერი-ოქტომბერი 90
ვიოლინოზე უკრავენ ბრმები: 1990, ნოემბერი 99

ზამთრის ერთი დილა 5000 წლის წინ მემფისში: 2009, თებერვალი 496
ზამთრისპირი, მინური რამდენი სარკმლიდან: 2002, 25 ოქტომბერი – 10 ნოემბერი 407
ზარი: 1989, მარტი 59

თაგვის თანხლებით: 1995, აპრილი 287
თავაზიანობის მსხვერპლნი: 2006, 5 სექტემბერი 473
თამარისადმი: 1985 12
თაურყვავილი: 2008, 1 ივნისი 488
თეზისები პოეზიაზე: 1993, ოქტომბერი 181
თვალს ვადევნებ ტბის ზედაპირზე იხვების დაშვებას და მახსენდება დაუ-

ვინყარი ჩემი მეგობარი, რომელმაც ერთ დროს თავი ჩამოიხრჩო: 2002, 28 იანვარი 390
თოვლი სადაც დუღს: 2011, 9 ნოემბერი 516

იელისის ხვატში, ტბის სანაპიროს მოჩრდილულ ალაგს შეხიზნული, ვათვალიერებ ცელანის ფოტოსურათებს, რომლებიც დიტერმა ფოსტით გამომიგზავნა: 2002, 25 იელისი 404
იმის შესახებ, ვინც ნყალმა მანქანის ხელით დაახრჩო: 1996, მარტი-აპრილი 325
ინტერმეცო: 1988, აგვისტო 45
ის ფრთაა მზისკენ: 1990, მარტი 80

კარგი დღე: 2003, 30 აგვისტო 432
კაუზალობა: 1992 120
კეთილი სურვილები: 1992 136
კეთრი და ვარსკვლავი: 2012, 23 დეკემბერი - 2013, 25 იანვარი 521
კლასიკური დისჰარმონია: 1992 171
კლასიკური ჰარმონია: 1993, აგვისტო 119
კრისტალიზებული სიტყვების ჯამი: 1994, ნოემბერი 276

ლექსები ელიზაბეტისთვის: 1998, აგვისტო-ნოემბერი 359
ლექსები რომანიდან "აქილევსის მეორე ქუსლი": 1994-1998 455
ლირიკული გადახვევა: 1994, ნოემბერი 265
ლოგიკის მონატრება: 1992 138
ლოზუნგებისკენ - ლოზუნგების საპირისპიროდ: 1992 122
ლოცვა: 2005, მარტი - 2006, მაისი 464
ლოცვა განნირულისა: 2013, 20 თებერვალი 523
ლუდხანა მინდენში: 2011, 14-19.07; 30-31.07. 513

მათი თანყოფნის აღსანიშნად: 2006, 16 იელისი; 2010, 4 სექტემბერი 508
მათი ღმერთები: 2009, 12-20 ნოემბერი 497
მათი ძილის აღსანიშნად: 2007, 17 მარტი 477
მარგარეტ თრაკლი: 1994, ოქტომბერი 261
მგალობელთა გუნდი: 2009, იანვარი-თებერვალი 495
მგზავრი: 2008, 7 სექტემბერი 489
მებაღე: 1994, ნოემბერი 264
მედიტაცია -შორის ურთიერთობის უმნიშვნელო დეტალებზე: 2003, 28-29 ივნისი 425
მეზღვაური: 1993, ნოემბერი 188
მე მსურს გაგაუპატიუროთ: 1990, იელისი 86
მე შენ ბულბულის საამური გალობა მეღერება სულში: 1990, მარტი 74
მეცხრე ტალღა: 2010, 1 ივნისი; 2010, 9 აგვისტო 506
მეხსიერების დასაცავად: 2012, 17 მაისი 519
მთის მონასტერი: 1994, სექტემბერი 241
მივუსამძიმროთ შემოდგომას: 1989, თებერვალი 58
მისი ოდისეა: 1995, ივნისი 297

მისი სულ სხვა შეხების ამბავი: 2003, 1 თებერვალი 413
მიძღვნა: 1995, მაისი 292
მინისქვეშა წიგნის მაღაზია: 2002, 26 დეკემბერი 412
მკვლელის სიმღერა: 1994, მაისი; სექტემბერი 236
მოდილიანი ანუ ბედნიერი მამრის აგონია: 1998, დეკემბერი; 1989, იანვარი 236
მომდევნო ზამთარი: 1994, თებერვალი 55
მონატრება: 1990 წელი, მარტი 78
მონატრება. ლიბერალური მოტივი: 2002, 12-14 დეკემბერი 410
მორიგი წამის პოეტიკა: 2003, 31 ივლისი 430
მოცემული კითხვის ადგილი: 1994, თებერვალი 206
მოციქულები: 1995, ივლისი 306
მოწოდება: 1991 113
მოძრავი ფრაგმენტები და უძრავი ავტოკომენტარები: 1993 145
მუშის სიმღერა: 2003, 22 აპრილი 416
მწუხრის სიჩუმე, რომელიც ტბის სანაპიროს წარმომიდგენს, როგორც შემაშფოთებლად არსებულს და იმავდროულად არარსებულს, ხდება მიზეზი იმ ქალაქისადმი ხოტბის მონახაზის, რომლის სტუმარიც ვარ: 2002, აგვისტო 406
მხოლოდ შენი ხმა: 1985 13
მხურავი: 1995, ივნისი 300

ნატურმორტი: 1992 116
ნატურმორტი თოელით: 2004, 11 მარტი 444
ნატურმორტი მწოლიარე ნყვილით: 2007, მაისი-ივნისი 478
ნაცრისფერი ლექსი: 1997, დეკემბერი 349
ნოსტალგია: 1988, აგვისტო 48

ოთხი ფრაგმენტი ფიქრებიდან: 1989, აგვისტო 70
ოცნების მოგონება: 1995, ივლისი 307

პათოსი როგორც რიტუალი: 1992 125
პაუზა: 1993 143
პერსპექტივა: 1993, სექტემბერი 179
პირველი: 1994, ნოემბერი 273
პირობა: 1991 115
პნევმონია: 2013, 10 მაისი - 16 ივნისი 525
პოეტი: 2008, 12 ნოემბერი 494
P. S.: 1994, ივლისი 229

ჟამი მალვისა და მიტევების ანუ დამარცხებულთა აღსარება: 1988, ივლისი 43

რადიკალური ღამე: 1992 133
რექვიემი: 1987, აგვისტო 18
რელაცია I: 1995, მაისი 293
რელაცია II: 1995, ივნისი 298

როგორც ყოველთვის: 1995, ივნისი 304
როგორც შეხება ან ოდნავ მეტი: 1994, ნოემბერი 266

სად მშობიარობს მესამე თვალი: 1990, ნოემბერი 101
საკითხის დასმა: 1993, სექტემბერი 175
საკმაო საფუძვლები კმაყოფილებისთვის: 1994, თებერვალი 209
საკუთარი თავის მიმართ: 1997, 25 იანვარი 347
სამედიტაციო ექსკურსი: 1994, თებერვალი 204
სამუზეუმო ანალიტიკის მეთოდის გახსენება: 2007, 30 აგვისტო - 2 სექტემბერი 484
სამუშაო დღის დასასრული. თემის განვრცობა: 2004, 7 იანვარი 435
საოცნებო სიზმრის ტყვეობაში: 2005, მარტი - 2006, მაისი 462
საპროტესტო განწყობილება: 1993, ნოემბერი 184
სასონარკვეთილები: 1997, 5 იანვარი 345
საუბარი: 1991 112
სალამოსპირია და გავცქერი ველოსიპედებზე ამხედრებულ სტუდენტებს, რომლებიც, ტბის სანაპიროს გავლით, სხვადასხვა მიმართულებით მიქრიან: 2002, 26 იანვარი 388
საშობაო განწყობილება: 1990, დეკემბერი 104
საშობაო საგალობლები: 1988, იანვარი-თებერვალი 28
სენტიმენტალური ავტოპორტრეტი: 1994, სექტემბერი 240
სერაფიტას აღსასრული: 1988, ოქტომბერი 50
სვირინგი: 1984 7
სიზმრის კვალდაკვალ: 1995, მაისი 289
სითბო შენი მოძრაობისა: 1994, ოქტომბერი 247
სიმღერა: 1996, აპრილი 339
სინანული: 1994, აპრილი 226
სიყვარულის ახსნა: 1995, ივლისი 305
სიჩუმე: 1991 114
სონატა მათთვის, ვინც შორსაა: 1985, მაისი-ივნისი; 1987, ივნისი 15
სულთათანა: 2010, 18-19 მაისი 505
სწრაფად მოძრავი ღრუბლები ტბას მზის სხივებს ხან უმალავენ, ხან მცირე ხნით გამოუჩენენ, რაც ჩემში აღძრავს მეტად მარტივ ფიქრს, თუ რატომ უჩნდებათ ადამიანებს სხვათა მიერ ბევრჯერ თქმულის გამეორების სურვილი: 2002, 23 თებერვალი 396
სხვა გამოცდილება: 2005, მარტი - 2006, მაისი 463
სხვისი საქმე: 1995, ივლისი 309

ტაბაკინური განწყობილებები: 1996, აპრილი 332
ტბაზე უკვე გამოჩნდნენ აფრიანი ნავები, რომლებსაც ხელს ვუქნევ და ჩემთვის ვესალმები: 2002, 3 მარტი 399
ტბის სანაპიროდან შინ ვბრუნდები და ჩემთვის ვეკამათები გამვლელის სიტყვებს: 2002, 22 იანვარი 386
ტბის სანაპიროს მიდამოებში თვალს ვადევნებ მშვიდად მოსეირნე ხანდაზმულ ადამიანებს და ვფიქრობ დედაჩემზე, რომელიც ახლა აქედან

შორს არის: 2001, 19 დეკემბერი 385
ტბის სანაპიროს მწვანე მინდორზე გულაღმა ვწევარ და მახსენდება გუშინდელი ჩემი ნაცნობი თანამემამულე, რომელმაც სუპერმარკეტში საპონი მოიპარა: 2002, 22-23 მაისი 401

უსათაურო: 1993 167
უჩინართადმი: 1988, დეკემბერი 54
უცნობი შეხვედრა: 2012, 25 სექტემბერი - 6 ოქტომბერი 520
უხილავი ცხოვრება: 2003, 28 მაისი 423

ფიქრები აწმყოზე: 1994, ნოემბერი 268
ფიქრები ნაქცეულ ხეზე: 1993, დეკემბერი 196
ფიქრის შესართავთან: 1993 165
ფრაგმენტი პროთევსის წერილისა უცნობი ადრესატის მიმართ (გვიანდელი მისტიკოსების მტკიცებით, მინოსის მიმართ). არაკანონიკური პოეტური ვერსია, რომლის ორიგინალი განლვრილია ტექსტის აქ წარმოდგენილ პროზაულ თარგმანში, შესრულებულში ბეჯითად მომზადებული პწკარედიდან: 2003, 10-15 მაისი 417
ფსალმუნი: 1992 127

ქარიანი მინდვრის მონარჩენი: 2013, 19 აპრილი - 11 მაისი 524
ქარის შესახებ ამ ქალაქში: 2003, 8-9 ივლისი 428
ქებათა ქება ჩემს უწყვეტ სატრფოს: 1995, სექტემბერი 313
ქება ცაცხვისა: 1995, მარტი 281
ქურდები: 1993, ნოემბერი 189

ღამე მთაში: 2007, 10 თებერვალი 474
ღამის მგზავრული: 1988, აგვისტო 49
ღმერთი კეთილია: 1988, აგვისტო 47

ყრმა უშობელი: 1987, ნოემბერი; 1988 წელი, იანვარი 23

შავი ფერის უარყოფის ოპერაცია: 1994, ოქტომბერი 251
შელოცვა: 1994, ოქტომბერი 254
შენდამი: 1989, მაისი 64
შესავალი: 1990, ივნისი-ივლისი 85
შეყვარებულები ველად: 2004, 18 იანვარი 437
შეწყვეტილი ტრანსფორმაციის საიდუმლო: 1994, იანვარი 200
შეწყვეტილი ფიქრები მეგობარს: 2005, მარტი - 2006, მაისი 465
შეხვედრა: 1993, სექტემბერი 177
შლაგბაუმი: 1994, თებერვალი 219
შიში: 1996, 7 ნოემბერი 343
შტრალენი, ქალაქის სასაფლაო, 2006 წლის 16 ივლისის მიმწუხრი: 2006, 16-18 ივლისი 471

ჩემი ის მადლობა: 2007, თებერვალი 475
ჩემი მაისური: 1993, აგვისტო 174
ჩემი მეგობარი ლინძი: 1993 166
ჩვენ გვიყვარს ლუდი: 1990 წელი, ნოემბერი 96
ჩინური ფარანი: 1994, ივნისი 227
ჩუმი ადგილები: 2008, 2 ნოემბერი 493

ცეცხლის შესახებ: 1996, 17 აპრილი 340
ცვალებადობები: 1995, დეკემბერი – 1996, თებერვალი 320
ცეცხლო, გზავნილო!: 2010, 17-19 ოქტომბერი 509
ცის უზრუნველყოფა: 1991 109
ციურიხი: 2007, 10 ივლისი - 18 აგვისტო 480
ცუდი ამინდის მერე: 1995, აპრილი 286

ძველი მოტივი: 1994, ოქტომბერი 246
ძველმოდური გული: 2005, მარტი - 2006, მაისი 461

ნაქცეულები: 1994, ოქტომბერი 262
ნეროების სამკუთხედი: 1995, მაისი 288
ნესრიგის დამცველები: 1994, ნოემბერი 275
ნმინდა ადგილი: 1994, ოქტომბერი 256
ნონასნორობა: 1994, ოქტომბერი 255
ნრე: 1992 118
ნუხელ ნანახი ცუდი სიზმრის გამო დარდს ვიქარვებ და რომ ვერც ვიქარვებ, დილით, ტბის სანაპიროსთან: 2002, 20 თებერვალი 394

ხანგრძლივი სამოთხე: 1994, იანვარი 199
ხეები: 1985 14
ხილვა: 1993 156
ხმები: 1988, ივლისი 44
ხსოვნა: 1993, დეკემბერი 190

ჯიხეთის ვარსკვლავი: 1996, აგვისტო 342

ჰიმნი ღამისადმი: 1994, ოქტომბერი 242

## შინაარსი

### მივუსამძიმროთ შემოდგომას


სვირინგი 7
თამარისადმი 12
მხოლოდ შენი ხმა 13
ხეები 14
სონატა მათთვის, ვინც შორსაა 15
რექვიემი 18
ყრმა უშობელი 23
საშობაო საგალობლები 28
განწყობილებები 33
ჟამი მალვისა და მიტევების ანუ დამარცხებულთა აღსარება 43
ხმები 44
ინტერმეცო 45
ღმერთი კეთილია 47
ნოსტალგია 48
ღამის მგზავრული 49
სერაფიტას აღსასრული 50
გამოფხიზლებულთა ჰიმნი 52
უჩინართადმი 54
მოდილიანი ანუ ბედნიერი მამრის აგონია 55
მივუსამძიმროთ შემოდგომას 58
ზარი 59
აღდგომის ღამე 61
შენდამი 64
განმარტება 65
დაბადება 68
ოთხი ფრაგმენტი ფიქრებიდან 70
ბახი 72
მე შენ ბულბულის საამური გალობა მეღვრება სულში 74
მონატრება 78
ის ფრთაა მზისკენ 80
ესკიზი საყმანვილო აუტოტრენინგისთვის 81
გრამატიკის გაკვეთილი 82
შესავალი 85
მე მსურს გაგაუპატიუროთ 86
ვარდნი ჰყვავიან ხოლო ვარდნი რას ჰყვავიან არავინ იცის 90
ჩვენ გვიყვარს ლუდი 96
ვიოლინოზე უკრავენ ბრმები 99
სად მშობიარობს მესამე თვალი 101
საშობაო განწყობილება 104

## ლოგიკის მონატრება


ცის უზრუნველყოფა 109
საუბარი 112
მონოდება 113
სიჩუმე 114
პირობა 115
ნატურმორტი 116
გახსენება 117
წრე 118
კლასიკური ჰარმონია 119
კაუზალობა 120
ლოზუნგებისკენ — ლოზუნგების საპირისპიროდ 122
პათოსი როგორც რიტუალი 125
ფსალმუნი 127
დეკორატული მოტივი 129
რადიკალური ღამე 133
კეთილი სურვილები 136
ლოგიკის მონატრება 138
პაუზა 143
მოძრავი ფრაგმენტები და უძრავი ავტოკომენტარები 145
დილა 155
ხილვა 156
ეკლესიასტე 157
ფიქრის შესართავთან 165
ჩემი მეგობარი ლინძი 166
უსათაურო 167


## საკითხის დასმა


კლასიკური დისჰარმონია 171
დარიგება 172
არჩევანი 173
ჩემი მაისური 174
საკითხის დასმა 175
შეხვედრა 177
ეჭვიანი ქალები 178
პერსპექტივა 179
განგაში 180
თეზისები პოეზიაზე 181
ამბავი ერთი სიყვარულისა 182
საპროტესტო განწყობილება 184
ამის ცოდნა. დიდაქტიკური მოტივი 186
ამბავი სხვა, წარმატებული სიყვარულისა 187

მეზღვაური 188
ქურდები 189
ხსოვნა 190
ანტიხმები — 1993 191
ფიქრები წაქცეულ ხეზე 196
განდობა 198
ხანგრძლივი სამოთხე 199
შეწყვეტილი ტრანსფორმაციის საიდუმლო 200
გზამკვლევი 202
მომდევნო ზამთარი 203
სამედიტაციო ექსკურსი 204
მოცემული კითხვის ადგილი 206
დისტანცია 207
საკმაო საფუძვლებო კმაყოფილებისთვის 209
გმირის თვალები 210
განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანი // ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრებით ილუსტრირებული ადამიანით ილუსტრირებული განსაზღვრება 211
შლაგბაუმი 219

## გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე

გამოსავალი 225
სინანული 226
ჩინური ფარანი 227
P. S. 229
დიალოგის შეუძლებლობა 231
ანდერძის სურვილი 232
გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე 234
მკვლელის სიმღერა 236
სენტიმენტალური ავტოპორტრეტი 240
მთის მონასტერი 241
ჰიმნი ღამისადმი 242
ძველი მოტივი 246
სითბო შენი მოძრაობისა 247
ადგილობრივი ელეგია 248
შავი ფერის უარყოფის ოპერაცია 251
შელოცვა 254
წონასწორობა 255
წმინდა ადგილი 256
მარგარეტ თრაკლი 261
წაქცეულები 262
მებაღე 264

ლირიკული გადახვევა 265
როგორც შეხება ან ოდნავ მეტი 266
ფიქრები ანმყოზე 268

## მხურავი

პირველი 273
წესრიგის დამცველები 275
კრისტალიზებული სიტყვების ჯამი 276
ბავშვები 277
გაზაფხული 278
დავინყებულები 280
ქება ცაცხვისა 281
ცუდი ამინდის მერე 286
თაგვის თანხლებით 287
წეროების სამკუთხედი 288
სიზმრის კვალდაკვალ 289
აღიარება 290
მიძღვნა 292
რელაცია I 293
ენთროპია 295
მისი ოდისეა 297
რელაცია II 298
მხურავი 300
როგორც ყოველთვის 304
სიყვარულის ახსნა 305
მოციქულები 306
ოცნების მოგონება 307
ეზრა პაუნდი 308
სხვისი საქმე 309

## შეჯამების უარყოფა

ქებათა ქება ჩემს უწყვეტ სატრფოს 313
ცვალებადობები 320
იმის შესახებ, ვინც წყალმა მანქანის ხელით დაახრჩო 325
ტაბაკინური განწყობილებები 332
სიმღერა 339
ცეცხლის შესახებ 340
ჯიხეთის ვარსკვლავი 342
შიში 343
სასოწარკვეთილები 345
საკუთარი თავის მიმართ 347

ნაცრისფერი ლექსი 349
ამბავი (სიზმრად) კანის ძიებისა 352
ლექსები ელიზაბეტისთვის 359
დიოტიმა 363

## არსებითი სვლები

1. ნემსის მორიგ ნვერზე 369
2. მოთამაშე ეგვიპტელი ქალი 369
3. მიძინება 370
4. ღიმილის ზოგიერთი ფორმის ასახსნელად 371
5. უხილავი (ამ) მნერლის სიკვდილი 372
6. ვარდის ნაკლებობა 373
7. ყოველდღიურობის ხსოვნა 374
8. ეს დაბნეული ლექსი 375
9. შებრუნება 376
10. უსწორმასწორო ლოცვა 378
11. როცა მდინარე ადონისი ნითლად იღებება 379
12. ადგილის აღსანიშნად 380

## ტბის სანაპიროს სიმღერები

### პირველი ნაწილი

ტბის სანაპიროს მიდამოებში თვალს ვადევნებ მშვიდად მოსეირნე ხანდაზმულ ადამიანებს და ვფიქრობ დედაჩემზე, რომელიც ახლა აქედან შორს არის 385
ტბის სანაპიროდან შინ ვბრუნდები და ჩემთვის ვეკამათები გამვლელის სიტყვებს 386
საღამოსპირია და გავცქერი ველოსიპედებზე ამხედრებულ სტუდენტებს, რომლებიც, ტბის სანაპიროს გავლით, სხვადასხვა მიმართულებით მიქრიან 388
თვალს ვადევნებ ტბის ზედაპირზე იხვების დაშვებას და მახსენდება დაუვიწყარი ჩემი მეგობარი, რომელმაც ერთ დროს თავი ჩამოიხრჩო 390
განვიმდა და ქოლგიანი ადამიანები, თალხი დღის შუაგულში, ტბის სანაპიროს გავლით, თავ-თავიანთ გზებს მიუყვებიან 392
ნუხელ ნანახი ცუდი სიზმრის გამო დარდს ვიქარვებ და რომ ვერც ვიქარვებ, დილით, ტბის სანაპიროსთან 394
სწრაფად მოძრავი ღრუბლები ტბას მზის სხივებს ხან უმალავენ, ხან მცირე ხნით გამოუჩენენ, რაც ჩემში აღძრავს მეტად მარტივ ფიქრს, თუ რატომ უჩნდებათ ადამიანებს სხვათა მიერ ბევრჯერ თქმულის გამეორების სურვილი 396

ტბაზე უკვე გამოჩნდნენ აფრიანი ნავები, რომლებსაც ხელს ვუქნევ და ჩემთვის ვესალმები 399
ბავშვები ტბაში უხალისოდ ისვრიან კენჭებს, რომლებიც წარმოქმნის წრეებს, რომლებშიც ტბის ზედაპირზე მიმოფანტული ნუშის ყვავილები ექცევიან 400
ტბის სანაპიროს მწვანე მინდორზე გულაღმა ვწევარ და მახსენდება გუშინდელი ჩემი ნაცნობი თანამემამულე, რომელმაც სუპერმარკეტში საპონი მოიპარა 401
ივლისის ხვატში, ტბის სანაპიროს მოჩრდილულ ალაგს შეხიზნული, ვათვალიერებ ცელანის ფოტოსურათებს, რომლებიც დიტერმა ფოსტით გამომიგზავნა 404
მნუხრის სიჩუმე, რომელიც ტბის სანაპიროს წარმომიდგენს, როგორც შემაშფოთებლად არსებულს და იმავდროულად არარსებულს, ხდება მიზეზი იმ ქალაქისადმი ხოტბის მონახაზის, რომლის სტუმარიც ვარ 406

## მეორე ნაწილი

ზამთრისპირი, მინურული რამდენი სარკმლიდან 407
მონატრება. ლიბერალური მოტივი 410
მიწისქვეშა წიგნის მაღაზია 412
მისი სულ სხვა შეხების ამბავი 413
გამო-მეტყველება 415
მუშის სიმღერა 416
ფრაგმენტი პროთევსის წერილისა უცნობი ადრესატის მიმართ (გვიანდელი მისტიკოსების მტკიცებით, მინოსის მიმართ). არაკანონიკური პოეტური ვერსია, რომლის ორიგინალი განლვრილია ტექსტის აქ წარმოდგენილ პროზაულ თარგმანში, შესრულებულში ბეჯითად მომზადებული პნკარედიდან 417
უხილავი ცხოვრება 423
მედიტაცია -შორის ურთიერთობის უმნიშვნელო დეტალებზე 425
ქარის შესახებ ამ ქალაქში 428

## მესამე ნაწილი

მორიგი ნამის პოეტიკა 430
კარგი დღე 432
ბუნების ესკიზი 434
სამუშაო დღის დასასრული. თემის განვრცობა 435
შეყვარებულები ველად 437
დედალოსის მიერ არიადნესადმი მიძღვნილი და პერსევსისადმი მირთმეული ოდა, რომელიც, ალექსანდრიული ეპოქის სწავლულთა მტკიცებით, შექმნილი უნდა იყოს თეზევსის მიერ არიადნეს მიტოვებამდე მრავალი წლით ან საუკუნითაც კი ადრე. ცუდი თარგმანი 439
ნატურმორტი თოვლით 444
ეზრა პაუნდის გარდაცვლილი თავი ჩემს სიზმარში 445

ახსნა-განმარტებათა შესაჩერებლად. ლექსის ესკიზი 446
დრო, წასული მოსაგონებლად 448

## ARS POETICA

ამაღლებულისთვის 455
ძველმოდური გული 461
საოცნებო სიზმრის ტყვეობაში 462
სხვა გამოცდილება 463
ლოცვა 464
შეწყვეტილი ფიქრები მეგობარს 465
1968. ყოველი შესაძლო რევოლუციის დასასრულის ანატომია 467
შტრალენი, ქალაქის სასაფლაო, 2006 წლის 16 ივლისის მიმწუხრი 471
თავაზიანობის მსხვერპლნი. ლირიკული გადახვევა 473
ღამე მთაში 474
ჩემი ის მადლობა 475
მათი ძილის აღსანიშნად 477
ნატურმორტი მწოლიარე წყვილით 478
ციურიხი 480
სამუზეუმო ანალიტიკის მეთოდის გახსენება 484
თაურყვაეილი 488
მგზავრი 489
genius loci 490
ჩუმი ადგილები 493
პოეტი 494
მგალობელთა გუნდი 495
ზამთრის ერთი დილა 5000 წლის წინ მემფისში 496
მათი ღმერთები 497
ესკიზები მოუხელთებლის სტრუქტურისთვის 499
1. თვალთვალი გისოსებში *(თბილისი, 11.01.2010)*
2. თვალთვალი პურის ყუაში *(თბილისი, 12.02.2010)*
3. თვალთვალი შეკითხვებში *(თბილისი, 11-12.04.2010)*
ars poetica 502
ერთი გამოცდილების ქრონიკა 503
სულთათანა 505
მეცხრე ტალღა 506
მათი თანყოფნის აღსანიშნად 508
ცეცხლო, გზავნილო! 509

## მეხსიერების დასაცავად

ლუდხანა მინდენში 513
თოვლი სადაც დულს 516

გამოუვალი მდგომარეობა 518
მეხსიერების დასაცავად 519
უცნობი შეხვედრა 520
კეთრი და ვარსკვლავი 521
ლოცვა განწირულისა 523
ქარიანი მინდვრის მონარჩენი 524
პნევმონია 525

## ლექსები რომანიდან *აქილევსის მეორე ქუსლი*

მე დავუკარი ჩემი სატრფო უფრო სათუთად... 513
ნუ შემპირდები მარადიულს. ეს იოლია... 514
ყოველი სიტყვა დამწვარი და არდანაცრული... 515
არ ვწერ სიმღერებს არ ვწერ ლექსებს არ ვწერ დღიურებს... 516
ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა... 517
ჩვენ ცოცხალი ქათმით ვთამაშობდით ფეხბურთს... 519
ეს მხარე დასახლებულია სასიკვდილო განაჩენებით... 522
სუსტი ხარ მეთქი, გეუბნები, ჩემო სხეულო... 523
შეიძლება, ისინი სულაც ჩრდილებმა წარმოშვან... 526
ჩემს თავში... 527
ბოლოს ჩვენი თავიც გაგვახსენდა ამ აურზაურში... 528

შენიშვნები 533
ლექსთა ანბანური საძიებელი და ქრონოლოგია 538

**Dato Barbakadse**
**Ergebnisse**
**Band I**

**Tbilissi**
**2014**

წიგნში წარმოდგენილი ყველა ტექსტის კორექტორია დათო ბარბაქაძე. მანვე დააკაბადონა და მოამზადა წიგნი გამოსაცემად. ავტორს ეკუთვნის, აგრეთვე, საგამომცემლო კონცეპცია და დიზაინი.

წიგნის ერთი ეგზემპლარის ბეჭდვის და ყდაში ჩასმის ღირებულებამ შეადგინა 36,60 ლარი.